



ნიკო ხერკელაია დაიბადა 1953 წლის 17 აგვისტოს, ახალგორის რაიონში.


1977 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. შემდეგ შემოქმედებითი ასპირანტურა.

არის მხატვართა კავშირის წევრი 1983 წლიდან, საერთაშორისო სამხატვრო ფონდის წევრი 1984 წლიდან, ეროვნული სამხატვრო აკადემიის დოცენტი 2001 წლიდან, სამხატვრო აკადემიის პროფესორი 2003 წლიდან,

ფაზისის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 2003 წლიდან, ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი 2008 წლიდან.

2010 წლიდან იგი არჩეულია საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა აკადემიის ქალდეას ნამდვილ წევრად. მისი გამოფენები მოეწყო როგორც საქართველოში, ასევე გერმანიაში, იაპონიაში, ბულგარეთში, რუმინეთში, იტალიაში, რუსეთში – მისი ნამუშევრები დაცულია ტრეტიაკოვისა (მოსკოვი), კარლ მაქს შტადტის (გერმანია) და ლუერის (საფრანგეთი) მუზეუმებში, მრავალ გამოჩენილ სახელმწიფო და კულტურულ მოღვაწეთა კოლექციებში, საქართველოსა და მთელ მსოფლიოში.

# ნიკო ხერკელაია სრულში ნაღესი ხმალი



ნიკო ხერკელაია

გიორგი სააკაძე

ისტორიულ-პუბლიცისტური ნარკვევი

ISBN 978-9941-9097-4-0



9 789941 909740



## ღმერთო სამშობლო მიცოცხლა!

„არიან ადამიანები, რომელთა ღვანლს აღნიშნავს მთელი ერი. გიორგი სააკაძე სწორედ ამ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება. ამ დღეებში ჩვენ აღვნიშნავთ სააკაძის საიუბილეო 430 წელს და უნდა ითქვას, რომ სათანადოდ არ არის შესწავლილი მისი ცხოვრება და მისი მოღვაწეობა, ამიტომ განსხვავებული აზრი არსებობს ზოგიერთში. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ის არის თავდადებული პიროვნება საქართველოს ისტორიაში, პიროვნება რომელმაც შესწირა მთელი თავისი სიცოცხლე სამშობლოს. და დღეს ამ წმინდა სიონის ტაძარში აღვავლენთ ლოცვას მისი სულის საოხად სასუფეველში დამკვიდრებისათვის. ღმერთმა აცხოვნოს და ნათელში ამყოფოს მისი სული!“

რედაქტორი ვაჟა ეგრისელი

გამომცემლობა  
„გლობალ – პრინტი+“

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

უნმინდესი და უნეტარესი ილია II

17 ივნისი 2005წ.

ISBN 978-9941-9097-4-0

© ნ. ხერკელაძე. 2017

როდესაც მდგომარეობა ეხება სამშობლოს ყოფნა-არყოფნის საკითხს, ყურადღება არ უნდა მიაქციო არავითარ სიძნელეებს და იმას სამართლიანია თუ უსამართლო, ჰუმანური თუ სასტიკი, საქებარი თუ საძრახისი; გვერდზე უნდა გადაიდოს ყველა სანყაო და დაადგე მხოლოდ იმ გზას, რომელსაც ძალუძს გადაურჩინოს არსებობა და შეუნარჩუნოს თავისუფლება სამშობლოს.

ნიკოლო მაკიაველის მოძღვრება

### **გიორგი სააკაძის სიტყვა ღავით აღმაშენებლის საფლავთან**

„ყოველივე ჩემი განზრახული უნდა აღსრულდეს! ქართლში დავბრუნდები და მალეც!... დიდი ხანია გავიგე: მხოლოდ ქართველთა სამეფოების გაერთიანებით, მეფის ერთხელისუფლებიანობის განმტკიცებით შეიძლება აღორძინდეს საქართველო გეფიცები ჩემო მეფევ, დავით აღმაშენებლო! მე გიორგი სააკაძე მოურავი, პირველი ვალდებული სამშობლოს წინაშე, წმინდათ შევასრულებ შენს ანდერძს: ნიკოფსიიდან დარუბანდამდის!“

\*\*\*

წიგნის ავტორი დიდ მადლობას უხდის, ჩვენს თანამემამულეს, ქალაქ კასპში მცხოვრებ, თავისი კეთილგონიერებით ცნობილ სამაგალითო პიროვნებას, ბატონ უშანგი მოსიაშვილს, წიგნი „ცრემლში ნალესი ხმალი“, რომელიც ეძღვნება „გიორგი სააკაძეს“, ამ ნაშრომისათვის განუული მხარდაჭერისა და ფინანსური დახმარებისათვის.



## როცა გრგვინავს სააკაძე

ვერ დაფარავ აღტაცებას, –  
როცა გრგვინავს სააკაძე...  
მოჰგავს მტერზე მეხდაცემას...  
მტერი საშველს ვერ იაზრებს...  
დაიფარავს ჩვენს ჩვილ ბავშვებს,  
ტკბილად მლოცავ წმინდა ტაძრებს...  
როცა გრგვინავს სააკაძე, –  
მტერი საშველს ვერ იაზრებს...  
ღმერთმა მოსცა საქართველოს  
ისე დიდი ფალავანი...  
ბრძოლის ველზე შეუვალ არს, –  
როგოც ციხე-გალავანი...  
უთვლელ მომხდურს ატიალებს...  
საკვირველი ქართლელია...  
მისთა მსგავსთა, მატიანე,  
სულ თითებზე დამთვლელია...  
თუ არ იგი ... ვიქნებოდით?!  
საფიქრალი... დღეს ბევრია...  
მისთა მსგავსთა მოიყვანეს  
დღეისამდე იბერია...  
თუ არ ვაქებთ... ნუ ვაძაგებთ...  
ნუ ვიქნებით უმადურნი...  
მთლად ქვეყანას აჩანაგებს  
უმადლობა... მტრობა... შური...  
ასე, ჩემო საქართველოვ!  
მოეფერე შენს გმირ შვილებს!..  
მტრის მზაკვრული მოფერება  
გულს ტყუილად ნუ გიჩვილებს.

ამინ

მიტროპოლიტი თადეოზი (იორამაშვილი) მარაბდელი  
2014 წლის 28 სექტემბერი, წმინდა ალავერდობა

## რეცენზია

### „ცრემლში ნალესი ხმალი“

მხატვარ-პროფესორ ნიკო ხერკელაძის წიგნში „ცრემლში ნალესი ხმალი“ ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით, XVI-XVII საუკუნეების დიდი მნიშვნელობის საკითხებია განხილული. ავტორი თავის წიგნს უწოდებს ისტორიულ პუბლიცისტურ ნარკვევს, რომელშიც არამარტო გიორგი სააკაძის ბრძოლები და მისი დროინდელი საქართველოს ისტორიაა ასახული, არამედ მთელი საქართველოს ისტორიაც.

მე ვიცი, ამ წიგნის ავტორი, ნიკო ხერკელაძე, თავისი ქვეყნისათვის გულანთებული მოქალაქეა, თან კარგი და საინტერესო მხატვარიც, მას კარგად უჭრის ყალამი, იგი პროფესიით სახვით ხელოვნებას ემსახურება და კარგად ცნობილია, თუ რაოდენი დრო და ძალისხმევა ესაჭიროება მხატვრისგან სახვით ხელოვნებაში საკუთარი თავის დამკვიდრებას. მას დიდი გულმოდგინებით, გრაფიკული მიდგომით, შეუსრულებია XVI-XVII-ე საუკუნეებში მოღვაწე ქართველ ღვთისმსახურთა, გამოჩენილ მეფეთა და სარდალთა, ფსიქოლოგიურად ძალზედ საინტერესო პორტრეტები.

ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ დიდად დავფიქრდი, ნიკო ხერკელაძეს რა საჭირობოროტო განცდებმა ააღებინა ხელში ყალამი, რომ წიგნი დაეწერა გიორგი სააკაძეზე. ვფიქრობ, ამის პირდაპირი მიზეზი მისთვის თავის ქვეყანაზე გულშე-

მატიკვირობა უნდა იყოს და იმ არსსთა სწორად გარკვევაში, რომ გ. სააკაძის პიროვნებისადმი, უანგაროდ მისაგები დამსახურებისათვის, მისგან ის ეპოქა სიღრმისეულად შეუსწვლია, რაშიც მკითხველი უდაოდ დარწმუნდება. წიგნში მისგან დაფიქსირებულ სიტყვებში ფარული გულისტკივილი გამოსჭვივის, თავისი მინა-წყლისათვის ასე თავგადამკვდარ კაცს, გ. სააკაძეს, შთამომავლობამ და ქართველმა ერმა რაღაც დააკლო. რატომ არის ასეთი გმირის ზოგიერთი მხარე ბუნდოვნებით მოცული და რატომ აკლია გ.სააკაძის შესახებ ზოგიერთ მთქმელსა და მემატიანეს იმ დროის ღრმა სიცხადე და სიმართლის ნიშნის არსი?

ჩვენს მკითხველ საზოგადოებას არ უჭირს იმ დროის მოვლენებში გარკვევა, ვინაიდან ყველა მიუკერძოებელი, საღად მოაზროვნეთათვის ცნობილია გ. სააკაძეზე, მისი ოპოზიციური მხარის მცდელობაა, ზენოლა მოეხდინათ მემატიანის კალამზე.

მე ალალი მადლიერების განცდა გამიჩნდა ბატონ ნიკო ხერკელაძის მიმართ, ამ წიგნზე განეული შრომისთვის. მას მეტად საყურადღებოდ აქვს მოყვანილი XVI საუკუნის მოვლენები, როდესაც ქართლ-კახეთში მეფობდნენ ლუარსაბ I, სიმონ I და კახეთში ალექსანდრე II. გამორჩევით ეს ორი პიროვნება, ლუარსაბი და სიმონი, თავიანთი სამეფოსი და უნდა ითქვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად თავს არ ზოგავდნენ. ამ წიგნის ავტორი მართებულად ამახვილებს ყურადღებას ლუარსაბ I-ისა და სიმონ I-ისათვის ქართველ ერისაგან მინიჭებულ ღირსებაზე, როგორც „დიდი“ ანუ საქართველოსთვის, დიდი მეფე ბაგრა-

ტიონისაგან განხორციელებული დიდი საქმეები. მესამე რიგითი აზნაურ გ. სააკაძისაგან ესტაფეტად გაგრძელებული და გაკეთებული, იგივე დიდი საომარი ღვაწლი საქართველოსათვის. მათი სამივეს ერთობლივი მოღვაწეობა ერთმანეთში თანმიმდევრული გაგრძელებაა, უწყვეტი ძალისხმევით სიმტკიცის მოხმობა, რომ ქართულ მინა-წყალზე შემოსეული მტრები გაედევნათ.

ნ. ხერკელაძეს, საგულისხმო მიზნით, მოყვანილი აქვს ყოფითი ცხოვრებისეული თუ საომარი მსგავსებები მეფე სიმონ I-ისა და გიორგი სააკაძისა.

საგულისხმოა წიგნის ავტორის თვალთახედვა, სადაც ქართული ეროვნული თვისებების, სიმტკიცის აღნიშვნისათვის მოჰყავს შედარება „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, რაც პირდაპირ კავშირშია მაღალი ღმერთის უზენაესობასთან და ქართულ ზნეობრივ სამართლიანობასაც ნიშნავს. ყურადსაღებია ამ წიგნში მოყვანილი ლუარსაბ II-ისა და გ. სააკაძის ურთიერთობათა განხილვა. შედარებები „დიდი მოურავიდან“ მოყვანილი მაგალითების საფუძველზე. ნოსტეში გამართული ნადიმი, იქ აღმოცენებული ვითარებები და შემდეგ განვითარებული მოვლენები, ნავკისური შეთქმულება და შემდეგ თუ რა გარემოებამ განაპირობა გ. სააკაძისგან ირანული გზის არჩევა, კოლოტაურთან შეხვედრა, სააკაძისგან მისი სასიკვდილოდ არ გამეტება. ისევ ზნეობრივ სიმაღლეზე დგომა და თავისი თანამემამულეებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება.

წიგნში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს გ. სააკაძის კეთილშობილურ თვისებებს. ეს მაშინ, როცა თავის

მოპირისპირე სამტრო მხარისაგან განწირულია და სამშობლოდანაც უკვე გაძევებული. სწორედ მისი ტოლერანტული თვისებებიდან მომდინარეობს, თავისი სამტრო მხარისადმი შერიგების გარემოს შექმნა, როცა მან ამ მიზნით სასამართლო მოაწყო 1620 წელს. სადაც უპირველესად თადარიგის დაჭერა ხდება აჯანყების სამზადისისათვის. დამაფიქრებელია სააკაძის ირგვლივ შექმნილი მოვლენები, ეს მაშინ, როცა იგი ისევ ირანში იყო. რა ამოძრავებდა, რატომ მონახა ნდობის გზა ხოსრო-მირზასთან და არა ძმებ უნდილაძეებთან, რომელნიც მარტო პირადული და მარტო ირანის აღორძინებით იყვნენ დაკავებული.

ნ. ხერკელაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ გ. სააკაძესაც შეეძლო უნდილაძეთა მსგავსად ირანში სამუდამოდ დარჩენა აერჩია და იქნებოდა კიდევ ირანში მშვიდად, და საქართველოსათვის უზრუნველ მდგომარეობაში. შვილი პაატაც ცოცხალი შერჩებოდა და შაჰ-აბასისაგან მიყენებული ტრაგედიით მის დამძიმებულ გულს ოხვრა-გოდებაც ასცდებოდა. მით უმეტეს ეს მაშინ, როცა საქართველოში დიდკაცთა მხრიდან მუდამ დაუძინებელი მტრობა ელოდა. ამ ვითარების საილუსტრაციოდ წიგნიდან მოყვანილ მოვლენას გავიხსენებ. როცა შაჰ-აბასმა უპასუხიმგებლო საქციელისთვის თავისივე სიძე აბდალ-აზინი ისპახანის მმართველი გადააყენა, მისი შემცვლელის კანდიდატურის დასახელება გ. სააკაძეს მიანდო. ეს ხომ პირველყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ამ თანამდებობაზე გ. სააკაძე უფრო ეიმედება. ეს ხომ დასტურია იმისა, რომ გ. სააკაძეს ირანში სამუდამო დარჩენის ყველა საშუალება ჰქონდა, მაგრამ მას მუდამ სამშობლოს წყალ-ჭალა საშველად უხმობდაო და თავისკენ ეზიდებო-

და. მის გადარჩენაში სიცოცხლე გამწირავი როლი შეასრულა ბააკა ხერხეულიძემ, ამბობს წიგნის ავტორი. სულის შემძვრელია ნ. ხერკელაძისეული პაატა სააკაძის ავბედისწერაშემოხვეული ბავშვობის აღწერაც, სადაც ნავკისურმა შეთქმულებამ პაატას ყრმობის ცისკარი გაუხარელი დატოვა და მაშინ მალალი ღმერთისაგან ჩუმი გლოვის ზარი ჩამოირეკა სვეტიცხოველთანო. იმ დღიდან დღემდის ნოსტეში დარჩენილი პაატას ბავშვობა ქართველ ერს ისევ რომ შემოსტირის. მისი თვალებიდან წამოსულმა უმანკოებამ, მორჩილი კრავივით, პატარა მუხლებზე დაიროქა და ჯალათის მახვილს შეადნა. მარტყოფის გამარჯვება განგებისაგან ხომ პაატას ჯერ ისევ ნაზ მხრებზე დადგა და მამისაგან გამოტირებული მისი სული სამშობლოსათვის მსხვერპლად დაიდო. აქვე მინდა აღვნიშნო ამ წიგნიდან მოყვანილი, ირანიდან გამოგზავნილი წერილის შესახებ. ავტორისაგან ისეთი ნათელი ჭკრეტა ჩანს ამ წერილის ირგვლივ, მარტყოფის აჯანყების სამზადისისათვის, რომ ის შემთხვევით ახალ შემორიგებულ ქაიხოსრო ჯავახიშვილისა და ფარსადან ციციშვილის მსგავსთა ხელში არ უნდა მოხვედრილიყო. გ. სააკაძეს მათ მიმართ სრული ნდობა ისევ არ ჰქონდა, ვინაიდან მათ მეორედ სცადეს სააკაძის მოკვლა, არ იყო გასაკვირი მათ ხელში ჩავარდნილი წერილის შინაარსი „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი კი აჰყარეთ“ სულ დავინწყებოდათ მარტყოფის აჯანყების სამზადისი და ეს წერილი ყორჩიხა – ხანისათვის მიეტანათ? მეორე შემთხვევაში, თუ წერილი გ. სააკაძის გარეშე, ისევ გზის ავლით, რომელიმე ყიზილბაშის ხელთ მოხვედებოდა, ისინი მაშინათვე ყორჩიხა-ხანს მიუბრუნებდნენ. ყორჩიხა-ხანი ორივე შემთხვევაში, პირველ რიგში, სააკაძეს

განადგურებდა. ამ მიზეზით აჯანყების საქმეც წახდებოდა.  
– განმარტავს წიგნის ავტორი.

ამ წერილის აღმოჩენა გ. სააკაძის ხელში, სათადარიგო აუცილებლობა იყო, რომ გ. სააკაძისგან ქართველი მოსახლეობისადმი წაკითხვის შემდეგ ხალხს ღრმად დაენახა შაჰ-აბასის ვერაგი გეგმები „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰყარეთ“ და ამ მიზნით ერთსულოვანი სიმტკიცე გამოეჩინათ და ორგანიზებული აჯანყება მოეხდინათ. წიგნის ავტორის ასეთი განხილვებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ეს კაცი, ნ. ხერკელაძე გ. სააკაძის თანაცხოვრების მონაწილე გეგონება.

საგულისხმოდაა აღწერილი ზ. ერისთავის ფსიქოლოგიური ხასიათი, მარტყოფის წინარე მოვლენებში და მის შემდეგაც, სადაც აღნიშნავს, ზ. ერისთავი მოქმედებს ისე და იმგვარად, ვის გვერდშიდაც იმ ეტაპზე იმყოფება. ზ. ერისთავი საქართველოს ისტორიაშიც ლამაზად მხოლოდ გ. სააკაძესთან, მარტყოფში ერთიანობით დარჩა.

მნიშვნელოვანია მარტყოფის ომის მერე მოვლენების განხილვაც, როცა ავტორი მიაჩნებს, როგორი მსგავსება გაჩნდა თეიმურაზ I-სა და გ. სააკაძეს შორის, როგორც ტრაგიზმი, როცა მათ ორივეს შაჰ-აბასმა ოჯახის წევრები ამოუწყვიტა. ამ კუთხით მეფეს სააკაძისადმი მეტი თანაზიარობის განცდა უნდა გამოეჩინა, ეს თუნდაც მაშინ, როცა შაჰ-აბასს სამაგიერო, თეიმურაზ I-ის მაგიერ, გ. სააკაძემ გადაუხადა მარტყოფში, ირანული ჯარების განადგურებით. თავისებურებებით აიხსნება მარაბდის მოვლენების ნ. ხერკელაძისეული განხილვაც, როდესაც ამ ომში მოჰყავს 20 ათასიანი

ქართველი მეომრის საბრძოლო შემართება, სარდლად მყოფი თეიმურაზ I-ის თაოსნობით. სადაც 9 ათასი ქართველი ნადგურდება. შემდეგ ავტორი განმარტავს, ცოცხლად დარჩენილი 11 ათასი კაციდან, საშუალოდ 3 ათასი მეომარი მძიმედ და ნაკლებად მძიმედ იქნებოდნენ დაჭრილნი. იმ შემთხვევაში მათ მკურნალობა დაჭირდებოდათო, რაც საეჭვო სულაც არ არის. შემდეგ მიუთითებს და ამბობს, ასეთ ვითარებებში საშუალოდ 8 ათასი კაცი იქნებოდა საომრად სრულყოფილი და ყურადღებას ამახვილებს ამ რაოდენობის ქართველების როლის მოქმედებაზე და შედეგზე, უკვე გ. სააკაძესთან ერთად განხორციელებულ პარტიზანულ ბრძოლებში. მარაბდის მოვლენების განხილვაში, მკითხველისათვის მუდამ დამაფიქრებელი იქნება ის გარემოება, სადაც სარდლობიდან იგნორირებული და მარტყოფის გამარჯვებით, დიდებულთა მხრიდან ნაკლებად ანგარიშნეული გ. სააკაძე გახურებულ ომში მუზარადს მოიხდის, რას ნიშნავს ეს? როგორი კაცის საქციელთან გვაქვს საქმე, მით უმეტეს, ასეთი სიმრავლის მტრის ჯარი ქართველ მეომრებს გარს ახვევია, მუზარადი ხომ ასეთ ვითარებებში უფრო მეტად საჭიროა. ამაში იკითხება გ. სააკაძის სიცოცხლის დაუზოგაობა, რომ ასეთი შემართებით ქართველ მეომრებს მეტი სიმხნევე შეჰმატოს, მტრის სიმრავლის გამო არ შედრკნენ და თუ ბოლო გამარჯვებას ვერ მიაღწევნენ, ყიზილბაშებისათვის ძვირად მაინც დაესვათ ქართველი სარდლობისაგან შეუცოდავი თავიანთი სიცოცხლე. სააკაძის დროის მოვლენების სრული თვალსაჩინოებისათვის, მუდამ დამაფიქრებელი იქნება ნ. ხერკელაძისეული ხაზგასმა, ანდუყაფარ ამილახორის ოჯახის ასეთ სიმორეზე თერგის ხეობაში გამოკეცვა. ქართლში ან კახ-



ეთში მათი იზოლაციისათვის ვერ შეირჩა შესაფერისი ციხე? ნიგნის ავტორი ხაზს უსვამს არშის ციხიდან ერთი ოჯახის გამოსხნას დაჭირდებოდა 12 ათასი ირანული ჯარი? თუ არა სააკაძის სტრატეგიული გეგმა-მიზანი, ქსნის ხეობის სივინროვე, მისგან მოფიქრებული ხერხით შეტყუებული მტერი იოლი გასანადგურებელი რომ იყო. მით უმეტეს, ირანიდან შაჰ-აბასის მიერ საზავო ულტიმატუმი დაწყებული იყო და ამ ზავის საფუძველზე ურთიერთ-უვნებლობის პირობებზე შეთანხმებით, მაშინდელ ქართულ მხარეს შეეძლო უსაფრთხოდ გამოეყვანათ არშის ციხიდან ამილახვარის ოჯახი და ისახან-ყორჩიბაშისათვის მიეგვარათ. საინტერესოა 1970-75 წლებში ნოსტეში ნ. ხერკელაძის ყოფნა, სადაც ამავე სოფლის მკვიდრის დათა ხიზიმბარელის მონათხრობი აქვს ჩანერილი, გ. სააკაძის შესახებ. ამ ნიგნიდან ერთ-ერთს გავიხსენებ, გააფთრებულ ბრძოლებში, როცა მტერი რაოდენობით მძლავრობდა ქართველებზე.

გ. სააკაძე მიმართავდა თავის ჩვეულ ხერხს, შემოიკრებდაო მარჯვნივ და მარცხნივ დაახლოებით ხუთ შვიდ-შვიდ ძლიერ მეომრებს, ზურგის მხრიდან კი საშუალოდ ოცი კაცი იცავდაო და მიაშურებდა მტრის სქელ რაზმებს, მათს გასანადგურებლად და დასაფანტად, უკან გამობრუნების შემთხვევაში ამ ოცკაციან ჯგუფს უნდა უზრუნველყო სააკაძის თხუთმეტკაციანი რაზმის მშვიდობიან ადგილას დაბრუნება.

საქართველოს ისტორიაში ქართველებს შორის არა ერთი და ორი ბაზალეთური ომი მომხდარა, ნიგნის ავტორს შედარებისთვის მოჰყავს „გოფანთო ოფშკვითის“ ძმათა შო-

რის ბრძოლა, სადაც სიმონ I-მა იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთება სცადა, მაშინდელმა, საქართველოსათვის მოუმზადებელმა ნიადაგმა საქართველოს გაერთიანება ვერ განაპირობა. ოსმალთაგან მუდმივი თარეში ქართლზე ამის საშუალებას არ იძლეოდა, ე.ი თვით ასეთ ძლიერ მეფე სიმონმაც კი ვერ მიაღწია ამიერ-იმერის გაერთიანებას. XVII-ე საუკუნეში შაჰ-აბასის ვერაგულმა პოლიტიკამ ვერ მიაღწია იმას, რომ კახეთში დარჩენილი მოსახლეობა და ქართლის მოსახლეობა ირანში გადაესახლებინა, ვინაიდან გ. სააკაძე და მის გვერდში მდგომი ქართველობა შაჰის გეგმებს წინ აღუდგა. შაჰ-აბასმა მეორე სანადელს მაინც მიაღწია, გამოიყენა თავისი ჩვეული ცბიერი ხერხი, საზავო პირობა, რაც ქართული მხარის ერთმა ნაწილმა შესაფერისად მიიღო, იმ მიზნით, რომ ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ს მეფობა შეენარჩუნებინა. გ. სააკაძის მიზანი ამერ-იმერი საქართველოს გაერთიანება და ძალაუფლების ერთი მეფის ხელში მოქცევა იყო.

ბაზალეთის ომის შინაარსი იმ კუთხით აიხსნება, რომ ორი მტრის, სპარსეთისა და ოსმალეთის იდეოლოგია, ქართველების სახით ერთმანეთს დაუპირისპირდა. ნ. ხერკელაძეს მართალია დიდი მრწამსით აქვს გ. სააკაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი წარმოჩენილი, ამის პარალელურად ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გ. სააკაძის ოპონენტურ მხარეს თეიმურაზ I-სა და ზ. ერისთავს, არ უკარგავს და ჩრდილში არ აყენებს ქვეყნისათვის მათ დამსახურებას.

ჯანსაღი ნააზრევია, როცა ხერკელაძეს საქართველოს ისტორიიდან მოჰყავს დიდი ქართველი მეფეებისა-

გან, და მათ გვერდში მდგომი დიდებულთა მხრიდან გამო-სულ სარდალთაგან გადახდილი ომები, მათი შინაარსი და მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ ისინი მეფენი ბაგრატიონები და მაღალი წრის წარმომადგენლები იყვნენ. მათ მიერ გადახდილ ომების შინაარსს და სიღიადეს ადარებს რიგითი აზნაურის გ. სააკაძის თაოსნობით გადახდილ ტაშისკარის, მარტყოფის ქსნის ომების შინაარსს, რაც სწორი პოზიციით დანახული რეალობაა და ქართველი ერისათვის მარადჟამს ერთობლივი თანატოლფასი ღირსებებით ბრწყინავს.

აქ მკითხველი ყოველთვის დაფიქრდება, რომ გ. სააკაძეს თავისი სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურება და ამაგი აქვს. ამასთანავე ბუნებრივად იბადება კითხვა, როცა ეს ასეა და ჭეშმარიტად სრული სიმართლეა, დღეს ისევ შემორჩენილი ოპონენტები რისთვისღა ირჯებიან? წიგნის ავტორის უმთავრესი მიზანია, გულგრილობა მოაცილოს გ. სააკაძის უსაფუძვლო, ოპოზიციურ ფსიქოლოგიას, რა გავ-ლენა მოდიოდა გ. სააკაძის სამტრო მხარიდან, მემატყანეზე, რა მიზეზებმაც განაპირობა მისთვის ასეთი ბედი, რატომ მოხდა ასე?

იმ ავბედით ხანაში, და მის სიღრმე, სირთულეებში, დატრიალებულ ტრაგედიებში, თავის გართმევას და თავ-ის ქვეყნის სამშვიდობოზე გაყვანის მოწადინე იყო „დიდი მოურავი“, ბევრიც გააკეთა, რაც ჩვენი ისტორიკოსებისათ-ვის და საზოგადოებისათვის ცნობილია. რაც ვერ გააკეთა და არ მიეცა ამის საშუალება, ამის მიზეზი თავისივე სამტრო მხარის წინააღმდეგობრივი პოზიცია იყო. წიგნის ავტორი დამაჯერებლად ცდილობს მკითხველს აუწყოს, გ. სააკაძის

ტრაგედიული ბედის განმსაზღვრელ მოვლენათა არსებობა. ჩვენ ნ. ხერკელაძის წიგნის „ცრემლში ნალესი ხმალი“ ძირი-თად მოვლენებს შევხებით. იგი არა მარტო კარგი მკვლევარი და ისტორიკოსია, არამედ კარგი ლიტერატორიც. წიგნი ის-ტორიულ-მეცნიერული რომანია. მან მაღალი ნიჭიერებითა და დიდი ენერგიით ქართულ მეცნიერებას შესძინა ახალი გამოკვლევა, ახალი მისეულ მხატვრულ ხერხებთან ერთად, რომელზედაც აღიზრდებიან ახალი თაობები, ახალი მკვლ-ევარები. როცა ასეთი საარაკო პიროვნების თავგადასავალს ეხება თავის ლიტერატურულ-ისტორიულ ნაწარმოებებში გამოჩენილი მხატვარი და პუბლიცისტი ნიკო ხერკელაძე, ვიტყვი გაბედვით, დიდად საამაყოა მხატვრისაგან ასეთი გულმხურვალე განცდებით გ. სააკაძეზე წიგნის დანერა და შინაარსობრივი გარკვევა იმ ურთულეს მოვლენებში.

მდგომარეობათა და ვითარებების განხილვის ახლე-ბური ანალიზი, ლოგიკური თხრობა, არცერთი შემთხვევი-თი ამოვარდნილი სიტყვა, აზრთა დამაჯერებლობა, მკითხ-ველისათვის დაფიქრებისა და მსჯელობის საშუალების მიცემა, უწყვეტი განცდა წიგნის ბოლომდის წაკითხვისა.

წიგნის ავტორს იმ ეპოქის მაჯისცემით, სიღრმითი ში-ნაარსის თვალსაჩინოებისათვის, მიზანშეწონილად ჩართული აქვს თანამედროვეობის უდიდესი პოეტის ვაჟა-ფშაველას შესანიშნავი ლექსები „გიორგი სააკაძეს“ წიგნი მაღალ პო-ლიგრაფიულ დონეზეა გამოცემული.

მისი წიგნის პირველი გამოცემა დიდი სიყვარულით სარგებლობს ხალხში. მე მას რამოდენიმეჯერ შევხვედრილ-ვარ სხვადასხვა ვითარებებში, გაცნობისთანავე მის უბრალ-

ოებაში შეიცნობა თავისი სამშობლოსადმი და საქმისადმი ერთგულება, იგი თავმდაბალია და უხმაუროდ ეწევა თავის შემოქმედებით ჭაპანს, რამდენადაც იგი უხმაუროა, სანაცვლოდ მისი ნამუშევრები და გამოფენები ხმაურობენ სხვადასხვა ქვეყნებში: ბულგარეთში, რუმინეთში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, იტალიაში, იაპონიაში, მისი ნამუშევრები დაცულია მოსკოვში ტრეტიაკოვის გალერეაში და გერმანიის კარლ-მაქს შტადის მუზეუმში.

როგორც ჩემთვის ცნობილია, მან სიღარბისლით განვლო დიდი და ტკივილიანი გზა, რაც მრავალთა ყურადღებისა და თანაგრძნობას იპყრობდა, ასე ხდება მის გარშემო დღესაც, მან წარუშლელი კვალი განვლო, ჩვენი ხალხის სულიერ ცხოვრებაში. არასოდეს შეუცოდავს, ერთი კაცური-კაცობის წოდების წინაშე, საქართველოა ბატონ ნიკო ხერკელაძის სიხარული, სიყვარული და აღმაფრენა. ესაა მისი მხატვრული ტილოებისა და ლიტერატურული ნაწარმოების ლაიტმოტივი.

### **კლიმენტი შელია**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი,

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

თბილისი 15. 02. 2010 წელი

## **რეცენზია**

### **ნიკო ხერკელაძის ნიშნი „ცრემლში ნალისი ხვალ“**

პროფესორ ნ. ხერკელაძის მიერ წარმოდგენილი ლიტერატურულ-ისტორიული ნაწარმოები მიძღვნილია საქართველოს ერთ-ერთი უმძიმესი და შავბნელი ხანის გამოჩენილი და საარაკო პიროვნების, გიორგი სააკაძის გმირული და ტრაგიზმით სავსე ცხოვრების შესახებ, რომლის შესაღარი თავგადასავალი თითქმის იშვიათია საქართველოსა და მსოფლიოს ისტორიაში. ამ ისტორიულ-პუბლიცისტურ ნაშრომში იშვიათი გამჭრიახობით და ოსტატობითაა ასახული და გადმოცემული საქართველოს ისტორიის იმ უმძიმესი პერიოდის მთელი მაჯისცემა. ზნეობრივი სურათი და ტრაგიკული მოვლენები როდესაც უცხო და მოძალადე იმპერიების, ჯერ თათარ-მონღოლთა, შემდეგ სპარსელებისა და თურქ-ოსმალოების აგრესიული და ამაოხრებელი შემოსევების შედეგად საქართველო დაიშალა სამ სამეფოდ და რამოდენიმე სამთავროდ, რომელიც გადაშენება-გაქრობის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. სამწუხაროდ, იმ ვითარებებში ვერც ქართველი საზოგადოებრიობა აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე, რადგან ერთიმეორის წინააღმდეგ ძმათა მკვლელ ომში ჩაება, ასეთ ავბედით მოვლენებში გამოჩნდა ერთი ქართველი (ნოსტელი) რიგითი აზნაური, გიორგი სააკაძე, რომელიც თავისი გამჭრიახობით, უმაღლესი ნიჭითა და საოცარი თვისებებით, აგრეთვე ლეგენდარული ფიზიკური მონაცემებით, უმაგალითო გმირად იქცა. იგი ბედკრულ საქართველოს მაშინ მოველინა, როდესაც ქვეყნის ყოფნა-არყოფნის ბედი სასწორზე იდგა.

სამწუხაროდ, საქართველოს იმ უმძიმეს ხანაში მმართველ წრეებში პირველობისათვის გაჩაღებულ დიდებულთა შორის ინტრიგის, შურისა და შუღლის ქსელი შაჰ-აბასისაგან დაიხლართა, თავისი კარიერისა, სიმდიდრისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის არაფერს ზოგავდა ზოგიერთი მოხელე დიდებული, რომელნიც ქვეყანას უფსკრულისა და გადაშენებისაკენ მიაქანებდა, თავიანთი ანგარების გასახორციელებლად.

ვერ ვიტყვით იმას, რომ საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების, ანარქიის, ძმათამკვლელი ომის მიზეზები მარტო გარეშე მტერი იყო. სამწუხაროდ, ეს ტრადიციად ექცათ თავიანთი უგუნური საქციელის გამო, საქართველოში გაბატონებულ მმართველ წრეებს, რომლებიც ნაცვლად ერთ მუშტად შეკვრისა, ყველა ცალ-ცალკე გათითოკაცებული ცდილობდა ხელისუფლების სათავეში ყოფილიყო; რის გამოც არავითარ აუგ საქმეებს არ ერიდებოდნენ.

სწორედ ამ ეპოქაში მოუხდა გ. სააკაძეს თავისი გონებით, პირადი მტრებისთვის შერიგების ხელი გაეწოდა იმის გამო, რომ ქართული ხასიათი არ დანანვერებულიყო და მტრების მოსაგერიებლად, მონოლითური სიმტკიცე გამოეჩინათ. სწორედ გ. სააკაძის ასეთი ტოლერანტული თვისებები და ქვეყნისათვის ღირსეული სამსახურისათვის, შვილის, პაატას სიცოცხლის ჩანაცვლება, შეწირვა გახდა საფუძველი. მის თანამედროვე მემატიანეთა თუ მოგზაურთა სამართლიანი, გულმოდგინე შეფასება, რომ არ გამორჩენიათ, არც ქრისტიანებსა და არც მაჰმადიანებს, ყველა ობიექტურად აღიარებდნენ და აფასებდნენ მის დიდ სარდლურ ნიჭსა და

თავის ქვეყნისათვის დამსახურებას. ასეთი ეპითეტები და დახასიათებები არცერთ მის თანამედროვე პირთა შესახებ, იმ დროის მემატიანეთაგან არ თქმულა.

ასეთები იყვნენ: დონ – კრისტოფორო დე კასტელი, იტალიელი მისიონერი, პატრიკ – კასტელი ესეც იტალიელი მისიონერი, პესიონელი ევროპელი მოგზაური, ისქანდერ-მუნში ირანელი მემატიანე, მუსტაფა ნაიმა თურქი მემატიანე, იბრაჰიმ ფეჩევი თურქი მემატიანე, არაქელ თავრიზელი სომეხი მემატიანე.

ქართველები – იოსებ თბილელი, პოეტი არჩილი, ფარსადან გორგიჯანიძე, ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი. აქვე ავლნიშნავ, დონ ქრისტოფორო დე კასტელი, რომელიც გ. სააკაძის თანამედროვე იყო და მისი პორტრეტი ნატურიდდან შესრულებული აქვს, როცა ისინი სტამბულში ერთმანეთს შეხვდნენ, მას თავისივე ხელით წარწერაც გაუკეთებია.

„დიდი მოურავი“ იყო ქართველთა ჯარის სარდალი, უბადლო და ძლევამოსილი ვაჟკაცი, რომელიც თავისი ძალით ყველას ჯობდა, იბრძოდა რა სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, მან იბერიის სამეფოში მრავალ დიდი წარმატებას მიაღწია, შემდეგ როდესაც ბედმა უმუხთლა, თურქეთის მფარველობაში ილტვა, ხოლო იქ თავისი დიდებისა და ძლიერების გამო შურის ნიადაგზე დაილუპა.“ მხატვარ კასტელს ეს გ. სააკაძის პორტრეტი თავის სხვა ნახატებთან ერთად ჰქონია მოთავსებული საერთო ალბომში.

კასტელს რაიმე უარყოფითი მოვლენა რომ სცოდნო-

და გ. სააკაძეზე, როგორც მის თანამედროვე პირზე, ასეთი შინაარსის წარწერას არ გააკეთებდაო - განმარტავს მკვლევარი ზაქარია ჭიჭინაძე.

ვერ ვიტყვით იმას, რომ გ. სააკაძეზე ცოტაა დაწერილი, მით უმეტეს ისეთი კორიფეებისაგან როგორებიც იყვნენ, ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ჭავჭავაძე, ვაჟა-ფშაველა, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, პლატონ იოსელიანი, ზაქარია ჭიჭინაძე, ივანე ჯავახიშვილი, ჯანსუღ ლვინჯილია, გივი ჯამბურია, ლევან სანიკიძე, როსტომ ნიორაძე. აღარას ვამბობ უფრო თანამედროვე ჩვენს სასიქადულო ისტორიკოსებზე, პოეტებზე თუ მწერალთ ნაშრომებზე.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგ-ზოგი ისევ გულგრილობის გარსშია გახვეული. საიდან მოდის ეს? როცა ცდილობენ მემატინეზე თავსმობხვეული ზეწოლით, რაღაც ბუნდოვანად მოსაზრებული მოვლენებით, ჩრდილი მიაყენონ გ. სააკაძის პიროვნებას, მით უმეტეს, როცა დღესდღეობით, ხომ უკვე ცნობილია, იმ დროის ოპოზიციური მხარის ხელწერაა ეს!

ვფიქრობ ღრმად უნდა დაფიქრდნენ ასეთი სკეპტიკოსები, მათს ასეთ ქმედებაში ხომ იკითხება, აქ ჩამოთვლილი ღირსეული საზოგადო მოღვაწეების მიერ გ. სააკაძეზე გამოთქმული აზრების უარყოფა, არ ეძლევათ ასეთებს ამის უფლება.

მხატვრისაგან დაწერილი, თან ასეთი ღრმა განხილვებით, გ. სააკაძის ეპოქის შესახებ მე სხვა არ მეგულება. ამ წიგნში ავტორისაგან წარმოდგენილი გ. სააკაძის ფსიქოლოგიური პორტრეტი ქართველი მკითხველისადმი მუდამ დამა-

ფიქრებელი და ანგარიშგასანევი იქნება, რაც დღევანდელი და მომავალი ქართული ცნობიერებისათვის ცოტას არ ნიშნავს.

ნ. ხერკელაძესაგან საყურადღებოდაა გადმოცემული გ. სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობები „ტაშისკარის ომის“ შემდეგ, რამაც განაპირობა დამოყვრებოდა გ. სააკაძეს, ამ საფუძვლებზე წარმოშობილი საპირისპირო პოზიცია თავადთა შორის, შეთქმულების მოწყობა, გ. სააკაძის განირვა პირადი მტრებისაგან, შემდეგ ქვეყნიდან გაძევება, ირანული გზის არჩევა, შაჰ-აბასის გეგმები, მარტყოფის მოვლენების აღწერა, სადაც ამ ომის თორმეტწლიანი სამზადისი აისბერგს მოგვაგონებსო, ამბობს ავტორი. ის რაც წყლის ზედაპირზე ჩანდა, შაჰისადმი ერთგულების ფორმად იკითხება, იმ მძიმე წლების მანძილზე შეკავებული რისხვითა და ტკივილით ფარულად ნამზადები და შესაფერის დრომდის ნაცარ-ნაყრილი. დამაფიქრებელია ძმები უნდილაძეების ხასიათების წინა პლანზე წამოწევა, როგორც გულგრილნი პირნი, ქართლ-კახეთის ბედისა. ალბათ სხვაგვარად არც ძალუძდათ, და აქვე ავტორს მართებულად მოჰყავს მარტინ ლუთერის სიტყვები“ – აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს“. ვისაც სხვაგვარად, ე.ი. თავის ქვეყანას როგორც ესაჭიროებოდა და ისე ძალუძდა, ეს კაცი იყო გ. სააკაძე. ამ წიგნის ავტორი სვამს ლოგიკურ კითხვას, მამ რისთვის ითმენდა გ. სააკაძე ამდენს იქ, ირანში, შაჰთან დიპლომატიურ ურთიერთობებში. აქ კიდევ თავის პირადი მტრებისაგან და რადგან ითმენდა, ცხადია, მიზანი ჰქონდა, და ამ დათმენის მიზეზსა და მიზანს, ირანში დარჩენილი თავისი პაატა რომ შეენიერებოდაო, ხომ საზღვრავდა ამას გ. სააკაძის გონება? საქმე ამაშია, რომ როგორც კი შეიცნო მან შაჰ-აბასის

მიზნები, გადანყვეტილებაც მიიღო, წინ აღსდგომოდა, რომ თავისი ქვეყანა გადაერჩინა. ეს კი პირდაპირი ლოგიკაა, რომ პაატა, ასეთი გადანყვეტილების მერე უკვე გამოტირებული ჰყავდა. გ. სააკაძეს გულის ერთ ნაწილში შვილი ჰყავდა, უკვე განწირული და გამოტირებული, გულის მეორე ნაწილში კი ბააკა ხერხეულიძე და მისი მსგავსი მრავალი ქართველი, რომელთაც, ერთად აღებულს, სამშობლო ერქვა. ამ შინაარსით თავისი მინა-წყალი საშველად უხმობდა და როცა გ. სააკაძემ სამშობლო არჩია შვილის სიცოცხლეს, მისგან სამშობლოს თანაგანცდის მოზიარენი იყვნენ მისი პირადი მტრები, ამიტომ გ. სააკაძისგან სამშობლოსათვის შვილის შეწირვა, მოძულე მხარის პატიებასაც ნიშნავდა. – განმარტავს ნ. ხერკელაძე.

დამაჯერებელი მოტივითაა მარაბდის მოვლენების განხილვაც, სადაც გ. სააკაძის საომარი გეგმა უარყო ნაწილთაგანთა ამბიციურმა პოზიციამ. მათ დაივიწყეს და ვერ განსაზღვრეს, რომ გ. სააკაძის იობის მსგავსი მოთმინებით და თადარიგით მოიგეს მარტყოფის ომი და რუსეთისაკენ ორიენტაცია აღებული თეიმურაზ I უკვე გაერთიანებულ ქართლ-კახეთის მეფედ დააბრუნეს. ამ გაერთიანების მისიამ 20 ათასიან ქართველ მეომარს მოუყარა თავი, რომელნიც მარაბდაში პირისპირ მზადყოფნაში დადგნენ შაჰ-აბასის 50 ათასიან არმიასთან. ვინ შექმნა ეს პირობა? განმარტავს წიგნის ავტორი. თვალსაჩინოება სახეზე იყო. მარტყოფის გამარჯვებით განმტკიცებულნი, თანაიმედად გ. სააკაძე ეგულებათ, ამ მოტივით მტერთან ომის გამართვას, დაბლა ვაკეზე ჩასვლით ეპირებიან, სარდლობას კი გ. სააკაძეს არ უთმობენ.

ქართველი საზოგადოების ცნობიერება იცნობს ქარჩოხი „ქსნის ომის“ მოვლენებს, აქვე უნდა აღინიშნოს ნ. ხერკელაძისაგან ხაზგასმა, რატომ გახდა საჭირო ანდუყ-აფარ-ამილახვარის ოჯახის ჯერ ასეთ სიმორეზე, თერგის ხეობაში, იზოლირება და მერე უკან დაბრუნება. განა ერთი ოჯახის გამოსხნისათვის საჭირო იყო ისახან-ყორჩიბაშისაგან 12 ათასი ირანელი მეომრის გამოყოფა? რომელნიც უვნებლად აივლიდნენ ზ. ერისთავის არაგვის ხეობას და ქსნის ხეობით დაბრუნდებოდნენ. რა ელოდათ მათ იქ? თუ არა გ. სააკაძისაგან წინასწარ შემუშავებული გეგმა, რომ რაც შეიძლება ბევრი ყიზილბაშთა რიგები მოესპოთ, განმარტავს წიგნის ავტორი. ჯანსაღი სიმართლეა, როცა ნ. ხერკელაძე აღნიშნავს, საქართველოში შემოსული 90 ათასიანი ყიზილბაშური ჯარების პატრონი შაჰ-აბასი, ოდესმე იფიქრებდა იმას, რომ საქართველოსთან ზავი დასჭირდებოდათ, მარტყოფის ომში 27 ათასი ირანელი განადგურდა, მარაბდაში 14 ათასი ირანელი, ქსნის ომში 12 ათასი ირანელი, გორის ციხის, ბირთვისის ციხის, განჯის ციხის აღებისას და სხვა პარტიზანული, თარეშულ ბრძოლებში მრავალი ირანელი განადგურდა, იმ ვითარებებში შაჰ-აბასის ჯარების განადგურების რიცხვმა 70 ათასს მიაღწია, შვილი პაატაც შეწირული ჰყავდა. ამ საფუძვლებზე გ. სააკაძე ყიზილბაშთა მთლიანად განადგურებაზე ხელს არ აიღებდა. ასეთმა მოვლენებმა შაჰ-აბასი საგონებელში ჩააგდო, მან ვერ აისრულა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობა, სამაგიეროდ მოძებნა გამოსავალი, ზავის პირობით ზოგ დიდებულთა ფსიქოლოგია მოეხიბლა, სადაც ქართლ-კახეთის მეფედ ისევ თეიმურაზ I-ს გამოაცხადებდა. შაჰ-აბასის ზა-

ვის პირობებმა ქართველების ორ ბანაკად გაყოფა გამოიწვია, თეიმურაზ I-ის მხარე ირანული ორიენტაციისა გახდა, მეორე გ. სააკაძის მხარე, ოსმალური ორიენტაციისა. ბაზალეთის ომი პროვოკაციული ომი იყო. რაც ირანის კარმა ქართველებს შორის ურთიერთ-დაპირისპირებით გამოიწვია. ბაზალეთის ომი გარდა სინანულისა, ქართველი ერისათვის სულის ასამაღლების მოვლენებითაცაა გაჯერებული, რამეთუ ამ ომში გ. სააკაძისაგან ამერ-იმერ საქართველოს გაერთიანების გეგმა იყო საფუძველი. რომელიც დავით IV-ე აღმაშენებლისაგან დატოვილია ანდერძად, რაც აღმატებულია და დიდი მასშტაბებისაა, რომელიც ბაზალეთში გ. სააკაძის მოპირისპირე მხარეს არ გააჩნდა და ამაზე არც ეფიქრობოდათ ვინც ამაზე ფიქრობდა, მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ. – ვკითხულობთ ნ. ხერკელაძის ნაშრომში.

ასეთ ვითარებებს აგვიწერს ერთ-ერთი ბრძენი მემკვიდრე ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც წერს: „საქართველოს დარბაისელი და დიდებულნი ერთმანეთისა მტერნი და ქიშპნი იყვნენ, არც ერთმანეთსა ასვენებდნენ და არცა ქვეყანასა და ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას ურუმი და ვერც არას სხვა მტერნი აწყენდათ რასმე, ამათი საქმე ნიადაგ, ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოიშლიან და არცა მოუშლიათ. საქართველოს იმ შავზნელ დროს შესანიშნავად აგვიწერენ მემკვიდრეები: ეგნატაშვილი ბერი და ფარსადან გორგიჯანიძე, აგრეთვე პოეტი დავით გურამიშვილი, რომელიც პოეტურ ფორმაზე ხატოვნად წერს თურქნი,

სპარსნი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ ლილვი, დიდო ქისტი – სრულად ქართლის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჰკრა თითო ქიშტი, მერმე შინათ აიშალნენ ძმამ მოუდო ძმათა ყისტი, თავის თავსა ხმალი იკრეს გულთა მოიხვედრეს ხიშტი.“

ვფიქრობ საჭირო და აუცილებელია მეტი და მეტი მონდომებით აისახოს და დაინეროს ისეთ თემატიკაზე, როგორზეც ჩვენი ავტორი ნ. ხერკელაძე წერს. რადგან XVII-XVIII საუკუნეების გამოძახილი ხშირად მეორდება, საქართველოს მტრები არასოდეს არ ელეოდა, ეს თემა ყოველ დროში აქტიურია, გარე მტერი ხომ ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს შინაურ მტრებთან საერთო ენის გამონახვას.

ამჟამად, სასიამოვნო და მისასალმებელია ნ. ხერკელაძის მიერ გ. სააკაძისადმი მიძღვნილი ნაწარმოების შექმნა, მისი გამოქვეყნება და გამოცემა. მიმაჩნია, რომ ნ. ხერკელაძის მიერ წარმოდგენილი ნაწარმოები ყოველმხრივ საინტერესო და მოსაწონია. იგი, როგორც ლიტერატურული მხარე ყოველმხრივ გამართულია, მასში, როგორც ზემოთაც ვთქვი, ბევრი ისტორიული ფაქტი და მოვლენაა გაანალიზებული, ერთობ საინტერესო კუთხით. მის სტროფებში და სიტყვებში კარგად გამოსჭვივის ავტორის სრულყოფილი და მყარი აზროვნება, მაღალ მხატვრული ლიტერატურული დონე, და რაც ყველაზე მთავარია, პროგრესული აზროვნება იმ დროის მოვლენების დამაჯერებელი შეფასებების შესახებ.

ამ წიგნში საინტერესოდ და შინაარსიანად არის ჩართული დიდი ქართველი პოეტის ვაჟა ეგრისელის შექმნილი ლექსები „დიდ მოურავზე“, ყურადსაღებია, ნ. ხერკელაძის

მიერ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოძიებული ხალხური ლექსები და გამოთქმები გიორგი სააკაძეზე, ეს მაშინ როცა იგი თვრამეტი-ცხრამეტი წლის ყოფილა.

ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს, რეკომენდაცია მივცე უშუამდგომლო ნ. ხერკელაძეს, გამოცემულ იქნას მისი ნაწარმოები „ცრემლში ნალესი ხმალი“ ანუ გიორგი სააკაძე.

### **გერონტი გასპიანი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,

პროფესორი

თბილისი, 17.04.2010 წელი

## **ქართლის და კახეთის სამეფოთა პოლიტიკური ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან XVI ს. მე-2-ე ნახევარში**

საუკუნეთა მანძილზე საქართველოს საზღვრებისაკენ, უმეტესად სამხრეთის მხრიდან, სხვადასხვა მტრული ტომები მოემართებოდნენ ომით, გმინვით, წვითა და აოხრებით.

ქართველებს ტანთგაუხდელად ეცვათ ჯაჭვის პერანგები, როგორც სხვა საუკუნეები, განსაკუთრებით მძიმე იყო XVI-XVII საუკუნე. საქართველოსაკენ ირანიდან და ოსმალეთიდან მოიწვედა დაგეშილი, შეუბრალებელი ჯარები, მუხას მუმლის ნისლი ეხვეოდა, ჟამი ბინდით იყო მოცული, ქართლ-კახეთში ყიზილბაშთაგან და ოსმალთაგან სხივი ქრებოდა მზისა.

მზრუნველი ხელით ნაშენ-ნასათუთარი ტაძრების ჩუქურ-თმებში ჩასვენებული სული გარინდებულიყო.

ქართველ გმირთა შეუპოვრობით ხმალი ბრწყინავდა, მაგრამ მამული მაინც ვერ გადაურჩა მრავალსა ქირსა.

ცეცხლის კვერი ბრუნავდა საქართველოს მიწაზე, აღარ ჭიკჭიკებდა თეთრგულა მერცხალთა გუნდი, ტოროლები ცის სიღრმეში მიილტვოდნენ, რომ უფლისათვის ქართველთა ვარამი შეეჩივლათ.

შორს, ირანისაკენ მიმავალი ბედკრულთა რიგები, ხახამომშრალნი, ზეცას შეჰკვნესოდნენ; გადატყაული, ნასისხლარი მარჯვენით მაინც პირჯვარს ისახავდნენ.



დღეს კი დროს წაუშლია მათი კვალი, მაგრამ მათი ვარამის მომსწრე ისევ გლოვობს გონიოს გალავანი.

ირანულ დაშაშრულ გზას წყალი სწყუროდა, ცალკე ხორშაკი დასწიოდა და ლტოლვილთაგან ნადენი ცრემლით ინამებოდა მინა. ფერეიდანში ჩასულ ქართველ სახეჩამოხ-ოკილ დედათა ცრემლებით გუბეები დგებოდა აკვნებთან.

უთვალავ შავ დღეებად მოიჩქაროდნენ საქართველოს გულისაკენ ნასიცხარი არაბები და მონღოლები, რომელთაგანაც ილენებოდა ქართველ ბავშვებით მოფენილი სისხლიანი კალონი.

სამყაროს გაცნობიერების დღიდან ფიქრებით ვეხვევით ჩვენს მდუმარე ტაძარ-ციხეთა ნანგრევებს, მაგრამ წარსულით მარად კაემანში ვართ ჩარჩენილნი.

საქართველოში ნაომარ-წამებულ მინაზე მოედინებოდა სისხლიანი წყალი და ჩვენი ხალხის ტრაგედიითა და ვარამით დამგლოვიარებულ ცასაც ელვით ებზარებოდა ლურჯი გული.

ხშირად სასოებაჩამქრალ ჩვენს ხალხს ჩუმად უტირია თავისი დამბადებელი დედის საფლავზე. ასე დაღვრილი ცრემლებია დღეს ტბებად დარჩენილი.


სხვადასხვა ქვეყნების ისტორიული წარსული ხშირად ემსგავსება ერთმანეთს; ამ მხრივ არც საქართველოს ისტორიული წარსულია გამონაკლისი. ამის დასტურად მოვიყვანთ მეთექვსმეტე საუკუნის მოვლენებს, რომელიც თითქმის გაგრძელებაა მეჩვიდმეტე საუკუნის მოვლენებისა, როგორც

შიდა პოლიტიკური მდგომარეობისა, ასევე გარე სამეზობლო ქვეყნებთან, სამოკავშირეო თუ სამტრო მდგომარეობის ასახვისა.

ცივილბაშური თუ ოსმალური გარემოცვა გავლენას ახდენდა საქართველოში არსებულ, პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობაზე. თვითმყოფადობის შენარჩუნება უძნელდებოდა აღმოსავლეთ საქართველოსაც და დასავლეთ საქართველოსაც, რომელნიც ხშირად ასეთ მდგომარეობაში მყოფნი, ურთიერთ-თანადგომასაც ველარ ახერხებდნენ; ან თუ ახერხებდნენ მას მხოლოდ ეპიზოდური ხასიათები ჰქონდა. მტრებთან დაპირისპირება და მათზე გამარჯვების მოპოვების აუცილებლობა საქართველოში შიდა რესურსების გაერთიანებასა და სიმტკიცეს ითხოვდა. მაჰმადიანური სამყარო ხშირად ახერხებდა ქართულ ფსიქო-ლოგიაში თავის საიმედო დასაყრდენის მოპოვებას, რაც პირდაპირ ლალატის საფუძველი ხდებოდა. რადგან საქართველოს მეზობელი ორი დიდი ქვეყანა, ირანი და ოსმალეთი, ერთი აღმოსავლეთ და მეორე დასავლეთ საქართველოს ჩემულობდა და ხანდისხან თითოეული – ცალცალკე მთლიან საქართველოს, ამიტომ, ბუნებრივია, ჩვენი ქვეყნის მაშინდელ საზოგადოებას ან საზოგადოების ნაწილს უხდებოდა ერთ ქვეყანასთან დაპირისპირება და მეორე ქვეყანასთან კი სამოკავშირეო წესების აღსრულება. ასეთ მოვლენებს ჩვენ ვნახავთ მეთექვსმეტე საუკუნეში, როცა მოღვაწეობდნენ სიმონ I „დიდი“, მისი ძმა დაუდ-ხანი, ალექსანდრე II, კახთა მეფე, მისი ძმა იესე „ისა-ხანი“ ბარძიმ ამილახორი, ვახტანგ-მუხრან-ბატონი და ელიოზ ერისთავი სამცხის მთავრები მანუჩარ-(მუსტაფა)-ათაბეგი და ირანში მოღვაწე

ირანელი ქართველები. ჩვენი მიზანია, სწორი ორიენტაცია მივიღოთ გ. სააკაძის ეპოქისა, რაც პირდაპირ გაგრძელებაა მეფე სიმონ I დიდის სამამულიშვილო გზისა, როგორც საომარი საბრძოლო სტრატეგიისა, ისე ცხოვრებისეული ყოფის ავი ბედისწერისა. ჩვენ, ამ შემთხვევაში, კახეთის მოვლენების ასახვით დავინწყებთ და შევეცდებით ობიექტური სიჯანსაღით წარმოვაჩინოთ ის დრო.

კახეთის მეფეს, ლევანს, გარდაცვალების (1576წ.) შემდეგ ხუთი ვაჟი დარჩა. თინათინისგან – იესე და ალექსანდრე, ლეკი შამხალის ქალისგან კი დავითი, ქაიხოსრო და ელიმირზა. ტახტი ალექსანდრეს ეკუთვნოდა, მაგრამ მამამისი, მეფე ლევანი, მას არა სანდო თვალთ უყურებდა. ეს ვითარება იცოდა ლეკის ასულისაგან გაჩენილმა ელიმირზამ და ძმების დახმარებით გადაწყვიტა კახეთის ტახტის დაკავება, რაც მიუღებელი შეიქნა ალექსანდრესათვის. ის, თავის გარემოცვასთან ერთად, სწრაფად გაეშურა ბოძეს ტაძარში და წმინდა ნინოს საფლავთან კახეთის მეფედ ეკურთხა. როგორც კი ეს ამბავი ელიმირზამ და მისმა ძმებმა შეიტყვეს, თორღას ციხეში გამაგრდნენ; თავიანთი მომხრეების დასტურით, დედის სამშობლოდან ლეკეთიდან ჯარი გადმოიყვანეს საომარი თადარიგისათვის. კახეთის სამეფოს მოსახლეობა ორად გაიყო, ერთი ნაწილი ალექსანდრეს ემხრობოდა, მეორე ნაწილი ელიმირზას. ალექსანდრეს მომხრეთა რიგებში იყვნენ ქართლის გავლენიანი დიდებულები, ბარძიმ ამილახორი, ელიოზ ერისთავი და ვახტანგ-მუხრან-ბატონი. მათი აზრის გამზიარებელი იყო სიმონ მეფის ძმაც, დაუდ-ხანი. მისი მიზანიც გასაგებია, იგიც ხომ ძმას, სიმონს, ეცილებოდა ქართლის ტახტის დაკავებაში.



კახეთის მეფე ალექსანდრე II

ასეთი ვითარებები ერთგვარი წინაპირობაა ბაზალეთის ომისა. თანამოძმეთა შეტაკებაში ალექსანდრეს მომხრეებმა გაიმარჯვეს. ელიმირზა და თავისი ძმები ბრძოლაში დაიღუპნენ. მოწინააღმდეგეთა განადგურებით უპირატესობა-მოპოვებულმა ალექსანდრემ კახეთის ტახტი დაიკავა (1574-1605 წწ). იმ დროს სიმონ მეფე ირანში, ალამუთის ციხეში სამშობლოზე დარდით დნებოდა. მისი მეუღლე ნესტან-დარეჯანი, თავის მცირეწლოვან შვილთან, გიორგისთან ერთად კავთისხევეში იმყოფებოდა. ძმებდახოცილს, ქმარდატყვევებულს, გამკითხავიც აღარავინ ჰყავდა. ეს ვითარება ავად გამოიყენეს ალექსანდრეს მომხრეებმა, ბარძიმ ამილახორის თაოსნობით. კავთისხევეში მყოფ დედოფალს ღამით თავს დაესხნენ, აიკლეს, გაძარცვეს, რაც კი წასაღები იყო წაიღეს და დიდ სირცხვილშიც ჩაიგდეს თავი. მათ ენაღვლებოდათ სიმონ I-ის ბედი, ან ქართლისა და მისი მოსახლეობისა?! სატანისაგან გადაბირებულის გარდა ვინ გაბედავდა მიუსაფარ დედოფალზე თავდასხმას, თან ქალზე. ასეთი საქმის მომხდენი ეს დიდებულები, ალექსანდრეს, როგორც მეფის, დაუკითხავად მოახდენდნენ ამ ვერაგ საქმეს, მით უმეტეს, როცა დაუდ-ხანიც მათთანაა?! მათ არ უნდა განესაზღვრათ, სიმონ მეფე ალამუთის ციხეში დამდურებული გმინავს. აქ მყოფი ძმა დაუდ-ხანი მისი ცოლ-შვილისთვის მფარველობის მაგიერ, ავის წამქეზებელია, ასეთი კაცი სამშობლოს დაინდობდა? რაში ენაღვლებოდათ სხვა სამეფო ან სხვა სამეფოს დედოფლის სვე-გამწარებული ყოფა. თითქოს ქართლი საქართველოს ნაწილი არ ყოფილიყოს. მაშინ იქ შადიმანი ხომ არ იყო. მაგრამ, როგორც ჩანს, შადიმანსაც ჰყოლია წინამორბედები ამ დიდებულთა სახით.

იკვეთება ისეთი აზრი, რომ მეფე ალექსანდრეს სიმონ მეფე სძულდა, რომელიც ერთიანი სამშობლოს დამცველი იყო. ამ მხრივ, მათი ურთიერთ სანინააღმდეგო პოზიციები დაპირისპირების წინა პირობებს ქმნიდნენ. რადგან მათი საზრუნავი კრედო სხვადასხვა იყო, ამიტომ პოზიციებიც განსხვავებული ჰქონდათ; ალექსანდრეს მხოლოდ კახეთის სამეფოს ბედი ედარდებოდა, სიმონ I-ს კი მთლიანი საქართველოს მომავალი აწუხებდა. როცა სიმონ მეფე ყიზილბაშებს ებრძოდა, იმ დროს ალექსანდრე მათ მოკავშირედ აცხადებდა და თავს.

როდესაც სიმონ მეფე 1569 წელს, ფარცხისთან, ყიზილბაშებთან ომში, ავი ბედისწერისაგან, ღალატისანი გზით, ტყვედ ჩავარდება, და ირანის გზას გაუყენებენ ცხრა წლიანი ტყვეობის შემდეგ, მაშინდელი ირანის შაჰის, შაჰ-ისმაილის ინტერესებიდან გამომდინარე, შემდეგ ხუდაბენდეს ინტერესებიდან გამომდინარეც, რომ აღმოსავლეთ საქართველო ოსმალეთს დაუპირისპირონ, სიმონ I-ს ციხიდან გამოიყვანენ, დიდ პატივშიც ამყოფებენ, ფულადი სახსრებით უზრუნველყოფილს საქართველოსაკენ გამოუშვებენ. მაშინ იმ ეტაპზე, ალექსანდრე, რომელიც ირანის მოკავშირე იყო, განუდგება მათ და სიმონ მეფის სანინააღმდეგოდ ოსმალეთის მოკავშირე გახდება.

ალექსანდრე მეფის პოზიცია გასაგებია, ოღონდ მან თავისი კერძო კახეთის სამეფო გადაარჩინოს, და თან მეფობა შეინარჩუნოს. მის გვერდით ხომ არის დაუდ-ხანიც, ისიც ხომ ბაგრატიონია, თან ლუარსაბ I-ის შვილია. თვითონაც ამოუდგება მხარში დაუდ-ხანს და ქართლში მეფო-

ბის საქმეში მიეხმარება. ამ დაძმობილებულ დიდებულებს სიმონ მეფე რალას დააკლებს, რადგან ქართლი იმ დროს დასუსტებული ჩანს. სიმონ მეფის მიზანი იყო ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე მტერი დაემარცხებინა, ეს კი ქვეყანას ამოსუნთქვის საშუალებას მისცემდა.

ის მდგომარეობანი ცხადად გვიჩვენებს სააკაძის დროის მოვლენების მსგავსებას. როცა სააკაძემ სიღრმით დაინახა, საქართველოსთვის შაჰ-აბას- I –ის დამლუპველი გეგმები, განუდგა ირანს და კონსპირაციულად მოამზადა მარტყოფის ომი, სადაც ირანული ჯარები დაამარცხა. შემდეგ თეიმურაზ I, სააკაძესთან ერთად, შაჰ-აბასის ჯარების წინააღმდეგ იბრძვის მარაბდის ომში. იმ ხანებში განვითარებული და ჩვენთვის ცნობილი მოვლენებიდან საქართველოს მდგომარეობა ითხოვდა მოკავშირის მოძიებას, მოკავშირედ კი მეზობელი ოსმალეთი მიიჩნიეს, და სააკაძემაც დახმარებისთვის მიმართა ოსმალეთს. ასეთმა ვითარებამ და უფრო სააკაძის იდეამ, რომ მას აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ეწადა, ქართლ-კახეთში თეიმურაზ I-ის მეფობის პოზიცია კითხვის ქვეშ დააყენა. ამ საშიშროებამ თეიმურაზ I ისევ ირანის მოკავშირეობის მოსურნე გახადა. უფრო ადრე, 1618 წელს, შაჰ-აბასისაგან უკმაყოფილო თეიმურაზ I, რომელმაც ოსმალეთთან მოკავშირეობა ამჯობინა, ირანის წინააღმდეგ იბრძოდა.

\*\*\*

1578 წელს, მეფე სიმონ I ირანიდან საქართველოში დაბრუნდა. ქართველ მოსახლეობას დიდი იმედი დაუბრუნდა, სიხარულმა მოიცვა მთელი ერი და ბერი. მეფის საზრუნავ ქვეყნის საკეთილდღეო გეგმებს, ისე როგორც შემდეგ გ. სააკაძის გეგმებს, დიდებულთა ნაწილი ხელს უშლიდა. აქაც ხაზს ვუსვამთ, მხოლოდ ნაწილი თავადებისა იყო წინააღმდეგი სიმონ მეფის იდეებისა, მათი დიდი ნაწილი მის გვერდით იდგა. მეფის პირადი მტრობა ვინც გამოამჟღავნა, ის სამშობლოს მოღალატეც აღმოჩნდა. სიმონის დაბრუნებისთანავე მისი მტრები გაუჩინარდნენ. ესენი იყვნენ: ბარდიმ ამილახორი, ელიოზ ერისთავი და მათი წამქეზებელი დაუდ-ხანი. გავიხსენოთ, სიმონ მეფის მეუღლეს თავს, რომ დაესხნენ კავთისხევში ღამით და გაძარცვეს. შემდეგ საქართველოსთან არა მოკავშირე ოსმალეთის დიდ ვეზირს – ლალა-ფაშას რომ ეახლნენ და მის მოკავშირედ გამოაცხადეს თავი. შემდეგ ოსმალეთთან მოკავშირეობა მიღებულნი, ეს სიმონ მეფის მტრები, უკან დაბრუნდნენ და თავიანთ თანამოაზრე ვახტანგ-მუხრან-ბატონთან შეაფარეს თავი, რომელიც ლალა-ფაშას ყურმოჭრილი მორჩილი იყო. ვახტანგის თავგამოდება თავისი თანამზრახველებისადმი სიმონმა ერთგული ხალხისაგან შეიტყო, იგი შეიპყრო და კეხვის ციხეში ჩასვა. ვახტანგის მფარველობიდან გაქცეულმა ბარდიმ ამილახვარმა იფიქრა, რახან სიმონ მეფემ სიკვდილით არ დასაჯა მათი შემფარებელი ვახტანგი, როგორც სამეფო საქმეების მოწინააღმდეგე, სულთანის მოკავშირე და აქედან გამომდინარე, სიმონ მეფის მოღალატეც, მას მხოლოდ ციხეში ჩასმა ამყოფინა, გადაწყვიტა მუხლებზე დაჩოქილი ხლე-

ბოდა სიმონს, პატიების სათხოვნელად. ამილახვარის აზრის გამზიარებელი აღმოჩნდა ელიოზ ერისთავიც. მათ კავთისხევიდან წაღებული ნაძარცვი წინ წაიმძღვარეს და მეფეს ეახლნენ. დავაკვირდეთ სიმონ მეფის მეუღლის, ნესტან-დარეჯანის მაღალ ზნეობას. იგი მეუღლე მეფის წინაშე წარსდგა, რათა მძიმე სასჯელით არ დაესაჯა ისინი. მოწინააღმდეგე მხარისაგან შეურაცხყოფილმა მეფის მეუღლემ ისევ პირადი მტრების შეწყალება სთხოვა, ეს გაითვალისწინა სიმონ მეფემ. მეუღლის დიდსულოვნებას პატივი მიაგო. ამით ქართველი მოსახლეობის თვალშიც დიდსულოვანი ბუნება გამოხატა. როგორც მეფეს, მას ხომ შეეძლო გამოეყენებინა თავისი აღმატებული პოზიცია და დასასჯელნი მართლა დაესაჯა, თავიანთი უღირსი საქციელის გამო.

პარალელ მოვლენად გავიხსენოთ 1615 წელი, როცა გ. სააკაძე დაბრუნდა ქართლში. ეს რომ შეიტყვეს ქაიხოსრო ჯავახიშვილმა და ფარსადან ციციშვილმა, იმერეთისაკენ გაქცევა სცადეს, სააკაძემ ისინი შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა. დიდსულოვანი ბუნება თვითონაც არ აკლდა სააკაძეს, მაგრამ სიმონ მეფის და მისი მეუღლის, ნესტან-დარეჯანის საქციელსაც უნდა მოეხდინა მასზე გავლენა, როგორც ქვეყნის ინტერესების დაცვისათვის სამაგალითო ნაბიჯს.

სიმონ მეფე დიდბუნებოვანი, მაღალი ღირსებებით სავსე პიროვნება იყო. სრულიად საკმარისი გახდა მეუღლის შუამდგომლობა, რომ მას პირადი და იგივე საქვეყნო იდეების მტრები შეენწყალებინა. სიმონ მეფის მოქმედების მსგავსია შემდგომში სააკაძის საქციელი, როცა იგი

1620 წელს სასამართლოს აწყობს თავისი სამტრო მხარის შესარიგებლად. აბა, გავსინჯოთ და ვთქვათ, რომელიმე დიდებულს სხვა დიდებულისათვის ისეთი შეურაცხყოფა რომ მიეყენებინა, როგორიც მეფის ოჯახს მიაყენეს, აპატიებდნენ ან შეიწყნარებდნენ ერთმანეთს? იმ დროის და შემდგომი დროის მრავალი მაგალითი ვიცით ჩვენი ისტორიიდან, არამართებული საქციელის გამო როგორ დაუსჯია ერთ მხარეს მეორე მხარე, სიკვდილით ან სახლ-კარის გადანგით. ასეთი ვითარებები იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც. სიმონ მეფემ ამ სამ დიდებულს მამულების ნაწილი ჩამოართვა და გაუშვა. მეფემ ეს ჩამორთმეული მამულის ნაწილები სვეტიცხოველის ტაძარს გადასცა, მეორე ნაწილი სამეფო ხაზინაში შეინახა, ღირსეული ადამიანების დასასაჩუქრებლად.

სიმონ მეფისაგან შეწყნარებულ დიდებულთა გვერდით, ცხადია, შეწყნარებულნი იქნებოდნენ მათი იდეოლოგებიც, ალექსანდრე მეფე და დაუდ-ხანიც.

ახლა შემდეგი მოვლენა განვიხილოთ, თუ რაზე ფიქრობენ და მოჩურჩულებენ სიმონ მეფისაგან შეწყნარებული ეს დიდებულები.

1678 წელს სიმონ მეფე ქართლში დაბრუნდა და მთელი ენერგიით შეუდგა ოსმალთა განდევნას ქართლის ციხეებიდან, იმ ხანებში მისი დაბრუნებიდან და თავის სამტრო მხარის შეწყნარებიდან წელიწადზე მეტი იყო გასული, მაგრამ შეწყნარებულნი არ დაწყნარებულან. მათ შეიტყვეს სოფელ დილომში სიმონ მეფის ყოფნა თავის ოჯახთან ერთად, რომელსაც არც ჯარი ახლდა თან და თვითონაც უიარალოდ

ყოფილა. ისმება კითხვა: რა გზებით შეიტყვეს სიმონ მეფის ასეთი მდგომარეობა, თუ არა მოთვალთვალის საშუალებით? სწორედ ამაშია საქმე, მეფის უჯაროდ და უიარალოდ ყოფნა მის ხელში ჩაგდების ადვილ საშუალებას იძლეოდა. სამტრო მხარემ სასწრაფოდ თადარიგი დაიჭირა, სიჩქარით იარეს, ღამით მიადგნენ დილომს და თავს დაესხნენ სიმონ მეფის ოჯახს. უიარალო მეფემ, პერანგის ამარა, ძლივს გაასწრო განსაცდელს. ეჭვსგარეშეა სიმონ მეფის სამტრო მხარისაგან რომ იყო შემზადებული შეთქმულება.

ახლა გავიხსენოთ 1612 წელი, სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი წავკისური შეთქმულება. ეს მოვლენები არა ჰგავს ერთმანეთს? სააკაძემაც პერანგის ამარა, უბელო ცხენით ძლივს გაასწრო სიკვდილს და მეფე სიმონმაც დილომში ძლივს გაასწრო განსაცდელს. რა ჰქონდათ მეფის სამტრო მხარეს გუმანში, როცა მალულად, თან ღამით, თავს დაესხნენ? სიმონ მეფეს იარაღი თან რომ ჰქონოდა, იგი აუცილებლად წინააღმდეგობას გაუწევდა თავდამსხმელებს; ასეთ შემთხვევაში ისინი ბევრიც იქნებოდნენ. შესაძლოა, მეფისაგან წინააღმდეგობა იმ მოვლენებში მისთვის საბედისწეროც გამხდარიყო, რადგან მეფეს არც იარაღი ჰქონდა და არც ჯარი ახლდა თან. ამ მდგომარეობამ განაპირობა, გასხლტომოდა განსაცდელს. გადაჭრით ვერ ვიტყვით იმას, რომ თავდამსხმელებს სიმონ მეფის მოკვლა ეწადათ, თუმცა, მეფე ამისაგან დაზღვეულიც არ იყო. მაგრამ მის სამტრო მხარეს სიმონ მეფის დატყვევება აუცილებლად ენდომებოდა. ისინი დატყვევებულ სიმონ მეფეს ოსმალეთს გაგზავნიდნენ სულთანის წინაშე თავიანთი მათდამი ერთგულების დასამტკიცებლად. ამ აზრის თქმის საშუალებას გვაძლევს ის, რომ

როცა სიმონ მეფე ირანიდან ქართლში დაბრუნდა და შეუდგა ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლას, ამ დროს დაუდ-ხანი და ალექსანდრე ოსმალეთის მოკავშირენი გახდნენ. მათი მიზანი სიმონ მეფის დატყვევება და ოსმალეთს გაგზავნა, ოსმალეთის მოკავშირეობა და ქვეშევრდომობის ერთგულების დასტური იქნებოდა. სიმონ მეფის სამტრო მხარე ასეთი მიზნით ორ საქმეს გააკეთებდა, -ოსმალეთში სულთანის გულს მოიგებდნენ და სიმონ მეფის გარეშე დარჩენილ ქართლში ოპონენტები დაუდ-ხანს ქვემო და ცენტრალურ ქართლში სრულუფლებიან მეფედ გამოაცხადებდნენ.

ალექსანდრე მეფემ, დაუდ-ხანმა და მათ თანამზრახველებმა არაფრად ჩააგდეს სიმონ მეფის და მისი მეუღლის ნესტან-დარეჯანისაგან დიდსულოვანი შეწყალება და ხელმეორედ მოაწყვეს შეთქმულება. ამჯერად მათ მეფის მეუღლე შეიპყრეს, ისევ შეურაცხყვეს, სანმერთული გახადეს, შუბის ტარზე მიამაგრეს, დროშასავით აღმართეს და უკან გაბრუნდნენ. ლოჭინის მიდამოებში გაჩერდნენ და მოვლენების განვითარებას დაელოდნენ. გაცეცხლებულმა სიმონმა სასწრაფოდ ჯარი შემოიკრიბა, წერილი მისწერა დაუდ-ხანს და ალექსანდრეს: „მე თქვენებრ ღამე მძინარეთ არ დაგესხმით თავს, მოვდივარ ბრძოლად და შურისგებით, ხოლო თქვენ დამხვდით, უკეთუ ხართ კაცნი“. სიმონ მეფე ქარიშხალივით დაეცა ლოჭინთან მდგარ დაუდ-ხანისა და ალექსანდრეს თანამზრახველ ჯარს. ისინი იძლივნენ, დამარცხდნენ და კახეთისაკენ მიაშურეს. სიმონ მეფემ შეიპყრო მათი თანამოაზრე დიდებულები, წინ წაიმძღვარეს, მცხეთაში შებორკილნი ჩაიყვანეს და სვეტიცხოვლის ტაძარში სიმონ მეფესთან ერთგულება-თანადგომის ფიცი დაადებინეს,

რათა შემდგომში ხელი აეღოთ ვერაგი შეთქმულებისაგან. და ეს ფიც-დადებული, „დიაცთან მორკინალი ვაჟკაცები“, ისევ კახეთისაკენ გააბრუნეს.

ალბათ, იმ ხანებში იქნებოდა ნათქვამი „ხემ დაიჩივლა, ცული რას დამაკლებდა, შიგ ჩემივე გვარისა რომ არა ეჩაროსო“.

როგორი სიძულვილი უნდა გასჩენოდათ სიმონ მეფის მიმართ დიდებულთა ნაწილს, რომელთაც წააქეზეს ყორღანაშვილი, ყიზილბაშებისთვის ემცნო „აი ეგ არის მეფე სიმონი“. შემდეგ ირანში წაყვანილი ალამუთის ციხეში იტანჯებოდა, აქ თავიანთ მინა-წყალზე მისი პირადი მტრები, უმეფოდ დარჩენილ მის ოჯახსა და დედოფალს თავს ესხმიან, თავსაც ირცხვენენ და ქვეყანასაც არცხვენენ. შემდეგ ეს სამტრო ჯგუფი, ირანიდან დაბრუნებულ სიმონ მეფეზე ხელმეორედ მოაწყობენ თავდასხმას. ვინ აქეზებდა მათ, ვისთან თათბირობდნენ და მოჩურჩულებდნენ ისინი, თუ არა დაუდ-ხანთან და ალექსანდრე II-სთან. მოძულე მხარისაგან განდევნილ გ. სააკაძეს, როცა ირანს შეაფარა თავი, აუცილებლად თავის მსგავსი სიმონ მეფის მდგომარეობა გაახსენდებოდა, ვისაც თვითონაც კარგად იცნობდა, თუ თვითონ ვერ იყო მომსწრე სიმონ მეფის ყველა ავი თუ კარგი ამბისა, მას დამატებით თავისი მამის სიაუშ სააკაძისაგან ექნებოდა მოსმენილი, რომელიც სიმონ მეფის თანამებრძოლი იყო. სიმონ მეფის მინიერი ცხოვრება სააკაძისათვის ირანში გაძევების მიზეზის არსის დანახვაში ნათელს მოჰფენდა და ამ ვარამის დათმენა, დაწყნარების საქმეშიც სამაგალითოდ ხელს შეუწყობდა. სააკაძე იფიქრებდა, როცა მეფეზე და მერე ასეთ,

ქვეყნისათვის თავგამწირავ მეფეზე, მის ოჯახზე ამდენი გაუბედიათ დიდებულთა ნაწილს, სხვისა გასაკვირი რაღა უნდა იყოს.

ალამუთი - „ალაჰ-ამუთ“ – ირანულად არწივის ბუდეს ნიშნავს. გ. სააკაძე, სიმონ მეფის მსგავსად, ირანის საპყრობილეში ხომ არ იყო დატყვევებული, მართალია, შაჰ-აბასს სხვა ქვეყნების დაპყრობაში ეხმარებოდა, მოთვალთვალე და მოყურადე სულ ჩასაფრებული ჰყავდა, მაგრამ მაინც თავისუფალი კაცი იყო. სიმონ მეფის მდგომარეობა საქართველოში და შემდეგ ირანში ტყვედ ყოფნა, სააკაძისთვის დამაფიქრებელი გახდებოდა. მასაც ძალები მოეკრიბა და სამშობლოში დაბრუნებაზე ეფიქრა, მით უმეტეს, მაშინ, როცა ძირის-ძირობამდის შეიტყო შაჰ-აბასის ავი ზრახვანი საქართველოს მიმართ.

\*\*\*

ირანის სამტრო იდეოლოგია საქართველოსადმი საუკუნეების მანძილზე არსებობდა. ირანულმა პოლიტიკამ ჯერ კიდევ შაჰ-თამაზის დროს დაუდ-ხანი თავის ძმას სიმონ I-ს დაუპირისპირა. იმავე ხანებში ალექსანდრე II-ის და ელიმ-ირზას დაპირისპირება ისევ ირანიდან მოდიოდა. ქართლის ცხოვრებაში აღნიშნულია, თავის თანამოძმეებზე გამარჯვებულმა ალექსანდრე II-მ ირანის შაჰს, შაჰ-თამაზს, ერთგულება აღუთქვა. ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ კახეთის სამეფოში ურთიერთდაპირისპირების მსურველი შაჰი იყო, და ალექსანდრე II-ის გამარჯვებაც, კახეთის სამეფო ტახტის ხელში ჩაგდების მიზნით, მის ინტერესებში შედიოდა. ბარძიმ ამილახორის და ელიოზ ერისთავის შეთქმულება, სიმონ მეფის მეუღლეზე, ნესტან-დარეჯანზე თავდასხმის შესახებ, ისევ ირანიდან მოდიოდა. რამეთუ, რადგან სიმონ I უკვე დატყვევებული, ირანშია, მის მაგივრად, ქართლის მეფედ შაჰისაგან დაუდხანი იყო გამოცხადებული. დედოფალ ნესტან-დარეჯანს გავლენა რომ არ მოეხდინა ქართლის მოსახლეობაზე და თავის უფლებამოსილების გაძლიერებისათვის და სიმონ I-ის მეფის იმიჯის ამაღლებისათვის, როგორც ეროვნული ინტერესების დამცველისა, ამიტომ დაუდ-ხანის ნაქეზებით, ამ დიდებულებმა სცადეს ნესტან-დარეჯანის შეურაცხყოფა, დათრგუნვა, გაძარცვა და ბოლოს მათი მიზანი იქნებოდა ქართლიდან დედოფლის გაძევება. შემდეგ შაჰ-ისმაილის იდეით და ცოტა მოგვიანებით, ხუდაბენდეს ინიციატივით, ქართლის სამეფო, სიმონ I-ის იმედით, ოსმალეთს დაუპირისპირეს. იგივე პოლიტიკას ატარებს შაჰ-აბას I-იც, როცა თავისთან აღზრდილ კონსტანტინეს თავის მამას,



კახეთის მეფეს ალექსანდრე II-ს და თავის ძმას გიორგის დაუპირისპირებს, რაც მალე მსხვერპლით დამთავრდება და კონსტანტინე კახეთის ტახტს დაიკავებს. შაჰ-აბასს ბაგრატი-მირზა და ხოსრო-მირზა ლუარსაბ II-ის სანინააღმდეგოდ ჰყავდა ირანში. მას, ამ მხრივ, უკეთესი გზა გამოუჩნახეს. ქართლის ზოგიერთი დიდებულის მეშვეობით შაჰს ლუარსაბი ირანში წააყვანიეს. შემდეგ საქართველოში შაჰ-აბასის ჯარების განადგურებას მისი გეგმების ჩაშლა მოჰყვა. ამის საპასუხოდ შაჰი, დაუდ-ხან უნდილაძის მეშვეობით, თეიმურაზ I-სა და დიდებულთა ერთ მხარეს გ. სააკაძეს დაუპირისპირებს.

რადგან საქართველოში ურთიერთაშლილობათა ნიადაგის მზადება ირანიდან მოდიოდა, ამგვარივე მოვლენები ირანშიც უფრო მძაფრ ხასიათებს ლეზულობდა.

ირანის შაჰს შაჰ-თამაზს ცხრა ვაჟი ჰყავდა. აქედან ორი უფროსი ვაჟი – მოჰამედ-მირზა და ისმაილ-მირზა – თურქმანი ისა-ბეგის ასულისგან ჰყავდა. მომდევნო სამი ვაჟი – სულეიმან-მირზა, აჰმედ-მირზა და ჯუნეიდ-მირზა – ჩერქეზი შამხალის დისაგან შესძენოდა. მას ჰყავდა კიდევ ოთხი ვაჟი – ჰაიდარ-მირზა, მუსტაფა-მირზა, იმამ-ყული-მირზა და მაჰმუდ-მირზა ხუდაბენდე. ეს ბოლო ოთხი ვაჟი შაჰ-თამაზს ჰყავდა მესხეთის წარჩინებული თავადის ოთარ შალიკაშვილის ასულისგან. მისი შვილებიდან ორი გამორჩევით ცდილობდა ირანის ტახტის დაკავებას – თურქმანი ისა-ბეგის ასულისგან ნაშობი ისმაილ-მირზა და ქართული სისხლით ნაჯვარი ჰაიდარ-მირზა. ირანში შაჰის კარიც ორ მონინააღმდეგე ბანაკად გაიყო. ისმაილ-მირზას მხარეზე

დადგნენ ყიზილბაშები, ჩერქეზები და ქურთები; მათი აქტიური წინამძღოლი იყო ჩერქეზი შამხალი. ჰაიდარ-მირზას მომხრეებს თაოსნობდა ქართველი ზაალ-ბეგ გურჯი. ამათი მხარის დამჭერები იყვნენ ირანში მცხოვრები ქართველები – ალიხან-გურჯი, ჰოსეინ-ბეგ გურჯი, შეიხავანდე-გურჯი, იმდროს ირანში მცხოვრები ქართველი მხატვარი სიაომ-გურჯი და მისი ძმა ფეროხ-გურჯი. ამ მოვლენებში საგულისხმოა ის პოზიცია, რომ ასეთი შეძლებისა და ავტორიტეტის მქონე ქართველობა ძმები ალავერდი-ხან და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების წინამორბედები იყვნენ და მათთვის მაგალითის მიმცემნი ისევე ირანის სასარგებლოდ. აქ ჩამოთვლილი ქართველები მხარს უჭერენ ჰაიდარ-მირზას იმის გამოც, რომ იგი ოთარ შალიკაშვილის ასულის შვილი იყო, და როცა ჰაიდარ-მირზა ირანის ტახტს დაიკავებდა, მათი მდგომარეობაც კიდევ უფრო გაუმჯობესდებოდა, რადგან ეს ყოფილი ქართველები ირანის ტახტზე თავიანთი კაცის მოყვანას ცდილობდნენ. მათი მცდელობის შინაარსი ისევე პირადულობის მოტივით აიხსნება. მათი მდგომარეობაც ძმები უნდილაძეების მდგომარეობის თანამსგავსია. არც მათ შეუძლიათ ირანის ავის მომასწავებელ პოლიტიკას საქართველოსადმი მიმართულება შეუცვალონ, მათ დროსაც ირანის მხედრობა მოდიოდა საქართველოს ასაოხრებლად.

შაჰის ტახტის მაძიებელ პრეტენდენტთა, ჰაიდარ-მირზას და ისმაილ-მირზას, მხარეები სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირდნენ. ქართველთა მხარემ უმაღლესი უკუაქცია მოპირისპირე მხარე. მაგრამ, იდუმალი ხერხებით, ჩერქეზთა შამხალს მოეკლა ირანის ტახტის მაძიებელი ჰაიდარ-მირზა – ქართველი ქალისაგან შობილი. მან ჰაიდარ-მირზას მოჭ-

რილი თავი ტომრით გაუგზავნა ქართველთა მხარეს. ამით ყველაფერი გადაწყდა, შეძრწუნებული ჰაიდარ-მირზას მომხრე ქართველები ისევ თავგამოდებით იბრძოდნენ, მაგრამ ლალატიანი იღბალი შაჰ-ისმაილის მხარეზე აღმოჩნდა. ამ შეტაკებაში ქართველთა წინამძღოლი ზაალ-ბეგ-გურჯი დაიღუპა.

1576 წელს ირანის ტახტის მფლობელი შაჰ-ისმაილი გახდა. მას დიდ ხანს არ სჭერია ირანის ტახტი. შაჰ-ისმაილი II-ს სუნიტობა დასწამეს და სანამლაგით მოკლეს 1577 წელს. ქართველთა მხარემ ამ გამოცდილების საფუძველზე იმდენი მოახერხა, რომ მოკლული ჰაიდარ-მირზას ძმას მუჰამედ ხუდაბენდეს დაეკავებინა ირანის ტახტი. ეს იყო უმცროსი შვილი ოთარ შალიკაშვილის ასულისა. შემდგომში ამ ხუდაბენდეს შვილი იყო აბას-მირზა ანუ შაჰ-აბას I-ი. შაჰ-ისმაილი II, სანამ მას სუნიტობის მიზეზით მოკლავდნენ, მან სიმონ I გამოიყვანა ალამუთის ციხიდან, მას მიზანი ჰქონდა ოსმალეთთან გადამწყვეტი ომი გაემართა და სიმონიც მათ სანინააღმდეგოდ გამოეყენებინა. მაგრამ აღარ დასცალდა, რადგან იგი მოკლეს. ამის მერე სიმონ I საკმაო ხნით ყაზვინში შაჰის სასახლის კართან ახლოს ცხოვრობდა. უკვე კარგ პირობებში. ალამუთის ციხიდან მასთან ერთად გამოყვანილ იქნა სიმონ I-ის თანამოაზრე, ბაგრატ მუხრან-ბატონის შვილი არჩილი, რომელიც 1560 წელს საფურცლესთან ტყვედ ჩაუვარდა ყიზილბაშებს.

ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ იმ დროს ირანში მცხოვრებ ქართველებზე, რომელთა დიდი მონდომებით შაჰის ტახტი დაიკავა მუჰამედ ხუდაბენდემ. როგორც ჩანს,



შაჰ-ისმაილი

ხუდაბენდეს დედამ, ოთარ შალიკაშვილის ქალმა, როგორც ქართველმა, დიდი ყურადღება მიაქცია ირანში მცხოვრები ქართველების თანადგომას თავისი შვილებისადმი. როგორც დილობდნენ ქართული სისხლით ნაჯვარს დაეკავებინა შაჰის ტახტი. მართალია, პირველი მცდელობა მიუღწეველ იქნა ჰაიდარ-მირზას ლალატიანი სიკვდილის გამო, მაგრამ ქართველობას ფარ-ხმალი არ დაუყრია, ეს მაშინ, როცა მათ მცდელობას ერთ-ერთი ორგანიზატორი – ზაალ-ბეგ გურჯი შეენირა. მეორე მცდელობა გონივრული გეგმებით წარმართეს და სანადელსაც მიაღწიეს, ირანის ტახტი ქართველი ქალის შვილმა ხუდაბენდემ დაიკავა. ირანში მცხოვრები ქართველთა მხრიდან ოთარ შალიკაშვილის ასულისადმი ერთგულება დადასტურებული იყო. მის შვილს, ნახევრად ქართველს, ხელთ ეპყრა ირანის ტახტი.

რადგან ხუდაბენდეც დიდ ომებს აპირებდა თავის მოწინააღმდეგე ოსმალეთის წინააღმდეგ და თავისი დედის მხრიდან ქართველებისადმი სანდოობა ერთგულ ფარად ედგა, რაშიც მეფე სიმონ I-ისადმი სანდოობაც იგულისხმებოდა.

ირანელებთან ბრძოლაში სიმონ მეფე ტყვედ ჩავარდა. ის ქართლის მეფე იყო და თავის ქვეყანას იცავდა, ის ხომ არ წასულა ირანის დასალაშქრად. ომი იყო... ყიზილბაშები ცდილობდნენ აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობას, ქართველობა მხოლოდ თავს იცავდა მათგან. რომ არა ოთარ შალიკაშვილის ასულის მხრიდან ირანელი ქართველების თანადგომა, ხუდაბენდე ირანის ტახტის მფლობელი ვერ გახდებოდა. ასე ფიქრობდა ხუდაბენდე და ქართველების

მადლიერმა თავის სასახლეში სიმონ მეფის სტუმრად მოწვევა ბრძანა. მაღალი ღმერთის წყალობით ამჯერად ისე გადანყდა ყველაფერი, როგორც სიმონ მეფეს ესურვებოდა – ქართლი ირანის მოკავშირე გახდა. სიმონ მეფემ ამით ერთგვარი ვალდებულება იტვირთა, ოსმალეთის საწინააღმდეგოდ ემოქმედა.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, ქართველი ქალის ერთ-ერთი გამორჩეული თვისება ისიცაა, რომ სულ სამშობლო, მამის კერა ესიყვარულებათ და ენატრებათ. განა ოთარ შალიკაშვილის ასულმა არ იცოდა, ირანიც და ოსმალეთიც სულ საქართველოს დაპყრობას რომ ცდილობდნენ?! განა ირანიდან განთავისუფლებული სიმონ მეფე თავისი სამშობლოს ინტერესებზე მაღლა დააყენებდა ირანის კარის, და იმ შემთხვევაში ხუდაბენდეს ინტერესებს?! მაგრამ დედის გული ადვილად ინადირებს ხოლმე შვილის ფსიქოლოგიას. დედისაგან შვილი – ხუდაბენდე დაჯერებული ჩანს იმაში, რომ ირანის ტახტის სადავეები მის ხელთ რომ ყოფილიყო, იქ მყოფი ქართველები მხარში ამოუდგნენ და ერთგულება დაუმტკიცეს.

ხუდაბენდე, როგორც ახალგაზრდა, სამეფო საქმეებში გამოუცდელი იყო და ამიტომ დედას იქნებოდა მინდობილი, მისგან მიღებულ რჩევას ანგარიშს გაუწევდა. მეორეს მხრივ, შალიკაშვილის ასულს უნდა განესაზღვრა და საზღვრავდა კიდევ, რადგან მისმა შვილმა ირანის ტახტი დაიკავა, ცხადია, მას ქვეყანა უნდა ემართა და თადარიგი უნდა გამოეჩინა, მისი შვილის მეფობის დროს ირანი აღორძინებულიყო; მეზობელ ქვეყნებთან სათანადო, დიპლომატიური, სამეზობლო

კავშირები წესრიგში მოეყვანა და თუ საჭირო გახდებოდა, საომარი მდგომარეობისთვისაც თადარიგი დაეჭირათ. და სწორედ სიმონ მეფის განთავისუფლება ტყვეობიდან და ირანის მოკავშირედ გახდომა ოსმალეთის წინააღმდეგ, დედა-შვილისაგან თადარიგის დაჭერაში აისახება. ამ მხრივ, პოლიტიკური კუთხით, სიმონ მეფეზე უკეთესი მიზანმიმართული, მოკავშირე და ენერგიული პიროვნება სხვა არავინ არ იყო. მართალია, მისი ძმა დაუდ-ხანი, სანამ სიმონ I ირანში ტყვედ იმყოფებოდა, შაჰის კარმა იგი ქართლის მეფედ გამოაცხადა, მაგრამ დაუდ-ხანი ვერც არა ქართლს პატრონობდა და არც არა სარგებელი ირანისათვის შეეძლო (მისმა უნარიანობამ მხოლოდ ძმასთან დაპირისპირებაში იჩინა თავი).

ხუდაბენდეს დედა, ოთარ შალიკაშვილის ასული, იმ დროის პოლიტიკის ღრმა ანალიზის ორიენტირი და მცოდნე, დაჯერებულია ქართველების ერთგულებაში, რაც დაუმტკიცეს ირანის ტახტზე მისი შვილის მოყვანიით. ქართველები-სადმი მისი ნდობა სიმონ I-ის მიმართაც აისახა იმ ხანებში. ხუდაბენდემ კახეთის მეფე ალექსანდრე II, რომელსაც ორიენტაცია ოსმალეთისაკენ ეჭირა და მისი ქვეშევრდომობის გახდომის მსურველი იყო, ამ მიზეზით კახეთის ტახტიდან გადაყენებულად გამოაცხადა. მის მაგივრად ირანის კარზე მყოფი, ალექსანდრეს უფროსი ძმა, მაჰმადიანობამიღებული (იესე) ისა-ხანი დანიშნეს. ამ საქმეშიც ხუდაბენდეს დედის აზრი უნდა ყოფილიყო გატარებული.

სიმონ მეფესაც, დროებით, ფორმალურად, ჰქონდა მიღებული მუსულმანობა, ჯანდაბას, ეს დროებით... ესეც მხოლოდ შაჰთან ერთგულების გამოსახატავად ჭირდებოდა,

მეტი არაფერი. რადგან ასეთი ბედნიერი დღეები დაუდგა, ყველაფერიც მოესწრება, მთავარია, ირანიდან გამოაღწიოს და მერე თვითონ იცის, რა უფრო ესაჭიროება თავის სამშობლოს.

იმ ვითარებებში მართებულია, აღინიშნოს პარალელი მოვლენები. სიმონ მეფე პირობადადებული წამოვიდა ირანიდან, ხუდაბენდესა და დედამისს აღუთქვა, რომ ოსმალები გაერეკა ქართლის ციხეებიდან, როგორც ირანის მოკავშირეს ირანულ ჯართან ერთად.

დავაკვირდეთ, ხაზი გავუსვათ და შევადაროთ სიმონ მეფის მდგომარეობა შემდგომში გ. სააკაძის მდგომარეობას. ისიც ირანიდან, შაჰ-აბასისაგან, პირობადადებული წამოვიდა საქართველოში. მათი ორივესი, სიმონ I-ისა და გ. სააკაძის მიზანსწრაფვა ერთი იყო, როგორმე ირანიდან გამოეღწიათ. ირანიდან გამოღწევისათვის უპირველესად ნდობა იყო საჭირო. ეს ნდობა სიმონ მეფის სასარგებლოდ თავდაპირველად ირანში მყოფმა ქართველებმა შექმნეს. როცა ხუდაბენდეს ირანის ტახტზე აიყვანეს, სიმონ მეფე, თავის მხრივ, თავისთავადაც სანდობას იმსახურებდა, თავისი გაუტყუებელი და მტრებთან ენერგიადაუზოგავი ომებით. გ. სააკაძემ შაჰ-აბასთან ნდობა თვითონ მოიპოვა, თავისი დაულაღავი მარჯვენით.

სიმონ I-ის მოკავშირეობა ირანთან, სრულიად ჯანმრთელი, გონივრული გადაწყვეტილება იყო. მან კარგად იცოდა, დასუსტებული ქართლის ძალებით მარტოს გაუძნელდებოდა ოსმალთა განდევნა აღმოსავლეთ საქართველოდან. სიმონ მეფე ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე

მტრის განადგურების მოსურნეა. გ. სააკაძეც სწორედ მეფის ამ გონიერ გადაწყვეტილებას მიაქცევს ყურადღებას და თვითონაც ცდილობს 1626 წელს, როცა შაჰ-აბასმა დაუდხან უნდილაძე გამოგზავნა, რომ ქართველებს შორის განხეთქილება ჩამოეგდო სააკაძის გასანადგურებლად, სააკაძე ცდილობს ოსმალეთთან მოკავშირეობას, რათა ერთობლივი ოსმალურ-ქართული ჯარებით მისგან დამარცხებული ირანი ბოლომდის გაანადგუროს.

საქართველოს ისტორიაში აღნიშნულია სიმონ მეფის საბრძოლო მოღვაწეობა მისგან გადახდილი დიდი მნიშვნელობისა და შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ომების ისტორიები. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია, მოკლედ ჩამოვაცალიბოთ და მიმოვიხილოთ მისი ეპოქა, პარალელები გავავლოთ შემდგომში მისგან მაგალითადებული გ. სააკაძისაგან გადახდილი ომების საერთო მახასიათებელ შინაარსებს შორის.

\*\*\*

1578 წელს, შემოდგომაზე სიმონ მეფე უკვე საკმაოდ ჯანმრთელობა მომაგრებული და მატერიალურადაც უზრუნველყოფილი, დაბრუნდა ირანიდან საქართველოში. (გავიხსენოთ პირველად შაჰ-ისმაილ II-ის მიერ იქნა გამოყვანილი ალამუთის ციხიდან და წელიწადზე მეტი კარგ პირობებში იმყოფებოდა). ჩამოსვლისთანავე შეუდგა ქართლში ოსმალთაგან დაკავებული ციხეებიდან მათ განდევნას. მან წლის ბოლომდის მოახერხა გორის ციხიდან და ლორეს ციხიდან ოსმალთა განდევნა. იმავე წელს სიმონ მეფემ თბილისში გამაგრებულ ოსმალთა გარნიზონს ალყა შემოარტყა, გადაკეტა დედაქალაქთან დამაკავშირებელი ყველა გზა. თბილისში ოსმალურმა გარნიზონმა შიმშილი დაიწყო, იქამდისაც მისულა საქმე, რომ ერთი ქილა პურის ხორბალი „ათასი ახჩა“ ღირებულა. მტრისათვის ძნელი საშოვარი გამხდარა კატისა და ძაღლის ხორციც კი. ეს მოვლენა ძალზე შემაშფოთებელი შეიქნა ოსმალთა სასულთანოსათვის. მაშინდელ თბილისის ბეგლარ-ბეგს მეჰმედ-ფაშას როგორღაც მოუხერხებია ოსმალეთში შიკრიკის გაგზავნა. ეს შიკრიკი არზრუმში მდგარ ლალა-ფაშასთან მისულა და მეჰმედ-ფაშას დანაბარები, თბილისში მდგარი ოსმალთა უკიდურესი მდგომარეობა შეუჩივლია, სასწრაფოდ ჯარი და სურსათი მიეშველებინათ. ლალა-ფაშამ მანუჩარ-მუსტაფა გამოგზავნა ჯარითა და სურსათით მომზადებული. ეს ამბავი მანუჩარ-მუსტაფას მოწინააღმდეგე მესხებმა სიმონ მეფეს შეატყობინეს. ოსმალურ ჯარს თბილისამდის რომ ვერ ჩამოეღწია, სიმონ მეფემ გადანყვიტა მათი გზაშივე განადგურება. თბილისის ალყის ხელმძღვანელობა, მოკავშირე ყიზილბაშთა სარდალს ალი-ყული-

ხანს ჩააბარა და თვითონ მანუჩარ-მუსტაფას დასახვედრად გაემართა. ბორჯომის ხეობის მიდამოებში, ვიწრო სავალი გზა შეარჩიეს, ჩაუსაფრდნენ საშიშროება არ მომლოდინე ოსმალებს. მტრის გამოჩენისთანავე ქართველებმა შეუტიეს და მალე უპირატესობაც მოიპოვეს. მტრის ჯარი დაფრთხა და ელდა-დაცემულნი უკან გაბრუნდნენ. ქართველებმა მათ დევნას თავი ანებეს. სიმონ მეფის ბრძანებით თბილისში დაბრუნდნენ. ოსმალური გარნიზონი უსურსათოდ დარჩა. მათი დაახლოვებით, ოთხიათასკაციანი დაშიშმთავრებული ჯარიდან ცოცხალი შვიდას კაცამდის დარჩენილან. ოთხთვიან ალყას ოსმალთა ციხიონი ძლიერ დაუზარალებია.

ლალა-ფაშამ ხელმეორედ 12 ათასიანი ოსმალური ჯარი გამოყო, სურსათ-სანოვაგით შეამზადა, სარდლად მუსტაფა-ფაშა დაუნიშნა და თბილისისაკენ გამოისტუმრა. მუსტაფა-ფაშამ ხერხი გამოიყენა, მანუჩარ-მუსტაფას ჯარის ნაწილი გამოუყო და უბრძანა, სიმონ მეფის თვალის ასახვევად, შიდა ქართლის სოფლებს შესეოდა. მუსტაფა-ფაშას ძირითად ჯარს ამ ხერხით თბილისამდის გზა ეხსნებოდა. სიმონ მეფემ თბილისის ალყის მეთვალყურეობა ისევ ალიყული-ხანს ჩააბარა და თვითონ მანუჩარ-მუსტაფას დასახვედრად გაეჩქარა. ამასობაში ოსმალური ჯარის ძირითადი ნაწილი დმანისის გზით თბილისს მოადგა, მათ ალიყული-ხანის ალყა გაარღვიეს და თბილისის კარიბჭეში შეაღწიეს. თავიანთ თანამოძმეებს დიდძალი სურსათი და ახალი ჯარის შევსება დაუტოვეს ჩერქეზი კასიმ-ბეის მეთაურობით. ეს მოვლენა სიმონ მეფეს თავისმა ხალხმა სასწრაფოდ აცნობა, მეფე მიხვდა მტრის მიზანს, მანუჩარ-მუსტაფასთან ბრძოლას აზრი აღარ ჰქონდა. სიმონ მეფემ გადანყვიტა, ძვირად

დაესვა ამდენი ხნის გულმოდგინე ალყის მერე თბილისის კარიბჭეში ოსმალთა შესვლა. თბილისიდან მობრუნებულ მუსტაფა-ფაშას ჯარს ისევ დმანისის ხეობით უნდა ევლო. სიმონ მეფემ ისევ ამ ხეობაზე აიღო ორიენტაცია. ხეობაში გასასვლელი გზა მოჭრილი ხეებით გადაკეტეს და ქვის საგორავებით აავსეს. ხეობაში შესული მტრისათვის ქართველებს ზურგის მხრიდან უნდა მიეტანათ იერიში. ამით უკან გასაქცევ საშუალებას მოუსპობდნენ. ამაზე ნათქვამი „წინ – წყალი და უკან – მენყერი“. როგორც კი მტრის ჯარი მთლიანად შევიდა ხეობაში, სიმონ მეფემ იერიში ბრძანა, ყიფინა დასცეს ქართველებმა. მტერს წინ გზა ხერგებით გადაეკეტათ. ხეობის ორივე მხრიდან ჩასაფრებული ქართველები ისრებით უტევდნენ. უკან გაქცევის ცდაც მოესპოთ. დაღამების ხანს მტრის გვამებით აივსო ხეობა. 12 ათასიანი ჯარიდან რამოდენიმე ასეულმა ძლივს გაასწრო სასაკლაოს. მუსტაფა-ფაშას ჯარს ძვირად დაუჯდა თბილისის კარიბჭეში შეღწევა. გამარჯვებული სიმონ მეფე თბილისში დაბრუნდა, ისევ მტკიცედ შეკრა თბილისის ალყა. უნიათო მოკავშირე, ალი-ყული-ხანი, მხოლოდ ხელებსლა ასავსავებდა თავისი უმწეო მდგომარეობის გამოსახატავად.

ისევ განგაშმა მოიცვა სასულთნოს კარი. ლალა-ფაშამ მუსტაფა-ფაშა სარდლობიდან სასწრაფოდ გადააყენა, თავი მოუყარა ოცი ათასიან ოსმალურ ჯარს, სარდლად ჰასან-ფაშა დანიშნა და ისევ საქართველოსაკენ დასძრა. (დავაკვირდეთ, სასულთნოს კარი, სარდლად დანიშნულ პირებს, სიმონ მეფესთან უშედეგო ბრძოლებში, ხშირად ცვლის).

სიმონ მეფის მოკავშირე ყიზილბაშმა სარდალმა, ალი-

ყული-ხანმა თბილისის ალყის ხელმძღვანელობა ვერ გაუმართლა, ამ ეტაპზე თბილისის პატრონობა ქართველებს ჩააბარა, თავისი ჯარი დასძრა და ჰასან-ფაშას შესახვედრად დმანისის ხეობას მიაშურა. იმ გზას, რომელი ცნობითაც მტრის ჯარი თბილისისაკენ მოემართებოდა, სიმონმა ხეობის ორივე მხარეს ყიზილბაში ალი-ყული-ხანის ჯარები ჩაასაფრა, მთავარი ქართული ჯარით ხეობის სიღრმეში შევიდა და ორივე მხარეს ქართული ჯარი ნაწილ-ნაწილ განალაგა. სიმონ მეფისაგან ქართული ჯარის ნაწილს დაევალა უჩინარად შემოვლითი გზით ხეობის ბოლოში ჩასაფრებულიყვნენ. აქაც, საომარი განგაშის დროს, მტრისათვის უკან გაქცევის გზა შეეკრათ. სიმონ მეფის მიზანი იყო, როცა ჰასან-ფაშას ჯარები ხეობაში სიგრძივ გველეშაპივით გაიჭიმებოდა, აი მაშინ უნდა ემოქმედათ ქართველებს და ალი-ყული-ხანის ჯართან ერთად ეს გაჭიმული ჯარი დაენანვერებინათ უფრო მოსახერხებელი განადგურებისათვის. როცა მტრის ჯარის ბოლო მეომრები შევიდნენ ხეობაში, ანთო ცეცხლის ნიშნები, ქართველებმა ახსნეს ქვის საგორავები და მერე უკვე ხმალ-შუბით მიესივნენ ოსმალებს. მტრის ჯარი ნაწილ-ნაწილ დაიჩეხა, აგორებულმა ქვებმა ცალკე მტრის ცხენები, ცალკე მათი მეომრები იმსხვერპლეს. მეორეს მხრივ ჩახერგეს სავალი გზა, მტერს მოძრაობის საშუალება მოუსპეს. „სულ დაწითლდა გზის პირნი და კლდის კაპანი“, ზოგმა ოსმალომ ხმლის ამოღებაც ვერ მოასწრო, ისე ცვიოდნენ ცხენ-კაციანად უფსკრულეებში.

არ შეიძლება ამ ომმა მკითხველს „ქსნის ომი“ არ გაახსენოს, სადაც გ. სააკაძის თაოსნობით მტრის 12 ათასამდის ჯარი განადგურდა.

ჰასან-ფაშამ, მიუხედავად ასეთი ომისა, მაინც მოახერხა ქართველთა სასაკლაოს გარღვევა. მათ ტყვედ იხელთეს ალი-ყული-ხანი და თბილისის კარიბჭეს მიაშურეს.

ღმანისის ხეობაში ბევრი ოსმალო გაიჟლიტა. ოცი ათასიდან რვა ათასი ქართული ხმლების ანანერა გახდა, მაგრამ მაინც ბევრი იყვნენ ეს წყეულები. მტერმა მოახერხა თბილისში შესვლა, სასომიხდელ ოსმალებს ჰასან-ფაშამ ახალი შევსება, სამი ათასი მეომრის სახით და სურსათით, დაუტოვა, თან ახალი ბეგლარ-ბეგი, აჰმედ-ფაშა ჰაჯი-ბეგი-ზადე დაუნიშნა, თვითონ მალე უკან გამობრუნდა. ალი-ყული-ხანის ნასწავლი გზით ეწადა ოსმალებში დაბრუნება. „ფრთხილად ვიდოდნენ ურუმნი“, მაგრამ ჰასან-ფაშაზე ფრთხილი და უფრო თადარიგის თავის მიწაზე მდგომი სიმონ-მეფე იყო.

ღმანის-მარნეულს შუა ერთ შერჩეულ ადგილას სიმონ მეფის ქართველობა იყო ჩასაფრებული. როგორც კი ალი-ყული-ხანის ვითომ ნასწავლი გზით მტერი მოხერხებულად მიუახლოვდა ქართველთა სამალავებს, რასაც არ ელოდნენ, სიმონ მეფის ჯარი გრიგალივით თავს დაესხა ოსმალებს. „ქართველთა გააპეს რაზმები ურუმთანი, ცხენიდან გადმოჰყარეს მრავალნი და გაიარეს შიგან“. ქართველებმა ისე ამოსწყვიტეს ჯარი ურუმთანი, რომ ცხენზედა მჯდომნი კაცნი თითო-ორო-ლაღა დარჩაო – გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“.

ამ ბრძოლაში თბილისიდან ოსმალების მიერ წამოღებული განძი ქართველებმა უკლებლივ უკან დაიბრუნეს. ჰასან-ფაშამ ძლივს მოუყარა თავი თავის ნაფლეთებად ქცეულ ჯარს, სული მოითქვეს და ძლივს ჩააღწიეს ყარსს სადაც ლალა-ფაშა იდგა.

რაკი ორი წლის მანძილზე უშედეგოდ იღვრებოდა ოსმალთა სისხლი, ქართლის დამორჩილება და სიმონ მეფის, მისი დაუღლეი ქართველების დამარცხება შეუძლებელი ხდებოდა, ოსმალეთი შეეცადა ქართველ მეფესთან მოლაპარაკება გაემართა. ოსმალეთიდან მალე წერილიც გამოიგზავნა მურად სულთანის დავალებით სიმონ მეფის სახელზე, სადაც იტყობინებოდა: ქართლი შენ უნდა გეკუთვნოდეს, სხვა გვარად არ ეგების, ჩვენ ოსმალეთს მხოლოდ თბილისი გვჭირდება, შენი გურჯისტანი ფადიშაჰის მფარველობაში მოისვენებს და ჩვენც სასურველი მოკავშირეები შევიქმნებითო.

სიმონ მეფისთვის ოსმალეთის ულტიმატუმი მიუღებელი იყო. თუ საქართველოს გულს, თბილისს, ოსმალები დაეპატრონებოდნენ, ეს იმას ნიშნავდა, რომ შემდგომში მთლიანი ქართლის დაპატრონებას შეეცდებოდნენ.

ოსმალეთის მხარემ სიმონ მეფისაგან ცივი უარი მიიღო.

ბოლმა-მორეულმა სულთან-მურად III-მ ლალა-ფაშა მთავარსარდლობიდან გადააყენა, მის ადგილას უფრო საიმედო სინან-ფაშა დანიშნა. 1580 წელს სინან-ფაშა ოსმალური ჯარით საქართველოსაკენ დაიძრა. ღმანისთან მოვიდნენ და იქ დაიბანაკეს. თბილისში ჩაღწევა ეწადათ, შიში დიდი ჰქონდათ. უფრო დიდი შიში ისევ ოსმალეთიდან ელოდა სინან-ფაშას, თუ თბილისში ოსმალურ გარნიზონს ჯართა და სურსათით ვერ უზრუნველყოფდა, მას მთავარსარდლობიდან გადაყენება ელოდა. ღმანისიდან თბილისამდის ჩამოსვლას სინან-ფაშას ჯარებს ორი თვე დასჭირვებიათ, იმდენად ავინროვებდნენ სიმონ მეფის მფრინავი რაზმები.



მტერმა თავისი სიმრავლის გამო მაინც მოახერხა თბილისში შესვლა და თავიანთი თანამოძმეების სურსათით უზრუნველყოფა. უკან მობრუნებული სინან-ფაშას ჯარები, სანამ საქართველო-ოსმალეთის საზღვარს გადაკვეთდნენ, (ეს დრო ცალკე და მანძილი) სიმონ მეფის ხელში იყო. დღე-დღეზე თხელდებოდა ოსმალთა რიგები. მართალია, ოსმალებმა, დიდი ხარკის გაღებით, ორჯერ მოახერხეს თბილისში შეღწევა და ოსმალების სურსათითა და ჯარით მომარაგება, მაგრამ თბილისში მდგომი სამი ათასიდან ხუთი ათასამდის ოსმალთა გამოკვებას და ხელახლა ჯარით შევსებას ათი ათასამდის და მეტი ოსმალთა ეწირებოდა. ამიტომ ოსმალეთს ყიზილბაშურ ირანთან და საქართველოსთან მოლაპარაკება ჰაერივით სჭირდებოდა. ირანიც, თავის მხრივ, ცდილობდა ქართველებთან მოკავშირეობა და ოსმალეთთან მოლაპარაკება თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

საქართველო-ოსმალეთის მოკავშირეობა თითქოს შედგა, მაგრამ ორივე მხარემ მშვენივრად იცოდა ეს მოკავშირეობა ფორმალურ ხასიათს რომ ატარებდა. სიმონ მეფის მიზანი იყო ოსმალებს თბილისიდან თავიანთი ციხიონი გაეყვანათ, ოსმალეთი კი წელს ითრევდა.

1582 წელს სიმონ მეფემ, მოკავშირე ყიზილბაშებთან ერთად, ოსმალეთთან ომი ისევ განაახლა. ისევ თბილისში მყოფ ოსმალურ გარნიზონს მიადგნენ და ალყა შემოარტყეს. ოსმალურ ციხიონს ავი დღეები დაუდგათ. ისინი თავიანთ თანამოძმეებისაგან სასწრაფო დახმარებას ელოდნენ. სულთანმა ამ საქმის შესრულება დიარბექირის ბეგლარ-ბეგს, მეჰმედ-ფაშა ხადიმს დაავალა. იგი წარმოშობით ქართ-

ველი იყო. ის თხუთმეტი ათასი ოსმალთა მეომრით სწრაფად გამოეშურა თბილისისაკენ. ოსმალთა მისაშველებლად გზაში მანუჩარ-მუსტაფაც შეუერთდა მესხეთის ჯარით, რომელიც ახალციხე ჩილდირის ბეგლარ-ბეგი იყო. დმანისის გზას თავი აარიდეს, ამ გზაზე ოსმალებს ბედი არ სწყალობდათ. ცენტრალური ქართლის გზით მოვიდნენ და მუხრანთან ახლოს დაიბანაკეს ორივემ, ოსმალეთის სამსახურში ჩამდგარმა ქართველებმა – მეჰმედ-ხადიმმა და მანუჩარ-მუსტაფამ.

სიმონ მეფისათვის ეს მოვლენა ცნობილი შეიქმნა. გათენების ხანს, როცა მტერს ისევ არხეინად ეძინა, სიმონის ჯარი მტრის ბანაკს გარს შემოერტყა, შეიქმნა ფხიზელ ქართველთა და ძილ-ბურანში მყოფ ოსმალთა სისხლის მღვრელი ომი, იძლივა მტერი, მრავალი ოსმალთა განადგურდა, ნაწილი ტყვედ ჩაბარდა ქართველებს, მათთან ერთად ორმოცი საპალნე აქლემი. მეჰმედ-ფაშა ხადიმს მაინც მოუხერხებია გაქცევა, სამცხეში მივიდა და „ოქროს ციხეში“ დაბანაკდა.

მეჰმედ-ფაშა საგონებელში ჩავარდა მუხრანთან დიდი მარცხის გამო. ამოდენა ზარალს სულთანმა არ აპატიებდა. მან მოიფიქრა, ვინმესთვის დაებრალეებინა ეს მუხრანული მარცხი. თავისი მდგომარეობის გამოსასწორებლად მან სულთანს აუწყა, რომ მანუჩარ-მუსტაფა გადაგვიდგა, სიმონ მეფეს მალულად აცნობა მუხრანში ჩვენი დაბანაკება; გურჯები ისე დაგვესხნენ თავს, ჩვენ ცხენებზე ამხედრებაც ველარ მოვასწარიითო. სულთანმა მანუჩარ-მუსტაფას ლიკვიდაცია ბრძანა. (შესაძლოა, მანუჩარის სულის წიაღში სამშობლოს სიყვარულმაც გაიღვიძა და ოსმალების მიზანი, მუხრანში დაბანაკება, სიმონ მეფეს წინასწარ მართლაც მან შეატყობინა).

მეჭმედ-ფაშამ მანუჩარი სათათბიროდ იხმო, მან სამი ათეული მესხით მეჭმედ-ფაშას კარისაკენ გასწია, სიტყვა-უძრავად შეხვდა მანუჩარს მეჭმედ-ფაშა, დათქმულ ნიშანზე ხმალი ამოაწივლა თურქმა, მანუჩარმა აიცილა, მეორეჯერ ხმლის მოქნევა აღარ აცალა, გამოსტაცა თავის ხმალი და ისეთი დაუშვა თურქის მხარ-კისერზე, რომ შუა გააპო. იმ წამსვე მეჭმედ-ფაშასაკენ გასწია, წინ ისევ თურქი სარდლები გადაელობნენ, მათგან ერთ-ერთს ისეთი ძალით შემოჰკრა თურქული ხმალი, რომ მისი თავი მეჭმედ-ფაშას ჩაუვარდა ხელებში. ერთ მოწინავე სარდალსაც მან უმაღლეს დაუბნელა. მალე თავისი მესხებიც მიეშველნენ მანუჩარს, ყველა დაფანტეს. იმ დღესვე მანუჩარ-მუსტაფა თავისი მესხებით სიმონ მეფისაკენ მიჰქროდა ცხენებით.

1583 წელს მანუჩარ-მუსტაფა სიმონ მეფეს დაუმოყვრდა და ცოლად შეირთო მისი და ელენე. ქართლი და სამცხე ამ შემთხვევამ ოსმალეთის წინააღმდეგ გააერთიანა. ეს უკვე დიდი წარმატება იყო საქართველოსთვისაც და ირანისთვისაც. ირანის კარს ეს მოვლენა ისე გახარებია, უყურადღებოდ არ დაუტოვებია და ზარ-ზეიმით საჩუქრები გამოუგზავნეს მანუჩარს. შესაძლოა, მანუჩართან დამოყვრების ინიციატივა სიმონ მეფემ უფრო გამოიჩინა, რადგან საქართველოს ბედი სიმონ მეფეს უფრო ანუხებდა, ვიდრე მანუჩარს. ამ მოვლენებში მკითხველი დაინახავს მსგავსებას შემდგომში გ. სააკაძესთან, როდესაც ის, მსგავსი ხერხებით ცდილობდა იმერეთის სამეფოსთან დამოყვრებას, იმ ხანად ირანის წინააღმდეგ გაერთიანებისათვის.

იმავე 1583 წელს სიმონ მეფემ, სიძის, მანუჩარის,

მეშვეობით, რომელსაც ოსმალთა არმიამ მრავალი ნაცნობი ჰყავდა, ხაფანგის დასაგებად ხმა გაავრცელებინა: სიმონ მეფე ავად გამხდარა, იგი ტაბახმელამი ლოგინსაა მიჯაჭვული და სიკვდილს ებრძვისო. ეს ამბავი თბილისის მაშინდელ ბეგლარ-ბეგს ჰასან-ფაშას აუწყეს. ისიც ტაბახმელასკენ წამოვიდა ოსმალური ჯარით. რადგან ავად არის, კარგი დრო დაგვიდგა, ბოლო მოეულოთ ამ დაუდგრომელ გურჯსო. სიმონ მეფესაც სწორედ რომ ასე ესურვებოდა. სიმონ მეფეს თბილისთან ახლოს ქართველ მეომართა რაზმები ჰყავდა ჩასაფრებული. როცა ტაბახმელამი მისული ოსმალური და ქართული ჯარი ურთიერთბრძოლაში ჩაებმებოდა, ვინც გადარჩებოდა ცოცხალი, ამ შემთხვევაში ყველა ოსმალს არ დახოცავდნენ. როცა გადარჩენილები ისევ თბილისს მიამურებდნენ, აი მაშინ უნდა ემარჯვათ თბილისთან ახლოს ჩასაფრებულ ქართულ რაზმებს და გამოქცეულ ოსმალებთან ერთად, თბილისის კარიბჭეში შეჰყოლოდნენ. ტაბახმელამი ასულ ოსმალოებს სიმონ მეფე სალ-სალამათი დახვდათ. შეიქმნა ბრძოლა, მტერი რკალში მოექცა და „მისცა გამარჯვება ქართველთა“. სამ ასეულამდის გადარჩენილმა ოსმალებმა თბილისისაკენ იბრუნეს პირი. ქართველებიც გაჰყვნენ. თბილისისაკენ მიმქროლავმა ოსმალებმა ვერ შენიშნეს ჩასაფრებული ქართველობა, რომელნიც მათთან ერთად თბილისის კარიბჭის შიდა სივრცეში აღმოჩნდნენ. მწარე დღე გასთენებოდათ თბილისში მდგარ ოსმალურ ციხიონს. არც ერთი ოსმალი ვერ გადარჩენილა ცოცხალი. გამარჯვებას ზეიმობდა თბილისი, მის ძღვევამოსილ სიმონ I-თან და ქართულ ჯართან ერთად.

გამარჯვებული ქართული ჯარი მეფე სიმონთან ერ-

თად მიადგა სამშვილდეს. არ გასჭირვებიათ, ხანმოკლე ბრძოლის შემდეგ სამშვილდეც ქართველთა ხელში მოექცა. მალე დმანისის ალება დადგა დღის წესრიგში. იგი ხშირად ხან ქართველთა ხელთ იყო, ხან – ოსმალთა. აქაც, მანუჩარის მეშვეობით, შიმშილისაგან სასო-მიხდელი გუშაგები მოიხსილეს და ღამით ქალაქის ჭიშკარი გააღეს. ქართველებმა დმანისი აიღეს და ოსმალთა ციხიონი გაანადგურეს.

სიმონ მეფესთან დამოყვრების შემდეგ მანუჩარ-მუსტაფა გახდა მანუჩარ ათაბაგი.

1583 წელს სიმონ მეფემ დაიბრუნა თბილისი, ლორე, სამშვილდე და დმანისი. მანუჩარ ათაბაგის მეშვეობით კი სამცხის დიდი ნაწილი.

1584 წელი. ოსმალთა სასულთნო ვერ ეგუება საქართველოში მათგან ჩაყენებული ჯარების ქართველებისაგან განადგურებას. ფერჰად-ფაშამ მიიღო გადაწყვეტილება, რაც სიმონ მეფეს საქართველოში ოსმალოებისთვის ქალაქები წაერთმია უკან დაებრუნებინათ. მან გამოყო ისევ 20 ათასიანი ჯარი, სარდლად ახლად დანიშნულ რეზვან-ფაშას ჩააბარა და საქართველოსკენ, პირველ რიგში თბილისის ასაღებად დასძრა. ისინი მოვიდნენ მდინარე ალგეთზე და მდინარის მარჯვენა სანაპიროზე დაიბანაკეს. მეორე მხარეს სიმონ მეფის მხედრობა განლაგდა. აქაც დამაფიქრებელია მეფის სარისკო ნაბიჯი, რომელმაც ელჩობა დაიბრალა და მტრის ბანაკს ეწვია რამოდენიმე მხლებლით. რისკი მართლაც დიდი იყო. მას „დელი სვიმონს“ ეძახდნენ ე.ი. გადარეულს. იცოდნენ მისი მეომრული ენერჯია. რა გარანტია იყო იმისა, ოსმალებისაგან სიმონ მეფის ცნობის

შემთხვევაში რა მოელოდა მას, როცა იმ ხანებში მისი ძმა დაუდ-ხანიც ოსმალთა მხარეზე იბრძოდა. მას ალამუთის ციხეში ცხრა წელი გატარებული ჰქონდა, ცუდ შემთხვევაში თუ სიმონი ისევ ტყვედ ჩავარდებოდა, მისი სამეფო ხომ ისევ იმავე ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. უნდა ვიფიქროთ, რომ მეფე ნილბით, სახე შეცვლილი, ელჩის სტატუსით წარსდგა მტრის ბანაკში.

სიმონ მეფემ კარგად გაართვა თავი ელჩობას. მან ზეპირად მოინიშნა ოსმალთა კარვების განლაგება. მან ვითომ სიმონ მეფის ულტიმატუმი გადასცა მტრის საომარი შემართების მოსადუნებლად, ჩვენ ყიზილბაშობამ დაგვალა, ჩვენგან ირანი უფრო შორსაა, უფრო ახლოს ჩვენთან ოსმალეთია, ახლა ჩვენი მიზანია, ოსმალეთის მოკავშირეები გავხდეთო. რეზვან-ფაშამ სიმონ მეფე როგორც ელჩი ისე გამოაცხილა. უთენია სიმონ მეფემ შემოვლითი გზით მდინარის მეორე მხარეს გადაიყვანა ქართული მხედრობა, ოსმალთა ბანაკს მშვიდად ეძინა, მეხის გვრგვინვად დასცეს საომარი რიხი ქართველებმა. მტრის ბანაკი აირია, გვიანლა იყო თითზე კბენანი. ოსმალთა ჯარი დამარცხდა. ოსმალთა 20 ათასიანი მეომრიდან ნახევარი ბრძოლის ველზე დარჩა.

1587 წელს ოსმალეთის სულთანმა ირანთან საომარ მოქმედებებს დროებით თავი ანება და ფერჰად-ფაშას უბრძანა, ოსმალური ჯარებით ისევ საქართველოსაკენ დაძრულიყო. ფერჰად-ფაშას სულთანისგან დავალებული ჰქონდა პირველ რიგში მანუჩარის განადგურება, რომელიც მათ განუდგა. მანუჩარმა თავის მოყვარეს, მოკავშირე სიმონ მეფეს სთხოვა დახმარება. ფარჰად ფაშამ ჯარი ორად გაყო. ერთი

ნაწილი მანუჩარის საწინააღმდეგოდ, მეორე ნაწილი მიუვალ მთებში მოაფარა, რომელთაც ებრძანათ მალული გზებით გორში მისულიყვნენ და გორი აეღოთ. სიმონმა, მანუჩარის მესხებთან ერთად, ოსმალებს შეუტია და სასტიკი მარცხი აგება. მალე ქართლიდან მაცნე გამოჩნდა, რომელმაც აუნყა, ოსმალები გორზე იერიშის მისატანად მიიჩქარიანო. სიმონ მეფე თავისი ჯარით ქართლისაკენ გაეშურა, მარტოდ დარჩენილ მანუჩარს ოსმალებმა ისევ შეუტოვეს. მანუჩარი დამარცხდა, რასაც ახალციხის დაკარგვა მოჰყვა. ახალციხის დაკარგვის მიზეზი ხშირად სამცხის დიდებულთა ურთიერთ დაპირისპირება იყო.

სიმონ მეფემ, თავისი ჯარით, მოკლე გზებით იარა. სანამ ოსმალები გორს მიაღებოდნენ, ქვიშხეთის მიდამოებში შეარჩიეს ადგილი და საომარი თადარიგისათვის ჩასაფრდნენ.

ოსმალთა ჯარი გულ-დანდობილად მიემართებოდა გორისაკენ, თავდასხმის შიში არ ჰქონდათ, სიმონ მეფე მესხეთში ეგულებოდათ. სოლივით შეიჭრნენ ქართული რაზმები მტრის ჯარის შუაში, ისევ დაანანევრეს, ადვილად გასანადგურებლად. ომის სასწორი მალე ქართველების ხელთ აღმოჩნდა. მტრის გვამებით მოიფინა ქვიშხეთის მიდამოები, ცოცხლად გადარჩენილმა ოსმალებმა ისევ სამცხისაკენ იბრუნეს პირი. იმჯერად გორი და გორის მოსახლეობა გადაურჩა მტრისაგან აოხრებას.

## „გოჯანთო ოჯკვითის ომი“

სიმონ მეფის მიერ იმერეთის სამეფოს შემოერთების ცდა ქართლის სამეფოსთან.

საქართველოში ძალიან მცირენი მოიძებნებოდნენ, ისეთნი, რომლებსაც გულწრფელად ანუხებდათ ერთიანი საქართველოს ბედი, რომლის მნიშვნელობაც და შინაარსიც უფრო აუცილებელი და აღმატებული იყო, როგორც მთლიანი სახელმწიფოსი, რომ მტრულად განწყობილი მეზობელი ქვეყნებისთვის საკადრისი პასუხი გაეცა და ამით თავი დაეცვა.

გავიხსენოთ, ქართლისა და კახეთის სამეფოებს როგორი საპირისპირო დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთში, როცა ქართლის სამეფოს ყიზილბაშურ ირანთან სამოკავშირეო მდგომარეობა უფრო მისაღებად მიაჩნდა, იმ ეტაპზე კახეთის სამეფო ოსმალეთთან მოკავშირეობას ამჯობინებდა. ასეთი მოვლენები ურთიერთდაპირისპირების ამინდს ქმნიდა, რაც შედეგად ორივე სახელმწიფოს დასუსტებაში აისახებოდა. ამ კუთხით არც დასავლეთ საქართველო იყო გამონაკლისი. მართალია, დასავლეთ საქართველოში ერთი სამეფო კარი იყო, მაგრამ დასავლეთ საქართველოს მთავრების ურთიერთ მტრობა ამ სამეფო კარზე გავლენას ახდენდა. მიზეზი ხშირად ნათესაური, რძალ-სიძური კავშირები იყო.

თუ სამეფო კარის ქალი რძლად ესვა დადიანების სასახლის კაცს, ასეთ შემთხვევაში სამეფო სახლის წარმო-

მადგენლები დადიანების ინტერესებს იცავდნენ, გურიელების საწინააღმდეგოდ. ასეთივე მოვლენები ხდებოდა პირიქითაც. ხშირად ეს ვითარებები ისეთ სიმძაფრეს იძენდა, არ ინდობდნენ და სამეფო კარზეც ახდენდნენ თავდასხმებს. საქართველოს ისტორიამ იცის ისეთი ვითარებები, მტერთან საომრად დაძახილზე, ერთმანეთის განანყენების ნიადაგზე, დიდებულები არ მიშველებიან მეფეს. ამგვარი დამოკიდებულება ჰქონდათ ერთმანეთშიც. ერთნი მტრისაგან თავს იცავდნენ, მეორე მხარე მაყურებლის როლში გამოდიოდა. ასეთი მოვლენები ქართლის ცხოვრებაში ასახულია.

ჩვენ გვინდა ამ შემთხვევაში სიმონ მეფის პოზიციაზე გავამახვილოთ ყურადღება, რომელმაც სცადა დასავლეთ საქართველოს შემოერთება ქართლთან.

რადგან იმ დროში სიმონ მეფე ყველაზე სამაგალითო პიროვნება იყო, იმერეთის სამეფოს დიდებულთა ნაწილი დიდი ყურადღებით თვალს ადევნებდა ოსმალეთთან მის უკომპრომისო ბრძოლებს. ამ დიდებულთა აზრი ის იყო, რომ თუ სიმონ მეფე ოსმალებს ბოლომდე დაამარცხებდა, იმერეთიც მტრისაგან დაისვენებდა. სიმონმა იცოდა თავის მიმართ იმერელ დიდებულთა სიმპათია, ქართლ-იმერეთის გაერთიანების მხრივ.

რახან იმერეთის დიდებულთა ნაწილი სიმონ მეფეს ამ მხრივ მხარს უჭერდა, მოემზადა, ჯარი მზად-ყოფნაში მოიყვანა და 1588 წელს იმერეთს მიაშურა. იმერეთის მეფე იმ დროს იყო ლევანი. ლევან მეფესაც შეეტყო სიმონ მეფის განაზრახი, მანაც შემოკრიბა სამეფო ჯარი, სიმონთან არმოკავშირე დიდებულთა ჯარის ნაწილებიც შემოი-

ერთა, მივიდა „გოფანთოს ველზე“ და იქ დადგა, დაელოდა ქართლელთა ჯარის მოსვლას. გოფანთოს ძმათაშორის ომი შედგა. სიმონ მეფემ გაიმარჯვა. გამარჯვებული სიმონ მეფე, თავისი ჯარით, ქუთაისში მივიდა და იმერეთის სამეფო ქართლთან შეერთებულად გამოაცხადა. იმ დროს ქართლიდან წამოსული მაცნეც გამოჩნდა, რომელმაც მეფეს აუწყა, ოსმალები ქართლის დასალაშქრავად ეშურებიანო. სიმონ მეფემ დატოვა ქუთაისი და ქართლისკენ გაეშურა. რახან სიმონი იმერეთიდან წავიდა, ლევან მეფეც მალე გამოჩნდა, სიმონ მეფის მომხრე დიდებულებს უვნებლობის ულტიმატუმი წაუყენა და ამით დამშვიდებულმა იმერეთის ტახტი დაიკავა. ლევან მეფეს ცნობა ჰქონდა მიღებული, მამია დადიანს თავისი ბიძაშვილის როსტომის გამეფება სწადიაო. ამის საფუძველზე მას გადანყვეტილი ჰქონდა მამია დადიანის დასჯა, რადგან მამია დადიანსაც აცნობეს ლევან მეფის განაზრახი, მან დაასწრო, ლევან მეფე შეიპყრო, ბორკილები დაადო და შხეფის ციხეში ჩასვა. მას იქიდან ცოცხლად დაბრუნება აღარ ენერა. მამია დადიანმა ლევან მეფის ბიძაშვილს, როსტომ კონსტანტინეს ძეს, თავისი ასული ცოლად შერთო და იმერეთის ტახტი დააჭერინა.

მამია დადიანი იმ ხანებში მალე გარდაიცვალა. ოდიშის მთავარი მამიას უმცროსი ძმა, მანუჩარ დადიანი, გახდა. მალე მანუჩარიც როსტომ მეფის ახლო კაცი შეიქნა.

გურიის მთავარმა გიორგი გურიელმა ვერ დაითმინა როსტომ მეფის კარზე დადიანების აღზევება, შეკრიბა ჯარი, ოსმალთა ჯარიც მოიშველია და ქუთაისს დაეცა. როსტომ მეფემ ერთბაშად მოწინააღმდეგის დახვედრა ველარ მოას-

წრო, დამარცხდა და თავი ოდიშს შეაფარა. გურიელმა იმერეთის ტახტზე თავისი კაცი, ბაგრატი თეიმურაზის ძე, ლევან მეფის ძმის შვილი დასვა.

სიმონ მეფემ ოსმალები გორამდე არ მიუშვა, სასტიკი ბრძოლა გაუმართა, დაამარცხა. სიკვდილს გადარჩენილმა ოსმალებმა სამცხის გზას მიაშურეს. ახალციხე-საფარის მიდამოებში მანუჩარ-ათაბაგი (მუსტაფა) დახვდა თავისი მესხი მეომრებით. სიმონ მეფემ თუ რამ დააკლო გორთან ახლოს მისულ ოსმალებს, მანუჩარმა აუნაზღაურა. მოკლედ, ისეთი დღე ენათ – „ვაის გავეყარე, უის შევეყარეო.“ სიმონ მეფემ, როგორც კი შეიტყო იმერეთის სამეფოში გურიელების ნამოქმედარი, ისევ შემოიკრიბა ჯარი, თავისი თანამოაზრე იმერეთის დიდებულთა მეომრებიც მოიშველია და ქუთაისს ალყა შემოარტყა. არ გასულა დიდი ხანი, ბაგრატი მეფე და მისი მომხრე ჯგუფი ტყვედ ჩავარდა. სიმონ მეფემ ბაგრატი მეფე, თავის ხალხთან ერთად დატყვევებული ქართლისაკენ გაისტუმრა, იმერეთის სატახტოში თავისი ხალხი ჩააყენა და ისევ ქართლისაკენ გაემართა, რადგან ოსმალები გორის დაკავებას ცდილობდნენ. როდესაც მანუჩარ დადიანს სიმონ მეფის წასვლა აცნობეს, როსტომი გვერდში ამოიყენა, სათანადო ჯარიც შეამზადა, მივიდა ქუთაისში, სიმონის თანამოაზრე სატახტოს დამცველები დაამარცხა და როსტომი კვლავ იმერეთის მეფედ გამოაცხადა.

იმერეთის სამეფო კარზე ისეთი ვითარებები განვითარდა, თითქოს ძმათა შორის ომს ეჩქარებიანო. ქართლში დაბრუნებულ სიმონ მეფეს ისევ აუწყეს იმერეთის სამეფოს მდგომარეობა. ეს უკვე მესამეჯერ. არსებული გართულება

გამოსავალი გზის ძებნას ითხოვდა.

დაზავების პირი არ ჩანდა. სიმონ მეფეს სულ რომ აელო ხელი იმერეთის ქართლთან შემოერთებაზე, თვით შიგნით, იმერეთის სამეფო კარზე გურიელების და დადიანების სამტრო ვითარება არ ცხრებოდა.

სიმონ მეფე ისევ იმერეთში გადავიდა. ქუთაისის სატახტოში მისულს როსტომ მეფე ადგილზე არ დახვედრია. სიმონ მეფემ იფიქრა – თუ ისევ გორში გაბრუნდებოდა, ისევ წამოვიდოდა როსტომი, მანუჩარ დადიანთან ერთად და იმერეთის ტახტს დაიკავებდნენ. მან ქართლელთა ჯარის ნაწილი ოსმალთაგან დასაცავად ისევ ქართლისაკენ გააბრუნა, დარჩენილი მეორე ნაწილი გვერდით იახლა, ქუთაისიდან გავიდა, „ოფშკვითის ველზე“ მივიდა და იქ დადგა.

როსტომ მეფისა და მანუჩარ დადიანის პოზიცია იყო, იმერეთის ტახტზე ისევ როსტომი დარჩენილიყო, რის საფუძველზე ორივე, როსტომიც და მანუჩარიც სიმონ მეფის ქვეშევრდომად გამოაცხადებდნენ თავს. მათ თავიანთი პოზიცია წერილობითაც მისწერეს ქართლის მეფეს.

სიმონ მეფეს დავით აღმაშენებლური საქართველოს გაერთიანება ენადა, მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა იმერეთის ცალკე სატახტო და მისი ქვეშევრდომი მეფე-დიდებულები.

სიმონ მეფის წინაშე ფიცპირობა დადებულმა დიდებულთა ნაწილმა ურთიერთ თანადგომის პირობა დაარღვია, მალულად როსტომ მეფისა და მანუჩარ დადიანის მხარეზე

გადავიდნენ. თანამოძმეთა შორის ომმა ასეთ ვითარებაში უთანასწორო ხასიათი მიიღო.

ამ ბრძოლაში სიმონ მეფის მხარე დამარცხდა.

„გაემარჯვათ როსტომ მეფესა და მანუჩარ დადიანს, ქართლელთაგან

მრავალი ამოსწყდენ, მუნ და სხვანი წარმოვიდეს ოტე-ბუნნი“.

ქართლის ცხოვრება

ასე გათავდა დიდი სიმონ მეფის საქართველოს გაერთიანების დავით აღმაშენებლური ცდა.

## „გოფანთო, ოფჰკპითის“ მოვლენების განხილვა

რადგან ოსმალეთი არ ცხრებოდა და ყველა ხერხით ცდილობდა ქართლში თავიანთი ძალადობრივი უფლებების შენარჩუნებას, სიმონ მეფე დიდი სულისკვეთებით ახერხებდა ქართლიდან მათ განდევნას. მაგრამ ოსმალთა ჯარს, თავიანთი სიმრავლის გამო, მაინც თავისი გაჰქონდა და ბევრჯერ ქართლში სიმონ მეფის მიერ განთავისუფლებული ციხე-ქალაქები ისევ ოსმალოებს დაუჰყრიათ. ეს გამუდმებული უთანასწორო ბრძოლა ირანიდან სიმონ მეფის დაბრუნებიდან – 1578 წლიდან 1599 წლამდის გაგრძელდა. ამ დროის შუალედში, 1588-1590 წლებში, სიმონ მეფემ იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთება სცადა. ეს ის დროა, როცა მანუჩარ ათაბაგი (მუსტაფა) ოსმალებს განუდგა და სიმონ მეფის გვერდით დგომა არჩია. ვინაიდან ქართლი ოსმალებს მარტო უმკლავდებოდა, სიმონ მეფისათვის ეს მოვლენა სასურველი შეიქნა. სიმონმა თავისი და ელენე მანუჩარ ათაბაგს ცოლად შერთო. ამ მდგომარეობამ სამცხე ქართლს შემოუერთა, ეს უკვე წარმატება იყო. საქართველოს ეს ორი გაერთიანებული მხარე მტერს სათანადო პასუხს გასცემდა.

დასავლეთ საქართველო ამ დროს ურთიერთდაპირისპირებას მოეცვა. ხალხი ხედავდა ყველაფერს, ხედავდნენ დიდებულებიც თუ როგორ იღწვოდა სიმონ მეფე ოსმალეთის წინააღმდეგ. ტერიტორიულად ქართლი შორს ხომ არ იყო, იქვე მათ გვერდით, ერთ ნაბიჯზე. იმერეთის

დიდებულთა სალად მოაზროვნე ნაწილს მხედველობიდან არ გამოორჩენოდა ქართლში შექმნილი ვითარებები და დიდი კრძალვა და პატივისცემა გაუჩნდებოდათ სიმონ მეფის მიმართ, როგორც მებრძოლისა, სარდლისა და თავის ქვეყანაზე გულშემატკივარი მეფისა. მათ გონებაში ჩაუქრობლად ენთებოდა განცდა იმისა, თუ როგორი ამაგი დასდო საქართველოს დავით აღმაშენებელმა, თამარ შვიდმნათობიერმა და გიორგი ბრწყინვალემ. ასე ესახებოდათ სიმონ მეფის, თავიანთი თანამედროვე კაცის, ქვეყნისათვის თავდაუზოგაობაც. დასავლეთ საქართველოს დიდებულთა განწყობა თავის მიმართ სიმონსაც უნდა სცოდნოდა. რომელთაც გაერთიანებული საქართველოს შინაარის მნიშვნელობა მეტად ესმოდათ, სიმონ მეფემაც მათთან გააბა ურთიერთობა. ესენი იყვნენ: წერეთლები, აბაშიძეები და ჩხეიძეები. დიდებულთა ეს ნაწილი იმერეთის სამეფოს ქართლის სამეფოსთან შემოერთების მომხრე აღმოჩნდა. „ოფშკვითის ომის“ დაწყებამდე წინარე მოვლენებში სიმონ მეფის მომხრე ამ დიდებულებმა პოზიცია შეიცვალეს. რა იყო მიზეზი? რა მოხდა? ჯერ ღირსება დაინახეს სიმონ მეფეში, როგორც საქართველოზე მზრუნველისა, ამ საფუძველზე მისი აზრის გამზიარებელნი გახდნენ, მერე პოზიციას იცვლიან. დავით აღმაშენებელი ქართული ცნობიერებისაგან შეფასებულია როგორც უმაღლესი ნიშანი, ქვეყანაზე დიდი ამაგის დადებისა. იგივე დავით აღმაშენებელი ხომ იყო მკაცრი, ქვეყნისათვის მზრუნველი ხალხის საქვეყნო საქმისთვის შერჩევაში, მისი სიმტკიცე სამართლიანად აწონასწორებდა ქვეყნის ბედს, ქვეყნის თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის უპირატესობას აძლევდა დაბალი ფენების წარმომადგენლებს. დიდებულთა ნაწილმა

ამას მიაქცია ყურადღება, რომ სიმონ მეფეც მკაცრი იყო და სამართლიანი, ტანჯული, როგორც ალამუთის ციხეში ცხრანელი მყოფი, მარტოსული, საქართველოს მტრების წინააღმდეგ მარტო მდგომი. დიდებულებს შეეშინდათ ან შეაშინეს, იმერეთის სამეფოს ქართლთან შეერთებაში თავიანთი ავტონომიური უფლებები შეეზღუდებოდათ. პირადული ინტერესებიდან განსაზღვრეს ყოველი მომავალი და შერჩეული მდგომარეობა ამჯობინეს მომავალ შეუჩვეველ მდგომარეობას. მათი საქციელი სწორი იქნებოდა მაშინ, რახან სიმონ მეფეს განუდგნენ, როსტომ მეფის მხარეზე არ უნდა გადასულიყვნენ. ნეიტრალური პოზიცია უნდა დაეკავებინათ და დაზავების გზა მოეძებნათ, ამას თუ მიაღწევდნენ, შეიძლება, „ოფშკვითის ომი“ არც მომხდარიყო. „ოფშკვითის ომი“ შემდგომში 1626 წლის „ბაზალეთის ომის“ წინა პირობის მსგავსია, იგივე მდგომარეობა განვითარდა, ორივეგან დიდებულთა ნაწილმა უარყოფითი როლი შეასრულა, თავიანთი სათავადო უფლება-მოსილების შეზღუდვისა შეეშინდათ, პირადული ინტერესებიდან გამოვიდნენ და ის მხარე არჩიეს რომელი მხარეც მათ ინტერესებს დაიცავდა. „ოფშკვითის ომში“ სიმონ მეფის მომხრე დიდებულები მონინააღმდეგე მხარეს რომ არ გადასულიყვნენ, იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოს შეუერთდებოდა. საქართველოს გაერთიანება მტკიცე ნებისყოფის მქონე მეფეების დროს მომხდარა, ასეთი მოვლენები ქართველი მკითხველისათვის ცნობილია. სიმონ მეფეც ხომ მტკიცე ნებისყოფის მქონე იყო, თან ბაგრატიონი, ომებში გამოცდილი და მრავალჭირნახული. რა მოხდა გოფანთოს ბრძოლის შემდეგ? მან ხომ გამოაცხადა იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოსთან შეერთებულად. რატომ ვერ



შესრულდა ქართველი ერისათვის მუდამ საოცნებო მისია? რატომ ვერ გაერთიანდა საქართველო? ჩვენი ვარაუდით, მიზეზები ისევ სიმონ მეფის ხასიათებშია საძიებელი.

სიმონ მეფეს ყიზილბაშებთან და ოსმალებთან გამართულ ომებში რიცხვობრივად თანარაოდენობრივი ჯარი არასოდეს არ ჰყოლია. იბრძოდა მცირე ქართული რაზმებით, ეძებდა საომარ სტრატეგიულ ხერხებს და ხშირად გამარჯვებასაც აღწევდა. „ოფშკვითის ომში“ დიდებულთა ნაწილი, მართალია, განუდგა თავიანთი მეომრებით და მოპირისპირეთა მხარეზე გადავიდა. (ამით სიმონ მეფის საომარი რესურსი შემცირდა), მაგრამ მას ქვეყნის მტრებთან ომებში გამოცდილება ხომ დიდი ჰქონდა. ბევრად მეტი, ვიდრე როსტომ მეფეს, მანუჩარ დადიანს და სხვა დიდებულებს. საქმეც ამაშია, ნიადაგი არ იყო საამისოდ მომზადებული, რომ ამერ-იმერი გაერთიანებულიყო. მთელ საქართველოში არსებული მოვლენები საამისო პირობას არ იძლეოდა. ქართლის მოსახლეობა ოსმალების განსაღვინად სისხლს ღვრიდა, მარტო იბრძოდა. სიმონ მეფემ ერთი პირობა მოახერხა და იმერეთის სამეფო ქართლის სამეფოსთან შეერთებულად გამოაცხადა.

ამ დროს მაცნე ცნობას მოიტანს, რომ ოსმალები გორის დასალაშქრად მოემართებიანო. სიმონ მეფე ტოვებს იმერეთს და გორისაკენ მიეშურება. ეს მოტივი კი იმას გვეუბნება, რომ იმერეთის სამეფოს ქართლთან შემოერთება დაჩქარებითი მოვლენებით მოხდა. დაჩქარებით ვამბობთ იმის გამოც, რომ ოსმალეთი ბოლომდე არ იყო საქართველოდან ფეხ-ამოკვეთილი და მათთან შეუსვენებელი ბრძოლები

ქართლსაც ასუსტებდა.

სიმონ მეფის მთავარი ამოცანა საქართველოს გაერთიანების მისიაში, თავდაპირველად იყო ქართლის მოსახლეობის საომარ ძალას, ჯარების რესურსის სახით, მაშველი მიმატებოდა. ყველაზე გულდასაწყვეტი უფრო ის იყო, რომ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დიდებულთა ნაწილი, ქართლში შემოსულ მტერს მთლიან საქართველოს მტრად არ აღიქვამდა. „ოფშკვითის ომი“ და შემდგომში მომხდარი „ბაზალეთის ომი“ მრავალი კუთხით დასანახი თანამსგავსი ომებია. სიმონ მეფის მიმტევებლურმა ბუნებამ თანამოძმეების წინაშე სასიკვდილოდ გასამეტებელი ხმალი ვერ ააღმართვინა. ამ ომში მისგან დამთმობის პოზიცია უფრო ჩანს.

მართალია, იგი მკაცრი იყო, მაგრამ მისი სიმკაცრე ერთი შეხედვით ჩანდა. ისე მისი სიმკაცრის უკან ლმობიერი, დამნდობი გული ფეთქავდა. მის მრავალ ჭირნახულ ფსიქოლოგიას, ვაებაგამოვლილი თავის სამშობლო უყვარდა და მისი კეთილდღეობისათვის თავს და თავის ხალხს არ ზოგავდა. მუხლს მოსვენებას არ აძლევდა. ოღონდ თავისი ქვეყანა მტერთაგან დაეხსნა, ყველანაირ რისკზე მიდიოდა. ამიტომაც ხალხის თვალში დიდი პატრიოტული და მაღალი სულის ადამიანად დგას. ქართველი ერისაგან შეფასებულია როგორც დიდი მეფე სიმონ I.

მაგრამ საქართველოს გაერთიანებისათვის უფრო ზემალაღი ძალა და ზოგჯერ ცივი გონებაც ყოფილა საჭირო.

სიმონ მეფეს საქართველოს მტრებთან ომი და მათი

დამარცხება არ უჭირდა, მაგრამ საქართველოს გაერთიანების ცდისთვის თანამოძმეებთან გამართულ ომში დამარცხდა.

ანალოგიური ვითარება შემდგომში სააკაძესთანაც შეიქმნა, ისიც ჯერ ოსმალებს ამარცხებს, შემდეგ ყიზილბაშებს, და, აჰა, სადაცაა, რომ ამოისუნთქოს ქვეყანამ, ისევ შაჰ-აბასის გონებამ გააკეთა ის, რომ, რადგან ვერ შეასრულა ქართლის მოსახლეობის აყრა და ირანში გადასახლება, შეისრულა არანაკლებად ვერაგი მისია – თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილი დაუპირისპირა სააკაძეს და ეს დაუმარცხებელი სარდალი თავის თანამოძმეებთან დამარცხდა.

\* \* \*

1595 წელს შაჰ-აბასმა სიმონ მეფით დაიმედებულმა და იმ დროს კახეთის მეფე ალექსანდრეც უკვე შაჰის ქვეშევრდომად აცხადებდა თავს, მათ ერთობლივი გადაწყვეტილება მიიღეს, ერთიანი ძალებით შეეცაოთ ოსმალეთისათვის. სიმონ მეფე ცალკე წერდა ესპანეთის მეფე ფილიპე II-ს: ჩვენ სამნი, ჩვენი ქვეყნის მესვეურნი, გავერთიანდით, შეთანხმებაც დავდეთ, შეერთებული ძალებით შევუტიოთ ოსმალეთს და ვიხსნათ ქრისტიანები უსჯულოებისაგანო. მინერ-მონერას არაფერი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. შაჰ-აბასიც აქ ნაკლებ აქტიურობას იჩენდა. იმ ვითარებების შემხედვარე ალექსანდრე II-მაც თავის ნაჭუჭში შეკეტვა არჩია. არ გასულა დიდი ხანი, საქართველოზე ოსმალეთისაგან მოსალოდნელი ლაშქრობა ისევ აცხადდა. მათ დროებითი მოჩვენებითი სიმშვიდე ისევ დაარღვიეს, დიდძალი ჯარი შეჰყარეს, მესხეთი გამოიარეს, ააოხრეს, მალე გორს მიადგნენ და ისევ დაიკავეს. მათ წინააღმდეგ ხელის გამომღები ისევ სიმონ მეფე იყო და მათთან ომი ისევ მისაგან რამოდენიმეჯერ დახსნილი გორიდან უნდა დაეწყო.

მეფემ და მისმა მომხრეებმა იცოდნენ გორის ციხეში გამაგრებული ოსმალები არტილერია-ზარბაზნების იმედზე იყვნენ. მარტო ხმალ-შუბით ბრძოლა ვერაფერი შედეგიანი იქნებოდა. ერთადერთი ხერხი ისევ ხანგრძლივი ალყა იყო. ასე გადაწყვიტა მეფემ და 1598 წელს ალყა შემოარტყა გორს. დრო გადიოდა, ციხე შიმშილმა მოიცვა. იმდენად გაუჭირდათ, რომ ღამით ასეულობით ოსმალო გამოდიოდა ციხიდან ლუკმა-პურის საშოვნელად. ერთხელ ხუთასი ოსმალო გამოვიდა

გორის ციხიდან დაშიშვლებული, მოსახლეობაში სურსათის მოსაპოვებლად. სიმონ მეფემ მათ სალიკვიდაციოდ ქართველთა რაზმი გამოყო გორა ბატონიშვილის მეთაურობით. ქართველებმა ოსმალებს გორის ციხისაკენ უკან დასაბრუნებელი გზა გადაუჭრეს და ისე გაანადგურეს ოსმალნი, რომ ამბის მიმტანიც არ დარჩენილა ცოცხალი.

ცხრა თვე გაგრძელდა ალყა. მალე დიდმარხვა დაიწყო. სიმონ მეფემ ოსმალთა თვალის ასახვევად ალყა მოხსნა და განერიდნენ. ოსმალთა სარდლობას ეს არ გაჰკვირვებია. მათ იცოდნენ ქართველები ქრისტიანულ დღესასწაულებზე ომს არ აგრძელებდნენ. ოსმალებს, ცხრა თვის განამებულებს, ძილ-ქუში მოერიათ. სიმონ მეფის გეგმით სულხან თურმანიძეს და ფარსადან ციციშვილს დავალებული ჰქონდათ სათადარიგო კიბეების მომზადება. ქართველმა მეომრებმა ნაბდის ნაჭრები შემოახვიეს ცხენებს ფლოქვებზე და საიმედოდ დაამაგრეს უხმაურო სვლისათვის. სიმონ მეფის ჯარი მიადგა გორის ციხის კედლებს, უხმაუროდ აღმართეს სათადარიგო კიბეები. ოსმალთა ციხიონმა ქართველთა მისვლა მაშინლა შეიტყო, როცა ნახევარი ციხე-ქალაქი ქართველებით აივსო. იმ დღეს ქართველ მეომრებს არც ერთი ოსმალო ცოცხალი არ გაუშვიათ. ასე დამთავრდა გორის ციხის ცხრათვიანი ალყა.

გორში ოსმალური ციხიონის განადგურებით, სტამბოლში სულთანის კარი გლოვამ მოიცვა. სიმონ მეფემ გამარჯვება დადინჯებით დაითმინა და ხელახალი საომარი მზადყოფნა აუწყა ქართულ ჯარს. იმ დროში ოსმალეთის სულთანი მეჰმედ-ფაშა გამხდარიყო. მან სიმონ მეფის და

მისი ქვეყნის ერთხელ და სამუდამოდ ამოსაგდებად დიდ ჯარს მოუყარა თავი, სარდლად ჯაფარ-ფაშა დანიშნა და საქართველოსაკენ დასძრა. სიმონ მეფეს სამცხელებმა აცნობეს საქართველოს საზღვრებში ოსმალთა ჯარის შემოსვლა. მან შიდა ქართლის ჯარი სასწრაფოდ შეკყარა, ქვემო ქართლში მალემსრბოლი გაგზავნა მენინავე სადრომოს შესატყობინებლად. სიმონ მეფე ქუდზე კაცს უხმობდა სამშობლოს დასაცავად.

ავ ბედისწერად ისევ „ფარცხისი“ ჩანს. მაშინ ყიზილბაშებთან იყო ომი – 1569 წელს, ახლა 1599 წელია, ოსმალეთი, საქართველოსათვის შავჭირად ქცეული. ფარცხისის მიწას გული უკვნესოდა თავისი შვილების სიმცირის გამო, რომელთაც დაღამებულ სიცოცხლედ და დაუფინყარ ხსოვნად დაინთებდა თავის მკერდზე.

ენერგიადაუშრეტელმა მეფემ ჩამოუარა თავის ჯარს, მამულისათვის ანთებულ გულებზე ეამბორა, არავინ გამოუტოვებია, არავინ დარჩენია, არც დაზარებია, არც ბევრილა იყვნენ. ქართველთა მხარეს მდუმარება ჩამომდგარიყო, მტრის ბანაკიდან ხითხითი ისმოდა. სისხლის საღვრელად იდგა ორივე მხარე.


ფარცხისთან ომი დაიწყო. ეს ორი დაგუბებული ძალა ერთი-მეორეს შეასკდა. რომელიღაც ოსმალოს შიშისაგან დასცდა „დელი სვიმონ“, ომი გახურდა, ძარღვებში სისხლი გაცხელდა, მტკიცედ, გვერდი-გვერდ იბრძოდა ქართველობა, არ იზოგებოდა სიცოცხლე. ისე იყო საქმე, ტყვიას ხმლით იგერიებდა. მტრის შეიარაღებისა და მათი სიმრავლის გამო გულსაკლავად მცირდებოდა ქართველთა რიგები. ერთ

დაჭაობებულ, ხავსიან ადგილას სიმონ მეფის ცხენი ჩაეფლო. ისევ საიდანღაც მოისმა ხრინწიანი ხმა „დელი სიმონი ჩაეფლო“. ყველა მხრიდან მიესივნენ ოსმალონი, მათთვის კარგი ამინდი დამდგარიყო. სიმონ მეფის ირგვლივ მყოფი ჭაობში ჩაფლული ქართველი მეომრები მტერმა ისრებით დახოცა. მეფე სიმონი მარტო დარჩა ვადაში ხმალ-გადატეხილი. ეს მოვლენა ოსმალოებმა კარვის წინ მჯდომარე ჯაფარ-ფაშას აცნობეს. იგი აღტაცებული წამოვიდა სიმონ მეფის სანახავად.

1600 წელი დამდგარიყო. ძვირფასი ტყვე სტამბოლს გააგზავნეს. მათ საზეიმო დრო დასდგომოდათ. სულთანი მეჰმედ III აღტაცებული შეხვდა სიმონ მეფეს. მთელი ოსმალეთი ზეიმობდა გამარჯვებას, ნახევარ მთვარიანი დროშები ფრიალებდნენ სტამბოლის ქუჩებში.

სამშობლოზე დარდით ისევ ავსებულებო სიმონ მეფის გული. იქნება ფიქრობდა კიდევ ყიზილბაშების მსგავსად სამშობლოში გამოუშვებდნენ ირანის სანინაალმდეგოდ. მაგრამ მის ფიქრებს აღსრულება აღარ ეწერა. სიმონ მეფე გარდაიცვალა 1603 წელს. საქართველოს აღარ ჰყავდა დიდი სიმონ I.

თავისი ქვეყნის მოსიყვარულემ, გორელმა ვაჭარმა დიაკვნიშვილმა მოიძია მეფის ძვალნი, ზარდახშაში მოწინებით ჩაალაგა, ზედ აბრეშუმის ნაქსოვი გადააფარა, წამოიღო და მიართვა მეფე სიმონის ძეს – გიორგის და დედოფალ ნესტან-დარეჯანს. მცხეთას, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს სიმონ მეფე, მისი საფიცარი მამის ლუარსაბ I დიდის გვერდით.



ქართლის მეფე ლუარსაბ I დიდი

## **ბ. სააკაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებული აზრის განმარტებისათვის**

1594 წლის ისტორიული საბუთის მიხედვით, მეფე სიმონ I წყალობის წიგნს აძლევს გ. სააკაძეს, რომელსაც „ჩვენსა ერთგულსა თავდადებითა ნამსახურ ყმას“ უწოდებს, ამ დამსახურების საფუძველზე ჯილდოდ აძლევს თბილისთან ახლოს მდებარე სოფელ „ლისს“. როგორც მოსაზრება არსებობს გ. სააკაძე 1585 წელსაა დაბადებული. ამ საბუთის მიხედვით, მაშინ, 1594 წელს იგი ცხრა წლისა იქნებოდა.

საეჭვოა, რომ ამ ხნის ბავშვისთვის მეფეს ერთგული და თავდადებული ყმა ეწოდებინა – განმარტავს ისტორიკოსი მკვლევარი გივი ჯამბურია.

რადგან ეს 1594 წლის საბუთი არსებობს და ის მეფე სიმონ I-ის სახელითაა გაცემული გ. სააკაძის სახელზე, უნდა ვიფიქროთ, რომ სიმონ მეფესთან და სხვა ქართველ მეომრებთან ერთად, გ. სააკაძეც მონაწილეობდა ქართლის ციხეებიდან ოსმალოების განდევნაში.

ამ საბუთის არარსებობის შემთხვევაში, სააკაძის დაბადების თარიღთან ბუნდოვანი წარმოდგენა იარსებებდა. ეს საბუთი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სააკაძეს საომარ ხელოვნებაში გარკვეული გამოცდილება და შესაბამისი ასაკიც უნდა ჰქონოდა.

საგულისხმოა, სიმონ მეფისაგან ამ საბუთში აღნიშნული დამოკიდებულება სააკაძის მიმართ, სადაც აღნიშნავს

„ერთგულსა თავდადებითა ნამსახური ყმა“ ე.ი. იმ ხანებში და იმ ასაკში გ. სააკაძეს თავი გამოუჩენია სიმონ მეფის წინაშე. სხვაგვარად კაცი ასეთი შეფასებით სიტყვას თავისი ყმის მიმართ არ აღნიშნავდა. აქვე უნდა დავინახოთ მეფის ღირსეული დამოკიდებულება სააკაძესთან, რადგან მას ერთგულება და თავდადება გამოუჩენია, მეფესაც თბილისთან ახლოს სოფელი ლისი და მიმდებარე მამულებით დაუჯილდოვებია, რაც ერთგვარი პრივილეგიის მინიჭებასაც ნიშნავს მეფისაგან და მის წინაშე და მის გვერდით ბრძოლებში განსაკუთრებული მონაწილეობის აღნიშვნასაც. უმნიშვნელო დამსახურებისთვის სიმონ მეფე სოფლით ან მიწის ფართით დააჯილდოვებდა სააკაძეს იმ მიწა-მამულებთან ახლოს, სადაც სააკაძეები მკვიდრობდნენ? შესაძლოა და მოხდა ისეც, რომ რახან გ. სააკაძის მამა სიაუშ სააკაძე თბილისის მოურავი იყო და ეს თანამდებობა შვილზე, გიორგიზე გადავიდა, თან სიაუში სიმონ მეფის ახლო კაცადაც და ქვეყანაზე მზრუნველად ითვლებოდა, ამის აღსანიშნავად მეფემ პატივი მიაგო მას, და თბილისთან ახლოს სოფელი ლისით დააჯილდოვა მისი შვილი გიორგი.

დღეს-დღეობით ქართველ ისტორიკოსთა აზრი ერთმანეთთან შეჯერებულია და სააკაძე 1570-იდან 1575 წლებში უნდა დაბადებულიყო. ეს დრო ლოგიკურობასთან ახლოა, რომ სიმონ მეფეს ოსმალებთან გამართულ 1590-1599 წლის ომებში, სააკაძესაც მონაწილეობა უნდა მიეღო. იგი იმ დროს 19 წლიდან 28 წლამდე ახალგაზრდა კაცი იქნებოდა.

სიმონ მეფე 1599 წელს, ოსმალოებთან (ჯაფარ-ფაშასთან) გამართულ ომში, ტყვედ ჩავარდა. როგორც კი სიმონ



ქართლის მეფე სიმონ I ღიღი

მეფის ცხენი ქაობში ჩაეფლო, ამ დროს მის ირგვლივ მყოფი ქართველი მეომრები მეფეს იცავდნენ, მათ არ უნდოდათ მტერს იგი ხელმეორედ შეეპყრო. ეს საშიშროება მათ ცხადად დაინახეს, ისინი სიმონ მეფეს იოლად არ დაუთმობდნენ მტერს და სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე შეეცდებოდნენ განსაცდელისაგან მეფის დახსნას და სამშვიდობოზე გაყვანას.

ოსმალთა მხრიდან შეცნობილ სიმონ მეფეს, თან ასეთ ჩაფლულ მდგომარეობაში მყოფს, მტერი ხელიდან არ გაუშვებდა.

სიმონ მეფის დამცველ ქართველებს ისინი ისრებით გაანადგურებდნენ და მეფეს შეიპყრობდნენ. გ. სააკაძე მათ შორის რომ ყოფილიყო, მასაც მეფის დამცველი მეომრების ბედი ელოდა. შესაძლოა იმ საბედისწერო ვითარებაში, სააკაძე მეფესთან ახლო მანძილზე არ იმყოფებოდა და ომის სხვა მონაკვეთში აგრძელებდა ოსმალებთან ბრძოლას. მოგვიანებით შეიტყო მეფის დატყვევება, ტყვედ ჩავარდნილ და ოსმალეთის გზაზე გასამგზავრებლად გამზადებულ მეფეს მარტო არ მიატოვებდნენ. მასთან ერთად უნდა ყოფილიყო რამოდენიმე დატყვევებული ქართველიც. ან სიმონ მეფის გვერდში ყოფნის თავის ნება-სურვილით გამოცხადებული და ოსმალეთში გასაგზავნად მზად მყოფი რამოდენიმე ქართველი. მათ შორის ასეთი ერთ-ერთი თავისი სათაყვანებელი მეფის გვერდში მდგომი გ. სააკაძე უნდა ყოფილიყო.

ამის დასაბუთებას იოსებ თბილელის „დიდი მოურავიდან“ მოყვანილი სტროფი ადასტურებს:

„როს ყმა გადაჰყვეს პატრონსა მსახურობს ღარიბობასა,  
პატრონისათვის კვდებოდეს იქმოდეს სახლის თმობასა.“

## სმე პრისა, შეჴასეჴა „დიღის“ ბანმარტეჴისათჴის

1603 წელს, სიმონ მეფის გარდაცვალების შემდეგ, გ. სააკაძე ქართლში დაბრუნებულა. შესაძლოა, გორელ ვაჭარს, დიაკვნიშვილს, მან ასწავლა და დააკვალიანა თუ როგორ, რა ადგილას უნდა მოეძიებინათ სიმონ მეფის ნეშთი, რომ საქართველოში ჩამოესვენებინათ. მას, როგორც ვაჭარს, ასეთი საშუალება ჰქონდა.

ქართლის ტახტს 1604 წლიდან სიმონ მეფის შვილი გიორგი X განაგებდა. რადგან სააკაძემ თავისი ერთგულება სიმონ მეფისადმი, ოსმალეთში გაყოლით გამოხატა, რაც ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ერთგულებასაც ნიშნავდა, ამან წინაპირობა შეუქმნა გიორგი X-საც სააკაძე თავის გვერდში ჰყოლოდა. 1604 წელს ირანსა და ოსმალეთს შორის ომი გაიმართა, რომელიც „ერევნის ომითა“ ცნობილი. ამ ომში შაჰ-აბასის ირანულმა არმიებმა დაამარცხეს ოსმალეთის არმიები, ერევნიდან ოსმალთა განდევნა – განადგურებაში მონაწილეობა მიიღეს გიორგი X-მ და გ. სააკაძემ, ქართულ ჯართან ერთად. ამით კმაყოფილ შაჰ-აბასს ქართლის მეფის გიორგი X-ის და სააკაძის ირანისათვის თანადგომა, განსაკუთრებული ნიშნით აღუნიშნავს, რაც გამოიხატა ქართლის სამეფო კარისათვის სამი ირანული სოფლის გადაცემით. გ. სააკაძე იმ დროს 33 წლის უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რადგან მეჩვიდმეტე საუკუნე მტრებთან მიმართების შინაარსობრივი გაგრძელებაა მეთექვსმეტე საუკუნისა, აქვე იგულისხმება საქართველოს ურთიერთდამოკიდებულება მის მეზობელ ქვეყნებთან – ყიზილბაშურ ირანთან და ოსმალეთთან, ხშირად სამტრო და ხშირად სამოკავშირეო ურთიერთობები. თუ საქართველო სამოკავშირეო პოლიტიკურ გზას ირანთან დაამყარებდა, მაშინ ეს ორი გაერთიანებული ქვეყანა ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ. ასეთი გაერთიანებული ბრძოლა ოსმალეთის წინააღმდეგ გაერთიანებული მხარეების ცალ-ცალკე ინტერესებსაც შეიცავდა. ე.ი. იმ ეტაპებზე საქართველოსა და ირანს ცალ-ცალკე ერთმანეთი ჭირდებოდათ. უფრო მოგვიანებით, მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის წლებში, საქართველოს ხან სამტრო და ხან სამოკავშირეო ურთიერთობა ჰქონდა ოსმალეთთან. ხშირად ხდებოდა ისეც, რომ როცა ქართლი ყიზილბაშების მომხრე იყო, იმ დროს კახეთს ოსმალეთი მიაჩნდა უკეთეს მოკავშირედ.

ჩვენი მიზანია ყურადღება გავამახვილოთ მეთექვსმეტე საუკუნის მოვლენებზე, რა დროშიც მოღვაწეობდნენ ლუარსაბ I და სიმონ I. მათი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება ირანთან და ოსმალეთთან, როგორ იღვწოდნენ, როგორ ატარებდნენ თავიანთ იდეურ პოლიტიკურ ხერხებს ხან ირანთან, ხან ოსმალეთთან, ხან კი ორივე ქვეყანასთან



ერთად. გინდა დიპლომატიურ ურთიერთობებში, თუნდაც საომარ ვითარებებში ამ ორივე პიროვნების დამსახურება თავიანთი ქვეყნის წინაშე, ქართველმა ერმა, შეამკო ლუარსაბ მეფე დიდი და სიმონ მეფე დიდი ტიტულით დიდი. ეს იყო მაშინდელი ქართველი საზოგადოების ერთობლივი შეჯერებული შეფასება. ის ქართველი მეომრები, რომლებიც საომარი მოქმედებებისთვის იქნებოდნენ მზად, მათი საშუალო ასაკი უნდა ყოფილიყო 20 წლიდან 50 წლამდის, ან უფრო მეტის ან ნაკლების. ისინი ლუარსაბ I-თან მხარდამხარ იბრძოდნენ საქართველოს მტრების წინააღმდეგ გამართულ ომებში. ამ ომებში ბევრი მათგანი იღუპებოდა ბევრიც გადარჩებოდა. გადარჩენილები ისევ აგრძელებდნენ ლუარსაბ I-თან ერთად მტრის წინააღმდეგ ბრძოლებს.

ლუარსაბ I-ის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამებრძოლები, რომელნიც ომებს გადაურჩებოდნენ, ომებში მონაწილეობას გააგრძელებდნენ, სიმონ I-თან ერთად ყიზილბაშებთან ომებში, როცა ის ქართლის მეფე გახდა.

სიმონ I-მა მრავალი ბრძოლა და ომი გადაიხადა ჯერ ყიზილბაშებთან, მის ტყვედ ჩავარდნამდე 1569 წლამდე. 1578 წლამდის იგი ირანში იყო ტყვედ. ირანიდან დაბრუნების შემდეგაც მან მრავალი ბრძოლა და ომი გადაიხადა ოსმალეთის წინააღმდეგ.

სიმონ მეფის მხარდამხარ მებრძოლი ქართველი მეომრები ასაკობრივად იქნებოდნენ ისევ იმ ხნისანი, რა ასაკის მეომრებიც იბრძოდნენ ლუარსაბ I-ის მხარდამხარ, ისევე საშუალოდ 20 წლიდან 50 წლამდის, ზოგი მეტისაც, ზოგი ნაკლები ასაკის. გააჩნია რა ვითარება იქნებოდა მტრის

საწინააღმდეგოდ. ქუდზე კაცის დაძახების დროს შესაძლოა 50 და მეტი ასაკის კაცი დამდგარიყო საომრად. ამ ომებში სხვადასხვა ასაკის მეომრები დაიღუპებოდნენ, ნაწილი და უფრო დიდი ნაწილი გადარჩებოდა, მათ შორის იქნებოდნენ დაჭრილებიც. მათ მკურნალობა დაჭირდებოდათ. სიმონ მეფის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამებრძოლები იგივე ასაკობრივი მდგომარეობით ხომ გააგრძელებდნენ მტრებთან ბრძოლას, მის შვილთან გიორგი X-სთან ერთად (გიორგი X 1605 წელს გარდაიცვალა) იგივე ქართველ მეომართა ასაკობრივი თანხვედრა რომ საშუალოდ 20 წლიდან 50 წლამდე მეომართა რიგები აგრძელებდნენ მტრებთან ბრძოლებს ლუარსაბ II-სთან და გ. სააკაძესთან ერთად, ჯერ ტაშისკარის ომში და შემდეგ მთელ ბრძოლა და ომის სერიებში სააკაძესთან ერთად. ეს დრო მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე საუკუნე, ისეთი სამტრო პერიოდი იყო საქართველოში, რომ ამ დროს ომები მთელ სერიებადაა დალაგებული. იმ დროის ომის ვეტერანთა შთაბეჭდილებები თაობიდან თაობაზე გადადიოდა და ვრცელდებოდა, ქართველი მოსახლეობა საომარი ვითარებებით ცხოვრობდა, იცოდნენ ყველა ომების მოვლენები, მოგებისა თუ წაგების მიზეზები. დაჭრილ დახოცილთა ბედი, შვილების ხელახლა გაზრდა-აღზრდა და შემზადება მინა-წყლის დასაცავად, მეფეთა თუ გამორჩენილ სარდალთა გვერდში დასაყენებლად.

როცა ვამბობთ „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ ხმა ერისა ამ შემთხვევაში გატოლებულია ყველაზე მაღალ ქემმარ-იტ საზომთან, ღვთის ხმასთან. ამდენად განცდა დიდი ხმა ერისა ქართველ ხალხის გულიდან ამონურული, უშეცდომო სამართლიანი შეფასებაა. ქართველი ერის ქრისტიანული

მართლმადიდებლური, სინდისის წიაღში გამოტარებული, ანონილ-აზომილი სიტყვა „დიდი“ შეფასება გასპეტაკებულია და მარადიულობისათვის მიკუთვნილია. ხალხის ცნობიერება ასეთი თვისებებით სავსე რომ არ ყოფილიყო, დღემდის ვერ მოაღწევდა და ვერ შეინარჩუნებდა თვითმყოფადობას.

ეს ზნეობით გაკრისტალებული, სინდისის წვეთ-წვეთად მადინარი, კონტროლის ქარიშხალში გატარებული შეფასება ღირსეულად მიაკუთვნეს მეფე ლუარსაბ I-ს დიდი, მეფე სიმონ I-ს დიდი და მესამე „დიდი სააკაძე“. „დიდი მოურავი“ ვარსკვლავად გაბრწყინდა ქართული ცნობიერების ცაზე.

რადგან მეთექვსმეტე საუკუნემ გაგრძელება ჰპოვა მეჩვიდმეტე საუკუნეში, ცხადია, მტერთა ფსიქოლოგია ერთნაირი იყო. ქართველი ხალხისაგან თავის გადარჩენის ხერხების მოძიებაც ერთმანეთს ემსგავსებოდა.

ამ სამი პიროვნების ღვანლის შეფასებაც ერთ სიბრტყეზე დალაგდა და ერთმანეთში გაგრძელება ჰპოვა. წყვეტილი დრო არ გაჩენილა. გ. სააკაძის მამა სიაუმ სააკაძე, იმ დროს გამოჩენილი პიროვნება, მეფის მრჩეველი, თბილისის მოურავი და მოლარეთუხუცესი იყო. ასევე მის ძმებს, ივანეს, ზემთაელს და ჯანზურაბს პასუხ-საგები თანამდებობები ეკავათ მეფის კარზე. გ. სააკაძის წინაპარი, ისიც გიორგი სააკაძე „პატრონად“ არის მოხსენიებული ქართლის ცხოვრებაში. მათ რჩევა ეკითხებოდათ და სამეფო წეს-წყობის აღსრულებაში, ელჩობის მისიის შემსრულებელი იყვნენ, მაგრამ ქართველი ერისაგან, შეფასება „დიდი“ როგორც ღირსება არ დაუმსახურებიათ.

როცა ვახუშტი ბატონიშვილი „ტაშისკარის ომის“ შესახებ ამბობს: „ამა ომსა შიგან ფრიად მხნედ გამოჩნდა მეფე ლუარსაბ II და უმეტეს მოურავი“.

მეთვრამეტე საუკუნის მემატინეს „ტაშისკარის ომის“ შეფასება და ლუარსაბ მეფეზე წინ სააკაძის უნარების დაყენება აიხსნება იმ მოტივით, რომ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველ მეოთხედში სააკაძისაგან ჩატარებული ყველა საომარი ოპერაცია და მათი შინაარსობრივი მნიშვნელობა იმ დროის ქართველ ხალხში დიდი აღტაცებითა და სიამაყით მონათხრობი თაობიდან თაობაში გადმოდიოდა და ეს სათუთად შენახული სააკაძის, როგორც დიდი სარდლის სახელი, საფუძველი გამხდარა ვახუშტი ბატონიშვილიც აღტაცებაში მოეყვანა. ქართველი ხალხის შეუმცდარი ალლო, რასაც სიმართლის ფესვები კვებავდა, მათგან სახელდებული „დიდი“ მეფეებთან გატოლების მცდელობა კი არ არის, მეფეები თავიანთი ტიტულებით ცალ-ცალკე ისევ მეფედ დარჩნენ, მოურავი სააკაძე მოურავად დარჩა.

ქვეყნისადმი ამ სამი პიროვნების სამსახური, ქართველი ხალხისაგან შეფასდა როგორც „დიდი ღვანლი“.

თბილისის მოურავები და ქალაქის თავები სააკაძემდეც იყვნენ და მის შემდეგაც სხვადასხვა გვარის წარმომადგენლებიც, მაგრამ ხალხისაგან შეფასება „დიდი“ მათ არ დაუმსახურებიათ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში დიდებულთა ფენებს ყველას ცალ-ცალკე ჰყავდა სასახლის მოურავები, რომელნიც მარტო გვარ-სახელებით არიან ცნობილი.

„ხმა ერისა“-ს ფესვებს ქართული ცნობიერების შვიდ-იათასწლოვანი ისტორია ჰკვებავს. ერი და თავის ხმა ერთდროული და ხანგრძლივ ასაკში გამოვლილ-გამოტარებული, თანაარსებობრივად არსებული მაღალი ღმერთის მოსასმენი განცდაა და მისაგან ეძლევა დასტური მარადიულობისაც.

ერთობლივი ჯანსაღი აზრის სრულყოფაში ხალხის სინდისს სწორედ მაღალი ღმერთი აკონტროლებს და მისგანვე სწორ ცნებად ნიშანდებული შეფასება – „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“ ისმის, რაც მარადიულობის შინაარსით იმოსება. ჩვენში, მაღალი ღმერთისადმი რწმენა ხომ თავმდაბლობად, სინდისად და სიმართლედ არსებობს.

რაკი უზენაესისაგან მონმდება და კონტროლდება ესა თუ ის მოვლენა, ასეთ შემთხვევაში ტენდენციურობა სრულიად გამორიცხულია, თუ სადმე მაინც გაჭაჭანდა ეს უსამართლო ტენდენციურობა, ამ შემთხვევაში სატანაა ჩარეული და იქ ხმა ღვთისას და ხმა ერისას ადგილი არა აქვს.

## ქართული ერისგან ცოტნე დადიანის „დიდის“ შეფასების განმარტებისთვის

1247 წელს მოენყო „კობტასთავის“ შეთქმულება, ეს ადგილი ჯავახეთშია, მიუვალი, ძნელად მისადგომი. აქ შეიკრიბნენ ქართველი დიდებულები: ეგარსლან ბაკურციხელი, კახაბერ კახაბერიძე, ვარამ გაგელი, ყვარყვარე ჯაყელი, შოთა კუპრი, თორღვა პანკელი, სარგის თმოგველი და გამრეკელ თორელი. მათ შორის იყო ოდიშის მთავარი ცოტნე დადიანი.


საქართველოში იმ დროისათვის მონღოლებისაგან რთული ხანა იდგა, ქართველები ბჭობდნენ როგორ მოქცეულიყვნენ, რომ მონღოლებისგან თავი დაეხსნათ. შეხვედრის ადგილიც დათქვეს სამცხეში „რკინისჯვართან“ ახლოს თავს მოიყრიდა გაერთიანებული ქართული მხედრობა მთავარ აზრთან შეთანხმების შემდეგ. ცოტნე დადიანმა და კახაბერ კახაბერიძემ შორი მანძილის გამო, ადრე დატოვეს შეკრების ადგილი. ერთი იმერეთ-აფხაზეთის გზით მიდიოდა, მეორე რაჭა-თავკვერის. მათი წასვლიდან დიდი დრო არ იყო გასული, „გამცემის“ ენით თავიანთს ქვეყანაზე გულშემატკივარი ქართველები შეიპყრეს, ბორკილები დაადეს და „შირავაკანში“ ჩაიყვანეს, სადაც მონღოლთა ბანაკი იდგა. ქართველები მთავარ ნოინს ჩარმალანს წარუდგინეს. იგი ქართველების მიმართ კეთილ დამოკიდებულებას იჩენდა. მის შეკითხვაზე რას თათბირობდით თუ არა განდგომასო, ქართველების პასუხი იყო: არა განდგომა, ჩვენი შეკრების მიზანი იყო მოგვეზადებინა ხარკის დროულად გადახდაო. ეს მონღოლებისთვის დაუჯერებელი შეიქნა, ნოინის ბრ-

ძანებით ქართველებს ტანისამოსი გახადეს, ტანზე თაფლი წაუსვეს, თოკებით ერთად გადააბეს, შეკრეს, შეკონეს და სიცხეში მზის გულზე დაჰყარეს.

დანიშნულ დროზე და ადგილზე ცოტნე დადიანი გამოცხადდა თავისი ჯარით, როგორც ჩანს, მას ლოდინი მოუწია როცა დარწმუნდა რომ თანამზრახველნი აგვიანებდნენ, დაზღვევის მიზნით, დაეჭვებულმა, ჯერ თანმხლები ჯარი შეუმჩნეველ ადგილას გადამალა და შემდეგ ვითარებაში გარკვევა სცადა. როგორც კი შეიტყო თავისი თანამზრახველების შეპყრობა, თავისი ჯარი უკან გააბრუნა, თვითონ კი მონღოლთა ბანაკისაკენ გაემართა.

აქ ცოტნე დადიანის გონიერებასაც უნდა გაესვას ხაზი. ცოტნე დადიანის ჯარი რომ ეხილათ, მონღოლებისათვის დამაჯერებელი დასტური იქნებოდა ქართველებისაგან მათ მიმართ აჯანყების მზადებისა. ამ გართულების დასაფარად ცოტნემ პირველ რიგში თავისი ჯარი უკან გააბრუნა. მივიდა თავის თანამზრახველებთან, ტანთ გაიხადა, თაფლი წაისვა, თვითონვე შეიბორკა და მათ შორის მოთავსდა.

რადგან გამცემის ენით მტერმა მოთათბირე ქართველები შეიპყრო, ცოტნე დადიანმა ხომ განსაზღვრა ყოველივე, რომ თავისი თანამემამულეების ბედი გადანყვეტილი იყო და მათ მწამებლური სიკვდილი ელოდათ. ცოტნე მარტო თავის თავზე მოფიქრალი კაცი რომ ყოფილიყო, როცა შეიტყო თავის თანამზრახველების ბედი, მას ხომ შეეძლო თავი აერიდებინა და ისიც თავის ჯართან ერთად უკან გაბრუნებულიყო.



ცოტნე დადიანი ღიღი

ცოტნე დადიანმა ხომ თავი გადადო და პირდაპირ სიკვდილზე წავიდა. მან თავიდან ხომ არ იცოდა, თავისი საქციელით, მტერი ქართველთა საქმეს დადებითად გადანყვეტდა თუ უარყოფითად. ცოტნე არჩევნის წინაშე დადგა ან თანამოძმეების ბედი უნდა გაეზიარებინა, რაც თავდაპირველად პირდაპირ სიკვდილს ნიშნავდა, ან საკუთარი თავი უნდა გადაერჩინა.

ცოტნე დადიანი იმდენად სპეტაკი სულის პატრონი იყო, მან გამოხატა მაღალზნეობრივი ნება და სიკვდილ-განაჩენ გამოტანილ თანამოძმეებს შორის ჩაჯდა. ასე ფიქრობდა ცოტნე, რახან მათი ფარული ბჭობა – მონღოლებისაგან თავის დახსნა ვერ შედგა, იმის გამო რომ ისინი გამცემმა ამხილა, ამ მიზეზით ჯეროვანი სამსახური ვერ გაუწიეს სამშობლოს. ერთად ბჭობდნენ, ერთად თათბირობდნენ და მაინც ვერ ეწივნენ სანადელს, და მათი ზრუნვა ქვეყანაზე ისეთი წმინდა იყო, რომ ფიც-დადებულნი ერთად იბრძოლებდნენ დამპყრობთა წინააღმდეგ, თუ მიზანს ვერ მიაღწევდნენ ერთად მაინც დაიხოცებოდნენ. აქ არის ცოტნე დადიანის ზემოაღალი ბუნება თვალსაჩინო. თავისი სიცოცხლის სარისკოდ, სიკვდილის წინაშე დაყენებამ განსაზღვრა თანამოძმეთა სიცოცხლის ბედი.

იმდენად მაღალი კეთილშობილება გამოხატა დადიანმა, რომ მტერი ჯერ გაოცდა, შემდეგ ეს გაოცება ქართველების მიმართ სანდოობა დამაჯერებლობაში გადაიზარდა. ერთი მნიშვნელოვანი ვითარება ისიც იყო, რომ ქართველებისადმი კეთილგანწყობილ „ჩარმაღანს“, მაგრამ მაინც მტერს, სამუალება მიეცა მტრის თვალით დანახული ქართველი კაცის

ღირსება საჯაროდ ელიარებინა როგორც სამაგალითო მოვლენა, ზოგადად კაცისა, მეგობრის გამტანისა, გასაჭირში მისთვის სიცოცხლის არ დაზოგვისაც.

მომავალ თაობებში ცოტნე დადიანი და მისი ოქროზე ასანონი მოქმედება, მზესავით ნათელ მოვლენად ჩასახლდა ქართულ ცნობიერებაში და მას ქართველმა ხალხმა „დიდი“ ცოტნე დადიანი უწოდა.

ქართველი ხალხისაგან მეთოთხმეტე საუკუნეში 1360 წლიდან მეფე ბაგრატ V-ის ღვანლიც შეფასებულია როგორც „დიდი“. ეს არის თემურ-ლენგის შემოსევების ხანა. თბილისთან გამართულ ომში ბაგრატ მეფე ტყვედ ჩავარდა. თემურ-ლენგის მოთხოვნით იგი იძულებული იყო ქრისტიანული სარწმუნოება შეეცვალა, მან ფორმალურად შეიცვალა სარწმუნოება იმის გამო, რომ ამ მტარვალის ნდობა მოეპოვებინა.

თემურ ლენგმა, ბაგრატ მეფის სარწმუნოების შეცვლაში უკვე დაჯერებულმა, მას 12 ათასი მეომარი გამოუყოფითომ იმის გამო, რომ ქართველ მოსახლეობასაც მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე მოაქცევდა. მოხდა პირიქით: ეს 12 ათასიანი მტრის არმია მესხეთში, ურაველის ხეობაში სულ გაუნადგურა. ეს მოხდა 1387 წელს. ამ მოვლენამ ისედაც სისხლ-მონყურებული მტარვალი უფრო განარისხა და კიდევ ექვსჯერ შემოესია საქართველოს. იმ ხანებში უკვე ბაგრატის შვილი გიორგი VII მეფობდა. თემურ-ლენგი ქვეყნის მპყრობელი იყო. საქართველოს დაპყრობაც მის გეგმაში შედიოდა. ერის გონიერებამ გაითვალისწინა ბაგრატ V-ის ამაგი იმ მხრივაც, რომ გიორგი ბრწყინვალის მიერ საქართველს



TAMERLANE - MAGNUS  
*(Handwritten text in a cursive script, likely a historical record or inscription related to the figure.)*

თემურ-ლენგი

ველოს გაერთიანების საქმის ერთგული გამგრძელებელი იყო და აქტიურად იღვწოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის თემურ-ლენგის შემოსევამდის. ქართველ ერს წონასწორობა არასოდეს დაუკარგავს, ბაგრატ მეფის ღირსეული სამსახური ქვეყნისათვის ჩრდილში არ დაუყენებია, იგი შეამკო მეფე ბაგრატ V „დიდის“ ტიტულით.

როდესაც მეფე ბაგრატმა წერილი გაატანა რუსა ეგნატაშვილს, თავისი შვილის გიორგისთვის გადასაცემად, სადაც მეფე იტყობინებოდა, თუ რა რაოდენობის მტრის ჯარი მოჰყავდა და სად უნდა დახვედროდა ქართული ჯარით, შვილმა გიორგიმ ხომ ბრწყინვალედ შეასრულა მამის დავალება, 12 ათასიანი მტრის ჯარის განადგურებაში. ამის მერე თემურ-ლენგი კიდევ ექვსჯერ შემოესია საქართველოს. ბაგრატ მეფის შვილზე, გიორგი VII-ზე, მის მხრებზე გადაიარა ამ ვარამმა. ისიც, როგორც მეფე, ხომ ცდილობდა, მტერს რომ მოსახლეობა არ გაენადგურებინა და მიუვალ ადგილებში ახერხებდა მათ გახიზვნას. მტერი დაცარიელებულ სოფელ-ქალაქებს მიწასთან ასწორებდა, განა ერთხელ და ორჯერ. როცა თემურ-ლენგი საქართველოს ტოვებდა, გიორგი VII ამ გადამწვარი სოფელ-ქალაქების აღდგენას ცდილობდა. განა პატარა დამსახურება აქვს მასაც თავისი ქვეყნისათვის?

ქართველი ხალხის სამართლიანობის სასწორი ტენდენციური რომ ყოფილიყო, გიორგი VII-საც იმავე „დიდის“ ტიტულით შეამკობდა.

ქართველი ერისგან შეფასებით, წილად ერგო „დიდის“ ნიშანი ალექსანდრე პირველსაც, რომელიც მეფობდა (1412-1442წწ-ში) იგი 22 წლის ასაკში გამეფდა. მისი აღმზრდელი იყო რუსა, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლე. ეს იყო ცნობილი ქალბატონი, გამორჩეული სისპეტაკითა და მაღალი ზნეობრივი დამოკიდებულებით თავის ქვეყანასთან, მისი ამაგიანი გულის კარნახით დაიწყო სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა, რომელიც თემურ ლენგის შემოსევებმა დააზიანა, ცხადია არ იყო ადვილი, მით უმეტეს, ასეთი მტარვალის რვაჯერ შემოსევის დროს, როცა საქართველო, მისი მთაბარი, მტრისგან მინასთან იყო გასწორებული. სადაც „არლარა იხვნებოდა და არლარა ითესებოდა“

ალექსანდრე I მა ღირსეული გადაწყვეტილება მიიღო, პირველ რიგში მტარვალთაგან იავარქმნილი ტაძრებისა და ციხე-დარბაზების აღდგენა, რისთვისაც ფულადი სახსრები იყო საჭირო. მეფეს ნაკლები იმედი ეძლეოდა სამეზობლო ქვეყნისაგან, ვინაიდან ისინიც მუდმივად თავდასხმას განიცდიდნენ მტერისგან. ამიტომ ერთადერთი გზა და ნათელი იმედი ისევ თავისი ხალხი იყო. მან მაღალი გადასახადები შემოიღო, ქვეყნის ფეხზე დაყენებისათვის. ეს მას მხოლოდ დროებით სჭირდებოდა. როგორც კი ქვეყანამ ამოისუნთქა და იავარქმნილი ტაძრების განახლება დასასრულს მიუახლოვდა, ალექსანდრე პირველმაც მოსახლეობაზე მაღალი გადასახადები გააუქმა. ქუცნა-ამირეჯიბის მეუღლის რუსას დაწყებული სვეტიცხოვლის ტაძრის აღდგენა-განახლება, მისი გარდაცვალებიდან მისივე აღზრდილ ალექსანდრე პირველს გაუგრძელებია და დაუმთავრებია 1431 წელს. იმავე ხანებში, ალექსანდრე მეფის თაოსნობით, ქართველებმა

თათრები აიძულეს დაეთმოთ ლორე და მისი მიმდებარე მინა-მამულები.

მალე ბეშქენ ორბელიანმა გულით იგრძნო და ალლოც აულო ალექსანდრეს თავისი ქვეყნისათვის მზრუნველ გზას, მხარში ამოუდგა მეფეს და ცენტრალურმა ქართულმა სახელმწიფომ მისი თაოსნობით შემოიერთა სიკნეთი, ყარაბაღი და მისი მეზობელი თემები. მათი ერთობლივი სტრატეგიით ქართულ მოსახლეობას შემოუმატა 60 ათასამდე კომლი, რაც იმ გავერანების ხანაში დიდი წარმატება იყო. სწორედ ალექსანდრე პირველის მეფობის ჟამს, ალორძინების გზაზე დამდგარმა საქართველომ საშუალება მისცა, მუსლიმანური სამყაროსგან შევიწროებულ სომეხ ხალხს, თამამოდმე და მეზობელ ქართველებთან ერთად საქართველოს მინა-წყალზე დასახლებულიყვნენ.

ბუნებით კეთილშობილ ალექსანდრეს დროსაც მძლავრობდნენ შიდა სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევის მოსურნენი, ზოგიერთი დიდებულები და მეფის იმიჯის წინაშე ანგარიშგაუწევლადაც მოქმედებდნენ.

ერთი-მეორის სანინაალმდეგოდ მიიწევდნენ. საპირისპიროდ აიშალნენ ოდიშისა და აფხაზეთის მთავრები, მათ დასამშვიდებლად ალექსანდრე დასავლეთ საქართველოში გადავიდა უგონო სისხლისღვრის შესაჩერებლად. მეფემ მოახერხა დადიანებისა და შერვაშიძეების შერიგება.

1415 წელს მეფეს განუდგა სამცხის ათაბაგი ივანე აღბულას-ძე ჯაყელი. ამ დიდებულს თავისი ჯარებით, ცენტრალური ხელისუფლების ჯარებთან შეტაკებაც კი მოუხდა,



იგი დამარცხდა და ბორკილდადებული მეფეს მიჰგვარეს. იგი საპყრობილეში განათავსეს, მის მიმართ ნდობა დაკარგული მეფე სამცხეში გადავიდა, იქაური დიდებულნი მუხლმოდრეკით ეახლენ მეფეს. რადგან უკვე მოსალოდნელი იყო ივანე-ჯაყელის მსგავსად ისინიც დღეს თუ ხვალ ქვეგამხედვარნი შეიქმნებოდა. ამ საფუძველზე ალექსანდრემ ისინი გადააყენა და მათ ადგილას, დაბალი ფენებიდან შერჩეული პირები დაამკვიდრა, რომელნიც უფრო სანდონი იყვნენ და ქვეყნის შიდა აშლილობას მოერიდებოდნენ. მოგვიანებით ბუნებით ტოლერანტი მეფე ალექსანდრე დატყვევებულ ივანე ჯაყელს ბორკილებს ხსნის, მეფისა და ხალხის წინაშე ფიცს დაადებინებს, რომ თავის მამულში დაბრუნების დღიდან, უერთგულოს ქვეყანას და მართოს თავისი სამფლობელო სამცხე.

ზოგ დიდებულთა და სახლისკაცთა ჭირვეულობით, ოჯახური აყალ-მაყალით დამძიმებული მეფის გული პროტესტ გამოხატავს, ამის ნიშნად კი სამეფო გვირგვინს მოიხდის და ტახტზე დააბრძანებს, 1442 წელს ბერულ ჩოხას ჩაიცვამს და მონასტრის მომლოდინე კარს მიაშურებს, მან სიცოცხლის ბოლო წლები სვეტიცხოვლის ტაძარში გაატარა და მაღალი ღმერთისადმი კრძალვა, რწმენა, მეოხებით ათენ-ალამებდა, ამის მერე მას იცნობენ, როგორც ათანასე ბერს.

მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს XIII-ე საუკუნეში ქართველი ხალხისაგან ცოტნე დადიანის დამსახურება შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

XIV საუკუნეში მეფე ბაგრატ V-ს დამსახურება ქართ-

ველ ერისაგან შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

XV საუკუნეში მეფე ალექსანდრე I-ის დამსახურება ქართველი ხალხისაგან შეფასებულია „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ჯერ ამ სამი პიროვნების მოღვაწეობის ხანას იმ მოტივით, რომ ცოტნე-დადიანის „დიდის“ შეფასებიდან, მეფე ბაგრატ V-ეს „დიდის“ შეფასებამდე რამდენი წელი გავიდა და შემდეგ ბაგრატ V-ეს შეფასებიდან მეფე ალექსანდრე I-ის „დიდის“ შეფასებამდის რამდენი წელი გავიდა.

ე.ი. - 1247 წელი. ცოტნე-დადიანი შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

1387 წელი. ბაგრატ V-ე შეფასდა „დიდის“ ტიტულით. ე.ი პირველის დადიანის შეფასებიდან მეორეს ბაგრატის შეფასებამდის – 140 წელი გავიდა.

ბაგრატ V-ე დიდის 1387 წლიდან, 1442 წლამდის გასულ დროში ალექსანდრე I შეფასდა „დიდის“ ტიტულით. ე.ი. მეორეს ბაგრატისა და მესამე ალექსანდრეს შეფასებიდან შეფასებამდის გავიდა 55 წელი.

ჩვენი მიზანი გასაგებია, მაშასადამე, ამ სამი პიროვნების შეფასებებში წყვეტილი, და თან დიდი დროა გაჩენილი, ანუ თანმიმდევრობა არ არის!

ახლა შემდეგი სამი პიროვნების ღვაწლი განვიხილოთ: ლუარსაბ I-ის გამფებიდან 1527 წლიდან და გარდაცვალებ-

ბამდის 1558 წლამდე მისი მოღვაწეობის დრო და საქართველოს მტრებთან ბრძოლა ქართველი ერისგან შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით.

შემდეგ მისი შვილის, მეფე სიმონ I-ის გამეფებიდან 1556-1569 წლამდე. შემდეგ 1578-1603 წლამდის. მისი მოღვაწეობა და საქართველოს მტრებთან უკომპრომისო ბრძოლები, ქართველი ერისგან შეფასდა „დიდის“ ნიშან-ტიტულით. მისი შვილი გიორგი X, რომელიც გამეფდა 1604 წელს, გარდაიცვალა 1605 წელს. იგი მონაწილეობდა შაჰის ჯარებთან ერევანის ომში ოსმალეთის წინააღმდეგ, რაც ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

გიორგი X ჰყავდა შვილი ლუარსაბ II, რომელიც გამეფდა 1606 წელს იმეფა – 1615 წლამდის, გარდაიცვალა 1622 წელს. მას დიდი წვლილი მიუძღვის 1609 წელს, ოსმალეთთან გამართულ „ტაშისკარის ომში“, რაც დიდი გამარჯვებით დამთავრდა.

მიუხედავად იმისა, ამ ორ პიროვნებამ გიორგი X და ლუარსაბ II დიდი საბრძოლო მისია შეასრულა აღნიშნულ ომებში და ლუარსაბ I-ისა და სიმონ I-ის შვილიშვილებიც იყვნენ და თან მეფენიც. ისინი ქართველ ერს „დიდის“ ნიშან-ტიტულით არ შეუმკიათ.

ქართველმა ერმა „ დიდის“ ნიშან-ტიტულით შეამკო, ლუარსაბ I-ისა და სიმონ I-ის შემდეგ, გიორგი სააკაძის მტრებთან შეურიგებელი ომები.

XVI საუკუნის 1527 წლიდან ლუარსაბ I-ის მოღვაწე-

ობიდან, შემდეგ მისი შვილის სიმონ I-ის საომარი გეგმების გაგარძელებიდან. შემდეგ გიორგი სააკაძის მოღვაწეობა XVII -ე საუკუნის 1629 წლამდის. სრული საუკუნე გადის ანუ 102 წელი, ამ ხსენებულ დროში ანუ ერთ საუკუნეში, ამ სამი პიროვნების მოღვაწეობა თანმიმდევრულია, ერთმანეთში ჩანაცვლება და ერთმანეთში გაგრძელება, სადაც ნყვეტილი დრო არ გაჩენილა.

## **ბ. სააკაძის მიზნები და მისი ურთიერთობები როგორც მომხრე ისე მონინალმდებელი დიდებულებთან**

კერძო საუბრებში, სხვადასხვა დროისა და ეპოქის ისტორიულ მოვლენებზე მსჯელობისას, იშვიათად მახსოვს შემთხვევა, რომ გ. სააკაძეზე სიტყვა არ ჩამოვარდნილიყო. ხშირად იგრძნობოდა ტენდენციურობა, თითქოს სააკაძის ერთპიროვნული მიზანი იყო თავადებთან ბრძოლა. ამ აზრის არასამართლიანობის შესახებ ხშირად მინევედა განმარტება და ახლაც გავიმეორებ, ხალხში ასეთი აზრის დამკვიდრება განაპირობა საბჭოურმა სისტემამ, რაც მიხეილ ჭიაურელის ფილმშია აღნიშნული (რეჟისორ მიხეილ ჭიაურელისაგან ფილმი „გიორგი სააკაძე“ გადაღებულია უდიდესი პასუხისმგებლობით, დიდი რეჟისორული ოსტატობით, მაღალმხატვრული ხერხებით და ყველა იმ ტექნიკური მიდგომით, რაც ფილმის საუკეთესო ღირებულებისათვის იყო საჭირო. ფილმში მონაწილეობს, მსოფლიო მასშტაბით ცნობილი, ბევრი ქართველი მსახიობი. მათ თავიანთი ნიჭი, უნარი, გარდასახვის ფსიქოლოგია, უმაღლეს რანგში აქვთ წარმოჩენილი. რეჟისორისაგან ფილმში იგრძნობა გ. სააკაძის პიროვნებისადმი ღრმა, შინაარსიანი ცოდნა, იმ ეპოქის ყველა კარგ თუ ავ მოვლენას, რეჟისორის თვალთ, სინათლე აქვს მოფენილი, სადაც უდიდესი თანადგომა გაუნევიათ ჩვენს სასიქადულო ისტორიკოსებსაც. რეჟისორისაგან ფილმთან მიმართებაში ჩანს, თავისი ქვეყნის უდიდესი სიყვარული. რომ ისტორიული გმირები ყოველთვის პასუხისმგებლურ სამსახურს უწევდნენ თავიანთს სამშობლოს, მაშინ როცა ისინი მოღვაწეობდნენ.

დღესაც, და მომავალშიც მათი საქმეები, ჩვენი მომავალი თაობებისათვის, სამაგალითო გზა იქნება.).

ეს ფილმი დიდი სამამულო ომის დროსაა გადაღებული. მაშინდელ სახელმწიფოებრივ სისტემას სჭირდებოდა, რომ იდეოლოგიური, პოლიტიკური, პატრიოტული სულისკვეთება ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ გაზრდილიყო, რაც იმ დროში ი. სტალინის მიზნებში და გეგმებში შედიოდა.

აქ გასაკვირი არაფერია, მაშინდელი ბოლშევიკურ-კომუნისტური იდეოლოგია დაფუძნებული იყო მუშათა და გლეხთა ფენებზე, როგორც ამ სისტემის ქვაკუთხედი. მათი ასეთი მიმართულება დაპირისპირებაში იყო, საშუალო და დიდ თავადთა იდეოლოგიასთან ანუ მონარქისტულ სისტემასთან.

რადგან გ. სააკაძე საშუალო აზნაური იყო, მისი ეს მდგომარეობა კომუნისტთა იდეების თვალთახედვით გაიგივებული და გატოლებული იყო მუშათა და გლეხთა ფენასთან და როცა დღესდღეობით, ქართველ საზოგადოებაში ისევ არსებობს აზრი – სააკაძე თავადებს ებრძოდაო, მოთმინებით უნდა მივყვეთ იმ დროის მოვლენებს, ნათელი მოეფინოს, ვინ ვის ებრძოდა და ამ ორ მხარეს ცალ-ცალკე რა მიზნები ამოძრავებდათ.

გ. სააკაძე სამეფო აზნაურთა ფენას ეკუთვნოდა; ეს იყო საფუძველი მისგან ცენტრალური ხელისუფლების მიმართ, უპირველესი ერთგულება გამოეჩინა, რაც ტრადიციად მამა ბიძებისაგან მოსდგამდა.

შიდა კლასობრივი ბრძოლა, ხან ხილული და ხან უხილავი ფორმით, მეფესა და თავადებს შორის მუდამ არსებობდა. ისინი ურთიერთსაპირისპირო ფსიქოლოგიით მოქმედებდნენ, ფარულ საუბრებსა და თათბირებს არ ერიდებოდნენ.

თუ აუცილებლობა მოითხოვდა, სააშკარაოდაც აჩენდნენ თავიანთ სახეს.

აქვე უნდა ითქვას, სააკაძის მიმართ, ნაწილ დიდებულთა ოპოზიციური დამოკიდებულება და მისი წარმომობის მიზეზები. გარდა თავისი პირადი ღირსებისა, ასეთი მდგომარეობა მას შეექმნა იმის გამო, რომ მისი მამა-ბიძები ცენტრალური ხელისუფლების დასაყრდენები გახდნენ, მათგან მეფისადმი ერთგულება, ქვეყნისადმი ერთგულებას ნიშნავდა. ასეთ პოზიციას სააკაძეები განსაკუთრებით გამოხატავდნენ, მაშ რატომღა უნდა გვიკვირდეს, თუ შემდგომ წლებში სააკაძე საქართველოს გაერთიანების იდეას მიზნად დასახავდა? ლოგიკაც აქვეა, დიდ თავადთა ნაწილის კლასობრივი ოპოზიციონერობა მეფის ხელისუფლებისადმი პირდაპირ საპირისპირო იყო სააკაძეთა მიმართაც. მკვეთრი, რეალური მოვლენა განვითარდა ტაშისკარის ომის გამარჯვების შემდეგ, როგორც კი სააკაძემ თავისი სარდლური ღირსებები ქვეყანას დაანახა. თან ეს კაცი ცენტრალური სამეფო ხელისუფლების მალიარებელია, იერარქიული წოდებრივი ნიშნით საშუალო აზნაურია, რაც დიდ თავადთა შედარებითობაში დაბალი რანგია, მაგრამ როგორ მაღალ ერთგულებას ავლენს მეფის ხელისუფლებისადმი? მით უფრო ამ საშუალო აზნაურის დას მეფე ლუარსაბ II ცოლად შეირთავს და იგი ქართლის დედოფალი გახდება.

ასეთ მოვლენებში სააკაძის ავტორიტეტი ხალხის თვალში ამალღდა, მეორე მხრივ კი, ნაწილ დიდებულთა ჯგუფში, საპირისპირო რეაქციები გამოიწვია.

1609 წლის ტაშისკარის ომის გამარჯვების შემდეგ, რადგან სააკაძე ანგარიშგასაწევი პირი გახდა, მისი სარდლური ნიჭის მალიარებელთა რიცხვიც შესაბამისად გაიზარდა, თან, ავტორიტეტულ თავადთაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ: სიძე თეიმურაზი და მისი ძმა ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, მეორე სიძე იესე ქსნის ერისთავი, სიმამრი ნუგზარი და მისი შვილი ზურაბ ერისთავები, თამაზ მაჩაბელი, ზაზა ციციშვილი, გარასპი ფავლენიშვილი, ბააკა ხერხეულიძე, აზნაურები – ლომი ჩრდილელი და პაპუნა ჩივაძე, გლეხთა ფენიდან – მათარსი შიხაიდისძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, თამაზ ქარცივაძე, ჯიმშერ ინაშვილი. საქართველოს გადარჩენისათვის როცა მოხდა მარტყოფის ომი და მისი ბრწყინვალედ დამთავრების შემდეგ, რამდენადაც სააკაძის ავტორიტეტი ხალხში კიდევ ამალღდა, იმდენად, მისი მომხრეთა რიცხვიც უფრო გაიზარდა, ესენი იყვნენ: ბაადურ ციციშვილი, გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილები, ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები, იმერეთის მეფე გიორგი III და დიდი ნაწილი საიმერეთოს დიდებულთა მხრიდან, სამხრეთ საქართველოდან – მანუჩარ III ათაბაგი, დავით გოგორიშვილი, ელიზბარ და ბეჟან თაქთქირიძენი, როსტომ შალიკაშვილი, თანუნა დიასამიძე.

კახეთის მხარის დიდებულებს – ძმებს ჩოლოყაშვილებს, დავით ჯანდიერს, ნოდარ ჯორჯაძეს და თამაზ ვაჩნაძეს, სააკაძის სანინააღმდეგო პოზიცია არასოდეს გამოუხატავთ,

მარტყოფის და მარაბდის ომში მის გვერდით იბრძოდნენ.

სააკაძის მომხრეთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო და ამდენად ანგარიშ გასანევიც, უნდა ითქვას, დიდებულთა ნაწილისთვის საშიშიც. ასეთი დაპირისპირება ხშირად კონსპირაციულ ხასიათს ატარებდა, მხოლოდ დროებით, რადგან სააკაძეს მაღალმა თუ საშუალო ფენამ დიდი ნდობა გამოუცხადა, ცხადია, უკეთესი მდგომარეობისათვის ესწრაფვოდნენ, რაც საქართველოს გაერთიანებაში ესახებოდათ. სწორედ ეს აფიქრებდათ სააკაძის მოწინააღმდეგე დიდებულთა ნაწილს, და ყველა ხერხით ცდილობდნენ, ქვეყანაში თავიანთი უფლებების შენარჩუნებას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სააკაძეების მიმართ ოპოზიციური მხარე მაშინ ჩამოყალიბდა, როცა სააკაძის მამა სიაუში და მისი ძმები სამეფო კარზე ანგარიშგასანევი პირები გახდნენ. მათ მიმართ ოპოზიცია აშკარა წინააღმდეგობებს ვერ გამოხატავდა, რადგან ამ ვერ გამოხატვის მიზეზი მეფე სიმონ I და ქვეყნისადმი მისი თავდადებული მოღვაწეობა იყო (თუმცა, ისიც ვიცით, რომ იმ დროის ოპოზიციამ ისიც ძალზედ დააზარალა).

სააკაძისადმი ოპოზიციურმა მხარემ მძაფრი ხასიათი მიიღო მაშინ, როცა მისი და ლუარსაბ II-მ ცოლად შეირთო და ის ქართლის დედოფალი გახდა. ე.ი. იმ ხანებში სააკაძის აშკარა მოწინააღმდეგე პირებად ჩამოყალიბდნენ: შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები. შესაძლოა სააკაძის საწინააღმდეგო პოზიციას სხვებიც ატარებდნენ, მაგრამ სააშკარაოზე ისინი არ გამოჩენილან.

ყურადღება მივაქციოთ, როგორ ცდილობდნენ სააკაძის მოწინააღმდეგენი თავიანთ რიგებში მაღალი გვარის წარმომადგენლები ჰყოლოდათ. ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილები, თავდაპირველად, სააკაძის მომხრეთა რიგებში იყვნენ, დიდებულთა ნაწილმა მათი გადაბირება მოახერხა, რის საფუძველზეც სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებაც დაიგეგმა. რასაც საქართველოდან მისი გაძევებაც მოჰყვა.

ირანიდან სააკაძის დაბრუნების შემდეგ, როცა მარტყოფის აჯანყება ძლევამოსილად დამთავრდა, ამას მოჰყვა მარაბდის ომი. მრავალ პარტიზანულმა ომებმა და ქსნის ომის ბრწყინვალედ დამთავრებამ შაჰ-აბასს, საქართველოს მიმართ, პოზიცია შეაცვლევინა. მისი აგრესიულობა ლმობიერებამ შეცვალა, მას დრო სჭირდებოდა ძალების მოსაკრებად, ამიტომ ზავის პირობა შელავათს აძლევდა. თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილი მომხრე გახდა, მიეღოთ შაჰ-აბასის ზავის პირობა, რადგან მარტყოფის გამარჯვების შემდეგ სააკაძეს თეიმურაზ I ჯერ ქართლ-კახეთის და შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფედაც ეიმედებოდა, და მისგან მარაბდის ომში წამგებიანი პოზიციის დაჭერამ და უფრო უარესი, შაჰის ზავის პირობაზე მისგან დათანხმებამ, სააკაძეში თეიმურაზ I-ის მიმართ უნდობლობა გამოიწვია. დავაკვირდეთ სააკაძის ხასიათს, ეგრევე პირდაპირ კი არ გადადის იმერეთის სამეფოში, ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის საძებნელად არა, ჯერ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დანიშნა ქართლის გამგებლად. იგი ბაგრატიონი იყო და სამეფო პოზიცია, როგორც ბაგრატიონს, ჰქონდა. მას ქაიხოსრო მუხრან-ბატონი ქართლის მეფედ რომ დაენიშნა, ასეთ შემთხვევაში საქართველოს გაერთიანების რესურსი

შემცირდებოდა. ამიტომ უმჯობესი იყო გამგებლობა. ამ ვითარებაში იმერეთის მეფის გიორგი III-ის მდგომარეობაც ნათელია, იგი სააკაძეს თავს არ ახვევს საკუთარ სურვილს – თავისი შვილი ალექსანდრე გახდეს ერთიანი საქართველოს მეფე მანამ, სანამ სააკაძე თვითონ არ დააყენებს ამ საკითხს.

მაშ რა ექნა სააკაძეს? ვინმეს ანუხებდა იმ კონკრეტულ დროში საქართველოს გაერთიანება? სააკაძისთვის ხელის შეწყობის მაგიერ მას ზუსტად იმის გამო უპირისპირდებოდა დიდებულთა ნაწილი, რომ საქართველოს გაერთიანებას ცდილობდა.

ასეთმა ვითარებამ, სააკაძის მიმართ, მეორეჯერ წარმოშვა ოპოზიციური მხარე. ესენი იყვნენ: თავისი ცოლის ძმა – ზურაბ ერისთავი, თეიმურაზ I და იოთამ ამილახვარი. ორივე შემთხვევაში სააკაძის ძირითად ოპოზიციურ მხარეს წარმოადგენდა სულ შვიდი კაცი. ოპოზიციურმა მხარემ სააკაძეს პირველად სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა 1612 წელს შ. ბარათაშვილის მცდელობით. მეორეჯერ 1615 წელს ქ. ჯავახიშვილის მცდელობით. მესამეჯერ მეფე თეიმურაზ I-ის მცდელობით, რაც ბაზალეთის ომით დამთავრდა და სააკაძეს ხელმეორედ მოუხდა საქართველოს დატოვება.

ე.ი. სააკაძის მოღვაწეობის დროს, მის მოწინააღმდეგე პირებად ჩამოყალიბდნენ ზემოთ ჩამოთვლილი დიდებულთა გვარის წარმომადგენლები. მართებულია აქ საკითხი ასე დაისვას: იგივე დიდებულთა გვარის წარმომადგენლები ხომ იდგნენ სააკაძის გვერდით და ხომ იზიარებდნენ მის გეგმებსა და მიზნებს?

## საჩინო ბარათაშვილი

მეფე სიმონ I-ის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე განუზომელია. სწორედ მისი თანამებრძოლი, თანამოაზრე, ყველა ავისა თუ კარგი მოვლენის განსჯის, საომარი გეგმის მზადების, თადარიგების დაჭერის, მტერზე გამარჯვების მოპოვებისათვის გვერდში მდგომი იყო საჩინო ბარათაშვილი, მას ისევე სტკიოდა თავის ქვეყანაზე გული, როგორც მეფეს.

როცა სააკაძისათვის, როგორც მაგალითი, ქვეყნისათვის ზრუნვას მეფე სიმონ I იძლეოდა, იგივენაირი მაგალითის მიმცემი სააკაძისათვის ხომ საჩინო ბარათაშვილიც იქნებოდა, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისადმი გვერდში მდგომი.

ქართველ მეომართა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდა, სიფხიზლე, გულშემატკივრობა, – ასეთ თვისებებს ხომ საჩინო ბარათაშვილისგან იღებდნენ ქართველი მეომრები და მათ შორის სააკაძეც.

საჩინო ბარათაშვილი სიმონ I-ის დამფასებელი, საქართველოს გაერთიანების მაღიარებელი და საიმედო კაცი იყო.

ცხადია, საჩინო ბარათაშვილი სააკაძისათვის მისაბაძი მაგალითი იქნებოდა და მისგან, როგორც ქვეყნისთვის უანგარო სამსახურისა და იდეურ ფსიქოლოგიურ ჩამოყალიბებაშიც წვლილი ექნებოდა შეტანილი.

ბარათაშვილებთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ

1625 წლის ბოლო თვეები, სამხრეთ საქართველოს მხარეში ახალციხის, აწყურისა და ფარავანის ციხეები ყიზილბაშებს ჰქონდათ დაკავებული, რადგან ქარჩოხი ქსნის ომმა ხერხემალში გადაამსხვრია შაჰ-აბასის გეგმები საქართველოს მიმართ, სააკაძემ მიიღო გადაწყვეტილება – სამხრეთი საქართველოდანაც განედევნა ყიზილბაშები. ამ საქმეში, მესხეთის დიდებულებთან ერთად, პირველნი მხარში ამოუდგნენ გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილები თავიანთი ჯარებით. იმ ხანად ისახან-ყორჩიბაში, სამხრეთ საქართველოში გამაგრებულ ყიზილბაშებს დამხმარე ჯარი მიაშველა.

რადგან მტრის ჯარები ისევ ბევრად აღემატებოდა ქართველ მეომრებს, ამიტომ ქართველთა მხარემ სააკაძის რჩევა გამოიყენა, რაც მტრის შემოტყუებითი ხერხით, ნაწილ-ნაწილ განადგურებას ითვალისწინებდა. ასეთმა ხერხმა შედეგი გამოიღო. იმ ხანად სამხრეთ საქართველოში ჩატარებულ ოპერაციებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან ახალციხის, აწყურისა და ფარავანის ციხეები ყიზილბაშებისაგან განთავისუფლდა, სადაც დიდი წვლილი შეიტანეს გიორგი და გერმანოზ ბარათაშვილებმა. ისახან-ყორჩიბაში, ძლივს გადარჩენილი, მცირე ყიზილბაშებით ისევ ყარაბაღში გაიქცა და მის შემდეგ საქართველოში ფეხი აღარც შემოუდგამს.

### **ზაქარია და იარალი ბარათაშვილები**

რადგან აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასი ჩემულობდა, და სამხრეთ საქართველოზე გავლენას ხან ირანი და ხან ოსმალეთი ცდილობდა, ამიტომ 1609 წელს მესხეთში შემოჭრილი ოსმალოები, რომელთაც მოსახლეობა დაარბიეს, შესაძლო იყო ქართლშიც შემოჭრილიყვნენ. ლუარს-

აბ II თავის მრჩეველებთან ერთად ფიქრობდა, ოსმალთა სარდლობას, შაჰ-აბასის რიდი და შიში კი ჰქონდათ, რადგან ქართლს შაჰი ჩემულობდა, მაგრამ, როცა 60 ათასიან ჯარების პატრონმა მტერმა, მესხეთი დაარბია, არ იყო გასაკვირი, რომ ოსმალოები ქართლშიც შემოსეოდნენ, ამიტომ სათადარიგოდ, მზვერავებად გააგზავნეს ზაქარია და იარალი ბარათაშვილები. ადრეულ წლებში, როცა მტრის ჯარები ქართლში, მესხეთის გამოვლით შემოსულან, ქართლის მეფეებს და მათ მრჩეველებს, ისტორიული გამოცდილება ექნებოდათ იმისა, თუ რომელი ხეობით რომელი გზით შემოდიოდა, მესხეთის მხრიდან, ქართლში მტრის ჯარები, ამიტომ ლუარსაბ II-მ, გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა, ეს ცნობილ, ასე ვთქვათ, ტრადიციულ გზაზე გაამახვილეს ყურადღება, რომ მტერი უსათუოდ იმ გზით შემოვიდოდა ქართლში. მეფემ და მის უახლოესმა ადამიანებმა, მზვერავების ჩათვლით, არ იცოდნენ თუ გამცემი, მათს ცხირეთში ყოფნას, მტერს შეატყობინებდა.

გავიხსენოთ, სხერტის ბრძოლა, სადაც ზაქარია და იარალი ბარათაშვილებმა თავიანთი მცირე რიცხოვანი რაზმით, თავგანწირული თარეშული ბრძოლები გაუმართეს ოსმალო-თათარხანის ჯარებს, სანამ გ. სააკაძე და ზ. ციციშვილი დამხმარე რაზმებს მიაშველებდნენ.

რადგან გამცემმა მტერს ცნობა მიაწოდა, თან განსაზღვრავდა ქართლის მეფე რომ შეეპყროთ, როგორი გზებით უნდა ევლოთ, რომ ცხირეთამდის მალე და თან უსაფრთხოდ მისულიყვნენ.

გამცემისაგან მიღებული ცნობით, რომ ლუარსაბ

II ცხირეთში იმყოფება, მტრისთვის სასურველი ფარული გზით, ცხირეთზე საორიენტაციოდ, შემთხვევით მიადგა სოფელ კველთას, იმ დროს მზვერავების – ზაქარია და იარაღის რაზმი, ოსმალთა ჯარს ასცდა. ასეთი ბედოვლათობით ოსმალთა სარდლობას დაბეჯითებით სცოდნია ლუარსაბ II-ის ადგილ სამყოფელი – ცხირეთი, ისმება კითხვა, საიდან უნდა სცოდნოდა მტერს, ქართლის მეფის ღამის სათევი? სულ ახალგაზრდა ლუარსაბ მეფის მტერი, ხომ პირდაპირ საქართველოს მტერიც იყო.

მტრის მიზანი იყო, თუ ლუარსაბ II-ს შეიპყრობდნენ, ქართლის მოსახლეობის დამორჩილებაც აღარ გაძნელებოდა. მტრის ჯარს გამცემი მეგზურობას ვერ გაუწევდა იმის გამო, რომ ეს აშკარა ღალატი თვალსაჩინო გახდებოდა საზოგადოებისათვის. რადგან საჭირო ცნობა მიიღო მტერმა, დანარჩენი, მეგზურის პოვნა და ცხირეთამდის მიყვანა თავიანთ თავზე აიღეს მომხდურებმა. ოსმალთა მხარე თავიანთი ურთიერთობებიდან გამომდინარე, დაბეზლება ჩაშვება, ჩვეული მოვლენა იყო და მეგზურის პოვნაც საქართველოში იოლი ეგონათ. მტერი ფიქრობდა აქ ახლოსაა სოფლები ვნახავთ ვინმეს, სიკვდილის დამუქრებით შევაშინებთ, და მასაც სხვა გზა არ ექნება მიგვიყვანს ცხირეთამდისო. სანამ ბერი თევდორეს ნახავდნენ, სამეგზუროდ, რამდენიმე კაცი უნახავთ, გასამრჯელოსაც შეპირებიან, შეუშინებიათ კიდევაც, მაგრამ უარი მიუღიათ ასეთი საზარელი საქმის აღსრულებაზე, ამ შემთხვევაში უარის თქმა პირდაპირ სიკვდილს ნიშნავდა. როგორც ჩანს, მტერი ჩქარობდა ცხირეთში მისვლას, რომ ლუარსაბ II ადგილზე დახვედროდათ, და შეეპყროთ. როცა ბერი თევდორე ნახეს, მასაც დაემუქრებოდნენ. რად-

გან მისგან თანხმობას მიიღებდნენ, მტერსაც მეტი რა უნდოდა, მაგრამ მომხდურმა ბერი თევდორეს განაზრახი არ იცოდა. არც ის იცოდა თუ ქართლის სოფლები რა მანძილით იყო ერთმანეთისაგან დაშორებული ან თითოეულ სოფელს რა ერქვა, მტრის ჯარები დაახლოებით, უგზო-უკვლოდ სიარულს ხუთი საათი მაინც მოანდომებდნენ.

ბოლოს ქვენადრისში ჩავიდნენ, ალბათ, მათ ცხირეთი ეგონათ, მაგრამ უკვე ყველაფერი გვიან იყო, მტერი მიზანს ასცდა. შესაძლოა, ოსმალთა სარდლობას, ვერც წარმოედგინა, რომ იმ ტყიან მთაში, და მიუვალ ადგილას ლუარსაბს საზაფხულო აგარაკი ექნებოდა, ცხირეთის ასეთმა მდებარეობამაც ხელი შეუწყო მტრის გზაკვალის არევას, ლუარსაბ II ვერ მოიხელთეს და მთელი ჯავრი ბერი თევდორეზე იყარეს, იგი წამებით მოკლეს.

რადგან ქართლში შემოსული, ცხირეთის გზას ბერი თევდორეს მცდელობით აცილებული მტერი, თეძამის ხეობაში გაჩერდა, ამიტომ ზაქარია და იარაღი ბარათაშვილები, რახან, მათი გზა გამცემის მცდელობით შეიცვალა, მოგვიანებით, მაინც გაიგეს ოსმალოების, ქართლისაკენ, ან ცხირეთისაკენ წამოსვლა და ფეხდაფეხ გამოყვნენ მტერს. ალბათ, ბერი თევდორეს გმირობა პირველებმა მათ შეიტყვეს და როგორც საგანგაშო ცნობა, ცხირეთში მყოფ ლუარსაბ II-ს, გ. სააკაძესა და ზაზა ციციშვილს შეატყობინეს. საქმეც ამაშია, ზაქარია და იარაღი ბარათაშვილებს თავიანთ რაზმში შესაძლო იყო 100-მდე კაცი ჰყოლებოდათ. ეს რაოდენობა მტრის 60 ათასიან ჯარს ვერაფერს დააკლებდა, მაგრამ თეძამის ხეობაში ჩამდგარ ურდოს, მიუხედავად მათი



სიმცირისა, მაინც მოსვენება დაუკარგეს. ისინი ხან ერთი და ხან მეორე მხრიდან თავს ესხმოდნენ ოსმალოებს და მოსახლეობაზე თავდასხმის საშუალებას არ აძლევდნენ, სანამ გ. სააკაძისა და ზაზა ციციშვილისაგან ძირითადი ქართული ჯარი შეიყრებოდა.

იმ გამწვავებულ ვითარებაში დრო საზღვრავდა ყველაფერს. ჯარის შეგროვებისათვის, იმ უსწრაფეს წუთებში, ბარათაშვილებისაგან დაფრთხალ ოსმალოებს აღარ ეხერხებოდათ ქართველი მოსახლეობის რბევა, შეიძლება ზაქარია და იარალის ასეთი საშუალება არ მიეცათ, გმრობის გამოჩენისა, როგორც ბერი თევდორეს მიეცა, მაგრამ ჩემი ინტუიციით, ტაშისკარის ომში გამარჯვების მიღწევის მოვლენებში, ყველა იმ ადამიანს, ვინაც თავისი შესაძლებლობებიდან და არსებული მდგომარეობიდან თავიანთი წვლილი შეიტანეს, ასეთი ძლევამოსილი ომის გამარჯვებით დამთავრებაში. და მათს შორის ზაქარია და იარალი ბარათაშვილების მოქმედებებს უნდა მიეცეს დიდი მნიშვნელობა, რამეთუ ამოდენა მტრის ზღვა ჯარში, მათი ტრიალი მხოლოდ გმირული სულის გამოვლინება და თავგანწირვა იყო.

### **ზაზა ციციშვილი**

ციციშვილების გვართად დაკავშირებით, ისევ ტაშისკარის ომის მოვლენებს უნდა შევხვით. მამასადამე, ლუარსაბ II- ცხირეთში იდგა, მის გვერდით გ. სააკაძე და ზაზა ციციშვილია, მეფისათვის ორივე ახლობელი და საიმედო. რომ არა ღალატი გამცემისაგან, მტრის სარდლობა ცხირეთის გზის მოძებნას ასე საგულდაგულოდ არ შეეცდებოდა, და ბერი თევდორეს, რომელმაც მტერს გზა აუბნია, ასე სას-

ტიკად არ გაუსწორდებოდნენ. ბერს უფლის ნიშანი ჰქონდა, მისი სიცოცხლის განწირვის ხარჯზე დამპყრობლებს თავიანთი მიზანი აუსრულებელი დარჩათ, მაგრამ ამით არ დამთავრებულა მათი გეგმები, ამოდენა რაოდენობის მტრის ჯარი უომრად უკან არ გაბრუნდებოდა.

გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა ერთობლივი გადწყვეტილება მიიღეს, ლუარსაბ მეფესთან შეთანხმებით, ახლო მდებარე სოფლებიდან მეომართა შეკრება, და ფაიქთა, მალემსრბოლთა დაგზავნა ქართლის სათავადოებში ძირითადი ჯარის შესაკრებად.

სწრაფად იკრიბებოდნენ მეომრები, მოდიოდა და მოდიოდა ხალხი, ზოგი ცულით, ნამგლებით, ცელებით, ვის როგორც შეეძლო.

გ. სააკაძემ და ზაზა ციციშვილმა საჭიროდ ჩათვალეს მტერზე ზემოქმედების მოხდენა და შეუტიეს ოსმალოთა ჯარს. პირველი ბრძოლა სხერტის ქალაში მოხდა.

ზაზა ციციშვილმა ერთ-ერთ ორთა ბრძოლაში, ოსმალოთა ფაშას ხმლით თავი ისე მოჰკვეთა, რომ მისი ტანი ისევ უნაგირზე მდგარა, თავი კი მიწაზე გორავდა. ზაზა ციციშვილმა აიტაცა ფაშას მოკვეთილი თავი, მისი თმები კბილებით დაიჭირა, და ასეთი პოზიციით გააგრძელა ბრძოლა. ეს იყო საომარი ტაქტიკის შეუდარებელი მაგალითი, მტრის ფსიქოლოგიაზე დამთრგუნავი გავლენის მოსახდენად.

როცა მაცნეთა საშუალებით, ქართლის სათავადოებიდან, ძირითადად ჯარებმა თავი მოიყარეს ტაშისკარის ველე-

ბზე, დიდი ომისათვის სათათბირო კრებაც გაიმართა. მეფე ლუარსაბ II-ის ბრძანებით, სარდლობა გ. სააკაძეს დაევა-  
ლა.

სააკაძემ თავისი საომარი გეგმა წამოაყენა და გან-  
მარტა, მტერი უნდა დავაშიმშილოთ, ღონე გამოელიოთ,  
საკვებს ვერა მხრიდან ვერ მიიღებენ, მათთვის ყველა გზა  
გადაკეტილია. მტრის თვალის ასახვევად, ქართველთა  
ჯარმა ნელა, მშვიდად უნდა დატოვოს საომარი ველი. ჩვენ  
შორიდან უნდა ვუთვალთვალოთ, დრო უნდა გავიყვანოთ,  
როგორც კი მტრის ბანაკს ორასი, სამასი კაცი გამოეყო-  
ფა და ქართველი მოსახლეობისაკენ გაემართებიან, ეს იმის  
ნიშანი იქნება, რომ მტერი განსაცდელშია, საკვების უქონ-  
ლობის გამო, და მოსახლეობისაგან უნდა მიიღონ საკვები  
დარბევის საშუალებით. აი, მაშინ უნდა ვიმარჯვოთ, ჩვენი  
ჯარები უხმაუროდ უნდა მივიყვანოთ ოსმალთა თხრილე-  
ბამდის, და ოთხი მხრიდან უნდა მივიტანოთ მტერზე იერიში  
(პეტრე ხიზამბარელი).

სააკაძის ამ საომარ გეგმას პირველი ზაზა ციციშვილმა  
დაუჭირა მხარი და ერთბაშად მიიღეს ეს აზრი... არავითარი  
წინააღმდეგობა იქ არ გაჩენილა. „ტაშისკარის ომი“ ქარ-  
ველი ხალხის გაერთიანებული ძალებით და ერთსულოვნებით  
ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. უნდა ითქვას ობიექ-  
ტური აღიარებით, როგორც 1625 წელს მარტყოფის ომში  
სააკაძის შემდეგ უდიდესი როლი ზ. ერისთავმა შეასრულა,  
ისე 1609 წელს, ტაშისკარის ომის ბრწყინვალედ დამთავრე-  
ბაში, სააკაძის შემდეგ ზაზა ციციშვილმა შეასრულა.

## ბაადურ ციციშვილი

სააკაძის თანამოაზრე იყო მეორე პიროვნება, ბაადურ  
ციციშვილი, რომლის სიტყვები ქართულ სიფრთხილეს ლა-  
მაზად შემორჩა, და მარაბდის წინარე სათათბირო კრებაზე  
ბევრთა გასაგონად რომ ითქვა: „თუ ამოწყდა გლეხი კაცი,  
საქართველო დაძაბუნდესო!“

რადგან დიდებულთა ნაწილმა და თვით თეიმურაზ  
I-მა ზერელე ანგარიში გაუწიეს მარტყოფის გამარჯვებას,  
ამ საფუძველზე სააკაძის საომარი გეგმაც არ გაიზიარეს. ეს  
გააკეთეს იმის გამო, რომ მარაბდის ომში სააკაძე სარდლო-  
ბიდან ჩამოეცილებინათ. ასეთმა ვითარებებმა, ქართველთა  
შორის ორმხარეობა გამოიწვია. ვინაც ამ ომში, თეიმურაზ  
I-ის სარდლობის მომხრე გახდა, იმის გამო კი არა, რომ დი-  
ლაუთენიაზე დაბლა, მარაბდის ვაკეზე ჩასვლა და მტრის  
წინააღმდეგ ომის გამართვა მომგებიანი პოზიცია იყო? მათ  
ყველამ იცოდა, რომ სარისკო გზა იყო, მაგრამ მაინც მეფის  
მხარეზე დადგნენ. სწორედ მათ გულგრილობამ და ბედლოვ-  
ლათობამ განაპირობა დამარცხების მიზეზიც.

ისმება კითხვა, ვეკითხებით ქართველ საზოგადოებას,  
რატომ ბაადურ ციციშვილიც არ გადავიდა სააკაძის საომარი  
გეგმის წინააღმდეგო მხარეზე? თუ კი მეფის გვერდით  
დგომა უპირატესობა იყო და უმეტესმა დიდებულებმა ირ-  
ჩიეს, რატომ ბაადურ ციციშვილმაც არ ირჩია მის გვერდით  
დგომა და მეფის პოზიციის გათვალისწინება?

აი, სად არის ბაადურ ციციშვილის გულშემატკივრო-  
ბა თავის სამშობლოზე სამართლიანი და სწორი. მართალია,

ბაადური სააკაძის თანამოაზრე იყო, მაგრამ, რახან თანამოაზრე იყო ამ საფუძველით კი არ იზიარებდა სააკაძის საომარი გეგმის სისწორეს.

აქაა ბაადურ ციციშვილის ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი ღირსება, მისთვის უმთავრესი სამშობლოს გადარჩენის წესი სწორად ესმის, კომპრომისზე არ წავა, უშელავათოა; შელავათზე რომ წავიდეს, უმთავრესი გაფუჭდება, სამშობლო დაზარალდება. მთავარია, ქვეყნის გადარჩენის და ქართველ მეომართა სიცოცხლის დაზოგვის საომარი გეგმა სწორედ იყოს შერჩეული. მისი ავტორი გინდა დიდებულთა წრიდან იყოს და თუნდაც საშუალო აზნაურთა წრიდან. ღირსეულ საომარი გეგმის ავტორს უკომპრომისოდ დაუჭერს მხარს.

ასეთ მოვლენებში, თავისი კეთილგონივრული თვისებებით, განსჯის ობიექტური მიდგომით და პატრიოტული სულისკვეთებით, ბაადურ ციციშვილი ბააკა ხერხეულიძის თანამსგავსი პიროვნებაა.

წავკისში, სააკაძის წინააღმდეგ მონყობილ შეთქმულებაში, გადამრჩენი რომ არ ყოფილიყო ხერხეულიძე და მის მაგივრად ყოფილიყო ბაადურ ციციშვილი, მისი ბუნებიდან გამომდინარე, სრულად დამაჯერებელია, როგორც მოიქცა ბააკა ხერხეულიძე, ისევე მოიქცეოდა ბაადურ ციციშვილიც და სააკაძეს გადაარჩენდა.

### **ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები**

ჯავახიშვილთა გვარიდან, სააკაძის პირად მტრებად, ბერუკა და ქაიხოსრო ჩამოყალიბდნენ, ისინი თავდაპირვე-

ლად სააკაძის თანამოაზრენი იყვნენ. შემდეგ შეთქმულთა ბანაკმა გავლენის ქვეშ მოაქცია და თავიანთ თანამზრახველებად გაიხადეს.

გარდა ამ ორი კაცისა, ხომ იყვნენ სხვა ჯავახიშვილებიც, იგივე ზაქარია და ივანე ჯავახიშვილები. იმ დროის კანონმდებლობის თანახმად, რაც ითვალისწინებდა ორი ან მეტი ფეოდალური სახლის გაერთიანებას. 1624 წელს, ამ ორ პიროვნებას, (შესაძლოა ისინი ძმებიც იყვნენ), გამოუხატავთ თავიანთი ნება და სააკაძის სახლს, ზაქარია და ივანე ჯავახიშვილების ფეოდალური სახლი შეერთებია, რაც საბუთადაც დაუდასტურებიათ, სადაც ნათქვამია „მთელი ჩვენის სარჩო საბადებელი, მამულებით ყმა გლეხებით, და აზნაურებით, თქვენ მოგართვით და დაგანებთ, იმისათვის რომე ერთმანეთისათვის პასუხი და მოვალეობა შეგვეძლო, ამისთვისა გავერთიანდით, რომე მისთა დღეში ერთიანი ვყოფილიყავით...“

რადგან სააკაძე 1615 წელს ქართლში დაბრუნდა, შემრიგებლური ხელი გაუწოდა ოპოზიციურ მხარეს, გამოსატა თანამოძმეთა მიმართ ღმობიერება, მისგან ასეთი დიპლომატია, პირველ რიგში, აჯანყებისათვის, ქართველთა ერთსულოვნებისათვის იყო საჭირო. ეს საბუთი 1624 წელსაა შედგენილი. სააკაძის ქართლში დაბრუნებიდან 1615 წლიდან 1624 წელსაა შედგენილი. სააკაძის ქართლში დაბრუნებიდან 1615 წლიდან 1624 წლამდის საკმაოდ დრო ცხრა წელია გასული. ეს იმის მიმანიშნებელია, რომ სააკაძის ქართლში ყოფნამ კარგი სასურველი შედეგი გამოიღო. შეიქმნა სამშვიდობო ატმოსფერო, განახლდა გზები, შეკეთდა სტრატეგიული ციხედარბა-

ზები. ცხრა წელი ცოტა დრო არ არის, რომ ქვეყანა ფეხზე დამდგარიყო, ეკონომიურად მოძლიერებულიყო. ამ ცხრა წლის მანძილზე ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველოში ფეხი არ შემოუდგამს, არც შაჰ-აბასს გამოუჩენია სიანჩხლე, იმ კონკრეტულ დროში კახეთი და ქართლი მშვიდი ცხოვრებით იყო დაკავებული.

რადგან ზაქარია და ივანე ჯავახიშვილებს 1624 წელს სააკაძის სახლთან შეერთების სურვილი გამოუხატავთ, ეს იმის მიმანიშნებელია, რომ ამ ცხრა წლის მანძილზე სააკაძე დიპლომატიურად, ეკონომიურად და პოლიტიკურად წარმატებული იყო. როცა მტრის ან მტრების თავდასხმის მოლოდინი არ აქვს ქვეყანას და მათთან დიპლომატიის ხერხებით განწონასწორებული მდგომარეობა უკავია, ცხადია, აღმშენებლობას გააჩაღებს. ასეთი მიზანი უნდა ყოფილიყო სააკაძის მთელი დიპლომატიის მონაპოვარი, რომ შაჰ-აბასთან აჯანყების შემთხვევაში არ დასუსტებულიყო ქვეყანა და გაეძლო ყოველგვარი განსაცდელისათვის.

საკაძისაგან თავის თანამოქმეთა პირად მტერთა მიმართ, გამობატული შემრიგებლური პოზიცია, ქართველთა ფსიქოლოგიის ერთსულოვნებას და სიმტკიცეს ემსახურებოდა. რახან ეს ასე იყო, ცხადია, შიგნით სიღრმეში, კონსპირაციული დიდი მზადება ხდებოდა გადამწყვეტი დანიშნულებისათვის, რასაც აჯანყებისათვის ფარული სამზადისი ერქვა და რაც მხოლოდ მცირე ნაწილმა იცოდა.

პეტრე ხიზამბარელი იგონებდა თავის წინაპართაგან გაგონილ გადმოცემას. იმ ხანად, ე. ი. 1615 წ.-იდან 1625

წლამდის, ქართლში მჭედლები მხოლოდ სასოფლო სამეურნეო იარაღებს ამზადებდნენო, სინამდვილეში აჯანყებისათვის საჭირო საომარი იარაღი სააკაძისა და იმერეთის მეფის გიორგი III-ისაგან შეთანხმებით იმერეთის მიუვალ მღვიმეებში გაიჭედაო.

„გაძლება გვმართებს, ბუნება  
რასაც დაგვადებს ხარკადა,  
ბოლოს კი ვიხდით მის წინ ქედს,  
ვინც მოვიცილეთ ძალადა“.  
ვაჟა-ფშაველა

ქართველმა ერმა ჯეროვნად იცის შეფასება სამშობ-  
ლოსათვის ჩვენი წინაპრების მიერ განწეული უანგარო სამ-  
სახურისა და თავდადებისა.

განა რომელიმე მათგანის შეფასებაში შეცდა?! ვერ  
შეაფასა ობიექტური ნიშნით და ისეთი ეპითეტებით, როგორ-  
იცაა დავით IV აღმაშენებელი,

გიორგი ბრწყინვალე

ცოტნე დადიანი დიდი, ბაგრატ V-დიდი, ალექსან-  
დრე-I დიდი, ლუარსაბ-I-დიდი, სიმონ I-დიდი.

„ასევე ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“, – ამ ნიშნით დადე-  
ბული ეპითეტი „დიდი მოურავი“.

გიორგი სააკაძეს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუწია  
საქართველოში შაჰ-აბასის გავლენით შექმნილ პოლიტი-  
კურად და იდეურად რთულ პერიოდში.

ამ წიგნში აღწერილია XVI საუკუნის ბოლოსა და XVII  
საუკუნის პირველ მესამედში მომხდარი მოვლენები.

## ტაშისკარის დიდი ომი

1609 წლის ზაფხული. 60 ათასი იარაღალესილი მგლ-  
ისფერი თურქმანი მეომრისაგან შემდგარი ურდო მესხეთის  
მხრიდან შემოვიდა ქართლში. სარწმუნო ცნობა აქვთ, რომ  
ლუარსაბ II საზაფხულოდ ცხირეთში იმყოფება. მისი შეპყ-  
რობა უნდათ, მერე – საქართველოს აოხრება.

სოფელ კველთაში ბერი თევდორე მოიხელთეს და  
მეგზურობა უბრძანეს.

„სამშობლო!“ – აღმოხდა თევდორეს – „ცხირეთამდე  
საკმაო მანძილია, იქნება შეიტყოს მეფემ, დროა ამისათვის  
საჭირო, ჩემი თავი კი ქვეყნისა და მეფის სანაცვლო იყოს.

მადლობას გიძღვნი, მაღალო ღმერთო, რომ მომეცი  
საშუალება, ჯეროვანი სამსახური გავუწიო ჩემს ქვეყანას!“

თურქნი გვიან მიხვდნენ ბერი თევდორეს გუ-  
ლისწადილს, მტერი დიდი მანძილით ასცდა ცხირეთს.

ერთაწმიდიდან საგანგაშო ზარების ხმა მოეფინა ახ-  
ლომდებარე სოფლებს.

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ელვის სისწრაფით  
გაჩნდა მეფე ლუარსაბ მეორესთან ცხირეთში. მათთან არის  
სარდალი ზაზა ციციშვილიც. გაიმართა საგანგებო ბჭობა-  
თათბირი.

მაღემსრბოლის ცნობით, დამპყრობლების ჯარს აუ-  
ღია სამცხე, დაურბევია ახალციხე. ერთად შეყრილან ოს-

მალონი და თათარხანის „მგლისტყაოსანნი“ გურჯისტანის ასაოხრებლად. ახლო სოფლებიდან სასწრაფოდ შეგროვდა მცირე რაზმი. გ. სააკაძის რჩევით მტრის ბანაკის ირგვლივ გორებზე კოცონები დაანთეს იმ შთაბეჭდილების შესაქმნელად, თითქოს ქართული ჯარი მათ გარშემო შემოიკრიბა, რკალში მოაქცია და შეტევის თადარიგს იჭერსო. აქ იჩინა თავი გ. სააკაძის საბრძოლო მოხერხებულობამ – მას დრო სჭირდებოდა და გამალებითაც მიმოქროდნენ ავის მაუნყებელი მაცნეები ქარფება ცხენებით საჭირო რაოდენობის მეომრების შესაგროვებლად; ცხადი იყო, ბრძოლა იქნებოდა სამკვდრო-სასიცოცხლო, რომ მტერს ძვირად დასჯდომოდა და ძმრად და სინანულად წასკდომოდა ქართლის მინაზე მაოხარი ფეხის დადგმა.

პირველი ბრძოლა სხერტის ქალაში მოხდა, ქართველთა ჯარი მძლავრი შემართებით ეკვეთა ოსმალთა რიგებს. ნანვიმარი იყო, მაგრამ ეს აღარ ახსოვდათ არც თავდამსხმელებს, აღარც ოსმალებს.

ისევ იქუხა და იელვა, დგანდგარებდა სხერტის ველები, დაგეშილი ავაზებივით ეფეთნენ ქაიხოსრო სააკაძე და თამაზ მაჩაბელი მტერთა რიგებს, შხუილით აპობდნენ ქართული ხმლები ნაავდრალ ოსმალთა ჩალმიან თავებს. როგორც კი ფარად-ფაშამ ზურგი აქცია ბრძოლას, ქართველმა მშვილდოსნებმა ისრის სეტყვაში მოაქციეს დამპყრობნი.

აქ სიცოცხლედაუზოგველი დიდი შემართებით იბრძოდნენ ზაქარია და იარალი, მათთვის შვების მომტანი იყო ომის ზღვაში ტრიალი.



ბერი თევღორა

ორივემ თავი განირა და სხერტის ჭალაში გმირულმა სიკვდილმა დაუხუჭა თვალები.

სააკაძის ფოლადის ხმაზე ანთებულმა ქართულმა ჯარმა მტრის შუაგული გაარღვია, ოსმალები ბრძოლის ველიდან გაიქცნენ. მთლიანი ქართული ჯარის მოსვლამდე სააკაძემ უშედეგოდ ჩათვალა მათი დევნა.

ოსმალთა წითლად შეღებილი მოკვეთილი თავები დახვავდა ლუარსაბ II-ის ფეხებთან.

ქართველთა ერთსულოვანმა მტკიცე დახვედრამ დაზაფრა მტრის ჯარი, მათ პირი იბრუნეს და აღმა აჰყვნენ მდინარე მტკვრის დინებას.

პირველი გამარჯვების საზეიმო ნაბიჯები გადადგმული იყო.

პირველი გამარჯვების სიხარულის სასმისები უკვე შეესვათ გიორგი სააკაძესა და ზაზა ციციშვილს.

სხერტის ბრძოლას გადარჩენილი ოსმალონი ფარად ფაშას ბრძანებით ყარაღაჯის გავლით გორისკენ გაემართნენ ქართველთა ჯარისაგან ნაგრიგალარნი, ნამეხარნი. მათი მიზანი გორის ციხეში შესვლა და იქ გამაგრება იყო.

გორის მოსახლეობამ ჯერ არაფერი იცოდა ესოდენ რიცხვმრავალი მტრის შუაგულ ქართლში შემოჭრისა და ცხადია, არც თავდაცვისათვის ემზადებოდნენ.

ერთი სამაგალითო მოვლენა კი თვალსაჩინო გახდა:

გორელ სომეხ მღვდელს, რომელიც სოფელ დოესში მიდ-  
იოდა, შეუნიშნავს მტერი. მოუსაზრებია და სასწრაფოდ  
ხიდი ჩაუშლია. მალევე გორელებიც გამოჩენილან და  
ისართა ზუზუნში არ მიუციათ მტრისთვის ხიდის აღდ-  
გენის საშუალება.

მშენიერი საქციელი სომეხი კაცისა, – არა ხმლით,  
არა თოფით, – შეაჩერა დამპყრობთა ხიდზე გადასვლა,  
რაც ამ ვითარებაში შეიძლებოდა გაკეთებულიყო ღმერთის  
შენევნით პირველმა გააკეთა; რბევა და იავარქმნა ასცდა  
გორის მოსახლეობას ერთი კეთილგონიერი კაცის მეოხ-  
ებით. ოსმალებმა შიდა ქართლში შეჭრა და გამაგრება ვერ  
მოახერხეს. მათ ახლა უკვე ერთადერთი საშველი დარჩათ –  
როგორმე გაეღწიათ ქართველთა რისხვისაგან და ახალციხ-  
ეში გამაგრებულიყვნენ, გიორგი სააკაძისა და მის თანამ-  
დგომთა მიზანი კი მტრის სრული განადგურება იყო.

ოსმალნი უკვე წელათრეულნი მიიზღაზნებოდნენ მტ-  
კვრის მარჯვენა ნაპირით.

სააკაძისა და ლუარსაბის ჯარს შემოუერთდნენ საბა-  
რათიანოსა და საციციანოს ჯარები. ასევე თავი მოიყარეს  
ქსნისა და არაგვის საერისთავოს, მუხრანბატონის, ამილახ-  
ვრისა და თბილისის ციხის სპარსული გარნიზონის ჯარ-  
ებმაც 700 სპარსელით. სააკაძის რჩევით, ისინი სურამთან  
უნდა დალოდებოდნენ ლუარსაბისა და სააკაძის შეერთებულ  
ქართულ ჯარს.

თათარხანთა გარშემო შეკრული ქართველ მებრძოლ-  
თა რკალი საშუალებას აღარ აძლევდა მტერს გზა გაეკვლია

მესხეთისკენ. ჩაკეტეს ყველა გზა და ბილიკი. მტერს ან ბრ-  
ძოლა უნდა მიელო, ან ტყვედ დანებებოდა.

ქართულ მხედრობას რიცხოვნობად ისევ ბევრად აღე-  
მატებოდა ოსმალთა და თათარხანის ჯარი, სხერტისა და  
ნიაზის ველებზე მარცხნაგემები.

მეფე ლუარსაბმა საბრძოლო თათბირი მოიწვია. ეს-  
ნრებოდნენ გიორგი სააკაძე, ქაიხოსრო სააკაძე, ზაზა ციციშ-  
ვილი, თამაზ მაჩაბელი, ნუგზარ არაგვის ერისთავი, შალვა  
ქსნის ერისთავი, მუხრანბატონი, ამილახვარი და თბილისის  
ციხის გარნიზონის მეთაური დელუ-მუჰამედ-ხანი.

კრებამ მოისმინა ყველა დამსწრის საომარი პოზიცია  
და ერთხმად მხარი დაუჭირა სააკაძის გეგმას:

– ოსმალოთა მიერ გაჭრილ თხრილებს მეთოფენი  
შემოვახვიოთ, დილა სისხამზე, დენტისაგან წარმოქმნილ  
ნისლში, ცხენოსანი ჯარით ელვის სისწრაფით მივესიოთ,  
გაოგნებული მტერი მსწრაფლ ვერ იმოქმედებს, თან, ჩვენ-  
გან ძლეულნიც არიან, სხერტის ბრძოლით გამონვეული ში-  
შის თრთოლვა ჯერ არ განელეობათო (ბერი ეგნატაშვილი).

ლუარსაბ მეორის თანხმობით, ქართული ჯარის სარდ-  
ლობაც გიორგი სააკაძეს დაევალა.

სააკაძის განკარგულებით, ქართულმა ჯარმა დიდი  
მანძილით დაიხია ოსმალთა სადგომებიდან ისეთი აზრის  
შესაქმნელად, ვითომც საომარი მდგომარეობისათვის ვერ  
არიან ჯეროვნად მზად, მოუმზადებლად კი ქართველები  
ომის თადარიგს ვერ შესძლებნო.



მტრის თვალის ასახვევად ყველა ქართველმა მეომარმა თავის სადროშოსთან მოიყარა თავი და თავის წინამძღოლთან ერთად ყველა სადროშომ, მისთვის განკუთვნილ დროში, დატოვა ოსმალთა სიახლოვის ადგილი. ეს იყო იდეალური, მრავალ ბრძოლაში და დროში გამოცდილი ხერხი, განხორციელებული სააკაძის მიერ. თათარხანისა და ოსმალთა ჯარი კარგად ხედავდა ქართველთა სიმცირეს. მათ იოლად დაიჯერეს, რომ ქართველებისათვის ბრძოლის მიღება, მათი სიმცირის გამო, ნაკლებ-შედეგიანი იქნება და ამ ეტაპზე პოზიციიდან გასვლას და გარიდებას ამჯობინებენო. განა თვითონ ვერ გრძნობდნენ თავიანთ უპირატესობას – 55 ათასი კაცი ზღვასავით ლეღავდა ქართლის მინდვრებში; რომ არა გონიერი ხერხი, განა რა მკლავს ან იარაღს უნდა დაემარცხებინა მტრის ასეთი სიმრავლე. მართალია, იწვნიეს ქართული ჯარის კლდედ დგომა სხერტის ბრძოლაში, მაგრამ განა რამდენის განადგურებალა შეეძლო ჯერ კიდევ ბოლომდე თავმოყურელ ქართულ მხედრობას.

საკაძის განმარტებით, ოსმალთა სარდლობა უნდა დარწმუნებულიყო, რომ ქართული რაზმები გადიოდნენ საბრძოლო ტერიტორიებიდან. იქ განსაზღვრული იყო, ვინ დარჩებოდა და ვინ გავიდოდა, მთავარი, მტერს უნდა დაენახა, თუ როგორ მცირდებოდა ქართული რიგები, დროის გასვლა იყო საჭირო მათი დაშიშვლებისათვის. ასეთი სტრატეგიულად გამიზნული მოქმედებებით, სააკაძეს ჩაფიქრებული ჰქონდა მტრის საომარი შემართების მოღუწება, „გულთა დამშვიდება, არ მოლოდინი ომისა“ (დათა ხიზამბარელი).

მართალია, ოსმალთა და თათარხანის ჯარმა, თხრი-

ლებით გაამაგრეს პოზიციები და მოემზადნენ საბრძოლველად, ყველაზე მთავარი მტერი მაინც სხვისი მიწა იყო, სადაც ქვაცა და ხეც კი წინააღმდეგობას გინევს. საიდან, რა მხრიდან, რა ამინდში მოვარდებოდნენ შლეგიანად ქართველები, მათ არ უწყოდნენ.

70–იან წლებში ერთ-ერთი სტუმრობის დროს სოფელ ნოსტეში ლომა ხიზამბარელმა გვიამბო თაობათა ხსოვნაში გამოტარებული ამბავი:

„ტაშისკარის ბრძოლაში ოსმალთა და თათარხანის ჯარებს, ბუნებრივია, საკვების თადარიგიც დაჭერილი ექნებოდათ, მაგრამ მოწინააღმდეგეთა რკალში მოქცეულთ განა რამდენი ხნით ეყოფოდათ.

საკაძემ ძალზე მოამშია მტერი, სასონარკვეთამდე, გულნასვლამდისო. სწორედაც რომ აქ არის მთელი ამ ომის საიდუმლო, ლოდინით და შიმშილით სულის წასვლამდე მიიყვანა მტარვალთა ურდო სააკაძემ. არც გადამწყვეტი ბრძოლა ჩანს ქართველთა მხრიდან. დამშეულნი, სასო მიხდილნი, თხრილებში ვიშვიშებდნენო“.

საბრძოლო გარემოს გაარიდა სააკაძემ ქართველთა ჯარი. მისივე რჩევით, ცხენოსანთა რაზმის მხედრებმა თავიანთ ცხენებს ფლოქვებზე ნაბდის ნაჭრები მაგრად შემოაკრეს და ხარის ტყავის თასმებითაც შემოახვიეს, რომ ყრუდ, უხმაუროდ ევლოთ და სიფრთხილით მიახლოებოდნენ ოსმალთა სადგომებს. აგრეთვე ცხენებს თავ-კისერზე აღვირებთან ერთად ჩამოამაგრეს ტომრები, სადაც ქერს უყრიდნენ. ესეც იმისათვის იყო საჭირო, რომ ხვიხვინით არ გაეცათ თავი-

ანთი პატრონები, ყურადღება მუდამ გემრიელი საჭმლისკენ ჰქონოდათ მიპყრობილი.

სრული მზადყოფნა ქართველ მეომრებში. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, შემთხვევითი გადაძახილი, ერთიან რკინის სალტედ უნდა შეკრან მეომრული რკალი, თოფის სასროლ მანძილზე სიჩუმით მიაღწიონ შიმშილითა და შიშით გაოგნებულ ოსმალოთა თხრილებამდე.

სააკაძეს სრული საბრძოლო მზადყოფნით მხარში უდგანან ბააკა ხერხეულიძე, ლომი ჩრდილელი, ხოსრევან გედევანიძე, მათარსი შიხაიდრისძე, პაპუნა ჩივაძე, თამაზ ქარციძე, პაპუნა ვაშაყაშვილი, ქვლივიძე და ინაშვილი – ომებში ნაცად-ნანროთობნი.

იდგა 1609 წელი, შუა ზაფხული, დილის რიჟრაჟი. სააკაძის საომარი გზის მანათობელი ვარსკვლავი კიაფობდა მენამულ ცაზე.

ოსმალურ 55000 კაციან ლაშქარს, მართალია, სხერტის ჭალებში წამოენია ქართული ხმლის სიმწარე. ბევრი ჩაიხოცა, მაგრამ ქართველებზე მაინც ჭარბად ჩანდნენ. არც გასაკვირია, რადგან ქართველთა ლაშქარი სულ 10000 კაცს შეადგენდა.

სააკაძის ხმამ და თოფების გრიალმა გახია ოსმალური გარინდება. ზვავევით წამოვიდა ქართველ ცხენოსანთა ლაშქარი, მიქროდნენ შუბგანვართულები, ცხენების აფრიალებულ ფაფარში ცხვირპირჩარგულები. მარცხენა ხელით ფარი უჭირავთ, მარჯვენით – ტყედქცეული შუბ-



ერთაწმინდის სამრეკლო

ები. სწრაფგაგელებულებმა თხრილებს შემოუარეს და შუა ოსმალურ ბანაკში ისე შეცვივდნენ, მტერმა გაკვირვებაც ვერ მოასწრო. ერთმანეთს ეხეთქებოდა კაცი და ცხენი, ხმალი და ფარი, ნივილით ცვიოდა ფოლადს ნაპერწკლები. თოფისნამლით აკვამლებულ ჰაერში ისედაც შიმშილით ღონემილეულ ოსმალებს უჭირდათ ორგანიზებული მოქმედება. აირია და აიზავთა ბრძოლის ველი. რკინის ჩახაჩუხი, ცხენტა ჭიხვინი, დაჭრილ-დასახიჩრებულთა გმინვა და კვნესა, სისხლით მოთხვრილი სახეები... გაშმაგების ზენიტში შესულიყო ორივე მეომარი მხარე. ადუღდა და გაფიცხდა ტაშისკარის ველი, ქართველთა შუბი და ლახტი აუცდენლად ხვდებოდა მიზანს.

იბრძოდა სააკაძე, ვითარცა ტურა-აფთრებში ლომი, ოსმალური ინით ნალები მოსხეპილი თავები ცვიოდა მიწაზე.

იბრძოდა ლუარსაბ II – მძლავრად, მტკიცედ, ომშიც კი ლამაზი იერით;

იბრძოდა ყველა – თავადი, აზნაური, გლეხი – ერთ მუშტად შეკრულ იმედად, ენაფებოდნენ მტერზე გამარჯვებას, ხმა ერისა მღეროდა მათ ერთიანობაში.

საკაძე თავისი რაზმით ყველაზე ჭარბად შეყრილ ოსმალოებზე მიიწვედა და მიწასთან სწორდებოდა ალაჰის მიმდევართა მოხრილი ზურგები.

ტაშისკარის ბრძოლა დასასრულისკენ გადაიხარა.

ქართულ მახვილს გადარჩენილი, შიშისგან და შიმშილისაგანაც დაოსებული ოსმალები ტყვეს შეერივნენ.

„არ ჰქონდათ ღონე გზის გაგნებისა და მაშინ ძარცვავდნენ დედანი ტყეთა შინა დამალულთა ყირიმელთა კაცთა: შეიპყრობდნენ, მოხდიდნენ დოლბანდს, თუ რამე ჰქონდათ, წაართმევდნენ, განაშიშვლიან და განუტევიან“, – წერდა ბერი ეგნატაშვილი.

„სააკაძის ერთი შეძახება არევდა და ფანტავდა მტრის ჯარსა!“ (იოსებ თბილელი).

„ომში დანყებიდან დასასრულამდე, სააკაძე იყენებდა სპეციალურად დამუშავებულ საბრძოლო მეთოდს, კერძოდ, ყველაზე მრავლად, ერთად მჭიდროდ შეკრულ მტრის ჯგუფებს მიაშურებდა მეხივით შეძახილით „დავკრათლა მტერსა!“ (ლომა ხიზამბარელის ნაამბობიდან).

მისი ხმის გაგონებაზე მოქმედებას იწყებდა დაძახუნებული ნერვი; სტიქიის მსგავს ძალად აღიმართებოდა საომარ ველზე ქართველ მეომრებისაგან სრული მზადყოფნა სიცოცხლის გაღებისა კი და სანაცვლოდ შედეგიც აღარ აყოვნებდა.

თვითონ აფთარივით მიეშურებოდა პირველი წინ, მარჯვნივ და მარცხნივ შვიდ-შვიდი რჩეული მეომარი მიჰყვებოდა ზურგს დაახლოებით ოცდაათი, ხშირად ორმოცდაათამდე მებრძოლი უმაგრებდათ. მეომართა საერთო რაოდენობა ამ დროს დამოკიდებული იყო მტრის ჯგუფებად თავმოყრილ ჯარზე, თუ სად რა რაოდენობის დაჯგუფება იბრძოდაო. მისივე თქმით მტერთან, შეტაკების წინარე ჟამს სათათბირო შეკრებაზე, სააკაძე აუწყებდა ქართველ მხედრობას, მის ნიშანზე ელვისებურად მოეყარათ თავი მის

გვერდით, რომ ეს წინასწარდაგეგმილი შეტევა ჩაეტარებინათ. ქართველი მეომრებისათვის ცნობილი იყო, როგორც კი სააკაძე თავისი მედგარი ხმით შეუძახებდა, „დავკრათლა მტერსა!“ ეს უკვე ნიშნავდა იმას, რომ ბრძოლის რომელიღაც მხარეს მტერი მძლავრობს, უპირატესობა მოიპოვა. მათ დასაფანტად და დასათრგუნად სააკაძის რაზმი სოლივით შეიჭრებოდა მტრის დიდ ჯგუფში; არევდა, დაფანტავდა, მრავალი შეაკვდებოდა ქართველთა მახვილებს; როგორც კი იწყებოდა შეჯგუფული მტრის დაშლა-დანანევრება-განადგურება, შემდეგ საჭირო იყო ეს რაზმი მშვიდობიანად, ნაკლები ზიანით გამობრუნებულიყო უკან: მაგრამ იშვიათად ხდებოდა, რომ არ დაჭრილიყვნენ ქართველი მეომრები (ეს ომის ხელწერაა).

უკან გამობრუნებისას ზურგის დაცვას უნდა უზრუნველყო, რომ ქართველები მტრის რკალში არ მოქცეულიყვნენ. ამ რაზმის წევრებს სპეციალურად არჩევდნენ განსაკუთრებით ძლიერი და გამოცდილი მებრძოლებისაგან.

ლომა ხიზამბარელის განმარტებით, ის მეომრები, რომელნიც გ. სააკაძის თანამებრძოლებად არიან მოხსენიებულინი, ისტორიულად ყველა მისი ის თანარაზმელები არიან, შეტევების დროს გვერდში რომ ედგნენ საიმედოდ.

ახალგაზრდა მეფის თვალწინ დაინთქა, დაიშრიტა ქართლის წასალეკად შემოსული ოსმალთა მრავალათასიანი მხედრობა. ასაკის გამო მანამდე არ ჰქონია ლუარსაბს მსგავს ბრძოლაში მონაწილეობის სამუალება. – სიმშვიდე სუფევდა გარკვეული დროით საქართველოში. ახლა მან თავისი თვალთ ნახა ცხირეთიდან მტრის ეს უზარმაზარი არმია, ნიაღ-

ვარივით რომ იდგა თეძმის ხეობაში, ბერი თევდორეს მიერ ჩატყუებული. ცხადია, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ, მეფე იყო საქართველოსი, – მას ევალებოდა მტრის ღირსეული დახვედრა, მითუმეტეს, უთადარიგოდ შეხვდა ქართლი; მტერმა მესხეთი დაარბია, შემდეგ შუა ქართლისკენ გამოეშურა. მადლობა ღმერთს, ბერმა თევდორემ გაიტყუა გოსტიბესთან მოსულები, უგზო, მიუვალ ღრანტეებში ატარა მტერი და თეძმის ხეობაში ჩაიყვანა. სულმნათი ბერი ფიქრობდა, ხეობაში გაშლილ ოსმალებს მოსახლეობა შეამჩნევს და საბრძოლოდ მოემზადებიანო.

სწორედ ასეც მოხდა.

ლუარსაბ მეფე მართლაც უმწეო მდგომარეობაში აღმოჩნდა. შეიძლება მტერს ჩავარდნოდა, რომ არა გიორგი სააკაძე, რომელმაც ელვის სისწრაფით შეკრიბა ახლომახლო სოფლებიდან რამოდენიმე ასეული მეომარი, სხერტის ქალაზე თავგანწირული შეტევით დააბნია, უკუაქცია ოსმალები, დაამარცხა და ბოლოს, – ტაშისკარის სამამულო ბრძოლა, სადაც 38 წლის გიორგი სააკაძემ იშვიათი სტრატეგიული ოსტატობით დაგეგმა და წარმართა საომარი ოპერაციები მტრის სრულ განადგურებამდე.

ლუარსაბ II-ის თვალში სააკაძე წარმოჩინდა, როგორც შეუდარებელი მაგალითი ქართველი სარდლისა და თავდაუზოგავი მებრძოლისა.

ტაშისკარის ბრძოლაში ერთიან დიდად მნიშვნელოვან მოვლენად გამონათდა ღირსება სააკაძის საბრძოლო ნიჭისა, რომელიც ყველა 10000 ქართველი მეომრის თვალმა

ნახა და განიცადა; განმტკიცდა ქართველთა უძლეველობით გამოწვეული სიამაყე. გაბრწყინებული გულით ლოცავდა ქართლის მეფეს ლუარსაბ II-ს და გიორგი სააკაძეს მოსახლეობა, ცრემლმორეული ულოცავდნენ და გულში იკრავდნენ ერთმანეთსაც ქართველი მებრძოლები.

საკაძემ და მთელმა ხალხმა, ქართლის მოსახლეობამ ლუარსაბ მეფეს აჩვენეს თავისი სახე და ჩაახედეს თავიანთ გულებში, სადაც იდგა უძირო სიყვარული, რომელიც ტაშისკარის ბრძოლაში ერთიან გამარჯვებად აისახა და საძირკველი ჩაუყარა ზნეობრივ საურთიერებო კეთილშობილებას.

აღბათ სწორედ ტაშისკარის ბრძოლა იყო ლუარსაბის გიორგი სააკაძესთან დაახლოების, მეგობრობისა და შემდგომ დამოყვრების მთავარი განმსაზღვრელი. ამის შემდეგ დაიახლოვა მეფემ გიორგი, მის გარეშე საქვეყნო საქმეებს არა წყვეტდა და იმდენად ალაზევა, რომ „შემდგომ მეფისა იგი იყო“, – წერს მემატანე.

ფიქრდამძიმებული თავადები შურისწყალგადასხმულები უნაგირებზე სწორდებოდნენ, ფარად-ფაშა მიზანდაბნელებული ჩასცქეროდა მინას, ტაშისკარის საომარი ველი მის თანამოძმეთა გვამებით იყო მოფენილი.

შაჰ-აბასის გულის მოსაგებად ლუარსაბ მეფემ ფაველენიშვილი გაგზავნა ირანში და ოსმალო ტყვეები და მოკვეთილი თავები გაატანა.

ძალზე გაუხარია „ირანის მზეს“ ქართველი მეფის

ტაქტიკური ნაბიჯით, – უეჭველია, სააკაძის აზრიანობაც იქნებოდა ჩაქსოვილი ასეთ მოქმედებაში, – განცვიფრება ვერ დაუმალავს, რადგან 60000-იან ოსმალოს ჯარზე გამარჯვება ერთი მუჭა ქართველებით პირდაპირ სასწაულიც კი იყო, თანაც მონინალმდევე ქვეყნის ამხელა ლაშქრის განადგურება უიოლებდა ოსმალეთში ირანული გავლენის გაძლიერების გზას.


„ირანის ლომს“ არ აკლდა ნიჭიერი სარდლები, მაგრამ სააკაძე უფრო მკვეთრად გამოიკვეთა შაჰის ოცნების თავანზე.

1610 წელს შაჰ-აბასმა თავისთან მიიწვია მეფე ლუარსაბი. იგი გაემგზავრა შერჩეული ამალით, დიპლომატიური გონიერებით, მოფიქრებული აზრით.

მეფემ ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა და თავადებს შემფოთების კიდევ ერთი მიზეზი გაუჩნდათ.

ლუარსაბ II ამაყად წარსდგა ირანში შაჰ-აბასის კარზე. მიზეზიც ჰქონდა საამისოდ, გამთბარიც იყო „ირანის ლომის“ გული – რკინა სანამ ცხელი იყო, მანამ უნდა გადალუნულიყო.

გულთბილად გადაეხვია ცოლისძმას აბასი. ღირსეული დახვედრა მოუწყო, მრავალი ხოტბა უძღვნა მეფის გულის გასახარად. გამოჰკითხა ყველა დეტალი ტაშისკარის ბრძოლის მიმდინარეობისა, შეუქო მარჯვენა და მეფობა. ლუარსაბმაც ზომიერი თავდაჭერილობით მოუთხრო ბრძოლის მსვლელობა, აღწერა ოსმალთა ჯარის უჩინარად შემოს-



ტაშისკარი, 1609 წელი

ვლა ქართლის შუა გულში. განსაკუთრებით აღნიშნა გიორგი სააკაძის მაღალი სტრატეგიული ნიჭიერება მთელი ბრძოლის მსვლელობის მანძილზე.

აბასს სააკაძის ხსენებაზე ისევ გაუფართოვდა თვალე-ბი. კარგი პოლიტიკური ამინდი იდგა შაჰის კარზე და მანაც გულუხვი წყალობა და საჩუქრები უძღვნა ლუარსაბსაც და მის ამაღლას.

სითამამემორეულმა ლუარსაბ II-მ თავისი ჩანაფიქრის გამხელა დროულად ჩათვალა და მტკიცედ ჰკადრა, გაეთა-ვისუფლებინა წარმოშობით ქართველი ფარად-ფაშა. გო-ცებისაგან სახე გაულურჯდა „ირანის მზეს“: ჯერ იყო და დატყვევებული მიჰგვარა ქართლის მეფემ ოსმალო ფაშა, ახლა დიდსულოვნებით მის გათავისუფლებას ითხოვს! ნე-ტავ საიდან უნდა იღებდეს სათავეს ასეთი თავგამოდება ქართველებისა? გონების სიღრმეში ცხადად იცოდა ამ აზ-რის გამფიქრებელმა, შექმნილი ვითარება, ტაშისკარის ომში ბრწყინვალე გამარჯვებიდან გამომდინარე, უარის თქმის სა-შუალებას არ მისცემდა ალაჰის მოციქულს, მაგრამ უფრო მთავარი საქართველოდან, მისი დედაქალაქიდან ირანული ჯარის გაყვანის მოთხოვნა იყო.

რა გამბედაობასა და სიმტკიცეს ფლობდა ამ ლამაზი გარეგნობის მეფე ლუარსაბის შინაგანი ბუნება, რომ გამ-მაგებამდე მისულ შაჰს აზრი ვეღარ მოეკრიბა, თუ ვისგან იყო ნაკარნახევი ესოდენ მნიშვნელოვანი მოთხოვნა.

განა ვინმეს გაუკვირდება, ვინც კი იმ პერიოდის საქართველო-ირანის პოლიტიკურ ურთიერთობას იცნობს,

რომ მხოლოდ გიორგი სააკაძის გონებაში უნდა დაბადებულიყო აზრი თბილისიდან ირანული ჯარის გაყვანისა და ლუარსაბ II-ის, როგორც მეფის, სიტყვით უნდა თქმულიყო მისი ირანში ჩასვლის დროს, შაჰ-აბასის კარზე წარდგომისას. ამ ულტიმატუმის შესასრულებლად შაჰმა ძმები ალავერდი-ხან და დაუთ-ხან უნდილაძეები იხმო. ისინი უცხო მიწის ნაყოფით საზრდოობდნენ და ცხადია, აქედან გამომდინარე, თავიანთ საზიანოდ და შაჰის ინტერესების საწინააღმდეგოდ სიტყვას არ დასძრავდნენ, ამიტომ ქართლის მეფის გულის მოსაგებად მიღებულ იქნა დროებითი მოჩვენებითი ლოიალური გადაწყვეტილება. შაჰ-აბასი რის შაჰ-აბასი იქნებოდა, ასჯერ არ გაეზომა და ერთხელ არ გადაეჭრა მხოლოდ თავისი გონების საზომით. მეორე დღეს სადარბაზოდ მიიწვია მეფე ლუარსაბი და განუცხადა:

– შენი პაპის, დიდი სიმონ მეფის პატივისცემით, რომელიც იყო ირანის და მისი მოსახლეობის კეთილისმსურველი, დიდად ვაფასებ მის შვილისშვილს ლუარსაბს, ირანელი მბრძანებლის მორჩილს, მისი ქვეშევრდომობისათვის განუელი ღვანლისათვის და ამის დასტურად გადავდგამ ამ ნაბიჯს – გადავწყვიტე, ვაცნობო დელუ-მუჰამედს, გამოიყვანოს თბილისიდან სპარსული ციხიონი!

აი, როგორი ექო გამოუწვევია ტაშისკარის ომს საქართველოს სამეზობლოში!

რა ღრმად დამაფიქრებელია ამდაგვარი ნაბიჯის გადადგმა „ირანის ლომისაგან“, ომის გარეშე, სისხლდაუნთხევლად თავისუფლდებოდა საქართველოს დედაქალაქი ირანელთაგან.

„და მისცა შაჰ-აბასმა, ქვეყნის მზემ და ირანის მშვენიებამ, ქართლის მეფეს ლუარსაბს თბილისის ვილაიეთი“, – ნერდა სპარსი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში.

ოსმალეთზე ხმლით გამარჯვებული მიემგზავრებოდა საქართველოდან ლუარსაბ მეფე სპარსეთში შაჰ-აბასის მინვევით – პოზიციაგამარჯვებული ბრუნდებოდა სამშობლოში.

გიორგი სააკაძის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. უხაროდა ყველას – ერსა და ბერს. მიიღეს დამსახურებული შედეგი ერთად ყოფნისა და ქვეყნისათვის თანაფიქრისა და გარჯისა. საქართველოდან სპარსული ჯარი გადიოდა!

საავდრო ღრუბლებმა გადაიქარა საქართველოდან. ტაშისკარის ომში ჩვენი ქვეყნისათვის საამაყო გამარჯვებამ ალაგმა ოსმალონიც და ირანელნიც, მაგრამ ვერ მოინელა შაჰ-აბასის ვერაგმა ბუნებამ საქართველოსთვის და იგივე ცოლისძმისათვის გადადგმული სასიკეთო ნაბიჯი, ლუარსაბ მეფის მოთხოვნის საფუძველზე ირანული ჯარის თბილისიდან გასვლამ მოსვენება დაუკარგა აბასს!

მიმართა თავის ჩვეულ ხერხს, მოიმარჯვა გესლიანი კალამი და მისწერა მოჰამედ-ხან ყაზაყლარს: სასწრაფოდ ჯარი შეჰყარე, გაემართე ქართლისკენ, დაწვი და გაანადგურე; მეფე შეიპყარ, თავი მოჰკვეთე და გამომიგზავნეო.

ქართლში დავანებული სიმშვიდე საგანგაშო განწყობამ შეცვალა; მოჰამედ-ხან ყაზაყლარი შემოსეოდა ქართლის სოფლებს ცეცხლითა და მახვილით.



ლაშქრის შეკრება ბრძანა ლუარსაბმა; თვითონ, სააკაძესთან ერთად, საბრძოლო სამზადისს შეუდგა. ვერაფრით წარმოიდგენდნენ, ყაზახის პატრონს სწორედ „ირანის ლომის“ წერილი ედო უბეში. ჯერ კიდევ დაბნეულ-გაოგნებულებს შაჰ-აბასის უსტარმა მოუსწრო: მაცნობეს, რომ ყაზახის ხანი მოლალატეა, ოსმალთა ფაშებთან გაუმართავს მინერ-მონერა, ამიტომ სასწრაფოდ შეჰყარე ქართველთა ჯარი, გაემართე ყაზახისკენ, ააოხრე და გააცამტვერე, ხოლო მოლალატე ყაზახის პატრონს თავი მოჰკვეთე და აქ გამომიგზავნეო.

ასეთი ფანდებით ხარობდა ირანის შაჰის გული, ასე ემარჯვებოდა და ეწადა თავისი ავი პოლიტიკის განხორციელება. არა მარტო მეზობელ ქვეყნებთან, არამედ თავისივე ქვეყნის ორგანიზმში ცდილობდა მონამლული სისხლის შეშვებას. შლეგიანი ფანატიკოსი, ეჭვიანი იყო თავისი შვილებისა და შვილიშვილების მიმართაც.

ლუარსაბ II შაჰ-აბასის ცოლისძმა იყო. თითქმის ძალით შეირთო ლელა-თინათინი. ქართლის მეფეს სხვა გზაც აღარ ჰქონდა, დათანხმდა მტრის ასეთ შემოთავაზებაზე, ოღონდ საქართველო ყოფილიყო მშვიდად. აბასმა ლუარსაბი ჯერ თავისი სურვილით მიიწვია, მეფური ღირსებით უმასპინძლა, საჩუქრებით აავსო, მის წაყენებულ წინადადებას დაეთანხმა, ორიოდ დღეში კი სიკვდილ-სიცოცხლის სასწორზე შეაგდო თავისი მოყვრის სიცოცხლე.

ამ ორი წერილის დამწერის მიზანი წყლის ამღვრევა და შიგ ანკესის ჩაგდება იყო, იქნებ ორიდან ერთ-ერთი, – ლუარსაბ მეფე ან მოჰამედ-ხან ყაზახლარი წამოგებოდა,



ლუარსაბ II

მოთმინებითა და ხელების ფშვნეტით ელოდა რომელიმეს თავის ფეხებთან გაგორებას.

დიდხანს არ გაუვლია, ყაზახის ხანის თავი გაუგორეს შაჰს.

ასეთ – „ვაის გავეყარე, უის შევეყარე“, – ქვეყნებთან ჭიდილში უხდებოდა საქართველოს თვითმყოფადობის შენარჩუნება. გამუდმებით ორ ცეცხლს შუა კი არა, ცეცხლის რკალში იყო მოქცეული და სწორედ ამიტომ ითხოვდა ქვეყანა ღრმა განსჯა-დაფიქრებას, თუ ვისთან, როგორ მტერ-მოყვარესთან ჰქონდა საქმე. სად რა უკეთ გასჭრიდა – ხმალი თუ ტკბილი სიტყვა – გონიერება სჭირდებოდა უპირველესად მეფეს, ჯერ მას უნდა განეჭვრიტა, აენონ-დაენონა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველა მოსაზღვრე ქვეყანაში მომხდარი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი მოვლენა და თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა.

ტაშისკარი იყო დიდი გამარჯვება. ამავე დროს იყო მრავალმნიშვნელოვანი საკითხი საქართველოს როგორც გარეული, ისევე შინა მტრებისათვის. დიდი დაფიქრება მართებდა ქვეყნის ხელისუფალს, არ არეულიყო ერთმანეთში მედროვისა და მართლა დიდი ხარკის გამღების ღვაწლი.

მოგებულმა ბრძოლამ კიდევ უფრო რთული ამოცანა დააყენა ლუარსაბ მეფის, გიორგი სააკაძის და ყველა გულმხურვალე ამაგდარი ქართველის წინაშე, არ მომხდარიყო საბედისწერო შეცდომა, სიფრთხილე არ მოედუნებინათ, ურთიერთთანადგომა არ მოშლილიყო.

გამარჯვების ეიფორიაში ჩაძირვა და მარტო ამით დაკმაყოფილება დიდ ასპარეზზე ვერ გაიყვანდა ქვეყანას იმის გამო, რომ მტრის საბუდარში ისევ ბარტყობდნენ საქართველოს წასალეკად ახალფეხადგმული ოსმალოები და ყიზილბაშები.

1611 წელს შემოდგომის დამდეგს გიორგი სააკაძემ ნოსტეში, თავის ციხე-დარბაზში, მეფის საკადრისი სტუმრობა გამართა და ლუარსაბს მერიქიფედ თავისი და დაუყენა.

ახალგაზრდა მეფე მოიხიბლა სააკაძის დის სილამაზით, სასმელმაც თავისი ქნა და აუფოფინდა გული სამიჯნუროდ. ნოსტედან წამოსულმა ველარ დაივიწყა...მისი სიტურფე და კდემამოსილება.

სწორედაც რომ ამას ელოდნენ თავადები. კარგი დაუდგათ ამინდი. აგორდა ეკლიანი ენების გორგალი, – სააკაძემ განზრახ მოაწყო წვეულება, რომ ლუარსაბს ასეთი გზით კიდევ უფრო დაუახლოვდესო.

საქართველოში ისტორიულად სტუმარმასპინძლობა ერთ-ერთ ღირსებად ითვლება, რაღა სააკაძის გაუკვირდათ, განა იგივე თავადები არ მართავდნენ ერთმანეთის პატივსაცემად ნადიმებს? ზოგიერთი დიდბუნებოვანი თავადი გლეხობასაც სცემდა პატივს და მათ გარეშე სუფრას არ გააწყობდა. ასეთი მაგალითებიც ახსოვს ხალხის მესიერებას.

1609 წლის ტაშისკარის ბრძოლა ლუარსაბ მეფისა

და გიორგი სააკაძის გულითადი დამეგობრების მიზეზი გახდა. იმის შემდგომ ბევრმა წყალმა ჩაიარა. 1611 წლამდეც ბევრი მიზეზი ჰქონდა სააკაძეს წვეულების გასამართად, თუნდაც 1910 წელს ირანიდან დაბრუნების შემდეგ, როდესაც ლუარსაბ მეფისა და სააკაძის ჭკვიანური დიპლომატიის წყალობით თბილისის სპარსულმა ციხიონმა დატოვა საქართველო. ხომ ზეიმობდა ქვეყანა და მიზეზიც დიდი იყო ნოსტეში მეფის სანადიმო სუფრაზე მიწვევისა – სააკაძეს ეს არ გაუჭირდებოდა, – მაგრამ დიდი მოურავი არ იყო ის პიროვნება, მარტივად გადაედგა ასეთი ნაბიჯი. მით უმეტეს, ტაშისკარის გამარჯვებამ თვალი აუხილა და დაანახა ზოგიერთი თავადის შურიანი დამოკიდებულება იმის გამო, რომ მას მეფე უდიდეს ანგარიშს უწევდა, ენდობოდა და ეიმედებოდა, აკი ცნობილია, რომ მეფე ლუარსაბმა შაჰ-აბასთან გამგზავრებამდე 1610 წელს „ქართლი საპატრონოდ სააკაძეს დაუტოვა“.

ახალგაზრდა ლუარსაბს სპეტაკი სული ჰქონდა, მისი გული აღფრთოვანებული იყო სააკაძის მხარში დგომით. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, სამეგობროდაც შემზადებული. მის ძარღვებში მეფური სისხლი დაედინებოდა, თავისი პაპის სიმონ I-ის მსგავსად სამშობლოსათვის ღირსეული სამსახურის განწევა ეწადა. მისი თვალ-გული ხომ ყველას ხედავდა, დანყებული დიდი თავადებიდან მცირე აზნაურებით დამთავრებული; იცნობდა ყველას ხასიათს, იცოდა, ვის რამდენად შესტკიოდა ქვეყანაზე გული.

თუ ბევრის ბუნება გაურკვეველი იყო რაღაც ეტაპამდე, ჰყავდა მეფეს ისეთი რჩეულებიც, რომლებიც ატყობინებდ-

ნენ და ახედებდნენ არსებულ მოვლენებში, გიორგი სააკაძის პიროვნება კი ლუარსაბმა აბსოლუტურად თვითონ, თავისი თვალით, გულის თვალით, დაინახა და შეაფასა ყველა შთაბეჭდილება მის მიმართ, რამაც ტაშისკარის ომის დასაწყისიდან აიღო სათავე. მემატრიანეთა ცნობით, სააკაძე „შემდგომ მეფისა იყო“. გამორიცხული არ არის, რომ ნოსტრეში ნადიმის სურვილი თვით მეფე ლუარსაბს გამოეთქვა, რაც გასაკვირიც არ არის ესოდენი ნდობისა და ურთიერთობის შემდეგ. მით უმეტეს, სილამაზით განთქმული სააკაძის დის ქებას შეიძლება ლუარსაბის ყურამდეც მიეღწია და ტაშისკარის ომის მოგების შემდეგ მეფემ დაინახა სააკაძის მრავალი ღირსება, საფიქრებელია, თვით ლუარსაბს მოენდომებინა ნოსტრეში სტუმრობა (ნ.ხ).

1609-1611 წლამდე უფრო დულაბად მტკიცდებოდა მათ შორის თვით საქმეცა და მეგობრობაც.

სააკაძის მახვილ თვალსა და გონებას არ გამოეპარებოდა მეფისა და მის გარშემო შექმნილი ვითარება. არც იმის მიხვედრა გაუჭირდებოდა, რომ ბევრი დიდებული უკვე შფოთავდა მისი აღზევების გამო და ასეთს, თავისი ბედის ავად განმსაზღვრელ ნაბიჯს არ გადადგამდა, ინიციატორი ვერ იქნებოდა. გიორგი სააკაძე ბედს მიენდო, უფრო სწორად, მეფეს უარი ვერ უთხრა. იმ სანადიმო სუფრიდან დაიწყო სააკაძისთვის ავბედითი დღეების ათვლა.

დაიშვა შეცდომა, რომლის გამოსწორებაც ვერაფრით მოხერხდებოდა, მწარე სინანულით ხვდებოდა სააკაძე, რა მიმართულებაც მიიღო სანადიმო სუფრამ.

ბევრჯერ სთხოვა მეფეს, მიუღებელია თქვენი დამოკიდებულება ჩემი დისადმი, ნუ აცყვებით მარტო გულისთქმას, მე უბრალო აზნაური და ყმა ვარ თქვენი და თქვენივე მეოხებით აღზევებული, ჩვენს შორის სამოყვრო ხიდის გადება შეუძლებელია, რომც მოხდეს ეს სასწაული, ჩემი დის გადედოფლებას ჯერ თავადები და შემდეგ მათი ცოლები არაფრით იგუებენ, იმასაც დაგაცვილებენ და ჩემს თავსაც დაგაკარგვინებენო.

– მეფეო, გთხოვ, მიიღო ჩემი ვედრება და ხელი აიღო განზრახვაზე; სამშობლოს საშველად, ჩვენს სამეგობროდ დაკავშირებულ გულებს ტალახის სასროლად ნუ გავიხდით, თუ არა, ვერ დავითმენ ჩემი ოჯახის აბუჩად აგდებას და სხვა გზა აღარც დამჩენია, თავს შემოგაკლავო!

მიუხედავად იმისა, რომ ესმოდა გიორგის სიმართლე, ლუარსაბ მეფე უტეხი სიჯიუტით იდგა თავის სიტყვაზე:

– მე შენი და გულწრფელი სიყვარულით ვირჩიე, იგი ჩემი ცოლი და ქართლის დედოფალი იქნებაო, – ნამდვილად არ ცდებოდა ჭაბუკი მეფის გული.

თვალთ დაუბნელდა გიორგის, მიხვდა, ლუარსაბთან ველარა თხოვნა და სიტყვა ველარ გასჭრიდა. გულდამდულრულმა მიაშურა მარიამ დედოფალს.

სააკაძეს, მეფის უერთგულეს მსახურს, დედოფალი თანაგრძნობით შეხვდა:

– ჩემს შვილთან, ლუარსაბთან მე ველარაფერი გავანყე. – ვერ გამოვძებნე ძალა, რომ შევეწინააღმდეგო მის გუ-

ლისთქმასო, – უთხრა გულმტკივნეულად.

გიორგის წინაშე ამოიწურა ყველა გზა და შესაძლებლობა აზრი შეეცვლევიანებინა მეფისათვის, ისლა სთხოვა, დაეფიცა, რომ ერთგული იქნებოდა თავისი არჩევანისა, არასოდეს განიშორებდა ცოლობიდან.

მხურვალე გულით დაიდო ფიცი.

იმავე 1611 წელს ქვათახევის მონასტერში ლუარსაბ მეფემ ჯვარი დაინერა გიორგი სააკაძის დაზე.

ამოვარდა განცვიფრებით ნაზავი და ბოღმაში წარმოქმნილი ქარიშხალი, დიდგვაროვანთაგან მოდენილი ამღვრეული ტალღები შემოეჯარნენ სააკაძეს გარშემო.

მეფე ლუარსაბი ურყევად იდგა, არაფრით ეთმობოდა საყვარელი მეუღლე, რაც სააკაძის უარყოფასაც ნიშნავდა. ეს ბუნებით სათნო ადამიანი ისე აპყვა თავისი გულის ძახილს, უარიც კი თქვა ერთ-ერთი თავადის ასულზე და არა მხოლოდ მთელი არსებით შეიყვარა წარმომავლობით მდაბიო სააკაძის და, საკუთარი, მეფური არსებობაც კი მიუძღვნა. აბსოლუტურად ჭეშმარიტი სიყვარულით თრთოდა მისი ჭაბუკური გული. დიდებულთათვის უკიდურესად აუტანელი იყო სააკაძის ფონზე მათი არსებობა, მოსვენება დაჰკარგოდათ და მისი განადგურებისათვის ბჭობა-თათბირებს მართავდნენ. სააკაძის მოსპობით, ცხადია, დიდ შვებას იგრძნობდნენ, მათ გიორგისადმი ხალხის სიყვარულიც აღიზიანებდათ, მხოლოდ მისი მოსპობა-ამოძირკვა იყო მათი ამოსუნთქვის საშუალება. არ უწევდნენ არავითარ ანგარიშს საქართველოს, მის ხალხს,

ირგვლივ მოჯარულ ამდენ სამტროდ წამომართულ მუსულმანურ ქვეყნას, მხოლოდ სააკაძის მარჯვენას და ხალხის ერთსულოვნებას რომ უნდა გაეცა პასუხი.

სამშობლოს რომ სააკაძე სჭირდებოდა, ამას ზოგიერთ დიდებულთათვის არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ოლონდ მათი ცოლები დამშვიდებულიყვნენ, სააკაძისა და მისი გადედოფლებული დის აუგად სახსენებლად თავს არ იზოგავდნენ.

დიდი სხვაობა იყო მათ მრწამსსა და იმ მიწას შორის, სადაც დაიბადნენ: სამშობლო მხოლოდ იმდენად უყვარდათ, რამდენადაც სჭირდებოდათ. მათი გაანგარიშებით, თუ აუცილებლობა მოითხოვდა, მტერსაც იოლად დაუთმობდნენ თავიანთი დაბადების ადგილს. ეძნელებოდათ მთლიანი, ერთიანი საქართველოსათვის ხარკის გაღება, ბევრი თავადისათვის საქართველო მხოლოდ მის ადგილ-მამულებს ნიშნავდა.

ამ კუთხით ისტორიული მოვლენების განხილვისას ცხადია, რომ ყველა წარჩინებული ადამიანის დამოკიდებულება სამშობლოსთან ერთნაირი და მარტო ანგარებითი სულაც არ იყო. ისტორიამ ქვეყნის უანგარო სამსახურში დამშვრალი და თავშენიერი ბევრი დიდგვაროვანის საქმე და სახელიც შემოგვინახა.

მე სწორედ საგანგებოდ ვუსვამ ხაზს იმას, რომ სააკაძის მდგომარეობის განხილვისას გამოთქმით „თავადთა ნაწილი“, „დიდებულთა ნაწილი“, ჩვენ მხოლოდ შადიმან ბარათაშვილისა და მის მსგავსთა პოზიციას წარმოვაჩინთ

გიორგი სააკაძესთან მიმართებაში. მათ ყველა ღონე იხმარეს, რომ სააკაძის და ჩამოეცილებინათ ლუარსაბისათვის, უგვარო დედოფლის თავზე დასმას ცოცხალი თავით ვერ შევურიგდებითო.

აღსანიშნავია, რომ ლუარსაბ II-ის დროს უფრო მძაფრი იყო ფეოდალური განკერძოებულობის ტენდენცია, უჩინარი საიდუმლოებებით იყო დახლართული ქვეყანა, თუნდაც, ვერაგი შაჰ-აბას I-ლის პოლიტიკის წყალობით; მეფემ ვერ იპოვა თავის თავში ძალა, რომ ძლიერი მეფეების მსგავსად მტკიცე რისხვით დაეთრგუნა თავიანთ ნაჭუჭში განდიდებულნი და სააკაძის ეროვნული მიმართულებისათვის დაემორჩილებინა მათი ვნებათა-ღელვა; ვერ დაძლია დიდ თავადთა უძლეველობის შიში, ვერ აირჩია სამშობლოს გადარჩენის ისტორიული გამოცდილების გზა.

საკაძის საპირისპირო მხარემ ლუარსაბს პირდაპირ წაუყენა ულტიმატუმი, „ან ეგ ირჩიე ან ჩვენ“. და თუ მეფე არ გაიზიარებს ჩვენს აზრს, მაშინ ვაი მეფის ბრალი!“

დაიყაბულეს ლუარსაბი: იყოს ისე, როგორც თქვენ გნებავთ, განვიშორებ დედოფლობიდან და ცოლობიდანაცო.

– მარტო ეგ არ კმარა, უნდა მოიკლას კიდევაც გიორგი სააკაძე. დამცირებული და გაბოროტებულისაგან უსათუო სიკვდილს ვერცერთი ავცდებითო.

შადიმანის მითითებით შემოიყვანეს ფარსადან ციციშვილი და ბერუკა ჯავახიშვილი. ეს უკანასკნელი გიორგი სააკაძეს შვილივით აღზრდილი ჰყავდა, გადაუბრებიათ

შადიმან ბარათაშვილს და მის მსგავსთ.

ცილისმნამებლური არშია მოუქსოვიათ: „გიორგი სააკაძეს ფარული კავშირები აქვს შაჰ-აბასთან; მათი მიზანია, შენი პაპის ძმისშვილი ხოსრო-მირზა დასვანო ქართლის ტახტზე“. სრულიად საკმარისი აღმოჩნდა ამის მოსმენა, ლუარსაბს აზრი შეეცვალა. აღარ ეყო უნარი, დინჯად, ბეჯითად გამოეკვლია ყოველი ბრალდება, მოესმინა გიორგისათვის, ერთი სიტყვა მაინც ეთქმევინებინა და მერე მიეღო გადწყვეტილება.

გაქრა ყველა დამსახურება სააკაძისა, თვით ტაშისკარიც კი.

მეფე აჰყვა დიდებულთა ამბიციებს და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს კაცს, ვისაც ზეციური ძალებისაგან დაკისრებული ჰქონდა ქართლის გაძლიერება.

## ბიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობების განხილვა

1609 წლიდან, როდესაც ტაშისკარის ომმა საფუძველი ჩაუყარა მეფისა და მოურავის ღირსეულ ურთიერთობებს, და მათი დაახლოვება იმდენად საიმედო იყო, რომ 1610 წელს, შაჰ-აბასი, ტაშისკარის ომით ოსმალთა განადგურებით კმაყოფილი, ლუარსაბს იწვევს ირანში, მისდამი კეთილდამოკიდებულების გამოსახატავად, მეფე ქართლს სამეთვალყურეოდ სააკაძეს უტოვებს. ასეთი პოზიცია ხომ პირდაპირ გვეუბნება მათი თანამოაზრეობის ფაქტზე, ხომ შეეძლო სააკაძეს გამოეყენებინა ეს ვითარება და ნოსტეში სტუმრობა იმავე, 1610 წელს განესაზღვრა, და გაემართა ისე, რომ რახან ამდენი ნდობამოპოვებულია ლუარსაბთან, რაც სააკაძის მომხრეთა წარმატების შინაარსაც მოიცავდა, ბარემ თუ ჩანაფიქრი ჰქონდა ისეთი, როგორც მის ოპონენტთა მხარეს მიაჩნია, უკვე არსებულ მათ საურთიერთობო სიკეთეს მოჰყოლოდა მეორე სიკეთეც და იმავე 1610 წელს გაემართა სანადიმო სუფრა.

როდესაც ლუარსაბის გონებისა და გულის თვალთ დახანული იყო სააკაძის თავდაუზოგავი თვისებები, სარდლის ალლო, და ქვეყნისთვის მზრუნველი ქართველის განსახიერებას წარმოადგენდა, უნდა ითქვას იმ დროის მოვლენებში მასზე უკეთესად არავინ გამოიყურებოდა, მისი დაც სიტურფითა და ძმის მსგავსად, ეროვნული გულშემატკივრობითაც გამოირჩეოდა, იგი გადაწყვეტდა სააკაძესთან

დამოყვრებას და ნოსტეში სტუმრობა მისი იდეაც იქნებოდა. მაშ როგორი შინაარსი უნდა მომდინარეობდეს სააკაძის სურვილისაგან. ე. ი. მან მოინდომა, მოიფიქრა და დაგეგმა მეფის წვეულება ნოსტეში, თავის ოჯახში, და აღარ იფიქრა ისიც, რომ მისი დის გადედოფლებას რარეაქცია მოჰყვებოდა, ისედაც ამრეზილ ქართველ დიდებულთა ფსიქოლოგიაში. ამდენი პოლიტიკური სირთულეების ფონზე, რაც ქართლში იმჟამად სუფევდა, სავარაუდოდ გადაწყვეტდა მეფის გამასპინძლებას?!

ბერი ეგნატაშვილი სააკაძისგან ნოსტეში სანადიმო სუფრის გამართვას ხერხად მიიჩნევს, შემდეგ წინააღმდეგობის განწევას ლუარსაბის მიმართ, და საგარანტიო ფიცის დადებას კი, დიპლომატიურ ნაბიჯად.

რალათქმაუნდა საჭირო ერთობ სასურველი და მომხიბლავი იქნებოდა ლუარსაბის დამოყვრება სააკაძესთან, რაც მის თანამოაზრეთა გაძლიერებასაც მოასწავებდა. სააკაძე, როგორც მიზანმიმართული პიროვნება, უნდა აღინიშნოს მისი 1620 წელს დასავლეთ საქართველოში მეფე გიორგისთან ყოფნისას, მან გამოხატა სურვილი, მისი შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დაენიშნა. რაც პირველ რიგში იმერეთის სამეფოს მოკავშირეობით, ირანის წინააღმდეგ თანადგომას ისახავდა მიზნად. სააკაძის ასეთი მოქმედებები საქართველოს გაერთიანების იდეით აიხსნებოდა. დამაფიქრებელი ის არის, რალა სააკაძისგან ხდებოდა ასეთი ნაბიჯები ჯერ გასაკვირი, მერე აღმაშფოთებელი.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისეთი სიახლოვის კავშირი იყო ლუარსაბსა და სააკაძეს შორის იმ სამი წლის მანძილზე –

1609 წლიდან 1611 წლამდე, ერთხელ მაინც არ დაინტერესდებოდა მეფე თავისი უახლოესი კაცი, სააკაძე სად როგორ, რა სახლ-კარში ცხოვრობდა, რამდენი შვილი ჰყავდა, ან რა პირადი გარემო ჰქონდა. განა მარტო ის ერთი სტუმრობის მიზეზი იყო ყველაფრის განმსაზღვრელი? ჩვენ აქვე მოვიყვანთ ცხირეთის საზაფხულო სამეფო რეზიდენციას, რაც ნოსტედან ორი კილომეტრითაა დაშორებული და სააკაძის ადგილ-მამულებს ზემოდან გადმოჰყურებს. ეს ფაქტიც ხომ მათი ხშირი ურთიერთობის განმსაზღვრელია, და მიგვანიშნებს იმ მოვლენაზე, რომ ლუარსაბს ჰქონდა საშუალება 1611 წლამდის შეხვედროდა სააკაძის დას, საეკლესიო დღესასწაულებზე თუ სამეფო კარზე საზეიმო შეხვედრებისას. მაშ რა გამოდის, სააკაძემ გამიზნულად მოაწყო სანადიმო სუფრა, არ გაითვალისწინა შემდგომი სირთულეები, რაც ასეთ მოვლენას მოჰყვებოდა. მერე დაფიქრდა, ეს რა ჩავიდინეო და მეფესთან სახვეწრად გაუხდა საქმე, ხელი აელო მისი დის ცოლად შერთვაზე. როდესაც იგი ლუარსაბს ეუბნება, მე უბრალო აზნაური ვარ, ჩვენს შორის მოყვრობის კავშირი ვერ გაამართლებს, ვინაიდან დიდებულთა აზრი ჩემი დის გადედოფლებას არასოდეს შეეგუებაო.

იოსებ თბილელის „დიდი მოურავიდან“ მოყვანილი აზრი, რომელიც ანგარიშგასაწევია, გვეუბნება, რომ ლუარსაბი სააკაძის მიწვეულია:

„ხანი გარდახდეს ამაში, მე დავპატიჯე მეფესა“

ნოსტეში სტუმრად მიწვეულ ლუარსაბს, სააკაძის დისგან სწავლია ღვინის დასხმა. შესაძლოა, ღვინომოჭარბებულმა ლუარსაბმა, სააკაძის დასთან მეტი სიახლოვის სურ-

ვილი გამოხატა. ესეც მისი ალალი ბუნებიდან მომდინარეობს, მაგრამ სააკაძისათვის მიუღებელი გახდა, როგორც მეფის პოზიციებიდან შემხედვარე, სისუსტედ აისახა. როგორც ჩანს ამან დააფიქრა, არ ელოდა, მეფე ყოველთვის და ყველგან მეფე უნდა იყოს. წარმოუდგენელია ლუარსაბს უპატივცემულო საქციელი გამოეხატა სტუმრად მიწვეულ სააკაძესთან. რამეთუ გიორგის დიდად აფასებდა და მისი და გულით უყვარდა. შესაძლოა, ღვინო და სიყვარულმორეულ ლუარსაბმა, სუფრაზე, თავადთა თანდასწრებით, გაამჟღავნა თავისი გულის წადილი, რომ სააკაძე ღირსეული ადამიანია, ქვეყნისთვის საიმედოა. მისი დაც, გარდა მომხიბვლელობისა, დიდი სათნოებით იქნებოდა სავსე, და განაცხადა მეფური პოზიციებიდან, ამაყად, გულ-გახსნილად, რომ ლუარსაბს იგი უყვარს. სმენაგამახვილებულ სააკაძეს არ გამოპარვია ის რეაქცია, რაც თავადებში ლუარსაბის სიტყვების გაგონებისას მოხდებოდა. ყურადღება მივაქციოთ, ლუარსაბი, მემამულიანეს თქმით, სააკაძის დაპატიჟებულია, მასთან ერთად მიწვეულნი არიან სხვა დიდებულნიც. იმ სუფრის დამთავრების შემდეგ სააკაძის განწყობა რადიკალურად განსხვავებულია. როცა, მემამულიანეს თქმით, ამბობს:

„გამარჯვება და ღვინით ნახვა – ყველა შემექმნა შხამადა“

აშკარაა, როცა სააკაძე ასეთი აზრისა გახდა თავისივე მოწყობილი სუფრის შემდეგ, მან თავისივე ოჯახში დაინახა ნაწილ თავადთა ქირქირი, ლუარსაბის სასიყვარულო მოვლენისაგან წარმოშობილი. შესაძლოა, დიდებულებმა თავშეუკავებლადაც კი გამოხატეს თავიანთი პოზიცია ლუარ-



საბის წინაშე. შფოთავს გულ-დამდურებული სააკაძე, ამა  
საქმისგან ჩამოხსნას, მე წყალობადაც კი მივიღებო მეფის-  
გან და იქამდისაც კია აღშფოთებული, ამბობს :

„რად დაგავინწყდა აღარ გახსოვს ომი შარშანწინ-  
დელი?“

აქ საყვედურია წინა პლანზე წამონეული, რად აღ-  
მოჩნდა ასეთ მდგომარეობაში. მოლოდინი სულ სხვა იყო,  
ვითარებამ სხვა მიმართულება მიიღო, თვითონაც ცოლშვი-  
ლის პატრონს, გუმანი გამახვილებული აქვს. უცხო ვინმე  
ხომ არ არის, საკუთარი დაა, სისხლი და ხორცი. რადგან  
სააკაძისგან საყვედური გამოკრთა, ლუარსაბის მიმართ, ეს  
ფაქტი იმის მიმანიშნებელია, რომ ლუარსაბის სურვილის-  
განაც უნდა მომდინარეობდეს ნოსტეში სანადიმო სუფრის  
გამართვის მიზეზი. გულმოკლული სააკაძე სანდო კაცს აგ-  
ზავნის მეფესთან და დაუბარებს:

„მეფეს კაცი მიუგზავნე, ეს არ იყო თქვენგან ქნანი!

ნუ მიჰყვებით ბოროტ საქმენს, ნუ გაქვთ ცუდი გუ-  
ლის თქმანი.“

რადგან მეფის წინაშე კაცის გაგზავნა დასჭირვებია  
სააკაძეს, უნდა გაიგოს, მართლა ცოლად შერთვა უნდა მისი  
დის თუ ხარჭად ყოფნას უპირებს. აქვე უნდა ვივარაუდოდ  
ის, რომ რადგანაც ლუარსაბმა სააკაძესთან სტუმრობისას  
თავისი გულის ნადები სუფრაზე აღიარა, რომ მას სააკაძის  
და უყვარს, არც მას გამოეპარებოდა თავადთა რეაქცია და  
მათი ეჭვების გასაფანტად და გულის მოსაგებადაც მოძებ-

ნიდა შესაფერის მომენტს. სააკაძის იმ შემთხვევაში არ ყოფ-  
ნისას და დიპლომატიურ სიტყვად დაამატა, რომ სააკაძის და  
მისთვის იქნება მხოლოდ ხარჭა.

ლუარსაბის გადანყვეტილება რომ სინამდვილეა და  
წყალი არ გაუვა, „დიდი მოურავიდან“ მოყვანილი მოსაზრე-  
ბაც გვიდასტურებს:

„მეფემ ფიცი შეუთვალა: მაგას შენ არ გაკადრებდი,  
მაგრა ცოლად ის შევიერთო, მხიარული ვიხარებდი.  
ქართლს დაგიჯდეს და დედოფლად, გაიხარე მით იშვებდი.“

შეიძლება ითქვას, რომ ყველაფერი ეჭვგარეშეა, რაც  
სააკაძეს ეწადა, მიღწეულია და დამამშვიდებელიც, რაც მე-  
მატიანეთა აზრსაც ემთხვევა.

სააკაძის და ქართლის დედოფალი ხდება!

არ უნდა გამოვრიცხოთ ლუარსაბის გარემო ვითარე-  
ბებში შექმნილი მდგომარეობაც. ნაწილ დიდებულთა დამოკ-  
იდებულება სააკაძის მიმართ, რაც მასაც კარგად ეცოდინე-  
ბოდა და ლუარსაბიც, თავისი დიპლომატიით, ცდილობდა  
დიდებულთა გულის მოგებას რომ მეფე მათი აზრის დამ-  
ცველია და მეტი დამაჯერებლობა რომ შეეტანა მათ ფსიქო-  
ლოგიაში, ამბობდა, სააკაძის და მისთვის მხოლოდ ხარჭა  
იქნებოდა სინამდვილე კი სულ სხვა იყო. რადგან ლუარსაბმა  
იცოდა შადიმანის მსგავსთა ამბიციები და თავისი ალალი  
გულიდან გამომდინარე ცდილობდა, თავისი გულის მრწამსის  
გამხელით, ისევ სააკაძეს არ გართულებოდა დიდებულებთან

საქმე. ის თავს არიდებდა სააკაძესთან სტუმრობას, რაც 1609 წლიდან 1611 წლამდის გასული დროის მონაკვეთიც ამას ადასტურებს. მისი განსაზღვრებით, დროის გაყვანის მცდელობით ამ საქმეში აღსანიშნავია, რომ მათ თავადთა გონებაში მომნიჭებულიყო, მომზადებულიყო მდგომარეობა ლუარსაბის სააკაძესთან დამოყვრებისა. ამ საქმეს ნიადაგს უმაგრებდა ტაშისკარის დიდი გამარჯვებაც.

სტიქიურად მეფის მიწვევა სააკაძისგან არ მოხერხდებოდა, იგი დარწმუნდა მის გულწრფელობაში და ორივემ ერთად მიიღო გადაწყვეტილება.

დიპლომატიური მოქმედებები იმ ვითარებებში სააკაძისგან გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს. აქ მთავარია რენდგენული სიცხადით დავინახოთ სააკაძისგან ლუარსაბთან შენინააღმდეგების ფორმა, აქ საყვედურიც დასცდა მოურავს, სადაც მეფეს შეახსენებს: „ტაშისკარის ომს.“ რახან თავის ღვანლი შესახსენებლად გახდა საჭირო, მარტო დიპლომატიასთან არ გვაქვს საქმე, მით უმეტეს, მოურავის დამამშვიდებელი პასუხი ლუარსაბისაგან შეთვლილია, მისი და ქართლის დედოფლის გვირგვინს იდგამს. მეფის პასუხი, მნიშვნელობა და შინაარსი იმედს იძლეოდა, მით უმეტეს, ბერი ეგნატაშვილის განმარტებით, დიდად დაუმძიმდაო ლიპარიტიანის ქალსო, ლუარსაბის ნაბიჯით, თავისი დედის ქართლის დედოფლისათვის მიუღებელი გამხდარა. ეს მაშინ, როდესაც მომავალი სადედოფლო, ლევან დადიანის და, შერჩეული ჰყავთ. ე.ი. ლუარსაბ II-ს თავის გულწრფელ გადაწყვეტილებაში ეწინააღმდეგება დიდებულთა ნაწილი, საკუთარი დედა, დედოფალი მარიამი და ეწინააღმდეგება გიორგი სააკაძეც.

არ არის გასაკვირი, რომ იქნებოდა მცდელობა ნაწილ დიდებულთა მხრიდან ლუარსაბისა და სააკაძის შორის განხეთქილება ჩამოეგდოთ. რადგან მიზეზიც შეექმნათ, ლუარსაბისგან სააკაძის დისადმი სატრფიალო ნაბიჯისა, მას თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენებდნენ და მათ გონებას როგორც ეხერხებოდათ, ისეთ შინაარსს მისცემდნენ. როგორ იქნება მეფემ მცირედი აზნაურის და დედოფლად დაისვას. მას ხარჭად თუ გამოადგებაო. ეს ჭორები აიდგამდა ფეხს და სააკაძის ყურამდისაც მივიდოდა. მაშ რა უნდა ყოფილიყო მისი აღშფოთების მიზეზი, მეფეს ეუბნება, ჩამომეხსენითო, თუ არა სხვა გზა აღარ დამრჩენია, თავს შემოგაკლავო. თუ სააკაძისგან ნოსტეში სუფრის გამართვა არ არის სადაო და ხერხად ითვლება, დიპლომატია ნაკლებად იკითხება მისი აღშფოთების მიზეზებში, როცა იგი იმეორებს:

„იმავე სიტყვას მოგახსენებთ ხელმწიფესა ზესთა ზესა, სიმონ მეფის შვილიშვილსა – ნუ მიჰყვებით ნდობით ზნესა! თქვენც ის ქენით, მამა პაპად რომ მიჰყრობა სითაც ქნესა?“

ჩვენ ლუარსაბ II-ს მეფობისთვის სუსტი მხარეებით ვიცნობთ? თურმე არ იყო იგი მარტო ასეთი მხარეების მქონე. როგორ სიმტკიცეს ავლენდა ცალკე დედა-დედოფლის დასამშვიდებლად, ცალკე სააკაძის დასამშვიდებლად და თავისი დიპლომატიის საშუალებით, დიდებულთა დასამშვიდებლად. რომ მათი მრწამსის გამზიარებელია და ნუ მოეჩვენებათ მისგან რაიმე შეუსაბამო ნაბიჯის გადადგმა.

მეორეს მხრივ კი ავლენს მაღალ ზნეობრივ თვისებებს,

თავისივე გულის კარნახის მიმართ. სააკაძის და, როგორც ქალი, მარტო ამ კუთხით არ უყვარს (ამგვარი მომენტები მეფისთვის ყოველთვის არსებობდა) იგი ქალის ღირსების დამფასებელია და ამდენად სპეტაკია. სააკაძის პოზიციას, რომ ღრმად გაარკვიოს ეს დროებით გაურკვეველი მოვლენა, გაიგოს, მეფე ვის არჩევს სააკაძესთან დამოყვრებას თუ დიდებულებთან ტრადიციულ კავშირებს. თუ რაღაც საჭოჭმანო აქვს მეფეს, პირდაპირ სთხოვს, თუ ღმერთი გნამს ჩამომეხსენითო.

დიდებულთა პოზიციას: თუ ლუარსაბს სააკაძის და როგორც ხარჭა ისე სჭირდება, ეს მათთვის მისაღებია, საქირქილოდაც დიდხანს ეყოფათ. მაგრამ ლუარსაბს ვაი თუ მართლა შეუყვარდა სააკაძის და, მაშინ? ეს უკვე საგანგაშო დედოფლად არ დაისვას.

რახან სანადიმო სუფრამ მოვლენები გამოკვეთა და თან დააჩქარა, ვინ ვინ იყო და ვის რა პრეტენზია ჰქონდა ლუარსაბისადმი, ამიტომ იგი რამოდენიმე უკიდურესობის ნინაშე აღმოჩნდა, რაც მხოლოდ მისგან მიღებულ გადაწყვეტილებაზე იყო დამოკიდებული. თუ ლუარსაბი დროს გააგრძელებდა და ამით კი ზედაპირულობა გამოჩნდებოდა სააკაძის დისადმი სიყვარულისა. ეს კი თავადთათვის მისაღები იქნებოდა, მაგრამ არ იქნებოდა მისაღები ქართული ადათ-წესებისათვის, იმდენად რამდენადაც, ფარულად ადევნებული ჭორები მოქმედებებს გააგრძელებდნენ და სააკაძის გულის დანყვეტაც გაგრძელებოდა. მიუხედავად მოზღვავებული წინააღმდეგობისა, ლუარსაბს მცირედი სისუსტეც რომ გამოემჟღავნებინა თავისი არჩევანის მიმართ, უეჭვე-

ლად უარს იტყოდა სააკაძის დის ცოლად მოყვანაზე. მაგრამ მოხდა პირიქით, ლუარსაბმა გადაწყვიტა, ფარდა აეხდა ყველაფრისათვის, თავისი გულის კარნახი ყველასათვის დაემტკიცებინა საეკლესიო აღსრულებით, საქორწინო ჯვრის დანერით. ეს იყო ერთადერთი გამოსავალი, რამეთუ ღვთისნებით ჯვარდანიერილნი მრავალ უფლებამოსილნიც არიან. ჯვრის დანერამ სააკაძის დას პირველ რიგში ლუარსაბის ცოლობა განუმტკიცა, მეორე შემთხვევაში იგი ქართლის დედოფალი გახდა. სააკაძისათვის აღშფოთებული მდგომარეობა მოსასვენებლად იქცა, რამეთუ მეფისაგან მის დაზე ჯვრის დანერა და მეფისაგან ფიცის დადება ყველა საგარანტიო სიმშვიდის განმსაზღვრელი იყო.

ქვათა-ხევის მონასტერში ასრულებულმა ჯვრისნერამ სააკაძე დაამშვიდა, მაგრამ საპირისპიროდ, არ დამშვიდდნენ და აიფოფრნენ დიდებულთა ნაწილი, სამეფო ტახტიდან განზე მდგომებად წარმოისახეს თავიანთი თავები და მეფე ველარ იქნებოდა მათი ინტერესების დამცველი. ახლა უკვე აქეთ მეფე ლუარსაბი – როგორც სიძე, გვერდით მოურავი, როგორც იმ დროის ბევრი მოვლენის განმსაზღვრელი პირი, შეკრულან, შეთვისებულან, თან მეფური ფიცითაც განმტკიცებულან, რაც, ბუნებრივია, რწმენასა და სიმტკიცეს შეიტანდა სააკაძის მომხრეთა პოლიტიკაში. ნაწილ დიდებულთა სამომავლო იერარქიული მიზნები ფერსა და სიცხადეს დაკარგავდა. ლუარსაბისა და სააკაძის დამოყვრება მათთვის მომავალი გახუნებული მდგომარეობის მიზეზი გახდებოდა. ასეთი კავშირებით დიდებულთა ინტერესებს ჩრდილი მიადგა.

გ. სააკაძის დამ ლუარსაბ მეფის ადამიანური ღირსე-ბები დაინახა და თავისი ქალური ინტუიციით მიენდო, არაფ-რით არ იქნებოდა მათ შორის რაიმე ილუზიური ზედაპირუ-ლობა, ან უსაფუძვლო აღმაფრენა, მას ეამაყებოდა თავისი ძმა გიორგი, „ტაშისკარის ომში“ სახელმოხვეჭილი და ქართ-ველ მოსახლეობაში პოპულარული. ამ კუთხითაც მასაც საფუძველი ეძლეოდა, ამაყად დაეჭირა თავი და ადვილად მისი გულის დაპყრობა ვერავის გაეებდა, ისიც ფიქრობდა ასე, რომ ბოლოს და ბოლოს, სააკაძის და იყო, რომ არა მეფე ან რომელიმე წარჩინებულთაგანი, იოლად თავს არა-ვისთვის გაიმეტებდა. მისი გონებაც აუცილებლად ანალიზს გააკეთებდა თავისი მხრიდან, ლუარსაბის და მის შემდგომ ცოლ-ქმრულ ურთიერთობებს თუ რა რეაქცია მოყვებოდა დიდებულთა მხრიდან. სააკაძიანთ ქალი სავსე ყოფილა ქალური მომხიბვლელობითაც, მაგრამ ისიც არ დავიწყებო-და, რომ შედარებით დაბალ საფეხურზე მყოფი აზნაურის შვილი იყო. და ამდენად მეფესთან სასიყვარულო კავშირი მისგან კრიტიკულ ანალიზსა და დიდ დაფიქრებას ითხოვდა. უნდა ვიფიქროთ ისიც რომ გ. სააკაძეს თავის დასთან ექნე-ბოდა გულ-გახსნილი საუბრები, იმის შესახებ თუ რის მო-მასწავებელი იყო მეფესთან დამოყვრება, მისი ცოლობა ანუ გადედოფლება. მართალია, ლუარსაბ მეფე მაღალი ზნეო-ბის პიროვნება იყო მაგრამ, მაინც დას ურჩევდა, მეფესთან დაახლოებას დიდი სიფრთხილით მოჰკიდებოდა და უსიამ-ოვნება რომ არ შეხვედროდა, თავი შეეკავებინა რომ ღრმა სასიყვარულო ეიფორიაში არ მოქცეულიყო. გ. სააკაძე დარ-ნმუნდა თავისი დისაგან, თავის მიმართ ანგარიშის განევაში, რომ ძმის რჩევას და სიტყვას დისთვის დიდი მნიშვნელობა

ჰქონდა. რადგან გ. სააკაძე დარნმუნდა თავის დის მიმართ, რომ ის ძმის გარეშე ნაბიჯს არ გადადგამდა, ამის მერე გად-ანყვეტდა სააკაძე ლუარსაბთან შენინაალმდეგებას, ხელი აელო მისი დის ცოლად შერთვაზე. ლუარსაბი დარნმუნებუ-ლი იქნებოდა და სრულიად დამაჯერებლადაც, რომ სააკა-ძის დას იგი გულ-მხურვალედ უყვარდა. შესაძლოა, სააკაძის შენინაალმდეგებით, ლუარსაბს ხელი აელო მის დაზე, პირიქ-ით მოხდა უფრო დააჩქარა მოვლენები და მალე ლუარსაბმა ჯვრის დაწერა გადაწყვიტა სააკაძის დაზე.

ისტორიამ სააკაძის დის სახელი ვერ შემოინახა, მა-გრამ ქართულ ცნობიერებაში მაინც დარჩა როგორც გ. სააკაძის და, ლუარსაბ II-ის მეუღლე და ქართლის დედო-ფალი.

ლუარსაბ II, როგორც ადამიანი, უაღრესად მაღალ-ბუნებოვანი, კეთილშობილი, ალალი, თავისი ქვეყნის უზომო პატრიოტი იყო, მაგრამ იგი მალერწმენი, მიმდობი, იოლად ექცეოდა სხვისი გავლენის ქვეშ. გულის კარნახით შეირთო ცოლი. მან არ მოუსმინა არც სააკაძეს, არც თავის დედა-დე-დოფალს, უარი ეთქვა აზნაურის ქალის ცოლად შერთვაზე. არ გაითვალისწინა, რომ იმ დროს ქართლში მეფის წინაშე რთული სამოღვაწეო ამოცანები იდგა. მისმა საქციელმა კი ეს სირთულეები უფრო გაამწვავა. პირდაპირ უნდა ითქვას, სააკაძის პოპულარობა ისედაც შეუთვისარი გამხდარიყო ნაწილ თავადთათვის, ახლა ლუარსაბის მიერ მისი დის ცო-ლად შერთვა და დედოფლად გახდომა ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა, მით უფრო, რომ დედოფალ მარიამსა და კარის მრჩეველ დიდებულებს ლუარსაბისათვის სადედო-

ფლოდ შერჩეული ჰყოლიათ ლევან დადიანის და. ლუარსაბისგან მისი უარყოფა და აზნაურის გადედოფლება დიდებულთათვის აღშფოთების კიდევ ერთი მიზეზი გახდებოდა. ამ ფაქტს შეურაცხყოფად და თავიანთი უპირატესი წარმომავლობის დამაკნინებლად მიიღებდნენ. ყველაზე მეტად ეს განცდა იქნებოდა მათი აღშფოთების მიზეზი და არასდროს მიიღებდნენ და არც არასოდეს შეურიგდებოდნენ.

შეიძლება ითქვას, რომ მეფე მის გარშემო მომდინარე მოვლენათა ანალიზისას სააკაძესთან თანაკავშირში დაინახავდა და შეიგრძნობდა დაბალ საფეხურზე მყოფთა ერთგულებას, მათ საიმედო სამსახურს ქვეყნის საკეთილდღეოდ. მეფის რადიკალური ნაბიჯის სიმტკიცე უნდა გამოხატავდეს სააკაძისადმი იდეური თანამსგავსობის მომენტსაც. ამდენად, ერთ პარალელში აისახება მათი სულიერი მდგომარეობაც. თუ სააკაძე ყურადღებას მიაგებს და ცდილობს დაბალ ფენებიდან გამონახოს ღირსეული პიროვნებები ქვეყნის სამსახურად, ლუარსაბისათვის მისაღები გამხდარა სააკაძის ასეთი დამოკიდებულება და თავის მხრივ, გამოხატა კიდევაც, გულით მიელო და ცოლად შეირთო მისი და. გზადაგზა განვითარებული მოვლენებიდან, რასაც სააკაძის უკმაყოფილებაც დაერთო, ნაწილ თავადთაგან ცნობილი იქნებოდა ისიც, რომ სააკაძე არ იყო ამისი მოსურნე მხოლოდ იმ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებისათვის, რაც ურთერთ-დაპირისპირებას მოასწავლებდა მეფესთან ნათესაური კავშირი, ცხადია ერთის მხრივ, მისაღები და მომხიბლავი იქნებოდა, მაგრამ სააკაძე გრძნობდა იმასაც, რომ, მეორეს მხრივ მეტ თავის ატკივებას მოასწავლებდა. ამიტომ ცდილობდა, თითქმის ემუდარებოდა მეფეს, ხელი აელო თავის გულწრფელ, მა-

გრამ დაუფიქრებელ განზრახვაზე. მაგრამ უშედეგოდ. რახან დედა-დედოფალთან მისვლამ და თხოვნამაც არ გამოიღო შედეგი, სააკაძეს ისლა დარჩენოდა მეფისაგან ფიცით დადასტურებული პირობა მიელო, რომ მის დას ცოლობიდან არ განუტევებდა.

ბერი ეგნატაშვილი წერს: „და ეტყოდა მეფესა მტერნი მოურავისანი, ვითარმედ მოურავი დიდად კარგი არისო, მაგრამ ჩვენზე დიდად უმცირესი არისო და უმრწმესი გვართათო“. აქ მოყვანილი სიტყვები მის თანამედროვეთა ფსიქოლოგიაში ამოიბეჭდა. დიდებულთაგან განცხადებული შეფასება სააკაძის მიმართებაში გვაფიქრებინებს, რომ მის მიმართ თავდაპირველად ადამიანური სიმპათია მართლაც არსებობდა, დიდებულებსაც შესწევთ უნარი აღიარონ სიმართლე, მაგრამ მცირე ხნით, იმდენად, რამდენადაც თავიანთ თავში ჩამხედვარენი ასეთ თვისებებს ვერ პოულობენ. თუ პოულობენ, იმასაც იმდენს, რამდენიც თავიანთი ურთიერთობისთვის არის საკმარისი, მოკლებულნი დიდ მასშტაბებს, საყოველთაოს ამოუწურავს, ისინი დიდნი გვარისანი არიან, ამიტომ მაღალი ღირსებებიც მათი კუთვნილებაა, უმცირესი კაცისაგან ღირსებების მოჭარბება მათი ცნობიერებისათვის მიუღებელია. თუ მოხდა ისე, რომ მაინც გამოჩნდა, აუცილებლად მათი აზრის მორჩილი უნდა იყოს ბოლომდე. ამას იოსებ თბილელის სიტყვებიც გვიდასტურებს. იგი სააკაძეს ათქმევინებს:

„არ ავმალდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი!“

ღირსეულად თავმდაბალი სააკაძე მართლაც იქნებო-

და „დიდად კარგი კაცი“, ეს მარტო კარგ მეომარსა და კარგ სარდალს არ გულისხმობს, მხოლოდ ამის საფუძველზე ვერ შეიქმნებოდა მის შესახებ საერთო აზრი. დიდებულთაგან შეფასებული „დიდად კარგი“ იმით აიხსნება, რომ სააკაძე ქვეყანას ეიმედებოდა. კარგი ბუნებისა და ღირსების ადამიანი ყველასათვის მისაღები იყო მაშინაც და მისაღებია დღესაც.

ეს „დიდად კარგი კაცი“, მაგრამ „უმცირესი“ მოურავი, უმაღლესი საძულველი ხდება, როგორც კი ლუარსაბი მის დაზე ჯვარს დაიწერს.

ნაწილი დიდებულთათვის ლუარსაბის გადანყვეტილება ჯერ მოულოდნელი, შემდეგ ძალზე აღმაშფოთებელი გახდებოდა, მაგრამ მეფე იყო და რას უზამდნენ, იღვრიებოდა სააკაძის დის გადედოფლების აუტანელი შეურაცხყოფა. და რახან მეფე ლუარსაბს ვერაფერს დააკლებდნენ (მაგრამ გუმანში შეინახვადნენ და შეეცდებოდნენ შესაფერის დროს მისთვისაც სამაგიერო მიეგოთ), მიიღებდნენ ერთობლივ გადანყვეტილებას თავიანთ აზრზე მოექციათ მეფე და ჯოხი სააკაძეზე გადაეტეხათ, მძიმე ბრალდება წაეყენებინათ მისთვის.

ლუარსაბმაც მშვენივრად იცოდა ირანში მყოფი დაუდ-ხანის შვილების ბაგრატი-მირზას და ხოსრო-მირზას მდგომარეობა, რომლებიც შაჰ-აბასს ლუარსაბ II-ის სანინალმდეგოდ ჰყავდა თავის კარზე. თვითონაც ეჭვის თვალთ უყურებდა მათ იქ ყოფნას და იქ მყოფ ქართველებთან ურთიერთობას. დიდებულთა ნაწილმა სწორედ ეს ფაქტი გამოიყენა და იძულებული გახადეს მეფე მის მიმართ სააკაძის არაკეთილმოსურნეობა დაეჯერებინა. ამას ქართული

წყაროებიც პირდაპირ მიგვანიშნებს. ბერი ეგნატაშვილის განმარტებით, „დალაცა თუ არ ენება მეფესა მოურავისა გამომეტება, არამედ დიდათ აიძულეს“- და კიდევ უფრო მიეძალნენ, - „რა შეატყვეს მეფესა, რომ ყრმა არისო და რასაც მოვახსენებთ, ურჩად ვერ იქნებისო“.

იოსებ თბილელიც აღნიშნავს, რომ პირდაპირ დაუსვამთ ულტიმატუმი მეფისათვის, - ან ჩვენ ან სააკაძეო. - თუ მეფე სააკაძეს ჩვენზე მეტ უპირატესობას მიაგებს, მაშინ ჩვენ, როგორც დიდნი თავადნი, თქვენს ინტერესებს, როგორც მეფისას, არასოდეს მივიღებთო. დიდებულებმა გადანყვიტეს, მოეწყობა შეთქმულება, როგორც გამოსავალი გზა და ხერხი თავიანთი მდგომარეობის დასაცავად. მეფემ სააკაძის და, მათთვის შეუთვისარი დედოფალი, უნდა მოაცილოს სამეფო კარს; შემდეგ თუ სინყნარეც უნდა, სააკაძეც უნდა მოკლას, შეურაცხყოფილი მოურავი მპატიებელი ვერ იქნებოდა; თუ ის ცოცხალი დავტოვეთ, სიცოცხლე გაგვიმწარდებაო. მეფე, ნათელი გონებითა, იცავს თავის თავს, მეუღლეს და სააკაძეს, არაფრით ეთმობა ცოლი, თან, დადებულ პირობას, ფიცს ატეხინებენ. მერე ვის, სიმონ I-ის შვილიშვილს! ბერი ეგნატაშვილი უფრო მეტად სამართლიანი შემფასებელია თავისი დროის მოვლენებისა, როდესაც იგი გულისწყრომას ვერ მალავს, გადმოსცემს ზოგ დიდებულთაგან შემზადებულ სააკაძის გასანადგურებელ გეგმას და ამბობს: „ ასე აიძულეს მეფე ქვეყნის მახეზღარებმა“. მეტად ყურადსაღებია ბერი ეგნატაშვილის მიერ ნათქვამი, რომ „არ დაჰფარა ღმერთმან საქმე ესე, არამედ იხსნა მეფე ლუარსაბ უბრალო კაცის სიკვდილისაგანო და სისხლისაგანო ბაკა ხერხეულიძის სიმარჯვით“.

„დაუჟინეს, თუ რას გარგებს, აბა, გყვანდეს მარტო ისი, გვერდით არვინ მოგიდგებით, შემოგძარცვოთ ძმა და თვისი. თქმულა: სიტყვა სასარგებლო უკეთ იცის სხვამან სხვისი, ერთი კაცი ქვეყნისათვის ნახდეს კარგი თუნდა მქისი!“

დამაფიქრებელია ლუარსაბ მეფის ყოფა სააკაძის გაძევების შემდეგ იმ კუთხით, რომ ცოლის შერთვის სურვილი არ გამოუხატავს. ცოლგანტევებული, დათრგუნული, საიმედო კაცისადმი შეუბრალებლად მომპყრობი, ემოციამოჭარბებული, მოსიყვარულე მისი გული მიუკარები გახდებოდა. უცოლოდ დარჩენილი მეფის მდგომარეობა დიდებულებს შანსს აძლევდა თავიანთი გარემოდან მისთვის სადედოფლო შეერჩიათ, მაგრამ ლუარსაბი დუმს. მისი დუმილი კი მიანიშნებს, რომ მან თავის არჩევანს ადამიანური გული და პოლიტიკური მომავალიც მიუძღვნა და რომ არ ყოფილიყო მაღალი რეპუტაციის მქონე პიროვნება სააკაძის სახით, მის დას ასეთი გულით ვერ შეიყვარებდა. ვინ ან რაღა უშლიდა ხელს ლუარსაბს მის შემდგომ ქართლის ტახტზე დედოფალი დაესვა და ძე დაეტოვებინა. ლუარსაბის დუმილი ცოლის შერთვის თაობაზე უფრო მისგან დიდებულთა მიმართ პროტესტის გამოხატვის ნიშანს ჰგავს. არ აცალეს ყოფნა იმ ქალთან, რომელსაც თავისი მეფური ღირსებაც კი უძღვნა და ქვეცნობიერად მიგვანიშნებს, რომ იგი მთელი სიცოცხლე თავისი პირველი არჩევნის ერთგული იყო. ხედავდა და გრძნობდა ლუარსაბი ყოველივეს, რაც მის ტანჯულ ქართლის სამეფოს, ნაწილ თავადთა ამბიციით, სენად შესჩენოდა, პირადული მეობის განცდა უნდა დაეთრგუნა, ჯერ როგორც ადამიანს და მერე, როგორც მეფეს, მათი ინტერესების მორ-

ჩილი უნდა ყოფილიყო, თუ არა, კიდევ მეტი უბედურება დაატყდებოდა მის ქვეყანას.

რადგან შეთქმულთა ბანაკმა გ. სააკაძე ქართლიდან გააძევეს და მისი დაც დედოფლობიდან განუტევეს, ამ მრიე ისინი დამშვიდებოდნენ, მაგრამ ამით ხომ არ ამოიწურებოდა მათი განრისხების ნიალი? ასეთმა ვითარებამ ნარმოშვა, მეორე აუცილებლობა, მათგან თავიანთს გონებაზე მოყვანილ ლუარსაბს დიდებულთა წრიდან სადედოფლოც უნდა შეერჩია, მეფე მოვალეც იყო ქართლის სამეფოში მემკვიდრე დაეტოვა, ყურადღება მივაქციოთ, როცა ასეთ მდგომარეობამდის მიიყვანეს ლუარსაბი, წესით საცოლის არჩევაში გულგრილობა არ უნდა გამოეჩინა, ეს ხომ იგივე წინააღმდეგობის გამოხატვის ნიშანს ატარებს. სწორედ აქა ჩანს ლუარსაბის მაღალი ზნეობრივი პოზიცია, მისი დუმილი პროტესტის გამოხატვის ფორმაა და გ. სააკაძის დისადმი ერთგულების ნიშნად იკითხება. ლუარსაბ მეფეს დიდებულთა ასულებიდან სადედოფლო რომ შეერჩია და მემკვიდრე დაეტოვებინა, ეს იქნებოდა დასტური, მისგან გ. სააკაძისა და მისი დის სამუდამო უარყოფისა.

დიდებულთა წრის ასულები დიდხანს კოხტაობდნენ, დიდხანს ელოდნენ ლუარსაბისაგან რომელიმე მათგანისათვის, სადედოფლოდ მეფური ხელის განვდენას. მართალია იგი ღირსება დათრგუნული იყო, მაგრამ ზნეობრივი პოზიცია ისევ შენარჩუნებული ჰქონდა.

მეფე ლუარსაბში, თავისი მდუმარე პროტესტის ფორმის სიღრმეებში უნდა დავინახოთ დიდი სინანული გ. სააკაძის ქვეყნიდან გაძევებისა.

როცა ტაშისკარის ომში ლუარსაბმა გ. სააკაძის სარდლური შესაძლებლობა დაინახა და ხელმძღვანელობა მას მიანდო.

როცა ამ საფუძველზე ეს ომი ქართველების გამარჯვებით დამთავრდა.

როცა ამით კმაყოფილი შაჰ-აბასი, ლუარსაბს იწვევს, მისადმი კეთილდამოკიდებულების აღსანიშნავად.

როცა ლუარსაბი, ირანში წასვლამდის, ქართლს სამეთვალყურეოდ გ.სააკაძეს უტოვებს

როცა ლუარსაბისაგან ასეთი ქმედებით, ქვეყნისათვის მზრუნველი კაცის დაფასება იკითხება.

მეფის ასეთი პოზიცია გ.სააკაძესაც ხომ იმედს აძლევდა, რომ ლუარსაბის ხელში ქართლი მოლონიერდება.

რომ არა ნაწილ თავადთა ამბიცია, ვერ შეგუება საშუალო აზნაურის დის გადედოფლებას.

ხომ გააგრძელებდნენ მეფე ლუარსაბი და გ.სააკაძე შეხმატკბილებულად ქართლის ერთად აღმშენებლობას.

ირანში მყოფი გ.სააკაძის ფხიზელი გონება ხომ ჩაულრმავებოდა იმ მოვლენას რომ 1612 წლიდან 1615 წლამდე, მთელი სამი წლის მანძილზე, საქართველოში ჯერ ისევ მყოფ ლუარსაბს ცოლი არ შეურთავს და ვინც გადაიბირა მათი ასულების მიმართ გულ-გრილობას იჩენდა. ასეთი მოვლენა გ.სააკაძის გონებაში იქნებოდა კიდევ ერთი დასტური იმისა,

რომ მეფე ლუარსაბს მისი და მართლა გულით ჰყვარებია. სააკაძის შემწყნარებელი ბუნება მრავალ მოვლენაში დამტკიცებული ლუარსაბისადმი თანამგრძნობი დარჩებოდა..

ასეთი ვითარებები კი მიგვანიშნებს იმას, რომ მართალია, ლუარსაბი ნაწილ თავადთაგან გადაბირებული იყო, მაგრამ ბოლომდის მათი აზრის გამზიარებელი არ დარჩენილა.

ცხადია, რომ სააკაძე იცნობდა ლუარსაბის ფსიქოლოგიას და ქვეყნის მდგომარეობას, არ გაუჭირდებოდა მიხვედრა, ვინ, რატომ და როგორ აიძულეს იგი ჯერ საყვარელი მეუღლე დაეთმო, მერე ქვეყნისათვის დიდად საჭირო მოურავი გაეწირა, ლუარსაბის მდგომარეობის შემხედვარე სააკაძე, ადამიანურად, ალბათ, თანაუგრძნობდა კიდევაც, როგორც დიდებულთა გავლენის ქვეშ მოქცეულ მეფეს. ამ საფუძველზე და თავისავე მიმტვევებლური ხასიათიდან გამომდინარე, ლუარსაბისათვის სამაგიეროს გადახდის სურვილი ვერ გაუჩნდებოდა.

ლუარსაბ II ირანში 1615 წელს ჩაიყვანეს, ამ დროიდან 1622 წლამდის, სანამ შაჰ-აბასი ლუარსაბს ქრისტიანული სარწმუნოების შეუცვლელობის გამო მოაკვლევინებდა, შვიდი წელი იყო გასული. მთელი ეს დრო ირანში მყოფი სააკაძის ხელში არ იყო ? მაგრამ თავისი სათაყვანებელი მეფის, სიმონ I-ის შვილიშვილის მიმართ ეს ნაბიჯი მისგან არანაირად არ გადაიდგმეოდა; მით უფრო 1620 წლიდან სააკაძეს თავისი სამტრო მხარის მიმართ შერიგების ხელი აქვს განვდილი და იმავე ვითარებაში ლუარსაბს სამტროდ როგორ მოეკიდებოდა ?



ჩვენ თუ შევადარებთ, ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ I-ის დამოკიდებულებას სააკაძის მიმართ, აღმოვაჩინოთ, რომ ლუარსაბი სააკაძის ღირსებების მეტად დამნახავი და დამფასებელია, რაც გამოიხატა ტაშისკარის ომამდე. როდესაც ოსმალური მრავალათასიანი ჯარი მოემართებოდა მეფის შესაპყრობად, ღმერთის შეწევნით, ბერი თევდორეს ძალისხმევით, მეფის შეპყრობის მსურველი მტერი აცილებული იქნა მიზანს. და თეძამის ხეობაში ჩაიხვეტა და იქ დაიბანაკა. სააკაძისგან უმაღლესი შეკრებილმა რამოდენიმე ასეულმა მეომარმა მტერს მოსახლეობის რბევისა და გზის გაგრძელების საშუალება არ მისცა, სანამ ძირითადი ქართული ჯარი შეიყრებოდა. ლუარსაბმა სააკაძის ეს უნარიანობა დაინახა და ომში სარდლობაც მას მიანდო. შემდეგ ტაშისკარის ომის დიდმა გამარჯვებამ უსაზღვროდ გაახარა მისი გული და მისმა მეფურმა მდგომარეობამაც ქართლში სიმტკიცე შეიძინა, და მის ფსიქოლოგიაში სააკაძე საქართველოს იმედად აისახა. ოსმალების ჯარის ქართველებით დამარცხებული, შაჰ-აბასიც, კმაყოფილი და მისგან ირანში მიწვეული, ლუარსაბი, გაამაყებული წარსდგა, შაჰის კარზე. შემდგომი მოვლენებიდან რაღა უნდა იყოს გასაკვირი, ლუარსაბს სააკაძესთან დამოყვრების სურვილიც გაუჩნდებოდა და მისი დამფასებელიც იქნებოდა.

ახლა ყურადღება მივაქციოთ, “ მარტყოფის ომის „ დიდი გამარჯვების მერე სააკაძე თავისი ტრადიციული მრწამსის დამცველი, როგორც ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოხატვის ფორმა, აგრძელებს ამ მისიას და თეიმურაზს ქართლ-კახეთის მეფედ იწვევს. შემდგომ განვითარებული მარაბდის წინარე მოვლენებისა და

მის მერე ყველა არსებული მდგომარეობისა, სააკაძის თავდადების დაფასება ან ანგარიშის განწევა, მისგან გადახდილი ომებისა, თეიმურაზისაგან არ ჩანს და სააკაძის მიმართ მეტად რადიკალურია.

ლუარსაბ II-მ მაღალი ზნეობა იმაში გამოხატა, რომ პირველ რიგში თავის გულის ხმას მოუსმინა, როგორც ახალგაზრდა კაცმა, როგორც მეფემ და პოლიტიკური სივრცის განმსაზღვრელმა, თავისი ქვეყნის წინსვლის და მისი აღმავლობის სწორ გზაზე დაყენების მოსურნე ქვეყნისთვის, სააკაძის, დამსახურებასა და ავტორიტეტს მიაქცია ყურადღება. მისი ასეთი დამოკიდებულება ნათელია, რომლის დასტურიც, ლუარსაბისგან, ირანში წასვლისას სამეთვალყურეოდ ქართლის დატოვება სააკაძისათვის. რაშიც დიდი გულწრფელობა იკითხება, მისგან და დამოუკიდებელი რეფორმატიული გზების მოძებნის სურვილიც. არ უნდა გაგვიკვირდეს იმის თქმა, რომ ასეთი თვისებები მისგან სააკაძესთან გვერდში დგომაც განაპირობებდა.

მრავალი მაგალითი არსებობს საქართველოს ისტორიაში, რომ მეფენი მიმართავდნენ და ეძებდნენ გზებს, თვით დიდებულთა რჩევითაც, დედოფლად მოეყვანათ უცხო ქვეყნის მაღალი წრის წარმომადგენელთა ასულები, რომ ნათესაური კავშირებით გაძლიერებულიყვნენ. რაც მეფეთა მხრიდან ხშირად საკუთარი ემოციების დათმობასაც მოითხოვდა, რახან ქვეყანას ასე უფრო ესაჭიროებოდა. ლუარსაბის შემთხვევაში, როგორც ადამიანის პირადული მეობის განცდა, დიდებულებმა ჯერ იზოლაციაში მოაქციეს და დათრგუნეს, მერე საკუთარ გრძნობებზე უარი ათქმევინეს და

როგორც მეფე, თავიანთ მორჩილებაში დაიგულეს და სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებაში თავიანთი თანამონაწილე გაიხადეს. დიდებულებს სამსჯავრო რომ მოეწყოთ, ეს მოვლენა მათ ხელს არ აძლევდათ იმის გამო, რომ ლუარსაბი თავის ალალი მრწამსით იყო დამოყვრებული სააკაძის ოჯახთან. ამიტომ მიმართეს შეთქმულების ფორმას. მათ ასეთი გზით სამი საქმე მოაგვარეს, ლუარსაბ II-ს გადედოფლებული მცირე აზნაურის და გააშვებინეს, ამით მეფე თავიანთ ჭკუაზე მოიყვანეს, სააკაძე კი გააძევეს და მოიკვეთეს.

დიდებულთა ნაწილი გრძნობდა ლუარსაბ მეფის სულის თვისებებს, რომ დააძალეს თავიანთი მოგონილი ამბიციები თავს მოახვიეს და დაიყაბულეს. ხვდებოდნენ მათდამი ლუარსაბის პროტესტის გამოხატვის მიზეზს. მათი ასულების არჩევაში და დედოფლად დასმაში გულგრილობას რომ იჩენდა, ისევ ამის გამოც შეურაცხყოფილები, ქართლში მის მეფობის შეგუება უჭირდათ და რადგან სულ მოკლე დროში 1615 წელს, როდესაც შაჰმა კახეთიდან ქართლში გადმონაცვლა და შეათვალა მთავალში მისი დაპყრობის მიზნით, და შაჰს დიდებულთა ნაწილმა სამსახურიც კი შესთავაზა. მათ ეცოდინებათ, რომ შაჰის მიზანი იყო ქართლიდან ლუარსაბის წაყვანა. სამისოდ კარგი დარიც დაუდგათ. ისევ შეუჩდებოდნენ შადიმანი და მისნაირნი, ისევ დაიყოლიებდნენ თავიანთ ჭკუაზე დამდგარ ლუარსაბს და ხელს შეუწყობდნენ შაჰ-აბასს, ქართლის მეფე ირანში წაეყვანა.

საქართველოს ისტორიის უპირველესი სამართლიანი შემფასებლის, დიდი ივანე ჯავახიშვილის მიერ გაკეთებულ

ანალიზებს მოვიყვანთ სამაგალითო შედარებისათვის ჩვენი ქვეყნის წარსულიდან.

ქართველ მეფეთაგან ბაგრატ III-ის მტკიცე გონებამ მიაღწია იმას, რომ საქართველოში ურღვევი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების გარანტიას იძლეოდა მხოლოდ ზოგიერთ უფლისწულთა და დიდგვაროვანთა (ე.ი. დიდგვაროვან აზნაურთა იმ დროში ასე იყო ნიშანდებული) უკომპრომისო ალაგმვა.


ბაგრატი გამეფებისას პირველსავე 1004 წლიდან დიდგვაროვანთა ყოველგვარ თვითნებობას წინ აღუდგა, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, იგი აქტიურად ცდილობდა დაბალი ფენებიდან აღმოეჩინა თავდაუზოგავი პიროვნებები და გადაყენებულ დიდებულთა თანამდებობაზე დაესვა.

ასევე ბაგრატ IV-მ თავისი მეფობის (1027-1072 წწ) დროის მნიშვნელოვანი ძალისხმევა, თვითნება დიდგვაროვანთა საპირისპირო პოზიციებს შეახარჯა. უკომპრომისო ბრძოლა ლიპარიტთან მას დიდხანს უხდებოდა. ამ, ვითომდა, მეფისათვის გულშემატკივარზე იყო დამოკიდებული იმ დროის ქვეყნის ბედი. თითქოს და მეფის მორჩილი, სინამდვილეში მოძრაობაში მომყვანი, მეფეზე გავლენის მქონე ჯგუფთან, ამ საფუძველზე რჩევის საკითხად ამაყად იჭერდა თავს. როდესაც ბაგრატ IV-მ ქვეყნის საქმეებზე ჩაბლაუჭებული ლიპარიტის ქვეყნიდან იგნორირება შეძლო, ასეთმა პოზიციამ ქვეყანა დაამშვიდა, ლიპარიტი იძულებული გახდა გაცლოდა სამეფო კავშირებსა და ათონის ქართველთა მონასტერში ბერად აღკვეცილიყო. მაგრამ მალევე ლიპარიტის

დანიადაგებულ კვალზე, ახალი პრეტენდენტები, ძმები აბაზასძენი გამოჩნდნენ, რომელთაგან ერთი ქართლის ერისთავ-ერისთავი იყო, მისი სხვა ძმანიც სოციალური მდგომარეობით მოძლიერებულნი, ცდილობდნენ, ბაგრატ IV-ის შეპყრობას და საქვეყნო საქმეებიდან ჩამოცილებას. მეფეს დიდი ენერჯია დასჭირდა მოძალადე ერისთავების საიზოლაციოდ. ბაგრატმა აბაზასძენი სათანადოდ დასაჯა. საპყრობილეში მათ ყოფნამ ქვეყანა დაამშვიდა.

დიდი ივანე ჯავახიშვილი დავით აღმაშენებელს ქვეყნის წელში გამართვის სწორ გზად უთვლის, დიდგვაროვანთა ამბიციების შეზღუდვას და შემდგომ ალაგმვას და ასკვნის, მხოლოდ დავითის მიერ მხოლოდ ასეთი რადიკალური შემართებით გახდა შესაძლებელი საქართველოს გაერთიანება. ძლიერი მარჯვენისა და ნათელი გონების ახალგაზრდა მეფემ გადანყვიტა, შვებით ამოესუნთქა თავის ქვეყანას.

1093 წელს ლიპარიტ ამირამ თავისი წინამორბედი, მამაპაპური პოზიცია აირჩია და მეფის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა სცადა. მეფეს დროულად შეატყობინა ერთგულმა ხალხმა დაგეგმილი სავალალო გეგმა. თაღარიგდაჭერილმა დავითმა მოახერხა, შეიპყრო ლიპარიტ ამირა და საპყრობილეს კედლებს ამოაფარა. დავით აღმაშენებელი ისეთი სამაგალითო მზის სხივიანი მოვლენაა ქართული სულის სიმართლით შეცნობისათვის, რომ აქ მხოლოდ თვალშესახები მომენტებისათვის მოგვყავს ივანე ჯავახიშვილის უშეცდომო ანალიზები. დავითისაგან ქვეყნისთვის სწორ-მართალი ამაგად დაფენილი ნაბიჯია ყივჩაღთა საქართველოში ჩამოსახლება, რაც რეგულარუ-



ცხენი ჯავახიშვილს

ლი ჯარის შექმნასა და მტერთა დასახვედრად მუდამ მზად ყოფნას ითვალისწინებდა. მეფის ეს პოზიციაც ნათელია, მან, ასეთი ქმედებით, ქვეყნის გულისფეთქვის მოსმენის აუცილებლობა გამოხატა. რაც ერთგვარი კატეგორიულობითაც აიხსნება დიდებულთა მიმართ. დავით აღმაშენებლის მიერ რეფორმებით გათვალისწინებული ნამოქმედარი პროგრამები, რაც, მყარ წეს-წყობად გაგრძელდა და მტკიცე ხიდად იქცა, რომ მის შთამომავლობას ფეხ-აურევლად ევლოთ ქართულ მიწებზე.

რალა უნდა გაგვიკვირდეს, აქეთ მეჩვიდმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის წლებში, ლუარსაბ II-ით გაღიზიანებულებმა დიდებულებმა სააკაძის მოკვლა სცადეს. მართებულია ითქვას, შეთქმულებს ლუარსაბის მოკვლაც არ გაუჭირდებოდათ, გაითვალისწინეს მეფის ახალგაზრდული ასაკი, მისი ღმობიერი მაღალზნეობრივი ბუნება და განაჩენი პირდაპირ სააკაძეზე მიმართეს.

## პარდობისთვე ნაკისში

„ხმალი ცეცხლში იწრთობოდა,

სააკაძე – განსაცდელში.“

ბავშვობაში გაგონილი პაპა

გორა ხერკელაძისაგან

1612 წელი. ვარდობისთვე. საქართველოში გაზაფხულის სილამაზე აბიბინებულ მდელოებზე ჭრელ პეპლებად ნარნარებდა.

ნოსტეს ცაზე საწვიმრად იყრებოდნენ შავი ღრუბლები. ნაკისში შადიმანისაგან აღზევებული უსამართლობა სანადირო სამზადისს შესდგომია, მაშველი თავკაცებიც გვერდით უსხედან; ფარსადან ციციშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი და დანარჩენ მონადირეთა რაზმი, მოძულენი სააკაძისა. მზად არიან, იციან, რისთვისაც შეიკრიბნენ. მთავარი – განაჩენი – გამოტანილია. მეფის დასტურიც ხომ აქვთ. ძვირი კი დაუჯდათ სასიკვდილო თანხმობის მიღება, მაგრამ არა უშავს ის ექვსი თვე დიდად ინერვიულეს, მაგრამ არაფერია, ამ ღამის მერე ხომ მაინც თავისუფლად ამოისუნქავენ. ნერვიულობდნენ. განა მარტო თვითონ, მთელი ჯალაბობით, დიდინ-პატარიანად.

მეფის შემდეგ გიორგი სააკაძის პირველკაცობას კიდევ მოითმენდნენ, –საჭიროდ გამოსადეგი კაცი იყო, მტერთათვის სამაგიეროს გადამხდელი, მათი მიწა-მამულებიც ხომ დაცული იქნებოდა, მის მიერ ამ მხრივ დათმენა მართებდათ კიდევ, სააკაძის გამჭრიახი გონება მომხდურთა საპარპაშოდ არ დატოვებდა ქართლს –

მაგრამ ასე უკითხავად, თავის დედას, დედოფალსაც რომ არ მოუსმინა ლუარსაბმა და ჯვარი დაიწერა მდაბიო სააკაძის დაზე? – გაგონილა, ვეჟო, თავადთა ასე აბუჩად აგდება?

სხედან მეფის საზაფხულო რეზიდენციაში მოლაღატე თავადები და სანადიროდ მონვეულ სააკაძეს ელოდებიან.

დარბაზში ბააკა ხერხეულიძე შემოვიდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. უმალ ავად ენიშნა ხერხეულიძეს მათი საუბრის შეწყვეტა, ნეტავი რაზე ჰქონდათ თათბირი, ან ჩემმა შესვლამ დარბაზში რად დაადუმაო დიდებულები.

გიორგი სააკაძე ისევ აგვიანებდა. ფრთხილობდნენ შეთქმულნი, ზომიერად საუბრობდნენ, უშუალოდ ხუმრობდნენ. სასმელს ბევრს არ ეძალებოდნენ, მცირედს იხმევდნენ, საჭმელს მიირთმევდნენ, „სანადიროდ მზად იყვნენ“. მერიქიფე ჩვეული სიდიხით ავსებდა შესმულ თასებს.

შეთქმულნი შეფიქრიანებულნი ჩანან. ვაითუ არ მოვიდეს? მაშინ ხომ ჩაემლებათ ასეთი „გულმოდგინე“ სამზადისი. თუ მართლაც მოხდა ისე და სააკაძემ მათი განაზრახი შეიტყო, მერე რა მოხდება, არავინ უწყის! როგორც ჩანს,

მერიქიფემ იაზრა მათი შენიღბული ნადიმობა, ეჭვიც თანდათან გაუძლიერდა, ყურადღებაც ერთი ათად გაამახვილა, მით უმეტეს, მერიქიფეობა აძლევდა ამის საშუალებას. სურვილი გაუჩნდებოდა, გაეგო, მართლა სანადიროდაა ეს ხალხი შეყრილი თუ სხვა რამეა მოსალოდნელი. მხოლოდ ეჭვის საფუძველზე ვერ ეტყოდა საიდუმლოს ბააკა ხერხეულიძეს, ამდენი წარჩინებული პირისთვის ცილისნამება სახუმარო საქმე არაა.... შეიძლება ითქვას, რომ შეთქმულთათვის მერიქიფეც ნდობით აღჭურვილი პირია, მაგრამ შინაგანი ზნეობრივი სისავსით კი ხერხეულიძის მსგავსი. ნერვიულობა მატულობს, სასმელიც მოქმედებს. რომელიღაც შეთქმულთაგანს დასცდა საჩითირო სიტყვა „ამალამ უნდა მოიკლას!“ მერიქიფემ იაზრა და იმნამსვე ფიქრი გადაიტანა გიორგი სააკაძეზე, რომელიც აგვიანებდა; უკვე ღრმად დაეჭვებული, აღარც მოსცილებია შეთქმულთა სიახლოვეს. მაინც ენადა, კიდევ ღრმად დარწმუნებულიყო მათ სივერაგეში. შემდეგ შეეცდებოდა, მოეძებნა შესაფერისი მომენტი და ეს ამბავი ემცნო ბააკა ხერხეულიძისათვის, რომელიც გიორგი სააკაძესთან დაახლოებული პირი იყო. მაგრამ არ ჩქარობს, ფრთხილობს, იფიქრა, რახან გიორგი სააკაძე აგვიანებს, იქნებ უკვე შეიტყო, თუ რა ნადილი აქვთ შემზადებული მისთვის შადიმანის ბანაკსო. რაზე აიტკივოს აუტკივარი თავი და მოვლენებს წინ გაასწროს?

მალე გარედან გუშაგების სიხარულის ხმამ დარბაზშიც შემოაღწია. გამოხატეს თავიანთი განწყობა შეთქმულებმა. აი, მაშინ კი უბიძგა სინდისმა მერიქიფეს, საიდუმლო ბააკა ხერხეულიძისათვის გაენდო.

შუალამე გადასული იყო, რომ მოურავიც გამოჩნდა. გაიხარეს დიდი სიხარულით ცბიერმა შეთქმულებმა. გიორგი სააკაძემ, დალოცა „მონადირეთა“ თავკაცი შადიმანი და მისი რაზმი, თასი შესვა, დალლა მოიმიზეზა და თავის სადგომს მიაშურა, არავითარ ეჭვს არ გაუვლია მის გუმანში.

დაბრძანდა ყველა თავის ადგილას, დადგა მძიმე წუთები. მერიქიფემ ღვინით ფიალების შევსებისას ბააკა ხერხეულიძეს საიდუმლოდ უთხრა, „გიორგი სააკაძის მოსაკლავადაა ეს ხალხი შეყრილი“.

ხერხეულიძემ ჩვეული სიდინჯით დატოვა სუფრა და სააკაძეს სარკმლიდან გაბზარული ხმით გადასძახა, თავს უშველე, გიორგი, შენს გასაწირად ეშურებიაწო. სააკაძე ხმლით ხელში ელვისებურად მოახტა უბელო ცხენს და ნოსტესკენ გაფრინდა.

### საქართველოს სააკაძე ცოცხალი შერჩა.

„თუ ვერ ვიგუებთ, ვერ შევიფერებთ, კარგი შვილები რად გვებადება. შვილის სიკეთე მშობელს შეშურდეს ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება? ცრემლები მახრჩობს, ველარას ვამბობ, კარგის დალუპვა რად გვენატრება. ჩვენივე შვილის, ჩვენივე ძმისა. ველარას ვამბობ, ვთრთი, მახათრება, ჩემო სამშობლოვ, ჩემო ქვეყანავ, არ გვეკადრება, არ გვეკადრება!“

ვაჟა-ფშაველა

1612 წლის გ. სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში


შაჰ-აბასის ხელი რომ ერიაო, ეს მოვლენა ასე აიხსნება, ირანში 1569 წლიდან ტყვედ მყოფ სიმონ მეფეს შაჰ-ისმაილი ტყვეობიდან გაათავისუფლებს და მოკავშირეობას შესთავაზებს, რომ ოსმალეთის წინააღმდეგ იბრძოლოს, შაჰ-ისმაილის გარდაცვალების შემდეგ ამ მისიას ხუდაბენდე გააგრძელებს, ამ საფუძველზე ირანიდან ქართლში დაბრუნებული სიმონ I 1578 წლიდან 1599 წლებში ბრძოლებს აწარმოებდა ოსმალეთის წინააღმდეგ. 1603 წელს სიმონ მეფე გარდაიცვალა. ქართლის სამეფო მისმა შვილმა გიორგი X ჩაიბარა, 1604 წელს, ომი გაიმართა ირან-ოსმალეთს შორის (ეს ომი ერევნის ომითაა ცნობილი) ამ ომში, განსაკუთრებული მისია შეასრულეს გიორგი X, გ. სააკაძემ, რაც შაჰ-აბასს ქართველთა დამსახურება სამი ირანული სოფლით და ფულადი ჯილდოს გადაცემით აღუნიშნავს, 1607 წელს შაჰ-აბასმა ცოლად წაიყვანა ლუარსაბ II-ის და ლელა თინათინი, მაცრიონში გ. სააკაძეც ყოფილა. ამ საქორწინო აღლუმში დიდი ჭიდაობა გამართულა, 36 წლის გ. სააკაძეს, ორი დაუმარცხებელი ირანელი ფალავანი ისე დაუჯაბნია, ერთი მათგანი ცოცხალმკვდარი გაუტანიათ. იმედგაცრუებულ შაჰს საჭიდაო არენა მიუტოვებია და სახლში დაბრუნებულა. 1609 წელს ტაშისკარის ომში გ. სააკაძის სარდლობით ქართველთა 10 ათასმა მეომარმა 55 ათასი ოსმალო დაამარცხა. ამით კმაყოფილმა შაჰ-აბასმა 1610 წელს, მოკავშირე ქართლის მეფე ლუარსაბ II სტუმრად მიიწვია და განსაკუთრებული პატივი მიაგო.

ამ მიწვევაზე გ. სააკაძის შთაგონებით ლუარსაბმა შაჰ-აბასს თბილისში დაბანაკებული, დელუ მაჰმად-ხანის 700 კაციანი ჯარის გაყვანა მოსთხოვა. იმ ხანად ირანს გართულებუ-

ლი ვითარება ჰქონდა ოსმალეთთან, ამ მოვლენის საფუძველზე, გამარჯვებულ ქართლის მეფეს უარი ვერ უთხრა, და მოკლე დროში ირანულმა ჯარმა თბილისი დატოვა.

შაჰ-აბასი ფიქრობდა, ირანის სახელმწიფო და ქართლის სამეფო როგორც მოკავშირეები 700 კაციანი ირანული ჯარით, ტაშისკარის ომში, ოსმალეთის წინააღმდეგ ერთად ვიბრძოდით, ერთად გავიმარჯვეთ, ახლა ნახე ჩემს ქვეშევრდომ ქართველებს რა მოუფიქრებიათო, ჯარი გამაყვანინეს, ნიშნავს არც ჩემი ქვეშევრდომობა სწადიათო. ბოლმით ადუღებულმა შაჰმა იმავე 1610 წელს, ყაზახის ხანს წერილი მისწერა, შეეყარა ჯარი შესეოდა ქართლს, აეოხრებინა, ლუარსაბ II-ის თავი კი მისთვის მიეტანათ. მოხდა პირიქით, ამ ომში, გ. სააკაძის სარდლობით ქართველებმა გაიმარჯვეს და ყაზახის ხანის მოკვეთილი თავი გაუგზავნეს, შაჰ-აბასს. მალე შაჰ-აბასმა ქართლში თავისი მოენეებით შეიტყო, რომ ლუარსაბ II-ს გ. სააკაძეს და მათ მომხრე დიდებულებს ქართლის სამეფოს ბედის გადანყვეტაში საერთო ენა გამოუნახავთ. შაჰ-აბასს საქართველოში და კერძოდ ქართლში, ძლიერი მეფე და ძლიერი სარდალი თავისი ავი გეგმების მოწინააღმდეგედ ესახებოდა, ამის პირდაპირი რეალური მეტოქე გ. სააკაძეში დაინახა, რადგან შაჰს დაუდხანის შვილები, ბაგრატი-მირზა და ხოსრო-მირზა ლუარსაბ II-ის საწინააღმდეგოდ ჰყავდა ირანში. ეს მოვლენა გამოიყენა, თავისი მოენეებით რამოდენიმე ქართველ დიდებულს შეუთანხმდა, რომ გ. სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყოთ. სამწუხაროდ, ზოგიერთ ქართველ დიდებულს ხელს აძლევდათ შაჰის აზრის გაზიარება, რადგან გ. სააკაძე, ტაშისკარის ომის მერე პოპულარული და ავტორიტეტი, ამით მეფესთანაც დაახლოვებული, გადანყვეტეს ლუარსაბ II-ის გადაბირება და სააკაძის განადგურება.

## ბააკა ხერხეულიძე



ბააკა ხერხეულიძე

ბააკა ხერხეულიძე, ეს მამაცობით განთქმული გვარისა და ზნეობის კაცი, სრულიად გულდამშვიდებული იყო, მან არაფერი იცოდა ვერაგული გადანწყვეტილებისა.

მერიქიფის მიერ საიდუმლოს გამჟღავნებისთანავე ერთი მძაფრი განცდა დაეუფლა: ოღონდ სააკაძე გადარჩენილიყო ცოცხალი, თავი რამენაირად გაელწია, დაელწია და ეშველა! ბენვზე ეკიდა გიორგის სიცოცხლე. ხმლის აღებალა მოასწრო, პერანგისამარა გაიჭრა გარეთ, უბელო ცხენს მოახტა და მისმა გულმაც ამოისუნთქა. იმ საბედისწერო ჟამს, მხოლოდ ეს იყო მთავარი – ხმალი და ცხენი. დანარჩენს სიცოცხლის შენარჩუნების შანსს დრო და სისწრაფე განაპირობებდა. მოსვლისთანავე მოხადეს უნაგირი სააკაძის ცხენს, როგორც წესია. უნდა აღინიშნოს, შადიმანი და მისი თანამზრახველები იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი თავიანთი გეგმის წარმატებაში, – რომ სააკაძე ვეღარ გაუსხლტებოდათ ხელიდან, – ისინიც – მოხსნიდნენ თავიანთ ცხენებს უნაგირებს, რომ თავისუფლად ყოფილიყვნენ და „ნადირობის წინ“ ქერი ეჭამათ. ცხენების შესაკაზმი დრო იმ მძიმე წუთებში დიდ შეღავათს იძლეოდა სააკაძისათვის, კარგა მანძილზე გაუსწრებდა მდევარს.

გიორგისთვის მძიმე საბედისწერო ჟამს სრულიად მოულოდნელად სასიკეთოდ შეატრიალეს სასიკვდილო გადანწყვეტილება მერიქიფემ და ბააკა ხერხეულიძემ. მართალია. შეთქმულებთან ერთად ბააკაც იმყოფებოდა, მაგრამ მან. ავი



განზრახვისა არაფერი იცოდა. ხერხეულიძე გიორგი სააკაძის თანამოაზრეა, მისი მრწამსის სულითა და გულით გამზიარებული, ხომ შეეძლოთ შადიმანის თანამზრახველთ სულაც არ მიენვიათ „სანადიროდ“ და ასე აეცილებინათ ამ სავალალოდ შეთანხმებული საქმისაგან, მაგრამ ეს იყო ლოგიკური ტაქტიკური ჩანაფიქრი შადიმანის ბანაკისა, – ხერხეულიძე უნდა ყოფილიყო მათ გუნდში, სააკაძის თვალის ასახვევად და ნდობის მოსაპოვებლად, რომ რაც შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო მისთვის მეფესთან ერთად ნადირობა-გასეირნება ბუნების წიაღში. თუკი სააკაძის ერთ-ერთი თანამოაზრე სანდო კაცი იქ იმყოფება, რაღა უნდა იყოს საექვო? სააკაძე ის კაცი არ იყო, არ ეკითხა, თუ ვინ იქნებოდნენ „ნადირობის“ მონაწილენი, რახან გაიგებდა, ხერხეულიძეც არისო, მთლად გაეფანტებოდა ეჭვი.

არის ერთი გარემოება: ტაშისკარის ომის შემდეგ თავადები გიორგი სააკაძის მიმართ ერთპიროვნული შურით განიმსჭვალნენ, – ეს თვითონაც არ გამოჰპარვია.

სააკაძე შადიმანისა და მის მომხრეების სანადიროდ მიწვევას არაფრით დათანხმდებოდა, არ ენდობოდა და იმიტომ, თანაც საკმაოდ ღრმა ბზარი იყო გაჩენილი მათს შორის. ეს თავადებმაც იცოდნენ და გიორგიმ შადიმანისაგან უკვე გადაბირებული ლუარსაბ მეფისაგან მიიღო წერილი თუ შენათვალი, „ნადირობად შემოვეწყით ნაკისის სანახებსო“.

უპირველესად, ჯერ მეფეს ენდო გიორგი, მერე უკვე სიძეს ფიცდადებულს, იმდენად ენდო, ეჭვი არაფერში შეჰპარვია, ერთ მხლებელთან ერთად გამოცხადდა მიწვევაზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ გვიან, თითქმის შუალამისას მივიდა თავშეყრის ადგილას, ფეხათრევით, უხალისოდ. საექვო არაფერია, მაგრამ ჩანს, მაინცდამაინც აღარ ახარებს იქ ყოფნა, სადაც არიან შადიმანი, ფარსადან ციციშვილი და ბერუკა ჯავახიშვილი, მათთან დიდი ხნით ჯდომა-მუსაიფი.

მოსასვენებლად შემზადებული სააკაძე ერთბაშად გამოარკვია ბააკა ხერხეულიძის გადაძახილმა, თავს უშველეთ. ხმის ინტონაციაში იგრძნობოდა შიში სააკაძის სიკვდილისა და სინანული მისი ამგვარი გამეტებისა. მოვლენების შეუცნობლობის ჟრუანტელმა გიორგის მთელს სხეულში დაუარა.

ხერხეულიძეს გაახსენდა სხერტისა და ტაშისკარის ბრძოლები, სადაც სააკაძემ ოფლითა და სისხლისღვრით დაუმტკიცა სამშობლოს თავგანწირული სიყვარული. მან მთელი გულით იგრძნო, რამდენად აუცილებელი და საჭირო იყო იგი საქართველოს საკეთილდღეოდ და თავად იმდენად ერთგული ბუნებისა და სუფთა სინდისის პატრონია, აღნიშნულ ურთულეს ვითარებაში სააკაძის გაფრთხილება გადანყვიტა. მან დიდი რისკის ფასად თავის სიცოცხლეს სააკაძის სიცოცხლე არჩია – ერთგულების, მაღალი ზნეობის მშვენიერი მაგალითი!

ბააკა მშვენივრად იცნობდა შადიმან ბარათაშვილს, – რით სუნთქავდა, რა აინტერესებდა;... იცოდა ლუარსაბ მეფის დამოკიდებულება სააკაძისადმი მისი დის ცოლად შერთვის შემდგომ; ცხადია, ეცოდინებოდა თავადთა განწყობილება, მათ მიერ აგორებული და გავრცელებული ქორები,

მაგრამ არ იცოდა საღალატოდ მათი მომზადების ამბავი იმ წუთამდეც კი, სანამ მერიქიფე საიდუმლოს გაუმჟღავნებდა. საკმარისი გახდა, ინფორმაციის მიღება, ის უმაღლესი სააკადისკენ გავარდა საფრთხის შესატყობინებლად. მისი გულიც და გონებაც ერთ აზრს ემსახურებოდა – როგორმე გადაერჩინა საქართველოზე მზრუნველი ადამიანის სიცოცხლე, თუნდაც საკუთარი სიკვდილის ფასად! აკი გაიმეტეს კიდეც – არ მოკლეს, მაგრამ, ცხვირი და პირი დააჭრეს, დაასახინჩრეს, შური იძიეს.

ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა ერთ ტაფაში მოვაქციოთ! თავადთა თუ აზნაურთა გარკვეული ნაწილი სხვაგვარად ფიქრობდა, მათ ქრისტიანობა და ქვეყნისათვის სამსახური ავალებდათ, მდგარიყვნენ სააკადის გვერდით, მაგრამ რახან ხმა არ ან ვერ ამოიღეს, ერთ მთლიან სახედ აღიქმებიან.

როგორც კი დადგა საბედისწერო ჟამი სააკადის ყოფნა-არყოფნისა, მხოლოდ ბააკა ხერხეულიძემ გამოამჟღავნა საკუთარი სულის ხმა, განცდა იმისა, რა სტკიოდა მის ქვეყანას და ვინ ეიმედებოდა სალბუნის დამდებად. ბააკამ არად ჩააგდო შეთქმულთა რისხვა, რომელიც გავლენას იქონიებდა მის მომავალ ცხოვრებაზე, მისი ძმების ცხოვრებაზე (სულ ცხრანი იყვნენ), მეფე და დიდებულები ხომ აღარ გაიკარებდნენ სიხლოვეს. მათ შეეძლოთ ეთქვათ, ხერხეულიძე მოღალატეა, მეფის საიდუმლო გათქვაო, მაგრამ ბააკა სპეტაკი სულით მაღალი იდეალებისათვის იყო გაჩენილი და მიუხედავად ყველაფრისა, ვერ შეეგუებოდა ზნედაცემულთა აზრსა და მოქმედებას.

გიორგი სააკაძე მისთვის იდეალი და მისაბაძი მაგალითიც იყო, აგრეთვე სარკეც, რომელშიც ბააკა თავისივე სულის ანარეკლს ხედავდა, რაც ცხადად გამოვლინდა და დამტკიცდა კიდეც 1625 წლის მარაბდის ომში, ისტორიამ შემოინახა, როგორი თავგანწირვით იბრძოლეს ძმებმა ხერხეულიძეებმა სიცოცხლის ბოლო წუთამდე. ერთ-ერთ უმცროს ძმას, მედროშე ხერხეულიძეს, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში დროშა, გულის უბეში ჰქონდა შენახული! მათი სულები ერთიანი ჯაჭვის რგოლების სიმტკიცით იყო გადაბმული... საერთოდ ძმები ხერხეულიძეების ნათელი სულის წინაშე ქედი უნდა მოვიხაროთ და ვთხოვოთ, მათთვის ჩვეული თანადგომით გზა გამოუნათონ გიორგის წლების ბურუსიდან სიმართლის გამოსამზეურებლად.

\*\*\*

სიკვდილის ხაფანგიდან გამსხლტარი სააკაძე ცოლ-შვილის გადასარჩენად გონდამეხილი მიჰქრის ნოსტეში მოკლე გზით – ბნელში, ღრანტეებში. დრო, ახლა მხოლოდ დროა მისი გადამრჩენი, მანუგეშებელი, გული ერთიანად შეკუმშული და მონურული აქვს, გონება – გაქვავებული, აზრი – გაჩერებული, მხოლოდ ერთი სიტყვა – „რატომ? რისთვის?“ – კრაზანასავით დასტრიალებს მის ფიქრს და გულს უკორტნის: „რახან ასე უღმერთოდ დამაყენეს სიკვდილის გზაზე, აღარ დამინდობენ და განა მარტო მე? ვიცი, იზამენ, ცოლ-შვილსაც არ შემარჩენენ, ახლა უკვე კარგად დავინახე ჩვენი ჭირ-ვარამით დაღლილი ქვეყანა; მისი ბედ-იღბლის სადარდებლად არ მომაცალეს, არ გაიმეტეს, ჩემი მონაგარით მშვიდად მეჭამა ჩემი წილი ლუკმა-პური“.

ცხენს ჩაფრენილმა, ერთიან არსებად ქცეულებმა გაიმარაგხეს ადამიანის ფეხდაუდგამი ადგილები. მთელი ძალით მიარღვევს სიბნელეს ოხშივარადენილი კაც-ბედაური, ზრიალი გააქვს მის დაჭედულ ფლოქვებს ქვებზე, სააკაძის გასაჭირის გამზიარებელი ოფლდადენილი ბედაური გიორგის სიცოცხლის გადასარჩენად, ავის მაუნყებლად მიისწრაფოდა ნოსტესკენ.

მდევართა გნისმა ღამის სიმყუდროვეს ძილი დაუფრთხო. რა მონდომებით ჰქონიათ გადანყვეტილი სააკაძის სიკვდილი შადიმანისეულებს, რა ენერგია და ფიქრი დახარჯულა ამ მზაკვრული გეგმის შესრულებისათვის.

ერთი კაცის მოსაკლავად მთელი საომარი ჯარი შეჰ-

ყარეს, დაიმედებულებმა, მაინც სისხლდაუდინარი გაუსხლტათ სააკაძე ხელიდან, ახლა კი ღმერთდავინყებულნი მისდევენ, მართონი გაუმართავთ სანახაობრივი აღტყინებით, ვინ უფრო მალე დაუბნელებს სააკაძეს მზეს, მის მოკვლაში „სახელსაც“ ხომ მოიპოვებს ან მოიპოვებენ თავისიანთა გარემოცვაში და თავიანთ შთამომავალთათვის საამაყოდ, დასაკვებნადაც დიდხანს გაჰყვებათ „ღირსეული“ მოპყრობა სააკაძის მიმართ, ხომ უნდა დაუმტკიცონ დიდ შადიმანს „ერთგულება“, მაშ როგორ?

შმაგად გადაქცეული მისდევს ბერუკა ჯავახიშვილი სამსხვერპლოს, თითქოს სააკაძეს თუ ვერ მოსპობენ, მისი ოცნებაც დაიმსხვრევა! მაშ ტყუილად ხომ არ გაისარჯა, ამოდენა ცოდვით წაიწყმიდა სული, ცოტა ხომ არ არის, უდანაშაულო კაცს უმძიმესი ბრალი დასდო. რისთვის? – აკი უნდა ღირდეს კიდევაცა.

მინა-წყალზე დაქიმითებული თავადები შეუსრულებდნენ დადებულ პირობას ბერუკას, სააკაძის მოვლილი მამულები ელანდებოდა ორგულს და არც თავსა და აღარც ცხენს აღარ ზოგავდა.

სიკვდილს გაქცეულმა სააკაძემ მიასწრო ნოსტეს, საგანგაშოდ აუნყა ვითარება და სასწრაფოდ სახლ-კარის დატოვება უბრძანა ცოლ-შვილს. ვაი-ვიშით შეიმოსნენ, როგორადაც მოასწრეს და მთელმა ჯალაბმა სააკაძისამ ტყეს შეაფარა თავი.

განვლო მცირე ხანმა და შადიმანის აკვაცობა ნიაღვარივით მიასკდა სააკაძის ციხე-დარბაზს.

ავარდნილმა ცეცხლის ენებმა ავად გაანათა შემოგარენი, ნოსტეს მაცხოვრებლები გულამომჯდარი ქვითინით უყურებდნენ სააკაძის მეხდაცემულ სამკვიდროს. სამშვიდობოს თავგატანილი გიორგი სააკაძის დაზაფრული ოჯახი ტყიდან დასცქეროდა შადიმანისა და მის ხელისშემწყობთა სივერაგეს.

## გიორგი სააკაძის განდევნა

რაკილა სანადელს ვერ მიაღწიეს, სააკაძის მტრებმა მის სახლ-კარზე იყარეს ჯავრი, ისე დაწვეს და გაანადგურეს, საძირკვლის ნაშთები იდგა ნაცარში (დღემდე ვერ მოხერხდა მისი აღდგენა). ოღონდ, სააკაძეს საქართველოს ჰაერი არ ესუნთქა და თავშესაფარი არ ჰქონოდა, ან ფიზიკურად უნდა განადგურებულიყო მთელი მისი ოჯახი და თვითონ, ან კიდევ უკან დასაბრუნებელი ყველა გზა და საყრდენი მოესპოთ.

გულდამდურულმა ლტოლვილებმა, რომელთაც კიდევ რამოდენიმე მსახური შეემატათ ცხენებით და იარაღით, ტყეში იგლოვეს და გამოიტირეს ოფლითა და შრომით ნაშენ-ნაამაგარი.

საით, რომელ მხარეს იმეტებს ბედისწერა გიორგის, გაარღვევს კია მის მოძულეთა მიერ შეკრულ გზებს?! არაგვის ხეობის ერისთავი ნუგზარი მისი სიმამრია და დიდი იმედიც, სწორ რჩევას მისცემს, მის გარეშე ვერ გადადგამს მოუმზადებელ ნაბიჯს, მაგრამ მტკვარზე გასვლა? ახლა ამ ადიდებულ მდინარეში შესვლა ძალიან სარისკოა.

„ახალციხისკენ მიმავალი გზებიც გადაუკეტავთ შენს მოსისხართო“, – ამცნო სააკაძეს ჩივაძემ.

ორი კვირა დიდგორის მთების შემოგარენში ღარტაფებსა და ჯაგებში ხელფეხგადატყაულები ცხარე ცრემლებით აპოხიერებდნენ ქართულ მიწას ლტოლვილები.

შადიმანს და მისიანებს ისე ჰქონდათ გათვლილ-გაანგარიშებული სააკაძის შესაპყრობი გზები, ერთი ძალზე რთული გასაღწევი, მტკვარზე გასვლალა რჩებოდა. თან ზაფხულის დასაწყისი იყო. ადიდებული მდინარე მძიმედ მოაგორებდა მღვრიე ტალღებს.

მაინც რა ბედისწერით დაებედა სააკაძეს გაზაფხული და ზაფხული! ჯერ იყო 1609 წლის ზაფხული – ოსმალური მახარო ურდოს შემოსევა და მისი სრული განადგურება, შემდეგ, 1612 წელი, გაზაფხული, 20 მაისი, ვარდობისთვე, სააკაძისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი და მისი სასწაულებრივი გადარჩენა.

კიდევ ელოდება გიორგის გაზაფხულები, – ხარება დღე 1625 წლისა, მარტყოფის ბრძოლის დიდი ეპოპეა; იმავე წელს, ზაფხულში, ჯერ მოგებული და მერე წაგებული მარაბდა და დიდი გამარჯვება სოფელ ლისტან, ბოლოს, მთელ ყიზილბაშურ ჯარზე გამარჯვების გვირგვინი – ქსნის ანუ ქარჩოხის ბრძოლა იმავე წლის აგვისტოს თვეში.

ლტოლვილებმა სოფელ კარსნის ქედს მიაღწიეს. სვეტიცხოვლის სიდიადემ იმედი და რწმენა დაუბრუნა სვე-გამნარებულებს. მუხლმოყრით ილოცეს, გულმხურვალედ შესთხოვდნენ შეწევნას, სამშვიდობო გზის გახსნას, საქართველოდან მათ არ დაკარგვას!

მონინალმდეგეთა განსაზღვრით, სააკაძე აუცილებლად ეცდებოდა არაგვის ხეობით მიეღწია სიმამრის, ნუგზარის სამფლობელომდე. ამისთვის ლტოლვილებს ჯვრის მონასტრისა და სოფელ კარსანის სიახლოვეს მტკვარზე გად-

ებული ხიდი უნდა გადაევიდნენ და შეეთქმულებმა, დაიმედებულემა, რომ სააკაძე აუცილებლად აქ მოვიდოდა, სამოცი კაცი ხიდის ყურში დარაჯად დააყენეს. ვერ წარმოედგინათ, რომ ძეხორციელი ადიდებულ წყალში შესვლას გაბედავდა. რისკი ძალიან დიდი იყო, არავინ იყო დაზღვეული, მტკვარს არ წაელო. გიორგისთვის ამგვარი რისკი არ წარმოადგენდა სირთულეს, მაგრამ ქალები? ბავშვები? მართალია, შუაში მოიქცევდნენ, მაგრამ ღამით მდინარეში ფონის მოძებნა მაინც საფრთხეს წარმოადგენდა.

ინაშვილმა შეათვალა ხიდზე შექმნილი ვითარება და აუწყა სააკაძეს როგორი თავდაჯერებით იდგნენ ხიდის მცველები, დარწმუნებულები რომ ველარსად გაექცეოდნენ და სრულიად გაანადგურებდნენ ლტოლვილებს და ამის თაობაზე უტიფრად ლაზლანდარობდნენ კიდევ. გიორგის ისედაც დარდი ახრჩობდა, ერთი პირობა ისე გახელდა, ძლივს დააკავეს: „გავალ და სუყველას ერთიანად გავუსწორებო“. სამოცი კაცისათვის ერთი ოჯახის დატყვევება დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა, მით უფრო ოჯახის წევრები ქალები და ბავშვებიც იყვნენ. გზაში რამოდენიმე მსახური კი შეემატათ, ხმლის მჭერი მაინც სულ მხოლოდ ექვსი ან რვა კაცი იქნებოდა, მაგრამ შეეთქმულებს ისე ემინოდათ სააკაძისა და მასთან ხელჩართული შეტაკებისა, სამოცი კაცი ჩაუყენეს, რომ ჯალაბის შეპყრობის ან განადგურების სრული გარანტია ჰქონდათ.

ხაზგასასმელია ის მოვლენა, რომ 1612 წელს ბუნებრივი პირობების გამო მტკვარი იმდენად იყო ადიდებული, სააკაძის მოქიშპეებმა მხოლოდ ხიდზე დაიჭირეს თადარიგი,

მათმა წინდახედულობამ საჭიროდ არ ჩათვალა მდინარის ფონზედაც დაეყენებინათ მეთვალყურეები. დიდებულთა საავკაცოდ მოწყობილ გონებას ვერ წარმოედგინა, თუ ამღვრეულ-აზვირთებული მტკვრის ტალღებში ცოცხალი არსება შებედავდა შესვლას.

შემდეგი ამბავი – ჩივაძემ, რომელიც გზების დასაზვერად ჩანს გაგზავნილი, შეატყობინა, ახალციხისკენ მიმავალ გზაზეც მცველები დგანანო, – ნაკლებად დამაჯერებელი ჩანს, სააკაძე ეგრე ერთბაშად არ გადაწყვეტდა ახალციხის გზით ირანში ჩასვლას. აღნიშნული მხრიდან, როგორც სამხრეთი საქართველოს ნაწილიდან, უამრავი გზა მოიძებნებოდა ირანში გასაღწევად, სააკაძეს თავდაპირველადვე ეს აზრი რომ გასჩენოდა.

სრულიად მართებულია ვიფიქროთ, ასეთი სურვილის შემთხვევაში, ხაზს ვუსვამ, თავდაპირველად, თუ ახალციხის გზა გადაკეტილი იყო, სრულიად იოლად მოიძებნებოდა სხვა გზა, იგივე საიმერეთოს მხრიდან. მით უმეტეს, თვით დასცქეროდა ზემოდან, როგორ იწევდა ცისკენ მის სახლ-კარსადგომს წაკიდებული ცეცხლის ენები, როდისღა აღსდგებოდა ნავლადქცეული, მიწასთან გასწორებული სამკვიდრო, ვინ იყო გამკითხავი!

კერიაჩამქრალი, მიუსაფარი სააკაძე ჯალაბთან ერთად ორი კვირა და შესაძლოა მეტიც, მიუვალ და ადამიანის ფეხდაუდგამ ტყე-ღრეში ათენ-ალამებდა. მას რომ თავიდანვე ირანის გზა ჰქონოდა არჩეული ხომ შეეძლო გადარჩენის მიზნით ჯერ ოჯახი გაეხიზნა მესხეთ-ჯავახეთში სამშვიდობოს. სააკაძისათვის ხომ მაშინ უფრო იოლი არ იქნებოდა ექვს

თანმხლებ პირთან ერთად ქალებისა და ბავშვების გარეშე მღვრიე მტკვრის ტალღების გადალახვა და შემდეგ საარაგვოში სიმამრთან მისვლა რჩევისა და გადაწყვეტილების მისაღებად!

...ახლა კი აქ, მტკვარზე ხიდი სადარაჯოდ უქცევიათ მის მოსისხლებს. ელოდებიან, ფხიზლად დგანან, რომ გიორგი ცოცხალი არ გავიდეს გაღმით, მისი თანამემამულენი, მასთან ერთად დიდი ტაშისკარის ბრძოლის მონაწილენიც კი. მათ ისე შემოუტრიალებიათ გამწირავი უმადურობა, რომ წყლისკენ, ადიდებული მღვრიე მტკვრისკენ უბიძგებენ, სხვა გზაც აღარ დარჩენია.

თავად კი ისევ ზემოდან დაჰყურებს მათ უტიფარ უმადურობას, ამ მძიმე ნუთებშიც არ აქვს გუმანში სააკაძეს სპარსეთზე ფიქრი. ამის დასტურია ის, როგორი რისკის წინაშე დააყენა სააკაძემ თავისი თავიც და მთელი ოჯახიც ადიდებულ მტკვარზე გასვლის მცდელობით.

ჩამოითმინა ისევ სააკაძის გონებამ.

აღარც თავისი ბედის გამზიარებლებმა გაუშვეს. დაელოდნენ სრულ დაღამებას, როდესაც თითქოს მიჩუმდა და მიყურდა ბუნება, წინასწარ შერჩეულ ფონში ლოცვითა და ვედრებით შეერიენ ლტოლვილები მტკვარს. სვეტიცხოვლიდან მკრთალი მოლურჯო-მოთეთრო ნათება წამოსულიყო მდინარეში მათი სულის საიმედოდ, მეორედ კიდევ მოველინათ გადარჩენა და ნუგეში სამშვიდობოს გაყვანისა, შეწვენა და მფარველობა მამა ღმერთისა, ძე ღმერთისა და სული წმიდისა გიორგი სააკაძის ოჯახს.

ნეტარ არიან დევნილნი მარად! თავიანთ გულისგულში მხურვალე სიყვარულით ილოცეს, წმინდა ცრემლებით იტირეს, უფალს მადლობა უძღვნეს და გასწიეს საარაგვოსკენ.

მისაქციელთან ნუგზარ ერისთავი ელოდა სახლკარგადაბუგულ შვილსა და სიძეს.

ნუგზარს, თვითონაც თავადს, არ გაუჭირდებოდა იმ დიდი უმადურობის განჭვრეტა, რაც სააკაძის მიმართ გამოვლინდა. დიდებულთა გაორებული ბუნებაც ნათლად შესაცნობი იქნებოდა, როგორც თავადისათვის, რომლის გონების ნახევარი დიდ გვაროვანთა ინტერესების დამცველი იყო და მისი დინასტიური გაგრძელების მოსურნე. ძვალ-რბილში გამჯდარი მათი ასეთი თვისებები ხომ ურთიერთთანადგომასაც ნიშნავდა, მაგრამ მაინც სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილ საიდუმლო შეთქმულებაში გვერდში არ ამოიყენეს, არ ენდო ნუგზარს შადიმანი და მისი გარემო. მას თავის დროზეც არ მოუწონეს სააკაძესთან დამოყვრება, არც ახლა ენდნენ..

თანმიმდევრული ლოგიკით დასტურდება, რომ სააკაძეს თავის სიმამრთან შეხვედრამდე ირანში წასვლა ფიქრადაც არ გაუვლია! მაგრამ ისმება კითხვა, სხვა გზით თავის დაუძინარ მტერთაგან როგორ უნდა გადაერჩინა თავი. შეთქმულთა ბანაკმა რახან სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, შეიძლებოდა ისევე ჰქონოდა მათგან დანდობის იმედი? სააკაძის ავისმზრახველთაგან ნუგზარ ერისთავიც შეურაცხყოფილი ჩანს, როგორც სააკაძის ცოლის მამა; მას, როგორც ერთ-ერთი მათნაირ დიდებულთაგანს, საარაგვოს თავადს,

არ მიაგეს სათანადო პატივი. რამდენადაც შადიმანის ბანაკი არ უწევდა ანგარიშს ნ. ერისთავს, მასაც შეეძლო პასუხი გაეცა, მუდამ მზად ჰყავდა კარგად განვრთნილი და შეიარაღებული ჯარი, თავისი შვილის ინტერესების დაცვა არ გაუჭირდებოდა. თვით გიორგისაც ჰყავდა მომხრეები, რომლებიც გვერდში ამოუდგებოდნენ.

საკმარისი იყო სააკაძისაგან ერთი სიტყვა თანხმობისა, მის დამაქცევართა წინააღმდეგ არაგვის ერისთავი უკან არ დაიხევდა, მაგრამ არ გადაიდგა სავალალო ნაბიჯი სამოქალაქო დაპირისპირებისკენ. გონიერება გამოიჩინეს და გარიდება არჩიეს. ნუგზარ ერისთავისადმი მნიშვნელოვანი ანგარიშგანვეითაც აიხსნება ასეთი არჩევანი. ნუგზარ ერისთავის შვილისა და შვილიშვილების დამნიოკებელი შადიმანი, ცხადია, შეიტყობდა, პირველ ხანებში აღმფოთებული და განრისხებული სიმამრი სიძეს მასთან დარჩენას და იქიდან მოლალატეებთან ანგარიშის გასწორებას რომ ურჩევდა.

საკაძე წინააღმდეგია, ვერ შევიქმნები მიზეზი ძმათა შორის სისხლის ღვრისო და დაამატა: „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“.

– გაცლა საით უნდა ჯობდეს?

– ირანისკენო! – თქვა გიორგიმ და გულიც ამოაყოლა. მთელი სიღრმით იცოდა, რა დიდი ძალისხმევისა და მოთმინების ფასად დაუფჯდებოდა განდევნილის სტატუსით შაჰის კარზე თავისი ნებით გამოცხადება. სულ მუდამ შევიწროებული, დათრგუნვილი ყოფა ირანში, შარბათის წრუპვა, განუწყვეტილი დევნა შაჰის უნდო თვალისა... ბრძოლა ირანის

საკეთილდღეოდ, როცა საქართველოს ასე უჭირს... მაგრამ რა ექნა როცა მეტი გზა აღარ დაუტოვეს?!

ნ. ერისთავი იმდენად თანაგამზიარებელია თავისი შვილისა და სიძის ბედისა, გ. სააკაძის გადანყვეტილებაც იმდენად სწორად მიაჩნდა, თვითონაც თან გაჰყვა ირანში შაჰის კარზე. ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას: ეს ამბები 1612 წელს მოხდა. ირანიდან დაბრუნებული ნუგზარ ერისთავი 1619 წელს გარდაიცვალა და ამ ხნის განმავლობაში არ ამოტივტივებულა რაიმე მნიშვნელოვანი დაპირისპირება, შუღლი, შადიმან ბარათაშვილსა და მას შორის (ყოველ შემთხვევაში, ისტორიამ არ იცის). სააკაძის სიძე და მოყვარე ლუარსაბ მეფეც კი იყო, მაგრამ მიმნდობი, ადვილად დამყოლი. ბოროტმზრახველებმაც სწორედ ეს მხარე გამოიყენეს მეფისა, მტკივან ადგილას შემოუნყვეს გახურებული ნალვერდლები და მეტი დამაჯერებლობისათვის ბერუკა ჯავახიშვილს, სააკაძის ახლობელს ათქმევინეს: ფარულად შევიტყვე, რომ თქვენს წინააღმდეგ მოქმედებდა შაჰ-აბასთან, თქვენთვის ამისი არ ცნობა ღალატად ჩამეთვლებოდაო.

კარგად იცოდა აღმზრდელმა შადიმანმა აღზრდილის, ლუარსაბის ფსიქოლოგია. ამ მზაკვრულმა სიტყვამ საბოლოოდ გატეხა მეფის წინააღმდეგობა – იგი დათანხმდა სააკაძის სასიკვდილო განაჩენს.

## უტიფარი კოლოტაური

რომ მიდიოდნენ ირანის გზაზე,  
და მწუხარების არ ჩანდა ზღვარი,  
ნინ დიდი გზა იყო ისევ სავალი,  
მათი სამშობლოს გადარჩენისთვის  
არც ირანში იყო ამის წამალი.

### ხალხური

ირანის გზაზე დამდგარ დევნილებს ხროვას ჩამორჩენილი მარტოხელა მგელივით გადაეყარათ ვინმე „უშიშარი“ კოლოტაური. ისეთი გათავხედებული იყო, მარტოს გადაეწყვიტა სააკაძის შეპყრობა. ჩანს, იმ დროსაც იყვნენ სიგიჟეშეყრილი სახელის მადიებელნი. მცხეთასთან იარაღში ჩამჯდარი სამოცი კაცი მზირად დგას, აქ ეს მარტოკაცი სააკაძეს დაჭერას უპირებს!

– რას ითხოვ ჩვენგან? – დაღლილი ხმით ჰკითხა სააკაძემ.

– შენი შეპყრობა და ტყვედ მიგვრა მაქვს დავალებული.

– ვინ დაგავალა?

– შადიმან ბარათაშვილმა!

ნალვლის ღიმილი შეეყინათ სახეზე სახელის მადიებელი თავხედი კაცის პასუხზე. ესეც ერთგვარი გამოცდა იყო სააკაძისათვის, რას და როგორ მოიმოქმედებდა არსებულ მდგომარეობაში. ჩუმად, მდუმარედ იდგნენ დევნილები. არცერთს სიტყვა არ დასცდენია, წარბი არ აწეულა მათს სახეზე – სააკაძეს უნდა მიეღო გადანყვეტილება.



მძიმედ მოქაჩა გიორგიმ ცხენს აღვირი, ტარით კოლოტაურისკენ შეატრიალა შუბიცი. გვერდებში შუბისტარნაძგერები შადიმანის ლაქია ძეძვნარში დაენარცხა მიწას, ეკლებს გადააღლიტა უტიფარი ცხვირ-პირი. ერთი კი ახედა თავზე მდგომს დამფრთხალმა, მიხვდა, არ იყო სააკაძე მისი გამწირავი და მდუმარედ დააჩერდა მიწას.

– შენნაირი კაცი სიცოცხლის ღირსი არ არის, მაგრამ ღმერთის ნებით ვერ გაგამეტეო, – მეხის ხმასავით ჩამოესმა პირქვედამხობილს.

შვებითა და ლოცვით განაგრძეს გზა დევნილებმა.

კიდევ გვექნება მსგავს მოვლენებზე, გიორგი სააკაძისაგან თითქოს მოულოდნელ შემწყნარებლურ საქციელზე საუბარი.

საკაძე გაგრძელება იმ იშვიათ ადამიანთა ჯილაგისა რომელთა სულში გამჯდარი ტკივილი სხვათათვის დარდის განელების საშუალებაა; თავისი მიმტევებლური ბუნების კარი გაგვიხსნა, რომ მისი გულის-ფეთქვისათვის გვესმინა. მან გვამცნო ჯერ ქართველებს, თუ რამხელა განძს, – სულგრძელობის ამოუნურავ წიაღს, სიცოცხლისუნარიანობის, დაულაღავი სიყვარულის რა სასწაულებრივ უნარს ფლობენ საუკუნეთა მანძილზე ჯვარცმულნი, წამებული ძველთაძველი ქვეყნის, საქართველოს შვილები.

ღვთის ნებით სწორედ მიმტევებლურმა ბუნებამ გადაგვიჩინა სული და შეინახა თავი ქართულ მოდგმაში; სააკაძის გარეშე საქართველოს ისტორიული სპექტრი ვერ იქნებოდა სრულყოფილი პალიტრა ქარცეცხლში გამოტარებული ქართული მეობის დასაცავად. საბრძოლო სტრატეგი-

ული ტაქტიკა, საომარ ადგილთა ისე შერჩევა, რომ ბრძოლის მოგების შანსი გაზრდილიყო, ხმალი შხუილით მოელვარე დამპყრობთა წითელ თავებზე სააკაძისათვის თვითდამკვიდრების ფორმა იყო, ისევე, როგორც ფრინველისთვის ცაში ნავარდი.

წუთისოფელში ნებივრობისათვის არ მოვლენილა ადამიანი. ის საკუთარი „მე“-ს დასამკვიდრებლად გარჯითა და ბრძოლით მოსაპოვებელი ტკბილ-მწარე ნაყოფია. მხოლოდ მოუღლეელი სიარული ასეთ გზაზე, დათრგუნვილი წინააღმდეგობანი ამაღლებს მას.

მტრის ზარის დამცემი, ახლა მოშურნეთა მცდელობით განდევნილია, იძულებით გადახვენილი თავისი მიწა-წყლიდან; მის საფიცარ მშობლიურ ნოსტეში ლურჯი ცა მწუხრად დაიბინდა. სევდიანნი, ფარულ ცრემლებს ველარ იკავებდნენ თანასოფლელები თუ მის მხარდამხარ მებრძოლი ტაძისკარის ომის თანამონაწილენი.

რატომ, რისთვის, ქართული ჯიშის რა მხარემ გაიმეტა ასე უღმერთოდ? – ეს პასუხგაუცემელი კითხვა თაობიდან თაობას გადაეცემა და დღემდე გვანუხებს.

თავიანთი ამბიციებიდან გამომდინარე, დიდებულებმა 12 წელი შაჰ-აბასისთვის, იგივე ირანისათვის, სასარგებლო სამსახურში ჩააყენეს გიორგი სააკაძე. განდევნეს, გაინაპირეს, სამშობლოსა და თავის მიწა-წყალს მოსწყვიტეს. ჯერ მოკვლა, ფიზიკური განადგურება გადაუნყვიტეს, არა მარტო მას, მის ცოლ-შვილს (ცხადია, ყველამ არა)... მთლიან ოჯახს, ძმას და მის მოგვარე ბიძაშვილებსაც კი!

დარბევის შემდეგ სააკაძის ჯალაბის ნაწილი იმერეთში

გადაიხიზნა. გიორგის მინა-მამულები შეთქმულებმა დაინანილეს, ბერუკა ჯავახიშვილს, როგორც პირველ დამბეზღებელს, სააკაძის მამულების დიდი ნაწილი ერგო.

დღემდეა ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტი, კერძოდ, ლუარსაბ მეფის მიერ 1613 წელს ზაალ აბაზაძისადმი გაცემული წყალობის სიგელი სადაც აღნიშნულია, ადრე გიორგი სააკაძისთვის ნაწყალობევი მამული ახლა შენთვის მოგვიციაო:

„შეგიწყალეთ და გიბოძეთ მიწობლისეული მამული, რაც მოურავისათვის წყალობად გუებოძებინა მისის მართლის სამართლიანის სამძღვრითა და საქმითა“.

როგორც ჩანს, აბაზაძეც მონაწილე ყოფილა შეთქმულებისა.

დედოფლადყოფილი სააკაძის დის შესახებ ცნობილი არაფერია, ისტორიკოსთა აზრით, მას მონაზვნური გზა უნდა აერჩია.

სამართლიანად დასტურდება სააკაძის დისადმი მეფე ლუარსაბის წრფელი სიყვარული, მას შემდეგ ცოლი აღარ შეურთავს, მემკვიდრეც არ დარჩენია. დადიანის ასული მარიამი, რომელიც დიდხანს ყოფილა გაუთხოვარი, დედოფლად უნდოდათ ლუარსაბის დედას, მარიამს და დიდებულებს.. ის ამ მოვლენებიდან სამი წლის შემდეგ, 1615 წელს, ისევ შადიმან ბარათაშვილის მცდელობით, შაჰ-აბასმა ტყვედ წაიყვანა ირანში.

## შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ საქართველოში

შაჰ-აბას I ირანის ტახტზე 1587 წელს ავიდა. ის მიზანსწრაფული დიპლომატი, ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე იყო და თავიდანვე აიღო ისეთი ორიენტაცია, რაც ხალხის თვალში წარმოაჩენდა მის ზრუნვას ირანის კეთილდღეობისათვის, დასანახს და ანგარიშგასანევს. გახდიდა მისი პიროვნების აუცილებლობას ქვეყნის სათავეში.

თავისი მოღვაწეობა შაჰმა ეკონომიკის გაჯანსაღებით დაიწყო. უპირატესად შეამცირა ფასები საგადასახადო სისტემაში, ირანულ დაბა-ქალაქებში გაიყვანა დამაკავშირებელი გზები, ააშენა ხიდები, ქარვასლები, მგზავრთა სადგომები.

პოლიტიკას რაც შეეხება, მისი უპირველესი მიზანი იყო, დაეპყრო აღმოსავლეთ საქართველო, სომხეთი და სხვა მეზობელი ქვეყნები და მათი მოსახლეობის ხარჯზე მოეპოვებინა უფასო მუშახელი, რომელიც ირანის აღმშენებლობის საქმეში მონური შრომისათვის იყო განწირული. აბასის მიერ ჩატარებული რეფორმები მიზნად ისახავდა სახელმწიფოს გაძლიერებას, მის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა ისიც, რომ რაც შეიძლება ნაკლები ირანელი მეომარი დალუპულიყო დაპყრობით საომარ ოპერაციებში, – მისი შავბნელი გეგმები ისევ დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის ხარჯზე უნდა ასრულებულიყო. კარგად აღჭურვილი, განვრთნილი სხვა ერის შვილები „შაჰი სევანი“ („შაჰის მეგო-

ბარი“) ხდებოდნენ და „შაჰის მეგობართა“ არმიას ჰქმნიდნენ. იყვნენ კიდევ „შაჰის ლულამები“ – „შაჰის მონები“; ისინი უმეტესად საქართველოდან და სომხეთიდან ომების დროს გადასახლებული და გატაცებული ახალგაზრდები იყვნენ.

ასეთმა მიზანმიმართულმა მოქმედებამ აღმოსავლურ პოლიტიკაში შაჰ-აბასს დიდი ავტორიტეტი მოუხვეჭა.

შაჰმა შექმნა აგრეთვე სადამსჯელო ბრიგადები. მათ საგანგებოდ არჩევდნენ ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც ადამიანს აღარ ჰგავდნენ, შემზარავი შესახედაობა და ცხოველური ინსტინქტები ჰქონდათ, მსხვერპლს ცოცხლადვე გლეჯდნენ მოზღვავებული ხალხის დასანახად, ჯერ სისხლს სვამდნენ, შემდეგ ხორცს ჭამდნენ კიდევ. მათ ერთნაირი სამოსი ეცვათ, თავზე კი ფრინველთა ბუმბულისაგან გაკეთებული, აჭრელებული ქუდები ეხურათ. ერთ ასეთს რაზმს „თაჯიბკუ“, ხოლო მეორეს „ჩიან“ ეწოდებოდა. მათ „მიზანი მხოლოდ ერთი ჰქონდათ, შაჰის მონინაალმდეგეთა განადგურება“ (ლევან სანიკიძე).

შაჰ-აბასს ირანის მოსაზღვრე ქვეყნებიდან ყველაზე მეტად სძულდა ქრისტიანული სახელმწიფოები, განსაკუთრებით საქართველო; მისი ურყევი და შეუცვლელი გადანყვეტილება იყო, ქართლ-კახეთის მოსახლეობა აეყარა და ირანში გადა-ესახლებინა, შემდგომ გაემაჰმადიანებინა, წინააღმდეგობის გამწევი ძეხორციელი მთლიანად ამოეწყვიტა, ვაზი და ხეხილი ამოეძირკვა, ყოველგვარი ნაშენი მიწის პირზე მოესწორებინა, მათ ალაგას კი თურქმანული ტომები ჩაესახლებინა.



Shah Abbas I the Great  
1587-1629

შაჰ-აბასს I

„დიდი სახელმწიფო მოღვაწის უტყუარ ნიჭთან ერთად მას თანდაყოლილი ჰქონდა პირადი ხასიათის ისეთი თვისებები, რაც მას ხშირად ადამიანურ სახეს უკარგავდნენ და ადამიანურ ქცევას ავინყებდნენ“ (ივანე ჯავახიშვილი). ის ისეთი მზაკვრული ინტრიგების, გაუგონარი შურისძიების, ლალატის, ჭორებისა და ავადანგარიშსწორების ოსტატი იყო, რომ შემდგომ თვითონაც ვეღარ არკვევდა სიმართლის გზას. ასეთი უკიდურესად დაუნდობელი, ნადირის ინსტინქტის მქონე ჯალათები შაჰმა იმიტომ გაიჩინა, რომ მუდმივ შიშსა და ძრწოლაში ჰყოლოდა იგივე ირანის მკვიდრი მოსახლეობაც.

რა შინაგანი თვისებებიც ჰქონდა, იგივე პოლიტიკის გამტარებელიც იყო შაჰი ცხოვრებაში, თვითონაც შეეძლო ჯალათების მსგავსად მსხვერპლი დაეგლიჯა და სისხლი დაეღია.

არ მოისვენა – ხელის შემწყობნიც არ აკლდა, – სანამ თავისი ცოლისძმა, ლუარსაბ მეფე ქართლის სამეფოს არ მოაშორა, ტყვედ არ წაიყვანა და მშვილდის საბლებით მოახრჩობინა; როდესაც მეფის მოკვეთილი თავი „მიათვეს“, ხელებითა და ფეხებით აგორა და ათრია, ბოლოს კი თვითკმაცოფილების ცხოველური ყივილით ფერდობზე დააგორა.

„სულ უბრალო, უმნიშვნელო მიზეზით უამრავ სისხლს დაღვრიდა და შემდეგ განმარტავდა, დიდი ალაჰის შთაგონებით მოვიმოქმედეო,“ – ამბობს ისქანდერ მუნში, მისი თანამედროვე.

შაჰ-აბასმა სიკვდილით დასაჯა მურშიდ-ყული-ხანი, გონიერი და ღირსეული სარდალი, ვისი ხელისშეწყობით და

დახმარებითაც ავიდა ტახტზე.

სხვაზე რა უნდა ითქვას, როცა თავისსავე გონებაში შექმნილი ეჭვიანობის ნიადაგზე მრავალ ახლობელსა და ოჯახის წევრს ამოხადა სული. თავისი მემკვიდრე, უსაყვარლესი უფლისწული სეფი-მირზა სასიკვდილოდ გაიმეტა მხოლოდ იმიტომ, მოეჩვენა, ტახტის დროზე ადრე დაკავება უნდაო და მამის წინააღმდეგ შეთქმულება დააბრალა. ამ საქმის აღსრულება ცნობილ სარდალ ყორჩი-ხანს სთხოვა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ყორჩიხა-ხანმა: „ირანის მეფეს შვილს როგორ მოვუკლავო“.

ქვეშევრდომების მეტი რა ჰყავდა, ეს ავი საქმე ბებუთ-ხანს დაავალა. მანაც უარი ვერ უთხრა, გზაზე დაუხვდა ლოცვის მერე მეჩეთიდან მომავალ უდანაშაულო უფლისწულს. მაინც მამას ლოცავდა სეფი-მირზა, ბებუთ-ხანმა თავი რომ წააცალა.

შაჰმა ერთგულებისათვის შვილის მკვლელი კი დაანინაურა, მაგრამ მალე მოენატრა უწყინარი და მოყვარული სეფი-მირზა, ნიანგის ცრემლებს ღვრიდა და ახლა იმათზე იძია შური, ვისაც შვილი მოაკვლევინა. სულ მალე ბებუთ-ხანს უბრძანა, მოეკლა საკუთარი შვილი და მისთვის მოკვეთილი თავი მიერთმია. რა თხოვნა-მუდარა გაუვიდოდა, საკუთარი ტყავი უფრო ეძვირფასებოდა ბებუთ-ხანს, თითებს იჭამდა, თავში იცემდა, მაგრამ თავისი ხელით მიათვია აბასს თავისი შვილის მოკვეთილი თავი. ასევე ეჭვიანობის ნიადაგზე დასთხარა შაჰმა თვალები თავის სხვა ორ შვილსაც. ერთერთმა, ხუდაბანდამ, მამას სამაგიერო იმით გადაუხადა, რომ საკუთარი ხელებით დაახრჩო თავისი შვილი ფატიმა,

რომელიც შაჰს განსაკუთრებით უყვარდა, რისთვისაც ამ ხუდაბანდას სანამლაგი დაალევიანეს....

შაჰ-აბასის მრავალრიცხოვანი ცოლებიდან ოთხი ქართველი იყო:

ანდუყაფარ ამილახვრის და თამარი,

სიმონ მეფის და ფახრიმ-ბეგუმი (ქართული სახელი არ არის ცნობილი), თეიმურაზ მეფის და ელენე და ლუარსაბ მეფის და ლელა.

ქართველი იყო შაჰ-აბასის ბებია, მესხი თავადის, შალიკაშვილის ასული.

შემდგომ განვითარებულ მოვლენებში დავინახავთ, თუ როგორ გადაუხადა სამაგიერო შაჰმა თავის ქართველ მოყვრებს და ნათესავებს. თავის სამხრეთ ნაწილში, ირანში ჰყავდა საქართველოს ისეთი „ნათესავი მტერი“, რომლის მსგავსი ძალზე ცოტა მოიძებნება მსოფლიო ისტორიაში. ისეთი მტერ-კაცი, რომელიც არ ინდობდა და ეჭვის ნიადაგზე ხოცავდა. თავის მეგობრებს.

არ ინდობდა და ასევე ეჭვიანობის ნიადაგზე ხოცავდა საკუთარ შვილებსა და შვილიშვილებსაც.

არ ინდობდა არავის და არაფერს. არ ეშინოდა არც ღმერთის, არც ცოდვის; ასეთი ალაჰის რისხვა როგორი სისასტიკით გაუსწორდებოდა გიორგი სააკაძის შვილს პაატას და დედოფალ ქეთევან ბაგრატიონს, ადვილი წარმოსადგენია.

შაჰ-აბასი დიდხანს ამზადებდა კახეთისა და ქართლის მუსულმანურ სახანოებად გადაქცევის გეგმას. 1605 წელს კახეთში განხორციელებული ტრაგედიის ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. მის კარზე მძევლად მიყვანილ კახეთის მეფე ალექსანდრეს ძეს კონსტანტინე-მირზას მთლიანად გამოსწურა ქრისტიანული ზნეობა, სიყვარული და სამაგიეროდ თავისი მორიელის გესლი გადაუსხა – საკუთარ შვილს მამა და ძმა მოაკვლევინა... დრომდე იგი შენიღბულად ენოდა ფარულ სამზადისს კახეთისა და ქართლის წინააღმდეგ. ცდილობდა, გადაეხრებინა და ირანის სამსახურში ჩაეყენებინა თავისი მიზნების აღსრულებაში გამოსადეგი თვალსაჩინო ქართველები.

ცდილობდა და შეძლო კიდევ აღმოსავლეთ საქართველოს გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები ირანში წაიყვანა.

ვინც ვერ დაითანხმა ან საშიშად ეჩვენებოდა, თავისი ჩვეული ინტრიგების წყალობით მოაკვლევინა, – ერთ-ერთი ქაიხოსრო ომანიშვილი-ჩოლოყაშვილიც, ნიჭიერი, საუკეთესო სარდალი. – და ამ საქმეში ეჭვიანი თეიმურაზ მეფის ხელიც ერია. 1610 წელს ტაშისკარის ომის შემდეგ, როგორც უკვე ვთქვით, შაჰმა ლუარსაბი ირანში მიიწვია. მისმა კადნიერმა მოთხოვნამ – გაეთავისუფლებინა ფარად-ფაშა, – შაჰ-აბასი საშინლად გააოცა.

მეორე თხოვნა-მუდარაზე – თბილისის ციხიდან ყიზილ-ბაშური გარნიზონი გაეყვანა – პირდაპირ თვალეხი წამოენთო, მაგრამ თავი შეიკავა და ამ საკითხზე პასუხის გაცემამდე „მოსაფიქრებლად“ დრო აიღო. თვითონ ამდენს იღვწის ფარულად თუ აშკარად, რომ აღმოსავლეთ საქართვე-

ველოს მუსულმანურ სახანოებად გადააქციოს და მისი ციხეები ყიზილბაშური ჯარებით აავსოს, ეს კი რასა სთხოვს, თანაც კადნიერად.

ცოლისძმა ლუარსაბი ნახე, პირმშვენიერი, თან აზრმშვენიერიც ყოფილა!

„ერთად ვიბრძოდით ქართველებიც და ყიზილბაშებიც, ტაშისკარი ერთად მოვიგეთ, თანადგომით მხარში დგომით, ახლა კი ქართველებმა ბრძოლაში თანამონაწილეთა გაყვანა მომთხოვეს!?”

შემდგომ ალბათ კიდევ მომთხოვენ ქართველები – რას?”

შაჰმა დელუ-მაჰმად ხანს, მართალია, გამოაყვანინა სპარსული ჯარი თბილისიდან, მაგრამ აქედან დაიწყო მისი მძვინვარება, მთელი არსებით უნდოდა, როგორმე ჩამოეცილებინა ქართლისათვის ლუარსაბი და უმეფოდ დაეტოვებინა ქვეყანა, სადაც შემდგომ თავისთვის სასურველ კაცს დასვამდა. არც ამ საქმეში ხელისშემწყობთა მოძიება უჭირდა.

აღმოსავლეთ საქართველოს პოზიცია, ირანთან ჰქონოდა მეზობლური, ზომიერი მშვიდობიანი დამოკიდებულება, როგორც თანასწორთან – სწორი იყო, მაგრამ ასეთი, გაერთიანებული საქართველო არ აწყობდა შაჰ-აბასს, ძლიერი, გავლენიანი სარდალი საქართველოში თავისი ოცნების დამანგრეველად ესახებოდა, ასეთი სარდალი კი გიორგი სააკაძე იყო. შაჰის გონებაში უკვე დაბადებულიყო აზრი, გ. სააკაძე ირანისათვის სასარგებლოდ გამოეყენებინა ან

მოესპო, როგორც სამომავლოდ ქართლ-კახეთის დაპყრობაში ხელისშემშლელი!

სხერტა-ტაშისკარის ბრძოლიდან 1612 წლამდე სრული სამი წელი შაჰს ყურადღება ერთიორად ექნებოდა გამახვილებული სააკაძის საქმიანობაზე; გულმოდგინედ აკვირდებოდა, სწავლობდა, როგორ შეიძლებოდა გამოეყენებინა მეზობლად მცხოვრები ხალხების დასამონებლად და მათ ხარჯზე ირანი აღორძინებულიყო. აბასი ყველა გზას ეძებდა საამისოდ; ყველაზე აუცილებელი იყო, აღმოსავლეთ საქართველოში არ ჰყოლოდა წინააღმდეგობის გამწვევი მეფე თუ სარდალი და როცა ასპარეზზე გამოვიდა გ. სააკაძე, დიდი შეძლების კაცი, რომლის მხედართმთავრული ნიჭიერებით 60 ათასიანი ოსმალური ურდო განადგურდა, – ცხადია, გაუჩნდებოდა გარკვეული შიში, მისთვის ანგარიშგანევა მართებდა, როგორც დამპყრობელს. გ. სააკაძეს თავისი სამშობლო უყვარდა და მისთვის სულსაც არ დაიშურებდა, თავისი ნებასურვილით, უმიზეზოდ საქართველოდან არ წავიდოდა. ეს კარგად ესმოდა შაჰ-აბასს, ამიტომ ითმენდა და დროს ეძებდა მის ხელში ჩასაგდებად, უკიდურეს შემთხვევაში, გასანადგურებლად და რაკი ლუარსაბ მეფემ სააკაძის და შეერთო ცოლად და ქართველი დიდებულები ამის გამო აღშფოთებას არ მაღავენენ, მიზეზიც გამოიძებნა, – ერთმანეთზე ამხედრების. თავლში გარეული გესლიანი წერილების, თავისთვის ხელსაყრელი სიტუაციის შექმნის შეუდარებელი ოსტატი იყო „ირანის ლომი“ (‘გამორიცხული არაა, რომ ამ დიდი სარდლის წინააღმდეგ მოწყობილ ინტრიგებში შაჰ-აბასის ხელიც ერია,’ – აღნიშნავს აკადემიკოსი ნ. ბერძენიშვილი).

\* \* \*

ირანში ჩასული გიორგი სააკაძე და ნუგზარ ერისთავი ერთად დიდებულად მიიღო შაჰ-აბასმა, უხაროდა, მისი გონების ნაღვანმა დიდი ალაჰის შენევნით შედეგი რომ გამოიღო, სიხარულის დაფარვაც კი უჭირდა. გულში ელიმებოდა, ქართველებმა თავიანთი გადარჩენის დიდი იმედი თვითონვე რომ მოიკვეთეს, საძირკველი მოურღვიეს იმ სიმაგრეს, სადაც ისვენებდა ქვეყნის სადარაჯოზე მდგარი არწივი, რომლის ხმის გაგონებაზე მტერს მუხლი ეკვეთებოდა.

მოუნევს გიორგის დიპლომატიურ ხლართებში ბენვის ხიდზე გავლა. ჯერ პირველი ფსიქოლოგიური ომია მოსაგები, ვისაც გამარჯვება და თავისი ქვეყნის კეთილი სამსახური უნდა, მას მოთმინება და ხანდახან ხმლის პირზე სიარულიც უნდა შეეძლოს!

პატრიოტიზმი სულიდან აღმოცენებული, თავისი მიწა-წყლის სამსახურში დგომით გამონეული საამო განცდითი სიყვარულია, მაგრამ სანამ „პატრიოტიზმი“, თვით ცნება, საქმედ, მხსნელად, გადამრჩენად იქცევა, პირველი უდიდესი მოთმინებით აღჭურვის უნარია, რომ სწორი გზა სრულ გამარჯვებამდე მიიყვანო.

ასეთი გამარჯვება, მოგეხსენებათ, შხამით სავსე ფილის შესმის გარეშეც არ მიიღწევა.

სამშობლო მიწისა და ცის სიყვარული ავალეებდა სააკაძეს ქრისტესმიერი დათმენის უნარი მოეკრიბა.

... და 12 წლის მანძილზე სპარსულ ხმალს აფხიანებდა

იმავე დროის მანძილზე სააკაძის გარეშე დარჩენილი აღმოსავლეთ საქართველო იმედნართმეული ითვლიდა წლებს.

ირანში სააკაძესთან ერთად ჩასული ნუგზარ ერისთავი შაჰ-აბასმა დიდად პატივდებული და უხვად დასაჩუქრებული გამოუმევა საქართველოში.

## აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი შაჰ-აბასის შემოსევების ზღვარზე

ირან-ოსმალეთის ომი, რომელიც 1602 წელს დაიწყო, ირანის გამარჯვებით, ერთგვარი დაზავებით დამთავრდა. აღდგენილ იქნა 1555 წლის შეთანხმება, აღმოსავლეთ ამიერკავკასია, ქართლ-კახეთი და მესხეთის აღმოსავლეთი ნაწილი ირანის გავლენის სფეროდ იქნა აღიარებული.

იმავე ხანში მეფე ლუარსაბი და მეფე თეიმურაზი ირანში შაჰთან იყვნენ მიწვეულნი. დაუთქვამთ, როდესაც სანადიროდ წაბრძანდებით, ჩვენც გვაცნობეთ და გეახლებითო. შაჰ-აბასმა ეს პირობა არ დაივინა, 1612 წელს გაზაფხულზე ამირ-ყული ჯილვადარი გააგზავნა და ორივე მეფე მაზანდარანში სანადიროდ მიიწვია. როგორც ჩანს, შაჰისაგან სანადიროდ მიწვევა ქართლ-კახეთის მეფეებმა საეჭვოდ მიიჩნიეს, ლუარსაბი და თეიმურაზი შეთანხმდნენ, დრო გააჭიანურეს და არ ესტუმრნენ შაჰს. ამასობაში სანადირო დროც გავიდა, დათბა, ერთობლივი ნადირობაც არ შედგა. ამირ-ყული ჯილვადარმა ქართველი მეფეებისგან პასუხად სამწუხარო შეუძლებლობა“ რომ მიართვა, ბოლმამორეული შაჰ-აბასი მაზანდარანიდან უკან გაბრუნდა.

მოგვიანებით საქართველოში მყოფმა ჯაშუშებმა შაჰ-აბასს ამცნეს, რომ ქართლ-კახეთში ფეხს იკიდებდა ანტი-ირანული ორიენტაცია, რომლის სულისჩამდგმელი შერმაზან ჩოლოყაშვილი იყო. ამასთან ლუარსაბსა და თეიმურაზსაც დაედოთ სამოკავშირეო შეთანხმება, – ჩანს, მიმხვდარან

შაჰ-აბასის გეგმების სივერაგეს და სიფრთხილით ამაგრებდნენ ქვეყნის საზღვრებს.

შაჰ-აბასს ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა შორის ჰყავდა ისეთი საიმედო მომხრეები, რომლებიც საფუძვლიან ცნობებს აწვდიდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ, მეორე მხრივ კი მისთვის სასარგებლო ხმებს ავრცელებდნენ, რომ ის საქართველოს კეთილმოსურნეა, სრულიად უვნებელი ჩვენი ქვეყნისათვის და ა.შ. ეს იყო ისევ შენიღბული ხერხი შაჰისა: სამოყვროდ მოვდივარ, შიში არ გაიკაროთ არაფრისაო. სინამდვილეში სურდა, მოედუნებინა ქართლ-კახეთის მეფეების ყურადღება, რომ მტრის დასახვედრად თადარიგი არ დაეჭირათ.

საქართველოზე შაჰის გამოლაშქრების საშიშროებას ზერელედ უყურებდნენ მეფე თეიმურაზი და მასთან ერთად მოსახლეობაც; ჩანს, შაჰის შენიღბული ტკბილი სიტყვები მიზანს აღწევდა. თეიმურაზის შემხედვარე კახეთის დიდებულები უფიქრელად, უდარდელად, უთადარიგო განცხრომაში ნადირობით ირთობდნენ თავს.

სააკაძესთან ანგარიშგასწორებული ქართლის თავადები უდარდელობის აბაზანებში ნებივრობდნენ, მათ მთავარი მისია შესრულებული ჰქონდათ. მეფის ხელისუფლებისა და ქვეყნის ძლიერებისთვის მებრძოლი გიორგი სააკაძე ქართლიდან გაძევებული იყო; ლუარსაბ II, მათგან „გონებაზე მოყვანილი“, პატიოსანი მორჩილი გამხდარიყო.

1614 წელს შაჰმა თავის ლაშქარს საქართველოსკენ დაძვრა უბრძანა. მისი გავრცელებული ხმები, ოსმალეთზე



სალაშქროდ ვემზადებიო, ოსმალეთის სულთანს ნამდვილი რომ არ ჰგონებოდა, ელჩი სულთან მოჰამედ-ბეგ თალიში გაგზავნა სტამბოლში ნამდვილი მიზეზის შესატყობინებლად.

შაჰის მიზანი კახეთის მოსახლეობის აყრა და ირანის სხვადასხვა პროვინციებში გადასახლება იყო, ამიტომ საჭიროდ მიიჩნია, თვითონაც გამოჰყოლოდა თავის ჯარებს და მათთან ერთად ებრძოლა. მისი ეს საქციელი შეიძლება აიხსნას იმით, რომ მის მეომრებს, გარდა ქართველ მეზობლებთან სისხლისმღვრელი შეტაკებებისა, სუფთა ფსიქოლოგიური განსაცდელის ნახვა-ატანაც მოუწევდათ, რაც აისახებოდა ათასობით და ათიათასობით ადამიანის უკიდურესი თავგანწირული წინააღმდეგობით: მოხუცების კვნესა, ჩვილ ბავშვთა სისხლისგამყინავი, ჩაბჭირებული გულისმომწყვლელი წივილი, დედების გოდება, გმინვა მამებისა, რომლებიც ველარას შველოდნენ თავიანთ შვილებს და მათთან ერთად ვარდებოდნენ ცეცხლში...

შაჰს თავისი მეომრები უნდა შთაეგონებინა, რომ ცივი გული და უძვრელი უშეღავთო გონება ჩაედგათ და ისე ალესრულდებინათ მისი ბრძანება. თუ ვინმე გამოიჩინდა გულჩვილობას რაც გამორიცხული არ იყო, რადგან ისინიც ადამიანები იყვნენ, ასეთი შემთხვევებისათვის შაჰს სპეციალურად გამოყოფილი ჰყავდა სადამსჯელო ჯგუფი, ისინი მუცელზე ფატრავდნენ „გულჩვილ ყიზილბაშებს“.

შაჰს ყოველთვის ჰყავდა გამოჩენილი სარდლები, რომლებსაც ირანისაგან წარმოებულ მრავალ დაპყრობით ომში მიუღიათ მონაწილეობა და შაჰის გულიც ბევრჯერ გაუხ-

არებიათ, მაგრამ კახეთის და საერთოდ საქართველოსადმი შაჰის ზრახვები იმდენად მძიმე, ავისმომცველი იყო, რომ საჭიროდ თვლიდა თავის მონაწილეობას, რათა ყოველგვარი შებრალების გარეშე ჩაედინათ ათასი საშინელება და იქ დატრიალებული უბედურების ყურებისას ერთი ნერვიც არ ათრთოლებულა შაჰის სხეულში, მეტიც, მისი ქართული სისხლი შეუბრალებლობითაც აჭარბებდა სპარსულ სისხლს. კახეთის შემდგომ ყიზილბაშთა ოცნება გახდა, საავკაცოდ დაგეშილთ, როდის უბრძანებდა შაჰი ქართლზე სათარეშოდ წამოსვლას.

შაჰი თეიმურაზს ცალკე ატყობინებდა, ოსმალეთზე სალაშქროდ ვემზადები და იმის დასტურად რომ მათ არ მიუდგები, შვილი უნდა გამომიგზავნო! თეიმურაზი ძალზე დანალვლიანდა, იცოდა, რასაც ნიშნავდა მისთვის შვილის გაგზავნა.

ბერი ეგნატაშვილის თქმით, კახეთის დიდგვაროვნებმა აიძულეს თეიმურაზი დათანხმებოდა შაჰის წინადადებას. მან დედა, – ქეთევან დედოფალი და ორი შვილი, ალექსანდრე და ლევანი, ნელი სვლითა და ნადირობით უკვე განჯაში მოსულ შაჰს გაუგზავნა მცირე ამაღის თანხლებით.

შაჰმა თეიმურაზის საქციელით გაიხარა და ისევ შეუთვალა, რადგან ასეთ ერთგულებას იჩენ, ძალიან მეამება, თვითონაც მოხვიდე და შენი ნახვით მასიამოვნოო. შაჰის მიზანი ბაგრატიონთა სამეფოს ამონყვეტა იყო. ისქანდერ მუნში ამბობს, „ზაქერ-ალა-ყუმჩი, რომელიც შაჰმა გაგზავნა თეიმურაზთან მოსალაპარაკებლად შაჰთან გამოცხადების თაობაზე, უარით გამოისტუმრესო“. განრისხებულმა შაჰ-

აბასმა ქეთევან დედოფალი თავის შვილიშვილებთან ერთად ირანს გააგზავნა, თვითონ საომარი სამზადისი ბრძანა და კახეთის საზღვრებს მოადგა.

შაჰმა ჯარი ორად გაყო, ერთ ნაწილს თავრიზის მმართველი ფირბუდაყან-ხანი უსარდლა, მოადგილედ კი დელუ-მაჰმად-ხანი დაუნიშნა (ეს ის ირანელი სარდალია, რომელიც 1609 წელს ტაშისკარის ომში ოსმალების წინააღმდეგ ქართველების მხარეზე იბრძოდა) და უბრძანა, კახეთში სამხრეთ-დასავლეთიდან შეჭრილიყო; ჯარის მეორე ნაწილი, რომლის სარდალი შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი იყო კახეთში აღმოსავლეთის მხრიდან უნდა შესულიყო. შაჰ-აბასის მიზანი იყო, თეიმურაზი ალყაში მოექცია. კახეთის ზოგი დიდებული თეიმურაზს შაჰთან ხლებას ურჩევდა, დაბნეულობის გამო, ზოგი – გაქცევას, მცირე ნაწილი შეტევაზე გადასვლის მომხრე იყო.

ბრძოლა ყალბითან მოხდა. ქართველთა ჯარს თვით თეიმურაზი სარდლობდა, ირანელებს – შაჰ-აბასი. მემატიანეთა ცნობით, თეიმურაზ მეფეს დიდი წინააღმდეგობა გაუწევია ყიზილბაშებისთვის, მაგრამ შაჰის ჯარების მეტისმეტი სიმრავლის გამო ქართულ მხედრობას უკან დახევა გადაუწყვეტია. შაჰი დიდი ალტყინებით ცდილა თეიმურაზის შეპყრობას, მაშველი ჯარიც კი გამოუყვანია, მაგრამ ვერ ეღირსა – კახელმა მეომრებმა გაარღვიეს მტრის ალყა და თეიმურაზი სამშვიდობოს გაიყვანეს.

თეიმურაზი მივიდა მუხრანს, სადაც ლუარსაბ II იდგა დიდებულებითა და ქართლელთა ჯარით. რა ბედოვლათობაა, როცა ქართლ-კახეთის მეფეებს გასჭირვებიათ, იმერე-

თის მეფისთვის უთხოვიათ დახმარება, აქ გამართულ ომში კი ერთმანეთს ვერ მიშველებიან.

სახელდახელო თათბირზე გაირკვა, რომ არც ქართლს შეეძლო შაჰის ჯარების წინააღმდეგ გამოსვლა.

ქართლის დიდებულებიც შაჰთან შეთანხმებას ურჩევდნენ ლუარსაბს. ნიშანდობლივია, რომ ორივე მეფისათვის ცნობილი იყო შაჰის მიზნები და საქართველოს საზღვრებთან ირანული ჯარის მოახლოება, დანამდვილებით იცოდნენ, რომ შაჰ-აბასი კახეთში შემოიჭრებოდა და თვალის ასახვევად წალმა-უკულმა უგზავნიდა წერილებს, რომ ქართლ-კახეთის მეფეები პირველ ეტაპზე ერთმანეთისთვის წაეკიდებინა. ეს ორივე მხარისთვის გასაგები გახდა, ნათელი იყო თეიმურაზისა და ლუარსაბისათვის ირანის დამოკიდებულება, იცოდნენ, რომ შაჰი თავის გავლენის სფეროდ თვლიდა აღმოსავლეთ საქართველოს და რაც მოესურვებოდა, იმას აკეთებდა.

კახეთი იბრძვის, ქართლი მოვლენების შორიდან ყურებით კმაყოფილდება. ჩანს მათი ერთსულოვნება, აწუხებთ ხალხის ბედი კახეთის ან ქართლის მესვეურებს?!

სათათბიროდ დასხდნენ მეფენი მუხრანს. მემატიანე შენიშნავს ადრე იყო საჭირო დამსხდარიყვნენ და მტერს როგორ დახვედროდნენ, იმაზე ეთათბირათო.

ორივე მეფემ, თეიმურაზმაც და ლუარსაბმაც, ნათლად დაინახეს, რომ მტერს სრულიად მოუმზადებლები დახვდნენ და ცოლ-შვილით იმერეთში, გიორგი მეფესთან წას-

ვლა გადანყვიტეს.

ირანელებმა კახეთი დაიკავეს. შაჰ-აბასი თავის ჯარს ორაზროვნად კახეთის მოსახლეობის დარბევას უკრძალავდა, „მე თქვენს ურჩ მეფესთან მაქვს საქმე, მოსახლეობას არას ვავნებო“. – იმის გამო, ერგებებინა, რომ ვითომ სამშვიდობოდ შემოსული ირანელები ხალხისთვის უვნებელნი იყვნენ, სინამდვილეში კი მისი მიზანი იყო, კახეთის მოსახლეობას არ მიეტოვებინა კერია, არ გახიზნულიყო, რაც შეიძლება მეტი ქართველი აეყარა და გადაესახლებინა ირანს.

მალე შაჰ-აბასმა ალავერდის ტაძარი ციხე-სიმაგრედ აქცია და შიგ თავისი ჯარი შეაყენა.

მსტოვრებმა შაჰს საიდუმლოდ აცნობეს, ქართული განძი თიანეთის თვალუნახავ ციხეში გადაამალა მოსახლეობამო. ირანელები შემოენყვინენ ამ ციხეს.

ერწო-თიანეთის მოსახლეობამ თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია მომხდურთ, მაგრამ უშედეგოდ. საგულდაგულოდ შენახული განძი შაჰ-აბასს მიართვეს მისმა ერთგულებმა.

განადგურდა ერწო-თიანეთის მოსახლეობა, მრავალი სილამაზით გამორჩეული ტყვე და ათიათასობით სული პირუტყვი იგდეს ხელთ ირანელებმა.

ორი თვის განმავლობაში სასტიკად და შეუსვენებლად არბევდნენ ყიზილბაშები კახეთის მოსახლეობას. შაჰისაგან უფლებამციმულნი სპობდნენ ყველას, ვინც კი წინააღმდეგობას გაუწევდა. ქვა-ქვაზე არ დატოვეს, აჭრეს და გად-

აკაფეს ვენახები, იწვოდა ხალხის ნაშრომ-ნაჯაფარი. მთელი 50 დღის მანძილზე გათენებიდან დაღამებამდე ირანელი მეომრები ჩხრეკდნენ თითოეულ ნაშენს, მიჰქონდათ ყველაფერი, რაც ადამიანის ხელს შეექმნა, ცა წვიმის ცრემლებად ტიროდა კახეთის თავზე, გადამწვარ-გადაბუგული სოფლებიდან ავარდნილი შავი კვამლი ადამიანის დამწვარი ხორცის სუნით გაჟღენთილიყო.

„ყველაზე სავსე, ნაყოფიერი და ხალხმრავალი კახეთის ქვეყანისა და გრემის ყველა ადგილი ერთიანად ააოხრეს და ნაბილწეს,“ – გადმოგვცემს არაქელ თავრიზელი.

ძვირად დაუჯდა კახეთს შაჰის ცბიერი ტკბილი დაპირებები, „მოსახლეობას არას ვავნებო“.

ათიათასობით ქართველი ტყვე მსხვილფეხა საქონელთან ერთად უცხო ქვეყანაში გასაგზავნად გაამზადეს.

იზადება კითხვა: შეიძლებოდა თუ არა შაჰის ასეთი სიმკაცრის თავიდან აცილება, თუ თეიმურაზი შაჰის კარზე მივიდოდა? ვფიქრობ, ნაწილობრივ შეიძლებოდა, ასეთ შემთხვევაში შაჰი ალბათ ნაკლები სიმკაცრით განახორციელებდა თავის გეგმას, მაგრამ, ნაკლები სიმკაცრე არაფერი დიდი შეღავათი იქნებოდა კახეთისთვის.

მოლების გამყინავი ხმა ესმოდა დილიდან საღამომდე კახეთის მოსახლეობას.

თავისი ნამოქმედართ კმაყოფილმა შაჰმა კახეთის მმართველად ისა-ხანი დანიშნა, მრჩევლებად კი დავით ჯანდიერი და ნოდარ ჯორჯაძე მიუჩინა. რჩეული სილა-

მაზის 30000 ჭაბუკი და ქალწული გაუყენეს იმ წელიწადს ირანის გზას. ძვირფასი ნახელავი, იშვიათი გულმოდგინებით შექმნილი ხატებით და ძვირფასეულობით დატვირთული ფორნები მძიმე ჭრიალით მიემართებოდა შაჰის საბრძანებლისკენ. 1615 წლის გაზაფხულზე კახეთის „მოთვინიერებით“ კმაყოფილი სავსე გულით შაჰმა ქართლს მიაშურა, მუშტრის თვალით შეათვალიერა ქართლის ბალ-ვენახები. გორში გაჩერდა, ჯარს განუცხადა, მოსახლეობის მიმართ ლმობიერება გამოეჩინათ, გორისა და სურამის ციხეებში სათანადო სამუშაოები ჩაატარა და ირანული ჯარი შეაყენა.

## ქართლის ბედზე მზრუნველი

შაჰი ცდილობდა გამოენახა გზები და იმერეთში მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი მისთვის ჩვეული მაცდური დაპირებებით, – რომ არაფერს ავნებდა – ირანში გაეტყუებინა. განსაკუთრებით ლუარსაბზე ამახვილებდა ყურადღებას. „თავის შვილად და ძმად მიაჩნია, ნუ მოიქცევა თეიმურაზის მსგავსად, ეახლოს დიდ შაჰს და ისიც სიხარულით მხარში ამოუდგება, ქართლის მოვლა-პატრონობაში მიეხმარებაო,“ – ასეთ დაპირებებს ავრცელებდა შაჰი ერთგული კაცების საშუალებით, რომელთაც ადრესატებამდე მიჰქონდათ მისი დანაბარები.

„თუ ლუარსაბი უფროსი ძმისა და სიძის ასეთს „კეთილ შეთავაზებას“ არ მიიღებს, მაშინ, გვერდით ჰყავს „ქართლის მოურავი“ და მას დატოვებს ქართლის გამგებლად, თვითონ კი თავის ქვეყანაში დაბრუნდებაო.

სააკაძე ღრმად იყო ჩახვედრილი შაჰის განზრახვებს, მას კარგად შეცნობილი ჰყავდა იგი მთელ რიგ ურთიერთობებში. შაჰი ყოველ ღონეს იხმარდა თავისი სანუკვარი მიზნის ასრულებისათვის, რომ კახეთის და ქართლის დაპყრობის შემთხვევაში მის ყიზილბაშურ არმიას უამრავი ქართველი „ლულამი“ (მონა) და „შაჰისევანი“ (მეგობარი) მიმატებოდა. იცოდა გიორგიმ, რომ შაჰს იგი მხოლოდ დამხმარედ და ხელისშემწყობად სჭირდებოდა.

„დათვი“ დიდი ძალის მქონე და მომრევი იყო, ამიტომაც

დროებით იძულებით „ბაბას“ დაძახებაც იყო საჭირო.

მთავარი ფიქრი სააკაძისა ის იყო, რომ ქართლი და მისი მოსახლეობა კახეთის მსგავსად უმწეო დღეში არ ჩავარდნილიყო, ამიტომ ერთადერთი გზა რჩებოდა ხსნისა, მოთმინება და შერიგება პირად მტრებთან, ბერუკა და ქაიხოსრო ჯავახიშვილებთან, შადიმანთან და ციციშვილთან.

სააკაძის შერიგება მის მოსახლეობასთან მომავალი განმანთავისუფლებელი ბრძოლების დროს შაჰის ჯარების გასანადგურებლად ერთიანი ქართული ლაშქრის შეყრისას მათ (დიდებულთა) დახმარებას გულისხმობდა. მხოლოდ და მხოლოდ დათმენა და მოთმენა სააკაძისაგან, რის ხარჯზეც ქართლი უნდა გადარჩეს! წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ სააკაძე სიკვდილით გაუსწორდებოდა იმ „ოთხ გმირს“, ამით თავის გულს მოიოხებდა, შურს იძიებდა, ამ მხრივ საქმეც დამთავრდებოდა, საქართველოს კი რა სიკეთე მიადგებოდა? გიორგი სააკაძემ თავისი შემწყნარებლური ბუნებით, მიმტვევებლობით სულიერად ამაღლებული ადამიანის იმიჯი შეიქმნა ქართულ მოსახლეობაში, რაც სანდოობის, თანაგრძნობისა და თანადგომის ატმოსფეროს ქმნიდა მომავალი ბრძოლების ერთად წარმოებისათვის.

სააკაძის ასეთ მოქმედების მიზანი იყო, რომ შეენელებინა შაჰის აგრესია და როგორმე უმსხვერპლოდ გაეყვანა ქართლიდან.

შაჰ-აბასის გონება დღე-ღამე იმის ფიქრში იყო, რომ იმერეთში გიორგი მეფის კარზე მყოფი თეიმურაზი და ლუარსაბი გადმოეყვანა. არ უნდოდა შანსის ხელიდან გაშვება.

საგანგებოდ მოამზადა აზერბაიჯანის ვეზირი სარუ-ხოჯა ელჩად და მუქარის წერილიც გაატანა იმერეთის მეფესთან: „ჩემი ქვეშევრდომი ქართლ-კახეთის მეფენი შეგიფარავს, დაუყოვნებლივ უკან გამომიგზავნეთ, ამისთვის ჩემგან დიდ გასამრჯელოს მიიღებ, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემი ჯარებისაგან რისხვა არ ასცდებო შენს ქვეყანას“.

სარუ-ხოჯასაგან გადაცემული წერილი მეფე გიორგიმ ლევან მეორე დადიანს და მამია გურიელს გააცნო. მათ ერთად აღშფოთებით განაცხადეს, „შაჰი ჩვენ ასეთი წინადადებით თეიმურაზისა და ლუარსაბის საღალატოდ მოგვინოდებს, თანამემამულეთა და სტუმრის წინაშე თავის შერცხვენას იმერთა სამეფო არასოდეს არ დაუშვებსო“.

გიორგი მეფემ და იმერეთის მესვეურებმა ითათბირეს და შაჰს დასავლეთ საქართველოს კათალიკოსი მალაქია და თავადი ლევან აბაშიძე გაუგზავნეს ელჩად.

შაჰ-აბასმა პირ-ლიმლით მიიღო გიორგი მეფის ელჩები, რომლებმაც იმერეთის სამეფოს შენათვალი გადასცეს: „ირანის მძლეთამძლე შაჰ-აბას, დიდი გავლენის მქონე ხელმწიფე ბრძანდებით. თვითონ ბებოთ ქართველს, კარგად მოგეხსენებათ ქართველთა ისტორია და დიდი დავითის სახლის მტკიცე მოდგმის ბუნება და ხასიათი. თეიმურაზი და ლუარსაბი დღეს დროებით ჩვენი სტუმრებია. სტუმართან თავის შერცხვენა და ღალატი არასოდეს მოხდება. მართალია, ისინი თქვენი ქვეშევრდომები არიან, მაგრამ თქვენს რისხვას თავი აარიდეს და დროებით ჩვენთან გადმოსვლა ინებესო. ბრძენო შაჰ-აბას, თეიმურაზი და ლუარსაბი თქვენს მშვიდობიან წასვლას ელოდებიან ჩვენი ქვეყნიდან. როგორც კი ეს

მოხდება, ისინი დაუბრუნდებიან თავ-თავიანთს მეფობას და თქვენთან კეთილ ქვეშევრდომობას გააგრძელებენო“.

შაჰი დაიბნინდა იმერთა მეფის გონივრული შენათვალით. დასავლეთი საქართველო ოსმალეთის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ვერ გადავიდოდა საომრად, ასეთი ნაბიჯით ოსმალეთთან საზავო პირობას დაარღვევდა და საქმეს გაირთულებდა, რაც მისი ავი პოლიტიკისათვის ურგები იყო.

რა მკაფიოდ ჩანს შაჰ-აბასის უტიფარი ბუნება, სისხლის-მღვრელის თავხედობა, – კახეთი ააოხრა, გული იჯერა, ქართლ-კახეთის მეფეებმა გაცლა ამჯობინეს უიმედო შეწინააღმდეგებას. შაჰი ქართლში გადავიდა კბილის მოსასინჯად, რა საპირისპირო ძალასთან ექნებოდა მომავალში საქმე. აღმოსავლეთ საქართველოს ქვეშევრდომობა შაჰისათვის პირდაპირ მონობის პირველ საფეხურზე ყოფნას ნიშნავს. ფიქრობს, ქართლის მმართველად ციციშვილი დანიშნოს, ლუარსაბი კი ქართლიდან წაიყვანოს და ქვეყანა უმეფოდ დატოვოს. გარდა ამისა, სარუ-ხოჯასათვის გატანებულ წერილში შეურაცხმყოფელ ძალადობას ავლენს იმერეთის მეფისა და დიდებულების მიმართ – თეიმურაზი და ლუარსაბი უკან გამომიგზავნეო. ავინყდება, რომ ისინიც მეფეები არიან თავ-თავიანთი ქვეყნისა, მირონცხებულნი და უფლებამოსილნი. მეფე გიორგის „სთხოვს,“ სინამდვილეში კი ემუქრება, რომ აიძულოს მეფეთა უკან დაბრუნება, თითქოს ცხვრები იყვნენ, ან პატიმრობიდან გაქცეული და იმერეთის კარს თავშეფარებული დამნაშავენი. თან ისეთი მოტივით, ქართული ბუნება რომ არასოდეს დაუშვებს, როცა ქართულ მოდგმას სწორედ

სტუმრისთვის გაღებული სამსახურით ეამაყებოდა და მოსწონდა თავი.

შაჰი ისევ ჯიუტად სთხოვს იმერეთის ელჩებს, გადასცენ მეფე ლუარსაბს უვნებლობის ფიცი და უსტარი მისი.

უხვადაც დაასაჩუქრა ელჩები და სარუ-ხოჯაც გააყოლა იმერეთში. თავისი „მაღალი უსტარიო“ შაჰი ლუარსაბს აუწყებდა: „დიდი ალაჰია თავმდები, კახეთში ჩემი ჯარით შესვლა და აოხრება არ მსურდა. თეიმურაზს ვთხოვე, მწვეოდა და მეგობრად გვერდით მყოლოდა; მან ეს არ ისურვა, ამიტომ ჩემგან კახეთის აოხრებაში მას მიუძღვის ბრალი. ახლა მე შენს სამეფოში მოვსულვარ, შემიძლია, იგივე რისხვა გამოვიჩინო, მაგრამ ამას არ ვიზამ. ველოდები შენს მოსვლას. ნუ აჰყვები უგუნურთა რჩევებს და შენი სამეფოს დაკარგვის მიზეზი ნუ შეიქმნებიო“.

იმერეთიდან მობრუნებულმა სარუ-ხოჯამ შაჰს ლუარსაბის საპასუხო წერილი გადასცა. მეფე იმასვე წერდა წერილში, რასაც ფიქრობდა, მოითხოვდა, შაჰს უვნებლად დაეტოვა ქართლი.

აჭინჭრებული შაჰი ვერ ისრულებდა გულის წადილს, საგონებელში ჩავარდა...

\*\*\*

დამპყრობთა მიზნები, სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა დროს, მაინც ერთმანეთის მსგავსი იყო. საერთო ენა გამოენახათ დასაპყრობად გამიზნული სასურველი ქვეყნების წარჩინებულ ფენებთან. მტრის ფსიქოლოგიამ იცოდა, ეკონომიურად მოძლიერებული დიდებულები, თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვის შიშით, მტრებთან გარიგებას ამჯობინებდნენ, მტრის ულტიმატუმების მოსმენა და მათთან გარიგება საკუთარი მიწა-წყლის გულგრილობაში აისახებოდა. ასეთი რთული ვითარებები ჩვენს ქვეყანას ხშირად დასდგომია, სამშობლოს დაცვა და გადარჩენა სჭირდებოდა. გადამრჩენი, სისხლის და ამაგის გამღებნი, გულშემატკივარი ადამიანები, საშუალო ფენებიდან უფრო გამოდიოდნენ, როგორც სულანთებულები პატრიოტები. უნდა ითქვას, შაჰ-აბასმა უფრო მშვენივრად იცოდა ასეთი ხერხებით მოქმედება, მას საქართველოში თავისი გეგმების მოწინააღმდეგე რომ არ ჰყოლოდა, დიდებულთა ნაწილი თანამზრახველად გაიხადა და გ. სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყობინა. ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს ცოლი დედოფლობიდან გააშვებინეს და ცოლის ძმა, სააკაძე, რომელიც სიკვდილს გადაურჩა, საქართველოდან გააძევეს.

შაჰ-აბასის აზრით, ასეთმა ვითარებამ ლუარსაბ II მოთვინიერებული გახადა, რადგან 1612 წლის, ნავეკისის, სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებაში შადიმანისაგან, ლუარსაბ II გადამხრებული იყო. შაჰს ისევ შადიმანის იმედი ჰქონდა, რომ ირანში ლუარსაბ II-ის, წაყვანის საქმეში მხარში ამოუდგებოდა. როგორც მეფის აღმზრდელს და მრჩეველს, ეს მისია უნდა შეესრულებინა, რადგან სააკაძე ქართლში უკვე აღარ იყო. ლუარსაბი მოთვინიერებული კი იყო, მაგრამ მაინც დიდებულთა აზრს არ იზიარებდა იმ მხრივ, რომ მათი ასულებიდან

ცოლად არავის არ ირთავდა, რადგან ჯიუტობდა. ეს იყო მიზეზი და საფუძველი, შადიმანს და მის მომხრეებს შაჰისთვის ხელი შეეწყობოთ, ლუარსაბის ირანში წაყვანით, ქართლის სამეფოს შაჰის გავლენით თვითონ მოუვლიდნენ.

შაჰის მიზანი იყო, ლუარსაბი უნდა დარწმუნებულიყო იმაში, რომ ირანის ლომი მისთვის კეთილის მოსურნეა და ირანში უნდა გაჰყვეს დროებით. გავიხსენოთ 1610 წელი როცა შაჰმა ლუარსაბი მიიწვია ირანში, ტაშისკარის ომის გამარჯვებით კმაყოფილმა ლუარსაბმა შაჰს, თბილისიდან ირანული ჯარის გაყვანა მოსთხოვა, შაჰმა ეს მოთხოვნა შეუსრულა. შემდეგ დაბოლმილმა, ყაზახის ხანის მეშვეობით, ლუარსაბის მოკვლა სცადა. არ გამოუვიდა, ქართლი გამარჯვებული იყო, სააკაძე გვერდში ჰყავდა. ქართველებმა ისევ გაიმარჯვეს ყაზახის ხანის, ყაზა-ყლარის თავი გაუგზავნეს შაჰს. უტყუარი ფაქტია, შაჰი ლუარსაბს სამაგიეროს გადახდას დაუპირებდა, მეფეს სარწმუნოება რომ შეეცვალა, შაჰი მას არ მოჰკლავდა.

შადიმანს, როგორც ქრისტიან დიდებულს, ლუარსაბ II-ის მიმართ როგორც თავისი აღზრდილისა, გულის-გულში ერთგვარი სინანული მაინც ექნებოდა, მაგრამ იმ დროშიც ძალა აღმართს ისევ ხნავდა და შადიმანს თაო და თაო ერჩინა ქვეყანაზეც და ხალხზეც მეტად.

დიდებულთა ნაწილი, ძლიერის წინაშე გამოხატავდნენ მორჩილებას, იმ დროში ძლიერი კი შაჰ-აბასი იყო. შადიმანს, სინანულის, რაღაც ადამიანური განცდა, დედით ბარათაშვილ გ. სააკაძესთანაც ექნებოდა, მაგრამ პირად ამბიციებს ვერ ელეოდა, შადიმანის ჯგუფს სააკაძის წინააღმდეგ სამსჯავრო რომ მოეწყობოთ ხალხთან ერთად, ასეთი მოვლენა მეტად დამაფიქრებელი იქნებოდა.

მაგრამ ამის საფუძველის მიზეზი ერთი მისხალიც არ ჰქონდათ, ვინაიდან სააკაძემ თავისი ხალხი ოსმალთა-

გან განადგურებას 1609 წელს გადაარჩინა ტაშისკარის ომში გამარჯვებით და თან მისი და ლუარსაბ II-მ გულით შეიყვარა და ჯვარიც დაიწერა ქვათახევის მონასტერში. ამიტომ სააკაძის წინააღმდეგ, შაჰის გეგმების მიზნით, შეთქმულება იყო მათთვის საუკეთესო გზა. ამიტომ მტრის ხერხი – დაყავი და იბატონე, მიზანი იყო, ამიტომ საკუთარი ტყავის დახევის, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენას ამჯობინებდნენ, რაც მტრის სასარგებლოდ დათმობაში გამოიხატებოდა.

მაგრამ რა ვუყოთ, ქართულ, სათნო მართლმადიდებლურ ფსიქოლოგიას, ზოგჯერ ფიცხსა და მაქსიმალისტს, რა ვუყოთ ქართულ სტუმართმოყვარეობას, რომლის საფუძველი ხალხთა სიყვარულია.

მაშ რა ვუყოთ ქართველებისათვის სახასიათო თვისებას, რომელსაც სიძულვილის დიდხანს ტარება არ შეუძლია.

მაშ რა მხრით დავინახოთ, სახლ-კარ გადამწვარი, გაძევებული გ. სააკაძის ფსიქოლოგია, რომელიც თავის მოძულე მხარეს ისევ თვითონ უწვდის შერიგების ხელს?

მაშ რატომ ამბობს ჩვენი დიდი შოთა რუსთაველი, ოდეს მტერსა მოერია, ნულარ მოჰკლავ შეიბრაღე... იქნება უფალსაც იმიტომ ვუყვარვართ, რომ შემბრაღე ერი ვართ, და ამ საფუძველზე დღემდე ვვარსებობთ.

ყურადღება მივაქციოთ შაჰ-აბასის თავხედობას, ის იმ ხანებში, ქართლში, კერძოდ, გორში იდგა, შუა საქართველოში და ცდილობდა ლუარსაბ II-ის იმერეთიდან გადმოყვანას. ყველა ხერხს მიმართავდა, თავის ცოლს ლელა-თინათინსაც კი აიძულებდა, ძმაზე, ლუარსაბზე ზეგავლენა მოეხდინა და შაჰს ხლებოდა. საიდუმლო წერილების დიდი ტრფიალი შაჰი – ცალკე იმერეთის მეფეს გიორგი III-ს მუქარის წერილებს უგზავნიდა, თუ ლუარსაბი არ მეახლება, შენს სამეფოსაც ავიდღეები დაადგებო. მეორე მხრივ კი ლმობიერების წერილს უგზავნიდა, შთააგონე ლუარსაბს სიჯიუტეს თავი დაანებოს,

ჩემი მოთხოვნა შეასრულოს, მეახლოს, თორემ, ჩემთვის ხომ ცნობილია, შენს შვილს, ალექსანდრეს სამეფო კბილი ამოსული აქვს და ქართლის სამეფოს სულაც მას გადავულოცავო. რადგან სამივე მეფე იმ ხანად იმერეთში ერთად იყვნენ, მათ ბჭობა ექნებოდათ, როგორ მოქცეულიყო ლუარსაბ II, რადგან შადიმანი ლუარსაბ II-ის აღმზრდელი და მრჩეველი იყო და ისიც ურჩევდა მეფეს, შაჰთან გამოცხადებულიყო, როგორც უკეთესი ნაბიჯი ქართლის სამეფოს გადარჩენისათვის, ფაქტიურად, თეიმურაზ I და გიორგი III შადიმანის აზრს დამორჩილდნენ.

თუმცა, თავდაპირველად, ყველაზე დიდი წინააღმდეგი, ლუარსაბის შაჰ-აბასთან გამოცხადებაზე თეიმურაზ I იყო. მას მხარში ოდიშის მთავარი ლევან დადიანიც ამოუდგა, თავის დაზე მარიამზე დაქორწინებაც კი შესთავაზა, ასეთი იყო ლუარსაბის ფსიქოლოგიური კონტური.

ხშირად, უფრო მეტად, სხვათა აზრის ყურის დამგდები ახლა მხოლოდ თავის მამულიშვილურ გულისხმას უსმენდა, დემეტრე თავდადებულის სული ეცხადებოდა ხშირად მეფე ლუარსაბსო, ასეთი ხმები ვრცელდებოდა იმხანად მოსახლეობაში.

სიმონ I-ის შვილიშვილს ლუარსაბ II-ე მეფეს მცირე საწუთისოფლო დღეები ჰქონია, მაგრამ ღირსეული, 1609 წელს, როგორც მეფემ, სამაგალითო ტაშისკარის ომი მოიგო ოსმალეთთან. გ. სააკაძის გვერდში დგომით.

1610 წელს, როგორც მეფემ, სააკაძის ჩაგონებით, შაჰ-აბასს ირანული 700 კაციანი ჯარი გააყვანინა თბილისიდან. 1611 წელს როგორც ახალგაზრდა მეფემ, სუფთა კაცური, სპეტაკი გულით, შეიყვარა ქალი, გ. სააკაძის და იმავე წელს, ქვეყანას, და ხალხს დაუმტკიცა თავისი გულის სინრფელე და ჯვარი დაიწერა სააკაძის დაზე ქვათახევის ტაძარში. 1615 წელს, ლუარსაბი თავის სამშობლოს გამოეთხოვა და შაჰ-



აბასს გაჰყვა ირანში. 1622 წელს მონამეობრივად აღესრულა.

დავაკვირდეთ 1612 წლის წავკისურ, სააკაძის წინააღმდეგ მოსაკლავ შეთქმულებაში, შაჰ-აბასი როგორ ფარულად მოქმედებს, თითქოს არ ჩანს, სინამდვილეში მამოძრავებელი ღერძი ის არის. აი ლუარსაბ II-ის საქართველოდან ირანში წაყვანისთვის, როგორ ღიად, ხილულად მოქმედებს.

ქართველი მოსახლეობის ცნობიერების სასწორზე, შეკითხვები, ჩაუქრობ, ნაცარმიყრილ ნაღვერდლებად მუდამ იარსებებს.

რომ არა შაჰ-აბასი და მისთვის ხელისშემწყობი ზოგიერთი ჩვენი თანამემამულე, გ. სააკაძეს მოკვლას დაუპირებდნენ ან გააძევებდნენ? ან ლუარსაბ II-ს საქართველოს მიწა-წყლიდან ვინმე წაიყვანდა.

ლუარსაბ მეფე ვალდებულიც კი იქნებოდა, გაეანალიზებინა ქვეყნისა და თავიანთი მდგომარეობა, რადგან ლუარსაბისა და თეიმურაზის იმერეთის სამეფოში გადასვლა შაჰ-აბასის კახეთზე თავდასხმამ და აოხრებამ გამოიწვია; ფაქტიურად თეიმურაზმა მიატოვა სამეფო, თავს უშველა, კახეთი კი მტერს დაუტოვა სათარეშოდ. მუხრანში მათი შეხვედრისას გაირკვა, რომ არც თეიმურაზსა და აღარც ლუარსაბს მტრისთვის წინააღმდეგობის განევა არ შეეძლოთ. შაჰს დიდი სურვილი ჰქონდა, თეიმურაზი ტკბილი სიტყვით ან შეპყრობით ირანში წაეყვანა და კახეთის სამეფო თავის ნებაზე ემართა, მაგრამ ამას ვერასგზით ახერხებდა, რაც აცოფებდა და მთელ ბალღამს კახეთის მოსახლეობაზე ანთხევდა; ამას მშვენივრად ხედავდა ლუარსაბიც და მის სუფთა გულს გაუმართლებლად მიაჩნდა თეიმურაზისაგან თავის საშველად კახეთის მოსახლეობის მიტოვება; ხვდებოდა, რომ მის სამეფოსაც იგივე მოელოდა. მართალია, შაჰი ჯერჯერ

რობით ქართლს არ აოხრებდა, მაგრამ თვითონაც ხომ მიატოვა მოსახლეობა და თეიმურაზთან ერთად იმერეთს შეაფარა თავი. გრძნობდა თეიმურაზის პოზიციას, რომ ის შაჰს არაფრით ეახლებოდა, ამას მისი სამეფოს ნგრევა მოსდევდა, ლუარსაბს კი ამის დაშვება არ შეეძლო, წმინდა მამულიშვილური გრძნობა ამოძრავებდა, თავის ქვეყანაზე ძვირფასი არავინ და არაფერი გააჩნდა – შვილი არ ჰყოლია, გიორგი სააკაძის დის განტევების შემდეგ, ცოლიც არ შეურთავს, – ოღონდ ცოტა მაინც შვება მოეტანა თავისი ხალხისათვის, ოღონდ თავისი თვინიერი ბუნებით ოდნავ მაინც დაერწყულებინა შაჰის მძვინვარება ქართლზე, გადადგა ასეთი სარისკო ნაბიჯი.

შაჰ-აბასისთვის ქრისტიანული მოსახლეობა მტრის ბანაკს ნიშნავდა ყოველთვის, თავის ცოლისძმისთვისაც შური და მძულვარება უდუღდა გულში, მაგრამ სამოკეთეო ნიღბით ფარავდა. აბასს „ირანის ლომს“ უწოდებდნენ, მაგრამ სულაც არ ჰქონდა ბუნება ლომისა, რომელიც თავისი ღრიალით იუნწყება სანადიროდ გამოსვლას; მას ქვეწარმავლის მსგავსება უფრო ჰქონდა, ჩასაფრებით, მალულად ესხმოდა მსხვერპლს და ბოლოს უღებდა.

შაჰმა გაიძვერობით მიიტყუა ლუარსაბი, მაგრამ ეს არ აკმაყოფილებდა, მთავარი მიზანი მისთვის ლუარსაბის ქრისტეს სარწმუნოებისაგან ჩამოცილება იყო.

შაჰმა ძვირფას ტყვესთან ერთად სასწრაფოდ დატოვა გორი, თბილისის ციხეში ირანული ჯარი შეაყენა და ყარაბახისკენ გასწია. მეფე ლუარსაბი ფიქრობდა, რომ შაჰის პირობისამებრ თბილისში დარჩებოდა, მაგრამ „მზეზე მაღალ-

მა“ ახლა თავლში ამოანო ენა, ისევე გაიმეორა: „თბილისთან ახლოს, სოლანლულში, კარგი სანადირო ადგილებია, მინდა იხილონ ჩემმა თვალებმა ჭაბუკი მეფის მიზანაუცდენელი ნასროლიო“.

სავარაუდოა, რომ ლუარსაბი მიხვდა შაჰის განზრახვას და სანადირო ადგილების შერჩევის მომიზეზებით სცადა შეუმჩნეველად განრიდება და უკან დაბრუნება – შესაძლებელია, დამხმარე ქართველი ერთგულებიც მას ფარულად მიჰყვებოდნენ კიდეც, – ეს ყველაზე მოსახერხებელი იქნებოდა, მაგრამ ვერ შეძლო; ცხადია, შაჰი ესოდენ ძვირფას ტყვეს, რომლის ხელში ჩასაგდებადაც მთელი თავისი მზაკვრული ნიჭი გამოიყენა, უმეთვალყურეოდ არ დატოვებდა და განსაკუთრებულ დაცვასაც კი მიუჩინდა.

სულ მალე შაჰ-აბასმა იხმო კახეთში მოთარეშე სარდლები, თავი მოუყარეს კახეთიდან წამოყვანილ ტყვეებს, შეკაზმეს და შეამზადეს ძვირფასი ნადავლით დატვირთული ჯორ-აქლემები და ირანისკენ გაემართნენ. ოქრო-ვერცხლით მორთულ ბედაურზე მჯდარი ფიქრდამძიმებული ლუარსაბ მეფეც მიჰყვებოდა თავის თანამემამულეებს. ადვილი წარმოსადგენია, როგორი მძიმე და დამთრგუნველი იქნებოდა მისთვის ასე მორჩილად, შესანიერი ზვარაკივით სიარული ირანის ხრიოკ გზებზე.

ტკბილი სიტყვით შაჰის ტყვე შეიქმნა ლუარსაბი; იცოდა, რომ ვერავითარი წამებით ვერ აიძულებდა ლუარსაბს ქრისტესაგან განდგომას, ამიტომ ნელა, შეპარული მოქმედებით აპირებდა ნიანგის მოთმინების მქონე აბასი მეფის გატეხვას.

## კახეთი აჯანყების ქარში

ჯერ კიდევ ლუარსაბის და თეიმურაზის იმერეთში ყოფნის დროს 1615 წელს, მეფე გიორგისთან და დიდებულებთან განსჯა-თათბირის შემდეგ, გადაწყდა, დაკავშირებოდნენ კახელ პატრიოტებს, ოსმალებისთვისაც ეთხოვათ დახმარება და ერთად ებრძოლათ ირანის წინააღმდეგ.

ოსმალეთს ირანთან თავისი ანგარიშის გასწორებაც უნდოდა 1613 წელს დადებული ზავის გამო და საბაბიც იპოვნა; იმავე 1615 წლის გაზაფხულზე ოსმალურმა ჯარმა, რომელსაც მეჰმედ-ფაშა მეთაურობდა, ირანის საზღვართან დაიბანაკა.

კახეთის მოსახლეობა ისედაც წკიპზე იყო, დრტვინავდა შაჰის ნამოქმედართ, ასევე შირვანელებიც. მათ გაიგეს, ოსმალური ჯარის მოძრაობა ირანის საზღვრებთან და აჯანყების თადარიგს შეუდგნენ.

კახეთში აჯანყების სულისჩამდგმელი დავით ჯანდიერი იყო.

უკვე აღვნიშნეთ, რომ ალავერდის ტაძარი ირანელებს ეკავათ, 1615 წლის 15 სექტემბერს, ალავერდობის დღესასწაულზე, ქართველებმა ნირვის ჩასატარებლად ყიზილბაშებისაგან ტაძარში შესვლის უფლება ითხოვეს.

კახეთის მმართველის ისა-ხანის მოადგილედ შაჰის დანიშნულსა და ნდობით აღჭურვილ ჯანდიერს ირანელებმა

თანხმობა განუცხადეს.

მლოცველებად გადაცმულმა ქართველმა მეომრებმა საზეიმო წირვის შემდეგ მთლიანად ამოხოცეს ალავერდის ტაძრის შემოგარენში დაბანაკებული ყიზილბაშები. კახეთს აჯანყების ცეცხლი მოედო. დავით ჯანდიერმა მეფე თეიმურაზს ქუთაისში კახეთის აჯანყება და ალავერდობისას მტრის განადგურება აუწყა.

თეიმურაზი კახეთში ჩამოვიდა იმერეთის მეფე გიორგის, ლევან დადიანის, გურიელისა და მათი ჯარების თანხლებით და აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. შირვანელებმაც მხარი აუბეს და დაიწყო კახეთის მიწიდან ყიზილბაშთა განდევნა-განადგურება.

ოსმალები ირანის საზღვარს ტკეპნიდნენ, არ აპირებდნენ დიდი მონღოლებით ირანზე შეტევას, ამასობაში აცივდა, იგრძნობოდა ზამთრის მოახლოება. მეჭმედ-ფაშა ისედაც თავს არ ინუხებდა ბრძოლით, გაზაფხულამდე მოცდა განწყვიტა.

საგონებელში ჩაცვივდნენ თეიმურაზი და კახეთის აჯანყების სხვა მოთავეები, სამაგიეროდ, კახეთზე თავდასხმისათვის ხელსაყრელი გარემოება შეექმნა შაჰ-აბასს. შეჭყარა ყიზილბაშთა თხუთმეტათასიანი ლაშქარი, სარდლად ალი-ყული-ხანი დაუნიშნა და უმაღლ საქართველოსკენ დასძრა. ჯარს მოჰყვებოდნენ რჩეული სარდლებიც: ყარაბაღის მმართველი მოჰამედ-ხან ზიად-ოღლი, ისფენდიარ-ბეგი, ამირები ფეიქარ სულთან იგრიმი-დორთი და დელუ-მოჰამედი, ამასთანავე ქართველ შაჰისევანთა რაზმიც (ამის შესახებ

მარტყოფის ბრძოლის დროსაც გვექნება მინიშნება).

ირანელებმა არაგვისა და წინამურის სანახებში დაიბანაკეს. მათი მიზანი იყო სასტიკად გასწორებოდნენ კახეთის აჯანყების მოთავეებს და უკიდურეს შემთხვევაში გადაეკეტათ იმერეთისკენ გასასვლელი გზებიც, რომლებიც მათ ზოგიერთი სულმდაბალი ქართველი შაჰისევანისაგან იცოდნენ, მაგრამ ღმერთის ნყალობით მათში იყვნენ გულმხურვალე, სამშობლოს მოყვარული გმირებიც, ისინი სიცოცხლის რისკის ფასად, მალულად ატყობინებდნენ თეიმურაზის ჯარს ირანული მხედრობის მარშრუტებსა და გეგმებს. მათაც ხერხიანად გამოიყენეს მტრის მიზანდასახულობათა ცოდნა და ხანდაუზმელად დაესხნენ თავს – 6 ათასი ქართველი იმ დროისთვის საუკეთესოდ აღჭურვილ 15000 ირანელს შეება.

ქართველები ზვავივით შეიჭრნენ მტრის შუა განლაგებაში და არივ-დაფანტეს მათი რიგები, რამდენიმე საათში მრავალი ირანელი განადგურდა, მოიკლა ირანელთა მენინავე ჯარის სარდალი მოჰამედ-ხან ზიად-ოღლი. ქართველთა გამაგებული შეტევით თავგზაბნეულმა მტრის მარჯვენა და მარცხენა ფლანგებმა ბრძოლის ველი დატოვეს. შედრკნენ ცენტრის შენაერთებიც. გამოცდილი სარდლები ალი-ყული-ხანი და ისფენდიარ-ბეგი განაგრძობდნენ ბრძოლას, მაგრამ გამარჯვების სიო ქართველთა მხარეზე ქროდა, ირანელები თავის გადარჩენაზელა ფიქრობდნენ. მრავალი მტკვარში და არაგვიში ჩაიხრჩო, გამარჯვებულმა ქართველებმა უამრავი ცხენი, აქლემი, ძვირფასეულობა და იარაღი იგდეს ხელთ.

ირანული ჯარის ნახევარზე მეტი განადგურდა, მათგან ძლივს გადარჩენილებს ისლა დარჩენოდათ, როგორმე გაელ-

წიათ ქართული ხმლებით წარმოქმნილი სასაკლაოდან და ალი-ყული-ხანის ბრძანებით როგორმე თბილისში ჩაეტანათ გალახული თავები. ქართული ჯარისაგან ოტებულნი, იქაც დიდხანს ვერ დარჩნენ.

ისქანდერ მუნშის თქმით, ალი-ყული-ხანმა თბილისის ციხე მურშიდ-ყული-ბეგის მეთოფეებს ჩააბარა, თვითონ განჯას გაემართა და იქლა დაისვენა.

ამ გამარჯვებამ გარდატეხა მოახდინა ქართული მოსახლე-ობის ცნობიერებაში, მათში მტერზე გამარჯვების, მტრის ძლევის რწმენის ჩანერგვისა და სულიერი სიმტკიცის ამალღებისათვის. წინამურის ბრძოლის მონაწილე ნ ათასი ქართველისგან უმეტესი კახელი იყო „მცირედი ქართლელთა ჯარისაგანაც ივსებოდაო,“ – გვაუწყებს ფარსადან გორგიჯანიძე.

ოსმალების იმედად თეიმურაზს არ უბრძოლია და არც ისინი გასცილებიან დისლოკაციის ადგილს. მათი მხრიდან ირანის საზღვრებთან მიახლოვება უფრო მანევრი იყო. პრაქტიკულად მათ მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

ქართველი ისტორიკოსების უმეტესობა აღნიშნავს, რომ თეიმურაზის მიერ წარმოებულ და გამარჯვებით დასრულებულ წინამურის ომში კახელებს მარტო თავისთავის იმედად უხდებოდათ გამარჯვების მოპოვებაო.

სადავო არაა, რომ ქართველ მეომართა უმეტესობა კახელი იქნებოდა, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ კახეთის აჯანყების გამო სასწრაფოდ წამოსულ თეიმურაზს იმერეთის

მეფე გიორგი, ლევან დადიანი და გურიელიც გამოჰყვინენ თავიანთი ლაშქრით, არაგვზე მათ დავით ჯანდიერი შეეგება თავისი კახელებით.

ამ შემთხვევაში, ჯერ ერთი, დ. ჯანდიერი არაგვთან სწორედაც რომ უნდა დახვედროდა დიდი ხნის წასვლის შემდეგ დაბრუნებულ მეფე თეიმურაზს, მეორეც, იმერეთის მეფე გამოჰყვა თეიმურაზს თავისი ჯარითა და დიდებულებით, სწორედ ამ ბრძოლაში დახმარების იმედს სიხარულით შეეგება დ. ჯანდიერი და რახან უკვე აქ იყვნენ, ჩემი მოსაზრებით, იმერთა მხედრობას კახელების მხარდამხარ აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა წინამურის ომში.

ვფიქრობ, ასევე, მეფეებთან ერთად თანამოძმეთა მისაშველებლად სამეგრელოდან ასეთ მანძილზე წამოსული ლევან დადიანი ის სახელოვანი ვაჟკაცია, რომელიც უბრძოლველად უკან არ გაბრუნდებოდა.

## შაჰ-აბასის ბანრისხევის ცეცხლის შედგენი

თეიმურაზ მეფის მიერ ალი-ყული-ხანის ლაშქრის განადგურების ცნობამ ირანში მალე ჩააღწია, შეზანზარდა შაჰ-აბასის დარბაზები. ისქანდერ მუნშის ცნობით, „...როცა ამ ამბავმა მიაღწია მაზანდარანში შაჰის უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტკინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი იყო, ამიტომ მტკიცედ გადანყვიტა საქართველოზე გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დაქცევა, რომელთაც გაბედეს მუსულმანების დახოცვა“.

„ირანის ლომმა“ მოსვენება დაკარგა, ძილშიც დაღვიძილშიც თეიმურაზის სახე ელანდებოდა. მოლა-მუეძინებს უბრძანა, მთელი დღისა და ღამის განმავლობაში ეუწყებინათ ირანის მოსახლეობისათვის, საღვთო ომისათვის მომზადე-ბულიყვენენ. მცირე დროის შემდეგ დიდძალი ლაშქარი შეკრიბა, ისევ საქართველოსკენ გამოემურა და 1616 წელს, ჯერ კიდევ ზამთარი არ იყო გასული, კახეთს ოთხივე მხრიდან გარს შემოერტყა. ამასთან შაჰმა გადანყვიტა თავისი პოლიტიკა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო აქტიურად გაეტარებინა, თბილისში ჩავიდა და ქართლს ახალი მმართველი ბაგრატ-ხანი, სიმონ I-ლის ძმის დაუთ-ხანის ვაჟი დაუნიშნა; შემდეგ ისევ კახეთში გადავიდა და ჯარები ისეთნაირად განალაგა, რომ კახეთის მოსახლეობას გასწრება ვერ მოესწრო, „...ყოველი ჯგუფი ცალკე მხარეს გაგზავნეს თითო სახელოვანი ამირას მეთაურობით... (ებრძანათ) ქართველების სამყოფელს ოთხ-

ივე მხრიდან შემორტყმოდნენ, ნადირივით შუაში მოექციათ და ვისაც კი მისწვდებოდნენ, ისლამის ხალხთან მეომარი მათი მამაკაცები საღვთო ომის ელვარე მახვილით დაეხოცათ. იმ ურჯულოთაგან არც ერთი ცოცხალი არ გაეშვათ, ქალები და ბავშვები ტყვედ წამოეყვანათ, ხოლო საქონელი და ქონება, რაც ხელში ჩაუვარდებოდათ, მუსლიმანთა დავლა იქნებოდა“ (ისქანდერ მუნში).

ირანელებმა ქართლისკენ გადასასვლელი ყველა გზაც შეკრეს. ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრები დაღესტნელები გააფრთხილეს, არ მიეღოთ კახეთიდან გაქცეული ლტოლვილები, ყველას ერთნაირად სიკვდილით გასწორებოდნენ...

ოსმალები ისევ უნიათოდ იდგნენ ირანის საზღვრებთან, მათგან დახმარება მოსალოდნელი არ იყო; ქართლშიც ვერ ჩანდა კახეთისათვის მისამგებელი ძალები, ამიტომ ვერ გაბედა თეიმურაზმა ზღვად მომდგარ ირანელებთან შებრძოლება და ისევ დასავლეთ საქართველოში გაცლა ამჯობინა.

შაჰი არ ზოგავდა არც თავის ენერგიას და არცერთი ირანელი სარდლის ნიჭსა და გამოცდილებას, რათა კახეთი აღეგავა პირისაგან მიწისა. იმედი ჰქონდა, რომ ამით მომავალში ქართლსაც უფრო ადვილად დაიმორჩილებდა.

კახეთის მოსახლეობამ იცოდა შაჰის სამინელი გეგმები და შეძლებისდაგვარად ემზადებოდნენ წინააღმდეგობის გასაწევად. მათ მიმართეს ძველ, ნაცად ხერხს, კერძოდ ააგეს თხრილები და ხანდაკები, შიგ ალაზნის წყალი შეუშვეს

და სიმაგრეებად აქციეს. პრაქტიკულად მდინარე ალაზნის მთელ გაღმა მხარეს თხრილებად გაკეთებულ სიმაგრეებში მოსახლეობა იყო შეხიზნული, ამ თხრილებს კი გარშემო ერტყა ასევე წყლით სავსე დამატებითი ორმაგი თხრილები, რომლებიც ფეხზე მდგომ ან ცხენზე მჯდომ კაცს მთლიანად ფარავდა. კეთდებოდა კიდევ დამატებითი თხრილები, სადაც ქართველი მეომრები საფრდებოდნენ. როგორც კი მტერი შევიდოდა სპეციალურად გაკეთებული სახელდახელო ხიდებით, დამხვდურები სასწრაფოდ ჩაშლიდნენ ამ ხიდებს, მტერი წყალსა და ქართველ მეომრებს შორის აღმოჩნდებოდა და იოლადაც უმკლავდებოდნენ.

თხრილებმა და სილნალებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს იმჟამინდელ საომარ მოქმედებებში. ერთ-ერთ ასეთ დიდ თხრილ-სილნალში 10000 სული ქალი, ბავშვი და მოხუცი ყოფილა გამაგრებული თავიანთი ქონებით.

ირანელმა სარდალმა ჰოსეინ-ბეგმა საკმაო რაოდენობის ჯარი გაგზავნა მის ასაღებად. როდესაც მტერი ხიდზე გადავიდა და შიგნით, თხრილების სიმაგრეში მოექცა, ქართველებმა ხიდი ჩაანგრირეს, მტერს უკან დაბრუნების საშუალება მოუსპეს, გაშმაგებით ეკვეთნენ და ისე გაჟლიტეს, მხოლოდ რამდენიმე კაცმა და თვითონ ჰოსეინ-ბეგმა ძლივს გაასწრეს სიკვდილს. სარდლის ასეთმა მოუფიქრებელმა და წარუმატებელმა ნაბიჯმა შაჰ-აბასი ისე განარისხა, თვითონ დასაჯა სიკვდილით წინდაუხედავი სარდალი. იმ სიმაგრის ასაღებად კი თოფ-ზარბაზნებით შეიარაღებული ყარჩიხაბეგი გაგზავნა.

სისხლის ბოლო წვეთამდე იბრძოლეს კახელებმა, სა-

დაც კი მკლავი და ხმალი მიუწვდებოდათ, ცოცხალი ირანელი არ გაუშვიათ, მაგრამ სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა; კაცების უმეტესობა მტერს შეაკვდა, ქალები და ბავშვები ტყვედ აიყვანეს, გადარჩენილებმა გუნდ-გუნდად გააღწიეს და ტყის სიღრმეს მისცეს თავი.

ოცი დღე-ღამის განმავლობაში ზანზარებდა ალაზნის მარცხენა მხარე ქართველი მოსახლეობისა და ირანული ჯარის სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკებებით, შემდეგ კმაყოფილი შაჰი ალაზანს გამოლმა გამოვიდა და მთავარ ბანაკში შეისვენა.

ირანელმა სარდლებმა უდიდესი სიბოროტის ერთგულება გაუწიეს თავიანთ მბრძანებელს; დაანგრირეს, რაც წინა შემოსევას გადარჩენოდა; კახთა ბაღჩა-ბაღებში ნაყოფის მსხმოიარე ხე აღარსად იდგა, გაიკაფა თითოეული ვაზი და ბუჩქი. რაც სპარსულ ხმალსა და ნაჯახს გადაურჩა, ცეცხლმა შთანთქა. „...რაც ხოცვა და რბევა, ძარცვა, ტყვევნა და ნგრევა ქვეყნისა და საცხოვრებლებისა კახეთის ქრისტიანებს თავს დაატყდათ, არ გაგონილა ისლამის გაჩენის დროიდან აქამომდე, რომ ასეთი რამ ისლამის ქვეყნების რომელიმე ხელმწიფისაგან მოსვლოდეთ მათ და მათი მამული ასე აოხრებულიყოს“ (ისქანდერ მუნში)

მალე შაჰ-აბასს აცნობეს, ოსმალური ჯარი ირანზე შეტევისათვის ემზადებაო; სწრაფად დატოვა კახეთი და თბილისის გავლით გოგჩის ტბისკენ გასწია.

ოსმალური ჯარის მიზანი ყარსის, არზრუმის, ერევნისა და სხვა ქალაქების დაპყრობა იყო, მაგრამ რაღაც შიშის გამო

ძალიან დუნედ იქცეოდა; შაჰ-აბასმა და ოსმალეთის დიდმა ვეზირმა ისევ დასდეს ზავი, რომელიც ფორმალურ ხასიათს კი ატარებდა, მაგრამ ხელსაყრელი იყო შაჰ-აბასისთვის; მას კახეთის მოსახლეობის დაუმორჩილებლობა ზღვარგადასულ სიჯიუტედ მიაჩნდა, სწრაფად დატოვა გოგჩის ტბა და ისევ კახეთის „მოსარჯულებლად“ წამოვიდა.

კახელებმა როგორც კი შეიტყვეს შაჰის წასვლა, – არ კი იცოდნენ, სად და რატომ-ინყეს სამალავებიდან გამოსვლა და თავიანთი ბინა-თავშესაფრების შენება-განახლება. იმერეთიდან გადმოვიდნენ დავით ჯანდიერი და თამაზ ვაჩნაძე. მათ პირველ რიგში კახეთის გაფანტული მოსახლეობის თავმოყრა იწყეს და ახალი ენერგიით შეუდგნენ აჯანყების სამზადისს.

შაჰს როგორც კი აცნობეს კახელთა განახლებული თავდაცვითი მოძრაობა, ისევ შეკრიბა დიდი ჯარი, სათავეში თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში ჩაუყენა და გააფრთხილა ყველა ირანელი ჯარისკაცი და სარდალი, არ დაენდოთ არცერთი ორფეხი და ოთხფეხი, სულერთიანად გაეწყვიტათ არა მხოლოდ ადამიანები, ყველა სულიერი, ცაში ფრინველი და ხმელეთზე შინაური თუ გარეული ცხოველიც კი.

კახი მოსახლეობის ნაწილმა ისევ სამალავებს მი-აშურა. საარაკო შემართებით იბრძოდნენ ქიზიყელები, სიცივისა და ზამთრის სიმკაცრის გამო გაძნელდა თავდაცვა; მტერს მოსახლეობა ადვილად უვარდებოდა ხელში, უმრავლესობა ლტოლვილთა დიდ რიგებს უერთდებოდა. შაჰ-აბასის გულის მოსაგებად, დაღესტნის ფეოდალები თავიანთი მარბიელი რაზმებით გადასასვლელ ბილიკებზე უსაფრდე-

ბოდნენ ქართველებს, საბრალო ლტოლვილები უარეს მდგომარეობაში ცვიოდნენ.

კახეთში შაჰის ბოლო ორი შემოსევის შედეგად სულ გაიძარცვა და გაიზიდა, თუ კი რამ ღირებული შეექმნა ადამიანის ხელს. ეს ბრძოლები ერთი წლის მანძილზე მიმდინარეობდა. „მოსახლეობის ნაწილი იმერეთში გადავიდა, ნაწილი ქართლში. ადამიანის სუნიც კი აღარსად იყო დარჩენილი“, – მოგვითხრობს ისქანდერ მუნში და მთელი ამ უბედურების მიზეზად თეიმურაზს ასახელებს, „მას არ ჰქონდა მოქნილი პოლიტიკა, რომ ჩათრევას ჩაყოლა ჯობიაო“.

ცხადია, თეიმურაზს თავისი სამეფოსთვის მხოლოდ სიკეთე სურდა და რაც შეეძლო ყველაფერსაც აკეთებდა, სხვა რომ არა ვთქვათ, თუნდაც თავისი დედის, ქეთევან დედოფლისა და შვილების გაგზავნა ირანის კარზე დიდი მსხვერპლია მეფის მხრიდან, მაგრამ უშედეგო. „ჯობდა თვითონ ხლებოდა შაჰს, ასეთ შემთხვევაში ალბათ ცოტა უკეთესი იქნებოდა, მასში ახირებული სიჯიუტე მოჭარბებით სუნთქავდაო“, – ამბობს ფარსადან გორგიჯანიძე.

1612 წლის 20 მაისს იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ 1615 წელს გიორგი სააკაძე პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ქაიხოსრო ჯავახიშვილმა როგორც კი გაიგო ეს ამბავი, ცოლ-შვილთან ერთად თავქუდმოგლეჯით გაიქცა დასავლეთ საქართველო-ლოსკენ. სურამთან წამოეწინაწინა სააკაძისგან დადევნებული მოციქულები, დაამშვიდეს, დააჯერეს, რომ სააკაძე არაფერს ერჩოდა და ისიც, ზნეგალ-ახული, დაბრუნდა უკან. დიდი ხანი არ გასულა, ქაიხოსრო ჯავახიშვილმა ჯარი ითხოვა შაჰისგან დროებით ქართლის

გამგებლად დანიშნული ფარსადან ციციშვილისაგან: გიორგი სააკაძე დაბრუნებულა, ახლა ნოსტეშია, ჯარი მჭირდება, რომ ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოვუღოთ ჩვენი მოუსვენრობის მიზეზსო. ფარსადანს სიხარულით გაუყოლებია ჯარი.

გ. სააკაძე, ცხადია, ახლა უფრო მეტ სიფრთხილეს იჩენდა, ისევე გადაურჩა სიკვდილს. ხანდაკში გადავიდა აღმოფოთებული სულის დასამშვიდებლად.

მას შეეძლო ერთი ამოსუნთქვით გაენადგურებინა მოშურნენი, მაგრამ ქვეყანას არ არგებდა ეს საქციელი.

დიდი მოთმინება იყო საჭირო გიორგისაგან, ძალიან დიდი!

„თუ ხალხნი არ ვევარგებით,

რა ქნას სამშობლო მიწამა,

უთვალო უენ-პირომა,

თიხამ, ლამმა და ქვიშამა?“

ვაჟა-ფშაველა

ასეთი დიდი სულგრძელობა, რაც სააკაძემ გამოიჩინა 1615 წელს მოსისხლე მტრებისაგან ხელმეორედ მისი სასიკვდილოდ გამეტების დროს, ემსახურებოდა მხოლოდ ქართლის გადარჩენას შაჰის რისხვისაგან, რომ ქართლშიც არ განმეორებულიყო ის, რაც მან უკვე დამართა კახეთს და საერთოდ ძალზე დამაფიქრებელი მაგალითი იყო კახეთის ბედი ქართლელთათვის.

„მოსაზრება, თითქოს დიდებულნი, მივიდნენ შაჰთან, რომ უსაფრთხოების გარანტია ჰქონებოდათ, მცდარია. მაშინ ქაიხოსრო ჯავახიშვილი არც გაიქცეოდა იმერეთისკენ, მით უმეტეს, წარმოუდგენელი უნდა ყოფილიყო გ. სააკაძეზე მეორე თავდასხმა 1615 წელს; თუ კი შაჰის მფარველობა იყო გადამწყვეტი, არ შეეძლო ჯარის მიცემა ფარსადან ციციშვილს, ვინც სწორედ შაჰმა დასვა ქართლის გამგებლად; იმ დროისათვის შაჰის ერთგული კაცის მოკვლა ციციშვილს ვერ უნდა გაებედა“ (ჯანსუღ ღვინჯილია).

შაჰის ავკაცობა ახლა უფრო მეტად თვალსაჩინო ხდებოდა, დაუმალავი ბოროტება სააშკარაოზე გამოდიოდა და მეტ სიფხიზლეს ითხოვდა.

სააკაძეზე მეორედ თავდასხმამ კიდევ მეტი მოთმინება და ახალი კუთხით მოვლენების გაანალიზება მოითხოვა მისგან. სამი წელი 1612-1615, დროის ის მონაკვეთი იყო გიორგი სააკაძისა და შაჰის ურთიერთობაში, რომ მათ აუცილებლად უნდა შეეცნოთ ერთმანეთის ხასიათი აწონ-აზომვისა და დაკვირვების მეშვეობით, ამასთანავე ორივე დიდი პიროვნების აზრები და მიზნები სამკვდრო-სასიცოცხლოდ უნდა დასჯახებოდა ერთმანეთს. მართალია, მათ ერთმანეთი სჭირდებოდათ თავიანთი მიზნების მისაღწევად ცალ-ცალკე, მაგრამ დრომდე ძალებს ზომავდნენ, ბედისწერის ხელს შურისძიების ფარდა ჯერჯერობით გაუხსნელი ეჭირა.

გიორგი სააკაძე 1615 წელს საქართველოსკენ გამომგზავრებისას, რა თქმა უნდა, იფიქრებდა, როგორი შიში შეუვარდებოდათ გულში ჯავახიშვილ-ციციშვილებს, აკი მართლაც დაოთხილებმა იმერეთის გზას მისცეს თავი. სააკაძეს



ეს არ გაჰყვრებია, სრულიად ბუნებრივი მოქმედება იყო უსუსური მტრის მხრიდან და შემოაბრუნა კიდეც სანდო ხალხის მეშვეობით. ამ ტოლერანტული მოქმედებით იწყება გიორგი სააკაძის ბრძნული და შორსმჭვრეტელოური პოლიტიკა საქართველოში. მისი მთავარი საზრუნავი იყო, რომ ქართლი მაინც გადაერჩინა აყრა-განადგურებისაგან, ამისათვის მოსახლეობის ნდობა და მხარდაჭერა სჭირდებოდა. მას რომ ქაიხოსრო ჯავახიშვილი არ გამოეპრუნებინა, მაშინ წარმოჩნდებოდა, როგორც ზერელე, გულგრილი და შეიძლება შურისმაძიებელიც კი; ჭეშმარიტ ქრისტიანად დარჩენილმა გიორგი სააკაძემ პირადი წყენისა და ტკივილის დათმენის ხარჯზე ხალხის გულის მოსაგებად და მათი რწმენის განსამტკიცებლად ჩაიდინა ასეთი დიდსულოვანი საქციელი, ამით ყველას დაანახა, რომ არ აპირებდა სამაგიერო გადაეხადა მის წინააღმდეგ 1612 წლის მაისის შეთქმულებაში მონაწილეთათვის.

გიორგი სააკაძეს რომ შეურიგებელი პოზიცია დაეჭირა, მასა და მის მტრებს შორის გაგრძელდებოდა მუდმივი ანგარიშსწორება და მარტყოფის ბრძოლა შეიძლებოდა არც ყოფილიყო.

ქ. ჯავახიშვილი ზნეობადაცლილი კაცია, ერთიანად ასეთივეა სააკაძის ყველა მოწინააღმდეგე; მათ სულ ცოტა ხანში მიიღეს გადაწყვეტილება მეორედ მოეწყოთ შეთქმულება გიორგის გასანადგურებლად. ისინი დაუკვირდნენ შაჰის დამოკიდებულებას სააკაძისადმი, შეისწავლეს მათი ურთიერთობა და დარწმუნდნენ, რომ თუ ისინი სააკაძეს მოკლავდნენ, შაჰი დიდად არც გაუნაწყენდებოდათ. ასეთი

„გარანტიის“ საფუძველზე სცადეს მათ ხელმეორედ სააკაძის მოკვლა, მაგრამ „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“ – ქართლის გადამრჩენელს, წმინდა გიორგი მფარველობდა მუდამ ჟამს! მეორედაც გაუგო, გადარჩა და შეუნდო.

„შეიბრალე, უფალო, ისინი, რამეთუ არა უწყიან თუ რას სჩადიან!“

არ არის სააკაძის საქციელი ზოგადქრისტიანული და მართლმადიდებლური, ჩანს სადმე „კბილი კბილის წილ“?!

შაჰ-აბასს გიორგი სააკაძე იქ, თავისთან უფრო სჭირდებოდა სპარსეთის მოქიშპე ქვეყნების დასათრგუნად. აქ, საქართველოში, შაჰს სააკაძეზე უკეთეს სამსახურს ქართლის თავადები უწევდნენ.

მაინც ძალიან გაუკვირდა შაჰს, თუ რატომ დაინდო სააკაძემ, უკვე მეორეჯერ, მისი სიკვდილის მოსურნენი. უკვირდა და თან არც უკვირდა.

ალბათ უფრო არ უკვირდა, ეს ხომ გონიერი ადამიანის ნაბიჯია. ზოგჯერ თვით შაჰს, მის ქვეწარმავლურ ბუნებასაც დასჭირვებია მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად მოჩვენებითი სიმშვიდე ეთამაშა; შემდეგ სამალავიდან მოულოდნელად დაესხმოდა თავს და დაგესლილს, კრუნჩხვებადქცეულს ჟინიანი კმაყოფილებით უყურებდა.

ვთქვათ და გიორგი სააკაძეს მეორეჯერ სასიკვდილოდ გამეტებისათვის ხელი აელო ყველაფერზე და ერთიანად გაენადგურებინა თავისი მოსისხლე მტრები, ქაიხოსრო

ჯავახიშვილით დაწყებული, ყველა უკლებლივ, საფიქრებელია, შაჰი არც მაშინ აიტკიებდა თავს; გავიხსენოთ, რა რეაქცია ჰქონდა, როცა თავისსავე კარზე აღზრდილი და თავისგანვე მკვლელად გაგზავნილი კონსტანტინე-მირზას სიკვდილი შეატყობინეს: „მამისა და ძმის მკვლელი უარესის ღირსიაო“(!).

ასე შენიღბულად მოქმედებდა შაჰი ყოველთვის. გიორგი სააკაძისაგან პირადი მტრებისთვის სამაგიეროს მიგებით შაჰი კი გაიხარებდა, მაგრამ გულნატკენი დარჩებოდა ქართველი მოსახლეობა, მათ თვალში შეილახებოდა გიორგი სააკაძის პიროვნული სანდოობა. ქართველმა ერმა მას „დიდი მოურავი“ უწოდა, წვრილმანი პირადი შურისძიება არ შეეფერებოდა მის მართლაც და დიდ ღირსებებს და მესამე, მთავარი: მარტყოფის დიდი გამარჯვება, შესაძლოა, არც ხსენებულიყო ქართლის ცხოვრებაში. საკუთარ თავზე გამარჯვება ყველაზე დიდი გამარჯვებააო, – ამბობს სიბრძნე. მოზღვავებული ემოციების შეკავება-დათრგუნვა ყველას არ შეუძლია, მით უმეტეს, თუ ეს მთელი ოჯახის ამონყვეტას ეხება, სააკაძის მტრებს კი სწორედ მისი დედაბუდიანად გაყლეტა უნდოდათ.

გიორგი სააკაძეც ჩვეულებრივი მიწიერი მოკვდავი იყო, მისგან პატიებაც რთული ფსიქოლოგიური განცდების გარეშე არ მოხდებოდა. მასაც, როგორც ადამიანს, ექნებოდა მტრისთვის სამაგიეროს მიგების მძაფრი სურვილი, მაგრამ თავს სძლია, გააანალიზა და განსაზღვრა, რა იქნებოდა მისი სამშობლოსათვის უკეთესი; პირადი „მე“ ანაცვალა ქვეყნის უანგარო სამსახურს.

ქვეყანა, მიწა-წყალი, თუნდაც სამეფო გიორგი სააკაძეზე ნაკლებად არ უყვარდათ იგივე თეიმურაზ მეფეს ან დავით ჯანდიერს, თუნდაც იმ ეპოქის მრავალ ქართველ პატრიოტს, უთანასწორო ბრძოლებში რომ იღუპებოდნენ, მაგრამ გიორგი სააკაძის მოქმედება შექმნილ ურთულეს ვითარებაში და იქ სწორი აზრისა და გზის პოვნა სულ სხვა შედეგებს იძლეოდა.

## ქართველები ირანში

ირანში მოხვედრილი ქართველებიდან იგივე უნდღილაძეებმა, ბებუთაშვილებმა, ყარანგოზიშვილებმა, შალიკაშვილებმა შეიცვალეს სარწმუნოება, სულით და ხორციით ირანის სამსახურში იდგნენ და, საქართველოსკენ არც გამოუხედავთ.

ძმები უნდღილაძეები შაჰის კარზე ძალზე მნიშვნელოვანი პირები იყვნენ. საქმიანები, ამავე დროს შაჰისათვის მეტად სანდონი და სამაგალითონი. სწორედ მათი დამსახურება იყო შამისა და ჰორმუზიდან პორტუგალიელების გარეკვა და ამ კუნძულების დამორჩილება ირანის გავლენისათვის. სპარსმა პოეტმა კადრი შამმა იმამ-ყული-ხან უნდღილაძეს უძღვნა პოემები „ფარუნი-ნამე“ და „ჯანგ-ნამაი ქიშმ“. ნამდვილად რომ დიდი ამაგია ირანისათვის გაღებული ქართველებისაგან. ამას შაჰი ყოველთვის აღნიშნავდა და აფასებდა. ძმები უნდღილაძეები, როგორც ცნობილია, ყმანვილობის ასაკიდან ცხოვრობდნენ ირანში, საქართველოში მათ არაფერი დარჩენიათ. იგივე ითქმის ბებუთაშვილებზე და მრავალ სხვა ქართველზეც. გ. სააკაძესთან მიმართებაში კი სულ სხვა მდგომარეობაა. კერძოდ, მას განდევნამდე ნაბრძოლი სხერტი და ტაშისკარის ომი დარჩა საქართველოში ამაგად და სამშობლოს წინაშე მოხდილი ვალი. აქედან გამომდინარე, სახელი და ხალხის სიყვარული, რასაც გიორგი სააკაძე იოლად ვერასოდეს შეეღოდა, სისხლითა და ოფლით მოპოვებულ პოპულარობას წყალს ვერ გაატანდა. გიორგი სააკაძეს

პირადი კეთილდღეობა, როგორც ნივთიერი აუცილებლობა, აქ ყოველთვის საკმარისი ჰქონდა, ირანშიც დიდმა ომებმა დიდი ფული მოუტანა, მაგრამ მისი მიზანი სიმდიდრის მოხვეჭა არასოდეს ყოფილა, თავისი ქვეყნის ტკივილი უნდა მოეშუშებინა. ეს არის მთავარი განსხვავება გიორგი სააკაძესა და ირანში მოხვედრილ სხვა ქართველებს შორის.

ჩვენ მათ სხვათაშორის ვიხსენიებთ, როგორც ირანში მცხოვრებ ეროვნებით ქართველებს, თორემ სამშობლო მიწის სამსახურისთვის სამაგალითონი არაფერში ჩანან. ძმები უნდღილაძეები მატერიალურად და თანამდებობრივად შაჰსაც არ ჩამოუვარდებოდნენ. საქართველოს რა სიკეთე მიადგა მათგან? – საკუთარ ტყავს უფრთხილებოდნენ და პირადი კეთილდღეობის დაკარგვის შიშით არავითარ სარისკო საქმეზე ნაბიჯს არ გადადგამდნენ. მათ კარგი ურთიერთობები ჰქონდათ ირანელებთანაც და იქ მყოფ ქართველებთანაც; ერთი სიტყვით, არც მწვადს წვავდნენ, არც შამფურს.

ცხადია, მათ სიბრტყეზე ვერ დავაყენებთ მეფე სიმონ I-ლის ძმის დაუდ-ხანის შვილს, ბაგრატ-ხანის ნახევარძმას ხოსრო-მირზას, რომელიც გიორგის დახმარებით რამდენიმე ათეული წელი ისპაჰანის „ტარულად“ (მმართველი) იყო გამწესებული. არ შემცდარა მოურავი, როცა მას შაჰთან რეკომენდაცია გაუწია ამ თანამდებობის დასაკავებლად. მართლაც, ხოსრო-მირზა რამდენიმე ათეული წელი შესანიშნავად ასრულებდა ამ მეტად მნიშვნელოვან მოვალეობას თავის თანამემამულე ბეგებთან და ხანებთან ერთად.

ხოსრო-მირზა აუცილებლად გიორგი სააკაძის თანამოაზრე შეიქმნებოდა მომავალი დიდი ბრძოლებისათვის,

რაც გულისხმობდა საქართველოს გათავისუფლებას შაჰის ჯარებისაგან. ეს თანამოაზრეობა საქმითაც დამტკიცდა კიდევაც, რასაც წარმოვაჩინეთ ქვემოთ, როცა ქსნის ბრძოლაზე ვისაუბრებთ.


გიორგი სააკაძეს და ხოსრო-მირზას პიროვნულადაც ჰქონდათ ბევრი საერთო. მართალია იგი ბაგრატიონთა შთამომავალი იყო, მაგრამ დედა წავკისელი გლეხის ქალი ჰყავდა. ამ ორი პიროვნების ურთიერთობისათვის ეს მოვლენაც ბევრს ნიშნავდა. აღარ გავაგრძელებ, ვიტყვი მთავარს, რომ გიორგი სააკაძეს ხოსრო-მირზა იმ წლებიდანვე მომავალი გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ეიმედებოდა. იგი ძალიან ნიჭიერი, საქმის არსში ღრმად მწვდომი ადამიანი იყო. ქსნის ბრძოლაში ისინი შეთანხმებულად მოქმედებდნენ. ანდუყაფარ ამილახვარი სწორედ ხოსრო-მირზას ხელით უნდა ჩაეხრებინა ყორჩიბაშისათვის, რასაც შაჰ-აბასი აუცილებლად შეიტყობდა, მის ერთგულებაში კიდევ ერთხელ დარწმუნდებოდა. აქედან შედეგი ისაა, რომ ხოსრო-მირზა ისპაჰანის ტარულად იმყოფებოდა 1618-დან 1648 წლამდე, მაშინაც კი, როცა ქართლის მეფე იყო. მართალია, გიორგი სააკაძე ვერ მოესწრო მის გამეფებას, მაგრამ როსტომ მეფემ მის შვილს, იორამს, ყველა თავდაპირველი საადგილმამულო უფლება აღუდგინა.

ირანში თავის დედასთან ერთად ჩასული ხოსრო-მირზა თავიდან დიდ მატერიალურ და სულიერ ხელმოკლეობას განიცდიდა. ხმაგაჩუმებულნი, უღიმღამოდ ათენ-ალამებდნენ. მისი მამა დაუდ-ხანი საქართველოში გაუნონასწორებელ პიროვნებად ითვლებოდა. დიდი დიღმის ველზე თავის ძმას

სიმონ I-ლს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაც კი გაუმართა, მაგრამ დამარცხდა და ირანს შეაფარა თავი. ხოსრო-მირზა არაკანონიერი ცოლისგან ჰყავდა, ამიტომ მას, როგორც ნაბუშარს, ისე უყურებდნენ და ირანში სააკაძის ჩასვლამდე ბაგრატიონთა პატივით მისთვის არავის მიუმართავს.

ირანში გიორგი სააკაძის ჩასვლიდან ხოსრო-მირზას ცხოვრება რადიკალურად შეიცვალა. მას გიორგი სააკაძე ხშირად იწვევდა სანადიმო სუფრაზე, გააცნო ირანის ელიტის მნიშვნელოვანი პირები. ხოსრო-მირზას პიროვნულ თვისებებს დამნახავ-შემფასებელი სჭირდებოდა და ღვთის წყალობით გიორგი სააკაძე მოეველინა კიდევ. მანამდე ირანში მყოფი ქართველები მას იცნობდნენ, როგორც „უკანონოდ გაჩენილს“, „ხარჭის-ნაშობს“. ზემოთაც ვთქვით და ახლაც ვიმეორებთ: ირანში მოღვაწე ქართველებს, გარდა ზოგიერთი გამონაკლისისა, ნაკლებად ეფიქრებოდათ საქართველოს ბედი და ხოსრო-მირზას ღირსებებიც. აქაც გამჟღავნებულია გიორგი სააკაძის ხასიათი; ნებისმიერი წოდების ადამიანს ყოველთვის პიროვნული ღირსებებით ზომავდა და წონიდა. გავიხსენოთ, საქართველოდან განდევნამდე, ტაშისკარის ომის წინ როგორი საომრად გულანთებული ხალხი ჰყავდა შემოკრებილი, – იგივე ზაზა ციციშვილი, თამაზ მარჩბელი, ლომი ჩრდილელი, მერე ხერხეულიძეები, ვაშაყაშვილები, ქარციძე, ქვლივიძე, ინაშვილი, – ყველა საბრძოლო სულისკვეთებითა და შემართებით. ზოგ მათგანს არ ჰქონდა თავად-აზნაურული წარმოშობა, მაგრამ გამოირჩეოდნენ ერთგულებით, სამშობლოს უანგარო სიყვარულით და გაჭირვების ჟამს ქვეყნის სამსახურში იმედად იდგნენ.

გიორგი სააკაძის მაძიებელი თვალი არასოდეს დაღლილა ქვეყნის არსის შემნახავის ძიებისას. ქვეყნის პატრონს ეძებდა და ფრთხილობდა, რომ უნებურად შეცდომა არ დაეშვა. მისი გული ვერ მშვიდდებოდა უნიათო დიდებულების შემხედვარე, რომელთაც მეფე ლუარსაბი შაჰისთვის მიეგვარათ, თან ეთხოვათ, ქართლის მმართველად ფარსადან ციციშვილი დაენიშნა. მათი ასეთი პოზიცია დროებით ანელებდა შაჰისაგან ქართლის აყრა-გადასახლების რისხვას, ისიც იმიტომ, რომ შაჰს ჯერ კახეთისათვის ბოლომდე არა ჰქონდა ანგარიში გასწორებული.



უნდილაპეპის აშენებული ხიდი ისპაჰანში

\* \* \*

ახლა გვინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვათ შაჰის ჯარში მყოფი ქართული წარმშობის მეომრებზე, რომლებიც უმეტესად, ძალდატანებით ხდებოდნენ „შაჰისეევანები“ ანუ შაჰის მეგობრები. ისინი ბევრჯერ გამოდგომიან საქართველოს, თუნდაც კახეთის აჯანყებაში, – სწორედ შაჰისეევანები ატყობინებდნენ აჯანყების მოთავეებს ირანული ჯარის მოძრაობასა და მიზნებს, სწორედ ამის საფუძველზე აიღო თეიმურაზმა სწორი საბრძოლო ორიენტაცია, რაც წინამართან ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა.

შაჰისეევანების შესახებ საქართველოს ისტორიაში მწირი ცნობებია შემორჩენილი. გიორგი ლეონიძე მიხეილ თამარაშვილს ეყრდნობა და ამბობს, რომ ევროპის ბიბლიოთეკებში დაცული ქართული ხელნაწერები გადმოგვცემენ შემდეგს: კახეთში შაჰის ბოლო შემოსევამდე შაჰისეევანებს აჯანყების მოთავეებისათვის მიუწვდიათ ცნობები ირანული ჯარის რაოდენობისა, და შაჰის გეგმების შესახებ. მათვე, თავიანთი პრაქტიკიდან გამომდინარე, ურჩევიათ კახეთის მოსახლეობისათვის ხალხით მჭიდროდ დასახლებული ადგილების გარშემო თხრილები გაეკეთებინათ, შიგ ალაზნის წყალი შეეშვათ და სოფლები სიმაგრეებად ექციათ (ამაზე ზემოთ უკვე ვისაუბრეთ).

დავით ჯანდიერის და თამაზ ვაჩნაძის ხელმძღვანელობით ალავერდობის დღესასწაულზე დაწყებული კახეთის სახალხო აჯანყების გამარჯვებამ რწმენა განუმტკიცა კახეთის მხედრობას, მათ მედგარი ბრძოლა გაუმართეს წინამართან

ციზილბაშებს და სასტიკად დაამარცხეს კიდეც. ამოისუნთქა კახეთმა, ხარობდა ერი და ბერი...

კახეთის აჯანყება უფრო ემოციურ ხასიათს ატარებდა, ბრძოლაში ემოციური ნერვის ფეთქვა კი არ იყო საკმარისი, რომ შაჰის ჯარებისათვის გამანადგურებელი დარტყმა მიეყენებინათ, ბოლოს კი სულ გაენადგურებინათ. კახეთის მოსახლეობა მართლაც უწევდა მტერს დიდ წინააღმდეგობას, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეტევებოდნენ ციზილბაშებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდნენ, მაგრამ შედეგი – გამარჯვება – არა და არ ჩანდა, განწირულები ბოლოს გამირული სიკვდილით ასრულებდნენ სიცოცხლეს.

შაჰის წინააღმდეგ კახეთის აჯანყება თავისთავად არის მისასალმებელი იმიტომ, რომ მოსახლეობის დაუმორჩილებლობის, კახთა ამაღლებული უტეხი სულიერი ძლიერების მაჩვენებელია, რაც საუკუნეების მანძილზე ქართველი ერის უცვლელი მახასიათებელი გახლდათ. საქართველოს მიწაზე ბევრ მტერს დაუდგამს ფეხი, ბევრი ავიც ახსოვს მათგან; მტერი იმიტომაა მტერი, რომ უნდა დაანგრიოს, მოსპოს, წაიღოს, მიიტაცოს – მისი მიზანია ასეთი. რასაც ვერ მოერევა, ვერ მიაქვს, იმას წვავს და ანადგურებს, მაგრამ უნდა ითქვას, შაჰ-აბასთან შედარებით სხვა დამპყრობთა შემოსევები სეტყვასავით გადავლას ჰგავდა. შაჰ-აბასი სულ სხვა იყო: ჯერ მოდიოდა მოკეთე-მოყვარული, სიტბოს ნილბად იყენებდა, შემდეგ თავის ნამდვილ სახეს ამჟღავნებდა, როგორც სისხლისმსმელი მტარვალი. კახეთის მოვლენებში თეიმურაზისათვის შაჰის მიზანი ცნობილი იყო. ბოლომდე არა, მაგრამ მაინც ენდობოდა; როდესაც თავისი შვილები და დედა

გაუგზავნა, ეგონა, შაჰი ამით მის ნდობას და ერთგულებას დაინახავდა, მაგრამ შაჰმა, როგორც კი მძევლები მიიღო, ისევ განაგრძო კახეთზე შემოსევა, თან დაჟინებით უთვლიდა, თვითონაც ხლებოდა. ამის შემდგომ თეიმურაზისთვის გასაგები გახდა შაჰის სივერაგე, რომ მას უნდოდა, თეიმურაზის და მისი ორი შვილის განადგურებით ამოეძირკვა კახეთის სამეფო დინასტია შემდეგ მოსახლეობაც აეყარა და ირანს გადაესახლებინა.

დედისა და შვილების წამებით სიკვდილის შემდეგ თეიმურაზიც გაბოროტდა ბოლომდე შეუცნობელი აბასისა და იმათ გამოც, ვინც შაჰთან დედისა და შვილების გაგზავნა ურჩია. ლუარსაბს სწორედ ეს მდგომარეობა აფიქრებდა ყველაზე მეტად და რომ მისი სამეფო არ განადგურებულიყო, გადადგა თავგამწირველი ნაბიჯი და შაჰს ირანში გაჰყვა. მცირე გამონაკლისის გარდა ქართლიც ვერ მიეშველა თანამოდმე კახეთს; ქართლის დიდებულები, თავიანთ ნაჭუჭში შეკეტილები, შაჰის შიშით თუ რიდით, ნახევრადმთვლემარე თვალის კუთხით სეირის მაყურებლად ჩანან.

იმ ეპოქის მოვლენებზე ბევრს აუღია კალამი, მათ შორის ჯანსუღ ღვინჯილიასაც, რომელიც მთელი ობიექტურობით და სიმართლით განმარტავს თითოეულ მოვლენას, რომ მკითხველის გულამდე რაც შეიძლება ზუსტად მიიტანოს ნათელისა და ბნელის სხვადასხვაობა.

დავძენ მხოლოდ ერთს: კახეთში შაჰ-აბასის გამანადგურებელი შემოსევების დროს გიორგი სააკაძის გვარს არცერთი უცხოელი მემატინანე არ ახსენებს. ამის დასადასტურებლად მე საკმაოდ დრო დამჭირდა, რომ თვალი

გადამეველო „ქართლის ცხოვრების“ ქრონიკებისა და სხვა-დასხვა მკვლევართა ნაშრომებისათვის.

ისქანდერ-მუნში, შაჰ-აბასის კარის მეისტორიე, მთელი 1615-1617 წლების მოვლენების აღწერისას გიორგი სააკაძეს არ იხსენიებს.

ის უბედურება, რომელიც კახეთს თავს დაატყდა, ისქანდერ მუნშის აზრით, თეიმურაზის უგუნურებისა და უმეცრების გამო მოხდა, რაც თითქოს მის ჯიუტ ურჩობაში, – შაჰს რომ არ ეახლა და მორჩილება არ გამოუცხადა – გამოიხატებოდა.

„რა თქმა უნდა, არაა მართალი ისქანდერ მუნშის ეს კატეგორიული განცხადება თეიმურაზის შესახებ; შაჰ-აბასის სისხლიანი შემოსევების მიზეზი სულ სხვა და უფრო ღრმა იყო, მაგრამ ერთი კი ცხადია: თეიმურაზის პოლიტიკასა და დიპლომატიას აკლდა მისი დიდი პაპის ალექსანდრეს მოქნილობა და ჭკუა-მახვილობა“. (გივი ჯამბურია).

შეიძლება ითქვას, მის თანამედროვეთაგან არავის გაუღია იმხელა მსხვერპლი ქვეყნისთვის, რაც თეიმურაზ პირველს.

დავინწყოთ იმით, რომ ჯერ სულ ყმანვილი გაგზავნეს გველების ბუდეში, შაჰის კარზე საპატიო „სტუმრად“ და აღსაზრდელად; თექვსმეტი წლისა პირველად გამეფდა კახეთში, მერე რამდენჯერმე დაკარგა და ისევ დაიბრუნა ეს ტახტი; სხვა კუთხეებში საფრთხეს გარიდებული, ორ-სამჯერ მოაბრუნეს. იმისათვის, რომ შაჰის რისხვა ოდნავ მაინც

შეერბილებინა და ქვეყანა გადაერჩინა, მძევლად გაიმეტა დედა და ორი ვაჟი (მისი ასული შაჰს ცოლად ჰყავდა), რომლებიც მონამეობრივი სიკვდილით აღესრულნენ – ვინ იცის, რა ცეცხლი ტრიალებდა მის გულში!

შაჰ-აბასს ერთგულება ვერ დაანახა და ყიზილ-ბაშებისაგან რომ ეხსნა ხალხი და ქვეყანა, ერთმორწმუნე რუსეთისკენ გადაიხარა, ამით უარესი დღე დაადგა... სპარსეთს ეომებოდა, თავს აღწევდა, ისევ ომობდა, დღე და მოსწრება შაჰ-აბასს გაურბოდა, ასე გამწარებული სული მიიტანა მოხუცებულობამდე. ბოლოს, 74 წლისა უკვე ბერად აღკვეცილი, მაინც ირანში, ასტრაბადის ციხეში აღესრულა 1663 წელს...

მთელი ცხოვრება დამოკლეს მახვილი ეკიდა თავზე, მაინც ახერხებდა და სულიერი ძლიერება თუ ჭირ-ვარამი მშვენიერ ლექსებს აწერინებდა. სამშობლო გაუტიალეს, ოჯახი გაუნადგურეს, სიცოცხლე გაუმწარა შაჰ-აბასმა, მაინც ამბობდა, „სპარსთა ენის სიტკბომან მასურვა მუსიკობანი!“ – ჭეშმარიტად პარადოქსია და მართლა მხოლოდ ქართველი ეროვნების კაცს შეიძლებოდა დაჰყოლოდა ერთად ამხელა ნიჭიერება და უბედურება, ტრაგიზმი და სულიერი გაორება, წარმოუდგენელი განსაცდელი და, რაც ყველაზე საოცარია – ამდენი ტკივილის დამტევი და ამტანი გული!

კახეთის განადგურების გეგმის სისრულეში მოყვანა შაჰ-აბასმა ჯერ კიდევ მაშინ დაიწყო, როცა ალექსანდრე მეფის უმცროსი ვაჟი, კონსტანტინე-მირზა თავისთან „აღსაზრდელად“ მოითხოვა.



შაჰის კარზე აღზრდა ნიშნავდა გამაჰმადიანებას, არა მხოლოდ რწმენის, არამედ მთელი შინაგანი ბუნებისა და აზროვნების შეცვლას ისე და იმდენად, რამდენადაც ეს შაჰს მიაჩნდა საჭიროდ.

კონსტანტინე-მირზაც საუკეთესოდ იქნა აღზრდილ-მომზადებული შაჰის მიზნებისათვის, რაც მალევე დაამტკიცა: მოკლა ძმა, მამა და შემდეგ კახეთის ტახტი დაიკავა, პირველ ეტაპზე ბრწყინვალედ გაუმართლა ამაგი. კონსტანტინეს ყოველი ნაბიჯი, კახეთის მართვის მხრივ ყოველდღიური ნვრ-ილმანიც კი ირანისათვის უმალ ცნობილი ხდებოდა.

აბასი კმაყოფილი იქნებოდა, თუ ასე გაგრძელდებოდა კახეთის დამორჩილება, მაგრამ ვერ გაითვალისწინა მთავარი ნიშანი ქართული ხასიათისა, კერძოდ, კახური უტეხო-ბა. სულ მალე ქეთევან დედოფლის ირგვლივ თავი მოიყარეს ქართული თვითგადარჩენისათვის მეზობლმა საუკეთესო ადამიანებმა და კონსტანტინე-მირზა ჯოჯოხეთში გააგზავნეს, ქვეყანას სირცხვილი ააშორეს.

შაჰმა ვერ გათვალა რეაქცია კახეთის მოსახლეობისა, რომელმაც ზნედაცემული გასპარსელებული მამის მკვლელი კონსტანტინე მეფედ ვერ იგუა. ამით შემცირდა კახეთზე ირანის გავლენა, რაც შაჰისათვის ძალიან დამაფიქრებელი იქნებოდა.

მთავარი მოქმედი გმირი იმ მოვლენებისა, ღერძი, გამანონასნორებელი ზნეობრივად სრულყოფილი თანაარსებობისა იყო ხალხი, კახეთის მოსახლეობა, რომელმაც ნიაღვრად მოვარდნილ დამპყრობელს კახეთის წმინდა მიწის

წალეკვის საშუალება არ მისცა და სალი კლდესავით წინ აღუდგა. მამისა და ძმის მკვლელის მეფეობას კახეთი ვერასოდეს შეეგუებოდა!..

კონსტანტინეს სიკვდილით დასჯამ განაპირობა, უფრო სწორად, განაჩენი გამოუტანა კახეთის მოსახლეობას, რომ ახლო მომავალში აეყარათ და ირანის მოუსავლიან მწირ ადგილებში ჩაესახლებინათ.

მაშინდელი ირანის კარზე, შესაძლოა, ბევრს არ მოსწონდა ეს გეგმა. ასევე დასაშვებია, იგივე ირანის მოსახლეობას და უფრო ჰუმანურ შაჰის ხელქვეითებს სულ არ უნდოდათ კახეთიდან ხალხი ირანში გადაეხიზნათ, მაგრამ შაჰის გადაწყვეტილებას, როგორც შემდეგ გამოჩნდა, წინ ვერავინ აღუდგა, მაინც აისრულა სატანისაგან ნაკარნახევი აზრი, მშვიდობიანი კახეთი დაარბია და მოსახლეობაც გადაასახლა.

ვინ წინააღმდეგი იყო და ვინ მომხრე შაჰისა სახელმწიფო, მათ შორის, საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებში, ამას აბასისათვის აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა; კიდევაც რომ ეკითხა, ვინ გაუბედავდა შეწინააღმდეგებას! იყვნენ მაშინ ირანის კარზე ანგარიშგასანევი, დამსახურებული პიროვნებები – იგივე უნდილაძეები, ყორჩიხა-ხანი, უპირველესი სარდალი შაჰის ჯარისა, ყორჩიბაში, მისი სიძე, – მაგრამ შაჰ-აბასი ყველა გადაწყვეტილებას ერთპიროვნულად იღებდა.

ისეთი უწყალო და ეჭვიანი იყო, არავის ინდობდა. შიშის ზარს სცემდა შაჰი თავის გარშემომყოფებს და შორეულებსაც

თავისი დაუნდობლობითა და ეჭვიანობით. სარწმუნო ისტორიული წყაროებიც გადმოგვცემენ, რომ მას სიკვდილის განაჩენი ადვილად გამოჰქონდა და მარტივად აღასრულებდა.

შაჰი თავისთან ვითომ დაახლოებულ და საყვარელ პირებსაც განუწყვეტლივ უთვალთვალებდა და ცდიდა. განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იქნებოდა გიორგი სააკაძეც. ერთხელ, სხვათა შორის, აბასმა ჰკითხა გიორგის, რა დროს ჯობია კახეთში ლაშქრობა, შემოდგომაზე თუ ზამთარშიო. სააკაძეს უთქვამს, ზამთარში ჯობია, მოსახლეობა ადვილად ვერ შეძლებს გახიზვნასო.

სწორად განსაჯა გიორგიმ, შაჰმა და მისმა სარდლებმა მშვენივრად იცოდნენ, რა დროს ჯობდა კახეთზე თავდასხმა, პასუხს მხოლოდ თავად გიორგისთვის ჰქონდა მნიშვნელობა. არ უნდა დავივიწყოთ, რა დიდ გონიერებას, სიფხიზლეს, ნებისყოფას და მოთმინებას მოითხოვდა შაჰის კარზე ურთულეს ვითარებასა და გარემოში ყოფნა გიორგი სააკაძისაგან.

ირანში გიორგი სააკაძის ფიზიკურ ძლიერებასა და მოხერხებულობაზე ლეგენდები დადიოდა. ერთხელ შაჰს შეუთავაზებია, ვერცხლით სავსე შვიდი ტომარა ერთი ადგილიდან მეორეზე გადაეტანა, რაც გიორგიმ გაუჭირვებლად გააკეთა.

ერთხელაც, მის სიმარჯვესა და შეუდრეკლობაში თანამეინახეთა დასარწმუნებლად, შაჰმა გიორგი სააკაძეს მოულოდნელად ბილიკზე ორი ლომი დაახვედრა. როგორც ცნობილია, გიორგიმ ორივე ლომი ლამის შიშველი ხელებით დაამარცხა.

## „და ჟამთა მოვლენები შერიგებას ითხოვდა“...

1619 წელს, ბაგრატი-ხანის გარდაცვალების შემდეგ, შაჰმა ქართლის მმართველად სიმონ-ხანი, მის მრჩევლად კი გიორგი სააკაძე დანიშნა.

როგორც ჩანს, ღვთის განგებით იწყებოდა მნიშვნელოვანი პერიოდი გიორგი სააკაძის ჩაფიქრებული აჯანყების სამზადისისათვის; სიმონ-ხანს, საქვეყნო საქმეებში ნაკლები უნარის მქონეს, მრჩევლად გიორგი სააკაძე ჰყავს და მან ახლა გონივრულად უნდა გამოიყენოს შექმნილი მდგომარეობა.

სიმონ-ხანს გიორგი სააკაძის გარეშე არ შეეძლო გადანწყვეტილების მიღება, ეს ნათლად ჩანს მის მიერ ანდუყაფარ ამილახორისადმი მიწერილი წერილიდან: „მოურავის მოსვლამდის ყველამ დაანებეთ (მამულები) და რა მოურავი მობრძანდების, რარიგადაცა სჯობის, ისრე ვიქმთ და რაც ან ქალაქს, ან დიღუამს და ან ალს საცილობელი არის, ისიც მოურავმა უნდა გარდასწყვიტოს“.

ამ საბუთის საფუძველზე უნდა ვიფიქროთ, რომ სვიმონ-ხანი, მართალია, უნიათო მმართველი, მაგრამ შაჰის ნდობით აღჭურვილი პირია, გადამწყვეტი სიტყვა კი გიორგი სააკაძემ უნდა თქვას. ჩანს, შაჰი მას ანდობს ქართლში თავისი მიზნების განხორციელებას, რაც გიორგიმ ხელიდან არ გაუშვა და მყარი საფუძველი ჩაუყარა თავისი სანუკვარი მიზნის ასრულებას.

შაჰის ამღვრეულ ფსიქოლოგიაში ნდობის მოპოვება ადვილი არ იყო. ამის მისაღწევად დრო და ბენვის ხიდზე სიარული იყო საჭირო და გიორგიმ ეს შეძლო. კახეთში დატრიალებულ მოვლენებს ქართლელთათვის ჭკუა ესწავლებინა, ამ მხრივ ქართლის დიდებულები შაჰ-აბასის შემპარავი, საქართველოსთვის საზიანო პოლიტიკით უკმაყოფილონი იყვნენ. გიორგი სააკაძე ამ ფსიქოლოგიურ ნიუანსებს კარგად გრძნობდა და რახან თანამდებობრივი მდგომარეობაც ხელს უწყობდა, გადაწყვიტა, თავის მოსისხლე მტრებს შერიგებოდა. მან არცერთ მონინალმდგეზე შური არ იძია, რადგან ეს ქართლის სულიერი და ფიზიკური პოტენციალის დაკნინებას გამოიწვევდა. მისი თაოსნობით 1620 წლის გაზაფხულზე გაიმართა სასამართლო, რომელიც მიზნად ისახავდა მტრების შემორიგებას. როგორც ცნობილია, მისი მოსისხლე მტრები იყვნენ შადიმან ბარათაშვილი, ბერუკა ჯავახიშვილი, ქაიხოსრო ჯავახიშვილი და ფარსადან ციციშვილი; გიორგი სააკაძე მათ ბრალს დებდა იმაში, რომ 1612 წელს სასიკვდილოდ გაიმეტეს, გაუნადგურეს სახლ-კარი, იავარქმნეს მისი საძვალე მონასტერი, უპატიოდ მოეპყრნენ მის დედას, მსახურებსა და აზნაურებს. მისი და მეფე ლუარსაბს ცოლობიდან გააშვებინეს და 1615 წელს ხელახლა დაესხნენ თავს მოსაკლავად.

გიორგი სააკაძემ ამ სასამართლოს მოწყობით საძირკველი ჩაუყარა ურთიერთშერიგების გზას იმის გამო, რომ ერთიანი ძალით აღსდგომოდნენ წინ შაჰის პოლიტიკას. გიორგი სააკაძის ბუნება ამბიციებს რომ გადაეწონა, ქართლის მართვის სადავეები ხელთ ეპყრა, შეეძლო კიდევ ოდნავ მაინც მოეოხებინა გული და ერთ-ერთი მონინალმდგე

მაინც დაესაჯა, მაგრამ გონიერებამ და შინაგანმა სიკეთემ ამის გაკეთების უფლება არ მისცა.

სააკაძის დიდსულოვნებით აღფრთოვანებულმა მონინალმდგეებმა ცალ-ცალკე საფიცრის წიგნები მიართვეს მას. ფარსადან ციციშვილის „საფიცრის წიგნის“ ადრესატები გიორგი, მისი ძმა ქაიხოსრო და შვილები ავთანდილ, პაატა და იორამ სააკაძეები იყვნენ:

„რაც ღმერთისაგან და კაცთაგან თქვენს მორჭმას და გადიდებას უჯობდეს და კარგად მოუხდებოდეს, იმისი მომჭირნე და ძალის მიმცემნი ვიყოთ თათარშიგაცა და საქართველოშიგაცა. არც სახერხოდ და სატერლოდ და სამტყუფენოდ შემოგადგეთ და რაც ამას წინათ ჩვენსა და თქვენს შუა სასამდურაო და საწყენი საქმე იყო, ისიც ასრე ჩავარონინოთ... თქვენის მტრისა მტერი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე“.

გიორგი სააკაძეს საჭიროდ ჩაუთვლია, რომ არა მხოლოდ მტრებთან, სხვა გავლენიან პირებთანაც ფიცით განემტკიცებინა ურთიერთობა. ასეთები იყვნენ მროველი ეპისკოპოსი დომენტი და მისი ძმისწულები. ავალიშვილები გიორგის სამომავლოდაც გვერდში დგომას აღუთქვამენ: „ვიყუნეთ თქვენთვის დღეს და დღეის იქით კარგნი და კარგნის მდომნი, არა გავნოთ, არა გიზიანოთ, არა გიცრუოთ, არა გიტყუოთ, არა გიჩხუბოთ... თქვენი მტერისა მტერნი ვიყოთ და მოყვრისა მოყვარე“.

არსებობს ბარძიმ ამილახვრის მიერ შედგენილი „საფიცრის წიგნიც“. ისტორიკოსები განმარტავენ, რომ ასეთი

ნიგნი ბევრი უნდა ყოფილიყო, მაგრამ დიდ ნაწილს დღემდე არ მოუღწევია.

„დიდი მოურავის გამგებლობამ ბევრი რამ შესძინა ქართლს: ამ ხანებში შეაკეთეს და აღადგინეს მრავალი ციხე-სიმაგრე, გზა და ხიდი, ასახლებდნენ ცარიელ სოფლებს; ამ მიზნით მეზობელი ქვეყნებიდან კი მოჰყავდათ გლეხები და სხვ. ყველაფერი ეს აჯანყების ფარული სამზადისის გეგმაში შედის“ (გ. ჯამბურია).

ამავე დროს გიორგი სააკაძე დაუკავშირდა იმერეთის მეფეს გიორგის და ირანის წინააღმდეგ მომავალ ბრძოლაში თანადგომაზე დაითანხმა.

არსებობს იმ ხანებში გიორგი იმერთა მეფის გაცემული „წყალობის წიგნი“ გიორგი სააკაძის, მისი ძმის ქაიხოსრო სააკაძისა და შვილის ავთანდილის მიმართ: „ვიყოთ თქვენთვის კარგი და კარგისა მდომი, მწყალობელი და მოპატივენი საქართველოში იყო მაშინ თუ სხვას თემს იყო... და თუ ვინ იცის, ან შენ, ან შენი ძმა და ან შენი შვილი ჩვენს ქვეყანას მოხვიდეთ, კიდევ კარგად გარჩინოთ და არცა ვის საძალოდ და საავკაცოდ დაგანებოთ“.

ამ წერილით ნათლად ჩანს იმერთა მეფის გონიერება და თანადგომა მომავალში მთელი საქართველოს გაერთიანების საქმეშიც ასევე წარუმატებლობის შემთხვევაში გ. სააკაძეს იმერეთის კარზე თავშესაფარი გარანტირებული ჰქონდა..

ამასობაში კახეთის მოსახლეობა ძალას იკრებდა, თა-

ვიანთ დანაცრულ ნაფუძარს უბრუნდებოდნენ, აშენებდნენ სახლსა და ბალ-ვენახს, ყეფდა ძაღლი, ყიოდა მამალი და „კვამლი ადიოდა“.

კახეთის ცნობილი აჯანყების მოთავე დავით ჯანდ-იერიც გამოჩენილა თანამოაზრეებთან ერთად და ხელახალი აჯანყების სამზადისს შესდგომიან.

შაჰ-აბასს კახეთის მმართველად დანიშნული ჰყავდა ფეიქარ-ხანი, რომელიც ხორნაბუჯის ციხეში იჯდა თავის მოადგილე სარდლებთან და ჯართან ერთად. მათი მცდელობით მრავალი ყიზილბაშური ტომი დასახლდა კახეთში. ფეიქარ-ხანს არ გამოჰპარვია კახეთის მოსახლეობის გამოცოცხლება თავისი მიწა-წყლის ასაღორძინებლად და სასწრაფოდ ამცნო „მზეზე მალაღს“.

მიმდინარე მოვლენების დროს თეიმურაზი ოსმალეთში იყო გადასული, მოკავშირეებს ეხმარებოდა. თავისი კახელების რაზმით ოსმალურ ჯართან ერთად მონაწილეობდა სპარსელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. 1618 წელს თეიმურაზის პირველი შეტევა წარმატებული აღმოჩნდა, მაგრამ ოსმალებმა სიმტკიცე ვერ გამოიჩინეს და დამარცხდნენ, ამის გამო ჩაიშალა, თეიმურაზის გეგმაც. მას აღარაფერი დარჩენოდა იმის გარდა, დასახმარებლად ისევ რუსეთისათვის მიემართა. დროისა და მანძილის გამო რუსეთი საქართველოსთვის ჯარის მიშველებას დროულად ვერ ახერხებდა, – დიდად თავსაც არ იწუხებდა, – მხოლოდ დიპლომატიით შაჰზე გავლენის მოხდენის გზით კი რუსეთი საქართველოს სასარგებლოდ შედეგს ვერ აღწევდა.

შაჰმა შეიტყო ოსმალეთისა და თეიმურაზის ურთიერთ-სამოკავშირეო თანადგომა თავის წინააღმდეგ. მართალია, ოსმალებზე გაიმარჯვეს, მაგრამ მისი აჭინჭრებული გული მაინც ვერ მშვიდდებოდა: მას კახეთი დამარცხებული ეგონა, ამ დროს კი მისი მეფე სხვას ეხმარებოდა, უფრო უარესი, რუსეთთან აბამდა კავშირს!

გაშმაგებული შაჰის დაწყნარება შეუძლებელი ხდებოდა; აცოფებდა ისიც, რომ გულაბის ციხეში დატყვევებულ ლუარსაბ II-ს ვერაფრით შეაცვლევინა ქრისტიანული სარწმუნოება. საფიქრებელია, რომ ბოლმით სულდახუთულმა შაჰმა ჯერ თეიმურაზის შვილებზე (1618 წ.) იყარა ჯავრი, 1622 წელს კი ლუარსაბიც მშვილდის ღარებით მოახრჩობინა და 1624 წელს ქეთევან დედოფალს წამებით ამოხადა სული.

\*\*\*

შაჰ-აბასი საგულდაგულოდ ეცნობოდა ფეიქარ-ხანისაგან მიწოდებულ ცნობებს, კახეთის მოსახლეობა ისევ გაიმართა წელში და ირანის ჯარის დასახვედრად საომარ ძალებს თავს უყრიანო; ქართლიდანაც აღარ მოდიოდა სასიამოვნო ამბები. ცხადია, გულხელდაკრეფილი არ იჯდებოდა, დიდ საომარ სამზადისს შეუდგა.

1624 წლის ბოლოს შაჰისაგან ქართლში გაგზავნილმა ფაიქმა გიორგი სააკაძესა და ზურაბ ერისთავს გადასცა შაჰის ბეჭდით დალუქული საგანგებოდ ბარათი, რომლითაც სასწრაფოდ თავისთან იხმობდა.

ირანის გზამ დამიდაგა გული,

დამეხუთა ყაენთანაც სული.

ხალხური

## 1615 წელს ქართლში გ. სააკაძის დაბრუნების მიზეზები და მიზნები

ყურადღება მივაქციოთ ისევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენას. სამშობლოდან განდევნილი გ. სააკაძე ირანის კარზე 12 წელიწადს დაჰყოფს. ამ დროის მანძილზე მას შაჰ-აბასთან კავშირი არ შეუწყვეტია.

მეორეს მხრივ, ისევ ღვთის ხმას უნდა ვუსმინოთ და ჩრდილში არ უნდა დავაყენოთ, ამ დროის მანძილზე საქართველოში მისი მოღვაწეობის ნლებიც.

გ. სააკაძემ 1612 წლიდან 1615 წლამდის, მთელი ეს დრო, ანუ სამი წელი, ირანში დაჰყო, იმავე 1615 წელს საქართველოში ბრუნდება. რისი მიმანიშნებელია ეს? ამოდენა სარდლური ნიჭის პატრონი, მერე ამ საფუძველზე აღმოცენებული წარმატება, რაც ირანში მისი ბედნიერი ცხოვრების საწინდარი იყო. ეს კაცი, სააკაძე, ისევ თავის ქვეყანას უბრუნდება, სადაც მას დიდკაცთაგან დაუძინებელი მტრობა ელოდება, რის მაუწყებელია ყოველივე ეს?

მას გადაუწყვეს სახლ-კარი, გაუნადგურეს სარჩო-საბადებელი, დაინანილეს მისი მიწა-მამულები. ერთი ხანობა

კაცი დაფიქრდება, ხომ იყვნენ ღირსნი, სამტრო ჯგუფისათვის გ. სააკაძეს სამაგიერო გადაეხადა, მაგრამ ღვთის ნებით, გ. სააკაძე, თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, რადიკალურად განსხვავებულ თავის მტრებისადმი შემწყნარებლურ ხასიათზე დგას. რის მაუწყებელია ყოველივე ეს? რატომ მოდიოდა ასეთ რისკზე? რისკი თავის თავში ხომ მთლიან წარუმატებლობის მდგომარეობასაც მოიცავს! მასში წარმატების მოვლენებიც იგულისხმება, მაგრამ ხომ შეიძლება სიკვდილის ფასადაც დამთავრებულიყო ყოველივე ეს? რა ამოძრავებდა მის შინაგან სულის ხმას, თუ არა სამშობლოს სიყვარული, და მის წინაშე სამაგალითო სამსახური, რა განცდამაც გამოატირებინა თავისი შვილის პაატას სიცოცხლე.

იმ კონკრეტულ მოვლენებში ფიქრობდა მისი მოძულე მხარე მსგავსად, თუ როგორი ხერხით და გეგმებით უნდა ააცილოს შაჰის რისხვა საქართველოს? აქ უნდა გავიხსენოთ კახეთზე შაჰის თავდასხმები, რა დროსაც მეფე და დიდებულთა ნაწილი თავშესაფარად რომ გადადიოდნენ იმერეთში (დავით ჯანდიერს, ნოდარ ჯორჯაძეს და თამაზ ვაჩნაძეს არასოდეს მიუტოვებიათ მოსახლეობა). ახლა შაჰ-აბასი 30,000 მეომრის გამოგზავნას აპირებს ქართლში, ვისი მეშვეობით უნდა მომზადებულიყო ამ რაოდენობის ჯარის წინააღმდეგ აჯანყება? ვისაც მტრის წინააღმდეგ აჯანყების გეგმა აქვს ჩაფიქრებული, მას ისევ მოკვლას უმზადებენ. აი, ასეთი სხვაობა იყო სააკაძესა და მის მოპირისპირე სამტრო მხარეს შორის. ეს იმ დროს, როცა ამ ვერაგ შაჰ-აბასის მიზანია – აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა გაანადგუროს, რჩეული ახალგაზრდობა კი ირანში გადაასახლოს.

გ. სააკაძე განა იმიტომ მოდიოდა ირანიდან საქართველოში, რომ თავის სამტრო მხარე დაესაჯა და ამ მოკლე ამბიციით დამთავრებულიყო მისი მოღვაწეობა? სწორედ რომ აქაა სააკაძის სიღიადე, უნდა მოითმინოს დიდად საჭირო აუცილებლობისათვის, – როგორმე ქვეყანა გადარჩეს.

ყურადღება მივაქციოთ იმ ვითარებას, როცა 1615 წელს სააკაძემ ქართლში დაბრუნება გადაწყვიტა, ეს ინფორმაცია მალე გავრცელდებოდა და ცნობილი გახდებოდა ქართლის დიდებულებისათვის, მათ შიში შეიპყრობდა, რა მოელოდათ სააკაძისაგან? სამტრო მხარე შეეცდებოდა, კავშირი დაემყარებინა შაჰ-აბასთან, და ხელშეუხებლობის გარანტია მიეღო. რადგან იმ ხანებში შაჰისაგან ქართლის გამგებლად ფარსადან ციციშვილი იყო დანიშნული, ესეც ერთგვარ საშუამავლო პირობას ქმნიდა, ნაწილ დიდებულთათვის საგარანტიო ხელშეუხებლობისას. ასეთი ვითარება ორივე მხარეს შორის მისაღები იქნებოდა, რადგან ნეიტრალური პოზიცია სააკაძის პოლიტიკას ძალზედ ესაჭიროებოდა. ხელშეუხებლობის საბუთი ნაწილ დიდებულთა, ფიზიკური გადარჩენისთვის იყო საჭირო. სააკაძისთვის კი მომავალი ქართლის ბედის და მისი მოსახლეობის გადარჩენისათვის. ეს საბუთი ხომ დიდ მოთმინებას ითხოვდა დაზარალებული სააკაძისაგან, მოსათმენი გზა ისევ ამ კაცისაგან უნდა დაწყებულიყო, იავარქმნილი გარემო შეუქმნეს 1612 წელს დიდებულთა ჯგუფმა, ვერ მოკლეს, მაგრამ ხომ გააძევეს, ოჯახიანად სამშობლოს მოსწყვიტეს. და ახლა ქართლის გადარჩენის საჭირო გადაწყვეტილების ვითარებაში, შენდობის გამომჩენი და მპატიებელი ისევ სააკაძე უნდა ყოფილიყო.

საკაძის მოძულე მხარეში, შიშის საფუძველი დიდი იყო, მათგან ძლიერ დაზარალდა სააკაძის ოჯახი, გარდა ნივთიერად განადგურებისა, სარწმუნოებიდანაც შეცვალეს.

დიდებულთა ფსიქოლოგია გამალებით მუშაობს, ისმება კითხვა, ეკითხებიან ერთმანეთს, რატომ მოდის სააკაძე საქართველოში? ის ხომ გავაძევეთ, ქონება გავუნადგურეთ, მოსახლეობის თვალში რეპუტაცია შევუღალახეთ. არ ველოდით თუ ცოცხალი გაგვისხლტებოდა ხელიდან, ჩვენგან ის ხომ მკვდარია, მაგრამ უკან რატომ ბრუნდება, რა სწადია ნეტავი? მართალია, შაჰ-აბასის მფარველობა მასაც აქვს, მაგრამ ჩვენ ხომ დიდი თავადები ვართ, ჩვენს სიტყვას მეტი ანგარიში უნდა გაუწიოს „ირანის ლომმა“.

ქართლის ბედი ჩვენზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე ამ მდაბიო სააკაძეზე. განა ტყუილად ვეცადეთ და ხელი შევეწყუთ ლუარსაბ II-ე თავისთან წაეყვანა ირანში?

იმ დროის მოვლენათა ლოგიკურობა ამას გვკარნახობს, რომ შაჰ-აბასი რისი შაჰი იყო, ქართლში ორ მხარეთა შორის დაპირისპირება, თავის ავტორიტეტის ასამაღლებლად არ გამოეყენებინა, და ქომაგად და მფარველად არ დასდგომოდა სააკაძის მოწინააღმდეგე დიდებულებს და ხელშეუხებლობის გარანტია არ მიეცა, სააკაძესთანაც ვითომ მფარველის როლში გამოსულიყო, ვიმეორებ, ვითომ მფარველი იყო შაჰ-აბასი სააკაძისადმი. ეს დადასტურდა კიდევაც იმით, რომ სააკაძისაგან ნაპატიებმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, ფარსადანისაგან ნათხოვარი ჯარით მას ხელახლა მოკვლა დაუპირა. თუ შაჰი დიდი მფარველის როლის შემსრულე იყო სააკაძისადმი, მაშინ ქაიხოსროს მისი მოკვლა

ხელმეორედ ვერ უნდა გაეზედა.

მაგრამ ერთი გარემოება მაინც უცნაურად გამოიყურება – ხელშეუხებლობის გარანტია ქაიხოსრო ჯავახიშვილზეც ხომ გავრცელდებოდა, როგორც ერთ-ერთ მოსისხლე მტრის მიმართ. რატომ გარბის ის შეშინებული იმერეთისაკენ? (არის ისტორიკოსების აზრი, რომ ფარსადან ციციშვილმაც შეშინებულმა მიაშურა იმერეთის გზას).

აქ შეიძლება ასე ვიფიქროთ, მან გაქცევა სცადა მანამდის, სანამ შაჰისაგან ხელშეუხებლობის გარანტია გავრცელდებოდა დიდებულებზე. სააკაძის მოძულე მხარის მიმართ ხელშეუხებლობის საბუთი შესაძლოა, შეადგინეს იმის შემდეგ, როცა სააკაძის ხალხმა, ქაიხოსრო ჯავახიშვილი უკან დამშვიდებული დააბრუნეს. ეს გაკეთდა იმის გამო, რომ სხვებიც არ გაქცეულიყვნენ და სააკაძისათვის სასურველი სიმშვიდის ატმოსფერო შექმნილიყო ქართლში.

აქ მნიშვნელოვანია ერთი გარემოებაც – იმერეთისაკენ გაქცეულ ქაიხოსრო ჯავახიშვილს გ. სააკაძის ერთგული ხალხი კვალში ჩაუდგებიან, დაენევიან, დაამშვიდებენ, დაარწმუნებენ სააკაძისაგან უვნებლობაში და ისიც უკან დააბრუნდება. რადგან სააკაძის ხალხმა ქაიხოსრო უკან დააბრუნა, აქაც მკაცრი ლოგიკაა, რომ ნაწილ დიდებულთა მიმართ ხელშეუხებლობის გარანტია, სააკაძის მოფიქრებულიც იყო, რაც მომავალში შაჰის წინააღმდეგ სააჯანყებო გეგმებს ესაჭიროებოდა.

ძალზე დამაფიქრებელია, შემდეგ რაც მოხდა. ეს კაცი, ქაიხოსრო, სააკაძისაგან შერიგების-ხელგანწვდილი და

უკან მშვიდად დაბრუნებული, ფარულ თათბირს მართავს ფარსადან ციციშვილთან, რომ ჯარი გამოუყოს და ნოსტეში მისული სააკაძე მოკლას.

ე.ი. ცხადი რა იყო, დიდებულთა ნაწილს, შაჰისაგან და სააკაძის თანხმობით შექმნილი, უვნებლობის საბუთი ხელთა აქვთ, რითაც ხელშეუხებელნი არიან. მაგრამ მაინც ვერ ისვენებენ, ბორგავენ, თადარიგს იჭერენ, რომ სააკაძე – მათი მოუსვენრობის მიზეზი – მოკლან. აქ ფაქტი ნათელია, თურმე, სააკაძე ყოფილა მათთან დასაცავი. ხომ გამორჩნდა მისი მაღალი ზნეობა, თავის პირადი მტრების მიმართ. სააკაძის მიმტევებელი საქციელი აიხსნება იმ შინაარსით, რომ ჩემი პირადი მტრები ჩემი შემრიგებლური ნაბიჯით იქნებ მოეგონ გონს, ჩაიხედონ თავიანთ უმადურ საქციელში, განსაჯონ ყოველივე, რომ მათთან მტრობა არ მწადია, გულისხმით მოვუსმინოთ ერთმანეთს და მივხედოთ ქვეყანასო.

ამ კონკრეტულ დიდებულთა ჯგუფმა დაინახა სააკაძის მაღალი ბუნება?! ჩანს ამ ადამიანთა ფსიქოლოგიაში მაღალი ღირსებები ან სააკაძისაგან მათ მიმართ გაღებული სიკეთის დანახვის უნარები?!

შაჰ-აბასი ხომ შეიტყობდა დაუცველი სააკაძის მდგომარეობას, რომელიც ისევ თავისმა ხალხმა ამცნო საშიშროება და გადაარჩინა.

ასეთმა ვითარებამ შაჰ-აბასის თვალში გ. სააკაძე სიტყვის შემნახავ კაცად წარმოაჩინა, რომელმაც პირად მტრებს ამდენი აპატია. სწორედ აქაა დასანახი სააკაძის დიდი დიპლომატიაც და დიდი კაცობის მისიის აღსრულებაც.



ამ მოვლენამ დაადასტურა, რომ სააკაძე შაჰთან დადებული სიტყვას არ სტეხს, რითაც პატივისცემას ადასტურებს მის მიმართ, რაც დიდი ნდობის მოპოვების საფუძველიც ხდება. ეს ნდობის სიმტკიცე თვით სააკაძეს უფრო სჭირდება, აქაა მისი დიპლომატია და მისი პოლიტიკაც. თუ სააკაძე ქართლში ხშირად არ იქნება, მშვიდი საზრუნავი გარემო არ ექნება, მაშ როგორ მოხდებოდა მარტყოფის აჯანყების მომზადება.

დიპლომატი და მომთმენი შაჰ-აბასიც იყო, მაგრამ, აბა, ამდენი გაებედათ მის მიმართ ამოტივტივებულ ოპოზიციურ მხარეს. რალაც ეტაპზე ისიც მოითმენდა, მაგრამ შემდეგ შესაფერის დროს ისე გააცამტვერებდა, მათი სინსილაც არ დარჩებოდა მინაზე. გავიხსენოთ, ეჭვიანობის ნიადაგზე შაჰმა რამდენი ახლობელი მოსპო. მათ შორის, შვილები და შვილიშვილებიც კი (რას ამბობს XIX საუკუნის ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე: – სააკაძესაც ხომ შეეძლო, თავისი დამაქცევარნი – შადიმანი, ფარსადანი, ქაიხოსრო სიკვდილით დაესაჯა, მაგრამ მან ეს არ გააკეთა, მათ მშვიდობით დაამთავრეს თავიანთი სიბერის წლები საქართველოში).

როცა შაჰ-აბასმა მიაღწია იმას, რომ ლუარსაბ II 1615 წელს ირანში წაიყვანა, მოკლე დროში, ქართლის დიდებულებთან შეთანხმებით, ქართლის გამგებლად ფარსადან ციციშვილი დაენიშნა (ეს შეთანხმება შაჰისათვის ცხადია ფორმალურ სახეს ატარებდა) ე.ი. იმ ხანებში ქართლის სამეფოს და მის მოსახლეობას ფარსადანის სახით პატრონი ჰყავს.

გ. სააკაძე ბრუნდება ქართლში, დიდებულთა ნაწილი ვერ ეგუება ამ მოვლენას. ნეტავი რისთვის დაბრუნდა უკან? ალბათ, თავისი მინა-წყალი მოენატრა. მართალია, ჩვენ გავაძვევთ, მაგრამ ის ხომ გონიერი კაცია, შაჰ-აბასის წინაშეც დამსახურება მოიპოვა, ხომ მისცა შაჰმა თავის სამეფო კარზე თავშესაფარი, თან საამურ პირობებშიც არის, იქ დევნას და სახლ-კარის გადაწვას ხომ არავინ დაუპირებს? აღმატებულ მდგომარეობაშია, ხედავ, კაცო, ამას ისევ საქართველოსკენ მოუწევს გული? თავზე ხელაღებულია, მაშ ვინ არის? ნუთუ დაავინწყდა, სამი წლის წინ, წვიპზე გადარჩა მისი სიცოცხლე, ეს კიდევ არ ისვენებს და უკან ბრუნდება, პირდაპირ გასაკვირია, თან ჩვენდამი ხელშეუხებლობის საბუთიც რომ შეუდგენია შაჰთან ერთად? გინახავთ ასეთი კაცი ოდესმე?

ისევ შესაბამისი განსჯით და ლოგიკით განვიხილოთ მაშინ შექმნილი ვითარებები.

იმ დროიდან მოარული აზრი, რომ გ. სააკაძეს ქართლში უფროსობა ან მეფობა ეწადაო, სიმართლისაგან შორსა დგას. როცა შაჰმა ლუარსაბ II ქართლიდან წაიყვანა 1615 წელს, ქართლი უმეფოდ დარჩა, სააკაძე შაჰთან იყო, ხომ შეეძლო სააკაძეს ქართლის გამგებელი გამხდარიყო თუ ამის სურვილი ექნებოდა, სანამ შაჰ-აბასი ქართლის გამგებლად ფარსადან ციციშვილს დანიშნავდა? გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, შაჰი ქართლის გამგებლობიდან ფარსადან ციციშვილს გადააყენებს, მის ადგილას ბაგრატი-მირზას დანიშნავს. სანამ შაჰ-აბასი მეორე გადაწყვეტილებას მიიღებდა, ბაგრატი-მირზას ქართლში გამგებლად დანიშნით,

ეს დროც ხომ იყო სააკაძის ხელში? რატომ არ გამოიჩინა ინიციატივა, მით უმეტეს, ორ შემთხვევაში ქართლს აღარც მეფე ჰყავდა და აღარც გამგებელი.

ასეთი განხილვები ხომ გვეუბნებიან იმას, რომ სააკაძის თვით მიზანი არ არის ქართლის გამგებელი იყოს. მაგრამ, მეორე მხრივ, შევხედოთ მის პოზიციას, ქართლში წამოსვლის დიდი სურვილი აქვს და მტკიცე გადანყვეტილებით ქართლში შემოდის, სადაც სამი წლის წინ სიკვდილს ძლივს გადაურჩა, ახლაც იგივე ელოდება, რაც ქაიხოსროსაგან სასიკვდილო გადანყვეტილებით დადასტურდა.

გ. სააკაძე თავისი ნებით საქართველოდან რომ არ წავიდოდა, ამას განმარტება არ სჭირდება. ვინაც იგი სამშობლოდან გააძევეს, ამის გამო მათგან დიდი წუხილი და სინანული არასოდეს გამოჩენილა. მაგრამ სააკაძე დიდად სწუხს თავის ბედზე:

„სევდა მწვავს, გაცლა ქვეყნიდამ,

მით ვიყავ ცრემლთა მშრომელი.

სამკვიდროდან გაცლა ძნელია,

იყო დრო ჩემთვის სულ ულმობელი.“

რა განცდა თრთოდა მის სულიერ მდგომარეობაში, რის გამოც ასეთ რისკზე მოდიოდა, რა რწმენა ჰქონდა, რა აწუხებდა, რის სიყვარული ჰქონდა ასეთი, რომ ხიფათს არ ერიდებოდა. მარტო პირადი, საკუთარი, ფიზიკური მეს გამფრთხილებელი რომ ყოფილიყო, ასეთ სარისკო გზას

დაადგებოდა? მით უმეტეს, ორივე მხრიდან სიკვდილი უთვალთვალებდა?

მაშასადამე, რალაც იყო დიდი, ყველაფერზე აღმატებული, დროებით უხილავი, ბურუსით მოცული, მაგრამ მოძრაობაში მომყვანი მისი სულისა და გულისა, რასაც სამშობლოს სიყვარული ჰქვია და მისი გადარჩენის აუცილებლობისათვის ფარული აჯანყება მოაწყოს. მისი გულის ხვაშიადის განდობა დიდებულთა ნაწილისათვის არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ შაჰ-აბასთან ფარული კავშირები აქვთ. მხოლოდ კონსპირაციული მოქმედებაა საჭირო გადამწყვეტ წუთამდე.

შაჰ-აბასთან სააკაძისაგან მხოლოდ დამაჯერებელი ნდობის მოსაპოვებელი საქციელია დასანახი, ძნელია, ძალზედ ძნელი, მაგრამ ძალზედ საჭირო. იმის გამო, რომ სამშობლოს მინა-წყალს და გენეტიკურად არსებობის ადგილს ეხება და ესაჭიროება. ქვეყანა შველას ითხოვს, ყოფნა-არყოფნის პირსაა მისული, კახეთის ტრაგედია დიდი მაგალითია ქართული ცნობიერებისათვის, როგორ მოიძებნოს გადარჩენის გზა. ეს წესი ვინმემ უნდა აღასრულოს, დიდი მოსახდენი უნდა მოხდეს, და აკი მოხდა კიდევაც. ქეთევან დედოფლის მტკიცე სულმა შვება მისცა ქვეყანას, ტკივილები დაუამა, უდიდესი მსხვერპლია ამ მხრივ გაღებული, მაგრამ ქართულ სხეულზე მრავალი ჭრილობაა მიყენებული, ფიზიკურად გადარჩენა სჭირდება მას. ამაგიანი ხელის გამოლებით, მტერი უნდა მოისპოს, განადგურდეს. რომ მაონხარი ფეხი აღარ დაადგას ქართულ მიწაზე. ქართული მეობა თავის თავში ეძებს გადამრჩენი ძალების თავმოყრას. მტერი

უშელავათოა, მას მხოლოდ საპასუხო ადეკვატური ძალა თუ დაახვეწინებს უკან. წმინდანები საკუთარ თავს ვერ იცავენ, მაგრამ სულიერ სიმტკიცეს განსაზღვრავენ, როცა საქართველოს ფიზიკური გადარჩენა სჭირდებოდა, ვინ იყო ამ მისიის შემსრულებელი?

სწორედ აქ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ სააკადის გარშემო შექმნილ რთულ მოვლენებისადმი გათვალისწინებულ მის დიპლომატიას. მის ხასიათში იჯდა ძლიერი სამოკავშირეო გზების მოძებნის წესი, რომ საქართველოს მტრებს წინ აღსდგომოდა. ჩვენ გვექნება საუბარი იმის შესახებ, თუ როგორ ეძებს სააკადე სამოკავშირეო გზას ოსმალეთთან ირანის წინააღმდეგ, ან თუნდაც იმერეთის მეფე გიორგი III-სთან, როცა სურს მისი შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დააქორწინოს.

მაშ რა ხდება 1615 წლიდან 1620 წლამდის, ამ წლების მონაკვეთში, რას გვეუბნება სააკადის პოზიცია ან მისი დიპლომატია. ამ წლებში სააკადეს ქართლის გამგებლობა ან რომელიმე გამგებელთან თანაშემწეობა არცა სურს და არცა ხიბლავს. რატომ, რა არის ამის მიზეზი? სააკადემ კარგად იცის, ქართლში მისი გამგებლობა, მისი სამტრო მხარისაგან აღიქმებოდა, როგორც ქართლის მეფობა. სწორედ ამას მოერიდა სააკადე, რადგან მოძულე მხარესთან შერიგების გზა აქვს არჩეული, გამგებლობა გამაღიზიანებელი გახდებოდა იმის გამო, რომ ნაწილ დიდებულთან გამწვავებული მდგომარეობა უფრო არ გართულებულიყო. ქართლში ურთიერთსაპირისპირო ვითარება არასასურველი პირობა იქნებოდა აჯანყების სამზადისისათვის. აჯანყების წარმატებით დას-

რულებას კი ქართველი ხალხის ერთსულოვნება და მონოლითურობა განაპირობებდა.

1620 წელს შაჰ-აბასმა ქართლის გამგებლად სიმონ II დანიშნა, მის თანაშემწედ სააკადე ჩანს. თავისთავად იბადება კითხვა – რახან სიმონ II-სთან თანაშემწეობაზე დათანხმდა სააკადე შაჰ-აბასს, სააკადეს რომ მოენდომებინა და შაჰის ურთიერთობა გამოეყენებინა, ფარსადან ციციშვილის თანაშემწეც გახდებოდა და ბაგრატი-მირზას თანაშემწეც.

ეს მდგომარეობა ასე აიხსნება: შაჰ-აბასმა, როცა სიმონ II ქართლის გამგებლად დანიშნა, მისი მოადგილეობა სააკადეს ანდო, უნდა ვიფიქროთ, რომ შაჰი ფარსადანის თანაშემწეობასაც შესთავაზებდა და ბაგრატი-მირზას თანაშემწეობასაც. სააკადისათვის მათთან თანაშემწეობა მიუღებელი იქნებოდა იმის გამო, რომ სამტრო მხარეს ილუზიები არ შექმნოდათ, სააკადე განდიდებისათვის იღწვისო, მეორეს მხრივ, შესაძლოა, 1615 წლიდან 1620 წლამდის, მთელი ეს დრო შაჰი თვალ-ყურს ადევნებდა ქართლში მყოფ სააკადეს, როგორ იქცეოდა, სანდო იყო თუ არა ქართლში მისი ყოფნა და როცა შაჰი დარწმუნდა სააკადის სანდოობაში, სიმონ II-ესთან თანაშემწეობაც შესთავაზა.

შაჰ-აბასი ეჭვიანი მტარვალი იყო. მას რომ არ მოჩვენებოდა სააკადის რაიმე საკითხში აქტიურობა და ამ მიზეზებით არ დაეჭვებულყო, სააკადე მოთმინებით დიპლომატიასაც ეწეოდა, ეს მოთმინებითი დიპლომატია 1615 წლიდან 1620 წლამდის და შემდეგ 1625 წლამდის გაგრძელდა. ამ ხნის მანძილზე სააკადისაგან არაფერი გართულება არ შექმნილა, სიმშვიდე იყო. დაბეჯითებით შეიძლება ერთი რამე

ვთქვათ, ფარსადან-ციციშვილთან და ბაგრატ-მირზასთან სააკაძის თანაშემწეობა ნაკლებ წარმატებული იქნებოდა. უფრო მეტი წარმატების საშუალებას სიმონ II-სთან თანაშემწეობა იძლეოდა, გამომდინარე იქიდან, რომ ნაკლები უნარების მქონე სიმონ II-ის მაგიერ გადანყვეტილებების მიღება ქვეყნის სასარგებლოდ სააკაძეს უხდებოდა რადგან სააკაძეზე იყო დამოკიდებული იმ დროის ქართლის და კახეთის ბედ-იღბალი, მას უნდა წარემართა ციხედარბაზების შენება და სამეურნეო საქმიანობის მოწესრიგება. იმ დროის მოვლენებში, რახან გ. სააკაძე სიმონ II-ის თანაშემწე იყო და მას უხდებოდა, სიმონ II-ის უნიათობის გამო (ეს უნიათობა სააკაძისთვის მისაღები იყო) გადანყვეტილებების მიღება, ქვეყნის სასარგებლოდ და თან კონსპირაციული მზადება აჯანყებისათვის. იმ მოვლენებში, რახან სააკაძის აქტიურობას დაინახავდნენ ნაკლებად აქტიურ სიმონ II-ის გვერდით, მის მოწინააღმდეგეებს არ გაუჭირდებოდათ, იტყოდნენ და აიდგამდა ფეხს ასეთი ქირქირი, სააკაძე „უფროსობდა“ ქართლში, უფროსი სიმონ II იყო, მისი თანაშემწე სააკაძე ქვეყნის გადარჩენის საჭირო თადარიგს იჭერდა, სიმონ II-ის როგორც უფროსის სახელის გამოყენებით.

იმ ეპოქის სრული ვითარება უფრო ნათლად რომ წარმოვაჩინოთ, საჭიროა ახალი კუთხით შევხედოთ იმ მოვლენებს, როცა სააკაძემ 1612 წელს საქართველო დატოვა, მისი ერთგული თანამებრძოლები და მისი მრწამსის თანაგამზიარებლები საქართველოში დარჩნენ, მათს შორის იყვნენ: ზაზა ციციშვილი, ბაადურ ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, სიძე თეიმურაზ მუხრან-ბატონი და სიმამრი ნუგზარ არაგვის ერისთავი და მრავალი სხვა.

როცა შაჰ-აბასმა ქართლის გამგებლად ფარსადან ციციშვილი დანიშნა, ხომ იცოდა – ფარსადანი სააკაძის მტერი რომ იყო. თუ შაჰი სააკაძეს ღრმად თანაუგრძნობდა, რატომ გამოხატა მისი სანინააღმდეგო პოზიცია ფარსადანის ქართლში გამგებლად დანიშვნით? თუ შაჰ-აბასს სააკაძის გულის მოგება ენადა, რომელმაც ირანში შეიფარა, აქაც გამოეხატა ეს პოზიცია სააკაძის საამებლად და მისი მომხრე, საუკეთესო სარდალი ზაზა ციციშვილი, რომელმაც ტაშისკარის ომში თავი გამოიჩინა, ის დაენიშნა ქართლის გამგებლად, ან თამაზ მაჩაბელი, ან თეიმურაზ მუხრან-ბატონი, ან – ნუგზარ არაგვის ერისთავი, რომელიც სამი წლის წინ შაჰთან ჩავიდა ირანში და მას დიდი შეხვედრაც მოუწყვეს, ან ბაადურ ციციშვილი.

ეს პიროვნებები გ. სააკაძეზე აღმატებული თავადები იყვნენ თავიანთი წარმომავლობით, ქართლის გამგებლობას ცალ-ცალკე ყველა მათგანი შეძლებდა, ესენი ხომ სააკაძის მომხრეებიც იყვნენ და მისთვის ხომ უკეთესიც იქნებოდა, რომელიმე მათგანთან სააკაძის თანაშემწეობა და მეორეს მხრივ, მისი დასის რეპუტაციაც ხომ ამაღლდებოდა.

აქაც დაადასტურა ის, რომ სააკაძეს არც ფარსადანთან და არც ბაგრატ-მირზასთან თანაშემწეობა არა სურს და არც თავის მომხრეებთან თანაშემწეობა ხიბლავს, თან არცა ცდილობს, რომელიმე თავის თანამოაზრეს შაჰ-აბასთან რეკომენდაცია გაუწიოს, ქართლის გამგებლობაში ხელი შეუწყოს. აქაც ისევ დიდი დიპლომატიის გამოყენებული სააკაძისაგან იმის გამო, რომ მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფმა სააკაძის თანაშემწეობა თავის თანამოაზრეებთან

არ დაინახონ და არ აღიქვან ისე, რომ საშუალო აზნაური სააკაძე, თავისი მომხრეებით, ხელმძღვანელ პოზიციებისაკენ მიიწევს.

სააკაძე თავისი დიპლომატიით ცდილობს შაჰ-აბასის თვალში ნეიტრალური პოზიციის კაცად გამოჩნდეს, რაც მისგან მეტი სანდოობის საფუძველს იძლეოდა. მეორეს მხრივ, სააკაძე ცდილობს, შაჰის თვალსაწიერში თანამდებობის ხელში ჩაგდების ნაკლებად მსურველი გამოჩნდეს.

იცის „ირანის ლომმა“, როცა ადამიანი თანამდებობისაკენ მიიწევს, ასეთ კაცს ბევრი ამბიციაც უჩნდება, თავის მიზნის მისაღწევად, ამიტომ შაჰმა, მხოლოდ მშვიდობიანი, უვნებელი კაცი უნდა დაინახოს სააკაძეში იმის გამო, რომ მშვიდობიანი და უპრეტენზიო კაცი მეტად სანდოა.

იმ ეპოქაში შადიმან ბარათაშვილი დიდებულთა შორის დიდი რეპუტაციით სარგებლობდა და ბევრიც რჩევას ეკითხებოდა.

საკითხავია, შაჰ-აბასმა რატომ ის არ დანიშნა ქართლის გამგებლად? არ არის გასაკვირი შადიმანსაც არ ესიამოვნებოდა შაჰისაგან მეტი პრივილეგიის მინიჭება ფარსადანისადმი ქართლში მისი გამგებლად დანიშვნით. ამიტაც ხაზი ესმება მის ერთპიროვნულ ხასიათებს და გადაწყვეტილებებს, მას თავის თავი ალაჰის შემდეგ პირველ კაცად მიაჩნდა.

## აქ რეზიუმე ასეთია

გ. სააკაძემ 1612 წლიდან 1615 წლამდის, სრული სამი წელი, ირანში დაჰყო. იმავე 1615 წელს ბრუნდება ქართლში. 1620 წლამდის მას ქართლში რაიმე პასუხსაგები თანამდებობა არ უკავია, მაგრამ ქართლში ყოფნის, დარჩენის და თავის ქვეყანაზე თვალყურის დევნების საშუალება აქვს. იმ ხანებში სააკაძემ შაჰ-აბასთან მოიპოვა დიდი ნდობა, რაც მისგან 1620 წელს სიმონ II-სთან სააკაძის თანაშემწედ დანიშვნაში აისახა. ეს მოვლენა ნათელი დასტურია იმისა, რომ სააკაძეს კავშირი არ შეუწყვეტია საქართველოსთან.

ჩვენ გვინდა, აქ მოყვანილი მაგალითებით ვაუწყოთ, პირველ რიგში, ქართველ საზოგადოებას გ. სააკაძის 12 წელი ირანში ყოფნა არ ნიშნავს მარტო ირანისათვის სამსახურს. მისგან ირანში სამსახური 1612-1615 წლები იგულისხმება. 1615 წლიდან 1624 წლებში იგი საქართველოშიცაა და სიმონ II-სთან ერთად განაგებს ქართლს, სადაც სტრატეგიულად საჭირო ციხედარბაზების აშენება და სოფლის მეურნეობის ფეხზე დაყენებას აწარმოებს. იმ ხანებში სააკაძემ მოიპოვა დიდი ნდობა შაჰ-აბასთან, რაც საფუძველი გახდა 1625 წელს წამოსულიყო ყორჩილა-ხანთან ერთად და ფარულად ნამზადები მარტყოფის აჯანყება მოეხდინა.

## კავკასიელი და მათ შორის ქართველი ქალები ირანში შაჰ-აბასის კარზე

შაჰ-აბასს ჰარამხანა ძალიან მნიშვნელოვნად მიაჩნდა, დიდ ყურადღებას აქცევდა, დაინტერესებული იყო მისი მოვლა-პატრონობით და საგანგებოდ არჩევდა მოსამსახურე პერსონალს; ამით ისეთი ატმოსფერო იქმნებოდა, რომ ჰარემის უსათუოდ ყველა მოვლენა, უმნიშვნელო ნიუანსიც კი შაჰისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო. ამ ცნობებს მას განსაკუთრებით შერჩეული ჰარამხანის მეთვალყურეები აწვდიდნენ.

შაჰს თავის ჰარამხანაში 600-მდე ქალი ჰყავდა, უმეტესობა კავკასიიდან, კერძოდ, საქართველოდან, ჩერქეზეთიდან და სომხეთიდან იყვნენ. საქართველოს მეფეები, შირვანის გამგებლები, სომხეთისა და ჩერქეზეთის დიდებულები წელიწადში ერთხელ, გაზაფხულის ხანს, შაჰს ძღვნად უგზავნიდნენ საგანგებოდ შერჩეულ, უმეტესად დიდი გვარის ულამაზეს გოგონებს. აბასი ირჩევდა უკეთესთა შორის უკეთესს, დანარჩენებს კი თავის სარდლებსა და გამოჩენილ ადამიანებს უგზავნიდა საჩუქრადო, – მოგვითხრობს ირანელი ისტორიკოსი ფალსაფი.

ქართველ ქალებს ირანში განსაკუთრებული ყურადღებით ეპყრობოდნენ. ისინი დიდ მონონებას იმსახურებდნენ როგორც გარეგნული იერ-სახით და სათნოებით, ასევე გონებადამხვილობით და მაღალი ზნეობითაც, ამიტომ ირანელისათვის ქართველი ქალის ცოლად შერთვა წარჩინების ნიშნად ითვლებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ქალები ირანში, განსაკუთრებით ჰარამხანებში, უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ; პირველ რიგში მათგან სარწმუნოების შეცვლას მოითხოვდნენ და ხშირად სანადელსაც აღწევდნენ. გათათრების ორი გზა არსებობდა, – ძალისმიერი და სურვილისმიერი. სურვილისმიერნი, სამწუხაროდ, სჭარბობდნენ. ქრისტეს მოვლინებამდე და მის შემდეგ დღემდე სულმოკლენი რაოდენობით ყოველთვის ჭარბობდნენ სულგრძელთ; სულმოკლეთა მიზანი მხოლოდ უკეთესი ტკბილი ცხოვრების მოპოვება იყო, რაც თავისთავად მაჰმადიანობის აღიარებასაც ნიშნავდა.

ზოგიერთი ქართველის ბუნებაში ჩაბუდებული შური და მტრობა იწვევდა ეროვნული ქსოვილის რღვევას. საქართველოში გასანირად გამეტებული, ირანში მომფერებელთან გარბოდა, – ირანული იდეოლოგიიდან წარმოქმნილი მაჰმადიანური ქარი სწორედ მათ წისქვილზე ასხამდა წყალს. სულგრძელნი ინარჩუნებდნენ ქრისტიანობას და ქართველობას, ასეთებთან ვერ ჭრიდა ტკბილი საუბარი და დაპირებები. ზოგიერთს ასეთი საქციელი სიცოცხლის ფასადაც უჯდებოდა; ბუნებრივია, ძნელი იყო მშობლიურ ქრისტიანულ ზნეობაში ჩაკრულ-შესისხლხორცებული ქართული რწმენისა და ტრადიციების უარყოფა. შაჰისაგან აკვამლებული დრო ქმნიდა ეროვნული სულის გადაგვარების ნიადაგს, რაც ქართული მიწა-წყლიდან აყრის, ფიზიკურად განადგურების საშიშროებასაც შეიცავდა. ერთი მახვილით და სიკვდილით მოდიოდა, მეორე – მაჰმადიანობით.

## ქეთევან დედოფალი

აღმოსავლეთ საქართველოს შაჰ-აბასისგან გადაშენების საფრთხე რომ დაემუქრა და ქართველთა სულიერი სიმტკიცე შეირყა, სწორედ მაშინ, ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, ქართველ ხალხს სულიერი და ფიზიკური ძალების განსამტკიცებლად ღმერთმა დედა ქეთევანი მოუვლინა.

კონსტანტინე-მირზას განადგურების შემდეგ კახეთის სამეფო საქმეებს ქეთევან დედოფალი განაგებდა, მალევე ირანში ელჩები გააგზავნა და შაჰს თეიმურაზის კახეთში მეფედ დაბრუნება სთხოვა.

როგორც ვიცით, თეიმურაზი შაჰის კარზე იზრდებოდა. წლების მანძილზე სპარსულ სულსა და ზნე-ჩვეულებებს უნერგავდნენ; აბასს თავისი გეგმის შემსრულებლად ეგულებოდა, ამიტომ 1606 წელს 16 წლის თეიმურაზი შაჰის ხელდასხმით კახეთის მეფე კი გახდა, მაგრამ ვერ აღმოჩნდა შაჰ-აბასის იდეების გამტარებელი. ცეცხლს აფრქვევდა „ირანის ლომი“, ცდილობდა, თავისი ხელისშემშლელი დაუმორჩილებელი თეიმურაზი როგორმე გაეყვანა კახეთიდან და თავის კარზე ჰყოლოდა.

თავის მხრივ თეიმურაზმაც კარგად იცოდა, რა შავბნელი აზრებიც ჰქონდა შაჰ-აბასს კახეთის მიმართ; თითქოს ახერხებდნენ გამოსავლის მოძებნას, მაგრამ ერთხელაც შეცდნენ თეიმურაზი და კახეთის მესვეურები, ირანში შაჰ-აბასთან მოსალაპარაკებლად გაგზავნეს ქეთევან დედოფალი თავის ორ შვილიშვილთან ერთად.



ქეთევან დედოფალი

ისტორიკოსები არ ცდებიან, როცა ამბობენ, რომ ეს არ იყო თეიმურაზისაგან გადადგმული სწორი ნაბიჯი.

ფაქტიურად ქეთევან დედოფალი და თეიმურაზის ვაჟები ალექსანდრე და ლევანი ადამიანის ნილაბაფარებული სისხლმონყურებული ურჩხულის, საქართველოს დამაქცევარი შაჰის სამსხვერპლოზე აღმოჩნდნენ.

ქეთევანი, როგორც ელჩი, მცირე ამაღლის თანხლებით ჩავიდა განჯაში, – ასე მოიხსენიებს იმ დროს იქ მყოფი იტალიელი მისიონერი პიეტრო დელა ვალე ბართოლომეო ქეთევან დედოფალს.

მრავალი მაგალითია იმისა, რომ საქართველოდან ძალით თუ ნებით წაყვანილი თავადის ასულები, თუნდაც მეფეთა დებიც, შაჰ-აბასის ცოლები გამხდარან და სარწმუნოებაც შეუცვლიათ, შეიძლება ფორმალურად, მაგრამ შაჰის ნება-სურვილს დაჰყოლიან!.. სულ სხვაა ქეთევან დედოფალი! შაჰის ბრძანებით იგი თავის შვილიშვილებთან ერთად დააპატიმრეს და ირანში გაგზავნეს.

11 წლის მანძილზე ქეთევანი, დედა საქართველოსი, სპეტაკი სულით და ქრისტიანული რწმენით იღვწოდა მაჰმადიანურ ცისქვეშეთში.

შაჰ-აბასი ყველა საშუალებას მიმართავდა, რომ დედოფალზე გავლენა მოეხდინა და სარწმუნოება შეეცვლევინებინა, მაგრამ უშედეგოდ: „ოქრო და ძვირფასეულობა ყოველდღიურობაში გამომადგებოდა, მეცხოვრა და ჩამეცვა; ყველაფერი ეს წარმავალია, მე მინდა დავრჩე ქრისტიანად,



ღვთის მონად და მომეცით ყველაზე მცირედი – ტილოს ნაჭერი, რომ სხეული დავიფარო; გაიმეტეთ წყალი და პური, რომ ვიარსებო!..“ თუ შაჰი ცოლობას შესთავაზებდა, ამბობდა: „მისთვის მხოლოდ ხასა ვიქნები, რომლებიც ისედაც ბევრი ჰყავს; თუ კანონიერი ცოლობით ჩემი მოტყუილება სურს, რომ გავხდები დედოფალი ირანისა, მე სარწმუნოების შეუცვლელადაც ვარ უკვე დედოფალი!

ყველა ის ქართველი ქალი, დედოფალი იქნება, ქალწული თუ დედა შვილებისა, თუ ისინიც ამდაგვარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან და სიკვდილის ზღვარზე დადგებიან, ხომ წარმოიდგენენ თვალწინ რწმენაშეუცვლელ დედოფალს, ეს მათ განუმტკიცებს ზნეობას, ექნებათ მაგალითი და იდგებიან მტკიცედ, შეურყევლად აქ თავიანთ სარწმუნოებაზეო“.

უხმლო, უიარალო, ზნემაღალი, კდემამოსილი ქეთევანი საქართველოს დაუმორჩილებელ სახედ წარმოჩინდა.

მორიელის ბუნების შაჰმა ვერ იქნა და ვერ გატეხა აქ კახეთი, იქ ირანში დედოფალს სარწმუნოებაც ვერ შეაცვლევინა, ცოლობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტი იყო.

ფაქტიურად დედოფალი ირანში უტეხი, დაუმორჩილებელი, ქართველთა საფიცარი კლდე-ქალის სიმბოლოდ იქცა.

ქეთევან დედოფლის წამებაში შაჰ-აბასმა საქართველოს წამება გამოხატა. გააკეთა ის, რაც მის ავკაცობას სურდა ქართველი ხალხისათვის.

შაჰი მრავალი ქვეყნის დამპყრობი იყო. უამრავი ტყვე და ალაფი ჩავარდნოდა ხელთ, მაგრამ ისტორიას არ შემოუნახავს ცნობა, ვინმეს ისეთი სისასტიკით მოქცეოდა, როგორც ქეთევან დედოფალსა და მის ქვეყანას. ამის ახსნა იმით შეიძლება, რომ ირანის მეზობელი სახელმწიფოები თითქმის ყველა მუსულმანურია და თავიანთ მაჰმადიანურ სამყაროში ცხოვრობენ.

ირანს ჯერ ქრისტიანული სომხეთი ესაზღვრება, მერეა საქართველო. სომხეთი ყოველთვის შაჰის მორჩილი იყო, ირანელი მმართველები განაგებდნენ, საქართველო კი არასოდეს ყოფილა ბოლომდე დათრგუნვილი და ხარკ-დადებული. „ქართველები შაჰ-აბასს ყველაზე დიდი სიძულვილით სძულდა და ყველაზე დიდი სიყვარულით უყვარდაო“, – ამბობს ლევან სანიკიძე.

ქალი, რომელმაც შაჰის აღზრდილი, შემდეგ კახეთში ტახტის დასაკავებლად გამოგზავნილი, მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე-მირზა გაანადგურა და ქვეყანა შვებით ამოასუნთქა, კი გახდებოდა შაჰის შურისძიების მიზეზი; მეორეც: მოსკოვიდან დიდი მთავრის მიერ ირანში გამოგზავნილმა ელჩებმა შაჰ-აბასს ქეთევან დედოფლის განთავისუფლება და საქართველოში დაბრუნება მოსთხოვეს. ეს მოთხოვნა შაჰ-აბასმა თეიმურაზის გავლენად ჩათვალა. ქეთევანის განთავისუფლებაზე არც უარი უთქვამს, არც თანხმობა. ცბიერი ქათინაურებით შემოიფარგლა, მოსკოვის ელჩობასთან დროის მოგება სჭირდებოდა.

1624 წლის სექტემბერი იდგა.

დიდებლურად ცხოვრების ამბავი, ეს იქნებოდა სათაყვანებელი დედოფლის მისაბაძი მაგალითი ირანში მცხოვრები ქართველებისათვის, ამიტომ ისინიც მტკიცედ ინარჩუნებდნენ ქრისტიანულ რწმენას, რაც წლების მანძილზე გრძელდებოდა. მათი წინააღმდეგობა იმდენად ძლიერი იყო, შაჰის ყურადღებაც მიუპყრია.

უნდა ვივარაუდოთ, რომ თავისმა ერთ-ერთმა მოენემ ჩაანვეთა შაჰს, არ სურთ ისლამის მიღება, ამბობენ, თუ ქეთევანი ქრისტიანია, ჩვენ ქრისტეს რჯულს როგორღა ვულალატებთო.

„მაშ, აქაც ისევე ქეთევან დედოფალს რჯული არ შეუცვლიაო?!“ – ბრაზით, ღვარძლიანად გამოსცრა შაჰმა.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ქეთევანს პატიმრობაში თან ახლდა პირადი მოძღვარი, სახელად მოსე, რომელსაც ვერ შეაცვლევინეს სარწმუნოება და ამის გამო სიკვდილით დასაჯეს შირაზის მოედანზე, მისი გმირული სიკვდილის მერე დედოფალი ხშირად დადიოდა ავგუსტინელი ბერების კათოლიკურ მონასტერში, რომლის მოძღვარი პორტუგალიელი მამა ამბროზიო დუშ ანჟუუში იყო. ქეთევანის თხოვნით ის მაშინვე გაემართა მისკენ, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანის წამების მძიმე წუთებში მის გვერდით ყოფილიყო.

დედოფალი სპეტაკი სახით, რწმენაგანმტკიცებული დიდი სათნოებით, თეთრ ნათელ სვეტად იდგა შირაზის ბრბოთი სავსე მოედანზე.

„ღმერთო, ჩვენო დამბადებელო, ყველაფერი შენით ხდება, იყოს ნება შენი!..“

მუხრანის ველ-მინდორი მოაგონდა ქეთევანს. ლურჯი ცა, ბავშვობის სიტკბო. შვილი თეიმურაზი, ბედ გამწარებული. შვილიშვილები ალექსანდრე და ლევანი, სხვებიც, ცოცხლები. „თქვენს სანაცვლოდ მივდივარ იესო ქრისტეს სამწყსოში, მარიამ ღვთისმშობელთან.

ღმერთო, სამშობლო გადამირჩინე!..“

ვრემლები მარგალიტებად ბრწყინავდნენ ქეთევან დედოფლის უსათნოეს სახეზე.

ქართლში, ცასა და მიწას შუა, მუხრანშია ჩაწნული ქეთევან დედოფლის ფესვები, ასე თბილ ქრისტიანულ საღბუნად რომ დაედო ქვეყანას იმ დროიდან დღემდე.

ასე სატანისტურად არ გაგონილა ქალის დასჯა ჩვენს მზისქვეშეთში!

– უდანაშაულოდ ქრისტეს სიყვარულისათვის და კიდევ იმის გამო, რომ კახეთის დაუმორჩილებელი მეფის თეიმურაზის დედა იყო.

ნაკვერჩხლებზე გავარვარებული მარწუხებით დედოფალს სხეულის ნაწილებს აგლეჯენ ცეცხლმოკიდებული სხეულიდან; არცა ვედრება, არცა კვნესა! არანაირ შეღავათს არ თხოულობს მისი ჯვარცმა, მხოლოდ და მხოლოდ სანამ სული ამომალღებოდა სხეულიდან, საქართველოს, უფლის შენევნით მის გადარჩენას, ზნეგანმტკიცებას მავედრებელი

ცრემლით შესთხოვდა მამა ღმერთს!

სანთლის სინმიდედ ეფინებოდა ქეთევანის თეთრი სისპეტაკე შირაზის ზნეგამშრალ უგულობას. გააშიშვლეს, მერე ვინ? ქალი, ქეთევანი დედოფალი, ეს უსპეტაკესი ღვთისმოსავი, კრძალული, ცოცხალი სინმინდე!.. ჰარამხანებს გაჩვეულმა უზნეობით განთქმულმა შაჰმა ყველაზე დიდი კდემამოსილება სანახაობად, ირგვლივ შეკრებილი ბრბოს საცქერლად გამოფინა: გასატეხი ძალა რომ აღარ შესწევდა კახეთის და საქართველოსი, ბოღმა ქეთევან დედოფლის წამებაში ამოანთხია; ვერ მოერია ქართულ სიმტკიცეს და მორევა სცადა იმით, რომ ქალს, ქეთევანს, ქართული ზნეობრივი სინმინდე შეულახა.

სიშიშვლე ქეთევანისთვის მართლაც იყო სატანჯველი, რომელშიც ყველაზე მტკიცე, მძლავრი მოთმინებით იყო შემოსილი, სულისა და ზნეობის მოთმინებით. ქალი იყო და გამოიყენეს მისთვის მართლაც მტკივნეული – ხალხის წინაშე გაშიშვლება.

ეს მეორე, უფრო მტანჯველი სულიერი წამება!

ქალის გმრობა ყველა ქვეყანაში დიდად სამაგალითოა, ახლა თავისი ქვეყნის, თითოეული ქართველისთვის როგორი სულის-დამსუსხავი ტკივილი იქნებოდა ქეთევან დედოფლის წამებით სიკვდილი. გასაგებია, თუ როგორ სძულდა შაჰ-აბასს საქართველო და მთელი ჯავრი ქეთევან დედოფალზე იყარა, მისი მონამებრივი აღსასრულით უფსკრულისკენ დაეშვა შაჰის ზენიტში მყოფი დიდებაც.

ბოროტებისაგან და სიძულვილისგან დაბრმავებული შაჰის გონება ვერ ჩასწვდებოდა იმ სიღრმეს, რაც დედოფლის მონამებრივი აღსასრულით ეროვნული გმირის და წმიდანის მოვლინება იყო. ალაჰის მოციქულად აცხადებდა თავს და ალაჰის შთაგონებით მოვიმოქმედო, – ამართლებდა თავის საქციელს.

ობიექტურად, მშვიდი გონებით გადავავლოთ თვალი მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს. იმ ურთულეს ეპოქაში ცოტა ვინმე თუ შეძლებდა ესოდენ მძიმე ზნეობრივი ტვირთის იმ სიმაღლეზე აწევას, რაც ქეთევან დედოფალმა შეძლო! მისი თავდადება მართლმადიდებლობის უმტკიცეს დულაბად იქცა. დედოფლის მონამებრივი აღსასრული, მისი სულიერი სიმტკიცე საქართველოს ზეციური მფარველია, მისი გადარჩენა სწორედ ქეთევან დედოფალს დააკისრა უზენაესმა ძალამ.

იმავე ეპოქაში გვყავს მეორე ნიშანსვეტიც, გიორგი სააკაძე – თავისი თავგანწირული საომარი შემართებით, შვილების, პაატასი და ავთანდილის, ძმის ქაიხოსრო სააკაძის შეწირვით, თავისი სიცოცხლითა და სიკვდილით.

ცნობილი სომეხი ისტორიკოსი რობერტო გულბენკიანი, რომელიც ამჟამად პორტუგალიაში ცხოვრობს, ნაყოფიერ და სასარგებლო მუშაობას ეწევა სომეხთისა და საქართველოს შუასაუკუნეების ისტორიის დარგში.

რ. გულბენკიანმა არაერთი ახალი საინტერესო დოკუმენტი და მასალა გამოაქვეყნა ქეთევან დედოფლის სპარსეთში ტყვეობისა და შირაზში მისი მონამებრივი სიკვდილის

შესახებ; მისი ნაყოფიერი და დიდი შრომის შედეგად ხელთა გვაქვს წიგნი, რომლის ღირსებათა შორის უპირველესი ისაა, რომ ისტორიკოსმა თავი მოუყარა მდიდარ საარქივო მასალას, რითაც საზოგადოებას გააცნო ის დიდი რეზონანსი, რაც მაშინდელ თუ შემდეგდროინდელ ქრისტიანულ სამყაროში ქართველი ქალის სამაგალითო ცხოვრებამ და აღსასრულმა გამოიწვია (დავით ფლენტი).

რ. გულბენკიანმა მოიძია ქეთევან დედოფლის წამების თვითმხილველი მოწმის მამა ამბროზიო დუმ ანჟუუშის მიერ გამოქვეყნებული ცნობები, ამ აღწერილობის მიხედვით ეს ღვთისმოსავი ქალბატონი ტანდაბალი გახლდათ, ხელთ მლოცველის კვერთხი ეპყრა, შავად მოსილი იყო, პირმშვენიერი და დარბაისელი; არა მხოლოდ ერთი სამეფოს, არამედ მთელი იმპერიის მბრძანებლობის ღირსი იყო. უმნიკვლო და სასიამოვნო პიროვნება განსაკუთრებულ სიხარულს ჰგვრიდა მხილველთ; მისი ლამაზი დიდი შავი თვალები ირეკლავდნენ ყოველივეს, რაც მის სულში ხდებოდა, ვინაიდან ღვთის მსახურთა სულში დაბუდებული ღვთიური მადლი მათ სახეზეც აშუქებს. შირაზში მცხოვრები ქართველებისაგან ამბროზიო დუმ ანჟუუშს მოუსმენია, დედოფლის წამების ადგილას დიდი ნათება ბრწყინავდა, შემდეგ ეს ნათება მის საფლავთანაც ინაცვლებდა ხოლმეო.

ეს ამბები მაშინ საქართველომდეც აღწევდა. რობერტო გულბენკიანის მოძიებული წყაროებით, ამბროზიო დუმ ანჟუუში ამბობს, რომ მან 1628 წელს საქართველოდან გაგზავნა წერილი, რომელიც მორჩილმა ძმამ პედრო დუმ სანტუშმა გოაში ჩაიტანა. წერილი მოგვითხრობს, რომ მათ



ქეთევან დედოფლის პირადი მოკვლარი მოსე

თავრიზამდე ერთი სომეხი დაემგზავრათ, მათ შემდეგ სომხეთის ტერიტორიაზე გაიარეს და იმავე 1628 წელს ჩავიდნენ ალინჯაში, რომლის მახლობლადაც დომინიკელი სომეხი ბერების მონასტერს შეეკედლნენ. ამ მონასტრის წინამძღოლი, ავგუსტინელი მამა ბაჟენცი, შემდგომში ნახიჭევანის კათოლიკე სომეხთა არქიეპისკოპოსი გახდა. თურმე ახალგაზრდობაში იგი ერთხანს პორტუგალიელ ბერებს ემსახურებოდა ისპაჰანში. სომეხმა პრელატმა მგზავრებს გაუმხილა, რომ მას გამოეცხადა წამებული ქეთევან დედოფალი და უთხრა, რომ მისი მონამებრივი აღსასრულიდან რამდენიმე თვეში გურჯისტანში ჩასული ირანული მაყრიონი ქრისტიანების დღესასწაულზე დამარცხდება, შემდეგ ამას სპარსეთის სამეფოს გაცამტვერება მოჰყვება; ამ საქმეს გურჯისტანელები დევნილი გურჯის თავგანწირვით აღასრულებენ და ქეთევან დედოფლის ნეშტსაც საქართველოში დააბრუნებენო.

მამა ამბროზიო იმავე 1628 წლის თებერვალში საერო პირის, მორჩილი ძმა პედრო დუშ სანტუშის თანხლებით საქართველოსკენ გამოემურა. სამი თვის მგზავრობის შემდეგ საქართველოს საზღვრებს მოსდგომიან. მათ თეიმურაზ მეფის ნახვა უნდოდათ. როდესაც მამა ამბროზიომ აუწყა, დედოფლის ცხედარი თან ჩამოვიტანეთო, თეიმურაზმა მიუგო, „მთელი მსოფლიოს განძიც რომ ჩამოგეტანათ ჩემთვის, დედაჩემის სხეულის ჩამოსვენებას ვერ შეედრებოდაო“.

თვითმხილველმა დუშ სანტუშმა თეიმურაზს უამბო, როგორი წამება არგუნა ვერაგმა შაჰმა ქეთევან დედოფალს; როგორ მოძებნეს სამი თვის მერე ქეთევანის საფლავი და როგორ ამოიღეს ცხედარი. მამა ამბროზიო ამბობდა, ჩემი

ხელებით ამოვასვენე წმიდანის ნეშტი და იქაურობა ვარდის სურნელით აივსო.

მეფე თეიმურაზმა საჯაროდ განაცხადა: „პორტუგალიელი ბერების კეთილშობილური საქმე და საქციელი მთელ მსოფლიოში განდიდების ღირსია, არც მე და არც საქართველო არ დაივინყებს მათ ჭეშმარიტ ქრისტიანულ საქმიანობას“.

თეიმურაზმა ნება დართო ავგუსტინელ ბერებს საქართველოში თავიანთი სურვილისამებრ შეერჩიათ ადგილი ეკლესიის ასაშენებლად. ბერებმა არჩევანი გორზე შეაჩერეს. მათ პირველ რიგში სამლოცველო ააშენეს, შემდეგ კი ორი საცხოვრებელი სახლიც ავგუსტინელი ბერებისათვის. ეს მოვლენა დიდად სასიხარულო აღმოჩნდა. მორჩილი ძმა პედრო შემდეგ გოაში გაემგზავრა ამ სასიამოვნო ამბის შესატყობინებლად.

ავგუსტინელები იმედოვნებდნენ, რომ ვატიკანი ქეთევან დედოფალს რომაული კათოლიკური ეკლესიის წამებულად გამოაცხადებდა და ამისათვის სრული სამი წელი იღვწოდნენ.

1640 წელს რომში ყოფნის დროს მამა ამბროზიომ ბოლო მოუღო ეჭვებს და საჯაროდ აღიარა, რომ ქეთევან დედოფალს ქართული ეკლესია არ მიუტოვებია. მან განაცხადა: „დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებებს მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმინდა კათოლიკურ ეკლესიას, მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო,

ეხმარებოდა. გარდა ამისა, ჩვენთან ისეთ კარგ ურთიერთობაში იყო, რომ შეუძლებელია, კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო“. თავის მხრივ, პედრო დუშ სანტუში 1660 წელს ვატიკანში წარდგენილ მოხსენებაში ადასტურებს, რომ იგი მამა ამბროზიოსთან ერთად ეხმარებოდა და ანუგეშებდა ქეთევან დედოფალს. აზიარებდა მას და ყველაფერს აკეთებდა მისი სულის სახსნელად.

რაც მოვინდომეთ ჩვენ სხვისთვის, იგივე მოგვაგო ჩვენ ღმერთმა.

ქეთევან დედოფლის გმირობამ და წამებით აღსრულებამ მთელ საქართველოს გლოვის მანტია შემოახვია.

დამწუხრდა სრულიად ქვეყანა, სამშობლო ქეთევანისა. თავისი საქართველოს მტერსა და დამანგრეველ შაჰ-აბასს, დაუპირისპირა ქეთევან დედოფალმა თავისი სპეტიაკი სული; როგორც 1609 წელს სულმნათმა ბერმა თევდორემ, უფლის გზაზე დამდგარმა ააცილა ცხირეთში მყოფ მეფე ლუარსაბ II-ს ოსმალური ურდო, გიორგი სააკაძეს კი მოქმედების გზა გაუხსნა და თავისი თავის ზვარაკად შეწირვით აღმოსავლეთ საქართველოს მტერზე გამარჯვების წინაპირობა შეუქმნა, რაც ტაშისკარის ბრძოლის მოგებით დაგვირგვინდა.

ქვეყნის დამშვიდება ჯერ ითხოვდა სამაგალითო ზნეობრივი სინმიდის საფუძვლის ჩაყრას, ბერი თევდორეს სახით, მერე კი მის აღსრულებას, ფიზიკური პრაქტიკული ენერგიული გონის მოქმედებას – ქართული ჯარის მობილიზაციას, საბრძოლო სტრატეგიის ტაქტიკურ გათვლას, რომ სააკაძის მეთაურობით მცირე დანაკარგებით, მტერზე სრუ-

ლი გამარჯვებით დამთავრებულიყო; შემდეგ ლუარსაბ II-ის თავდადება, მისი ზნეობრივი თავგანწირვა თავისი ქვეყნის სამსახურად, – მრისხანების ჩასაცხრობად ზვარაკად შესანიშნავი კრავივით, მორჩილად გაჰყვა შაჰს, ვითომ სანადიროდ; სინამდვილეში იცოდა მეფემ, რა ბედიც მოელოდა, მაინც ნავიდა, ამიტომაც ემსგავსება იგი თავის ღირსეულ წინაპარს დემეტრე თავდადებულს.

## ქეთევან დედოფლის წამების შემდგომი პერიოდი მარტყოფის ბრძოლაში

ციხილბაშთა შემოსევებმა კახეთი ფიზიკური განადგურების პირას მიიყვანა. ამას ერთვოდა კახეთის დიდებულთა უუნარობა და მოუმზადებლობა მტრის დასახვედრად – მათ ვერ მოახერხეს ნაწილობრივ მაინც შეეჩერებინათ ირანიდან წამოსული ყოვლის-წამლუკავი ნიაღვარი, რამაც მეფე თეიმურაზის დედა-დედოფლისა და ორი შვილისა და კიდევ ათასობით ქართველის სიცოცხლე შეიწირა.

ქეთევან დედოფლის წამების ჟამს სააკაძე ირანში იმყოფებოდა და, ცხადია, თავისი თვალთაც ნახავდა; გიორგისთვის ეს საშინელი განცდა იქნებოდა;

ქართველთა სათაყვანებელი დედოფლისათვის ამ უდიდესი სატანჯველის მიყენებას არ შეიძლებოდა ძირფესვიანად არ შეერყია მთელი ბუნება ისეთი შემართების კაცისა, როგორც სააკაძეა; დიაცს შეეძლო ამხელა თავდადება სამშობლოსათვის, ხოლო გიორგი სააკაძეს? ჰოდა, სამშობლო მინის ყივილი მასაც მალე დაუყენებს კარგი შვილობის განეგის შესაძლებლობას. ქართველი დედოფლის საჯარო შეურაცხყოფა და წამება იყო ალბათ ერთ-ერთი წინა პირობა იმ დიდი ეპოპეისა, რომელსაც მარტყოფი ჰქვია.

1624 წლის 13 სექტემბერს შირაზში გოლგოთის შესადარი წამება მოხდა, ქრისტიანული და არაქრისტიანული მსოფლიო გაოცებამ მოიცვა. შაჰის ასეთ ზნეობრივად

შემზარავ ნამოქმედარს უნდა მოჰყოლოდა ადექვატური სა-  
პასუხო რეაქცია ქართველებისა. ქეთევან დედოფალი ყვე-  
ლასთვის საკუთარ დედასთან ასოცირ-დებოდა და უკიდუ-  
რესად დიდ შურისმგებლურ სიმწარეს დაბადებდა.

1624 წლის 13 სექტემბერი ქართველთა დაუმორჩილებ-  
ლობისათვის შაჰ-აბასის მიერ ხორკლიანი ხელით განწული  
სილა იყო მუდამ სიკვდილს მაცქერალი სააკაძისთვის.

ქეთევან დედოფლის წამების თვე, სექტემბერი, ბრწ-  
ყინავს საეკლესიო დღესასწაულებით:

11 სექტემბერი – იოანე ნათლისმცემლის თავისკვე-  
თის ხსენების დღე;

19 სექტემბერი – წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის  
ხსენების დღე;

21 სექტემბერი – ღვთისმშობლის, წმიდა მარიამის  
შობის დღე;

26 სექტემბერი – წმიდა დიდმონაშე ქეთევან დედოფ-  
ლის ხსენების დღე.;

27 სექტემბერი – ჯვართამაღლება.

... გაივლის სრული 6 თვე და 1625 წლის 7 აპრილს,  
ხარება დღეს, ქეთევან დედოფლის წამებით გამოწვეული  
გაუნელებელი სინანული მარტყოფის ბრძოლაში მოპოვებუ-  
ლი გამარჯვების სიხარულით გაგრძელდება,

მაგრამ ეს გამარჯვება ისევ ითხოვს მსხვერპლს. ვინ

არის შემდეგი,

ეს მხოლოდ გიორგი სააკაძემ იცოდა.

ისკანდერ მუნში წერს, რომ „მოურავ-ბეგი მხოლოდ  
დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს, მას  
ხელი არასოდეს აუღია ქრისტიანობის რჯულზე“.




## ზურაბ ერისთავი, საივდო დასაყრდენი მარტყოფის ბრძოლაში

1619 წელს, ნუგზარ ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, არაგვის ერისთავობა მისმა უფროსმა შვილმა ბაადურმა მიიღო. ზურაბ ერისთავმა არ ცნო არაგვის მბრძანებლის უფლებამოსილება და სპარსეთში წავიდა გიორგი სააკაძესთან. ის ცოლისძმასთან ახლო ურთიერთობაში იყო და სააკაძესაც მომავალ ბრძოლებში დიდად ეიმედებოდა – მისი ძლიერი აღნაგობა, შეუპოვარი ბუნება, შემართება იყო პირობა იმისა, რომ სააკაძის გვერდით არაგვის ერისთავი დიდად საჭირო სამსახურს გაუწევდა საქართველოს.

საკაძემ შაჰ-აბასს წარუდგინა ზურაბი. „ირანის ლომზე“ კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ძვალმსხვილსა და ძარღვმაგარ არაგვის ერისთავს. „შაჰისაგან ხელდასხმული ზურაბი, – ამბობს ისქანდერ მუნში, – მალე წამოვიდა საქართველოსკენ. მას თან ახლდა შაჰისგან გატანებული შაჰისევანთა რაზმიც“. როგორც კი მისმა ძმამ ბაადურმა შეიტყო, ზურაბი მოდისო, თავის ცოლშვილიანად დასავლეთ საქართველოში გადავიდა და საჩინოს შეაფარა თავი.

შაჰის წყალობით ზურაბი გახდა არაგვის საერისთავოს ბატონ-პატრონი, გიორგი სააკაძის მხარში ამოდგომით კი – მეტად დაახლოებული ანგარიშგასაწევი პირი სპარსეთის კარზე. ე.ი. ცბიერი შაჰისაგან ესოდენ დიდი წყალობით დავალებული ზურაბი გახდა მისთვის მნიშვნელოვანი საივდო დასაყრდენი საქართველოში. 1624 წლის შუა ზაფ-



ზურაბ არაგვის ერისთავი

ხულში ზურაბ ერისთავი გიორგი სააკაძესთან ერთად ისევ შაჰის კარზე იმყოფებოდა. აბასს ეჭვი არ ეპარებოდა ზ. ერისთავის ერთგულებასა და საიმედოობაში, მას და გიორგი სააკაძეს გააცნო ირანული ჯარის ახალი სრულყოფილი შეიარაღება, თოფ-ზარბაზნები. სახეგაბადრული „ირანის მზე“ ულვაშებზე ხელის გადასმით ამულავენებს დიდ კმაყოფილებას. ამასთან, რომ მისი ჯარი უძლეველია, მრავალი ქვეყანა დაუპყრია და დაუმორჩილებია ირანის გავლენისათვის, თან სააკაძეს გადახედა და გააგრძელა: რომ არა მისი სახელოვანი სარდლები მოურავ-ხანი, ყორჩიხა-ხანი, იუსუფ-ხანი ისა-ხან ყორჩიხაში, ირანი და მისი მზე შაჰ-აბასი ამდენ წარმატებას ვერ მოიპოვებდნენ, რომ შაჰი დიდად მადლიერია მათი და დიდი ალაჰის შთაგონებით ისინი მუდამ ირანულ უძლეველობასთან ერთგულების სამსახურში იდგებიან.

„ზურაბსაც მიუღია მონაწილეობა ირანის მტრების წინა-აღმდეგ გამართულ ბრძოლებში, მაგრამ ახლა უფრო მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა დაგვისახა დიდმა ალაჰმა: აღმოსავლეთ გურჯისტანი ჯერ კიდევ მოუთვინიერებელი დაგვრჩენია და შენ, ზურაბ ერისთავო, დიდი ალაჰის შთაგონებით გეძლევა საშუალება ირანსა და შენს მეგობარს „ირანის მზეს“, შაჰ-აბასს დაუმტკიცო შენი მადლიერება“.

სმენადქცეული გიორგი სააკაძე მალულად ადევნებდა თვალს, თუ რა გავლენას ახდენდა შაჰის სიტყვები ზ. ერისთავის ანგარებიან გულზე. ამ ეტაპზე რადიკალური სხვაობაა ერისთავის შაჰისადმი თანაგრძნობასა და სააკაძის მომავალ სამამულიშვილო გეგმას შორის, ზურაბმა გიორგის განზრახვა ჯერ არც იცის.

გიორგი სააკაძე მისთვის ჩვეული სიდარბაისლით უსინჯავს ფხას ირანული ხმლისა და შუბის სიმტკიცეს. მან სთხოვა შაჰს გამოეცადა ირანული ფოლადის სიმტკიცე, შაჰმა ნება დართო. სააკაძისაგან მოჩვენებითი ძლიერებით მოქნეულმა ხმალმა ნაპერწკლები გაყარა ჩალმიან მუზარადზე და იქ მყოფთა აღტაცებაც გამოიწვია. გიორგი სააკაძემ ამ შემთხვევისათვის განსაკუთრებული წრთობით გააკეთებინა ხმალ-მუზარადი. სინამდვილეში ირანული იარაღი ასე მტკიცე არ ყოფილა (მოხუცები გვიამბობდნენ: წინაპრები იგონებდნენ, რატომღაც მარტყოფის ბრძოლაში ქართული მახვილი ყველივით ჭრიდა სპარსულ ხმალსო).

შაჰ-აბასმა განსაკუთრებული დავალება მისცა ყორჩიხა-ხანს, კახეთის მოსახლეობა მთლიანად გაეწყვიტა, ქართლელები კი აეყარა და ირანის გზისთვის გაეყენებინა.

მუსტაფა ნაიმას ცნობით, შაჰმა ყორჩიხა-ხანს უბრძანა, გიორგი სააკაძესთან შეთანხმების გარეშე არაფერი გაეკეთებინა, მეორე მხრივ, დალოდებოდა მის საიდუმლო მითითებებს.

სააკაძე ყორჩიხა-ხანს მრჩევლად მოჰყვება, მასთან ერთადაა ზურაბ ერისთავიც. შაჰმა ჩვეული საზრიანობით გიორგი სააკაძის შვილი პაატა და ზურაბ ერისთავის მეუღლე თავისთან დაიტოვა.

გიორგი სააკაძის აჯანყების გეგმა, რომლისთვისაც იგი დიდხანს ემზადებოდა მხოლოდ ქართლის კათალიკოსმა და წილკნელმა ეპისკოპოსმა პარტენმა იცოდნენ, ზურაბ ერისთავსაც კი საქართველოში შემოსვლისას შეატყობინეს.



შაჰ-აბასს I ისახან-ყორჩიხაში და ყორჩიხა-ხანს

წარმოუდგენელია ზურაბისათვის ღალატი შაჰისა, ვინც ალაზევა და უანგაროდ დასვა არაგვის ერისთავად. აქ სააკაძის შენიღბული მონდომებაც არის ჩაქსოვილი შაჰის ნდობის მოსაპოვებლად. ქედმაღალი ერისთავი შაჰის მოღალატეს არ დაინდობდა და ფიზიკურადაც კი გაუსწორდებოდა, მის პატივმოყვარე ბუნებაში ჩანს ასეთი ხასიათი. მას, ზურაბს, უკვე არაგვის ერისთავი ერქვა, ეს მისთვის საოცნებო ტიტული „ირანის ლომმა“ უბოძა და დაუმტკიცა, ამდენად, ზურაბისათვის შაჰის მტერი მისი მტერიც იყო.

და ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, ვინც ღრმად დააფიქრებდა ზურაბს საქართველოს ბედ-იღბალზე და შაჰის სამსახურად გადაგებულ მის ამპარტავან და ანგარ გულს საქართველოს სასიკეთოდ შემოატრიალებდა.

შაჰის ერთგულების დასამტკიცებლად ზურაბს საქართველოს საზიანოდ, ქართლის ასაყრელად და სპარსეთში გასარეკად უნდა ემოქმედა. ეს ამოცანა დაუსახა შაჰ-აბასმა ირანში, როდესაც სათათბიროდ შემოიკრიბა ყორჩიხა-ხანი, სააკაძე და ზურაბ ერისთავი.

1625 წლის თებერვლის დასაწყისში შაჰის კარგად მობილიზებული, ვითომ ქორწილის მაყრიონად წამოსული სპარსული 30 ათასიანი ლაშქარი საქართველოსკენ დაიძრა. ხუმრობა ხომ არ იყო, შაჰი თავის შვილიშვილს, ისა-ხან ყორჩიხაშის ასულს სვიმონ-ხანს ატანდა ცოლად! ამხელა ჯარი ჯერ არ დასჭირვებია საქართველოზე სალაშქროდ შაჰს, მაგრამ ახლა, გარდა კახეთისა, ქართლიც მოსათვინიერებელი გამხდარა.

მოდის სააკაძეც და მოაქვს კაეშნით დამძიმებული გული და ჯვარი. იცის, რა ელოდება მის შვილს პაატას, წინასწარ იცის ისიც, რა სჭირდება მის სამშობლოს.

შაჰის მაყრიონი? – სიძე სვიმონ-II საზეიმო ზან-ზალაკებით მოადგა თბილისს.

მაყრიონი ებევრათ საქართველოში, სააკაძე ცდილობდა, დაერწმუნებინა მოსახლეობა, რომ ამ ჯარის სიმრავლე მათვის საზიანო არ იქნებოდა, „ნურც რაი ფიქრი გაქუსთ, ეს საქმე მე დამადევით“..

რამდენიმე დღე მართლაც იყო საზეიმო განწყობა, ნადიმი, სიმღერა, ყაბახის სროლა, ჭიდაობა. რა მოთავდა ჟამი ქორწილისა, ყორჩიხა-ხანმა სააკაძესთან შეთანხმებით, როგორც შაჰისგან ჰქონდათ დავალებული, თბილისიდან აჭყარა ყიზილბაშობა და მუხრანთან ახლოს, ალაიანის ველზე დაიბანაკა.

აქ უნდა შეასრულოს ყორჩიხა-ხანმა შაჰის მომდევნო ბრძანება. არ დაუხანებია, სასწრაფოდ გაგზავნა მალემსრბოლი კახეთში, შეუთვალა: „შაჰის დავალებით იმერეთს ვაპირებ გალაშქრებას და ყველა, ვისაც ხელში მახვილის აღება შეუძლია, გამოცხადდით მუხრანში სპარსულ ჯართან ერთად იმერეთში საომრადო“.

შაჰის ფარული დავალებით, ყორჩიხა-ხანს „თანადგომისა და სამსახურისათვის“ კახელები ვითომ უნდა დაესაჩუქრებინა, ცალ-ცალკე ინვევდნენ კარავში. გულდანლობილად შესულებს ჩასაფრებული ჯალათები იქვე კართან



ირანელი მეომარი

სჭრიდნენ თავს. ცხადია, შაჰი და ყორჩიხა-ხანი სააკაძეს არც გააგებინებდნენ, რომ ასე უღმობლად აპირებდნენ ქართული სისხლის დაღვრას. კახელებმა მალე იკრეს ლალატის სუნი, მიხვდნენ რომ განწირულები იყვნენ, ხმლით გაარღვიეს სპარსული ჯარის რკალი და სამშვიდობოს გავიდნენ. ჩაიშალა შაჰის გეგმა, მოესპო ყველა ბრძოლისუნარიანი კახელი, რომ მათ შემდგომში ქართლის აოხრება-გადასახლებაში ხელი არ შეეშალათ.

ყიზილბაშებმა ამის შემდგომ კიდევ უფრო გააძლიერეს გიორგი სააკაძის თვალთვალი. სააკაძეს, ცხადია, ექნებოდა იმის ფიქრი, თუ რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ყიზილბაშთა ვერაგობა ზურაბ ერისთავზე და გზას ეძებდა მისი გულის კარისკენ, როგორ აეხსნა აჯანყების გეგმა, რომ დაეთანხმებინა. აკი ნახა ზურაბ ერისთავმა ირანში ყოფნის დროს აყრილ-გადასახლებული კახელები, ირანის მოსახლეობას მონებად და მუქთა მუშახელად რომ ექცია. ხვდებოდა ზვიადი ერისთავი შაჰ-აბასის ბოროტი გულის ნადილს, მაგრამ მისგანვე იყო დასაჩუქრებულ-დავალებული და საკუთარ ტყავს უფრთხილდებოდა, მაგრამ ხომ ჰქონდა მას, როგორც ქართველს, გულისგულში ტკივილი, მოუშუშებელი ჭრილობა, ქეთევან დედოფლის მონამებრივი აღსასრულით გამოწვეული.

გიორგი სააკაძემ ამ ქართულ ტკივილს დაუმიზნა თავისი სათქმელი.

სიფრთხილით შეარჩია სასაუბრო დრო, ტაქტიკა და ფოლადნარევი ხმით უთხრა: „ჩემი და შენი შეთანხმებით საქართველო უნდა გადავარჩინოთ შაჰ-აბასისგან განად-

გუ-რე-ბას, ეს, როგორც შენც ხედავ, ვითომ სამოყვროდ შემოსული ყიზილბაშთა ლაშქარი ისე უნდა გავეულიტოთ, ამბის მიმტანიც კი არ დარჩეს ცოცხალიო“.

ზურაბ ერისთავს სახე აელანდა, გაშეშდა, თითქოს ვერც მიხვდა, რას ითხოვდნენ მისგან. გონს რომ მოეგო, პირველი ის იკითხა, ცოლი სპარსეთში რისთვისღა დავტოვეო.

სააკაძემ მოკლედ მოუჭრა: „არავინ უწყის, რის ფასად დაგვიჯდებოდა ეს მოსაზრება, ჩემი განზრახვა სპარსეთში რომ გამენდო შენთვის, შაჰი ცოლს მაინც არ გამოგატანდა, ხომ კარგად იცი ირანელთა ეჭვიანობა. შენ ცოლს სწირავ, ჩემო ზურაბ, მე შვილს, აბა ჩემს გულშიც ჩამოიხედე! პაატა შაჰმა მომგლიჯა გულიდან და მძევლად დაიტოვა! ცოლის ხელახლა შერთვა შეიძლება, მე კი ვინ დამიბრუნებს ჩემს შვილს, მაგრამ ღვთის ბოძებული ეს შანსი თუ ხელიდან გაუშვით, სულ გაგვინადგურდება ქართლიცო“.

ზურაბ ერისთავი ორჭოფულ მდგომარეობაში მოექცა, ბოლოს ისევ ხერხს მიმართა გიორგიმ: „შენ ერთ-ერთი ღირსეული ერისთავი ხარ აღმოსავლეთ საქართველოში და იმსახურებ კიდევაც მეფის მოყვრობას. მოვიკრიფოთ აზრი, მე მოვახერხებ, რომ მეფე ლუარსაბის და შეგერთო ცოლადო“.

ლუარსაბის მოკვლის შემდეგ ლელასთვის აუტანელი გამხდარიყო იმ კაცის ცოლობა, ვინც ასე დაუნდობლად განირა მისი ძმა. შაჰმა ამით ისარგებლა და ლელა-თინათინი თავის ერთგულ ფეიქარ-ხანს, კახეთის მმართველს გადაულოცა.

სააკაძის სიტყვებმა მაგიური ძალით იმოქმედა ზვიადი ბუნების ერისთავზე და მყისვე მოუღობო გული. ისინი გულმხურვალედ გადაეხვივნენ ერთმანეთს და ერთგულების ფიციც დასდეს.

აჯანყების მტკიცე ღერძად მოაზრებული ზურაბ ერისთავი სააკაძის იმედად იქცა. მას ჰყავდა ბრძოლებში კარგად ნაწრთობი მთიელთა ლაშქარი, რომელიც მარტყოფის ველზე მთავარი საბრუნავი, ეროვნული ენერგია გახდა. იმედის ვარსკვლავი უკვე ამონათდა საქართველოს ცაზე.

ზურაბ ერისთავის 6 ათასი მეზრძოლი მარტყოფისათვის უკვე ხმალ-შუბს ფხას უსინჯავდა.

მოთმინება ბედისწერასავით თან დაჰყვა სააკაძეს, ითმენს 1612 წლიდან, როცა საქართველოდან გაძევებული შეეფარა ირანის შაჰის კარს, როგორც დევნილი, მოღალატეთა ხელით უკვე მკვდარი, იავარყოფილი.

იქაც შაჰის ნდობის მოსაპოვებლად თავი ჰქონდა გადადებული, სიკვდილს შესცქეროდა, ითმენდა საქართველოსთვის მის მიერ იძულებით არგანეული ამაგის თორმეტწლიან ვარამს, ეძებდა შაჰის მიერ დახლართული ხვანჯებიდან და განსაცდელისაგან თავის დასაღწევად გზებს...

ღიდი ნებისყოფა სჭირდება გიორგის ახლაც, 1625 წელს, როცა სულ ახლოსაა მიზანთან, რომელიც ბოლომდეა მისაყვანი. 30 ათასი ხმალაღესილი ყიზილბაში მეომარი შუა ქართლშია დაბანაკებული და ბრძანებას ელოდება, რომ თვალისდახამხამებაში აფთრებივით შეესიონ მოსახლეობას.

სააკაძე ძალიან ფრთხილობდა, რომ მისი თითოეული სიტყვა, აზრი, ფსიქოლოგია, მოძრაობა მტრისათვის საეჭვო და შესამჩნევი არ გამხდარიყო.

მტერი კი, მოგეხსენებათ, ორივე მხრიდან მრავლად ჰყავდა.

ირანელი სარდლების ჩასაფრებული თვალი გიორგის ჩრდილივით დასდევდა, მიყურადებამ შედეგი გამოიღო. ყიზილბაშები მიუხვდნენ სააკაძეს გულისწადილს,... ყორჩიხა-ხანმა შაჰ-აბასთან მალემსრბოლი აფრინა და აცნობა სააკაძის საქმიანობა. შაჰის პასუხი იყო: სააკაძეს თავი მოჰკვეთეთ, სასწრაფოდ აჰყარეთ და ირანისკენ გამოირეკეთ ქართლის მოსახლეობა, წინააღმდეგობის გამწევი კი ცოცხალი არ გაუშვათო.

გიორგი სააკაძე ირანში შაჰ-აბასის დამჯერე და მისი მიზნების შემსრულებელი იყო, ამიტომაც გამოაყოლა ყორჩიხა-ხანს თანამრჩევლად საქართველოში, მაგრამ თავის ქვეყანაში გიორგი შაჰისათვის უკვე არასანდო გამხდარიყო. ეს იყნოსეს სპარსელმა სარდლებმაც, ამიტომ გახდა საჭირო კაცის სასწრაფოდ გაგზავნა თეირანს, როგორ მოქცეულიყვნენ,...შაჰ-აბასის თანხმობის გარეშე სააკაძის მოკვლა მათ არ შეეძლოთ.

გიორგი ის კაცი არ იყო, დაეჭვების გარდა, სხვა დამადასტურებელი საბუთი შეექმნა მტრისთვის. დაეჭვება ყორჩიხა-ხანისათვის შაჰის გეგმების შეუსრულებლობას ნიშნავდა, რაც მის ავტორიტეტს ჩრდილს მიაყენებდა. გიორგი ელოდა, რომ დღეს თუ ხვალ ყორჩიხა-ხანი შაჰთან კაცს

გაგზავნიდა, ისიც იცოდა, რა დროში ჩააღწევდა მალემსრბოლი ირანს, იქიდან კიდევ რა დროს მოანდომებდა უკან დაბრუნებას.

სააკაძემ ნადირობა მოიმიზეზა, ლოჭინის ხევის სანახებში გავიდა და იქ ელოდებოდა ირანიდან დაბრუნებულ ფაიქს, რომელიც მალე გამოჩნდა. გიორგიმ იგი შეიპყრო, ათქმევინა, რომ ყორჩიხა-ხანის გაგზავნილი იყო და მასთან მიეჩქარებოდა; შემდეგ მოკლა და უბიდან შაჰის უსტარი ამოუღო.

ზურაბ ერისთავის 6 ათასიანი რაზმი 30 ათასიან სპარსულ ჯარს ვერ მოერეოდა, ამიტომ სააკაძემ საჭიროდ ჩათვალა შაჰ-აბასის წერილი გაეცნო ხალხისათვის და თუ ვინმე კიდევ არ ენდობოდა იმის გამო, რომ 12 წელი მტრის სამსახურში იდგა, მათი ეჭვებიც გაეფანტა და ერთიანი დიდი ლაშქარი შეეკრიბა.

გიორგის ჩანაფიქრმა გაამართლა და სასურველ შედეგი გამოიღო. მას დრო სჭირდებოდა, მომწიფება იმ მოვლენებისა, რაც გამარჯვებას მოიტანდა.

როგორც ვიცით, სპარსული ჯარის თბილისში მოსვლისთანავე სვიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიხაშის ასულის ჯაჰანბანუს ქორწილი და დიდი მოლხენა გაიმართა. რამდენიმე დღის შემდეგ სააკაძის რჩევით დედაქალაქი დატოვეს და მუხრანთან გადავიდნენ. დავალებული აქვთ, ქართლი ააოხრონ, მაგრამ თითქმის ერთი თვე გადის და მტერი უმოქმედოდ რჩება. სპარსი ჯარისკაცები ოცნებობენ, როგორ ჩაიგდებენ ხელში ქართველ ქალებსა და სიმდიდრეს.



ორივე მხარის შუა, ხმლის პირზე სიარულის ფასად მუხლჩაუხრელად იღვწის სააკაძე.

ყოფნა-არყოფნის ჟამი იწურება.

ყიზილბაშებს გაუგრძელდათ და გაუძლიერდათ ეჭვი სააკაძის მიმართ.

მართალია, იგი ირანში ლტოლვილი იყო, მაგრამ დიდი და ღირსეული სარდალი გახლდათ და შაჰ-აბასის კარზე განსაკუთრებული ადგილი ეჭირა.

მაშინდელ აზიაში ირანი გამორჩეული და ანგარიშგასაწევი ქვეყანა იყო. შაჰ-აბასს „ირანის მზეს“, „ლომს“, „მზეზე მაღალსაც“ უწოდებდნენ. გიორგი სააკაძის დამსახურებითაც ამ 12 წელიწადში შაჰის გავლენა და სიდიადე, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ ძალიან გაიზარდა.

დასასჯელი რომ ყოფილიყო, განა შაჰ-აბასი საქართველოში გამოუშვებდა სპარსული ჯარის თანასარდლად ყორჩიხა-ხანთან ერთად?!

განა ასეთი სიფრთხილითა და სიზუსტით იმიტომ მუშაობდა მიზნის მისაღწევად წლების მანძილზე, რომ თავმოსაკვეთად გაეხადა საქმე და არ განეხორციელებინა ის სანუკვარი მიზნები, რასაც გულისგულში ფარულად ინახავდა! როგორც კი მიეცა საშუალება და ფეხი შემოდგა ქართულ მიწაზე, თავის თანამოაზრე პატრიოტებთან ერთად უკვე პრაქტიკულად შეუდგა მათ შესრულებას.

შაჰისათვის სრულიად საკმარისი იყო ყორჩიხა-ხანის-

აგან მხოლოდ ეჭვის ნიადაგზე (ფაქტს გიორგი არავის მისცემდა) გაგზავნილი ცნობა აღმოსავლეთ საქართველოში არსებულ ვითარებაზე, გიორგი სააკაძე შაჰ-აბასისთვის უკვე ხელისშემშლელი არასასურველი პირი გამდარიყო, – ამის გამო ბრძანა მისი სასწრაფოდ თავიდან მოცილება.

შაჰის წერილმა ადრესატამდე ვერ მიაღწია. ამით სარგებლობდნენ მოურავი და ზურაბ ერისთავი და თავიანთ თავს შაჰის გეგმების ერთგულ შემსრულებლად აცხადებდნენ. დროის მოგებას ცდილობდნენ, რომ ყველაფერი გაეთვალათ და აჯანყება უშეცდომოდ ჩაეტარებინათ.

შაჰი ქართლიდან ყორჩიხა-ხანის მოქმედების შედეგს ელოდა, ყორჩიხა-ხანი – შაჰის პასუხს, როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. ირანელი სარდლების ასეთი გაურკვეველი მდგომარეობა ხელსაყრელი იყო ქართული აჯანყების სულისჩამდგმელებისათვის.

## გამოცხადება ანტონ მარტყოფელისა

სააკაძეს სამშობლოს გადასარჩენად, ცხადია, უფალი უძღოდა, წმიდა გიორგის, დიდი სეხნიის ძალითა და მხარში დგომით.

ქვეყნისა და ერის ხსნა მუხანათი მტრისაგან მხოლოდ სააკაძისა და მის გვერდით მდგომთა ფანატიკური სიყვარულისა და თავდადების შედეგი კი არ იყო, არამედ მარიამ ღვთისმშობელი ფარავდა თავის წილხვედრ ქვეყანას; მისი და წმიდა სამების შეწევნით ბევრჯერ გადავრჩით და გენეტიკურად მივიღეთ გამძლეობის დიდი რწმენა!

გიორგი სააკაძე ალაიანის ველზე დაბანაკებულ სპარსეთის ჯართან ერთად იმყოფებოდა.

ლამით კარავში სიზმრად ანტონ მარტყოფელი გამოეცხადა და აუწყა:

„გიხაროდეს, გიორგი, უზენაესი მისია ქვეყნის ხსნისა შენ გაკისრია, მხოლოდ იქ, მარტყოფის ველზე უნდა მოხდეს ალექმული ფიცის აღსრულება, ეს დღე უნდა იყოს ხარების დღესასწაული, უფლის ნებით განსაზღვრული. ბრძოლის ჟამს, ღვთის დახმარებით, ძალა მოგემატებათ ქართველ მეომრებს, ხელი გაუშემდებათ და უძღური შეიქმნება მტერი!“<sup>1</sup>

<sup>1</sup> წმინდა ანტონ მარტყოფელი ერთ-ერთია იმ 13 ასურელ მამათაგან, რომლებიც მე-6 საუკუნეში საქართველოში შემოვიდნენ და დამკვიდრდნენ. ქრისტიანული სარწმუნოების სამსახურში და ლოცვაში ატარებდნენ დღეებს. წმინდა ანტონს დღევანდელი სოფელი მარტყოფი და მისი შემოგარენი ხვდა წილად, იქ ააგო მონასტერი და დასახლდა.

ანტონ მარტყოფელის გამოცხადებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გიორგი სააკაძეზე. მან ზ. ერისთავთან და ქართლელ დიდებულებთან შეთანხმებით და მხურვალე მოწონებით გადამწყვეტი შეტევისათვის შეარჩია ეს ნეტარი დღე – 7 აპრილი – დღე ხარებისა.

\*\*\*

ყორჩიხა-ხანის ბრძანებით სააკაძეს და ზურაბ ერისთავს ბანაკს გარეთ ქართველებთან ურთიერთობა შეზღუდული ჰქონდათ, ამიტომ ქართლის მესვეურები დაიბარეს, თითქოსდა იმისთვის რომ ქართლელთა ირანში გადასახლებისათვის თადარიგი დაეჭირათ; სინამდვილეში დააზუსტეს აჯანყების გეგმა, რომელიც სააკაძემ შეადგინა.

აჯანყების სამზადისის ბოლო დღეები იყო, ყოველი წამი, დრო, ცნობა ფარული დაძაბულობით აისახებოდა აჯანყებულთა მოქმედებაში.

მოურავმა და ზ. ერისთავმა შემოიკრიბეს ირანელი სარდლები და აუწყეს შემდეგი:

– ვინაიდან კახეთის მოსახლეობა დასუსტებული და შემცირებულია, ქართლელებს კი ირანული მახვილის გემო ჯერ არ უნახავთ და მძლავრობენ, ამიტომ, მათგან თავდაცვის მიზნით, უმჯობესია, კახეთის მხარეს, მარტყოფის ველებზე გადავინაცვლოთ და იქიდან შევეუტიოთ ქართლსო.

ირანელებმა მოიწონეს მოურავის წინადადება და სასწრაფოდ ბანაკის აყრა ბრძანეს. სვიმონ-ხანის ქვისლს ანდუყაფარ ამილახვარს აჯანყების ორგანიზატორები ვერ ენდნენ და თავისი ცოლ-შვილით თერგის ხეობაში, არშის ციხეში გამოკეტეს, გააცალეს ქართლს. განგებ გააკეთეს ასე, თითქოს ამილახვრის ოჯახის ჩასასმელი ციხე ქართლში არ მოიძებნებოდა და შემდეგ კარგადაც გამოიყენეს (იხ. ქვემოთ).

მარტყოფის ველზე დასცეს ბანაკი ყიზილბაშებმა.

სააკაძის გვერდით არიან გულანთებული პატრიოტები, მისი უფროსი ვაჟი ავთანდილი, ელია დიასამიძე, პაატა ხერხეულიძე, პაპუნა ვაშაყაშვილი. ისინი ბანაკის შიგნით იმყოფებიან. პირველი გადამწყვეტი დარტყმაც მათ უნდა მიიღონ.

ცოტა ხნით ადრე გ. სააკაძემ მოინახულა თავისი ერთგული თანამოაზრე, მცხეთელი მხატვარი იესე კარგარეთელი, მათ შეადგინეს გეგმა-ნახატი, თუ როგორი თანმიმდევრობით გაანაწილა ყორჩიხა-ხანმა ალაიანის ველზე ყიზილბაშთა კარვები. ასევე მოხდებოდა მარტყოფის ველზე დაბანაკების დროსაც. ირანელები კარვებისთვის ადგილს სტრატეგიული თვალსაზრისით არჩევდნენ. ჯერ უნდა დაედგათ მთავარსარდლის კარავი, შემდეგ მისი მოადგილემრჩევლების, ათასისა და ასისტანტების და ბოლოს რიგითი მეომრების კარვები გაენაწილებინათ. შემოსული მტრის გულში ყოველთვის არსებობდა ფარული შიში ქართველთა მოულოდნელი თავდასხმისა.

გ. სააკაძეს მთელი ცხოვრება ომში ჰქონდა გატარებული და მეომართა დისლოცირების, სათადარიგო ლამისთვის, კარვებისთვის სასურველი ადგილმდებარეობის შერჩევის დიდი გამოცდილების პატრონს ამ მხრივ სათანადო პასუხისმგებლობაც ეკისრებოდა ირანელთა ჯარში. მას უნდა განესაზღვრა, როგორ დაიდგებოდა კარვები.

მხატვარმა კარგარეთელმა სააკაძის მითითებით შეადგინა კარვების განაწილების გეგმა, შეარჩიეს ადგილი

ცხენების დასაყენებლად, განსაზღვრეს, თუ რა მანძილით იქნებდნენ დაცილებული ცხენები კარვებისაგან. გიორგის უნდოდა შეტევის დაწყებამდე მოესხლიტათ ირანელთა ცხენები, რომ ძილ-ბურანში მყოფი ირანელები უცხენოდაც დარჩენილიყვნენ და ამითაც მოეპოვებინათ უპირატესობა ყორჩიხა-ხანის ჯარზე – დამფრთხალ, ქვეითად მყოფ ყიზილბაშებს დიდი წინააღმდეგობის განევის თავი არ ექნებოდათ.

გიორგი სააკაძე ოთხ ენაზე მეტყველებდა. მშვენივრად იცნობდა საომარი ხელოვნების ისტორიას, დიდ პატივს სცემდა ალექსანდრე მაკედონელს. მისგან აღებული მაგალითით ქართველ მეომრებს მოუწოდებდა, ბრძოლის დროს ცმოდათ ყავისფერი, მუქი წითელი, მუქი მომწვანო ან შავი ფერის შალის ტანისამოსი, იმიტომ, რომ სისხლი მუქ ტანსაცმელზე ნაკლებად წითლად ჩანს, ღია ფერის სამოსზე კი მკვეთრად და უარყოფით ფსიქოლოგიურ ზეგავლენასაც ახდენს მეომრებზე.

შაჰ-აბასსაც კარგი საბრძოლო პრაქტიკა ჰქონდა, თავის წინამორბედთა ცოდნა-გამოცდილებასაც ეყრდნობოდა, ამიტომ მის ჯარში ყოველ მეორე ირანელ მეომარზე განსაზღვრული იყო ორი ცხენი საკვებთან ერთად. მძაფრი შეტაკებების დროს, როგორც ცნობილია, ცხენებიც იხოცებოდნენ ან იჭრებოდნენ. ასეთ დროს უცხენოდ დარჩენილი მეომარი მეორე სათადარიგო ცხენით სარგებლობდა. ხდებოდა პირიქითაც: მეომარი იღუპებოდა, ცხენი გადარჩებოდა და სათადარიგო ჯგუფში გადადიოდა.

მარტყოფის ველზე ყორჩიხა-ხანის მეომრებს საშუა-



აშთანდილ სააკაძე

ლოდ 45 ათასამდე ცხენი ეყოლებოდათ, თარაქამული არაბული ჯიშისა, რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა, როგორც მუხლმაგარი და ამტანი.

დათა ხიზამბარელი გვიამბობდა, მარტყოფის ომის შემდეგ ქართველებს დიდი ალაფი – ათასობით ცხენი, თოფი, ტყვია-წამალი, საომარი აღჭურვილობა და მრავალი სხვა დარჩათო.

ბრძოლის წინააღმდეგ გიორგი სააკაძემ შეკრიბა ქართული ჯარის მეთაურები, იესე კარგარეთელს გეგმა-ნახატი წარუდგინა. დანვრილებით განიხილეს და აწონ-დაწონეს, რა წინააღმდეგობა შეიძლებოდა შეხვედროდათ, გაინაწილეს, ვის რა დავალება უნდა შეესრულებინა. ქართველებს ერთი შეცდომის უფლებაც არ ჰქონდათ, ყველაფერი ზუსტად, გეგმის მიხედვით უნდა გაეკეთებინათ, რომ ამდენი ხნის სამზადისი და ნაფიქრ-ნააზრევი წყალში არ ჩაყრილიყო.

მართლაც, მარტყოფის ბრძოლა იმდენად კარგად იყო ორგანიზებული, იმ ერთ დღეს ქართველებმა 27000 ირანელი მეომარი გაანადგურეს.

ქეთევან დედოფლის წამების დღიდან 6 თვეზე ცოტა მეტი იყო გასული. შაჰ-აბასმა დედოფალს ქრისტიანული სარწმუნოების დაცვისათვის არგუნა მოწამებრივი აღსასრული – გიორგი სააკაძემ და ქართველმა ერმა ქრისტიანულ დღესასწაულზე, ხარება დღეს ჯარების განადგურებით გასცეს შაჰს ამის პასუხი.

## დადგულია უზენაესი ზიცი — დღე ხარება

შენ გენაცვალე, გიორგი  
კაცი ხარ კარგის ჭკუისა,  
ომებში გამოსადეგო  
როცა სამშობლოს უჭირსა

### ხალხური

მტრედისფრად ინათებდა თუ არა, მტრის ბანაკს უნდა შემოდგომოდა ქართული ლაშქარი. სააკაძისგან ორივე შვილის სიცოცხლეა გამეტებული; სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე არიან ავთანდილი აქ, მარტყოფში და პაატა, თეირანში მძევლად დატოვებული.

1625 წლის 7 აპრილის ხარება უნდა გათენებულიყო, მაღალი ღმერთი დასცქეროდა ზემოდან სანუთისოფლოს.

გარინდებულიყო მარტყოფი, მენამულ სილუეტად ჩანდნენ ცის ფონზე სპარსული ნახევარმთვარიანი კარვები, ღამე დამშვიდებულნი ელოდნენ გათენებას, ყორჩიხა-ხანის კარავი კაკლის გვერდით, ბექობზე იდგა, აქედან ხელისგულივით ჩანდა ირანული ბანაკის კარავთა რიგები. ღამის სიჩუმეში ბუკიოტის გამყინავი ხმა ავისმაუნწყებლად ეფინებოდა მაჰმადიანურ სუნთქვას.

მეხის გრგვინვასავით შეიჭრა ქართველთა ლაშქარი ირანელთა სადგომებში. ყიზილბაშთა გნიასისგან შეზანზარდა მარტყოფის ველი. სარდლებგანადგურებულმა ირანულმა არმიამ საომარი ორიენტაცია დაკარგა, ჯეროვან წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ გავეშებულ ქართველებს; ბრძო-

ლაში დაილენა და დაიგრიხა ირანული ფარ-ხმალი. უთენია დაწყებული ბრძოლა დაღამების ხანს დამთავრდა. ყიზილბაშთა გვამებით მოიფინა მარტყოფის ველ-მინდორი.

„ესრეთ მისცა ძლევა ღმერთმან ქართველთა და გაემარჯვათ: ამონყვიტეს, გააქცივეს და იქმნა გამარჯვება დიდი“ („ქართლის ცხოვრება“).

ხარება ზეიმობდა საქართველოში, გამარჯვების ზარები გუგუნებდნენ პაატა სააკაძის სამშობლოში.

სწორედ ამ დღეს საქმით დაუმტკიცა გიორგიმ თავის ხალხს, რომ ირანში წლების მანძილზე ყოფნის მიუხედავად, ისევ ქართველად და ქრისტიანად, დიდი იმედი დაუბრუნდა თავის ქვეყანას.

ხარება დღეს შეტორტმანდა და მიწაზე დაენარცხა შაჰ-აბასის ბოროტება, მასთან ერთად ჩასვლისკენ გადაიხარა მზე ირანისა.

მარტყოფის ომის ორგანიზატორთა გეგმაში შედიოდა კახეთიდან, კერძოდ, ხორნაბუჯიდან და ყარაბაღიდან ირანული ჯარების განდევნა-განადგურება. ბრძოლის მეორე დღეს სააკაძე და ზ. ერისთავი ქართული ჯარით ხორნაბუჯისკენ გაეშურენ. ლელა-თინათინზე მეოცნებე მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვებული ზურაბ ერისთავი ფრთაშესხმული მიისწრაფოდა ფეიქარ-ხანის სადგომისკენ.

ფეიქარ-ხანს გაეგო მარტყოფში ირანული ჯარის დამარცხება, სასწრაფოდ ხორნაბუჯიდან გაცლა ამჯობინა, გულგახეთქილმა მტკვარი გადალახა და ცოლთან, ლელა-

თინათინთან ერთად ბარდავისკენ მიაქროლებდა ცხენს.

ზურაბ ერისთავი ამაოდ ცდილობდა ოცნებაში უკვე ცოლად შერთული ლელა-თინათინი მეტოქისათვის წაერთმია.

მარტყოფში სახელოვანი და ფეიქარ-ხანისაგან დაჯაბნილი, იმედგაცრუებული ზ. ერისთავი გიორგი სააკაძესა და ქართულ ჯართან ერთად ხორნაბუჯისკენ შემოტრიალდა. ციხიდან დატყვევებული ყიზილბაშები გამოიყვანეს ნადავლთან ერთად. ენერგიამოზღვავებულმა სააკაძემ განჯასა და ყარაბაღში შერჩენილ მტერს შეუტია. ბევრი მისი ხმლის ანაწერა გახდა, დანარჩენებმა სიკვდილს ტყვეობა ამჯობინეს. ქართველმა მეომრებმა ფარჩა-ატლასით დატვირთული მრავალი აქლემი იგდეს ხელთ.

ქართლ-კახეთში, ყველგან, სადაც კი ხმალი მიუწვდა, გიორგი სააკაძემ დაშალა ყიზილბაშური კრაზანის ბუდეები. თბილისის დედაციხეში გამაგრებული ირანული გარნიზონი კი პოზიციის დათმობას არ აპირებდა.

თაბორის მთის ძირიდან და ლელვთახევის კლდოვანი ნაპირებიდან სააკაძის მეომრებს დედაციხეზე იერიში იერიშზე მიჰქონდათ, მაგრამ უშედეგოდ. სააკაძის რჩევით ციხიონს შეუწყვიტეს წყალი, რომელიც სოლოლაკის ქედიდან მოედინებოდა თიხის მილებით, მოკლე დროში ირანული გარნიზონი უნდა ჩაბარებულიყო.

გარსოა ჭანოაშვილსა და გიორგი გორგიჯანაშვილს კაენისათვის მიეყიდათ ცოდვილი სული, ორივეს მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა ყიზილბაშთა სარდალთან. უწყლობით



„მარტყოფში მეომრები“

შენუხებულმა ციხისთავმა მეგობრებს მიმართა, მათაც აღარ დაახანეს და ღამით ისევ გააწყვეს აყრილი წყლის მილები. ირანელებმა უხვად დაიმარაგეს წყალი. მზის ამოსვლისას სააკაძის რაზმელებმა შენიშნეს ხელახლა განყობილი წყლის მილები და ისე მოარღვიეს, დიდი დრო დასჭირდებოდა მათ ხელახლა აღდგენას.

მოლაღატეთა ავი ჟინი სამშობლოს ხშირად ართმევდა სასიცოცხლო ენერგიას. ყიზილბაშებისათვის „დოსტობით“ განუღო ღალატში წილნაყარი გარსოა ქანოაშვილი და გიორგი გორგიჯანაშვილი წითელი სამოსით ამხნევებდნენ შაჰის მეციხოვნეებს, შავად თუ გამოენყობოდნენ, ფრთხილად იყავითო, ანიშნებდნენ.

დედაციხეში გამაგრებული ირანელები გატყდნენ უწყლობით, ერთ-ერთმა მეციხოვნემ გათქვა წყლის ხელახლა მიმწოდებელნი. თბილისელი მოქალაქეების მოთხოვნით სააკაძემ სათანადოდ დასაჯა მოლაღატენი.

თბილისის დედაციხე ყიზილბაშებისაგან გათავისუფლდა და ქართველებმა ჩაიბარეს.



\*\*\*

მარტყოფში ირანული ჯარის დამარცხების ცნობამ საგანგაშოდ ჩააღწია ირანში. შურისძიების ჟინმორეულმა შაჰ-აბასმა პაატა სააკაძის მოკვეთილი თავი გამოუგზავნა მამას.

გაქვავებული იდგა გიორგი სააკაძე შვილის მოკვეთილ თავთან. ეს იყო წმიდა მსხვერპლი, უფლის ნიშნით გაღებულ საქართველოს ხსნისთვის, თავგანწირვა და გლოვა მაღლით მოვლენილი...

ვისაც არ შეუძლია თავმოკვეთილი შვილის შემყურე სააკაძის გულის გმინვის მოსმენა, როგორც საკუთარი სხეულის ნაწილის თავისთავში შეგრძნება, ასეთი კაცი ვერასოდეს ჩასწვდება გიორგის ნამეხარი, თვითგვემული ცხოვრების დედააზრს.

ქვეყნისათვის თავდადება, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე დაყენება, განა მარტო თავი სიახლობლების სიცოცხლესაც, უკიდურესი თავგანწირვა სულს წმენდს, ასპეტაკებს და ამაღლებს.

მარტყოფის ბრძოლის შემდეგ სააკაძე ორი დიდი უკიდურესობის წინაშე დადგა: გამარჯვებით ამაღლებული მისი სული ზეიმობდა თავის ქვეყანასთან ერთად და ამ გამარჯვებას ლუკმა პურივით უნაწილებდა ერთმანეთს ქართველი მოსახლეობა; მეორე უკიდურესობა შვილის ტრაგიკული აღსასრული იყო.

ჩვენი ისტორიკოსები, მკვლევარები, რომელთაც მთელი გულმოდგინებით შესწავლილი აქვთ შაჰ-აბასის ეპოქა და საქართველო-ირანის პოლიტიკური ურთიერთობები, პირველ რიგში ეყრდნობიან შაჰის კარის მეისტორიე ისქანდერ მუნშს, რომელიც წვრილად აღნუსხავდა ირანში მომხდარ ყველა მოვლენას.

კახეთში შაჰის ლაშქრობების აღწერისას, ჩვენს ისტორიკოსებს თავიანთ ნაშრომებში მაშინ არსებულ მოვლენათა დასადას-ტურებლად მოჰყავთ იქანდერ მუნშის ცნობები, როგორც პირველი სარწმუნო ობიექტური წყარო.

ისქანდერ მუნში ასახელებს კახეთის ბრძოლებში მონაწილე სარდლების გვარ-სახელებს, ირანელთა ჯარის რაოდენობას, მათ წარმატებულ თუ წარუმატებელ ბრძოლებს.

ახსენებს თეიმურაზს, მის სიჯიუტეს, შაჰთან გამოცხადებაზე უარს რომ ამბობდა და კახეთის აოხრებაშიც მას სდებს ბრალს. ამართლებს შაჰის კახეთში ჩატარებულ ოპერაციებს, ასე ვთქვათ, რბილ ფონს უქმნის შაჰ-აბასს.

ისქანდერ მუნში მოიხსენიებს ხოსრო-მირზას, მის ყველა მოქმედებასა და ნაბიჯს საქართველოში შაჰისაგან წარმოებულ ბრძოლებში.

ისმება კითხვა: რატომ არ აღნიშნავს ისქანდერ მუნში 1614-1617 წლებში გიორგი სააკაძის არც სახელს, არც ყოფნას და არავითარ მონაწილეობას კახეთის ლაშქრობებში? – მას სულ მცირედი მიზეზიც რომ ჰქონოდა, სააკაძის წინააღმ-

დეგ, განა გამორჩებოდა ან დაინდობდა, მაგრამ ირანელი მისტორიე ვერ მოიგონებდა იმას, რაც არ მომხდარიყო.

ასევე ობიექტურია ისტორიკოსების მხრიდან, როცა 1625 წლის მარტყოფის ომის შემდეგ აუგად იხსენიებს ბედუქულმარტო ისლამის მტერს, ირანის ჯარების გამანადგურებელ მოურავბეგს: „ისეთი ზარალი, რაც ირანმა მიიღო სააკაძისაგან, 40 წელია არ მოსვლიათ“.

ესაა სინამდვილე, ხოლო იმ დროის ქართველ დიდებულთა მიერ სააკაძის წინააღმდეგ ატეხილი ქარი, სამწუხაროდ, დღესაც ქრის და გულსა და გონებას უციებს ზოგიერთს, ვითომდა სააკაძე შაჰის ერთგულების გამო მოსისხლე სპარსელებთან ერთად ქართლის ასაოხრებლად მოსულიყო! მაშ, რა უნდა ექნა გიორგის, როცა მოჩვენებითი ვითომ ერთგულების აუცილებელი გამოვლენის გარდა სხვა გზა არ ჰქონდა და გადამწყვეტ დროსა და მომენტს ელოდებოდა, რომ რადიკალური დარტყმით შეეტრიალებინა ბედი ქართლისა.

ირანელთა ჯარში მაშინ შეიძლებოდა ყოფილიყვნენ კიდევ სისხლმონყურებული მტრის ჯარისკაცები და მართლაც მიეყენებინათ ზიანი მოსახლეობისათვის, დაზღვეულიც ვერავინ იქნებოდა. იგივე კახეთში პირველი შემოსევისას, შაჰ-აბასმა გააფრთხილა თავისი მეომრები, მოსახლეობისთვის არ ევნოთ, „მშვიდობიანად გავა კახეთიდან ირანული ჯარით“ – მოსახლეობის ყურადღების მოდუნების მიზნით, რომ ხალხი არ გახიზნულიყო სამალავებში). მიუხედავად ამ აკრძალვისა, ირანელებმა მაინც დაღვარეს მოსახლეობის სისხლი, შაჰმა ასეთებს მუცლები დაუფატრა და ჯარისკაცთა წინ დააყ-

რევინა, როგორც შაჰის ბრძანების შეუსმენლობისთვის სასტიკად დასჯილი.

...ახლაც ქართლში არიან ყიზილბაშები და ამ მძაფრ ვითარებაში, როდესაც სულ მალე დიდი მოსახლენი უნდა მოხდეს, – ინყება ირანული ჯარების განადგურება – რის მომზადებასაც სააკაძემ კოლოსალური დრო და ენერჯია შეაღია, განა როგორი მოქმედება იქნებოდა მისგან უფრო დიდი და მრავალმნიშვნელოვანი – უცაბედად ემოციების მოზღვავეების ფონზე, დაეხოცა ათეულობით ყიზილბაში და თვითონაც უმიზნოდ შეკვდომოდა მტერს? ჩაითვლებოდა ასეთი ნაბიჯი სააკაძისაგან გამირობად? რომ არა მისი მართლაც მოწამებრივი მოთმინება, ხომ გაიზიარებდა ქართლიც კახეთის მწარე ხვედრს?!

მარტყოფის ომამდე მოსისხლე მტრებსაც სწორედ იმიტომ შეურიგდა გიორგი, მთავარი და უცვლელი, საქართველოს გაერთიანების ქვეცნობიერი იდეა მოეყვანა სისრულეში. მეორე მხრივ, მტრისაგან თავდაცვის მიზნით ერთსულოვნება ყოფილიყო ქართველ ხალხში და დაქსაქსულობისაგან თავის დაღწევა გარანტირებული ჰქონებოდათ.

საკაძეს არა თუ ქართველი მოსახლეობისათვის ზიანი მიეყენებინა, თავისი ოჯახის დამაქცევართათვისაც კი სამაგიეროს გადახდა არ უცდია არასოდეს.

გიორგი სააკაძის ოჯახს პირადი დიდი უბედურებაც ჰქონდა. ქართველმა ხალხმაც ღირსეულად იგლოვა იგი – პაატას თავი ჯერ ნოსტეს, მისი დაბადების ადგილას მიიტანეს, და სააკაძის ნასახლართან კოშკის წინ აბიბინებულ


მწვანეზე დაასვენეს. იგლოვეს მისი ქართული ცის უნახაობა. დევნილი ბავშვობა, უცხო მიწაზე მისთვის ნამდერი „იანანა“. დაიქუხა, გაზაფხულის წვიმა ცრემლებად დასტიროდა პაატას ნათელ სახეს. სრულიად ქართველმა ერმა, წმიდა ცრემლებით გააცილა და ერთაწმინდის ეკლესიას მიაბარა პაატას წამებული ნეშთი.

ზედწოდება „დიდი მოურავი“ ქართი მოტანილი არ იყო გიორგისთვის. იგი იმ ზღვის ფსკერიდან არის ამოღებული, რომელსაც ერის გულს ეძახიან, სიტყვის აზრის მიმნიჭებელი კი სულია. „დიდი მოურავი“ სწორედ მარტყოფის ბრძოლის მოგებით აღტაცებულმა ხალხმა შეარქვა მას და არა მხოლოდ გამარჯვების, არამედ გოლგოთის შესადარი დათმენისათვის, მის გარშემო შექმნილი მდგომარეობა რომ ითხოვდა ისეთი დიდად შემძლე სულისაგან, განგებას მის მძლავრ სხეულში რომ ჩაესახლებინა.

„დიდი მოურავიც“ სამარადჟამოდ მიემატა ქვეყნისათვის თავდადებულ ქართველთა გვარ-სახელებს.

1625 წლის მარტყოფის აჯანყების გმირის გიორგი სააკაძის პიროვნების, მისი ქარიშხლიანი ცხოვრების შესახებ ბევრს აუღია კალამი და ძირის-ძირობამდე ჩაღრმავებულა. არც გასჭირვებიათ, მიეკვლიათ სამშობლო მიწის სიყვარულის სათავეები, რითაც საზრდოობდა სააკაძის სული.

ჩვენს გმირთა სულები დღეს ქართული გმირული სულის წყაროდ მოდიან და მორაკრაკებენ, თავიანთი ენით გვესაუბრებიან წარსულზე, უსიტყვო მეხსიერებაში რომ შემოუნახავთ. ჟამთა სვლაში ისინიც იმღვრეოდნენ, სხვასაც



1625 წელი, „მარტყოფი“ ბაბარჯუმუხლი ქართული მხედრობა

ამღვრევდნენ, მაგრამ ყოველ ამღვრეულობას დასასრულიც მოსდევს, – ამღვრეულ წყაროს არავინ დაღვევს დაწმინდებად, გონებაარეულ ადამიანსაც არავინ უსმენს დამშვიდებად!

ერთი ამბავი გამახსენდა: ყაზბეგში ვიყავი ათენგენობაზე. თამადამ მაღალი ინტონაციით წარმოთქვა სადღეგრძელო „შამღვრევამდე გაგვიმარჯოს ქართველებო!“ და ლექსი მოაყოლა. საბედნიეროდ, დღემდე არ გამქრალა ჩვენს მთაში გმირობისა და პოეზიის უნარი. თითქმის მუდმივად ომებში ყოფნამ და ხშირად ერთმანეთთანაც შუღლმა ფოლადივით გამოანართო მათი ხასიათი. ხმალი, იარაღი ზოგადად, მათი ყოფის განუყრელი ნაწილი იყო, ასევე – პოეზია. ლექსით იწონებდნენ თავს, ლექსით მიჯნურობდნენ, გმირობდნენ და იმარხებოდნენ კიდევ. მარტყოფის ომშიც ძირითად საომარ ძალას ზურაბ ერისთავის დროშის ქვეშ მდგომი მთის მოსახლეობა წარმოადგენდა. სწორედ ზურაბ ერისთავისა და მისი არაგველების ერთსულოვნებას დაეყრდნო სააკაძე და სასურველი გამარჯვებაც მოიპოვეს.

მარტყოფის ბრძოლის შემდეგ გიორგი სააკაძის გადარჩევით ოსმალეთის საზღვართან მყოფ თეიმურაზ პირველს აცნობეს გამარჯვება და ქართლ-კახეთის მეფობა შესთავაზეს.

„ვერ გაიხარა მტერმა ჩვენზედა!“...

## მარტყოფის მოვლენების განხილვა

მარტყოფის ომისთვის თორმეტწლიანი სამზადისი აისბერგს მოგვაგონებს; ის, რაც წყლის ზედაპირზე ჩანდა, შაჰისადმი სააკაძის ერთგულების გამოხატვის ნაწილად იკითხება, უფრო დიდი ნაწილი წყლის ქვეშ მოძრაობდა, ამ მძიმე წლების მანძილზე, შეკავებული რისხვითა და ტკივილით, ფარულად ნამზადები და შესაფერის დრომდე ნაცარნაყრილი.

საყურადღებოა, სააკაძის მიერ აჯანყების გეგმის განდობის ფაქტიც, ქვეყნის კათოლიკოსისა და წილკნელი ეპისკოპოსისათვის, რაც მიზნათ ისახავდა მოსახლეობის სულიერი ერთიანობის სიჯანსაღეს; თანაც, ამ მხრივ, საფუძველი უკვე შექმნილი იყო ქეთევან დედოფლის მოწამებრივი აღსასრულით, რამაც უდიდესი როლი შეასრულა მარტყოფის ომის სამზადისის სიმტკიცისათვის.

ვიციტ, რაც მოხდა 1612 წლის მაისში: ქვეგამხედვარ თავადთაგან განწირული სააკაძე, დედაბუდიანად აყრილი, თავის სიმამრთან, ნუგზარ ერისთავთან მივიდა რჩევის საკითხავად; არაგვის ძლიერმა ფეოდალმა კარგად იცის თავისნაირთა ფსიქოლოგია, - არც თავადაა გამონაკლისი, მასაც უყვარს მთის მოსახლეობის დამონება და ხარკის დადება. მათ საუბარში გაირკვეოდა, საიდან აიდგა ფეხი შადიმანის ბანაკმა სააკაძის გასანადგურებლად, რა ენადათ, რისთვის გამოუტანეს ასეთი განაჩენი.

თავდაპირველად რისხვამ მოიცვა ნუგზარ ერისთავი, სურდა პასუხი მოეთხოვაქალ-სიძის ოჯახის დამაქცევართათვის – მართალიც იყო, ჯარიც ჰყავდა და გულიც ერჩოდა, - მაგრამ გონიერებამ გაიმარჯვა და არ გადაიდგა ძმათა სისხლისღვრის მომტანი ნაბიჯი.

აქ შეიძლება დაისვას ასეთი შეკითხვა : ვთქვათ, სააკაძესა და ნუგზარ ერისთავს არ გადაენწყვიტათ ირანში წასვლა, დარჩენილიყო სიმამრთან ანანურში და განეგრძო ჩვეულებით დინებით ცხოვრება. ექნებოდა სააკაძეს თავისუფლად მიმოსვლის საშუალება? ან შეთქმულთა ბანაკი არ მოითხოვდა ნუგზარ ერისთავისგან, სააკაძე მათთვის გადაეცა? როდემდე შეიძლებოდა გაგრძელებულიყო ასე, სიკვდილის განაჩენგამოტანილ სააკაძეს, ასეთ ვითარებაში, ექნებოდა მშვიდი ცხოვრება? როდის მოუთავებდა სიცოცხლეს ჩასაფრებული მტრის თვალი და სიკვდილი, არავინ უწყოდა.

ესეც რომ არა, სააკაძის დარჩენა სიმამრთან მუდმივი კინკლაობის საბაბი გახდებოდა, ან მტრულ გარემოცვაში მათი ურთიერთმისხლეობა რა შედეგს მოუტანდა ქვეყანას. ან შადიმანის ბანაკი არ შეეცდებოდა ლუარსაბ მეორესავით გადაებირებინა და თავის ჭკუაზე მოეყვანა ნუგზარ ერისთავიც, როგორც თავადი და მათი ინტერესების დამცველი, არ შეეცდებოდნენ განწყობით სააკაძის საწინააღმდეგოდ, მით უმეტეს, როცა ცნობილია, რა მერყევი ბუნებაც ჰქონდათ ამ მამა-შვილს – ნუგზარსა და ზურაბს. შადიმანის ბანაკი მოძებნიდა მიზეზს და ისეთ ულტიმატუმს წაუყენებდა ნუგზარ ერისთავს, უკიდურეს გამოუვალ მდგომარეობაში მოაქცევდნენ და საკუთარ სიძეს სააკაძეს დაუპირისპირებდ-

ნენ. როგორც ჩანს, ამ სიღრმითაც განსაზღვრა სააკაძემ თავის გარშემო შექმნილი მოვლენები და თავის არიდების მიზნით, ირანში წასვლა ირჩია – უცხო და მტრული გარემო ამჯობინა.

1607 წელს სააკაძე, როგორც მაცრიონის ერთ-ერთი წევრი, პირველად იყო ირანში. 1612 წლამდე არ შეინიშნება მისი არავითარი კონტაქტი ირანთან. სახლ-კარის გადანვის შემდეგ მას რომ დაუფიქრებლად ირანის გზა აერჩია, მოუხდებოდა ღამით ადიდებული მტკვრის მღვრიე ტალღების გადალახვა ცოლ-შვილთან ერთად? ან რაიმე დამოუკიდებელი კონტაქტები რომ ჰქონოდა ირანთან, ხომ სიმამრის გარეშე წავიდოდა და მის დაუკითხავად წარმართავდა თავის ბედს. სააკაძე პატივს მიაგებს ნუგზარ ერისთავს, მის რჩევას ითვალისწინებს. ნუგზარი ძლიერია, გავლენიანი და არა მხოლოდ საქართველოში, შაჰ-აბასიც კარგად იცნობს და მისი ანგარიშგამწევიც არის. სააკაძემ ნუგზარ ერისთავისგან მიიღო ყველა თქმული და უთქმელი კითხვის პასუხი. ირანში წასვლა კი მერე გადაწყვიტა იმ გარანტიით, რომ თვით ნუგზარ ერისთავიც წაჰყოლოდა შაჰის კარზე წარმდგენად, სააკაძის ოჯახსა და მხლებლებს ირანში ღირსეული სტატუსის მოსაპოვებლად. და აქვე სააკაძის აზრით შაჰმა უნდა დაინახოს ნუგზარ ერისთავი არა მარტო, როგორც სიმამრი, არამედ მისი მომხრე ძლიერი ფეოდალი და მისი სახით ასევე გავლენიანი ყველა ის დიდებული, რომელთაც სააკაძის თანამოაზრედ მიაჩნდათ თავი. სააკაძესთან ერთად ნუგზარ ერისთავის გაყოლის ფაქტით დამაჯერებლად იკითხება ის მოტივი, რომ გიორგის 1612 წლამდე ირანში რაიმე მყარი გავლენა არ ჰქონია.

ისმება თანმიმდევრული კითხვა, რაზედაც ნუგზარ ერისთავს და გიორგი სააკაძეს ბჭობა-ანალიზი ექნებოდათ, კერძოდ: სახლკარგავერანებული, მოძულეობით შავ დღეში ჩავარდნილი სააკაძე რატომ არ გადავიდა იმერეთში გიორგი მეფესთან, იგი ხომ მისცემდა თავშესაფარს, როგორც თეიმურაზ მეფესა და სხვა დიდებულებს, როდესაც ისინი კახეთში შაჰისაგან გაჭირვების ჟამს იმერეთს მიაშურებდნენ.

პასუხი მხოლოდ ერთია: იმერეთის სამეფო ოტომანთა გავლენის სფეროში იყო, ტაშისკარის ომში 60 ათასი ოსმალს განადგურებით მეტად აღშფოთებული ოსმალთა სასულთნო ხომ მოსთხოვდა იმერეთის მეფეს მასთან შეფარებული სააკაძე და მისი ოჯახის წევრები მათთვის გადაეცა?!

საკაძემ განსაზღვრა ყოველივე ეს და ოსმალეთსა და იმერეთის მეფეს შორის უხერხულობის მიზეზი, რომ არ გამხდარიყო, იმერეთში გადასვლისაგან თავი შეიკავა

ირანში წასვლა უმჯობეს გადაწყვეტილებად მიიჩნია, ალბათ, იმის გამოც, რომ შაჰ-აბასი 1587 წლიდან, როცა ტახტზე ავიდა, საქართველოსთან მოჩვენებით კეთილმეზობლურ ურთიერთობებს ახორციელებდა. ამავე დროს ირანის სახელმწიფოს შაჰ-აბასამდე და მის დროსაც აღმოსავლეთ საქართველო თავისი გავლენის სფეროში ეგულებოდათ.

ჩვენი მიზანია, გავანალიზოთ ირანის მდგომარეობა 1612 წლის ახლოს. მაშინ ცბიერი შაჰი ქართველებს თავის მოყვრებად აცხადებდა, (ბებია შალიკაშვილი ჰყავდა, ცოლე-

ბად კი ქართველ მეფე-დიდებულთა ასულები ესვა) რაც მოჩვენებით, ერთგვარ მშვიდობიანობის ამინდს ჰქმნიდა ირანსა და საქართველოს შორის. ბედის საძიებლად ბევრი ქართველიც მიაშურებდა ირანის კარს სხვადასხვა მიზეზთა გამო და ზოგი დიდ წარმატებასაც აღწევდა. ეს, ცხადია ეცოდინებოდა თვით სააკაძესაც, რაც კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იქნებოდა ირანში მისი წასვლის სასარგებლოდ, მაგრამ მას შემდეგ, რაც შაჰის სამსახურში ჩადგა და ირანის საკეთილდღეოდ ხმალს იქნევდა, სააკაძემ ბევრი რამ დაინახა და კიდევ მეტს მიხვდა. მისთვის ნათელი და გარკვეულია ყველაფერი. ირანში ქართველები კარგ ყოფასა და განცხრომას ვერ ელევინან. მათ იპოვეს ის, რაზეც ოცნებობდნენ, საქართველოში რისთვისღა დაბრუნდებოდნენ?! სააკაძე სხვა იყო, სხვა სატკივარი ანუხებდა მას და ხოსრომირზას. მათი ერთობლივი საზრუნავი სამშობლო იყო და ორივე დაბრუნდა ირანიდან საქართველოში. ორივე დაიხარჯა თავისი მიზნებიდან გამომდინარე, ოღონდ, მანამ დიდი სიფრთხილე, ზეპირ სიცილი და გულში ჩაბრუნებული ცრემლით, შეთქმულების მზადებაა საჭირო.

დამაფიქრებელია სააკაძის შეხვედრა კოლოტაურთან, რაზედაც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ; მაგრამ ძალზედ მნიშვნელოვანია ამ ეპიზოდში ჩაღრმავება. გადაწყვეტილებამიღებულ, ირანის გზაზე დამდგარ სააკაძესა და მისი ბედის გამზიარებლებს ერთ-ერთი შეთქმულთაგანი, ვინმე კოლოტაური, რომელსაც მარტოსა აქვს განზრახული მისი დატყვევება, უტიფრად წინ გადაელობება და განმარტავს, რომ შადიმანისაგან დავალებული აქვს მისი შეპყრობა. ეს მარტოხელა სახელის მაძიებელი დაეძებს სააკაძეს, ვაჟკა-

ცობის გამოჩენას ლამობს, რომ შესძლებოდა ან მოჰკლავდა მას ან დაატყვევებდა. ირანისაკენ ორიენტაციისაღებულნი ლტოლვილნი გაძევებულნი თავიანთი მინა-წყლიდან, გარიდებულნი შფოთსა და დავიდარაბას? ეს მტერი-მტერთაგანი, კოლოტაური, სააკაძის შესაპყრობად წინ აესვეტათ.

საკაძისაგან კოლოტაურის მოსპობა სირთულეს არ წარმოადგენდა. აქ უმთავრესს უნდა მივაქციოთ ყურადღება, ე.ი. სააკაძე მიემართება ირანისაკენ, სადაც ჯერ ჩასული არ არის, ამდენად მისთვის შაჰ-აბასის ვერაგი ხასიათი ამ ეტაპზე შეუცნობადია, არც რაიმე მარტყოფისეული სამზადისი მის გონებაში არ ტრიალებს. სააკაძისათვის შაჰ-აბასის საქართველოსათვის სამტრო გეგმების შეცნობა ხდება მაშინ, როცა იგი ირანის კარზე საკმაოდ დროს დაჰყოფს და იქ მოღვაწე ზოგიერთი ქართველის დამოკიდებულებებს შეიცნობს, როგორც სარგონი მხოლოდ ირანისთვის. 1615-1620 წლებში, როდესაც სააკაძე საქართველოში ბრუნდება, მისთვის შაჰ-აბასის სამტრო გეგმები ჩვენი ქვეყნისათვის უკვე ცნობილია. და ამდენად, სააკაძისაგან, შაჰის გონებაში ნღობის მოპოვება და თავისი სამტრო მხარის მიმართ შერიგების ხელის განწვევა, მარტყოფილი სამზადისისთვის დიპლომატიური ნაბიჯებია. ყურყუთას ქალებზე კოლოტაურთან საპირისპირო შეხვედრა, მერე მისი დანდობა და სასიკვდილოდ არ გამეტება, პირველ რიგში მიგვანიშნებს მის მაღალ ბუნებაზე, კაცთმოყვარეობაზე, თავისი მინა-წყლის ხალხისთვის ანგარიშის განწვევაზე, ვინაიდან ხალხის გზიდან აცდენა, მხოლოდ სატანისმიმდევრებს შეუძლიათ. ამდენად, კოლოტაურიც თავის ქვეყანაში სატანისაგან გადაბირებული ცოდვის შვილია. სააკაძე, შეთქმულთაგან განწირული, ასეთ მდგო-

მარეობაში მყოფი, მაღალი ადამიანური თვისებების მქონე, რომ არ ყოფილიყო, მერე თავისი სამშობლოს ბედ-იღბალი სულერთი რომ გამხდარიყო, იგი კოლოტაურს მოკლავდა და ამით მისი უკან არდაბრუნების სურვილიც გამოჩნდებოდა. მან თავის ხალხს დაანახა, თავისი მაღალი ქრისტიანული, მართლმადიდებლური რწმენისადმი პატივისცემა. იმ გაცეცხლებულ გულზე მაინც მაცხოვარივით მოითმინა, სული აიმაღლა და თავის ბედის თანაგამზიარებელთა თვალშიც ამაღლდა. სააკაძისაგან მტრის მიმართ დამნდობ ბუნებაში იკითხება გამიზნული დიპლომატიაც იმისა, რომ იგი ირანში უნდა ჩავიდეს იძულებით, დროებით, უკან დასაბრუნებელი გზა კი სუფთა უნდა დაიტოვოს.

გ. სააკაძის ხასიათზე, როგორც თავის თანამემამულეთა სიცოცხლის გამფრთხილებელზე, კიდევ გვექნება საუბარი.

სიკვდილგადარჩენილი კოლოტაური, თუ მას სინდისი მთლად ჩამქრალი არ ექნებოდა, მაშინ აუნყებდა თანამოაზრეებს სააკაძის და თავის შეხვედრას.

გულით სიმართლის მსმენნი კი ნათლად დაინახავდნენ სააკაძის მიმტევებლობას და დიდსულოვნებას.

ჩვენ აქ მოყვანილი და განხილული ამბები იმისათვის დაგვჭირდა, რომ სააკაძეს თავის სამტრო მხარესთან შერიგების ნაბიჯი, კოლოტაურთან შეხვედრით, წინასწარ უკვე გადადგმული ჰქონდა, სანამ იგი 1620 წელს სასამართლოს მოაწყობდა, იგივე შემრიგებლური ატმოსფეროს შესაქმნელად.

\*\*\* 1607 წელს შაჰ-აბასმა ძალდატანებით ცოლად წაიყვანა ლუარსაბ II-ის და, ლელა-თინათინი. ქართულ მაყრიონში 36 წლის გიორგი სააკაძეც იმყოფებოდა; მან კარგად იგრძნო შაჰისაგან თავისადმი ინტერესი და ყურადღება. იმ დროს გამოჩენილ ქართველებს ირანში უფრო აშკარად მიაგებდნენ ღირსეულ პატივს, ვიდრე თვით საქართველოში.

არავითარი ისტორიული წყაროებით არ ჩანს, რომ გ.საკაძეს 1612 წლამდე, გარდა ერთხელ მაყრად ყოფნისა, ირანში რაიმე ურთიერთობები ჰქონდეს. ან რაში სჭირდებოდა, როცა ტაშისკარის ომი მოგებული ჰქონდა, სახელიც, ნდობაცა და სიყვარულიც ქართველი ხალხისაგან მოპოვებული. სამშობლოსათვის ანთებული გულით სასურველი შეიქნა ლუარსაბ II მეფისათვისაც, რომელმაც მისი და შეერთო ცოლად. 1609 წლიდან 1612 წლის მაისის თვემდე სააკაძე იმედად და რწმენად დადიოდა ქართველ ხალხში და სიმშვიდე უწერგავდა.

რა წადილი და სურვილი ექნებოდა სააკაძეს, ცალკე კავშირები გაეხსნა იგივე შაჰ-აბასთან ან იქ მცხოვრებ ქართველებთან, როცა საქართველოში სახელიც აქვს და თანამემამულეთა სიყვარულიც, ღირსეული გარჯით მიღებული. აქ, ქართული ცის ქვეშ, ხარობს და ლალობს მისი სული და გული. ისმება კითხვა: რა ინტერესი უნდა გასჩენოდა სააკაძეს, ირანში მყოფ ხოსრო-მირზასთან ან ბაგრატ-მირზასთან, ან კიდევ იქ მოღვაწე ქართველებთან ფარული კავშირები გაეხსნა მის განდევნამდე, 1612 წლამდე? (შემდეგში დეტალურად შევეხებით მის დამოკიდებულებას ხოსრო-მირზასთან და სხვა ქართველებთან). მით უფრო, რომ შაჰს



დაუდ ხანის ვაჟები „ გადანახული“ ჰყავდა, ვინძლო სამეფო ტახტის პრეტენდენტი დასჭირვებოდა ლუარსაბ II-ის საწინააღმდეგოდ. ამასთან, ბაგრატი-მირზა, ხოსრო-მირზასგან განსხვავებით, უფრო პრივილეგირებული იყო, როგორც დედითა და მამით მალალი წრის წარმომადგენელი, მისი ასული შაჰ-აბასის ცოლი იყო. დაუდ-ხანი თავის ძმას, ქვეყნისთვის თავდადებულ სიმონ I-ს, ქართლის ტახტს ეცილებოდა, ამიტომ მიუღებელი იქნებოდა სააკაძისთვის. ქართველების უარყოფითი დამოკიდებულება დაუდ-ხანის შვილებზეც გადადიოდა. ისინი ეჭვქვეშ იქნებოდნენ დაყენებულნი. ასევე იქნებოდა განწყობილი მათ მიმართ გიორგი სააკაძეც, სანამ თავსი თვალთ არ დაინახა ხოსრო-მირზას რეალური ღირსებები, გამოამზეურა და საქართველოს სამსახურში ჩააყენა. და თუ 1612 წლამდე ხოსრო-მირზას ყოფნა ირანში თითქმის შეუმჩნეველი და უღიმღამო იყო, სააკაძის იქ ჩასვლის შემდეგ, რადიკალურად შეიცვალა.

„ხოსრო-მირზა მე გავხადე ხელმწიფესთან გამოჩენით, გავამდიდრე, მე ჩამოვხსენ ღარიბობა ცრემლთა დენით“

„დიდმოურავიანი“.

1604 წელს, ერევნის ომით კმაყოფილი შაჰის ინტერესების თვალსაწიერში მოხვდა გიორგი სააკაძე, 1609 წელს ტაშისკარი მოიგო. შაჰ-აბასი აღტაცებით შეხვდა ამ ამბავს; გულში დაბოლმილიც იქნებოდა იმის გამო, რომ 10 ათასიანმა ქართულმა ჯარმა მტრის 60 ათასიანი ჯარი მიწასთან

გაასწორა. მეორე: შაჰ-აბასს გუმანში აქვს მთელი საქართველოს დაპყრობა. სააკაძეს, როგორც უბადლო სარდალს, შაჰი აღიქვამდა თავისი გეგმების ძლიერ მონინააღმდეგედ, რომელიც წინ აღუდგებოდა ყიზილბაშებს და არ მისცემდა ქვეყნის აოხრების საშუალებას. აქედან გამომდინარე, შაჰი თავისი შხამიანი კალმით შეეცდებოდა სააკაძის ფიზიკურ მოსპობას, ან საქართველოდან მის განდევნას ისე, რომ გადარჩენის შემთხვევაში ირანის კარისთვის შეეფარებინა თავი.

\*\*\* რამდენადაც ჩვენი მიზანია, სააკაძის გარშემო მყოფ ადამიანთა ქმედებების განხილვა, რომ ზუსტად შევაფასოთ ქვეყნისთვის მათ მიერ გაღებული ამაგი, ამდენად, შევეცდებით, უფრო ღრმად წარმოვაჩინოთ ზ. ერისთავის პიროვნება და მისი როლი, ცხადია, ყველა პრაქტიკული და მორალური პოზიციიდან.

ჯერ მარტო ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში არის დადასტურებული მისი ფსიქოლოგია, დადებითი თუ უარყოფითი თვისებები:

„შენ, ერისთავო დიდის მთისაო,

წყალი ჩაგიდის არაგვისაო.

არკი გეტყოდი, ჩემო ბატონო,

ბევრი გაყიდე ქალი და რძალი

გარდახატული თვალ-წარბ-თმისაო“.

მთის ხალხის გენეტიკური თვისებებია: ქვეყნის სამსახური, თავის გამოჩენა მტერთან ბრძოლაში, თავგანწირვა ქვეყნისა და მეგობრებისათვის. მათი ადათნესებით, სახელის მოპოვების ერთადერთი გზა ომია, ისინიც გულანთებულნი თავგანწირვით იბრძოდნენ მარტყოფში ქართულ ჯართან ერთად. ეს ფსიგოლოგიური თვისებები მთის ხალხისა იცოდა სააკაძემ, მათი იმედი ჰქონდა და ამიტომაც გვერდში ამოიყენა ზ. ერისთავი მარტყოფში საბრძოლველად.

დამაფიქრებელია და სამწუხარო ზ. ერისთავის ბუნების მეორე მხარე. რატომ უნდოდა ასე სასტიკად დაემონებინა მთის მოსახლეობა, ასე ხარბად სიმდიდრის მოხვეჭა, განდიდება იმდენად, რომ აიძულებდა თავის მეომრებს ებრძოლათ თავისსავე სისხლთან და ჯიშთან. სავალალოდ, ასეთი თვისებები ქარბობდა ზ. ერისთავის ხასიათში ბაზალეთამდე და შემდგომშიც.

ახლა წარმოიდგინეთ, რა ძალა გამოკრთოდა სააკაძის გულის სიღრმიდან, რომ შაჰ-აბასისაგან ქართლის მოსაოხებლად გამოგზავნილი ზ. ერისთავი ქართლის სასარგებლოდ შეტრიალდა სააკაძისგან ზ. ერისთავისადმი წაყენებული ულტიმატუმით: „თუ ჩვენ დღეს ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ და ირანულ ჯარებს თავიანთი ავი ზრახვების გამოყენების საშუალება მივეცით, სულ გაგვინადგურდება ქართლიცო.“ (მას ამ დროს პაატა უკვე გამოტირებული ჰყავდა. ზ. ერისთავის ბუნებას სააკაძე კარგად იცნობდა – აჯანყების ამბავი ქართლში შემოსვლისას გაუმხილა და ისეთ კრიტიკულ ვითარებაში, რომ ზ. ერისთავს პატივმოყვარეობა და სიამყე აგრძნობინა, ქართლის ყოფნა-არყოფნის საკითხიც საიმე-

ლოდ გადაინონა და წერტილიც დაესვა შაჰის გეგმების განხორციელებას.

ზ. ერისთავისთვის ამ დროს მნიშვნელოვანი იქნებოდა ისიც, რომ 1619 წლიდან, ნუგზარ ერისთავის გარდაცვალების დროიდან, ისა და გიორგი ხშირად ერთად იყვნენ ირანში შაჰთან. მან არაგვის ერისთავობა სწორედ სააკაძისაგან შაჰთან წარდგენით მოიპოვა, დავალებული იყო მისგან და უარს ვერ მიახლიდა; მეორე, გიორგი ზურაბ ერისთავის დის მეუღლე გახლდათ და, მესამეც, როგორც უკვე ვთქვით, დიდებისმოყვარე ხარბი ერისთავი ლუარსაბ მეფის დის ლელა-თინათინის სააკაძისაგან იმედის მიცემისაგან მისი ცოლად შერთვითაც მოიხიბლა. ზ. ერისთავმა დიდი მისია იკისრა და ღირსეულად შეასრულა კიდეც.

საკაძისა და ზურაბ ერისთავის ერთიანობას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ქართლის დიდებულთა შემოერთების თვალსაზრისითაც, ასევე ირანში გიორგის ხანგრძლივი ყოფნის გამო მის მიმართ არსებული ეჭვების გასაბათილებლად.

გ. სააკაძემ ეს ყოველივე გაითვალისწინა, სწორად ჩაიფიქრა, დაგეგმა და ხალხთან ერთად გაიმარჯვა კიდეც. ცხადია, საქვეყნო ინტერესები ყოველთვის არ დაემთხვეოდა ზ. ერისთავის პირად მიზნებს. ზურაბმა ლელა-თინათინის ნაცვლად თეიმურაზ I-ის ასული შეირთო, მისთვის სიმამრი უფრო საჭირო შეიქნა და მისი მომხრე გახდა. მათი თანამოაზრეობით ქართული საქმეც ბაზალეთამდე მივიდა და ზ. ერისთავის საქმეც წახდა.

ქართველი მკითხველისთვის ცნობილია ის, რომ ოს-მაღეთში გ. სააკაძის გაძევების შემდეგ სიძე-სიმამრს შორის შავმა კატამ გაირბინა, რაც იმით დამთავრდა, რომ თეიმურაზმა ზ. ერისთავი ღალატით მოაკვლევინა. ნიშანდობლივია ითქვას, რომ ზ. ერისთავი მოქმედებს ისე და იმის გავლენით, ვის გვერდითაც არის. საქართველოს ისტორიაში ზ. ერისთავი ღალატად მხოლოდ სააკაძესთან ურთიერთობით დარჩა.

ის თავადები, რომლებმაც 1612 წლის მაისში გიორგის მოკვლა გადაწყვიტეს, იმასაც ეცდებოდნენ, რომ ხალხის თვალში გაემართლებინათ თავიანთი საქციელი და ჩირქი მოეცხოთ სააკაძისთვის. რაც მეტ აუგს გამოუნახავდნენ მით უფრო მართლები დარჩებოდნენ. არც ისაა გასაკვირი, იმ დროს ქართველი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს დაეჯერებინა სააკაძის შესახებ გავრცელებული მოკლეფხება ჭორები. თუ მტრის მხარე ცდილობდა სააკაძეზე უარყოფითი ჭორების გავრცელებას და ამით მის დისკრედიტაციას, ქვეყნის ერთგულები შეეცდებოდნენ ამ მოგონილი ნაცოდ-ვილარის გაბათილებას. ამას მათივე მრწამსი და ქვეყნის გულშემატკივრობაც ავალებდათ, რომ ხალხის, მოსახლეობის თვალში ტაშისკარის ომის ავტორის მიმართ უნდობლობა არ გაჩენილიყო.

თვით სააკაძეს ხომ ჰყავდა თანამოაზრე ერთგული ხალხი ქართლში. ტაშისკარის ომის სულისჩამდგმელი ბევრისათვის სასურველი მეგობარი, ნათესავი, თანამოაზრე, იმედის შთამნერგავი გახდა და მის მიმართ გულგრილნი ვერ იქნებოდნენ. გავიხსენოთ, თუნდაც, ბააკა ხერხეულიძე, როგორი თავგანწირვით აღუდგა წინ შადიმანის ბანაკს, როცა

მერიქიფისაგან შეიტყო მათი გაცხადებული მიზანი. შეიძლება ითქვას, სააკაძისათვის დამიზნებულ სიკვდილს აუფარა თავისი სიცოცხლე. იზადება კითხვა: რა მოელოდა ქართლს ან მთლიან აღმოსავლეთ საქართველოს სააკაძის მოკვლის შემთხვევაში, მოხდებოდა მარტყოფის ომი თუ გაიზიარებდა ქართლი კახეთის მწარე ხვედრს? ერთი კი ფაქტია: ირანული 30 ათასიანი არმია ქართლის მოსახლეობის დიდ ნაწილს ბოლოს მოუღებდა, ნაწილს კი ირანის გზას გაუყენებდნენ. სწორედ ბააკა ხერხეულიძესა და სხვა მამულიშვილებზე და ქვეყნის უკეთეს მომავალზე ფიქრი აძლებინებდა გიორგის ირანში იმ გრძელ და ძნელ თორმეტ წელიწადს.

მას გულის ერთ ნაწილში შვილი პაატა ჰყავდა, უკვე განწირული და გამოტირებული, გულის მეორე ნაწილში კი – ბააკა ხერხეულიძე და მისი მსგავსი მრავალი ქართველი, რომელთაც, ერთად აღებულს, სამშობლო ერქვა. და როცა სააკაძემ სამშობლო არჩია შვილის სიცოცხლეს, იმ მისგან სამშობლოს თანაგაცდის მოზიარენი იყვნენ მისი პირადი მტრები. ამიტომ სააკაძისგან შვილის შეწირვა სამშობლოსთვის მოძულე მხარის პატიებასაც ნიშნავდა.

საკაძეს ერთგული ხალხის სიყვარული არასოდეს დაკლებია, არც შინ და არც ირანში. ისინი ატყობინებდნენ ყველა ვითარებას, რაც იმჟამად საქართველოში ხდებოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სწორედ საიმედო პირისგან შეიტყო მან ქაიხოსრო ჯავახიშვილის ვერაგი განზრახვა – 1615 წელს ისევ მოკვლას რომ უპირებდა.

მსგავსი საქმე ბაზალეთისწინარე დღეებშიც ისევ დაიგეგმა მისი სამტრო მხრიდან. სააკაძეზე მზრუნველმა

ხალხმა გულთან მიიტანა მის სამტროდ აფოფრილ ნაწილ დიდებულთა და თეიმურაზ I-ის ავი ზრახვანი და უმაღლ შეატყობინა სააკაძეს.

სწორედ ეს ერთგულების მატარებელი ხალხია მისთვის სათაყვანებელი, სამშობლოს თანაგანცდაშიც რომ ესახება, სააკაძემ იცის მათი გულის მოძრაობა, სიტბო, იმედიანი თანადგომა ომებში თუ სხვა გაჭირვების ჟამს. თუ გიორგი მტერს ხელს უწვდიდა და პირად წყენას პატიებდა, საფუძველი ამ მიმტვევებლობისა სწორედ მისი სამეგობრო იყო, რომლებიც ქვეყნისთვის არაფერს იშურებდნენ. სააკაძეს ქართლში დაბრუნებისას, რომ მოენდომებინა, თავისი მამა-პაპეული მიწა-მამულების სამართლიანად უკან დაბრუნება, მაშინვე შეეძლო, მაგრამ მისმა გონიერებამ ეს არ დაუშვა, კონფლიქტს მოერიდა. მისთვის უმთავრესი სულ სხვა – მტრებისთვის სულგრძელობის ჩვენება და ქვეყნის სასარგებლოდ გაერთიანება იყო. დასანანია, რომ ქ. ჯავახიშვილმა და სხვებმა ვერ დაინახეს. კი, აპატია გიორგიმ, თავის ქონებას არ ედავება, ეჭვი ისევ ღრღნის, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, წესიერად ვერ გაუგია, რის გამო დაინდო სააკაძემ, ელოდა სულ სხვა მოპყრობას მისგან, მაგრამ მიიღო სულ საწინააღმდეგო, დადებითი, დამამშვიდებელი. ცოცხალი სააკაძე არაფერს ედავება, მაგრამ რალაც ისევ აშფოთებს. თუ ახლა არა, ხომ შეიძლება მერე მოითხოვოს თავის მიწა-მამულები, ამიტომ მისთვის მკვდარი სააკაძე უკეთესია. ამაზე იქნებოდა გააღმასებული ქ. ჯავახიშვილი და ამის გამოც სცადა სააკაძის მეორეჯერ განადგურება.

საქმეც ამაშია, სააკაძემ იცის ადგილ-მამულებზე

გადაგებულ თავადთა ხარბი ფსიქოლოგია, რომ თუ ისინი ამ კუთხით სააკაძის დაინტერესებას დაინახავენ, საერთოდ ნაკლებად ენდობიან. გიორგიც ითმენდა თავის მამულებზე შორიდან ცქერას იმიტომ, რომ არ დაკნინდეს ქართული ერთიანობა და თვითვე არ გახდეს ამის მიზეზი. ისტორიულ წყაროებში არსად არაა ნახსენები ის, რომ ქართლში ჩამოსულ სააკაძეს პირველ ხანებში თავის მიწა-მამულებზე გაემახვილებინოს ყურადღება.

(ვიციტ ის, რომ სააკაძის ადგილ-მამულები ხოსრომირზამ მის შვილს, იორამს, დაუბრუნა მას შემდეგ, რაც 1632 წელს ქართლის მეფე როსტომი გახდა)

\*\*\*

ჩვენთვის ცნობილია ის, რომ ხოსრო მირზას ირანში ყოფნისას, თავისი მამის მხრიდან დაუდ-ხანი (სიმონ I-ის დიდის ძმა) ქართველი მოსახლეობა აუგად ახსენებდა. ამის გამო ირანის ქართველობიდან არავინ დაინტერესებულა მისით გარდა გ. სააკაძისა.

„ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგი კაცისა ცნობანი“.

„დიდმოურავიანი“

გ. სააკაძემ შაჰის კარის მაღალი ფენის საზოგადოებასთან დააკავშირა ხოსრო-მირზა.

1618 წელს, როდესაც შაჰ-აბასმა ისპაჰანის ტარულა (ქალაქის თავი) თავისივე სიძე მირ-აბდალ-აზინი უპასუხისმგებლო საქციელისთვის გადააყენა, სააკაძეს ჰკითხა, ვინ შეიძლებოდა დაენიშნა ამ თანამდებობაზე. სააკაძემ ხოსრო-მირზა ურჩია (იქნებ ფიქრობდა, რომ მისთვის შეეთავაზებინა). ამ რჩევას უფრო პოლიტიკური ელფერი დაჰკრავს, რომ საიმედო დასაყრდენი ჰყავდეს ირანის კარზე. მისი შორისმჭვრეტელობაც ჩანს მომავალი საქართველოს ბედის წარმატება-აღმავლობისათვის, საძირკვლის შექმნა თავისი მომავალი საბოლოო გეგმების სწორად განხორცილებისათვის.

\*\*\*\*\* გ. სააკაძეს სულ ადვილად შეეძლო ირანში ფუფუნებით ეცხოვრა, იქნებოდა კიდევ სალხინებელში, მით უმეტეს, მას საქართველოში დაუძინებელი მტრობა ელოდა, მაგრამ სააკაძეს თავისი ქვეყანა ეძახდა და უხმობდა, აქ იყო

უფრო საჭირო მისი ენერჯის დახარჯვა; მას რომ გულის სიღრმეში მხოლოდ ირანული განდიდება ჰქონებოდა, რახან შანსიც მიეცა, ის ამ მდგომარეობას გამოიყენებდა, საამისოდ გამართლებას კი თავისი დაულალავი მარჯვენით შეიქმნიდა, მაგრამ მას ბააკა ხერხეულიძის სპეციაკი სული სამშობლოსაკენ ეზიდებოდა, აქ ელოდნენ თავისი თანამოძმენი.

„ხანი რომ დავყავ, მიბოძის, რისაც არ ვიყავ მდომელი; მაგრამ სევდა მწვავს ქვეყნისა, მით ვიყავ ცრემლთა მშრობელი“  
„დიდმოურავიანი.“

საკაძეს შაჰის მსგავსად რომ ემოქმედა, სულ იოლად მოუღებდა ბოლოს მისი ცხოვრების დამაქცევართ, მაგრამ ტაშისკარის ომის გმირს დიდი კაცის თვისებები დანათლული ჰქონდა უზენაესისაგან და თავისი ზნეობრივი მეობის წინააღმდეგ ვერ წავიდოდა. არც წავიდა. ეს ნიშნავს, რომ განონასწორებული გონებით მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების დამცველია და მოყვასისადმი მიმტევებელი. მას, ერგო აენია ეპოქის თვითი, პირადი ტრაგედიისთვისაც გაეძლო და ეს სანიმუშო ქმედებად აღიქმებოდა ქართველ ხალხში, რაც ფუძე-საყრდენად, მისაბამ მაგალითად და შემდეგ – რწმენად გადაქცეული, ქმნიდა ეროვნული თვითშენახვა-გადარჩენის შინაარსიან პირობას.

ახლოვდება დრო ქართლში სააკაძის დაბრუნებისა, მაგრამ იმ ხანებში შაჰმა ქართლში ფ. ციციშვილი დანიშნა გამგებლად. ეს იყო დიპლომატიური ნაბიჯი, დროებით უვნებლობის გამოხატვის ფორმა, რაც თვით შაჰის ინტერესებშიც შედიოდა ქართლში სიმშვიდის შენარჩუნებისათვის; სააკაძის შიშის მომლოდინე თავადთა ნაწილიც შვებით

ამოსუნთქავდა, რადგან მათი ინტერესები შაჰ-აბასისთვის ყურადსაღები ხდებოდა.

„მეც შემედლო ამხანაგთა მახეზლართა მტერობანი, მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი მიცემა და ფერობანი. ამისთვის ვქენ, მე მინდოდა აოხრებულთ შენობანი“.  
„დიდმოურავიანი“

ფ. ციციშვილის გამგებლობით ქართლში სიმშვიდის დროებითი ნიადაგი შემზადდა, შემდგომ მდგომარეობა შეიცვალა და შაჰმა ქართლის მეფე-გამგებლად ბაგრატ-მირზა გამოაცხადა. მან ვერ გამოიჩინა სიმტკიცე, მისი მეფური გავლენა თბილისსა და ბოლნისს არ გასცილებია, ქართველებისათვის ის მიუღებელი იყო მრავალი მიზეზის გამო და უბრალოდ, თათარს ეძახდნენ. მართალია მწიგნობარი და ხელოვნების დიდი მოყვარული იყო, მაგრამ იმ გაჭირვების ყამს ამ კუთხით მისი გარჯა ხალხისათვის ბევრი არაფრის მომცემი იყო.

ბაგრატ-მირზა 1619 წელს გარდაიცვალა. შაჰს ერთი ხანობა ფეიქარ-ხანის დანიშვნა უნდოდა ქართლის გამგებლად, შემდეგ გადაუფიქრია, შესაძლოა, იმის გამოც, რომ მას და ქართლში ხშირად მყოფ სააკაძეს უთანხმოება არ მოსვლოდათ. არჩევანი თავის ცოლის ძმაზე, სიმონ II-ზე გადაიტანა.

საგულისხმოა, შაჰი კარგად შემცნობი იყო ყველა ადამინური ღირსებისა და ნიჭისა, რაც სიმონ მეფეს გააჩნდა, მაგრამ მას მშვენივრად ეცოდინებოდა სიმონ II-ის სუსტი, მეფობისათვის შეუსაბამო თვისებებიც, მაგრამ ქართლის

გამგებლად მაინც ის მიიჩნია. ისმის კითხვა: ვისი იმედით? უნდა ითქვას, მაღალნიჭიერი და გულმტკიცე სააკაძის იმედით, რომელიც თანამრჩევლად დაუნიშნა. ესაა შაჰისგან გამოსხატული დიდი ნდობა და პატივი სააკაძის მიმართ. 1620 წელს სიმონ-ხანმა და გ. სააკაძემ ქართლის მართვის სადავეები შაჰისგან ხელთ ჩაიბარეს. მათთან ერთად იმყოფება 1619 წელს შაჰის და სააკაძისაგან არაგვის ერისთავად დამტკიცებული ზ. ერისთავიც.

რადგან სააკაძეს დიდი მამულიშვილური განაზრახი ჰქონდა და მას სიმონ II-ის თანამემნეობა ხელსაც აძლევდა, გამოიყენა ეს მდგომარეობა და თავის მოძულე მხარესთან შერიგების მიზნით, 1620 წლის სასამართლო მოაწყო (იხ. ზემოთ, გვ?). შიშით და უფრო გაკვირვებით მწყობრში მდგომი ნაწილი თავადები „დაუძმობილდნენ“ დიდსულოვან მეტოქეს.

საკაძეს უკვე შერიგებულ თანამოაზრეთა სიმტკიცისათვის გამოუყენებია მაშინ არსებული კანონმდებლობაც, რაც ითვალისწინებდა მომხრეთა გამრავლებას ქართლის თავადთა გაერთიანების სახით.

ფეოდალური სახლის გაერთიანება ითვალისწინებდა სუსტი ფეოდალების მიერ ძლიერი მფარველის მოპოვებას. გაერთიანება თვით მფარველის ინტერესებშიც შედიოდა, რადგან ამით მისი სიძლიერე უფრო მტკიცდებოდა. 1624 წელს გ. სააკაძის სახლს შეერთებია ზაქარია და იესე ჯავახიშვილების ფეოდალური სამფლობელო „გაერთიანების წიგნით“, რომელშიც ნათქვამია: „მთელი ჩვენი მამული აზნაურებითა და ყმა-გლეხებით თქვენ მოგართვით და დაგანებთ,

ამისათვის, რომე ერთმანეთის პასუხი და ვალის დადება შეგვეძლო (ე.ი. ერთმანეთის დახმარება და მფარველობა შეგვეძლებოდაო, – განმარტავს ისტორიკოსი გივი ჯამბურია), და ამისათვის გავერთდით, რომე მისთა დღეში ერთნი ვყოფილიყავით“.

თვალნათლივ ჩანს, რომ სააკაძე მიზანმიმართულად იღვწის თავდაცვის საშუალებების განმტკიცება-მოპოვებისა და განმტკიცების, რომ ქართლის ერთსულოვნება აღადგინოს და გააძლიეროს. გაჩაღდა ციხე-სიმაგრეთა შეკეთება, აღდგენა, მისასვლელი გზების სამეთვალყურეო ფუნქციისათვის მზადყოფნა, იარაღის გაჭედვა-გაახლება...

ქართლში სიმონ-ხანის მეფედ დანიშვნამ და სააკაძის თანაშემწეობამ, როგორც ჩანს, შედეგი გამოიღო. სოფლად სამეურნეო აღმშენებლობა, რაც მეტი ნდობის მოპოვების პირობას ქმნიდა იგივე სიმონ-ხანთან, ეს მათგან ორივესგან ერთდროულად საკეთებელიც ხომ იყო. მეორე მხრივ, შემრიგებლური პოზიცია სააკაძისგან თავის სამტრო მხარესთან ამთლიანებდა ქართლის მოსახლეობის შეკავშირებასა და ერთად ყოფნის სიმტკიცეს, რაც მომავალი აჯანყებისათვის აუცილებელი იყო.

აქვე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს უნდა გაეხვას ხაზი: ოპონენტურ მხარეს ვეკითხებით: როცა გ. სააკაძე თავის აშკარა მტრებს, კერძოდ, ქართლის დიდებულებს, შერიგების ხელს უწვდის, კახეთის მოსახლეობას, რომელსაც მისთვის არაფერი დაუშავებია, სამტროდ რის გამო მოეკიდებოდა?

შაჰ-აბასის თვალთახედვაში იმ ეტაპზე სააკაძის ასეთი აქტიურობა უნდა აიხსნას, როგორც შაჰის ცოლისძმის სუსტი მხარეების შევსება, როგორც, მაინც შაჰის ნდობით აღჭურვილი პირისადმი ანგარიშის განწევა და პატივისცემის გამოხატვა მის მიმართ, რაც ქართლში სვიმონ II-ის მეფობისას სააკაძის მხარში დგომითაც აიხსნება. ამ ეტაპზე სამეურნეო საქმიანობით ქართლში დასაადგურებული სიმშვიდე შაჰისათვისაც მისაღები იქნებოდა – დროებით მოულოდნელი იარაღის უღარუნის ხმა არსად ისმის, ქარიშხალი ჩამდგარია, მაგრამ ფარულად, შორეულ მღვიმეებში ინროთობა ქართული ხმალ-შუბი...

„მე ქვეყნისათვის რამდენჯერ ვქენ თავის განირვანია, მონმედა მყვანან მრავალნი, არათუ შვიდნი, რვანია“.  
„ვისაც სიჯაბნე შევატყვი, მასაც შევემატო გულია მემკვიდრე მკვიდრზედ მოვიდეს, ვინც იყვნენ დაკარგულია. სიხარულისა დღე გვექონდის, ვით წყლისპირ ალვა რგულია, ამ დღეებისა შემსწრობი სევდით ვარ დადაგულია!“ .  
„დიდმოურავიანი“

უნდა ვივარუდოთ ისიც, რომ სიმონ –ხანთან სააკაძის თანაშემწეობის გამო, მიუხედავად იმისა, რომ შერიგების გზა გახსნილი იყო, სააკაძის მტერი თავადები მაინც შფოთავდნენ, მათ ფსიქოლოგიაში დაღექილ ამბიციებში ისევ ტივტივებდა ხორკლიანი აზრი: რახან სააკაძე, სვიმონ-ხანის თანაშემწეობით, ქართლის ტახტთან ახლოს დგას, იქნება ქართლის ტახტის დაკავებაც სწადიაო. ეს მოდიოდა ჯერ კიდევ 1610 წლიდან, როდესაც შაჰ-აბასმა, ტაშისკარის ომში ოსმალოებზე ქართველების გამარჯვებით კმაყოფილმა, პა-

ტივისცემის გამოსახატავად ირანში მიიწვია ლუარსაბ II, მან კი ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა. მაშინ აიდგა ასეთმა აზრმა ფეხი მათ გონებაში და ბაზალეთის მოვლენებამდეც კი გააჟონა.

ეს ეჭვი გაბათილდა: მარტყოფის ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ, სააკაძის ინიციატივით, გონიოს ციხეში მყოფი იმედგადაწურული თეიმურაზი კახეთისა და უკვე ქართლის საპატრონოდ მოიწვიეს. ეს სააკაძისაგან ცენტრალური ხელისუფლებისადმი ერთგულების გამოხატვა იყო. მარაბდის ომის შემდგომაც იმერეთს თავშეფარებული თეიმურაზი ისევ სააკაძის მეშვეობით გადმოდის აღმოსავლეთ საქართველოს საპატრონოდ.

შეუძლებელია, ნაწილ თავადებს არ დაენახათ სააკაძის სასიკეთო ქმედებები; გრძნობდნენ, კარგადაც გრძნობდნენ იმ ყოველივეს, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა, შაჰისგან გამონწვეულ გართულებებს თვითონაც რომ ხელს უმართავდნენ, მაგრამ სააკაძესთან, მის ამაგიან გულთან დიდებულების მიერ ვერშეგუების შურით ამოძახილი ქირქილი დღესაც კი უძინარია.

შაჰ-აბასი აღმოსავლეთ საქართველოზე მბრძანებლობდა და იმ დროს, ვისაც უფროსის სამტრო პოზიციები დროულად არ ესმოდა, არც იმათ ვენახს ესხმოდა.

ჩვენ ზემოთაც ვთქვით, თუ როგორი ნილაბაფარებული მტერი იყო შაჰ-აბასი საქართველოსი. მისი ერთი საქმე მეფე-დედებულებთან დამოყვრება იყო, მეორე – რადიკალურად განსხვავებული – როგორმე აეყარა და ირანში გად-

ახეზნა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა. ხშირად გვსმენია, სააკაძე რთული პიროვნება იყო. ვერაგი იყო გარემომცველი მტერი, მათი გეგმები და ორ-სამმაგი ფარული მოქმედებები გადაჯაჭვული იყო შინაურ მტრებთან. ცხადია, იქმნებოდა ფარული სირთულეები. იმ ფარული მოვლენების არსში ჩანვდომა, უშეცდომოდ გამოსასვლელი გზის ძებნა ზემალაღი უნარების მოხმობას მოითხოვდა პიროვნებისაგან. ამ რთული გზებით გადახლართული მოვლენებიდან საშველის პოვნა ასევე მტკიცე ნებისყოფის მქონე პიროვნებას ხელეწიფებოდა. ყოველი დროის მტრის გასანადგურებლად ძალის მოხმობას ერი ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს თავისი სიცოცხლისუნარიანობის წინააღიდან გამოიხმოს წინააღმდეგომი ძალა, რომ როგორმე თავი დაიხსნას. იმ ეპოქაში ეს ძალა სააკაძის სახით წარმოჩინდა. არ იყო ადვილი საბრძოლო პოზიციების გზის ძებნა, მაგრამ უფრო რთული ხდებოდა მათი განხორციელება, ვინაიდან მტრის სიმრავლე და შინაურ მოწინააღმდეგეთა ფარული კავშირი შაჰის ჯაშუშებთან ართულებდა მტერზე გამარჯვების მოპოვებას.

გამუდმებულ ომებში მყოფმა საქართველომ მტერთაგან თავის დაღწევის საშუალებად თავისი უტეხი ნიაღის ფესვებში წარმოშვა სიცოცხლის გადამრჩენი მარცვალი და ჩაიკირა იმ ძალით, რომ საუკუნეების ბრუნვაში შეინარჩუნოს ყველაზე აუცილებელი, უწყვეტი, მტკიცე სიცოცხლე წარსულიდან აწმყოში და გაგრძელება მომავალში, თავის თავში გადამრჩენი ძალების მიგნება-მოძიების ძალას ქართულ მოდგმას ეროვნული სიმცირეც აძლევდა.



რადგან მარტყოფის მოვლენებზე ვამახვილებთ ყურადღებას და ის ეპოქა პირდაპირ შაჰ-აბასთანაა დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, ყურადღების გარეშე ვერ დარჩება ძმების, ალავერდი-ხან და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების ირანული მოღვაწეობა, რაც პარალელად გასდევს შაჰ-აბასის ზეობის პერიოდს. უნდილაძენი მყარად ფეხმოკიდებულნი ჩანან, მაშინ იმ ეპოქის იმ გარკვეულ წლებში რა დროშიც ირანი აღმატებულ სახელმწიფოდაა ქცეული. უნდილაძენი დიდი ხარკის და ამაგის გამღებნი იყვნენ ირანისთვის. შაჰის დავალებით მათაც მრავალ ომში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული. გამარჯვებაც ბევრი არგუნეს შაჰ-აბასის ირანს, რის საფუძველზეც მათი აღმავლობა დაშენდა. გავიხსენოთ, მათ მიერ პორტუგალიელების განდევნა ჰორმუზიდან. რის გამოც ირანის მოსახლეობამ გამოხატა მადლიერების გრძნობა და სიმღერებითა და მოლექსეობით ამკობდნენ ირანისთვის მათ დამსახურებას. ისინი იღწვიან და ირანში აშენებენ ხიდებს, ქარვასლებს, სავაჭრო-საურთიერთობო გზებს სხვა ქვეყანასთან დასაკავშირებლად. აშკარაა, მათი მონდომება, უნარები, ნიჭი ხმარდება ირანის კეთილდღეობას. ამით ხდებიან სახელიანები, ანგარიშგასაწევები, ამაყობს ირანელი ხალხი მათ მიერ ირანისათვის გაღებული ამაგით, ყველაზე მეტად კი ამაყობს და პატივს მიაგებს მათ ღვანლს შაჰ-აბასი. ე.ი უნდა ითქვას, რომ ქართველი ძმები ალავერდი-ხან უნდილაძე და იმამ-ყული-ხან უნდილაძეების დაუშრეტელი ოფლის ღვრით შენდება და დიდდება ირანის სახელმწიფოს ძალმოსილება. მათ პრივილეგირებული აღმატებული მდგომარეობა დამსახურებულად ჰქონდათ მიღებული; გამომდინარე მათგან დახარჯული ენერჯისა, ნიჭისა და შაჰისადმი



ისპაჰანის სასახლე შაჰ-აბას I-ს ბგერლს უმჯინებს დიდი-ბულთა შორის პირველი – ალავერდი-ხანი უნდილაძე

გამოჩენილ ერთგულების ხარჯზე. თვით შაჰ-აბასსაც საპატიო ყურადღების ცენტრში ჰყავდა ძმები უნდილაძეები, ანგარიშ უწევდა მათ წინადადებებს და რჩევებსაც ეკითხებოდა მისთვის საინტერესო მოვლენებისა თუ სათადარიგო საომარი გეგმების განხორციელების საკითხებში. საკმარისია ითქვას რომ შირაზი, სადაც 10 წელი ცხოვრობდა ქეთევან დედოფალი, იმამ-ყული-ხან უნდილაძის სამფლობელო იყო. იგი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვალ-ყურს ქეთევან დედოფლის ათწლიან ირანულ ცხოვრებას. დედოფალს თავისი შვილიშვილების ბედის მომკითხავს, უნდილაძისგან გაფრთხილებული გიორგი ხუცესი აუწყებდა, რომ ისინი შაჰ-აბასის კარზე იმყოფებიან და მისი მეთვალყურეობის ქვეშ აღზრდით არიან დაკავებულნიო. დედოფლისათვის საიდუმლოდ იყო დარჩენილი, როგორ დასაჯა შაჰმა მისი შთამომავალნი, მას ისინი პირდაპირი სიკვდილით არ დაუსჯია, დაახოჯავა, მაგრამ ხომ გაიმეტა სამუდამოდ, არა ვარგის როგორც კაცებისა და თუნდაც მეფობის არასრულფასოვანი მდგომარეობისათვის. როგორ მოკვდა ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ლევანი. შაჰის ასეთი პოზიცია კი გვეუბნება იმას, რომ კახეთის, როგორც სამეფო დინასტიის გამგრძელებლები მოსპო ირანში. შაჰის ყურადღების ქვეშ მყოფი ქეთევანის ირანში ყოფნა ავი მოლოდინისთვის იყო განპირობებული, რახან კახეთი ქედ-მოუდრეკელი აღმოჩნდა, ქეთევანის შვილი თეიმურაზი გამუდმებით რუსეთისკენ იმზირებოდა, როგორც მართლმადიდებელი ქვეყანა მფარველად ესახებოდა. იქიდან ირანში ჩასული ელჩებიც ხშირად ახსენებდნენ შაჰ-აბასს ქეთევან დედოფლის მდგომარეობას, ბოლოს შაჰმა მიიღო გადაწყვეტილება დედოფალი გაემაჰ-

მადიანებინა, მან საჭიროდ ჩათვალა იმამ-ყული-ხან უნდილაძისათვის დაევალებინა ეს საქმე. მათი მიზანი იქნებოდა დედოფლისათვის თავიანთი სარწმუნოება თავს მოეხვიათ. უნდილაძე ცალკე დამატებით, ცდილობს დედოფლის დაყოფილებას, განუმარტავს შაჰის დანაპირებს, რომ მას ცოლად შეირთავს და საამურ პირობებში ამყოფებებს, ოღონდ მიიღოს მაჰმადიანობა, გარეგნულად მაინც აღიაროს სპარსელ ხალხთა მოსაჩვენებლად. გულით კი ისევ ქრისტიანად დარჩეს. უნდილაძისაგან მუდარა თვალსაჩინოა, ცრემლებიც კი ჩამოსდის, რომ უფრო ღრმად იფიქროს ქეთევან დედოფალმა თავის მდგომარეობაზე, როგორმე რამე ხერხით სიკვდილი აიცილოს თავიდან. განა არ შეეძლო ბებიით ქართველი შაჰ-აბასს გაეხარებინა უნდილაძის გული და ქეთევან დედოფლის ნამებაზე ხელი აეღო?! მაგრამ „უდრეკ იყო დედოფალი“ და მიიღო კიდეც ღვანლი მონამეთა. შაჰ-აბასის პოლიტიკის ღრმად მცოდნე უნდილაძე ქეთევან დედოფალმა თავისი უტეხი გადანყვებილებით დააფიქრა, თუ როგორი სამსახური სჭირდებოდა სამშობლოს.

### ქეთევან დედოფლის პასუხი:

ჩემო კეთილის მსურველო უნდილაძე, შენმა ხელმწიფემ, რომ კახეთი არ აეოხრებინა ამის გამო ვეახელ მას, თუმცა ჩემი ყოველგავრი ცდა უშედეგოდ დამთავრდა, მან ჩემი ქვეყანა ოთხჯერ ააოხრა, განყვიტა მოსახლეობის დიდი ნაწილი, მრავალი ათეული ათასობით ტყვე აქ სპარსეთში გამოერეკა, განა შენ ვერ ხედავ სპარსელებზე მონებად რომ გაუყიდიათ. მათი ცრემლ-შეუშრობელი გმინვა ყოველ-ლამ სულის ტკივილად ჩამესმის, მე მათი დედო-



შირაზი ქეთევან-დედოფალი წამების წინ

ფალი ვარ, მათზე ზრუნვა ჩემი ადამიანური ყოფიდან უნდა გამოვხატო. რახან ვერაფერი შევება მიმიცია ფიზიკური ხელყოფისაგან, ჩემი სული მაღალ ღმერთს უნდა შევსთხოვო, რომ მათი ზნეობის სიმტკიცისათვის ჩემი ქრისტიანული არსებობა მიმიძღვნია, ჩემი ქვეყნის გამტიალებელი ახლა ჩემგანაც მოითხოვს ქრისტიანული სარწმუნოება შევიცვალო. იმ სარწმუნოებისა ჩემი დაბადებისთანავე ჩემსავე სულში რომ დანთებულა, ეს წლები შაჰ-აბასის ვარამიან გარემოში გავატარე, სადაც ათი წელი იმის საშუალება მაინც მომეცა რომ ჩემს ქვეყანაზე მელოცა, ახლა რას ითხოვთ ჩემგან, ის ათი წელი, რაც მე ჩემი სამშობლოსათვის რუდუნებით ცრემლი მიღვრია, ისაც წავართვა და ამითაც კიდევ გული დავწყვიტო ჩემს ხალხს, ჩავუქრო ის ნათელი სხივი რომლის იმედად მდუმარენი მე შემომყურებენ. ერთადერთი ტკივილების ჩამცხრობი სალბუნი ჩვენი ქვეყნისათვის ქრისტიანული სარწმუნოებაა, რომლის შენარჩუნება და განმტკიცება უზენაესისაგან მე დამევალა, ხოლო ქრისტეს რჯულის ხელყოფა არც შენს ბატონს ძალუძს და არც მის მიმდევრებსო.

იმამ-ყული-ხან უნდილაძემ, სულ-ამომქრალმა, უსიტყვოდ დატოვა დედოფლის სამყოფელი.

შაჰ-აბასმა უნდილაძის მეშვეობით, სცადა ზეგავლენა მოეხდინა ქეთევანზე, მაგრამ შედეგი არ გამოიღო. ამიტომ მაჰმადიანური წესების გულ-ბოროტმა აღმასრულებელმა საბოლოოდ გადაწყვიტა წამება ქართველი დედოფლისა. ვფიქრობ შაჰის განრისხების უფრო დიდი მიზეზი, დედოფლის მის ცოლობაზე უარის თქმა იყო.

შაჰ-აბასის პოლიტიკა ასეთი იყო, ისლამის მოწინააღმდეგენი უნდა მოესპო, იგივე ისლამის მაღიარებლები კი უნდა განედიდებინა. მას რომ დიდ პატივში ჰყავდა უნდილაძენი, მისგან უკვე საქმით დამტკიცებულ ვითარებებშიც ჩანს. კერძოდ, ალავერდი-ხან უნდილაძის უმცროსი ვაჟი დაუდ-ხანი, შაჰ-აბასისაგან დანიშნული იყო განჯა-ყარაბაღის ბეგლარ-ბეგად, ხოლო იმამ-ყული-ხანის ვაჟი სეფი-ყული-ხანი ლარის ბეგლარ-ბეგად. იმამ-ყული-ხან უნდილაძეს კიდევ სამი ქალი ჰყავდა, სამივე ირანელ ქართველებზე გათხოვილი. უნდილაძეების ქართულ სისხლს მზიანი დღეები დასდგომოდათ ირანის ცის ქვეშ. აქედან წარმოიშვებოდა ორი უკიდურესობა:

1. უნდილაძეების დაუშრეტელი ოფლის ღვრით შენდება და დიდდება ირანის სახელმწიფოს ძალმოსილება
2. უნდილაძეების მფარველი და დამფასებელი ირანის მეფე, ხელმწიფე შაჰ-აბასი კი მოემართება საქართველოსკენ მოსახლეობის სისხლის დასაქცევად. მისი ავი ბუნება ასე იკითხება, ანგრევდა სხვა ქვეყნებს და აშენებდა თავისას.

საკითხავია, როდესაც შაჰ-აბასმა გადაწყვეტილება მიიღო კახეთზე ლაშქრობისა ამ მოსაზრებულ გეგმას გაუზიარებდა თუ არა უნდილაძეებს?

რახან ცნობილია რომ შაჰი, მრავალ საკითხთა გადაწყვეტაში უნდილაძეების, როგორც ავტორიტეტების რჩევას იზიარებდა. ამ კუთხით უნდა ვიფიქროთ რომ იგი კახეთზე

ლაშქრობისასაც მათ რჩევას ჰკითხავდა. უნდილაძეების აზრით იგი აუცილებლად დაინტერესდებოდა. აქ მთავარია რა პასუხი მიიღო შაჰმა უნდილაძეებისგან ხსენებული საკითხის გადწყვეტისას. იქ არსებული მდგომარეობა კი გვკარნახობს იმას, რომ თუ შაჰ-აბასი ასე იღვწის თავისი ქვეყნის ე.ი სამშობლოს აღორძინება დიდებისათვის. რატომ არ უნდა ვივარაუდოთ, რომ შაჰ-აბასის მსგავსად უნდა ეზრუნათ და ეფიქრათ უნდილაძეებს თავისი სამშობლოს საქართველოს საკეთილდღეოდ. მთავარია როგორ უნდა გამოხატულიყო მათგან საქართველოზე ზრუნვის ფორმა. შეეძლოთ პრაქტიკულად ან კონსპირაციულად ემოქმედათ, ეძლეოდათ ამის საშუალება თუ არა? ისმება კითხვა: შაჰი მათი რჩევების გარეშე წამოვიდოდა საქართველოსკენ სალაშქროდ? ერთი მოვლენა კი ცხადს ჰყოფს, რომ ამოდენა ათიათასობით ყიზილბაშურ ჯარს, უნდილაძეებისაგან მალულად, ლაშქრობისათვის ირანიდან ვერ გამოიყვანდა. ვინაიდან მთელი ირანული მოსახლეობისათვის ცნობილი გახდებოდა ირანის ლაშქრობა საქართველოზე. მაშ რაღა დარჩა? ერთი ვარიანტი, უნდილაძეებმა იცოდნენ შაჰისაგან საქართველოზე ლაშქრობის შესახებ. არის მოსაზრება, შაჰის თვისებებიდან მომდინარე, საქართველოზე სალაშქრო სამზადისისას, იგი თავის აცილების მიზნით მათ სპეციალურად მომზადებული გეგმით ირანის რომელიმე კუთხეში გააგზავნიდა, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ბოლოს რახან ყოველივე ცნობილი გახდებოდა, საქართველოდან უკვე ვითომ გამარჯვებული შაჰ-აბასი, ირანს დაბრუნდებოდა, თავისი ჩვეული ხერხით, თავს გაიმართლებდა, ეს ყოველივე დიდი ალაჰის შთაგონებით აღვასრულო. ვინ

ნავიდოდა წინააღმდეგი? შესაძლოა შაჰს, როგორც დიდ ტაქტიკოსს, გამოეძებნა უნდილაძეებთან სათქმელის ფორმა და მიემართა ვითომ თხოვნით. თქვენ, უნდილაძეები, მხარში უნდა ამოუდგეთ დიდი ალაჰის მოციქულს „ირანის ლომს“ გურჯისტანის მოსათვი-ნიერებლადო. შაჰს ზედ-მინეწვით ეცოდინებოდა უნდილაძეების ბუნება, რომ ისინი გურჯისტანზე სალაშქროდ წამოსვლაზე უარს იტყოდნენ. რახან შაჰმა წინასწარ იცოდა თუ რა პასუხს მიიღებდა უნდილაძეებისაგან. შაჰის ტაქტიკით კი მათთვის გეგმის გამხელაც გამოვიდოდა და რჩევის ფორმადაც აისახებოდა. როდესაც შაჰი უნდილაძეებისაგან უარს მიიღებდა, (მისთვის ხომ ასე იყო სასურველი) შემდეგ ეტყოდა, კარგით, დარჩით თქვენ ირანში და მე ჩემი ირანელი სარდლებით თვითონ მოუვლი გურჯისტანსო! შაჰისაგან ასეთ ტაქტიკაში ხომ იგულისხმებოდა მათ მიმართ ანგარიშის განევა, არ ჩაგრიეთ, არ მიგაღებინეთ მონაწილეობა სალაშქროდ გურჯისტანზე, თქვენზე მუდამ მწყალობელმა დიდმა შაჰმაო. ამით ამოისუნთქავდნენ უნდილაძენი! სიტყვა ვერ ამოვა პირიდან სათქმელად იმისა, რომ უნდილაძეებს ოდნავაც რომ გახარებოდათ, საქართველოზე შაჰ-აბასის ლაშქრობა. ყოვლად წარმოუდგენელია! მაგრამ უსუსურობა მათი მხრიდან წინააღმდეგობის ვერ გამოხატვა ასეთ რთულ, მძიმე საკითხებში ხომ აშკარაა! ისინი რომ ირანის ქვეყანას ამშვენებდნენ, ამის გამო შაჰის კარზე ირანის გავლენიან პირებს, თუნდაც ყორჩიხა-ხანს, იუსუფ-ხანს, ისა-ხან-ყორჩიბაშს, შაჰ-ბენდე-ხანს, ამირგუნე-ხანს, უნდა მოეხდინათ, ვფიქრობ გავლენა შაჰ-აბასზე. მით უმეტეს ასეთი დამსახურების ადამიანებისათვის ძმები უნდილაძეებისათვის ანგარიში უნდა გაენიათ.

მაგრამ შაჰ-აბასის ხასიათი გულქვა და მხოლოდ ერთ-პიროვნული იყო. უნდილაძეთა მდგომარეობის ასახსნელად მართებულია ითქვას მარტინ ლუთერის სიტყვები „აქა ვდგავარ და სხვანაირად არ ძალმიძს“. მათაც სხვანაირად არ ძალუძდათ. ვისაც ძალუძდა და მტრის წინააღმდეგ ხელის გამოლება შეეძლო, ეს კაცი იყო გ. სააკაძე, რომლის გარჯამოქმედებანი თვალნათლივ დაგვანახებს, თავის ხასიათებს და იმ დროში მოღვაწე პიროვნებების თვისება-ხასიათებსაც. აღნიშნული მოვლენების განხილვა ხდება 1614-1617 წლებში შაჰ-აბასისაგან იავარქმნილი კახეთიდან მრავალი ათასობით ტყვე იქნა წაყვანილი ირანში, სადაც უკიდურესად ცუდ მდგომარეობაში მყოფთ, სასონარკვეთილებს, დაავადმყოფებულებს ძლივს ედგათ პირში სული. როგორი სანახავი იქნებოდა უნდილაძეებისათვის თავიანთი სამშობლოდან აყრილი ხალხის ბედ-იღბალი. ისინი ამ დროს თავიანთ თავს უფროთხილდებიან და ირანის აღმშენებლობას უწყობენ ხელს, იბადება სულის შემხუთავი კითხვა: ირანზე გადაგებული, მათზე მზრუნველნი, დიდი ავტორიტეტის მქონეთ, რატომ არ გააჩნდათ განცდა? ან ვერ გამონახეს გზა, შაჰისაგან აეცილებინათ კახეთში დატრიალებული ავბედითი დღეები? ხსენებულ წლებში გ. სააკაძეც ირანში იმყოფებოდა, მისი თვალითაც ნანახი ყველა ის ვაება, რაც ჩაჰყვებოდათ ლტოლვილ ქართველებს ირანში, მისი გონება ხომ ჩაულრმავდებოდა ძმები უნდილაძეების სამშობლოსათვის ურგებ და პირადი კეთილდღეობისათვის მარგებ მდგომარეობაში. შაჰს ოღონდ საქართველოზე ლაშქრობა არ ებრძანა მათთვის, ერთის მაგიერ ორ ხიდს ააშენებდნენ. საქართველოზე ირანის ლაშქრობა რომ არაფრით არ ახარებდათ მათ უტყუ-

არი ფაქტია. ეს არ ახარებდათ, იოლი სათქმელია, ამის იქით რას ცვლიდნენ? სამშობლოს საკეთილდღეოდ. არ შეიძლება ბოდა გამონახულიყო გზა მათი მხრიდან ისეთი, როგორც სავაჭრო ურთიერთობებშია ცნობილი დღესაც და მაშინაც. მით უმეტეს, ალებ-მიცემობა, ვაჭრობაშიც დიდი წარმატებები ჰქონდათ ეთქვათ მოდი ჩვენ ჩვენი ძალებით ავაშენებთ მეჩეთებს, გავხსნით ახალ სავაჭრო გზებს და რაც ახალი ფინანსური დოვლათი დაგროვდება, უსასყიდლოდ შევიტანოთ ირანის სახელმწიფო ხაზინაში, ოღონდ ხელი აელო შაჰს საქართველოში ლაშქრობაზე. ასეთი მოსაზრებებით ჩვენ მხოლოდ უნდილაძეთა ხასიათის შეცნობა გვწადია, ისინი თავს არიდებდნენ შაჰის წინადადებებს აღმოსავლეთ საქართველოს ბედის გადანყვეტაში. შაჰი არ ცვლის თავის გეგმებს, მით უმეტეს მისი მიზანი იყო სამხრეთ კავკასია და იქ მყოფი ქვეყნები ყველა გაემუხულმანებინა. კახეთის აოხრებით რა წარმატებები მოუტანა შაჰმა ირანს, თავისი ჟინიანი ატეხილობით, ქართველი ხალხის დაპყრობას რომ ცდილობდა? მოსახლეობის დიდი ნაწილი ომში დაიღუპა, მეორე დიდი ნაწილი გზაში, მესამე დიდი ნაწილი ირანში ჩასვლის მერე დაიღუპა, რაც დარჩა, ყველაზე მწირ და მოუსავლიან ადგილებზე დაასახლა, ამითი რა შედეგი მიიღო და კიდევ შაჰისაგან კახეთში ჩატარებულ ოპერაციებს ათასობით და მრავალ ათასობით ყიზილბაში შეეწირა იმ სავარამო და სავალალო დროში, ერთი დიდი სანუხარი ყველა სანუხართა შორის მართლაც დღემდე დარჩენილა ქართველებისათვის. ეს არის ქართული განძი, ოქრო და ვერცხლი და მრავალი ხელით ნაკეთობანი, რაც მაშინ ქვეყნიდან გაიზიდა. შაჰისაგან აღმოსავლეთ საქართველოს დამბლა დაეცა იმ ათი ათასო-

ბით ქართველისაგან, რომელნიც ირანისაკენ გაირეკეს მით უმეტეს არ დაგვავიწყდეს, რჩეული ახალგაზრდობა, სილამაზით თუ აღნაგობით გამორჩეულნი, ხანში შესულები და მოხუცები მათ არ სჭირდებოდათ.

როდესაც გვიხდება ამგვარი მოვლენების განხილვა, მარტო უნდილაძეებზე ვერ შევაჩერებთ ყურადღებას; იმ დროს ირანში იყვნენ და მოღვაწეობდნენ სხვა ქართველებიც, რომელნიც, შეიძლება ითქვას არც ნაკლები ფინანსური შეძლებისა და პასუხისმგებელი თანამდებობის პატრონები იყვნენ მათგანაც ისევე მოსაკითხია საქართველოს ბედ-იბალისათვის მათი საქმიანობა.

ესენი იყვნენ: ფეროს-სულთან ქართველი – ბეგლარ-ბეგი დარუბანდისა; სეფი-ყული-ხანი შირ-ალი ქართველი – ბეგლარ-ბეგი არაბული ერაციისა; ჯემშიდ-სულთან ქართველი – ბეგლარ-ბეგი ავშარისა და ხორასნისა; ალი-ყული-ბეგ სააკაძე – სპასალარი და ბეგლარ-ბეგი თავრიზისა. გააკეთეს მათ რაიმე თავიანთი ქვეყნისათვის? ყველას რომ სააკაძის მეთაურობით ეზრუნა და ეფიქრა საქართველოსათვის, შესაძლოა, კახეთი ასე არ განადგურებულიყო. (არას ვამბობთ ირანში, თავის ნებით თუ იძულებით, მოხვედრილ იმ ქართველებზე, რომელიც ბევრიც იყო, მაგრამ მთავარი აქ რა არის, ზოგ მათგანს თავის გატანის საშუალება არ ჰქონდა, ამიტომ ბევრსაც უნდა მივუტევოთ, აქ საუბარია პოლიტიკურ თუ ნივთიერად შეძლებულ ქართველებზე, ისინი უნდა ყოფილიყვნენ სხვათათვის მაგალითის მიმცემნი).

და როცა ჩვენ მარტყოფის ომის შინაარსზე ვსაუბრობთ, მისი ხასიათები, ვფიქრობ, იმ მოვლენებიდან აით-

ვალა, აითვალა სააკაძის მხრიდან ირანში ყოფნის დროს, სადაც მან დაინახა და შეიგრძნო შაჰ-აბასისა და წარჩინებულ ქართველთა ურთიერთობა, საქართველოსათვის რომ არაფერ შეღავათს არ იძლეოდა. დაინახა, რომ შაჰი ამბიციური იყო და თავისი გონებით წყვეტდა მისთვის ყველა სასურველ მოვლენას და საქართველოს ბედსაც. ე.ი. სააკაძისთვის ყველაფერი წინ დაიდო ნათელ-ხილულად და რეალურად. მას ბაკა ხერხეულიძის სუფთა სინდისი კვლავდაკვლავ გულში ეჯდა და თავს ახსენებდა, ქართულმა მხარის ცოდვილმა ნაწილმა გასაწირად გაიმეტა, სული დაუხუთა, ეიფორიაში ჩააგდო, მაგრამ ნავკისის იმ ქუფრიანი ღამის წყვილადში გადაძახებული ხერხეულიძის ხმა – თავს უშველვე გიორგო. ნონასწორობას უნარჩუნებდა და იქ ირანშიც არ ასვენებდა, მისი ხმით სამშობლო ეძახდა და ელოდებოდა. სწორედ ხერხეულიძის გადამრჩენელმა ხმამ ჩაახედა იმ სიღრმეებში, რაც ირანში ხდებოდა, გახელილი თვალი უფრო აუხილა. რენტგენის შემცველობის უნარით შეიმოსა და უნდილაძეთა თუ სხვა იქ მოღვაწე ქართველთა გულის კედლები გამჭვირვალე გახადა, დალაგდა მის ცნობიერებაში ყველაფერი, ვინ ვინ იყო და ქვეყნის საპატრონოდ ვისი და რისი შნო ჰქონდა. ადამიანური ენერგია ვის რისთვის ან ვისთვის ჰქონდა გამეტებული, გამოისახა და გამოჩნდა პირადულში მეტის მდომნი იყვნენ თუ საზოგადოდ ქვეყნისათვის.

თვალსაჩინო ხდება ერთი გარემოებაც: სააკაძისაგან იმ დროს ირანელ ქართველთა საზეპურო საზოგადოების წრეებში ღრმა ურთიერთობები არა ჩანს გარდა დელიკატური, პოლიტიკური აუცილებლობისა, ისე, რამდენადაც ითხოვს და ესაჭიროება იმ მომენტებში არსებულ ვითარე-

ბასა და კონკრეტულ საქმეს, არც მეტი არც ნაკლები განსზღვრული და ზომიერი. ამიტომ გ. სააკაძის სიახლოვე ხოსრო-მირზასთან სხვაა, სულისმიერ და აზრობრივ, ქვეყნის სასარგებლო ერთიანობას ნიშნავს. საიდან დაიწყო ათვლა მათი საერთო ენის გამონახვამ, გარდა იმისამ რომ ის დედით ნავკისელი გლეხის ქალი იყო, ამასაც უნდა გამოელო მნიშვნელოვანი შედეგი ურთიერთობათა მიმართებაში, უნდილაძეთა ფონზე როგორ ისახებოდა მისი პორტრეტის კონტურები. რითი უნდა დაინტერესებულიყო უპირველესად სააკაძე ხოსრო-მირზათი? ალბათ, ერთ-ერთი ხანგრძლივი ფსიქოლოგიური დაკვირვებებით, განსჯით, საერთო აზრი სხვადასხვა საკითხების ირგვლივ არსებული თუ მოსალოდნელი მოვლენების მხრივ, დასკვნების გამოტანა, შეხედულება, განსაზღვრა და შეფასების სისწორე უნდილაძეთა და სხვა ირანში წარმატებულ ქართველთა საქმიანობის შესახებ, მათი აღმატებულება, შესაძლებლობები და ზრუნვის ხარისხის განსაზღვრებები საქართველოსთან მიმართებაში. აინტერესებდათ თუ არა სამშობლოს ყოფა და თუ აინტერესებდეთ რით ან სად ჩანდა მათგან ზრუნვის შედეგი.

ჩვენ რაზეც რეალურად შეგვიძლია რაიმე მოსაზრების თქმა, ალბათ, ერთ-ერთი ის არის, რომ ორივე – გ. სააკაძეც და ხოსრო-მირზაც საქართველოს ბედ-იღბალს გულის სიღრმის თვალეზით უყურებენ. ანუხებთ, შფოთავენ და გამოსავალი გზების პოვნასაც ცდილობენ. მაშ საიდან უნდა ვიფიქროთ ის მოვლენა, რომ გ. სააკაძემ ღრმა სამეგობრო გულის მრწამსით დაკავშირება იქ მყოფ ქართველებთან ვერავისთან თუ არავისთან ვერ მოახერხა, მაგრამ აი, ხოსრო-მირზასთან კიდევ ისურვა და მოახერხა. მათ საერთო ენა



გამონახეს, რით ან რაში აისახებოდა სააკაძისა და ხოსრო-მირზას საერთო ენის გამონახვა.

თვით ხოსრო-მირზა, დაუდ-ხანის შვილი, დევნილი იყო საქართველოდან. მიზეზი კი დაუდ-ხანის არასამართლიანი დამოკიდებულება იყო თავის ძმასთან სიმონ I-თან. მათ შორის ე.ი. ძმათა შორის შეტაკებაც მოხდა, იგი დამარცხდა. შემდეგ იძულებული გახდა ირანისათვის შეეფარებინა თავი, შვილთან – ხოსრო-მირზასთან და ცოლთან ერთად. დაუდ-ხანი ირანული ორიენტაციის მატარებელი იყო. ირანში ჩასულები, როგორც ისინი მოელოდნენ, არ იყვნენ კარგ პირობებში. მათთვის თავს არავინ იტკივებდა, მით უმეტეს მისი მამის – დაუდ-ხანის გამოც. იგი გაუნონასწორებელი ადამიანი იყო და ირანის მოსახლეობისა და იქ მყოფ ირანელ ქართველებს შორის უნდობლობის განცდას ტოვებდა. შაჰ-ისმაილსაც დროებით სჭირდებოდა იგი. იმ დროის საქართველოსა და ირანს შორის საურთიერთობო მიზნებისთვის სიმონ I მეტად საიმედოდ მიაჩნდათ, გამომდინარე ოსმალეთთან ირანის დაპირისპირების საფუძველზე.

ასეთი ვითარებიდან გამომდინარე ხოსრო-მირზა არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა და მისი ოჯახი. ე.ი. თავისი მამის ამბიციური პოზიციებიდან გამომდინარე საქართველოდან დევნილი შეიქმნა ხოსრო-მირზა, მხოლოდ მსუბუქ ფორმებში სააკაძესთან შედარებით. ე.ი. მათი საერთო ენის გამონახვის პირველი საფუძველები ორივეს დევნილობა იყო, მაგრამ ამ დევნილობაში მათ შორის დიდი სხვაობანიც, კერძოდ, სააკაძე „ტაშისკარის ომის“ ორგანიზატორი, ქართველი ერის წინაშე ამაგდადებული და მეტად

გამორჩეული, შემდეგ მოშურნეობის ნიადაგზე ქვეყნიდან გაძევებული.

ხოსრო-მირზა დაუდ-ხანის შვილი იგი ძმაზე სიმონ I-მეფეზე – ნაკიდებული, ქართლის ტახტის მადიებელი და შემდეგ თავისივე ამბიციებით დამდგარი ირანის გზაზე.

თვით ხოსრო-მირზას მამას დაუდ-ხანსაც საქართველოში ჰყავდა მომხრეები, და არც თუ მცირე ჯგუფი, მაგრამ ქართული ეროვნული სამართლიანობა სიმონ I-მეფის გვერდით იდგა.

ამ ორ პიროვნებას – სააკაძესა და ხოსრო-მირზას შორის საერთო ენის გამონახვის საფუძველი, ვფიქრობ, გასაგებია. მათ ერთმანეთის ტკივილი ესმოდათ, შეიძლება ითქვას, რომ ერთმანეთიც სტკიოდათ. ძირით-ძირობამდის გაშიფრული ექნებოდათ საქართველოში მიმდინარე მოვლენები, შედარებას მოახდენდნენ ირანში განვითარებულ მოვლენებზეც. ეს იმ ვითარებებში, როცა უკვე შაჰი საქართველოში ლაშქრობებს ახდენდა. მართალია, ხოსრო-მირზას მამა – დაუდ-ხანი საქართველოსათვის არასასურველი პირი იყო, მაგრამ ბიძამისი – სიმონ I ხომ იყო დიდი ღირსებებით სავსე და ხოსრო-მირზასთვის სწორედ სიმონ I გახდებოდა მისაბაძი მაგალითი. ვინაიდან მათში ერთი გენეტიკური სისხლიც ჩქეფდა. და თუ ისტორიული თვალეებით გადავხედავთ მათ, სიმონ I-ისა და ხოსრო-მირზას გზებს, დავინახავთ, რომ ხოსრო-მირზა ბიძას უფრო ჰგავს ვიდრე, მამას, რათქმაუნდა, თავიანთი ნაღვან-ნაშენით, შედარებითობის მომენტი. არც ის უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვინაიდან ხოსრო-მირზა სააკაძისგან იყო ირანში დაკვალთანებული, მისთ-

ვის როგორც იდეოლოგი, ქართული იდეების გამტარებელი, შეეცდებოდა ხოსრო-მირზაში სწორი სამართლიანი პატრიოტული მარცვლების გაღვივებას, რის საშუალებას აძლევდა ის რომ თვითონაც სიმონ I მეფის აღზრდილი იყო.

შაჰ-აბასის წინადადებაზე, თუ ვის შეიძლებოდა დაეკავებინა ისპაჰანის ტარულის პოსტი, სააკაძის მიერ ღირსეულად წარდგენილი ხოსრო-მირზა ამ პოსტზე, ღირსეული ერთგულების შემსრულებელი გახდებოდა ჯერ შაჰისათვის, მერე სააკაძისათვის. ფაქტიურად ორივე ერთნაირ მდგომარეობაში არიან, მოჩვენებითი ერთგულება უნდა გამოხატონ შაჰთან, მეორეს მხრივ კი თავიანთ ქვეყანაზე იზრუნონ. რადგან შაჰს სააკაძემ ხოსრო-მირზა წარუდგინა ისპაჰანის მმართველად (ტარულად), ასეთი პოზიციით წინასწარ მოიმზადა მყარი ნიადაგი, ურთიერთ-თანამოაზრობით საქართველოს ბედზე ეზრუნათ, ირანში საიმედო კაცი ჰყოლოდა და მისაგან დავალებულიც, ე.ი. ხოსრო-მირზა თავისი შესაძლებლობების საფუძველზე დავალებულიც შეიქნა სააკაძის მიმართ. მათი ურთიერთობების საქმით დატვირთულ შედეგებს ჩვენ ბევრჯერ შევეხებით.

საკითხავია, მარტყოფის წინარე მოვლენებში, რაც ირანშივე მზადდებოდა, იქნებოდა ცნობილი ხოსრო-მირზასათვის ეს მოვლენა. თუ არა მაშ რისთვის ჭირდებოდა სააკაძეს ნიადაგების მომზადება? ასე ვთქვათ პოზიციების სიმტკიცე, თანადგომა, გაზიარება ყველა საჭირ-ბოროტო მოვლენისა თუ არა მომავალი აჯანყებისათვის მზადება? სავარაუდოა რომ ხოსრო-მირზას მარტყოფის აჯანყების ამბავის შესახებ ყველა ნიუანსი უნდა სცოდნოდა.

მარტყოფის ომის შინაარსი და მნიშვნელობა ქართველი ერისათვის მეტად დამაფიქრებელი და ამ მხრივ მრავალი კუთხით ანგარიშგასანევია, გამომდინარე იქიდან რომ საქართველოდან გაძევებული კაცის მიერ იქნა ორგანიზებული.

1. ამ გაძევებულ ადამიანს, გ. სააკაძეს, ორივე მხრიდან მოთვალთვალე და მოყურადე მუდამ ჩასაფრებული ჰყავდა.
2. მისი სამტრო მხარისაგან, ქართული მოსახლეობის გარკვეული ნაწილის თვალთა ხედვა, მერყევე მდგომარეობაში იქნებოდა დარჩენილი.

მარტყოფის ომის ძირითადი განმსაზღვრელი ფსიქოლო-გიური მდგომარეობა იქნებოდა, რის მოპოვებასა და შენარჩუნებას დიდი ენერგია დასჭირდებოდა, რაც ზომიერ ტაქტიკას, მოთმინებას და ნებისყოფას საჭიროებდა. ომის გეგმა საომარი სამზადისის, ატმოსფეროს გაკრისტალებას ითხოვდა უპირველესად ერთსულოვნების განმტკიცებისათვის.

მართალია, სააკაძეს საქართველოში ჰყავდა გულითა და სულით თანამზრახველნი, მაგრამ მისი მოძულე მხარის ავი საქმიანობა მაინც გავლენის მქონე გახდებოდა ხალხის შეკავშირება-სიმტკიცეზე.

ასეთ მოვლენებში ირკვეოდა შავისა და თეთრის სხვაობა, აბსტრაგირება მთავარი საკითხის ნათელმოსილების ირგვლივ. მხარეთა აზრთა შეჯახება გაბუნდოვანების ამინდს

ქმნიდა, წინა პლანზე ჩნდებოდა სკეპტიკოსთა დიდი ბირთვი, რომელნიც ცალკე მხარეობას განაპირობებდა.

სააკაძის გარშემო მყოფთა ზნეობრივ ეროვნული თვალთახედვა იმდენად მტკიცე იყო, რომ საზოგადო მიმართებებში გულს გული გრძნობდა და ღონეს ღონე. ნდობა იყო პირველ პლანზე წამოსანევი, რათა ქართველ მოსახლეობას ერთმანეთში გაენანილებინა ლუკმა პურივით ჭირი და ლხენა, რაც სააკაძის ამალღებულ მოთმენასა და სულგრძელობას ეყრდნობოდა. სწორედაც ამის გამოა, მარტყოფის ომი ჯერ ფსიქოლოგიური ძალების მოკრებით დაიწყო, ხანგრძლივი პროცესები გაიარა, ჩამოყალიბდა, შემოიკრიბა ეროვნული ძალები და მყარ პოზიციაზე მდგომი, გადამწყვეტი დარტყმისთვის მოემზადა. მარტყოფის ომის სიღიადე, უპირველეს ყოვლისა, ცხადად დანახულია, მერე ეწყება ქართველ კაცს ცნობისმოყვარეობა, რა ლაბირინთები გაიარა ამ ომმა, ვისი და რა ძალის ფსიქოლოგია უძღვოდა წინ. ქართული ბუნებისათვის ომის სიღიადე გაცნობიერებულია, მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ გვტოვებს, თუ როგორ გაართვეს თავი ომის ორგანიზატორებმა შაჰის ყოვლის დასამორჩილებელ ბუნებას. მაგრამ მათ ფსიქოლოგიაში დამატებით ნათდება „ტაშისკარის ომის“ გამარჯვების ავტორთან იმედის განცდა, შემდეგ ყოველი ბნელი, აზრ-მოუვალე კუნჭული ნათლით იმოსება.

ჩვენი დიდად სათაყვანებელი, მეფეების მიერ, თადარიგდაჭერილი და მოგებული ომები, უმეტესად, პირველ რიგში, ინფორმაციაზე იყო დაყრდნობილი, შემდეგ მოდიოდა ტაქტიკა და ბოლოს მიზან-გეგმის სწორი განსაზღვრით, რაც

სტრატეგიულ თადარიგანობით შეიმოსებოდა, და ბოლოს ომებში გამარჯვებაც გარდაუვალე ხდებოდა.

ერის დიდებამ, დავით აღმაშენებელმა, თავისი მაღალი ზნეობრივი მოთმინებით ტკივილები დაუამა ქვეყანას. იგი მოთმინების ხარჯზე 10 წლის მანძილზე ხარკს უხდიდა თურქ-სელჩუკებს, ელოდებოდა დროის მომნიფებას, ტაქტიკური გზით ჯერ ხარკი შეენყვიტა მოძალადისათვის, და შემდეგ გადამწყვეტი შეტევისათვის მომზადებულიყო. ეძებდა დროის ისეთი გარემოს შექმნისათვის, რომ მთელი მობილიზებული ქართული ენერგია ერთი მთავარი მიზნისაკენ წარემართა, როგორც იყო „დიდგორის ომი“.

მარტყოფის მოვლენებში ნიშანდობლივია განისაზღვროს უმთავრესი ის, რომ ფარული ქვენა დინებით იგეგმებოდა ორივე საპირისპირო მხარეების ცალ-ცალკე თავ-თავიანთი საბრძოლო მიზნები და გეგმები.

სააკაძე და ზ. ერისთავი როდესაც ისინი შაჰმა გაიწვია ქართლიდან ირანში საიდუმლო თათბირი გამართეს ყორჩიხა-ხანის თანდასწრებით, აქედან გამომდინარე მათ კარგად ეუწყათ, თუ რა ენადა შაჰ-აბასს საქართველოსათვის. ზ. ერისთავი პირდაპირ შემსრულე იყო შაჰის გეგმებისა, სააკაძეც მოჩვენებითი ერთგულებით შაჰთან იგივე აზრს იზიარებს. საქართველოში 30 ათასიანი ირანული ჯარის შემოსვლისას მდგომარეობა იცვლება. ზ. ერისთავი მოულოდნელად იგებს სააკაძის მიზნებსა და გეგმებს ქართლის გადასარჩენად. ირანში შაჰს იმედი აქვს თავისი ჯარების წარმატებული მოქმედებისა, სააკაძის იდეები და შაჰის გეგმები საქართველოში საპირისპირო მხარეზე დგებიან, ქართული ქედმოუხრელი

სული ძალებს იკრებს, 30 ათასიანი მტრის გასანადგურებლად. ყორჩიხა-ხანიც იმ ეტაპზე დამშვიდებულია თავიანთი გეგმების შესრულების წარმატებაში, სანამ ეჭვი გაუჩნდება უკვე თავის მიწაზე მყოფი სააკაძის საქმიანობაში. კონსპირაციულად ფხიანდებოდა ქართული ხმალ-შუბის პირები, ახლდებოდნენ ომებში ნატურალები მორყეული სატევრები, ოფლშეუშრობლად მიმოქროდნენ ავისმაუწყებელნი ქართველი მხედრები ჯარის შესაგროვებლად.

მართალია, ათი ათასობით ირანულმა ჯარმა ქართლში დაიბანაკა, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ მიუხედავად თავიანთი უპირატესი შეიარაღებისა, დიდი მანძილი გამოიარეს ირანიდან საქართველომდის, რასაც მნიშვნელობა ჰქონდა თვით მანძილს ქვეყნიდან ქვეყნამდის, იმ მხრივ, რომ საჭირო სათადარიგო გადაწყვეტილებანი შაჰ-აბასთან შეთანხმებას ითხოვდა, რომელიც ფაიქთა საშუალებებით ხორციელდებოდა. თუ რა დროში უნდა დაეფარა გზა საჭირო აზრის გასატარებლად, ეს მომენტიც საიმედოდ და უკეთ სათადარიგოდ ქართველთა მხარეზე იხრებოდა. ფარული თვალი და ფარული ყური თავის წილით აქტიურობდნენ, ქართული სამართლიანი სული თვითმყოფადობის შენარჩუნებას ითხოვდა, არავისზე ბატონობას არ აცხადებდა, ამის წადილი თავისი არსებობიდან არც ჰქონია, მხოლოდ ერთადერთი თავის მეს, ქართულ მიწას, არ მოწყვეტოდა ფესვებიდან.

საქართველოში ირანული 30 ათასიანი ჯარის შემოსვლით, ვითომ მაყრიონის სტატუსით, აბნევდა და გაორების ეიფორიაში ახვევდა ქართულ მოსახლეობას. რაღაც ეტაპზე ვერ გარკვევის და ავად მოსისინე ენებით გაჟღერ-

თილ ბაცილას სარბიელზე გამოსვლის დრო დასდგომოდა, და დროებით გაურკვევლობის სინდრომს ბადებდა.

ქართლიდან შაჰის მიერ ლუარსაბ II წაყვანილია, „რახან მისაგან წაყვანილია მისგანვე უნდა მოინახოს სხვა კანდიდატურა“, რომ აღმოსავლეთი საქართველო ისევ მის მორჩილებაში დარჩეს, ამიტომ შერჩეული არის მეფე სიმონ II და მზადყოფნაში დგას ირანული ჯარი, ქართლის მოსახლეობაც გრძნობს, მეფე აღარა ჰყავს ქართლს, ამიტომ მეფეს საჭიროებს. მაგრამ ამოდენა რიცხვი ყიზილბაშებისა? განა სჭირდებოდა საქორწინო სუფრას ან ქართულ ადათ-წესებს? აქ დაიბადებოდა ეჭვი ქართულ ფსიქოლოგიაში, ეჭვი სამართლიანი და საფუძვლიანი, ახსოვთ ქართველებს შაჰის წინადადებები, უვნებლად გავა ირანული ჯარი კახეთიდანო, მოხდა ასე? აქვე მინდა აღვნიშნო, შაჰ-აბასისაგან აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დაპყრობა-დამორჩილების შემთხვევაში, თავადები ე.ი. დიდებულები დარჩებოდნენ თავიანთს უფლება-მოსილებაში, მაგრამ ქვე-შევრდომებად შაჰისაგან დანიშნული ირანელი პირები იქნებოდნენ. ასეთი მდგომარეობა თავადებში ეჭვს ბადებდა, ისინიც მშვენივრად იცნობდნენ შაჰის ფსიქოლოგიას. საბედნიეროდ ასეთმა ეჭვებმა, გამომდინარე შაჰის მოქმედებებიდან, დადებითი იმიჯი შექმნა მარტყოფის ომში. შაჰისგან დაგეგმილი მიზნები, მტრისაგან სწრაფ დაჩქარებით პროცესებს ითხოვდა. მათი აზრით რატომ უნდა მდგარიყვნენ უფუნქციოდ ყიზილბაშური არმიები ქართულ მიწაზე, მით უმეტეს დაგეგმილი ირანელი ჯარისკაცები, გონებაში მარტო ავლა-დიდების ხელში ჩაგდებაზე რომ ოცნებობდნენ.

გ. სააკაძეს ესმის ქართული მოსახლეობის მოთმინებითი დრტივინვა. ძალდატანებით ვერც ვერაფერს დააჩქარებს და ვერც მოვლენებს გაუსწრებს წინ. სრულყოფილი მდგომარეობა წინაპირობა უნდა შეიქმნას გადამწყვეტი მოქმედებისათვის, რომ წყალი არსაიდან გაიპაროს, საომარი ენერგია არ დასუსტდეს, ძალ-ღონე მოკრებილნი მედგრად დახვდნენ მტერს და მალევე დაამთავრონ მათი მტრობა. ქართლის მოსახლეობა ჩაკვირვებული იყო კახეთის მოსახლეობის ვარამს, ესმოდათ შაჰისაგან მიყენებული დამდურებული ყოფა. ქართლის მოსახლეობის, თავიანთ თანამემამულეთა, კახეთის მოსახლეობის ფიზიკური და სულიერი ტკივილი გაცნობიერებული ექნებოდათ, რის საფუძველსაც მათი ტრადიციული ნათესაური, რძალ-სიძური, მოყვრული კავშირები აძლევდათ. აქედან გამომდინარე, მათი მდგომარეობის შემხედვარენი, შეშინებულნი, შეფიქრიანებულნი, რა უბედურება დაატყდებოდათ შაჰის ჯარებისგან იმ ეტაპებზე დროებით გაურკვეველ მოვლენებში გარინდებულიყვნენ. სააკაძე მათ აუწყებდათ, ირანული ჯარების სიმრავლე ნუ გაფიქრებთ, „ეს საქმე მე დამადევით“. ამ სიტყვებიდან გაშიფრული აზრი დასტურია მარტყოფული აჯანყების მომნიფებისა და სიახლოვისა. რაც მისი შინაარსი ქვეცნობიერად მიგვანიშნებს იმას რომ სააკაძეს პაატა უკვე გამოტირებული ჰყავს. ამდენად მარტყოფის ომის შინაარსი პირველ-ყოვლისა, ზნეობრივი, ტოლერანტობის გამოვლენის, შემწყნარებლობის საფუძველზე ჩამოყალიბებული უშეცდომო სვლაა გამარჯვებამდის.

## **განმარტება წერილის შესახებ, რომელიც ირანიდან გამოიგზავნა**

მოურავს ის წერილი რომ არ წაეკითხა, ყიზილბაშებზე აჯანყებისთვის არ მოემზადებოდაო. ეს აზრი განმარტებას ითხოვს და აქვე ვიტყვით წერილის შინაარსის გაცნობიდან იმ დარჩენილ მოკლე დროში ასეთი გრანდიოზული აჯანყებისათვის მომზადება ვერ მოხდებოდა. გავიხსენოთ, ყორჩიხანის ირანული ჯარი 1625 წლის თებერვლის შუა რიცხვებიდან შემოდის საქართველოში. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ მოვლენას, როდის უმხელს სააკაძე აჯანყების გეგმას ზ. ერისთავს, რა აძლევს ამის თქმის გარანტიას, ზ. ერისთავისაგან მტკიცე თანხმობა მიიღოს და რაიმე მოულოდნელობა არ განვითარდეს. პირველი ის, რომ ირანულმა ჯარებმა საქართველოში დაიბანაკეს, უომრად ისინი უკან არ გაბრუნდებიან. მეორე, სააკაძისაგან ზ. ერისთავისადმი აჯანყების გეგმის გამხელა ხდება, ირანული ჯარების შემოსვლიდან ვითომ საქორწინო რიტუალების შემდეგ, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მტერი შეყოვნდეს, მოსახლეობის რბევა არ დაიწყოს, მათი უვნებლობის გარანტია ხელთ ჰქონდეთ. მაშასადამე, ლოგიკაც აქვეა, რადგან სააკაძემ იმედიანად გაუმჟღავნა საიდუმლო ზ. ერისთავს, მისი გულის მოსაგებად კი ლელა-თინათინის ცოლად შერთვაც მომხიბლავად გამოიყენებოდა და თან მისი ეროვნული ღირსებებიც გამოაღვიძა. ეს ხომ იმას ნიშნავს რომ სააკაძისაგან აჯანყება გარდაუვალია? სააკაძისაგან, საქართველოს ბედ-იღბალზე საფიქრელად უკვე მოქცეულმა ზ. ერისთავმა მარტყოფის

აჯანყების წრედი შეკრა, მისი მოქმედებაში მომყვანი სადავ-ეები კი სააკაძეს ეპყრა ხელთ. ირანული ჯარები ვითომ ქორნილის საბაბით, ერთი კვირის მანძილზე თბილისში რჩებიან, სადაც საზეიმო რიტუალებიც აღინიშნება, შემდეგ ყორჩიხა-ხანის და სააკაძის ერთობლივი თანხმობით ირანული ჯარები მუხრანთან ახლოს, ალაიანის ველზე დაიბანაკებენ, რომ შაჰის დავალება აღასრულონ. კახეთში დარჩენილი საომარი ძალა მათთვის უვნებლობის ფიცით გადმოიყვანონ, ვითომ თანამონაწილეებად იმერეთზე ლაშქრობისათვის, სინამდვილეში მათი განადგურება სწადიათ. კახეთში საომარი ძალა მთლიანად მოსპონ და ამით კახეთის საქმე მთლიანად მოაგვარონ. ირანელები ამ გეგმას ბოლომდე ვერ აღასრულებენ, კახეთის მეომრებისათვის ცნობის მიწოდება კონსპირაციულად ხდება, მათი განწირულობის თაობაზე, ისინი იარაღის საშუალებით გაარღვევენ მტრის რკალს და თავს დაიხსნიან. ეს მოვლენა გახდება მტრისაგან სააკაძის მიმართ დასაეჭვებელი. ირანიდან წამოსული წერილის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ, მაგრამ საჭიროა ისევ ღრმად მივუბრუნდეთ ამ საკითხს. სააკაძის ხელში წერილის მოხვედრას მისი ოპოზიციური მხარე შემთხვევითობას მიაწერს.

ძნელი არ არის გავიხსენოთ მემატიანესაგან არაქელ თავრიზელის ნათქვამი: „ესე მოურავი იყო გონიერი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი მტკიცე განაზრახითა“. მისგან წინასწარი გათვლებითა და დიპლომატიური საზომებით ხორციელდებოდა მრავალი საქმე, მით უმეტეს მარტყოფის აჯანყება, „ასჯერ გაზომე ერთხელ გაჭერი“-ს ხერხებით მიმდინარეობდა, და სააკაძის, თავის მიწაზე მდგომის საქმიანობა გახდა მტრისათვის უკვე საეჭვო, რისი საფუძველიც

ალაიანის ველზე, კახელ მეომართა განადგურების გეგმის ჩაშლამ გამოიწვია. ყორჩიხა-ხანი შეეცდებოდა სასწრაფოდ გაეგზავნა შიკრიკი ირანში შაჰ-აბასთან, იმის გასარკვევად, თუ როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. მისაგან ლოჭინის ხევში ქორით ნადირობა მიზეზად ჩანს, სინამდვილეში სააკაძე, ნადირობის იმიჯით, ჩასაფრებულია, როდის გამოჩნდება უბეში წერილ-შენახული შიკრიკი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ლოჭინის ხევის მიდამოებში მოთვალთვალე სააკაძეს, შიკრიკი ხელიდან რომ არ გასხლტომოდა, მისი შეპყრობის საგარანტიოდ თავისი რამოდენიმე თანამზრახველი ახლო-მახლო ჩასაფრებული ეყოლებოდა. ამ მიზნით, მას ყველა საქმე გადადებული აქვს, ნადირობა მოიმიზეზა და თვითონ წავიდა იმ ადგილას, სადაც ირანიდან წერილის წამომღებს უნდა გამოეგლო. მას ხომ შეეძლო ამ საქმის გასაკეთებლად რამოდენიმე თავისი თანამოაზრე სანდო პირნი გაეგზავნა თავის გარეშე. მაგრამ არა, იმდენად მნიშვნელოვანია წერილის მოლოდინი იმ მომენტებში არსებული მდგომარეობისათვის, აჯანყების ბედის გადაწყვეტაში, რომ თვითონაც გადაუწყვეტია წასვლა, ჩასაფრება და რამოდენიმე თანამოაზრესთან ერთად, წერილის ხელში ჩაგდება. რადგან ასეთი გეგმა-საზომით ელოდება ლოჭინის ხევში, მან ხომ იცოდა რასაც ელოდებოდა? უკვე ამ ეტაპზე შაჰისგან წერილს, ის იყო მისთვის უმთავრესი. ამიტომ სწადია თვითონ დაელოდოს, თვითონ ჰქონდეს ხელთ, რომ ამ ყოფნა-არყოფნის მოვლენებში აჯანყების საქმე არ წახდეს. ამდენად იმ წერილის სააკაძის ხელში მოხვედრა არაფრით არ არის შემთხვევითი.

როგორც ცნობილია საომარი პრაქტიკიდან, როდესაც ჯარი დაიბანაკებს მათთვის სასურველ ადგილას და

მთავარსარდალთა მითითებით, დაბანაკებულ ჯარს ყოველთვის დარაჯობენ მორიგე გუშაგები, ცხენზე ამხედრებულნი, შემოვლითი სიფხიზლით. და მარტყოფის ველიდან ლოჭინის ველი სულ ახლოსაა. იქ იმ დროს მაცნეზე თვალთვალი სააკაძისაგან საექვო გახდებოდა, ამიტომ ალაიანის ველზე ირანული ჯარის დაბანაკების დროსაა წასული სააკაძე ლოჭინის ხევში სათვალთვალოდ, რომ საექვო არაფერი გამხდარიყო. როდესაც ირანელი შიკრიკი გამოჩნდა ლოჭინის მიდამოებში და მის შესახვედრად სააკაძე დაინახა, იგი ადრესატად არ მიიჩნია და გაქცევა სცადა. ისმება ლოგიკური კითხვა: რატომ სცადა უბეში წერილ-შენახულმა შიკრიკმა სააკაძისაგან გაქცევა? მან იცოდა, რომ საიდუმლო იყო წერილის შინაარსი და ვისთან მიჰქონდა იგი. სააკაძემ შიკრიკი შეიპყრო და მოკლა, ამით წერილის შინაარსის გავრცელების მიზეზიც მოიხსოვ. სააკაძისაგან შიკრიკის მოკვლაც კანონზომიერია, და იმას მიგვანიშნებს, რომ წერილის შინაარსი საიდუმლოდ უნდა დარჩეს იქამდე, სანამ ქართველი ხალხისათვის სააკაძისაგან ცნობილი გახდება წერილში აღნიშნული საიდუმლო. მის ასეთ პოზიციას იცოდა, მარტყოფის აჯანყების სამზადისის დაზღვევაც. მუსტაფა-ნაიმას ცნობით, შიკრიკს სწორედ ვერ გაუგია ამ წერილის ადრესატი და ყორჩიხა-ხანის მაგივრად გ. სააკაძისათვის გადაუცია. ასეთ შემთხვევაში ეს მოვლენა შიკრიკის პატიოსნებაზე მიგვანიშნებს, მისი მოვალეობა არ იყო წერილის წაკითხვა, მისი მოვალეობა ადრესატამდე მიტანა იყო. და მისი ფიქრით, ყორჩიხა-ხანი და გ. სააკაძე იმ შემთხვევაშიც თანამოაზრენი ეგონა, რის საფუძველზეც შიკრიკმა წერილი სააკაძეს გადასცა.

შემთხვევითი და მოულოდნელი ის იქნებოდა, რომ მომლოდინე სააკაძისაგან გზის ავლით, მის გარეშე, ქართლში დაბანაკებული ირანული ჯარის ერთ-ერთ ვინმე მეომრის ხელთ, შემდეგ მალაღ ჩინოსანის ხელში აღმოჩენილიყო წერილი, ისინი მაშინათვე მიუბრუნებდნენ ყორჩიხა-ხანს, და წერილის შინაარსის მიხედვით „მოურავს თავი მოჰკვეთეთ და ქართლი აჰყარეთ“ შაჰის ბრძანებას, ყიზილბაშები ყოველგვარი მიზეზის გარეშე ალასრულებდნენ.

შემთხვევითობა და მოულოდნელი იქნებოდა ისიც, თუ ხსენებული წერილი სააკაძის მომხრეთა ან მისაგან ახლად-შემორიგებულ ნაწილს დიდებულთა ხელში აღმოჩნდებოდა. წერილის მოხვედრა სააკაძის მომხრეთა ხელში საშიშროებას არ წარმოადგენდა, რამეთუ ისინი მაშინათვე სააკაძეს წარუდგენდნენ. მაგრამ თუ ქაიხოსრო ჯავახიშვილის თანამოაზრეთა ხელში აღმოჩნდებოდა, რომელთაც ხელმეორედ სცადეს სააკაძის მოკვლა, მართალია, შერიგების გზაზე დამდგარნი იყვნენ, მაგრამ სააკაძეს მათ მიმართ სრული ნდობა მაინც ვერ ექნებოდა. ქართლის მოსახლეობის აყრა დიდებულებს არაფრით არ ენდომებოდათ, თუ მოსახლეობა ქართლში აღარ იქნებოდა, მაშ ვისთვის-ღა იქნებოდნენ თავადები და ერისთავები? მაგრამ წერილში აღნიშნული სიტყვა-“მოურავს თავი მოჰკვეთეთ“- ეს ისეთი საფრთხილო პოზიციას, დიდებულთა ნაწილს ისევ გაახსენდებოდათ მათი სააკაძის მიმართ შუღლი, რადგან ორჯერ ვერ მიაღწიეს სანადელს და ვერ მოკლეს სააკაძე, ამის შანსი, შემთხვევით წერილის მოხვედრა მათ ხელში, დიდი სარისკო იყო, შესაძლოა, დავინყებოდათ სააკაძესთან შერიგების გზა, მარტყოფის აჯანყების სამზადისიც, მით

უმეტეს, თუ მტრის ხელით მოიკვლებოდა სააკაძე, მათთვის უფრო სასურველიც იქნებოდა, ისევ დაბნელებოდათ გონება, გადახრილიყვნენ სატანისაკენ, და მათ ხელში შემთხვევით მოხვედრილი წერილი, პირდაპირ ყორჩიხახანისათვის მიეტანათ. ყორჩიხახანი – მეორე შემთხვევაშიც იმოქმედებდა ისე, როგორც წერილში იყო მითითებული შაჰისგან, პირველ რიგში სააკაძეს გაანადგურებდნენ.

ამიტომ თვითონვე გვეუბნება წერილის არსებობა და შინაარსი, მისი საიდუმლოება, სააკაძისაგან ქართველი მოსახლეობის წინაშე წაკითხვამდის საიდუმლოდ უნდა დარჩეს და ყოველი შემთხვევა-ვითობიდან დაცული და დაზღვეული უნდა ყოფილიყო. წერილმა უნდა შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი და გამართლება, პირველ რიგში მტერს არ უნდა ჩაუვარდეს ხელთ. არც ახალ შემორიგებულ ოპოზიციის ხელში არ უნდა აღმოჩნდეს. ამის გამო ლოჭინის ხევში სააკაძისაგან წერილის ხელში მოხვედრა და მისი შინაარსის სწორ გზაზე დაყენება, მარტყოფის აჯანყების გეგმის განმსაზღვრელ ნაწილად აისახება. დამაფიქრებელია, წერილი თუ შემთხვევით მოხვდებოდა სააკაძის მომხრეთა თუ ყოფილ ოპოზიციის, და იმ ეტაპზე უკვე შემორიგებულთა ხელში? მაინც ვერ იქნებოდა დამაჯერებელი სანდოობა სააკაძის მხრიდან, და შესაძლოა მიეღო არა სასურველი შედეგები. მით უმეტეს, თუ წერილი ყოველგვარი წინგაუხედაობის, ან ნაწილ დიდებულთა ამბიციათა საფუძველზე, მტრის ხელთ აღმოჩნდებოდა, მაშინ ხომ პირდაპირ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა თვით სააკაძის სიცოცხლე, და მარტყოფის აჯანყების გეგმაც?

რადგან სააკაძე მთელი მუყაითობით ელოდება ირანიდან წამოსულ წერილს, ცხადია, მასზედ მნიშვნელოვანი მდგომარეობაა დამოკიდებული, რასაც სააკაძე განსაკუთრებული დიპლომატიური როლის შემსრულებდ გამოიყენებს. იმ ძირითადი არსის შესაცნობად, თუ რა ენადა შაჰ-აბასს ჯერ სააკაძისათვის, მერე აღმოსავლეთ საქართველოსთვის. ვინაიდან იმ ხანად ისევ იარსებებდა სკეპტიკოსთა პოზიცია, წერილის შინაარსის გაცნობის დროს ქართველი ხალხის გონების დასანახად თვალსაჩინოდ გამოხატავდა შაჰის რადიკალურ პოზიციას, რომ მას სააკაძე ცოცხალი აღარ სჭირდებოდა და იგი თავმოსაკვეთია, ქართლის მოსახლეობა კი უნდა აიყაროს, და იმ შემთხვევაში წერილის შინაარსის საფუძველზე. უკვე ერთიანი ქართული ფსიქოლოგია დადგებოდა ერთ მყარ პოზიციაზე, მობილიზება მოეხდინათ მტრის გასანადგურებლად. ისტორიკოსი გივი ჯამბურია განმარტავს, წერილის შინაარსმა დააჩქარა მარტყოფის აჯანყებაო. რაც უდაოდ მტკიცდება იმ მოვლენების ლოგიკური მსვლელობით. რაც შეეხება შიკრიკს, რომელსაც წერილი მოჰქონდა, მისი მიზანი იყო იქ მიეტანა წერილი, სადაც ყიზილბაშები იყვნენ დაბანაკებულნი, იმ შემთხვევაში ისევ აღაიანის ველზე. იგი არ მოელოდა თუ მას ვინმე წინ დახვდებოდა, და მოსთხოვდა გაეგო ასეთი გამალებით რატომ მოიჩქაროდა. იგიც ჩვეულებრივი მტერია, თავისიანებთან მიიჩქარის, ყორჩიხახანი ელოდება. მან პირველსავე შეხვედრისას სააკაძისაგან გარიდება სცადა, მას ისიც ხომ ეცოდინებოდა, რომ იმ ეტაპზე სააკაძე ყორჩიხახანთან ერთადაა. ის კი აქ ლოჭინის ხევში ხვდება. შესაძლოა, სააკაძემ როგორც ქორით



მონადირემ ტანისამოსი შეიცვალა და სახე-პირიც დაიფარა. და შიკრიკმა ამის გამო ვერ იცნო. შიკრიკის მოვალეობაა ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე წერილის სახით მიიტანოს ინფორმაცია. წესით, მას არ უნდა სცოდნოდა წერილის საიდუმლო. მაგრამ თუ მეორეს მხრივ შევხედავთ იმ მოვლენას, რაც ალაიანის ველზე კახელი მეომრებისათვის, მათი განადგურების გამხელის სააკადისაგან შეტყობინებული ინფორმაცია იყო. ამ მიზეზით ყორჩიხა-ხანი სასწრაფოდ აგზავნის შიკრიკს ირანში. რა უყონ სააკადეს? ამ შიკრიკს ხომ გაცნობიერებული ექნებოდა, რისთვის უნდა წასულიყო ისევ ირანში. რა ინფორმაცია მიჰქონდა შაჰთან? მით უმეტეს მასაც როგორც ერთერთი მტერთაგანს, ეცოდინებოდა თუ რა გეგმებით დაიბანაკეს ყიზილბაშებმა საქართველოში, ახლა კი საეჭვოდ გამხდარა სააკადის ყოფნაც თავის მიწაზე და შაჰის გეგმა-მიზნებიც უკვე კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ერთი მოვლენა კი უდაოა, რადგან შიკრიკმა სააკადე ვერ იცნო, მას ნადირობის საბაბით ტანისამოსი და სახე დაფარული ჰქონდა, რადგან შენიღბული იყო, ამას მარტყოფის მოვლენები ითხოვდა, ძნელი წარმოსადგენია შიკრიკისაგან სააკადის ვერ შეცნობა, რადგან ის ირანში 12 წელი იყო. ირანელი მაღალი თუ დაბალი ფენისათვის სააკადე ფიზიკურად ცნობილი უნდა ყოფილიყო. რადგან შიკრიკმა სააკადისაგან გარიდება სცადა, ეტყობა შაჰის ჯარებისათვის საგანგაშო ინფორმაცია მიჰქონდა, რაც შეიძლება მალე გასწორებოდნენ სიკვდილით მოურავს..

საკადისაგან ნადირობის საბაბით, დაჭერილ სიფხიზლეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ირანიდან წამოსული წერილი არასასურველთა ხელში არ მოხვედრილიყო.

და სააკადის ხუთ კაციანი ჯგუფის კარავში ჯდომა-ლოდინი, ქართულ ჯართან შეთანხმებულ დროზე მოსვლით, საორჭოფო არ გამხდარიყო. ამიტომაც „მარტყოფის ომი“ მსგავსებაში 1121 წლის „დიდგორის ომთან,“ სადაც დავით IV აღმაშენებლის თადარიგით, 200 კაციანი გამოჩენილ მეომართა ჯგუფი გაიგზავნა თურქ-სელჩუკთა ყურადღების მოსაღუნებლად. მტერი ფიქრობდა, ქართველებს გასჭირვებიათ და ამიტომ მოლაპარაკება დასჭირვებიათო. სინამდვილე კი სულ სხვა იყო. ამ 200 კაციანმა თავგანწირულმა ჯგუფმა, როგორც კი ისინი მტრის შუა ბანაკში აღმოჩნდნენ, ხმლები ამოაგელავეს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ. ამით ძირითად ქართულ ჯარს საშუალება მიეცა იერიშზე გადასულიყვნენ. არ უნდა გაგვიკვირდეს, როცა ასე ვიტყვით: როგორც 1121 წლის დიდგორის გამარჯვებით საქართველოზე თურქ-სელჩუკების ბატონობას ბოლო მოეღო – ისე 1625 წლის მარტყოფის გამარჯვებით, ყიზილბაშების აღმოსავლეთ საქართველოზე ბატონობას დიდი დროით ბოლო მოეღო. ყოველი შემთხვევითობიდან დაზღვეული, ემოცია განონასწორებული, დანმინდავებულ, დაფაქიზებული სააჯანყებო სამზადისი გამარჯვებით უნდა დამთავრებულიყო. აღმოსავლეთ საქართველო ან ყიზილბაშურ მონობაში უნდა დარჩენილიყო, ან სულის სისპეტაკით უნდა ეომა რომ გადარჩენილიყო. ეს ომი სააკადისაგან დიპლომატიურ მოვლენებში ხანგრძლივ დროში ნაჭედ-ნაწრთობი მდგომარეობითაა დასანახი. მეორე მხრით, ეს ომი თავისი ფიზიკური საბრძოლო მოქმედებებით, დილით უთენიაზე დაიწყო და დაღამებისას დამთავრდა. სრული ერთი დღის მანძილზე, მტრის 27 ათასი მეომარი მიწასთან

გასწორდა, როგორია?

ახლა წარმოვიდგინოთ ის, რაც არ მომხდარა; ირანი-დან წამოსული წერილი მტრის ან თუნდაც შინაურის, ანუ ახალშემორიგებულთა ხელთ მოხვედრილიყო, თვით სააკაძე დარჩებოდა ცოცხალი? ან საერთოდ მოხდებოდა „მარტყოფის ომი“? ამიტომ ის წერილი სააკაძის ხელში არა შემთხვევითი, არამედ მისგან გათვლილი კანონზომიერი გზებით აღმოჩნდა.

\*\*\*

ჩვენი ვარაუდით, ისევ წერილის შესახებ, მეორე ვარიანტად, სხვა კუთხით დასანახ მოსაზრებებს მოვიყვანოთ. იმ დროის მოვლენებში მართებულია გავიხსენოთ შაჰ-აბასის მოქნილი ხერხები, როდესაც იგი წერილების საშუალებით ცდილობდა თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესების მოგვარებას იქ ირანში და შემდეგ აქ საქართველოშიც. ურთიერთდაპირისპირების მიზნით თავის, სასარგებლოდ. რადგან სააკაძე ირანის კარზე დიდ ხანს იმყოფებოდა, ამიტომ შესაძლოა შაჰის წერილობით დიპლომატიას მასზე გარკვეული გავლენაც მოეხდინა და ეფიქრა როდის რა მოვლენებში გახდებოდა საჭირო ასეთი მეთოდების გამოყენება. გავიხსენოთ 1618 წელი როდესაც, შაჰმა თავისი ახლობელი – მირ-აბდალ-აზიზი ისპაჰანის მმართველის თანამდებობიდან გადააყენა – ამ ადგილის დაკავებისათვის კანდიდატურის შერჩევაში შაჰმა რჩევა სააკაძეს ჰკითხა. ამან კი პირდაპირ ხოსრო-მირზა წარუდგინა. ამ მოვლენამ ისედაც დაახლოებული ხოსრო-მირზა და სააკაძე უფრო მეტად საფუძვლიანად დაახლოვა. მათი დაახლოვების მიზეზი საქართველოს ბედ-იღბალზე ფიქრი იყო. როდესაც ხოსრო-მირზა შემდგომში ქართლის, როსტომ მეფე გახდა გ. სააკაძის შვილი იორამ სააკაძე იმერეთიდან გადმოიყვანა და თავის გვერდით, სამეფო კარზე, მნიშვნელოვანი თანამდებობა დააკავებინა. სააკაძის უფროსი ქალი, რომელიც თეიმურაზ მუხრან-ბატონის ცოლი იყო (იგი მარაბდის ომში დაიღუპა) მათი შვილი ვახტანგი (ხოსრო-მირზამ) როსტომ მეფემ იშვილა და შემდეგ ქართლის გამგებლად დასვა, ის ვახტანგ მეფედ ანუ შაჰნავაზადაა ცნობილი. როსტომ მეფე განსაკუთრებულ ყურადღებას ანი-

ჭებდა სააკაძის ღვანლს, როდესაც ამბობს „გიორგი სააკაძე საქართველოზე და ჩვენზედაც დიდათ ნამსახური კაცი იყოვ“. გავიხსენოთ „დიდი მოურავიდან“ ნათქვამი როდესაც იოსებ თბილელი სააკაძეს ათქმევინებს: „ადრე ვიცოდი შეტყობა, კარგი კაცისა ცნობანი“. „ეს კარგი კაცის ცნობა“ სააკაძისაგან შაჰ-აბასისადმი რჩევაში გამოიხატა და ხოსრო-მირზასაგან ისპაჰანის მმართველის ხელთ-პყრობაში აისახა. ასეთი მოვლენებიდან ხოსრო-მირზა, სააკაძის გეგმებსა და მიზნებს საქართველოსათვის გადასარჩენად, ანგარიშს რომ გაუწევდა, სადაო არ უნდა იყოს. აქ მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს ის, რომ მათი ურთიერთ-თანამოაზრობა მტკიცე და სანდო ყოფილა. ურთიერთსიკეთის მიგება სააკაძისაგან ხოსრო-მირზასადმი დაინყო იქ ირანში და შემდეგ (ხოსრო-მირზასაგან) უკვე როსტომ მეფისაგან, სააკაძისა და მისი შვილებისა და შვილიშვილების მიმართ სიკეთის გაგრძელება ხდება აქ საქართველოში. ასეთი მოვლენები იძლევა იმის რეალობას, რომ ხოსრო-მირზას, სააკაძისაგან მარტყოფის აჯანყების სამზადისი უნდა სცოდნოდა. ხოსრო-მირზა მარტყოფის ომში არ მონაწილეობდა, დარჩენილი იყო ირანში, და რადგან ხოსრო-მირზას ისპაჰანის მმართველის სადავები, სააკაძის მეშვეობით ხელთ ეპყრა, ეს კი შაჰ-აბასთან სიახლოვესა და ალბათ მეგობრობასაც ნიშნავდა.

სანამ ყიზილბაშური ჯარები საქართველოსაკენ დაიძრებოდნენ, მანამდის უნდა მოეხერხებინათ შეხვედრა და შეთანხმება სააკაძესა და ხოსრო-მირზას კონსპირაციულად, თავიანთი სანდო კაცი შიკრიკად გამოგზავნილიყო და ნამოელო წერილი, სადაც შაჰ-აბასის პოზიცია იქნებოდა გამჟღავნებული „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰ-

ყარეთ“. მათ ბჭობა-შეთანხმებაში დაზუსტდებოდა დრო და მანძილი, ირანიდან ნამოსულ შიკრიკს თუ რამდენ დღეში უნდა ჩამოეღწია საქართველოში. რადგან ასეთი მისია დაეკისრა წერილის ნამომლებს, უნდა ვიფიქროთ, რომ ის სანდო კაცი უნდა ყოფილიყო სააკაძისა და ხოსრო-მირზასათვის. ამდენად, როგორც შიკრიკს, წერილის წაკითხვის უფლება არა ჰქონდა. მაგრამ, შესაძლოა, ცდუნებამ წასძლია და წერილი მაინც წაიკითხა. როგორც ჩანს, წერილის შინაარსმა აზრი შეაცვლევინა. როგორც თვითონაც ირანელი, ან შესაძლოა არც ყოფილიყო ირანელი და რადგან ნდობამოპოვებული იყო, შესაძლოა ქართული წარმოშობისაც ყოფილიყო და მის გონებას ეფიქრა, რადგან ასეთი შინაარსის წერილი მოაქვს მას, სააკაძე ცოცხალს აღარ დატოვებდა და თავის გადარჩენის მიზნით გაქცევა სცადა. სააკაძისაგან კი ყოველგვარი მოულოდნელი მოვლენისაგან დაზღვევის მიზნით, შიკრიკი უნდა განადგურებულიყო.

საქართველოში ირანული ჯარების შემოსვლა, შაჰ-აბასის პროგრამით, პირველ ეტაპზე ქართველ მოსახლეობას უნდა აღექვა როგორც სამშვიდობო მაყრიონი, მკაცრი სინამდვილე კი საიდუმლოდ დარჩენილიყო. სააკაძისაგან ქართველი მოსახლეობისადმი წერილის წაკითხვა, ფარდას ახდიდა შაჰის ვერაგ გეგმებს, სკეპტიკოსთა ფსიქოლოგიაც გამოიღვიძებდა და შექმნიდა ერთიან მონოლითურ პირობას იმისას, რომ მარტყოფის ველზე ყიზილბაშები გაენადგურებინათ. კიდევ ვიმეორებ, უმთავრესს უნდა მივაქციოთ ყურადღება, სააკაძის ფხიზელ გონებას, თადარიგის დაჭერას ლოჭინის გზაზე, წერილის მოლოდინს, შემთხვევითი პირის ხელში რომ არ მოხვედრილიყო.

დროებით მდუმარება და სიჩუმე დასადგურებულნი, მარტყოფის ველი ქართველთაგან გრიგალში გაეხვია, ბედთან შეურიგებელი და დიდებულთა მიმართ შერიგებით გულ-გახსნილი სააკაძის მიზანი სხვის ისხავდა. ბრძოლა იყო თავდადებული, ხმა ისმოდა მტერთა მწარე კვნესის, ცეცხლის გენია მოედო მრავალ ირანელთა სიცოცხლეგაუთენარ დილას. აგრიალეებულ ომში მტრის სისხლის ოხშივართ ცაც დაიხუთა. სააკაძემ ქართველ ხალხს რწმენა გაუმტკიცა, და მათში მოზღვავებული ენერგიით, მტრის ცოცხალი რიგები გვამებად მიმოიფანტა მარტყოფის ველზე. მარტყოფის ომში მოისპო მრავალათასიანი ყიზილბაშური ჯარი, დაილუპნენ შაჰ-აბასის საიმედო სარდლები, ქართლი და კახეთი ერთი დროის ქვეშ დადგა. უმძიმესი რისხვა დაატყდა გურჯი მოურავით ირანის კარს.

ვინაიდან გ.სააკაძე მარტყოფის აჯანყებისათვის ემზადებოდა და ამ მიზნით, 1620 წელს იმერეთში გადავიდა, იმერეთის მეფის გიორგი III-თან შესათხმებლად ურთიერთთანადგომა გამოეჩინათ ირანის წინააღმდეგ, ამ საფუძველზე, იმერეთის სამეფოს ჯარი ქართლ-კახეთის ჯართან ერთად მარტყოფის ომში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებდა. მათი ასეთი თანამონაწილეობა მომავალში, 1926 წელს ბაზალეთის მოვლენებში, ერთიანი საქართველოს ბედის გადაწყვეტაში იმერეთის სამეფომ აქტიური მხარში დგომა გამოუცხადა გ.სააკაძეს.

## მომონება პეტრე სიზამბარელზე

პეტრე სიზამბარელის გაცნობიდან მესამე დღეს ისევ ნოსტესაკენ გავეშურე. იგი სოფლის თავში, ხევის პირას, ცხენთან და ცხვრებთან, ჯოხზე დაყრდნობილი იდგა. რომ დამინახა სახატავი ალბომით, მიცნო, – მოდი ბიძიას კაცო, აქეთ მოდი, აბა თუ ამ ჩემს ცხენს დახატავ, დავიჯერებ რო ხატვა გცოდნია. მეც მოვიმარჯვე ფანქარი, სახატავი ალბომი და გულმოდგინებით დავიწყე ხატვა. ცხენებს ბავშვობიდან ვხატავდი, დათა პაპას ცხენის ხატვას ორი საათი მოვანდომე, კარგი გამოვიდა, მასაც მოეწონა და თქვა, – ცხენები თუ გიყვარს და თან ხატავ კიდევაც, ეს იმის ნიშანია, რომ შენი ქვეყნის ისტორიაც გეყვარება.

აბა, წარმოიდგინე, ჩვენს მინა-წყალზე რამდენი ომი მომხდარა, განა პატარა მისია შეასრულეს ცხენებმაც საომარ ველზე. მათი საშუალებით რამდენი ომი მოუგიათ ჩვენს წინაპრებს.

ჩვენი სამშობლოს გადარჩენისთვის, რამდენის სასწრაფო ცნობა მიუწვდენიათ მეფისათვის ქართველ მხედრებს, ცხენების საშუალებით. ამიტომ ბიძიას კაცო, ცხენი საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

რადგან ნოსტეში ვიყავით და გ. სააკაძის ნისლისფერი ციხე-კოშკის წინ საუბრითა და ნელი სვლით აღმოვჩნდით, პეტრე სიზამბარელმა დინჯი ხმით განმარტა:

აი, შვილო, დაიმახსოვრე, ამ კოშკის პატრონმა გიორგი სააკაძემ თავისი შვილი პაატა, ირანში შაჰ-აბასთან მძევლად დატოვა, 1615 წლიდან თვითონ ფარულად აჯანყების სამზადისს შეუდგა და მარტყოფის ველზე 1625 წელს ირანული ჯარები გაანადგურაო. მარტყოფის ომში, სიზამბარელის თქმით, შაჰ-აბასის ჯარს, ორმოცდახუთი ათასი ცხენი ჰყოლიათ, ეს ციფრი მეტევრა და შესწორება ვცადე. წიგნებში რომ 30 ათასი სწერია? ხო, ეგრე სწერია, მაგრამ, აი, როგორ იყო საქმე.

მე რასაც ახლა, ან შემდეგ გიამბობ, ჩემი წინაპრებისაგან გამიგონიაო. და როცა დანერ, გასაგებად უნდა იყოს დანერილი, რომ მკითხველს ბუნდოვანი, გაურკვეველი აზრი არ დარჩესო.

## პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან

1614 წელს, როდესაც შაჰ-აბასი კახეთის საზღვრებს მოადგა, მთელი ორი თვის მანძილზე, იგი საომარ მოქმედებებს არ აწარმოებდა, ის მოუწოდებდა თავის სარდლებსა და მეომრებს, ზიანი არ მიეყენებინათ მოსახლეობისათვის, მეორე მხრივ კი მოქმედებდა ფარულად.

თავისი მოენებებისაგან მიღებული ინფორმაციით, მან იცოდა, კახეთის მხარეში, თითოეულ სოფელში რამდენი მჭედელი და მათთან ერთად რამდენი შეგირდი ემსახურებოდა საომარი იარაღის დამზადებას.

თავი მოუყრია ამ მჭედლებისათვის, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი დავალების შესასრულებლად. ასაკოვანი მჭედლები დაუხოცავთ, მათი შეგირდები ირანში გაუგზავნია. რადგან ომებში ხმალ-შუბიცი იმტვრეოდა, შაჰ-აბასს ასეთი ვერაგი ხერხით, წინასწარ თადარიგი დაუჭერია, რომ ამ მჭედლებს საომარი იარაღის ხელახალი გაჭედვა-განახლება ვეღარ შესძლებოდა.

ირანში მყოფ გ. სააკაძეს სცოდნია ეს მოვლენები, და როცა 1620 წელს შაჰისაგან, ქართლში, გამგებლად დანიშნული იყო სვიმონ II და მის თანაშემწედ კი გ. სააკაძე დანიშნა. იმ ხანებში, 1620 წლიდან 1625 წლამდე, ქართლის ყველა სოფელში და ყველა დაბაში, მჭედლები მხოლოდ სამეურნეო სამუშაო იარაღებს ამზადებდნენ.

ეს იყო გ. სააკაძის დიპლომატიური ხერხი შაჰ-აბასის

ყურადღების მოსაღუნებლად, ვითომ, რადგან ქართლში საომარი იარაღის დამზადება არა ხდებოდა, არც აჯანყების რაიმე საშიშროებაა მოსალოდნელი.

მკაცრი რეალობა კი სხვა იყო. გ. სააკაძეს თავის მოძულე მხარესთან შერიგების გზა მოძებნილი ჰქონდა. რაც 1620 წელს, მის მიმართ დიდებულთაგან საფიცრის წიგნების მირთმევით აისახა. მაგრამ გ. სააკაძეს მათდამი სრული ნდობა მაინც არ ჰქონია. სინამდვილეში პეტრე ხიზამბარელის ნაამბობით, ყველა მოულოდნელი მოვლენისაგან თავის დაზღვევის მიზნით, მარტყოფის აჯანყებისათვის საჭირო საომარი იარაღი იმერეთის მეფის გიორგი III-ისა და გ. სააკაძის ურთიერთშეთანხმებით, დასავლეთ საქართველოს მიუვალ ადგილ მღვიმეებში დამზადდაო ფარულად.

როცა ნოსტეში ავდიოდი და ხატვით გულს ვიჯერებდი, მივაშურებდი პეტრე პაპას, რომელიც სოფლის მიდამოებში ცხვარს აძოვებდა. მე ბევრჯერ მქონდა მისი მონაყოლი მოსმენილი, თითქმის ყველა ზეპირად ვიცოდი და რადგან იმ ხანებში 22-23 წლის ვიყავი, მის ცხენზე ჯირითი უფრო მეხალისებოდა. თუ ცხენი უნაგირის გარეშე იყო, თვითონ დაადგამდა, თასმებს მაგრად მოქაჩავდა, აღვირსაც გაასწორებდა და მე გადმომცემდა. ელვისებურად მოვევლებოდი უნაგირზე, უზანგებსაც კარგად მოვირგებდი და აბა, ჰერი, დავქროდი ნოსტეს მიდამოებში. ჩემი თავი გ. სააკაძის თანამებრძოლი მეგონა. ხიზამბარელმა იცოდა ჩემი ჭაბუკური გატაცება, სანამ ცხენზე ჯირითით გულს არ ვიჯერებდი, არ ვიცოდი მისთვის ხალისიანი მოსმენა.

## ხიზამბარელი ამბობდა

მე გიორგი სააკაძეზე მოგონებები ბევრისთვის მომიცოლია. ზოგი ბეჯითად მისმენდა და იმასხოვრებდა, ზოგი არა. შენ ბეჯითად ცხენზე ჯირითის შემდეგ მისმენ, მაგრამ მაინც არ იწერ. დაწერე, შვილო, დაწერე – გამოგადგება. ი, როგორ დაგიხატია თავლორანთი და სიდამონიძიანთ ძველი სახლები. ე, მაგ ქალაქების მეორე მხარეს ხო ცარიელია, იმაზე დაწერე.

ვიცოდი, დღეს ნოსტეში რომ ამოხვიდოდი. ი ცხენი ხო აჯირითე, ახლა პატარა პური შევეჭამოთ და კარგი მოგონებები კიდევ მაქვსო.

აი, შენთვინაცა წამოვიღეო, მანონია კოჭობითა, ჩემმა დედაკაცმა გამომატანა, ეგ შენი პატარა ძმობილი ნიკოო როა, მთელი დღე ნოსტეშია, პური არ მოშივდებოდაო? აი, ეგ პური თვითონ, მრგვლად შემოჭრა, გული ამოიღო, მის მაგივრად კარაქია და ზემოდან პურის ყუა აქვს დაფარებულიო. აი, ლიტრა, ეს წყარო საიდანაც გამოდის, ხო იცი, ფეხმარდი ბიჭი ხარ, აირბინე და ცივი წყალი ჩამოიტანეო. მერე დავსხდეთ, სააკაძის კოშკის ზემოთ ვაკეზე, ჩრდილში, უკვე მოშუადღევდა კიდევაცა და წავიხემსოთო.

როცა ხევის სიღრმიდან ცივ წყალს ჩამოვიტანდი, შემდეგ გავემართებოდით კოშკის ზემოთ, სადაც ვაკე და მყუდრო ჩრდილები იყო. პეტრე პაპა ჯერ ყურადღებით დაათვალიერებდა ჩემს ჩანახატებს. შექებას ზომიერად იტყოდა,

ბევრი გიმუშავიაო, შემდეგ საყვედურ-ნარევი ტონით განაგრძობდა, შენ ხომ შემპირდი, თბილისში რომ ჩავალ, რაც ჩემი მოგონებანი ამ ჩანახატის ფურცლების მეორე მხარეს რომაა დაწერილი, სულ სქელ რვეულში გადავიტანო?

ცოტას ვეჭვობ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, შენს დადებულ პირობას შეასრულებო, ჯერ ახალგაზრდა, დაუღვინებელი ჯეელი ხარ, მოვა დრო, ღრმად და შინაარსიანად გააანალიზებ, ჩემს მიერ მონაყოლს და ჩვენი ქვეყნის ისტორიასაც. გაგახსენდები, ვიცი, ტკბილად მომიგონებ, აი, მაშინ მიხვდები თუ როგორ გამოგადგება, ჩემს მიერ მონაყოლი მოგონებები გიორგი სააკაძეზეო.

ახლა კი მეორე საქმეს მივხედოთ და კარგი ხასიათი დაფუყენოთ ჩვენს თავსაო.

პეტრე ხიზამბარელი გახსნიდა თავის აბგას, ერთ მანონით სავსე კოჭობს ჩემსკენ გადმოდგამდა, მეორეს თავისთან დაიდგამდა, მერე ამოიღებდა ღვინით სავსე ჩარექიან ბოთლს, პატარა ყანწს მოიმარჯვებდა, ღვინით აავსებდა, რალაც მძიმედ დაფიქრდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ სითბო ჩაუდგებოდა ზეცისაკენ აპყრობილ თვალებში და წარმოსთქვამდა: ღმერთო მაღალო, აცხოვნე გიორგი სააკაძის სული, რომელიც თავის სამშობლოს სანთლად და მსხვერპლად დაუნთოვო!

## 2800 მარტყოფელი შაჰისეჰანი

მარტყოფის ომში 27 ათასზე მეტი ირანელი ჯარისკაცი განადგურდა. მხოლოდ 2800-მდე კაცი გადარჩენილა ცოცხალი.

საკითხავია, რა ბედი ეწიათ მათ, ან ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ისინი, ჩააღწიეს ირანში თუ არა?

მარტყოფის ომის დასრულებიდან სულ მალე ზ. ერისთავმა და გიორგი სააკაძემ ხორნაბუჯში გამაგრებული ფეიქარ-ხანისა და ირანული ჯარის ნაწილების განადგურება განიზრახეს. რომც გადაეწყვიტათ ამ გადარჩენილებს, გზაც იოლად გაეგნოთ ხორნაბუჯამდე და შეერთებოდნენ ფეიქარ-ხანის ჯარს, მაშინ ხომ მიემატებოდნენ ეს გაქცეულები იქ გამაგრებულ ირანელებს და ასეთ შემთხვევაში გულმოცემული ფეიქარ-ხანი თავქუდმოგლე-ჯილი არ დატოვებდა გამაგრებულ პოზიციას და ყარაბაღში არ გაიქცეოდა.

მეორე მხრივ, ვერც ყურის ძირში თბილისის ციხეში მისვლას გაბედავდნენ.

მესამე, საფიქრებელია, ისევ ირანისკენ აეღოთ გეზი, მაგრამ დამარცხებულები, რა ხალისით ან რა კარგის მაუწყებლად უნდა ხლებოდნენ „ირანის ლომს“.

ისტორიული წყაროებით მათი შემდგომი თავგადასავალი ცნობილი არ არის.

ვინაიდან გიორგი სააკაძეს აჯანყების გეგმა კარგად მოფიქრებული და დაგეგმილი ჰქონდა, იმასაც გაითვალ-

ისწინებდა, მტრისთვის გასაქცევი გზები ჩაეკეტა და საშუალება არ მიეცა, გადარჩენილები რევანშის ასაღებად წამოსულეხს შეჰმატებოდნენ. გიორგის ისიც გადანყვეტილი ჰქონდა, მთელი აღმოსავლეთ საქართველო გაეთავისუფლებინა ყიზილბაშებისგან, ზედიზედ აიღო არა მხოლოდ საქართველოს ციხეები, ყარაბაღშიც მუსრი გაავლო მტერს.

აქედან გამომდინარე, მარტყოფში გადარჩენილ ირანული ჯარის 2800-ზე მეტ მეომარს ცოცხლებს გაუშვებდა? თუ გაუშვა, უნდა ვივარაუდოთ, რომ ესენი ირანში მცხოვრები ქართული წარმოშობის გამაჰმადიანებული მეომრები, „შაჰისეჰანები“ ანუ შაჰის მეგობრები უნდა ყოფილიყვნენ. საფიქრებელია ისიც, რომ აჯანყების მზადებისას ამ ქართველ მეომრებთან ან მათ ერთ-ერთ მეთაურთან ფარული მოლაპარაკება ჰქონოდა, რომ ერთად ემოქმედათ სამშობლოს საკეთილდღეოდ, რომ ისინი ბრძოლაში არ ჩართულიყვნენ, რადგან ქართველ მეომრებსაც გაუჭირდებოდათ მათზე ხელის აღმართვა.

სააკაძემ კარგად იცის საქართველოს მოსახლეობის სიმცირე. აქედან გამომდინარე, იცის თითოეული მეომრის მნიშვნელობა, სიცოცხლის ფასიც. არ მოიპოვება ზუსტი ცნობა, რამდენი ქართველი მებრძოლი დაეცა მარტყოფის ბრძოლაში, ეტყობა, იმდენად მცირე, რომ სათქმელადაც არ მიიჩნიეს.

იმავე 1625 წელს, მარაბდის ბრძოლაში 20 ათასამდე ქართველი მეომარი მონაწილეობდა (შესაძლებელია, მარტყოფში გადარჩენილი ის 2 800 ქართული წარმოშობის გასპარსელებული მეომარიც მიმატებოდა ქართულ რიგებს.

## პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან

მარტყოფის აჯანყება რომ დამთავრებულა, ომის ხელმძღვანელთა გადანყვეტილებით, ბაადურ ციციშვილს დაევალა, დაღუპულ, როგორც ქართველ, ისე ირანელ მეომართა სათვალავის შედგენა (აღრიცხვა).

(ომში დაღუპულ ქართველი მეომრების რაოდენობა, მათი სიმცირის გამო, უცნობია).

შაჰ-აბასის 30 ათასი მეომრიდან 27 ათასმა მარტყოფის ველზე დააღამა სიცოცხლე.

ბრძოლების მიმდინარეობისას, ან ომის დასასრულს, საგანგებოდ შექმნილი ბრიგადები პირველ რიგში, მძიმე და საშუალოდ მძიმე დაჭრილ ქართველ მეომრებს აღმოუჩენდნენ სასწრაფო დახმარებას, სადაც თავდაუზოგავ მუშაობას ეწეოდნენ იმ დროის ხალხური მკურნალობის სპეციალისტები.

(ერთ-ერთი სამკურნალო მეთოდი ასეთი ყოფილა, სხეულის დაჭრილ ადგილას წითლად გავარვარებული ლითონით (დაშაშხავდნენ) დადალავდნენ, ინფექციის შეჭრისაგან დაცვის მიზნით, შემდეგ ანწლის არყით ახდენდნენ ასეთი ადგილების დამუშავებას საბოლოო განკურნებამდის).

საომარი ვითარებების დასასრულს ომში მონაწილე, იმ მხარის, ხეობის საერისთავოს, წარმომადგენლების მიერ, დავალებული პრიგადებისაგან ხდებოდა, პირველ რიგში

დაღუპული ქართველი მეომრების ამოცნობა, მათი რაოდენობრივი აღრიცხვა, შემდეგ შაბიამნითა და მარილით დამუშავება, შორი მანძილისა და დროის გამო, გვამებს მწერი რომ არ დახვეოდა, და ამის მერე, ურმების საშუალებით, მიასვენებდნენ იმ მხარეში, საიდანაც იყვნენ წარმოსულები და საგვარეულო სასაფლაოებზე კრძალავდნენ.

რაც შეეხება, ირანელ მთავარ სარდლებს, რომელნიც გ. სააკაძის ხუთ კაციანი ჯგუფისაგან დაიხოცნენ, გადმოცემის მიხედვით, მათი მდგომარეობა ასეთი ყოფილა: ყორჩიხანის, მისი შვილი იმამვერდი-ბედის, შირვანის ბეგლარ-ბეგი იუსუფ-ხანის, ყარაბაღის ბეგლარ-ბეგის, მოჰამედ-ყული ხან-ზიად-ოღლის გვამები, საფასურის გადახდის გზით, ირანში წაუსვენებიათ.

რამოდენიმე სარდლის მოკვეთილი თავი, მარილში დამუშავებული, ირანულ დროშებთან ერთად, გ. სააკაძის ინიციატივით ოსმალეთის სულთნისათვის გაუგზავნიათ, იმის ნიშნად, რომ შაჰ-აბასის უძლეველი ჯარების დამარცხებაც შეიძლება, თუ ურთიერთთანადგომას მოვახერხებთ.

რაც შეეხება მარტყოფის ომში ათასობით დაღუპულ ირანელ მეომრებს, იმ ეტაპზე ქართლის გამგებლობიდან, ასეთი გამარჯვებით უკვე იგნორირებული სიმონ II-ს შაჰ-აბასისაგან მიუღია წერილი, სადაც იტყობინებოდა, ომში დაღუპული ირანელი მეომრები, მაჰმადიანური წესების აღსრულებით, მიწისათვის მიეზარებინათ. ასეთი საქმისათვის ქართულ მხარეს სიმონ II-სათვის დახმარებაც აღმოუჩენიათ, ეპიდემიისაგან დაზღვევის მიზნით.



ყორჩიხა-ხანმა და მისმა თანაშემწე სარდლებმა იცოდნენ, რომ ქართველები ქრისტიანულ დღესასწაულებზე ბრძოლებს არ იწყებდნენ, ამიტომ, ხარების დღეზე რომელიც შვიდ აპრილს აღინიშნებოდა, მათ არავითარი შიში არ ჰქონდათ იმისა, თუ ქართველები მათ ბანაკზე იერიშს მიიტანდნენ. როგორც კი თენება დაიწყო, გ. სააკაძის გეგმით, ქართველ მეომართა ჯგუფს დავალებული ჰქონდათ, ყიზილბაშთა კარვების მოპირდაპირე მხარეს მყოფი დასვენებული, უნაგირმოხსნილი ცხენთა რიგები ჩამოეშორებინათ ბრძოლის ველიდან და შორს მანძილზე გაერეკათ. ასეთი მანევრით, დიდი უპირატესობა ეძლეოდათ ცხენებზე ამხედრებულ ქართველ მეომრებს, ცხენებგარეშე დარჩენილ ირანელ მეომრებთან. ირანელთა ბანაკში მრავლად ყოფილა ტვირთის მზიდავი ჯორ-აქლემები, რომელნიც, ისტორიული, საომარი სტრატეგიული მნიშვნელობით, ჯარის დაბანაკების დროს, ცალკე განკუთვნილ ადგილს იკავებდნენ.

ბაადურ ციციშვილის მითითებით, თავი მოუყრიათ მრავალ ათასობით ცხენებისათვის, რომელნიც კახეთის ველმინდვრებში ყოფილან გაფანტულნი და მათგან 90% უნაგირის გარეშე, შეუკაზმავი იყო. საგანგებო ჯგუფის თადარიგისათვის აღირიცხა ყველა ის იარაღი, რაც ირანელებისაგან მარტყოფის ომში იქნა გამოყენებული (მარტო უნაგირების, მარტყოფიდან თბილისში ჩამოსატანად 50 ურემი 10 დღის მანძილზე ეზიდებოდაო). აღივსნეს საშოვრითა ოქროთი, ვერცხლითა, თვალითა მარგალიტითა, მრავლისა უცხოური ნაქსოვითა, მრავლისა ხალიჩითა, და ფარდაგებითა, სანოვაგე ჭურჭლითა, დიბა-ატლასითა, ფორნებითა და საზიდარებითა, – აღნიშნავდა როსტომ მეფე.

მარტყოფის ველზე ყოფილან ისეთი დაჭრილი ირანელი მეომრები, რომელთა მკურნალობაც შეიძლებოდა. ასეთებს ცალკე განკუთვნილ ადგილას უყრიდნენ თავს, რომელთაც საქართველოში დარჩენის სურვილიც გამოუხატავთ.

მარტყოფის ველზე დახოცილი მტრის მეომრებიდან ზოგი ხმლის ან შუბის ისეთი ძლიერი დარტყმით და ძვერებით იყვნენ განადგურებულნი, რომ შეიმჩნეოდა განსხვავებულობა იმ ნიშნით, რომ ბრძოლის ველზე მალევე ჰქონიათ მოსწრაფებული სიცოცხლე და აღარ გმინავდნენ: – თავ-შუა გაპობილები, წელთ-შუა განყვეტილები, შუბით ნაძვერალნი, მინაზედ დაჭედილები, თავი-ტანთ გაშორებულნი, სიცოცხლენართმეულნი, უძრავნი, არა მკვნესარნი ქვადმოქცეულნი.

ასეთების უმეტესობა გ. სააკაძის ხელით იყო მოკლული.

შაჰ-აბასისა და ირანელი სარდლების გათვლა-გაანგარიშებით ყოველ მეორე მეომარზე ორი ცხენი ყოფილა გამოყოფილი, ეს იმიტომ, რომ ომებში ცხენებიც იხოცებოდნენ, და უცხენებოდ დარჩენილი მეომრები საომარ შემართებას კარგავდნენ. ამის თავიდან ასაცილებლად, სათადარიგო მეორე ცხენს იყენებდნენ. ამიტომ მარტყოფის ომში ირანელებს 45 ათასი ცხენი ჰყავდათ.

იყო მეორე ვარიანტიც. თუ ირანულ ჯარს, საქართველოში დიდხანს, თვეობით უხდებოდათ დარჩენა, მაშინ ცალკე, დამატებით დასახმარებლად იგზავნებოდა ირანიდან 10 ათასობით ცხენიო.

\* \* \*

როს აჩრდილი გაიეღვებს,  
ველზე დიდი მოურავის,  
მარტყოფი და ტაშისკარი  
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის  
და... დილამდე უსმენს მტკვარი  
სააკადის რაშის ჭიხვინს.

ვაჟა ეგრისელი

„იმ დღეს თავი ვინ დაზოგოს, ისიმც კაცი დაიწყება,  
რა გაჭირდეს, უკეთ შევძლი, ასრე მქონდა ომის ჩვევა!“

მარტყოფის ღამის ვარსკვლავებად მოჭედული გამარჯვება, ისტორიის ღერძზე ღამაზად ბრუნავს, ყიზილბაშთა სიცოცხლის გულში ჩამხუტებელმა სიკვდილმა დააღამა და დაამთავრა „მარტყოფის ომი“. მარტყოფში ამოცისარტყელ-და ბრწყინვალე გამარჯვება. ქართლში მოსალოდნელი, კახეთში გაღვივებული ცეცხლის დროება, მარტყოფის გამარჯვებამ ჩააქრო.

1614-1617 წლები ტყვე ქართველთაგან ტირილად განოლილია ირანის უნდო გზაზე, მათ თვალეში ამონაყულ ცრემლსა და გოდებას ყიზილბაშური ცინიზმი და გულგრი-

ლობა მიაცილებდა. მაგრამ ქართველებზე ზეციდან მუდამ მოდიოდა უფლის წყალობა, და მთვარის რკალში ანტონ მარტყოფელის მფარველი ძალით გალობდა. მარტყოფის ომში გ. სააკაძის ფილტვები ქურასავით ქმინავდა და საომარ ველზე ქარიშხლებს აყენებდა, სადაც ყიზილბაშნი შემოდგომის ფოთლებივით იფანტებოდნენ. წარმოუდგენელია შებრალება სიკვდილისაგან, მაგრამ ისეთი თავგანწირვა გამოშხოდა სააკაძის გულიდან, რომ თვით სიკვდილი ელდანაკრავი, იხევდა უკან. ყიზილბაშური ყაშყაშისა და ალტყინებას გნიას-ად შერეულ ცხენთა ჭიხვინთან საქართველოს დასარბევად მოემურებოდნენ, მარტყოფში კი მათივე დამარცხებულ განწირულ გოდებად შეიცვალა.

„მარტყოფის ომი“ უთეიმურაზოდ მოხდა, მას ამით არაფერი დაშავებია, არც მეფური რეპუტაცია შერყეულა, პირიქით – გ. სააკაძემ, ქართლ-კახეთის დიდებულებთან შეთანხმებით, ცენტრალური ხელისუფლებისადმი მართებუ-ლი პოზიცია მორჩილებით გამოხატა და აცნობეს აღნიშნული მოვლენა გონიოში მყოფ თეიმურაზს. ვფიქრობ არ იქნებოდა ურიგო თუ ვიტყვით, მარტყოფის გამარჯვება უფრო ახარეს მას, როგორც შაჰისაგან მრავალჯერ იავარქმნილი კახეთის მინაზე საომარი ფეხის დადგმას ბოლო რომ მოელო „მარტყოფის ომით“. საფიქრებელია, რომ ასეც იქნებოდა, მარტყოფის ომის ორგანიზატო-რებისაგან თეიმურაზ I-ის მიმართ, უფრო რომ ახარეს, ისა ნიშანდობლივი და რა ხან ქართლი იმ შემთხვევაში უმეფოდ იყო დარჩენილი, ქართლ-კახეთის მეფედ მოიწვიეს უკვე იმედ-გადანურული თეიმურაზი. გვახსენდება პოეტ არჩილის ნათქვამი: „უჩემოდ რათ იმღერეთა“. იქნებ ნაგულისხმევია „უჩემოდ ვინ ისარდლეთა“.

იქნებ „მარტყოფის ომის“ შემდეგაა საძიებო ისეთი მოვლენებიდან გამომდინარე, როცა შაჰ-აბასი ოთხჯერ შეესია კახეთს, ვერ გამოიძებნა წინააღმდეგობა, დიდი ძალა ქართველთა მხრიდან, რომ ხელი აელო შაჰს კახეთის ქართველთა იავარქმნაზე. მართალია, დაუმორჩილებელი იყო კახური სიმტკიცე, დავით ჯანდიერის, ნოდარ ჯორჯაძისა და თამაზ ვაჩნაძის აჯანყებებით, და მნიშვნელოვანი გამარჯვებით „წინამურის ომის“ სახით, სადაც ქართველთა ჯარს თეიმურაზ I სარდლობდა. მაგრამ „მარტყოფის ომმა“ სულ სხვა სიმყარე და სიმტკიცე აჩვენა შაჰის ყიზილბაშურ ჯარს. ფაქტი კი ჯიუტია: მარტყოფის ომის შემდეგ შეწყდა კახეთზე შაჰ-აბასის ლაშქრობები.

ქვეცნობიერი განცდა, იქნებ სავარაუდოდ, მაგრამ მაინც მიგვანიშნებს, იქნებ ეს მოვლენა შეიქნა შემანუხებელი, ზოგიერთ დიდებულთათვის, რომ მდაბიო გ. სააკაძემ როგორ შეძლო „მარტყოფის ომის“ გამარჯვებით დამთავრება, და ჩვენ მეფემ და დიდებულებმა, რატომ ვერ უნდა შევძლოთ მარაბდაში გამარჯვების მიღწევა.

მეფეთ წინა სამსახური, მე მინდოდის ყოველთვის დიდათ, ამხანაგთა ვსათნობდი, ვიყვი კრძალვით, მომარიდათ;

ქართველთა ჯარებზე მტერი ყოველთვის ბევრი იყო, ერთს მეორე ცვლიდა, არც ერთი საუკუნე არ დამთავრებულა ისე, რომ საქართველოს მრავალი შემოსევა არ მოეგერიებინოს. გ. სააკაძეს, უზენაესისაგან მოვლენილს, დანათლული ჰქონდა ყველა ის უტეხი თვისება, რაც თვით ქართულ სულში

ფოლადივით იყო ნაწრთობი. ამავე დროს სამაგალითო პირობად ქცეული, ერის მეობის თვით შეცნობის, თავის თავში ჩახედვისათვის.

ჩვენი მტკიცე მოსულდგმულებობა ღმრთისაგან ბოძებულია, და მიწიერ ყოფაში, ყოველი დღე, წუთი, კი მოთმინების გრდემლზე იწრთობოდა. ქართველ ერს მუდმივად სჭირდება ეს მისია, რომ შორი გზის მგზავრობისათვის სიმტკიცემ არ უმტყუნოს.

ქართული სისხლი ყოველთვის, თავისი არსებობის გაგრძელებისათვის, ხარკს სწირავდა, რომელიც ნორმად და აუცილებელ ტრადიციად მომდინარეობდა, დედას შვილი, და უფრო კი შვილები, მსხვერპლად მიეყვანა სამშობლოს დასაცავად და გადასარჩენად. „მარტყოფის ომის“ შემდეგ გ. სააკაძის საქციელი – ქვეყნისათვის შვილის შეწირვის ფაქტი – ამაღლებულ ნიშან-სვეტად იყო ქცეული, ქართველი ერის ცნობიერებაში, თუ რა ზვარაკის გაღება ესაჭიროებოდა მინა-წყალს ქართველი ერის სანუგეშოდ, ასეთ აუცილებლობას, ცრემლებით სავსე ქართლის ცხოვრება ითხოვდა, და შესაწონობა კი სიცოცხლითა და სისხლით უნდა აწონილიყო. ასეთ ვითარებებში აუცილებელზე აუცილებელია ითქვას თეიმურაზ I-ის მდგომარეობაც მისაგან შვილების და დედის სიცოცხლის დაყენება ქვეყნისთვის სამსხვერპლო აუცილებლობაზე. მისი ასეთი მეფური ხარკის გაღებით, ქართველი მოსახლეობა ზნეობრივად ამაღლდა. მას აკლდა მეფური სიმტკიცე და შორს გახედვის უნარი, მაგრამ მას შეეძლო ქვეყნისათვის გაემეტებინა და ჩაენაცვლებინა ყველაზე სანუკვარი განძი შვილებისა და დედის სახით.

\*\*\*

მარტყოფის ომი დიდი გამარჯვებით დამთავრდა, ქვეყანამ ამოისუნთქა, ხალხი აღტაცებამ მოიცვა, ხარობდა ერი და ბერი. სააკაძის პოზიციას შევხედოთ, როგორც ამ გამარჯვების ორგანიზატორი. და უნდა ითქვას, თავისთავად, ბუნებრივად პრივილეგიამინიჭებულმა გამოხატა თავისი საქართველოს გაერთიანების პოზიცია, გაუზიარა თავისი აზრი დიდებულებს, რომ თეიმურაზ I იყოს ქართლის მეფეც. აქ სრული სიცხადით გამოიკვეთა სააკაძის მისია, რომ მას ქართლის სამეფოც მისთვის ემეტება და ცენტრალური სახელმწიფოს წეს-წყობის მაღიარებელია.

იმ ხანებში თეიმურაზ I- გონიოს ციხეში იდგა თავისი ამალით. მარტყოფის ომში მას მონაწილეობა არ მიუღია, იგი თავის ქვეყნის გადარჩენის გზას ეძებდა 1618 წელს ოსმალეთთან მოკავშირეობით, ირანის წინააღმდეგ. ერთი პერიოდი წარმატებისთვისაც მიუღწევიათ, მაგრამ ოსმალთა უნიათობამ, ვერ უზრუნველყო ეს წარმატება. თეიმურაზ I- უკან დაბრუნდა. მთელი იმ დროის მანძილზე ცდილობდა რუსეთთან კავშირი არ შეეწყვიტა. რომ მართლმადიდებლური ქრისტიანული ქვეყანაა და მისგან დახმარების იმედი აქვს. თეიმურაზ I- გულხელდაკრეფილი არასოდეს ყოფილა, რაც კი შეეძლო და რა ხერხითაც შეეძლო, თავის ქვეყნის გადარჩენისათვის თავს არ ზოგავდა. და არც თავის დედასა და შვილებს ზოგავდა.

აქაც უნდა აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება, თეიმურაზ I-სა და გ. სააკაძეს შორის. ორივე ცდი-

ლობს დიდი მონადინეობით, ცალ-ცალკე, თავიანთი ქვეყნის გადარჩენას, სურვილები და მიზნები ამ შემთხვევაში ერთნაირი აქვთ. საბრძოლო საომარი ხერხები, დიპლომატიური სვლები, გამარჯვებამდის მისაღწევად კი სხვადასხვა. თეიმურაზ I- გარე ძალებით, ოსმალეთის მეშვეობით და შემდეგ რუსეთის მეშვეობით, ცდილობს ქვეყანა გადაარჩინოს. სააკაძე კი იმ ეტაპზე შიდა ეროვნული ძალების მობილიზებით და გაერთიანებით ცდილობს ქვეყნის გადარჩენას.

მინდა მკითხველის ყურადღება შევაჩერო პოეტი არჩილის ნააზრევზე, – „მოურავი უფროსობდაო“, დღემდის ქართველ მკითხველს უჩნდება აზრი იმისა, რომ საშუალო აზნაური სააკაძე ეპატიჟება ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელს, კახეთის მეფეს თეიმურაზ I-ს ქართლის საპატრონოდ.

იმ ხანებში თეიმურაზ I- რუსეთში გამგზავრებას აპირებდა, სკეპტიკურ მდგომარეობაში მყოფს, სასიხარულო მოვლენას აცნობებენ, რომ გ. სააკაძე შაჰ-აბასს აუჯანყდა, მარტყოფის ველზე მტრის ჯარები გაანადგურა, გამარჯვება მოიპოვა და ახლა ქართლის მეფობასაც სთავაზობს თეიმურაზს. ვინ სთავაზობს? საშუალო აზნაური სააკაძე.

აქაც ყურადღება უნდა მივაქციოთ, კიდევ ერთ გარემოებას. დიდებულთა მხარეს, უეჭველია, ეცოდინებოდა, თეიმურაზ I-ის ყოფნა გონიოს ციხეში. და როცა ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში იყო მეფე და რუსეთში წასვლას აპირებდა იმიტომ, რომ თავისი ქვეყანა შაჰ-აბასის ვერაგი გეგმისგან ეხსნა, და ეს ქვეყანა რომ მტრისაგან უკვე დაიხსნა ქართველმა ხალხმა გ. სააკაძის თაოსნობით.

ეს, როგორც საოცნებო მოვლენა, არ უნდა ეცნობები-ნათ, არ უნდა ეხარებინათ, თუნდაც როგორც მოვალეობა თეიმურაზ I- მეფისათვის?

ისევ მივყვით მკითხველის ფიქრს, რაღაც გაურკვეველი მოვლენა ანუხებს, კითხვა ქვეცნობიერად თავისთავად იბადება, რაღაც ფარული მოვლენები გაურკვეველია? მარტყოფის გამარჯვებას სააკაძე ცალკე ვერაფრით მოიპოვებდა. ის ქართველ ხალხთან ერთად იქნა მიღწეული, სააკაძე ხელმძღვანელი ორგანიზატორი იყო. ახლა ეს სასიხარულო ცნობა გონიოში ჩაუტანეს თეიმურაზ I-ს.

აქვე უნდა ითქვას, მარტყოფის აჯანყების სამზადისი იმდენად ფარულად, კონსპირაციულად მიდიოდა, რომ საკითხავია, თვით მეფე თეიმურაზისთვისაც, ვერ იქნა თუ არ იქნა ცნობილი. ასეთი ვეებერთელა აჯანყება და გამარჯვება ერთდროულად მოხდა, მეფე საქმის კურსში არ ჩააყენეს? არ გაანდვეს? თუ ბუნებრივად მოხდა ისე, რომ მეფის გარეშე მოახდინეს აჯანყება. 30-000 ათასი მტრის არმია თბილისში შემოვიდა და დაიბანაკა, ნუთუ ეს ვითარება არ იყო თეიმურაზისათვის ცნობილი? მარტყოფის აჯანყება სააკაძისაგან ზედმიწევნით, მკაცრი კონტროლით რომ ვითარდებოდა, ეს გასაგებია, გასაგებია იმიტომ, რომ სხვაგვარად არ მოხერხდებოდა, რადგან სააკაძეს მტერი ორივე მხრიდან მალულად უთვალთვალებდა. რა მხრიდან გაიჟონებოდა აჯანყების გეგმა, ვინ უწყოდა.

მარტყოფის აჯანყების თადარიგი სააკაძეს, პირველ რიგში განდობილი აქვს როგორც მეტად სანდო, საეკლესიო პირი, წილკნელი ეპისკოპოსისთვის. ეს უტყუარი ფაქტია,

რომ საომარი მობილიზება რაც შეიძლება ფარულად და ორგანიზებულად მოხდეს. ზურაბ ერისთავს აჯანყების გეგმა მოგვიანებით, მაგრამ მაინც გააგებინეს, ზურაბი იმ ეტაპზე ჯერ სიძე არ არის თეიმურაზ I-ის, რახან ზურაბ ერისთავს ეცოდინებოდა აჯანყების გეგმა, სიძე რომ ყოფილიყო, სიძე სიმამრს არ დაუმალავდა და გაანდობდა საიდუმლოს.

ზ. ერისთავი მერყევი ხასიათის კაცი იყო, ამდენად საფრთხილოც. სააკაძემ მასში ეროვნული ღირსებები გამოაღვიძა, შემდეგ დაითანხმა და მოხიბლა ლელა-თინათინის ცოლად შერთვით. მარტყოფის ომში ზ. ერისთავის მონაწილეობა იმიტომ იყო საჭირო, რომ მას თავდაუზოგავი, ბრძოლებში ნანრთობი მთიელი მეომრები ჰყავდა.

საკაძის აჯანყების თადარიგი ზ. ერისთავმა იცის და თეიმურაზ მეფემ არ იცის? ცხადია, ამის მიზეზი იქნებოდა. როცა შაჰ-აბასი კახეთზე თავდასხმებს ანარმოებდა, თითო შემოსევაზე 15,000 ათასი მეომარი მოჰყავდა, ახლა 30,000 ათასია, რომელნიც ცენტრალურ ქართლში თბილისსა და მუხრანს შორის მოძრაობს, მთელი, თვე-ნახევარის მანძილზე, რა ძალა უნდა აღუდგეს მათ წინ? ყიზილბაშების 30,000 ათასიანი არმიის თბილისში შემოსვლა, მეფე თეიმურაზისათვის ცნობილი იქნებოდა, მაგრამ სააკაძის აჯანყების გეგმა შესაძლოა არ იყო ცნობილი, რადგან მეფე გონიოს ციხეშია გაჩერებული და ფიქრობს რუსეთში წავიდეს. მისი ასეთი ყოფა მიგვანიშნებს, რომ თეიმურაზ I- უიმედო მდგომარეობაშია იმის გამო, რომ ამოდენა მტრის ჯარებთან ბრძოლა, მცირე ქართველებით, უშედეგო იქნებოდა და იგი ფიქრობდა რუსეთთან კავშირები ისევ გაეგრძელებინა.

ხაზი უნდა გავუსვა ერთ ვითარებას. 1617 წლიდან 1625 წლამდის, შაჰს აღმოსავლეთ საქართველოზე ლაშქრობა არ განუხორციელებია, მაგრამ თეიმურაზ I- უიმედო მდგომარეობაშია, და რუსეთში აპირებს წასვლას. რა უნდა ყოფილიყო თეიმურაზ მეფისაგან, რუსეთში წასვლის მიზეზი?

თეიმურაზს ინფორმაცია ექნებოდა იმის შესახებ, რომ შაჰი აღმოსავლეთ საქართველოზე ხელახლა ლაშქრობას აუცილებლად განახორციელებდა. რომელ წელს, ეს იქნებოდა უცნობი მეფისათვის, მაგრამ ცნობილი იქნებოდა სააკაძისათვის, იმის გამო რომ, იგი ირანში იმყოფებოდა და იმ ეტაპზე სანდო პირი იყო და რადგანაც სააკაძე შაჰისათვის სანდო პირი იყო, საიდუმლო გზებით სააკაძემ იცოდა, რას უპირებდა შაჰი აღმოსავლეთ საქართველოს და სწორედ ამის გამო ამზადებდა აჯანყებას (საიდუმლო გზებით, ვამბობ იმის გამო, რომ სააკაძე სანდო კი იყო, მაგრამ შაჰი ყველა გეგმას მასაც არ გაუმხელდა).

შაჰ-აბასისაგან აღმოსავლეთ საქართველოზე ლაშქრობისათვის ფარული სამზადისი ცხადი რომ იყო, ჩანს იქიდან, რომ თეიმურაზ I-ს გადაუწყვეტია, და 1618 წელს ჩასულა ოსმალეთში და მისი მოკავშირე გახდა, რომ შაჰის წინააღმდეგ გვერდში ამოიყენოს, სამწუხაროდ, ოსმალეთმა თეიმურაზ მეფეს ვერ გაუმართლა. ასეთმა მდგომარეობამ მეფეს არჩევანი ისევ რუსეთისაკენ გააკეთებინა. ეს ფაქტი ჩანს იქიდან, რომ 1625 წელს თეიმურაზ I- იმედგადაწურული, ოსმალეთისაგან, თან იმ ხანებში, შაჰი ხმებს გაავრცელებდა, რომ სიმონ II-ის ირანული მაცრიონი, ქართლში წამოსასვლელად ემზადებოდა (რაც შაჰ-აბასისაგან ირანული ჯარების

ქართლში შემოჭრას ნიშნავდა, და ამის გამოც მეფე რუსეთში აპირებდა წასვლას. თეიმურაზ I-მა არ იცოდა, გ. სააკაძეს შაჰის წინააღმდეგ აჯანყების თადარიგი დაჭერილი რომ ჰქონდა, რა მიზეზითაც არ იცოდა, მკითხველს მოვახსენებ.

თეიმურაზ მეფეს აჯანყების გეგმა რომ სცოდნოდა და თუ ის თანახმა იქნებოდა აჯანყებისა, მაშინ ქართლ-კახეთისა და თბილისის მახლობლად უნდა ეტრიალა, ამ სიშორეზე გონიოში არ უნდა ყოფილიყო გაჩერებული. შესაძლებელია, რადგან სააკაძე შაჰ-აბასთან იყო თავშეფარებული და ახლა, ის ყორჩინა-ხანთან ერთად, და ყიზილბაშურ ჯარებთან ერთად თბილისში შემოვიდნენ, მეფე თეიმურაზს არც ეჯერათ თუ სააკაძე მათ წინააღმდეგ აჯანყებას მოაწყობდა და ამის გამოც მოცილდა ყიზილბაშთა სიახლოვეს და გონიოს ციხეში გაჩერდა.

მეორეს მხრივ, მაინც საკითხავია, რატომ არ ჩანს თეიმურაზ I- მარტყოფის ომის ორგანიზატორებთან თანამონაწილედ?

სავარაუდოდ, შესაძლოა, ასე მოხდა.

მას როგორც მეფეს, აჯანყების გეგმა სხვა მიმართულებით რომ არ წაეყვანა, და იგი ამ შემთხვევაში როგორც მეფე პრივილეგირებული იქნებოდა და შეწინააღმდეგებასაც, ისე ვერ გაუბედავდნენ.

და ამის გამო არ გაანდეს მას აჯანყების საიდუმლო.

თეიმურაზ I-სა და სააკაძეს შორის იმ ხანად არავითარი გართულებები არ იყო, პირიქით, სააკაძეს მეფის

მიმართ კეთილგანწყობა აქვს ჩაფიქრებული. ქართლ-კახეთში მეფედ მოსაწვევად. და ამ საფუძველზე აჯანყების გამხელა მისთვის აუცილებელი რომ ყოფილიყო, სააკაძე გაუმხელდა.

როგორც ჩანს, სააკაძემ ზედმინევით იცოდა თეიმურაზის ხასიათი. შესაძლოა, მეფე დათმობაზეც წასულიყო, როგორც ეს გამოჩნდა კახეთის მოვლენებში, როცა დედა და ორი შვილი, დიდებულთა რჩევით, შაჰ-აბასთან გააგზავნა, და შესაძლოა მარტყოფის აჯანყებაში მომხდარიყო ასეც, დიდებულთა ნაწილი და თეიმურაზი ურთიერთაზრს გაიზიარებდა, და სააკაძის გეგმის საწინააღმდეგო გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, როგორც ეს შემდგომ მარაბდის ომში გააკეთეს. შაჰ-აბასს ქართლისა და კახეთის მოსპობა ენადა, მასთან დათმობა და შეღავათი დამარცხების საწინდარი იქნებოდა, ამიტომ მხოლოდ რადიკალური პოზიცია იყო გამართლებული. ერთი მთლიანი მძლავრი შეტევით მტერი უნდა განადგურებულიყო. სააკაძე მპატიებელი და ტოლერანტი მხოლოდ თავის თანამოძმეებთან იყო.

მარტყოფის გამარჯვება მართლაც იყო სასიხარულო მოვლენა ქართველი ხალხისათვის. და ეს სასიხარულო მოვლენა, როგორც ინფორმაცია, გონიოში თეიმურაზ I-ს ჩაუტანეს. სააკაძეს აჯანყების ორგანიზება მოუწყვია და ქართველ მოსახლეობასთან ერთად მარტყოფის ველზე, შაჰ-აბასის 27,000 ათასი მეომარი გაუნადგურებიათ, თანაც ერთ დღეში.

მკითხველის ფიქრიც აქ მიმოტრიალებს, ასეთი გრანდიოზული საქმე, რომელიც მეფის გასაკეთებელი უფრო იყო, სააკაძეს გაუკეთებია (ვინმესგან აუცილებლად უნდა

გაკეთებულიყო) მოარული აზრით სააკაძეს მარტყოფის ომში უფროსობა უნდოდაო.

აქვე კითხვად უნდა დაისვას –

გიორგი სააკაძეს, მარტყოფის აჯანყებით, შაჰისაგან ქვეყნის დახსნა უფრო უნდოდა თუ ამ აჯანყებაში უფროსობა? განა შეიძლება სააკაძეს მარტყოფის აჯანყებაში უფროსობის სურვილის გამო შვილი გაენირა?

ახლა დავაკვირდეთ, მარტყოფის აჯანყებაში „ნაუფროსალი“ სააკაძე ცდილობს მეფე „უფროსს“ დაუკავშირდეს და ქართლის მეფობაც შესთავაზოს, ასევე თავისი საომარი გამოცდილებაც, რომ მეფემ თავის სამსახურში დაიგულოს. აქ ხომ ცენტრალური ხელისუფლების, რომლის სათავეში თეიმურაზ I იქნება, სააკაძისაგან აშკარა აღიარებაცაა.

აქვე, განმარტებისათვის, საყოველთაოდ ცნობილი ადამიანური, ბუნებრივი განცდაა, ადამიანი ეპატიჟება საკეთილო საქმისათვის მაღალსა და აღმატებულს, მისთვის არა მარტო ერთჯერადი, არამედ მუდმივი, საყოველთაო და მარადჟამს სამსახურისათვის.

მარტყოფის გამარჯვების მიზეზი, შვილის გამწირავი, სააკაძე ქართველმა მოსახლეობამ, უმაღლეს სამაგალითო რანგში აიყვანა, ვისი ძალისხმევითაც აღარ გახდა საჭირო, არც იმერეთში თავშესაფრად გადასვლა და არც მოსახლეობის მიუვალ ადგილებში გახიზვნა.

მადლიერმა ქართველმა ხალხმა, თავისი პატივისცემით სააკაძის მიმართ რომ გამოეხატა, მეფე თეიმურაზ I-ის ქართლ-კახეთზე მეფედ მონკვევა, სააკაძეს მიანიჭა.

მარტყოფის გამარჯვებამ საფუძველი შექმნა, საქართველოს გაერთიანების საქმე დაწყებულიყო, პირველი ნაბიჯი გადაიდგა კიდევაც. თეიმურაზ I-ის ორსავე სამეფოში გამეფე-

ბით. ეს ხომ იყო წმინდა რეალობა, რომ სააკაძეს თეიმურაზ I- ეიმედება, რომ ამ რთულ საქმეს იგი თავს გაართმევს, მით უმეტეს, სააკაძემ მასთან თანადგომაც გამოაცხადა.

ისმება ლოგიკური კითხვა. შაჰ-აბასმა 1626 წელს ბაზალეთის წინარე მოვლენებში, ზავის წაყენების პირობით, ძალები რომ მოიკრიბოს, საქართველოში დაუდ-ხან უნდილადის გამოგზავნით, თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთში მეფობის გამოცხადებით, ახალი რა აზრი ან რა თანადგომა შესთავაზა, როცა სააკაძისაგან და ქართველ დიდებულთა მხრიდან უკვე აღიარებული იყო ქართლ-კახეთის მეფედ?

გიორგი სააკაძე მარტყოფის ველზე, ორ უდიდეს რისკზე წავიდა სამშობლოსთვის

პირველი რისკი – შაჰ-აბასის ჯარების წინააღმდეგ კონსპირაციული აჯანყების მოწყობაა.

მეორე რისკი – ამ აჯანყების ხარების დღესასწაულზე დამთხვევა.

დავფიქრდეთ, ამ დიდებულ ხარების დღესასწაულზე, მარტყოფის ველზე, სააკაძის გეგმა რომ ჩაშლილიყო და ქართული ჯარი დამარცხებულიყო, რა მოხდებოდა ქართველი ხალხის ფსიქოლოგიაში, როგორი ფიქრი გაჩნდებოდა მათ გონებაში.

მაღალი ღმერთის შეწევნით, სააკაძემ მარტყოფში, საქართველო გადაარჩინა. წარუმატებლობის შემთხვევაში, ქართველი ერისთვის, ხარების დღე სიხარულთან ერთად, სინანულის დღეც იქნებოდა.

პეტრე ხიზამბარელის მოგონებიდან

მარტყოფის ომში, ქართველების გამარჯვებით გამძვინვარებულმა შაჰ-აბასმა, იმისთვის, რომ გიორგი სააკაძე კიდევ უფრო მეტად გული რომ დანყვიტოს, როგორც ქრისტიანს, პაატას მოკვეთილი თავი აღდგომის დღესასწაულზე გამოუგზავნა.



პაატა სააკაძე



## პაატა სააკაძე

წავკისურმა შეთქმულებამ პაატას ყრმობის ცისკარი გაუხარელი დატოვა, რამაც ამოუქრობ ხსოვნად და ცრემლად გაიარა მის სულში, მისთვის ვარდობისთვის მზე სამუდამოდ ცეცხლისფრად დარჩა. ტყე-ღრე გამოვლილები, მერე მცხეთასთან მისულნი, ლტოლვილთა დადაგული გულები ცრემლებში კრისტალდებოდა.

მაშინ ქართლმა ჩუმი ზარი ჩამოჰკრა სვეტიცხოველთან, სააკაძის ოჯახის მფარველი, ლოცვის მთხოვნელი, ანგელოზთა შენევნით, უფალთან შუამდგომლობით, მტკვართან სამშვიდობო გზის მოძებნის დამშვიდებით.

ვის ენიფება გონება, კამათი გამართოს სიცოცხლის მომგონთან, ყრმობიდან ქართლის მზისაგან იყო ჩაკოცნილი პაატას შუქმფინარი ბავშვობა, რომელიც ნოსტეში დარჩა შეშინებულ ხსოვნად. მშობლების გაფაციცებულმა ხელებმა და თვალებმა სასწრაფოდ, თვალების ფშვნეგით რომ გააღვიძეს, შემოახვიეს ჭილობი და სხვა ფანჯი-ფუნჯები და ტყეში შეხიზნულებს, ერთადერთი, რაც მის ბავშვურ გონებას ჩაჰკირვოდა, იყო ის, თუ როგორ ადიოდა ცეცხლის ენები მისი ისევ ნათბილარი საწოლიდან, სოფელი ნოსტე, ის ეზო-კარი, მათი. სააკაძიანთ ცეცხლად ქცეული სახლი, შემოგარენს რომ ანათებდა, პაატას სამშობლო და დაბადების ადგილი ერქვა, მაინც რა ავი თვალი და ამწარებული დღეები დაჰყვა სააკაძის შვილებსაც, ჯერ იყო და შეთქმულთა დამიზნებული სიკვდილისაგან გასწრება 1612 წელს 20 მაისს, შემდეგ ამღვრეული მტკვრის გადალახვა ღამით, შემხუთავი მგზავრობა ირანის ხრიოკ გზაზე, 12 წლიანი სამშობლო ცის უნახაობა, და ბოლოს, 1625 წელს აპრილში

წამებით აღსასრული პაატასი და ავთანდილის 1629 წელს ოქტომბერში.

პაატას უმანკო სიცოცხლე შიშის ჟრუანტელ გავლილ ხსოვნის დღეებად განდევნილი, ნოსტედან ირანში შაჰის კარამდე. ნოსტეში დარჩენილი კვამლით აშავებული აკვნიდან პაატას ბავშვობა ქართველ ერს ისევ შემოსტირის. ირანის გზაზე მისი ნატირალი სიყმანვილე, შემზადებული წამებისათვის, რაც იმავე ირანიდან ღირსებად და გამარჯვებად დაუბრუნდა, ჯერ მამას გიორგი სააკაძეს და შემდეგ საქართველოს. ქართველთა ხსოვნის საგანძურში პაატას მშვიდად სძინავს, ქართული სულისათვის ნეტარია ის აკვანი, რაშიც პაატა დარწმუნა, ნეტარია ის წამიც მისი შენირვის დროს რომ გაქვავებულა. ჟამთა ტრიალში, ნეტარია ნოსტეს მიწა, პაატას ბავშვობის ნაფეხურებზე ყაყაჩოებიც რომ ამოფრქვეულა.

მარტყოფის გამარჯვება განგებისაგან პაატას ჯერ ისევ ნაზ მხრებზე დადგა და მამისაგან ნაკარნახევი მისი სული, სამშობლოსათვის სამსხვერპლოდ დაიდო. მისი ნაზი სურნელის კულულებიანი თმა, შაჰ-აბასის თითებს ანაწერად ჩამოუვარცხნია მხრებამდის, შემდეგ ჰორიზონტალურად ხელი გაუქვავებია და ჯალათებისთვის უბრძანებია, იმავე ადგილას მოეკვეთათ თავი. მისი თვალებიდან წამოსული უმანკობა, კეთილ მორჩილი კრავივით, მუხლებზე დაჩოქებული ჯალათის მახვილს შეადნა.

ასე იყო განსაზღვრული უზენაესისაგან.. ნოსტეში იავნანანამღერი, ირანიდან წამებული მოდიოდა პაატას თავი, მძევალი პაატა სააკაძის სული მარტყოფის გამარჯვებად აისახა, ის, რაც ცოცხალმა, ნოსტედან ირანის გზაზე გაიარა, ირანის კარს თავშეფარებულმა და ბედისწერით ნიშანდადე-

ბულმა, სიცოცხლე დატოვებული და გამარჯვებად წამოღებული პაატას თავი მამის გულში ჩასახუტებლად მოიჩქაროდა. ასე იყო ნაკარნახევი ღვთისაგან. ქართველი ხალხის სულში სააკაძის საქციელი მტკიცე ფუძე-საყრდენად, შემდეგ მისაბაძ მაგალითად, შემდეგ რწმენად გადაქცეული, ქმნიდა თვით შენახვა გაფრთხილების შინაარსიან პირობას. რომ არა ასეთი თვისებები, სააკაძის გულის-გულში, სმენა საკუთარი ქრისტიანული სულის ხმისა, იმ სულის ხმისა, რომელსაც, სამშობლოს წყალ-ჭალა, თავისი წიაღისაკენ იზიდავდა და რომ არ ყოფილიყო სააკაძეში ასეთი თვისებები, მაშინ თავისი შვილი პაატაც ცოცხალი შერჩებოდა და მისი წამებული სიკვდილისაგან გამონვეული გოდებაც ასცდებოდა.

ბუნდოვანი აღარაფერი იყო, უხაროდათ მარტყოფელებს ერთმანეთობა, გონებაგანათებულები და გამარჯვების სიტკბოშესმულები, ცრემლებად იღვრებოდნენ და გულის ხმით ხვდებოდნენ, სად ჩაეყარა საძირკველი მარტყოფულ სიმტკიცეს, ვისაგან ვისი განირვით. ნათლად თვალხილული მოვლენა იდგა მათ წინაშე. მარტყოფის გამარჯვებით დაესვა ნიშანი სააკაძის 12 წლიან მოთმენადათმენას. ამ მწარე არჩევანმა პაატა სააკაძის სიცოცხლე ჯალათის მახვილთან დაამთავრა, სამშობლოს ინტერესების ალალ სამსახურის გარდა სხვა გზა არც გააჩნდა. სააკაძეს, მის გაუხუნარ ღვანლში ჩასაძირკველბული „ტაშის კარის ომის“ ამაგ დამნახავი, და სიცოცხლე ნაჩუქარი ბააკა ხერხეულიძის საქციელი, ვისგანაც გადარჩა სააკაძე, ხერხეულიძის გულში სამშობლოს მიმართ დანთებულმა სიყვარულმა, მუდმივ მზრუნველ და ქვეყნის წინაშე სიცოცხლე დაუზოგველ ადამიანად დატოვა და გონებაში ისევ ის რწმენა შეუნარჩუნა რაც სააკაძეს ტაშისკარის ომის

მოვლენებში ასულდგმულებდა. სააკაძის შემწყნარებლურ პოზიციას მხოლოდ ერთი მოტივი გასდევს ნათელ ხაზად. დაბრუნდეს საქართველოში და განამტკიცოს მოსახლეობის ერთიანობა რომ შაჰის ვერაგული გეგმები ააცილოს საქართველოს თავიდან.

გ. სააკაძეს შვილი პაატა, ჯერ კიდევ მაშინ ჰყავდა გამოტირებული, როცა იგი 1615 წელს დაბრუნდა საქართველოში. მისაგან დაზაფრულმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, დასავლეთ საქართველოს მიაშურა, სააკაძემ კი შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა. სულ მალე ისევ ქაიხოსრო ჯავახიშვილმა, ჯარი სთხოვა ფარსადან ციციშვილს სააკაძის მოსაკლავად. სააკაძე ისევ გადარჩება და ისევ ჩამოითმენს მისი გონება მოსისხლეთა ვერაგობას. სწორედ იმ შემთხვევაშიც გამოტირებული ჰყავს მას პაატა.

ისმება ლოგიკური კითხვა: მაშ რისთვის ითმენდა გ. სააკაძე თავისი პირადი მტრებისაგან ამდენს? და რახან ითმენდა, ცხადია თავისი მიზანიც ჰქონდა, და ამ დათმენის მიზეზსა და მიზანს, თავისი ირანში დარჩენილი თავისი პაატა რომ შეენიერებოდა, ხომ საზღვრავდა ამას მისი გონება.

ავი დრო მოდიოდა და მოჰქონდა ხალხის გულისა და გონების დასანახად ისტორიული ვაებანი. მარტყოფის ომის მოვლენებში, სააკაძემ მნუხარე გულიდან ჩამონათალი, პაატას მსხვერპლად შეწირვა კრძალვად აანთო ქართველ მოსახლეობაში, რაც მათგან დაღვრილ ცრემლებში აისახა. მდუმარებას მოეცვა ოპონენტთა გულებიც. ყოველი წლის გაზაფხულზე, „ხარება“ დღეს, ერთანმინდის ეკლესიიდან პაატა პატარა საფლავიდან მამას ელოდება და ისევ მას ამოჰკენესის.

**მნიშვნელოვანი მოვლენა** – ქართველ ქრისტიან მარ-

თლმადიდებელ მოსახლეობას, მინდა ვაუწყო:

მარტყოფის ველზე, ომის ქართველთა დიდი გამარჯვებით დამთავრებამ, განაპირობა ის, რომ გიორგი სააკაძემ, ქართველი ერი არა მარტო მტრის მიერ განადგურებისგან იხსნა, არამედ გამაჰმადიანებინა. ვინც სააკაძის გონებითა და მარჯვენით გადაურჩა განადგურებას, დიდებულითა სწორედ ის ნაწილი, დაუპირისპირდა მას საქართველოს გაერთიანების საკითხებში (ბაზალეთი).

ოპოზიციურად მოაზროვნე მხარეს გაუჩნდება კითხვა: რატომ მიიღო სააკაძემ ხელმეორედ მაჰმადიანობა, ოსმალეთში ჩასვლის დროს?

პასუხი ასეთია, განვმარტოთ: შაჰ-აბასი იყო თეიმურაზის სიძე, თავისი დის, ელენეს მეუღლე. ქართველთა მეფის, თეიმურაზის დედა – ქეთევან დედოფალი, შაჰის სიდედრი. თეიმურაზის შვილები: ალექსანდრე და ლევანი, შაჰისთვის იყვნენ ცოლის – ელენეს ძმის შვილები, ანუ მოყვრის შვილები. შაჰმა კი თეიმურაზს, ეს სათაყვანებელი ადამიანები გაუწადაგურა.

სააკაძისგან ჯარგანადგურებულ შაჰს, საქართველოსთან ზავი დასჭირდა. თეიმურაზმა ზავის პირობა მიიღო, რამაც საქმე ბაზალეთამდე მიიყვანა. საბოლოოდ კი, ამ მძიმე ვითარებამ, სააკაძე ოსმალეთის გზას გაუყენა, სადაც იგი იძულებული გახდა, მეორედ მიეღო მაჰმადიანობა.

გიორგი სააკაძესა და ვინ იცის, სიკვდილს გადაჩენილ ერთგულ თანამებრძოლთა ხელით, საქართველოს გაერთიანება რომ ყოფილიყო შესაძლებელი, მაშინ მსახვრალი დროის და ვითარების მარწმუნებით აღსრულებულ გიორგი სააკაძის გამაჰმადიანებას, იქნებ, მოწყალე უფალი ზეციურ სამფლობელოში განაქარვებდა.

\*\*\*

რატომღაც ქართველი საზოგადოების გარკვეულ ნაწილში დამკვიდრებულია აზრი, რომ პაატა სააკაძის ზნეობრივი გმირობა უფრო მაღალია, ვიდრე მამის, გიორგი სააკაძის, გოლგოთის მსგავსი მოთმინება და გადახდილი ომები. აქ უცნაური, ბუნდოვანი გამიჯვნა მოხდა საზოგადოებაში მამა-შვილის გმირობის შეფასებისას.

უნდა აღმოიფხვრას ყოველგვარი ზედაპირულობა, უნდა ვუსმინოთ ღვთის ხმას და არ დავივიწყოთ, რომ პაატა სააკაძემ წამებულის გვირგვინი სწორედ ამის გამო მიიღო, რომ მისმა მამამ, დიდმა მოურავმა, მარტყოფის გამარჯვებით, სამშობლო გადაარჩინა!

შვილი პაატა მამამ კრავივით შესწირა სამშობლოს ხსნას.

პაატას არჩევანის არც საშუალება ჰქონდა და არც უფლება.

თავისი ქვეყნისათვის შვილის სპეტაკი სიცოცხლის შეწირვის აუცილებლობა მამამ, გიორგი სააკაძემ, განაპირობა.

მისი წამებული სიცოცხლე იმ მიწა-წყალს ჩაენაცვლა, სადაც ფეხი და ენა აიდგა. ამიტომ მისი სათნოება სანთლად ანთია ქართველი ხალხის გულში.

\*\*\*

(მახსოვს, 1968 წელი იყო, მოსე თოიძის სახელობის სამხატვრო სასწავლებელში ვსწავლობდი. კომკავშირის რიგებში მისაღებად, კასპის რაიონში წაგვიყვანეს და ერთწმინდის ტაძარში პაატა სააკაძის საფლავთან საერთო ფიცი დავდეთ).

### **იმერეთის მეფის გიორგი III თანაღობა ბ.სააკაძისთან შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყებაში**

ყურადღება მივაქციოთ, სააკაძის ჯერ 1620 წელს იმერეთის სამეფოში გადასვლის მიზეზებსა და შემდეგ 1625 წელს იმერეთში გადასვლის მიზეზებს შორის, რა სხვაობებია მის ამ წლებს გეგმებში.

იმ ეპოქის ღრმად დაინტერესებულ პირთათვის, ნათლად დასანახი რომ გახდეს მაშინდელი მოვლენები, უნდა მივყვეთ მდგომარეობათა ლოგიკურ თანმიმდევრობას.

როგორც უკვე ცნობილია, 1620 წელს, სიმონ II-მ და გ. სააკაძემ შაჰ-აბასისაგან, ქართლის სამეფოს მართვის სადავეები ჩაიბარეს. პირველი გამგებელია, მეორე მისი თანაშემწე. იმავე წელს სააკაძე სასამართლოს აწყობს პირადი მტრების შემორიგებისათვის, რაც ერთსულოვნებისათვისაა საჭირო, რომ ერთიანი მობილიზებული ქართული ენერჯია შაჰის წინააღმდეგ აჯანყებისათვის მიმართოს.

იმავე 1620 წელს სააკაძე გადადის იმერეთის სამეფოში გიორგი III-სთან, რათა ურთიერთთანადგომის კავშირი განამტკიცოს ირანის წინააღმდეგ. მათი მოკავშირეობა

აისახება იმაში, რომ სააკაძე ცდილობს გიორგი მეფის შვილი ხვარამზე თავის შვილზე ავთანდილზე დააქორწინოს.

იმერეთის მეფე გიორგი ღირსეული პიროვნება იყო. მას კახეთისა და ქართლის მეფეები – თეიმურაზ I და ლუარსაბ II გაჭირვების ჟამს შეუფარებია და ჭირ-ვარამი ერთმანეთისთვის გაუზიარებიათ, მეფენი მეფესთან თანამოძმენი იყვნენ და იმერეთის სამეფოში იქამდის რჩებოდნენ, რა დროც მათი უვნებლობის გარანტიას სჭირდებოდა.

როცა სააკაძესა და მის გეგმებს დასჭირდათ იმერეთისაგან თანადგომა, მეფე მზად იყო, მიეცა იმედი და შვება.

გიორგი III-მ იცის, ვინაა შაჰ-აბასი საქართველოსათვის, იცის რა თავდასხმები და იავარყოფა ჩაატარა მან კახეთის სამეფოში და ახლა რა ნადილი აქვს ქართლისათვის. მეფეს ისიც ეცოდინებოდა, რა მიზნით დაბრუნდა სააკაძე ქართლში, რა სწადია, რა გეგმები აქვს. მართალია, სააკაძეს თანამოაზრეები გვერდში ედგნენ, მაგრამ მეფის თანადგომა სხვა სიდიდისა იყო.

დავაკვირდეთ, როგორ უწყობს ხელს სააკაძეს, რომ მისი გეგმები წარმატებით განვითარდეს. რაც უმთავრესია, ღმერთმა არა ქნას და თუ მოხდა პირიქით, წარუმატებლობის შემთხვევაში მფარველობას ალუთქვამს თავის სამეფოში.

განა გიორგი III-ს რაიმე საეჭვო, ან არასასურველი მოვლენა რომ სცოდნოდა სააკაძის შესახებ, ან მისგან შაჰ-აბასის საწინააღმდეგო გეგმების, პატივისმცემელი და დამფასებელი რომ არ ყოფილიყო, მეფე თავის შვილს, ხვარამზე-

ეს სააკაძის შვილზე ავთანდილზე დასანიშნად გაიმეტებდა?

ან ღირსეულ დიდებულთა გვარის წარმომადგენელთა შვილები აკლდა იმერეთის დიდებულთა ფენას, როცა მეფე გიორგი თავის შვილს აზნაურ სააკაძის შვილზე ათხოვებს?

„ – ესე ფიცი პირი გიბოძე ჩვენ მეფეთა-მეფემ პატრონმა გიორგიმ და ძემან – ჩემმა პატრონმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ, თქვენ მოურავს, პატრონს გიორგის ასრე რომე ჩემი ქალი ბაგრატიოვანი ხვარამზე, გულგანმენდით თქვენის შვილის ავთანდილისათვის მომიცემია–“

რადგან სააკაძემ 1620 წლიდან, იმერეთის სამეფოში გადასვლა გადაწყვიტა, და მიზანი აქვს გიორგი III-სთან სამოკავშირეო ატმოსფერო შექმნას, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მას წინასწარ თადარიგი აქვს დაჭერილი. ვაი, თუ განვითარდა მოულოდნელი გარემოება, გამცემმა ამხილა, სააკაძის აჯანყების საიდუმლო გეგმა? რა ქნას მაშინ სააკაძემ? ხომ უნდა გადასულიყო იმერეთში და თავი გადაერჩინა? რადგან შაჰისაგან ნდობამოპოვებულა, რაც სიმონ II-სთან თანაშემწეობაში აისახა, ეს ნდობა ბოლომდის უნდა შეინარჩუნოს, რომ აჯანყება წარმატებით დაამთავროს. სააკაძისადმი ნდობაში ბზარი თუ გაჩნდა, ეს იქნება მიზეზი აჯანყების უშედეგოდ დამთავრებისა. 1620 წლიდან 1625 წლამდის სააკაძე ხან ქართლშია, ხან ირანში და სიმონ II-სთან თავის მოვალეობას ასრულებს. მასზედ რომ ეჭვი აეღოთ და მისგან აჯანყების თადარიგები შაჰისათვის ცნობილი გამხდარიყო, ქართლში მყოფი სააკაძე ირანში ველარ დაბრუნდებოდა იმის გამო, რომ საეჭვო ხალხს შაჰი აღარ ენდობოდა და ასეთ პირებს მისგან გარდაუვალი სიკვდილი ელოდათ. ამიტომ სააკა-

ქემ 1620 წლიდან, წინასწარ დაზღვევის მიზნით, გარანტია შეიქმნა იმერეთის სამეფოში რა დროსაც დასჭირდებოდა, იმ დროს გადასულიყო სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით.

რადგან სააკაძე სიმონ II-სთან თანაშემწე იყო, თუ რამ დასაქვებელ ნაბიჯს გადადგამდა, პირველ რიგში, სიმონ II გაიგებდა და ის მაშინათვე შაჰს აცნობებდა. შაჰი თუ სააკაძეს თანამდებობიდან გადააყენებდა ეს იქნებოდა ნიშანი, რომ შაჰი სააკაძეში დაეჭვდა. ასეთ დროს სააკაძე მაშინათვე იმერეთს მიაშურებდა. დაეჭვების შემთხვევაში, შესაძლო იყო სააკაძე საქართველოშივე კონსპირაციულად მოეკლათ. მაგრამ უფრო დამაჯერებელი, შაჰის ხასიათიდან გამომდინარე, სააკაძესთან დაეჭვების შემთხვევაში, იგი ირანში გაიწვევდა თვალის ასახვევად, ვითომ რაღაც მნიშვნელოვანი საქმის გამო და ირანში გაუსწორდებოდა სიკვდილით. რაც იმას ნიშნავდა, რომ მარტყოფის ომი ველარ მოხდებოდა და შაჰი თავის ვერაგ გეგმებს აღმოსავლეთ საქართველოში განახორციელებდა.

შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყების მოწყობა დიდი რისკი იყო. მიუხედავად სააკაძისაგან დიდი სიფრთხილისა და დიპლომატიისა, შესაძლოა, გამცემი გამოჩენილიყო და მთელი ასეთი სამზადისი წყალში ჩაყრილიყო.

სააკაძემ, როგორც სიმონ II-ის თანაშემწემ, ხომ იცოდა, (შაჰ-აბასი), მიახლოებით მაინც, რა რაოდენობის მეომრებს გამოგზავნიდა საქართველოში, როცა გეგმაში ჰქონდა ორივე სამეფოს – ქართლისა და კახეთის განადგურება 30,000-იანი მტრის ჯარის განადგურება დაცოტავებული კახელებითა და ქართლებით ურთულესი იყო. საჭირო

იყო სხვა ხერხი, დამატებითი ძალა, რომ საბრძოლო გათვლა უშეცდომოდ ჩატარებულიყო. და იმერეთის სამეფოს ჯარის მხარში ამოდგომა მარტყოფის ომში აუცილებელი იყო.

თუ ყოველგვარი გათვლების გარეშე, სტიქიურად და სპონტანურად, ემოციების მოზღვავების ხარჯზე, სააკაძე იერიშს მიიტანდა თავისი ქართველებით 30,000-იან ყიზილბაშებზე, წარმატების გარანტია ნაკლები იყო, და სააკაძე ამას არ გააკეთებდა. ხერხი იყო საჭირო, მტრის ყურადღების მოდუნებისათვის. შემდეგ ერთიანი, მძლავრი დამაბნეველი იერიშით, მომაკვდინებელი დარტყმა უნდა მიეყენებინათ მტრისთვის. როცა სააკაძეს ასეთ ურთულეს გარემოცვაში უხდებოდა აჯანყების სამზადისი, უნდა დაისვას კითხვა – ასეთ შემთხვევაში მას სამშობლო უფრო ახსოვდა თუ ირანში დატოვებული თავისი შვილი პაატა?

1615 წელს, როგორც კი სააკაძე, შაჰ-აბასისაგან ნდობამოპოვებული ირანიდან საქართველოსაკენ გამოემართა, მას სამუდამოდ გამოტირებული ჰყავდა პაატა და მისი თვალებიდან წამოსული მუდარა, მამის გულში კვნესად და გმინვად დარჩა. სააკაძის მიმართ მცირედი დაეჭვებაც კი შაჰი სააკაძეს ირანიდან სულაც არ გამოუშვებდა, ე.ი. ქართლში შემოსული შაჰი სააკაძეს თავის გვერდით არ იყოლიებდა, და როცა სიმონ II-ის თანაშემწედ დაინიშნა, მაშინაც მცირე ეჭვის საფუძველზე, შაჰი სააკაძეს უკანვე, ირანში დააბრუნებდა.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რამდენად ზუსტი გათვლებით მოქმედებდა სააკაძე, რომ საეჭვო აზრი არ დაეცოვებინა მოპირისპირე მხარეებისათვის.

სააკაძის მიმართ დაეჭვება პირდაპირ კითხვისნიშნის ქვეშ დააყენებდა მარტყოფის აჯანყებასაც, და საფრთხესაც შეუქმნიდა არასანდო სააკაძეს და მის ოჯახს. არასახარბიელო მდგომარეობა დაუდგებოდათ მათ ირანში, მარტყოფის სამზადისზე რომ არაფერი ეთქვათ.

ასეთი განხილვებით ცხადი ხდება, რომ მარტყოფის აჯანყების გამარჯვებით დამთავრებაში, ან მარცხით დამთავრებაში, პაატა სააკაძე ორივე შემთხვევაში განწირული იყო.

ეთქვათ, სააკაძეს მიელო გადაწყვეტილება, დარჩენილიყო ირანში და იქიდან ეხელმძღვანელა საქართველოში მარტყოფის აჯანყების სამზადისისთვის. ეს ძალზე რთული იქნებოდა და საეჭვო მოვლენების ალბათობაც ბევრად გაიზრდებოდა, სად თავის თვალწინ, ხელისგულივით რომ უყურებდა, საქართველოში მყოფი სააკაძე ყველა მნიშვნელოვან, თუ ნაკლები მნიშვნელობის მქონე აჯანყების სამზადისს, და სად ირანში დარჩენის შემთხვევაში, მისგან აჯანყების მომზადება.

მარტყოფის ომში გამარჯვების, ან მარცხის შემთხვევაში, სააკაძისათვის, ირანის გზა სამუდამოდ გადაიკეტებოდა, თან მოჰყვებოდა პაატას წამება. რადგან მარტყოფის აჯანყება წარმატებით დამთავრდა.

(გ. სააკაძე იმ ხანად ცდილობდა, საგარეო მოკავშირეც ჰყოლოდა ოსმალეთის სახით. მესხი ათაბაგების შთამომავალი, ფარად-ფაშა, დიდ ინტერესს იჩენდა საქართველოს მიმართ. სააკაძემ იცოდა ეს, ამიტომ თადარიგი დაუჭერია და

თავისი უმცროსი ქალიშვილი მისთვის მიუთხოვებია. ქორწინება 1620-1624 წლებში შემდგარა, რადგან ფარად-ფაშა ოსმალეთის მოხელე იყო, ნათესაური კავშირი საფუძველს იძლეოდა, საჭიროების დროს ოსმალეთთან დაკავშირებას. მარტყოფის გამარჯვების შემდეგ სააკაძე თანამემამულეებს აუწყებდა, დამარცხებული შაჰ-აბასი არ მოისვენებდა რევანშის ასაღებად დიდ ძალ მხედრობას მოუყრიდა თავს. საჭირო იყო კავშირი დაემყარებინათ ოსმალეთის სარდალ ჰაფიზ-ფაშასთან, რომელიც იმ ხანად დიარბექირს იდგა თავისი ჯარებით).

ე.ი. ლოგიკაც აქვეა, 1615 წლიდან, შემდეგ 1620 წლიდან 1625 წლამდე, სააკაძისგან ჯერ მხოლოდ სააჯანყებო სამზადისისათვის თადარიგის დაჭერა ხდება, ცხადია, ჯერ მტერი უნდა განადგურდეს, განიდევნოს ქვეყნიდან, მერე მოხდება მეორე ეტაპზე გადასვლა, თადარიგის დაჭერა, საფუძვლის შექმნა საქართველოს გაერთიანებისათვის.

როცა მარტყოფის აჯანყება ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, ეს უკვე საფუძველი გახდა სააკაძისთვის, დავით აღმაშენებლის საფლავთან დადებულ პირობაზე ეფიქრა, რაც საქართველოს გაერთიანებას ეხებოდა. ამ ფიცის და ანდერძის აღსრულებისათვის იღწვოდა მთელი თავისი არსით, რადგან ლუარსაბ II ქართლში აღარ იყო და მისგან ძე ვერ იქნა დატოვებული, სააკაძემ ყურადღება თეიმურაზ I-ზე შეაჩერა.

სულ ექვსი თვის წინ, შაჰის მიერ ქეთევან დედოფალი წამებით აღესრულა. ამ გოლგოთის მსგავსმა წამებამ მთელს მსოფლიოში და უფრო ქრისტიანულ ქვეყნებში დიდი

პატივისცემა და კრძალვა გამოიწვია. მით უმეტეს, საქართველოში, რა მონინება შეიქმნებოდა სათაყვანებელი დედოფლის მიმართ.

სააკაძემ იცოდა ხალხის აღმატებული პატივისცემა თავიანთი დედოფლის მონამებრივი აღსასრულის საფუძველზე, რაც უდიდესი საგარანტიო მისია იყო აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის იდეურად ერთ სრულყოფაში მოსაყვანად. იმის გამო, რომ ქეთევან დედოფლის წამება არ მოხდა მარტო კახეთისა და ქართლის სამეფოებისა და მოსახლეობის სულიერი სიმტკიცისათვის, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობა აღივსო უდიდესი რუდუნებით, კრძალვით.

ეს ფსიქოლოგიურად ამაღლებული მოვლენა სააკაძეს მშვენივრად ესმოდა. დედოფალი, როგორც მფარველი მათი სულისა და ფიზიკურად გადარჩენისა. ამიტომ მისი შვილის თეიმურაზ I-ისთვის, დედის ამაგი გაღებული თავისი ქვეყნის წინაშე, საფუძველი იყო, სამართლიანად გამხდარიყო ერთიანი საქართველოს მეფე. და ამიტომაც სამართლიანი არჩევანი სააკაძემაც თეიმურაზ I-ზე შეაჩერა.

გიორგი III სააკაძის იდეებისა და გეგმების თანაგამზიარებელი რომაა, ეს ცხადია, მაგრამ კითხვა მაინც ჩნდება? თვითონ ხომ არ ენადა ერთიანი საქართველოს მეფობა? ან შვილისათვის ხომ არ ფიქრობდა? ჰქონდა მას თავიდანვე ამის სურვილები თუ არა? თუ მოვლენები თავისთავად ბუნებრივად განვითარდა ისე, რომ შემდგომ სააკაძესგან გიორგი მეფის შვილზე ალექსანდრეზე შეჩერდა ყურადღება.

აქაც იმ დროის ლოგიკური თანმიმდევრობა უნდა მოვიშველიოთ. გიორგი III-ისათვის, პირველ რიგში, როგორც მეფისათვის, ცნობილი იქნებოდა თუ რატომ, რა მიზნით, დაბრუნდა გაძევებული სააკაძე 1615 წელს საქართველოში. სადაც სულ მუდამ პირადი მტრებისგან და შემდეგ შაჰ-აბასის მოთვალთვალე პირებისაგან, დაეჭვების საფუძველის შექმნა და სიკვდილი ელოდა, რა მიზანი ჰქონდა ისეთი, ასეთ რისკზე რომ მოდიოდა, რა ღირებულება ჰქონდა ამ მისიას, თუ არა საქართველოს გადარჩენა გარე მტრებისაგან და შემდეგ საქართველოს გაერთიანება. გიორგი III-მ სააკაძის ეს მიზნები იცოდა და თანაუგრძნობდა კიდევ, რომ არა ასე, თავის შვილს ხვარამზეს, სააკაძის შვილზე ავთანდილზე დანიშვნის ნებას არ დართავდა.

რადგან გ. სააკაძეს საქართველოს გაერთიანების მიზანი ამოძრავებდა, ეს როგორც დავით აღმაშენებლის იდეის გაგრძელება; ეს გზა თეიმურაზ I-ის კანდიდატურით ქართლ-კახეთის ერთი მეფის ხელში მოქცევით დაიწყო.

რადგან აღმოსავლეთ საქართველოში ორი სამეფო იყო, ქართლისა და კახეთის, დასავლეთ საქართველოში კი ერთი სამეფო, ამიტომ სააკაძის ფიქრით (ლოგიკურიცაა), ჯერ ქართლისა და კახეთის გაერთიანება იყო საჭირო, მერე იმერეთის შემოერთებაც.

გიორგი III სააკაძეს იმედს აძლევს, არ შედრკვს, თუ ვინიცობაა და უარყოფითად განვითარდა შაჰის საწინააღმდეგო აჯანყება, იმერეთის სამეფოს კარი მისთვის ღიაა. მტრის წინააღმდეგ აჯანყება, თავისთავად არის ურთულესი ამოცანა, მითუმეტეს, როცა სათანადო ჯარის რაოდენობაც



ხელს ვერ უწყობს. აჯანყება რაც მალე, ორგანიზებულად, მობილიზებით, დროულად მოხდება, ცხადია, ესაა უკეთესი, როცა აჯანყება დროში იწელება, ძალზედ საფრთხილოა. ე.ი. აჯანყებისათვის ყველაზე საჭირო პირობა, ნიადაგი ეს არის ის, რომ მტერი არ უნდა ელოდებოდეს ამას, თუ მტერს ეჭვი გაუჩნდა, ცხადია, ის სიფრთხილის თადარიგებსაც დაიჭერს. და ასეთ დროს მოვლენები სულ სხვაგვარად განვითარდება. ე.ი. ისევ მთავარი, მტერი აჯანყებას არ უნდა ელოდებოდეს და მისი ორგანიზატორი სრულ ნდობაში უნდა ყოფილიყო შაჰ-აბასთან. ე.ი. ჯერ აჯანყების მიყვანა სრულ გამარჯვებადმდის და მერე საქართველოს გაერთიანება.

ეს ურთულესი ამოცანაა, მისი აღსრულება სამართლიანმა, ობიექტურმა, დამაჯერებელმა ატმოსფერომ უნდა განაპირობოს. მას უდიდესი ადამიანური ენერჯია სჭირდება, და ერთი დიდი ომის გადახდის მსგავსი თანატოლფასი მოვლენაა. და ერის შეკავშირება და ერთსულოვნებაა მისი სანდარი, უნდა ვიფიქროთ, როცა იმერეთის მეფე სააკაძეს ხელს უწყობს შაჰის წინააღმდეგ აჯანყებაში, ის საქართველოს გაერთიანების გეგმაშიც ხელს შეუწყობდა.

როგორც ჩანს, გიორგი III გონიერ მეფეებს დიდ ღირსებად უთვლიდა ისეთ ნაბიჯებს, როცა მეფის ძე უკეთესს და შემძლედ და იმედად წარმოაჩენდა თავის აზრს, საქართველოს ბედილბალის გადაწყვეტაში, თუნდაც საქართველოს გაერთიანების საკითხებში.

\*\*\*

სააკაძის გარშემო შექმნილი მოვლენები გვიბიძგებს კიდევ ერთხელ ჩავიხედოთ მის ცრემლით დანალექ გულში, სადაც დავინახავთ ქართველი კაცის ყველა ამაღლებულ თვისებას, უებრო მეომრის, სარდალი რაინდის, მამობრივი მზრუნველის, მიმტევებელ ტოლერანტის, საიმედოს, გამტანის, მისი მეობიდან გამომდინარე ყველა ეს ხასიათები, მიმოიფრქვეოდა მის გარშემო მყოფ ადამიანებზე. მისი გულის ფეთქვის ხმა გადაჯაჭვული იყო მისსავე ყურთა სმენაში, სადაც სამუდამოდ ჩაკირულიყო ბააკა ხერხეულიძის ხმა, შეძახილი- „თავს უშველე გიორგი“. ამის საფუძველზე მისი გონიდან სათავე აიღო, არ დაეზოგა სიცოცხლე სამშობლოსათვის, როგორც არ დაზოგა თვით ბააკამ თავისი სიცოცხლე სააკაძისთვის. ხერხეულიძისაგან სიცოცხლე-შენარჩუნებული სამშობლოსაგან შენარჩუნებლობას ნიშნავდა. რა ვუყოთ, რომ დიდებულთა ნაწილმა სასიკვდილოდ გაიმეტა, სამაგიეროდ „ტაშისკარის ომში“ მისაგან გამარჯვებად დანთებული ცეცხლი, თანამემამულეთა გულებში შენახული, საჭიროებისამებრ ბააკა ხერხეულიძის ხმად და გადამრჩენად ამოიხეთქა. და სააკაძის ბუნება უფრო ფრთხილი გახდა, სიცოცხლის გამფრთხილებელი საიმედო კაცისათვის და სიცოცხლის სარისკო თავის თავისათვის. და უნდა ითქვას დედისრძემწარგები, ხერხეულიძენი როგორ იდგნენ ერთმანეთის მაგიერ „მარაბდის ომში“, როგორ მიარღვევდნენ სიკვდილის თესვით ირანულ არმიებს, ძარღვიანი მკლავებით. სააკაძემ ხერხეულიძის სიცოცხლისშემანარჩუნებელი ხმა უფრო მეტი ავი დღეების დასათმენად წინ წაიმძღვარა, რამაც გააჩინა მეტი მიზანდასახულობა, მეტი ენერჯიის წიაღი, დიდი ომების

გადასახდელად, რაც მისთვის, მეტი მშფოთვარებით სავსე ცხოვრების წესადაც იქცა.

სამშობლოსადმი მოვალეობა ითხოვდა, მტრისაგან დაცვას, დაეცვათ ის მიწა-წყალი, რითაც არსებობდნენ, იბრძოდა დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე, თამაზ ვაჩნაძე, ლუარსაბ II „ტაშისკარის ომში“, თვით თეიმურაზისაგან გადახდილია „წინამურის ომი“ სადაც 15 ათასიანი ალიყული-ხანის ჯარი გაანადგურეს ქართველებმა. მაგრამ „მარტყოფის ომი“ სხვა მასშტაბის ომი იყო, რამეთუ ირანს მუსულმანი მემატიანეთა განმარტებით ორმოცი წლის მანძილზე ასეთი ზარალი არ მოსვლია. ეს ომი ისეთი ომი იყო, რომ ქართულ ცნობიერებას არასოდეს არ მისცემს მოსვენების უფლებას, რომ ზერელედ მოვეკიდოთ სააკაძის ღვანლს. რატომ არიან უცხოელი ისტორიკოსები აღტაცებულნი და მათ შორის თვითონ მუსულმანი ოსმალთ, მუსტაფა-ნაიმა, მუსულმანური ირანის მტრით გ. სააკაძეზე, სადაც მისი ღირსების შემამკობელ სიტყვებს არ იშურებს: „იშვიათი ვაჟკაცი და დევის ღონე იყოვო“. მით უმეტეს, მუსტაფა-ნაიმას კარგად ემახსოვრებოდა 1609 წელი, „ტაშისკარის ომში“ მათი ჯარების განადგურების დრო, საიდანაც სულ თექვსმეტი წელი გასულიყო.

ფიზიკური ძალი და ღონე ხარ-კამეჩსაცა აქვს, მაგრამ სად გაგონილა მათგან ვაჟკაცობა, ან მარტო ფიზიკური ძალებისაგან სად თქმულა საგმირო საქმეები, თუ მათ გონებაც არა მართავს.

შაჰ-აბასის გამძვინვარების მიზეზი მარტო მრავალ ათასიანი ჯარების განადგურება კი არ იყო, არამედ ირანის

სამტრო ქვეყნებს, სადაც ადრე შაჰი დაპყრობით ომებს აწარმოებდა, ახლა სამაგიეროს გადახდის გზები, ეხსნებოდათ „მარტყოფის ომმა,“ საქართველოსთან მიმართებაში, ანგარიშ-განევისა და სიფრთხილის თადარიგები დააჭერინა მეზობელ ქვეყნებს.

საკაძის, დროებით მიღებული მუსულმანობით, შაჰ-აბასს გონების სიფხიზლე მოაკლო და დამჯერი შეიქმნა, თავლის ასახვევად სარწმუნოების მიღებით ვითომ ერთგულება დაუმტკიცა, სინამდვილეში გარდასახული იყო დაუსვენარ კონსპირაციული ბრძოლის არსში.

მოვესმინოთ ისქანდერ-მუნშს, „ბედუკულმართი მოურავი დროისა და გარემოს მიხედვით აღიარებდა ისლამს და ხელი არასოდეს არ აუღია ქრისტიანობის რჯულზე“, უკეთესი დასტური სააკაძის მოჩვენებითი მუსულმანობის შესახებ, მტრისაგან შეფასებული წარმოუდგენელია.

ირანელი მემატიანეს განმარტება, დროისა და გარემოს მიხედვით სააკაძისაგან ისლამის აღიარება, ირანული ჯარების დამარცხების შემდეგ უნდა თქმულიყო, რამეთუ ფაქტი იყო დადებული სახეზე. ამით იმის თქმა გვინდა, რომ აჯანყებამდის, ისე დამაჯერებლად იქცევა სააკაძე მათი სარწმუნოების გამოსახატავად სანამ თავის მიწაზე შემოვიდოდა ეჭვი არავის შეპარვია. არ არის ეს დიდი დიპლომატია და ხერხი? მარტყოფის გამარჯვებით კი სააკაძემ ფარდა ახადა თავის დროებით მუსულმანობას. გვიანდა იყო თითზე კბენანი, დაუმტკიცდა მთელ ირანს და შაჰს, როგორი მუსულმანიც ყოფილა სააკაძე. მისაგან ყიზილბაშური არმიების განადგურება დასტურს გვაძლევს ვიფიქროთ მისი ირანში

ქრისტიანად ყოფნაზე და ისევ ქრისტიანად დაბრუნებას „ხარების“ დღესასწაულზე მისაგან მარტყოფის აჯანყების დამთხვევას.

ჩვენთვის მარტყოფის გამარჯვება და მტრისათვის მხოლოდ დამარცხება არ იყო. იგი სააკაძის პოლიტიკის დიპლომატიის გამარჯვება და აღიარებაც იყო. მარტყოფის გამარჯვება იყო დიდი გაოცებაც, ნაწილ თავადთა ფსიქოლოგიაში, მათმა ამბიციებმა სამშობლოდან გააძევეს, სააკაძე ის კაცი უკან დაბრუნდა, ქვეყანას მტერი გაუნადგურა და დიდი გამარჯვებაც არგუნა.

„მარტყოფის ომის“ გამარჯვებით და შაჰ-აბასის ჯარების დამარცხებით გ. სააკაძის ღვაწლს ეძლევა დიდი ფასი. ის 12 წლიანი ირანში ყოფნის კონტრასტულ ფონზე გამობრწყინდა ქართველი ხალხის რწმენაგანმტკიცებელი იმედი, რადგან ჩვენთვის ცნობილია, ის კახეთის სამეფო და უფრო ალექსანდრე II მეფის მეცადინეობით, კავშირები მყარდებოდა რუსეთის ქრისტიანულ მართლმადიდებელ სახელმწიფოსთან. ამით გაღიზიანებული შაჰის გეგმები მარტო ის არ იყო, აღმოსავლეთ საქართველო დაეპყრო და ამით მორჩენილიყო მისი ზრახვანი. ყურადღება მივაქციოთ ოსმალეთთან ირანის გამუდმებულ ომებს და მისაგან მცდელობას, რომ სამხრეთი საქართველოდან, კერძოდ, ახალციხის, აწყურის და ფარავნის ციხეებიდან, გაერეკა ოსმალონი და ირანი დაპატრონებოდა. როდესაც იგი მიაღწევდა მიზანს და ოსმალეთს დაამარცხებდა, ამით ოსმალეთს ფეხს ამოაკვეთინებდა სამხრეთ საქართველოდანაც. შემდეგ ირანისათვის დღის წესრიგში დადგებოდა დასავლეთ საქართველოს საკითხიც. ირანისა-

გან დამარცხებული ოსმალეთი ხელს აიღებდა სამხრეთ საქართველოდან და ველარც იმერეთის სამეფოზე იქონიებდა გავლენას, ამიტომ თვითონ შაჰ-აბასი დაიპყრობდა, და რაც აღმოსავლეთ საქართველოსათვის ენადა, იგივე ხვედრს გაუმზადებდა იმერეთის სამეფოსაც. მის ფარულ მიზან-აუსრულებ გეგმებში იკითხება ის, რომ შაჰს სურდა მთლიანად გაემუსულმანებინა სამხრეთი კავკასია, კავკასიის მთები გამყოფ ზოლად ექცია და მოეწვიტა რუსეთის ქრისტიანული სახელმწიფოსაგან.

\*\*\*

სააკაძის მდგომარეობის ასახვის პარალელ მოვლენას გავიხსენებთ საქართველოს ისტორიიდან, რომელიც ეხება ბაგრატ V დიდს. მის შესახებ ჩვენ ნაწილობრივ ვთქვით იგი იყო შვილიშვილი გიორგი V ბრწყინვალესი. ის გამეფდა 1360 წელს. 1386 წელს, თემურ-ლენგის შემოსევებისას, თბილისთან გამართულ უთანასწორო ბრძოლაში ბაგრატ მეფე, თავისი ამალით, ტყვე შეიქნა. მათ შორის იყო გ. სააკაძის წინაპარი, დონა სააკაძეც. თემურ-ლენგის მრავალმხრივი მცდელობებით ბაგრატ მეფემ და მისმა ხალხმა მაჰმადიანობა მიიღო.

„მაშინ ლანგ-თემურ განიხარა სიხარულითა დიდითა და შეიტკბო მეფე-ბაგრატ დიდათ ითვისა და მრავალსა კეთილსა უყოფდა“

ქართლის ცხოვრება

ნდობით აღჭურვილმა ბაგრატ მეფემ ჯარი სთხოვა თემურ-ლენგს, რომ წამოვიდოდა საქართველოში და მოსახლეობას მაჰმადის რჯულზე მოაქცევდა, სინამდვილეში მათ, ორივეს, ერთმანეთისაგან ცალ-ცალკე გეგმები ჰქონდათ, ყარაბაღიდან ბაგრატისაგან თემურ-ლენგთან შეთანხმებული ჯარის წამოსვლამდის, მეფის ერთგულმა კაცმა, რუსი ეგნატაშვილმა, მოახერხა მალულად ადრე წამოსვლა, რომელსაც მეფის წერილი მოჰქონდა, შვილ გიორგისთან, სადაც იტყობინებოდა, თათართა ჯარის რაოდენობას, რა ადგილი უნდა შეერჩიათ მტერს მედგრად დახვედროდნენ და მთლიანად გაეწყვიტათ. მისმა შვილმა გიორგიმ იმერეთის,

ქართლ-მესხეთის ჯარებს სასწრაფოდ მოუყარა თავი, მესხეთში ურაველის ხეობის შევიწროებულნი ადგილნი შეარჩიეს, ჩაკეტეს შემავალ გამავალი გზები, რომ მტერს ველარც წინ სვლა შესძლებოდა და ზურგის მხარეც მოჭრილი იქნებოდა. და რახან ხეობის სივიწროვე ქართველებს ხელს აძლევდა, გამოიყენეს ხერგები ავსებული ქვებით და მტერს დაელოდნენ. 12 ათასი მონღოლ-თურქმანი გულ-დანდობილად მოემართებოდნენ. როგორც კი მათი ბოლო რიგები ხეობაში შემოვიდა, ნიშანზე ჩაიკეტა ქართველებისაგან გზები, აიხსნა ქვის საგორავებიც, მტერმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, ისე ერთბაშად მოექცნენ ქართველებისაგან შეკრულ სასიკვდილო რკალში. ვინც კი აგორებულ ქვებს გადაურჩა, ქართველი მეომრების ხმალთა ანაწერა გახდა.

ბაგრატ მეფემ, ამ ხერხით, მტრის 12 ათასიანი მეომარი ურდო მოაცილა საქართველოს. თემურ-ლენგმა არ მომლოდინე ბაგრატ მეფისაგან თათართა განწყევლით, სამჯერ მეტ ჯარს მოუყარა თავი და საქართველოსაკენ დასძრა, ბაგრატმა მოასწრო მოსახლეობის გახიზვნა მიუვალ ადგილებზე, საქართველოში შემოსულმა მტერმა დაიწყო დაცარიელებული დაბა-სოფლების ნგრევა, მიწასთან გასწორდა ხალხის ნაშენ-ნაამაგარი, საშინლად განადგურდა მცხეთა, ქვათახევის მონასტრის ბერ-მონაზვნებს ვერ მოესწროთ გახიზვნა, ყველას ერთად მოუყარეს თავი და მონასტერში შერეკეს, კარები ამოუქოლეს და ცეცხლი წაუკიდეს. ეს მოხდა თემურ-ლენგის მეორე შემოსვლის დროს. იგი რვაჯერ შემოესია საქართველოს. ამ შემოსევებით რაც დღეები დაადგა საქართველოს, ცნობილია. რახან მტრის, თემურ-ლენგის, ურდო მოადგა საქართველოს საზღვრებს, ხომ

გასაგებია, რომ მას გეგმაში ჰქონდა ქვეყნის აოხრება. რაც მისგან რვაჯერ შემოსევით დასტურდება. ბაგრატ მეფისაგან ასეთი ხერხით მოტყუებული თემურ-ლენგი, რომ არ გალიზიანებულიყო, აღარ მოახდენდა საქართველოზე თავდასხმებს? უკვე დასაპყრობად შემოსული მტერი გადაიფიქრებდა ჩვენს ქვეყანაზე თავდასხმებს? ნუ შეგვაკრთობს იმის გააზრებაც, რომ ბაგრატ მეფისაგან გალიზიანებულიც უფრო მეტს იზამდა. მეფე იყო და მტრის განადგურების ერთ-ერთ გზად მაჰმადიანობა ირჩია, ნდობამოპოვებულთათვის, რომ ჯარი ეთხოვებინათ. თემურ-ლენგის რვაჯერ შემოსევამ რაც ეკლესია-მონასტრები გაანადგურა, ეს ფაქტიც ხომ სახეზეა. ბაგრატ V დიდი, მთელი ძალისხმევით, საქართველოს აღმშენებლობას ეწეოდა, მაგრამ სამწუხაროდ მალე 1393 წელს, გარდაიცვალა. მისი გარდაცვალებიდან თემურ-ლენგი კიდევ ექვსჯერ შემოესია საქართველოს, როცა მისი შვილი გიორგი მეფობდა. არსებობს რამე საყვედური ქართლის ცხოვრებიდან მის შესახებ გარდა ზოგიერთი ავტორის რბილი შენიშვნებისა. ქართველი ერისაგან სამართლიანად წოდებულია ბაგრატ V დიდი.

\*\*\*

მარტყოფის ომის დამთავრების შემდგომ მოვლენებში, ერთ-ერთ მნიშვნელოვან მდგომარეობას უნდა მივაქციოთ ყურადღება.

შაჰ-აბასს, 120 ათასი მეომრიდან, 27 ათასი კაცი მარტყოფის ომში გაუნადგურდა. ამ რაოდენობის ჯარების პატრონი ირანის მბრძანებელი ისევ საშიში იყო. გ. სააკაძე მეფესა და დიდებულებს აუწყებდა შაჰის შემდგომ პოზიციებს, რომ ის არ მოისვენებდა და რევანშისათვის მოემზადებოდა, ქართლ-კახეთის ჯარებს მათთან ომი გაუჭირდებოდათ, სასურველი იყო დახმარებისათვის ოსმალეთისათვის მიემართათ. როგორც ჩანს, მიუღიათ ერთობლივი გადაწყვეტილება და მარტყოფის ომში დახოცილ ყიზილბაშ მთავარსარდალთა მოჭრილი თავები, ირანული დროშები და სხვა საჩუქრები გაუგზავნიათ ოსმალეთის დიდ-ვეზირთან და მთავარსარდალთან ჰაფიზ-ფაშასთან, რომელიც თავისი ჯარებით ირანის საზღვრების ახლოს დიარბექირს იდგა. ქართველი ელჩები დიდ-ვეზირთან 1625 წლის ივნისის პირველ რიცხვებში ჩასულან. მათ სააკაძის ხელით დაწერილი წერილიც გადაუციათ. იმ აუდენციას ისტორიკოსი იბრაჰიმ-ფეჩევიც დასწრებია.

გ. სააკაძე ჰაფიზ-ფაშას წერდა: ასეთი მოხერხებული შემთხვევა ოსმალთა დინასტიას არ მისცემია, მიიღეთ ზომები და იჩქარეთ თქვენი ჯარებითურთ ამ ქვეყნისაკენ გაემართოთ, უეჭველია, როგორც კი ყარაბაღის განჯასა და შირვანს ჩახვალთ, ყველა ეს ქვეყნები მაშინათვე დაგმორ-

ჩილდებიან, ესენი ყიზილბაშებთან მწყრალად არიან, შაჰ-აბასის დამპყრობლური გეგმების გამო. რადგან თვითონ სუნიტი მუსულმანებს ეკუთვნიან, ამის შემდეგ სულ ადვილია ერდებილისა და მეშხედის აღება, და შემდგომში ყიზილბაშებმა რომ აღარ სცადონ სხვა ქვეყნების დაპყრობა, აუცილებელია მათ სიხარბეს ერთობლივი ძალებით წინ აღუდგეთო. გ.ჯამბურია. როგორც ჩანს სააკაძე საქართველოს პოზიციას წერილის სახით გამოხატავდა და ჰაფიზ-ფაშას ატყობინებდა ამიერკავკასიის ხალხების მიმხრობას, ერთობლივი ოსმალეთის დახმარებითაც ირანში შეჭრას და შაჰ-აბასის იმპერიის დამხობას.

ოსმალეთის ფაშას სწორედ ვერ შეუფასებია აღმოსავლეთ საქართველოს პოზიცია, ვერც იმ დროის მოვლენებში გარკვეულა, რაც მათთვისაც სასარგებლო იყო. საერთო მტრის, ირანული იმპერიის ზღვარგადასულობის აღკვეთა, საბაზად მოუყვანიათ ბაღდადზე ლაშქრობა, ვითომდაც მარტყოფის ომამდისაც ყოფილა დაგეგმილი, ამგვარი მოტივით საქართველოს მხარეს უარი ეთქვა ურთიერთთანადგომაზე.

იბრაჰიმ-ფეჩევეს თავისი ყურით მოუსმენია, საქართველოს სახელით გ. სააკაძის მიერ დაწერილი წერილის შინაარსი. იგი, თურმე, ბევრს ეცადა, ჰაფიზ-ფაშა დაერწმუნებინა, ასეთი პოზიცია ოსმალეთისათვისაც სასარგებლო რომ იქნებოდა, მისთვისაც გულის დასაწყვეტი გამხდარა ჰაფიზ-ფაშას უგერგილო პოზიცია, იგი მაინც მთელი მონდომებით აუწყებდა, რომ ასეთი შემთხვევა სხვა დროს შესაძლოა აღარც მისცემოდათ, და თუ ამ შესაძლებლობას ხელიდან გავუშვებთ, ოსმალეთი სულ-მუდამ სინანულში იქნებაო.

იბრაჰიმ-ფეჩევი ოსმალეთში ანგარიშგასანევი პიროვნება იყო, იგი იმდენად მოხიბლულა სააკაძისაგან დაწერილი წერილის პოზიციით, და იქამდისაც კი ჩანს მისი მონდომება, რომ ჰაფიზ-ფაშას თანაშემწესათვისაც მიუმათავს, იქნებ ის მაინც მოვახერხოთ, შევარჩიოთ შესაფერისი სარდალი, კარგად მომზადებული ოსმალური ჯარი და საქართველოს თანადგომისათვის მივაშველოთო. მისი პასუხი ასეთი ყოფილა: ჩვენ ჩვენი ჯარებით ჰაფიზ-ფაშას ვემორჩილებით და მისი ბრძანების გარეშე ვერაფერს ვიმოქმედებთო. აქვე, ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა: რატომ გაიგზავნა ჰაფიზ-ფაშასთან მაინცა და მაინც სააკაძის ხელით დაწერილი წერილი, როცა თეიმურაზ I მარტყოფის ომის დამთავრების მერე სააკაძისვე ინიციატივით მონვეული იყო ქართლ-კახეთის მეფედ? განა თვით სააკაძე არ განსაზღვრავდა იმ მნიშვნელობას, სად მეფისაგან, თეიმურაზ I-ისაგან, ჰაფიზ-ფაშასადმი გაგზავნილი წერილის პოლიტიკური სიმტკიცე და სად დაბალ საფეხურზე მდგომი გ. სააკაძისაგან.

ამ საკითხის ირგვლივ იქნებოდა მსჯელობა. იმ ეტაპზე ვისი სახელით ექნებოდა მეტი ზემოქმედების მოხდენის აუცილებლობა ჰაფიზ-ფაშას ფსიქოლოგიაზე, თეიმურაზ I-ისაგან თუ სააკაძისაგან. რადგან სააკაძის ინიციატივით აუცილებელი იყო თეიმურაზს დაეჭირა ქართლ-კახეთის ტახტი, როდესაც ასეთი დიპლომატიური საქციელით, მეფეს და მეფურ პოზიციებს ანიჭებს უპირატესობას, იმის მერე სააკაძე განა გამოიღებდა თავს და გამოხატავდა თვითნებობას, ჰაფიზ-ფაშასადმი დამოუკიდებლად მიენერა წერილი? ყურადღება უნდა მივაქციოთ, როცა მარტყოფის გამარჯვებით

გამონვეული ერთსულოვნება ზეიმობდა, იმ ვითარებებში სააკაძის პატივისცემა ხომ დიდი იქნებოდა !

მარტყოფის გამარჯვებით ქართველთა შორის შექმნილი მტკიცე მდგომარეობა საშუალებას იძლეოდა ეფიქრათ იმაზე, რომ გ. სააკაძე ირანის კარზე დიდხანს იყო, მისი მონაწილეობით დიდი ომები გადაიხადა შაჰ-აბასმა, რაც ოსმალეთის მოსახლეობისა, მით უმეტეს, მთავარ-სარდალთა და დიდ-ვეზირებისათვის ცნობილი იქნებოდა, ახლა კი სააკაძე შაჰ-აბასს აუჯანყდა და იმ შემთხვევაში ქართველთა ერთსულოვნებით ირანული ჯარებიც განადგურდა, მოხდებოდა, თეიმურაზსა – დიდებულებსა და სააკაძეს შორის შეთანხმება, ჰაფიზ-ფაშასადმი გასაგზავნი წერილი სააკაძის ხელით დაწერილიყო. თან ყიზილბაშ-სარდალთა მოკვეთილი თავებიც წინ წაიძღვარეს იმის დასამტკიცებლად, რომ შაჰ-აბასის ირანი ძლიერია, მაგრამ ჩვენი ურთიერთთანადგომით მისი განადგურებაც შეიძლებაო. ასეთი ფაქტები ჰაფიზ-ფაშას ფსიქოლოგიისათვის მეტი დამაჯერებლობის შინაარსს იძლეოდა.

იბრაჰიმ-ფეჩევის აღტაცება, მარტყოფის გამარჯვებით გამონვეული, საქართველოს მხარის პოზიციისადმი გამოკვეთილია, რადგან ეს მოვლენა ოსმალეთსაც საშუალებას აძლევდა, გამოეჩინათ გონიერება, მით უმეტეს, შაჰისაგან შენუხებული, სამხრეთ კავკასიის მხარის, ყარაბაღის, განჯა, შირვანის და სომხეთის ხალხებთან, ურთიერთდობლო-მატიური თანადგომის კავშირები დაემყარებინათ, და საერთო მტრის შაჰ-აბასის წინააღმდეგ გალაშქრებულიყვნენ. ამ მხრივ ოსმალეთის დიდ-ვეზირს უნდა გამოეჩინა მეტი ინი-

ციატივა. ასე რომ მომხდარიყო, ფაქტიურად ეს ქვეყნები მოისვენებდნენ შაჰის წყეული გეგმებისაგან.

აღმოსავლეთ საქართველოს, მარტყოფის გამარჯვებით, ირანის წინააღმდეგ დამოუკიდებელი ოპერაცია უკვე ჩატარებული ჰქონდა, ე.ი რეალური საიმედო პირობა საქართველოსაგან უკვე დადებული იყო, მტრის წინააღმდეგ ამ ხალხების ერთობლივი თანადგომისათვის. მით უმეტეს შაჰ-აბასს, კახეთში შემოჭრამდე, საომარი ოპერაციები, შირვანელებზე, განჯის მოსახლეობაზე და სომხეთზე უკვე ჩატარებული ჰქონდა, მარტო სომხეთიდან 400 ათასი ტყვე იქნა გაყვანილი ირანში. ეს ქვეყნები, ცხადია, იბრძოდნენ და ცდილობდნენ შაჰისაგან თავის დაღწევას. არაფრით არ ენდომებოდათ მონობის უღელის დადგმა, მაგრამ მათგან შეწინააღმდეგების ძალა და გამოსავალი არა და არ ჩანდა, „რამე თუ ძალა აღმართსა ხნავდა“.

საქართველოზე განა ნაკლები ვარამი მიაყენა ამ ხალხებს შაჰ-აბასმა, მაგრამ მტრის წინააღმდეგ შეკავშირებას ვერ ახერხებდნენ. როგორც ჩანს, არ შესწევდათ უნარი, ვერ ძალუძდათ, ვისაც მტრის წინააღმდეგ გამოსვლის უნარი შესწევდა, ეს საქართველო იყო და მისი სიმტკიცის განსახიერება კი გ. სააკაძე. აქ აღნიშნული ქვეყნები და მათ შორის საქართველო, შაჰ-აბასისათვის გავლენის სფეროდ ითვლებოდა, და ამ საფუძველზე, თავისი სურვილებისამებრ, ამ ქვეყნების ხალხის, გადასახლებას ირანში, თავისივე გეგმების მონესრიგების საკითხად მიიჩნევდა. და უნდა ვიფიქროთ ისიც, რომ მისი საქციელებიდან გამომდინარე ამ ქვეყნებს როგორც მოწინააღმდეგე, მეტოქე სახელმწიფოე-

ბად არ აღიქვამდა. შაჰ-აბასისათვის მეტოქე სახელმწიფო ოსმალეთი იყო, მას მშვენივრად ეცოდინებოდა ოსმალთა თავ-გადაკლული მცდელობით, თუ როგორ მოაქციეს ბიზანტიის სახელმწიფო თავიანთი ინტერესების სფეროში. ამ ორი, ირანისა და ოსმალეთის ურთიერთ სამეტოქეო მდგომარეობის განმსაზღვრელია, მათ შორის ხშირი საზავო შეთანხმებანიც. მარტყოფის გამარჯვებით დიდი ანგარიშის განევა მართებდა საქართველოსთან და სხვა ქვეყნებთან ქვეყნების მპყრობელ შაჰ-აბასს.

დიდი ენერჯია გამოიხმო აღმოსავლეთ საქართველომ თავისი გამძლეობის წიალიდან. როგორი თავდაჯერება, როგორი რწმენა გამოხატა ერმა მარტყოფის ომით, სხვის დაუხმარებლად თვითონ მოიკრიბა ძალ-ღონე, დიდი რისიკიც გასწია და მტერიც დაამარცხა.

დავუშვათ, შაჰ-აბასის ჯარებთან აჯანყების გეგმა სხვა, არასასურველი გზით განვითარებულყო, როგორი საკითხები დაისმებოდა გ. სააკაძის წინაშე? მტრებიცა და მოყვარეებიც უშეღავათოდ იტყოდნენ, თუ ასეთი გეგმა ჰქონდა აჯანყებისა, რატომ ბოლომდის ვერ მიიყვანაო ასეთი მეტად მნიშვნელოვანი შინაარსის საქმეო? ის მკაცრი რეალობა, რაც მარტყოფის ველზე ერთი დღის მანძილზე მტრის განადგურებით დასრულდა, შემთხვევითობის ილუზია ასეთ შედეგს მოიტანდა? როდესაც ასეთი ომის დასასრულს, სააკაძის წინადადებით, შეთანხმების საფუძველზე, წერილი იგზავნება ირანის საზღვრებთან ახლოს დიარბექირში მდგომ ჰაფიზ-ფაშასთან, ირანის წინააღმდეგ ურთიერთთანადგომის შესახებ, მარტყოფის აჯანყებამდე სააკაძეს არ ექნებოდა ამ

მოსაზრების ფიქრი? საქმეც ამაშია, სწორედ, ისეთი სრულყოფილი გათვლებით დაიგეგმა შაჰ-აბასის საწინა-აღმდეგო აჯანყება, სხვა ქვეყნების იმედზე ყოფნა არ მიიჩნია საჭიროდ. ახლა მეორეს მხრივ შევხედოთ მის ტაქტიკას სხვა ხალხების დაუხმარებლად თავისი და მთელი ქართველი ერის შესაძლებლობების ფაქტი დაანახა მთელ იმ დროის საქართველოს სამეზობლო ქვეყნებს. და მერე ჩათვალა საჭიროდ წერილის გაგზავნა ჰაფიზ-ფაშასთან ურთიერთთანადგომისათვის. მარტყოფის გამარჯვებით სააკაძემ შაჰ-აბასს აჩვენა ის, რომ ქართველი ერის დამონება იოლი არ იყო. მან მარტყოფის დამარცხებით აღმოსავლეთ საქართველო აღიქვა უკვე როგორც მეტოქე. და ამ საფუძველებზე იმავე 1625 წლის ივნისში ქართლ-კახეთის საბოლოო განადგურებისათვის გამოგზავნა 50 ათასი მეომარი და სათადარიგოდ შაჰ-ბენდე-ხანის 10 ათასი მეომარი.



## პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულება გ. სააკაძის ფენომენთან და მარტყოფის ომის შესახებ

პოეტებისა და საერთოდ, პოეზიის მისიაა, ეროვნული სამართლიანობის გაკრისტალება. სუფთა, დაფაქიზებულ, დაწმინდავებულ ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოება დიდი ნყურვილით ეწაფება. ამ მხრივ, მოვიყვანთ ჩვენი უდიდესი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის შეგონებას ქართველი ხალხის მიმართ. პოეტი სააკაძის მოღვაწეობისადმი როგორი გულისტკივილით სვამს საკითხს და როგორი სამართლიანობით განმარტავს, როცა ამბობს:

„თქვენ ის აზრი განუხებთ, როდის გადაწყვიტა სააკაძემ აჯანყება, მანამდის, სანამ ხელთ იგდებდა შაჰ-აბასის მსტოვარს, ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება, მარტყოფი – ეს ის არის, რისი გულისთვისაც მოველინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი“; მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ჭრილობაა, რომლისაგანაც ვეღარ განიკურნა შაჰ-აბასი; მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედისწერაა, სხვა დანარჩენი წვრილმანი, პატარა კაცუნების მონაჭორია“.

პოეტისათვის სამშობლო ჯერ ხალხია, საზოგადოება, სარწმუნოება, ტრადიციები, მერე ამ თვისებებზე შექმნილი ისტორია, რომლის ნაწილიც თვითონ გ. სააკაძეა, ქვეყანასთან მიმართებაში შეცდომის დაშვება არ შეიძლება. არ შეიძლება იმიტომ, რომ ყველა მორალური საკითხის მაკონტროლებელი ზნეობაა. ეს ზნეობა სულშია თავშეფარებული,

სული კი ადამიანში უფლისაგან არის ნაბოძები, რომ სამართალმა გზა არ დაკარგოს და უპატიებელ ცოდვად არ გაჰყვეს ქართველ შთამომავლობას.

პოეტმა რადიკალურად განმარტა – „მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება“ – ე.ი. მოსახდენი მოხდა, მარტყოფის აჯანყება გამარჯვებით დამთავრდა. არ ეშლება ნ. ბარათაშვილს ისტორიულ ლაბირინთებში ჩახედვა. არ ეშლება იმიტომ, რომ გენეტიკური ალლო აქვს და თან ერთვის დიდი შემოქმედის პოეტური ალლოც. მისი სიტყვებიდან ყონავს სინანულიც იმის გამო, რომ გ. სააკაძის შესახებ არამართებული აზრიც მოუსმანია, და პოეტი ალუფოთებია, მისთვის მარტყოფი სამშობლოს გადარჩენაა. და უსამართლო განმარტებით პოეტს მინა-წყალი, სამშობლო შეურაცხვეს. პოეტი ყველა ქართულად წიგნის მკითხველის გასაგონად ამბობს, „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა“.

აი, ასე უყვარს ნიკოლოზ ბარათაშვილს სინდისსმინდობილი სიმართლე. იგი შემოქმედია და უდიდესი პოეტი, მისი სიტყვები გულით ნათქვამი და სულით გასპეტაკებულია, ამოვლებული გრძნობათა წიაღში, უშეცდომო და ტკივილიანი.

პოეტი გ. სააკაძის მოღვაწეობაში თავისი ქვეყნის მიმართ დიდ ამაგს ხედავს. ესაა მთავარი საბრუნავი ღერძი და ქართველ საზოგადოებას მოუწოდებს, სააკაძესთან მიმართებაში შეცდომა არ დაუშვან. არ დაუშვან არაფრით შეცდომა იმიტომ, რომ ამბიციით დაშვებული შეცდომა, სამშობლოსადმი ზერელე დამოკიდებულებაში აისახება. როგორ შეიძლება ასეთი ვეებერთელა მგოსანი ტენდენცი-

ურად ცდებოდეს? მაშინ ცდომილება ექნება პოეტს თავის შემოქმედებაშიც.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ პოეტში არავითარი ტენდენციურობა არ იმალება და გულითა და სულით აფასებს სააკადის დამსახურებას.

საყურადღებოა ისიც, რომ ნ. ბარათაშვილი, აღმოსავლეთ საქართველოს გადარჩენისათვის, სააკადის როლს ქართველ საზოგადოებას მხოლოდ მარტყოფის ომის მნიშვნელობას ახსენებს, და სულაც არ თვლის საჭიროდ, მკითხველის საყურადღებოდ მოიყვანოს სააკადის დამსახურება ტაშისკარის ომში, მარაბდისა და ქსნის ომებში. მარტყოფის ომი კმარაო, – პოეტი გვეუბნება. განა შეიძლება ვიფიქროთ ისე, რომ პოეტი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა აქ ჩამოთვლილ ომებს.

ჩვენ თუ შევკრიბავთ სააკადის მიერ მცირე თარეშულ ბრძოლებს, როგორც იყო ლისთან გამარჯვება, გორის ციხესთან გამარჯვება, ბირთვისის ციხესთან გამარჯვება, განჯის ციხესთან გამარჯვება და მივუმატებთ აწყურის ციხესთან, ფარავანის ციხესთან და ახალციხესთან ყიზილბაშების განადგურებას, ერთი დიდი ომი ასე გამოვა. ნიკოლოზ ბარათაშვილმა იცის მარტყოფის ომის უდიდესი მნიშვნელობა, რომ სააკადისაგან და მთელი ქართველი ერისაგან დიდი მოთმინების ხარჯზე დაფუძნდა ასეთი ომის საფუძველი, რომ სააკადისაგან შვილის განირვა მარტყოფის ომმა განაპირობა. რომ უმთავრესი მოხდა, აღმოსავლეთი საქართველო გადარჩა, განა მას არ შეეძლო თავის სიტყვებში პაატას სახელიც აღენიშნა, რომლის ნაზ მხრებზეც დადგა

მარტყოფის ომი.

ნ. ბარათაშვილს, როგორც პოეტს, როგორი მძაფრი ტკივილი ექნებოდა, სამსხვერპლოდ მის განირვაზე, მაგრამ ამაზე არ ამახვილებს ყურადღებას. პოეტი არ ამახვილებს ყურადღებას არც ქარჩოხი ქსნის ომზე, რის საფუძველზედაც შაჰ-აბასმა უკან ნაილო თავისი ავი გეგმები საქართველოს მიმართ.

განა პოეტი ნ. ბარათაშვილს ცოტა ჰქონდა დარჩენილი კიდევ საქებარი სააკადის მიმართ? აქაც შემოქმედის ზომიერებაა ყურადსაღები.

პოეტი ნ. ბარათაშვილი პირადი ვარამითა და ტკივილითაც იყო შემოსილი, როცა ამბობს:

და წყნარ საღამოს, ვით მეგობარს შემოვტიროდი,

რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი?

ვინ და რამ აუტკია პოეტს სათუთი გული? სწორედ იმ ატკივებული გულითაა დანახული სააკადის ცხოვრება, როცა ამბობს, „მარტყოფი მტრისათვის ის ქრილობაა, რომლისაგან ველარ განიკურნა შაჰ-აბასი“.

პოეტს თავისი ტკივილი არ ყოფნიდა, რომ სააკადის ტკივილსაც დასდგომოდა ქომაგად? როცა ქართველი საზოგადოებისათვის შესახსენებლად დასჭირვებია სააკადის მოღვაწეობის მნიშვნელობა, რომ მარტყოფით საქართველო გადარჩა. პოეტისაგან მოწოდებაა, რომ მოსახლეობა სპეტაკი სიმართლით უნდა იცნობდეს საკუთარი გენეტი-

კის წიაღში წარმოშობილ დიდი კაცის თვისებებს, რომლის რუდუნებითაც გადარჩა ქართველი ხალხი. ამ საქმეში მას უფალი უძღოდა წინ, რომ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის შვილების სიცოცხლე ირანის ახრიოკებულ გზაზე არ დაინაცრა.

იმ დროის ქართველი ხალხის დამდულრული ყოფა, რომელთა შიშის საფუძველი ირანში გადასახლებიდან მოდიოდა და ამ ავი მოვლენის წინააღმდეგ ქართველმა ხალხმა ხელი გ. სააკაძის მეთაურობით გამოიღო, რაც პოეტის მოუსვენრობის მიზეზი გახდა, და რადგან სააკაძე თავისი ვარამიანი ბედითა და მტერზე გამარჯვებით, თავისი ქვეყნის თანანაწილია, პოეტმა თავისი პოზიციით მოუწოდა ქართველ ხალხს, ღრმად გააანალიზონ ყოველივე.

როცა ნიკოლოზ ბარათაშვილმა თავისი ნათელი სულით სინათლე შეიტანა სააკაძის ღვანლში, მისმა მაღალმა ზნეობამაც დაისვენა, როცა ხალხს სიმართლე უთხრა. მეორეს მხრივ, თავის სიტყვებშივე დაგვიტოვა უთქმელი განცდა იმისა, რომ როცა ტაშისკარის ომით ქართლი გადარჩა, როცა მარტყოფის გამარჯვებით ქართლიცა და კახეთიც გადარჩა, როცა ქსნის ომით საქართველოში წერტილი დაესვა შაჰ-აბასის ვერაგ გეგმებს. ასეთი საქმეების აღმსრულებელმა მეზარაზტრემ შვილიც თავის ქვეყანას შესწირა. იმ რთულ დროში თუ რამე უნებლიედ შეცდომა მოუვიდა, დიდი მკრეხელობაა სააკაძეს საყვედური რომ შევკადროთ. მოღალატე პირდაპირ მოღალატეა, ის შვილებს სამშობლოსათვის არა სწირავს და ამდენ ომებში გამარჯვებას არ მიაღწევს. ნ. ბარათაშვილს არ უჭირდა იმის მიხვედრა, რომ რადგან

საკაძე წარმომავლობით დაბალ საფეხურზე იდგა, მაგრამ ასეთ სარდლური ნიჭის პატრონი, რაც უდიდესი ძალაა, და მას სხვა ძალა არ გააჩნდა, ის სხვა ძალა მხოლოდ ძლიერ მეფეთა ხელთ იყო. სააკაძის საშუალო აზნაურობა კი ამდენი ენერჯის გამღები იყო, რაც აჩვენა კიდევაც ორივე მეფესაც და ქვეყანასაც. რადგან დიდებულთა ჯგუფი სააკაძის თანამედროვეობაში ფერმკრთალად გამოიყურებოდა, მათ გადანყვიტეს ქართული ფსიქოლოგიის ნაწილისათვის ეჭვის ბურუსი შემოეხვიათ იმის გამო, რომ სიცხადე და ჟღერადობა დაჰკარგოდა სააკაძის გადახდილ ომებს. ამან ქართულ ორგანიზმში სისხლის გამტარობა შეაფერხა, წნევის დარეგულირება გახდა საჭირო ქართული ფსიქოლოგიის დასამშვიდებლად, და აჰა, გამოჩნდა კიდევაც სულმნათი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც უფლისაგან ნაჩუქარი ნიჭითა და სიმართლის ენით თქვა – „მარტყოფი საქართველოს გადარჩენა და სააკაძის ბედისწერა“ და ერიც დამშვიდდა.

პოეტი საკუთარ სხეულში განიცდის სააკაძის ბედსა და დიდებულთა ნაწილისაგან უმადურებას, ქართულ სხეულზე ავად მოსისინე ენებმა ნაიარევი დატოვეს. რამდენი უფიქრია პოეტს სააკაძის ბედზე? იმდენი, რამდენიც თავის ქვეყანასა და შემოქმედებას ესაჭიროებოდა.

პოეტმა სააკაძის დამსახურებაზე იფიქრა იმდენი, რაც თავისივე პოეზიაში და სიტყვაში სული აქვს ჩანურული. ამიტომ, რაც სააკაძეს ეხებოდა მის თანანაწილად სამშობლოსაც ეხებოდა, არც მეტი არც ნაკლები. თუ კომპრომისზე წავა პოეტი, იცის, სიმართლეს ჩრდილი მიადგება

და ქვეყანა დაზარალებდა. ბევრი ნაფიქრია მის სიტყვებში, ზღვა ფიქრია, რომ მოკლედ და ღრმად განცდილი, ხალხის გასაგონად ამოეძახა. და მისი ამოძახილი ზარის ხმად გაისმა ხალხში. და მარტყოფის მტრის გვამებით მოფენილი ველი ხალხის წარმოდგენაში გაცოცხლდა. ვისი ქანცმიუკარები მარჯვენა ტრიალებდა იქ, როცა თან იცოდა, სულ რამოდენიმე დღეში მისი შვილი პაატა შაჰისაგან წამებით აღესრულებოდა.

პოეტმა ღრმად იცის, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძის ფასი. როცა ერთიანი ყოფილა საქართველო, დიდი აღმშენებლობა და დიდი წარმატებები მაშინ ჰქონია. ეს მისია დიდ მეფეთა ხვედრი იყო. ეს იმიტომ, რომ ძალაუფლება მათ ხელთ იყო. საშუალო აზნაურს, სააკაძეს, ამის წადილი დიდი ჰქონდა, მაგრამ წინააღმდეგობა ჰქონდა ისეთი, რომ ეს შეუძლებელი გახდა. მაგრამ მარტყოფის ომის მოგებით აღმოსავლეთ საქართველო გადაარჩინა.

და როცა პოეტის სიტყვებმა ქართულ ფსიქოლოგიაში სალბუნის მსგავსი აუცილებლობა განაპირობა – „მარტყოფის ომით საქართველო გადარჩაო“, უშეღავათო, მწარე ენის მიზნით ნასროლი ისრისგან მიყენებული ჭრილობიდან სისხლის დენაც შეწყდა.

გულისათვის ყველაზე დიდი მტერი ენაა, და ენით მიყენებული ჭრილობა ყველაზე მძიმე ჭრილობაა. სიტყვით დაკოდული ქართველთა გულებისათვის, მალამოსავით გამკურნებელი სიტყვა, მაღალზნეობრივი კაცის ენით უნდა თქმულიყო, როგორც იყო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ნ. ბარათაშვილი, საქართველოში ერთ-ერთი გამორჩეული გვარის წარმომადგენელია. პოეტი იმ ეპოქაზე ფიქრმა ორი უკიდურესი მოვლენის წინაშე დააყენა, როგორც თვითონაც, დიდებულთა გვარის წარმომადგენელი, ან უნდა გაჩუმებულიყო, სააკაძის ოპოზიციური მხარის საამებლად, ან როგორც პოეტი და პატრიოტი, თავისი სულისა და გულის ამოძახილი ხალხისათვის უნდა ეთქვა. გააკეთა ის, რაც მის სპეტაკ სულს შეეფერებოდა. როგორც სააკაძის თავის ქვეყნის წინაშე დამსახურების არ დამკარგავი, პოეტისაგან აღარ მოყვანა სააკაძის სხვა გადახდილი ომების მნიშვნელობისა, და ამ შემთხვევაში მისი დუმილი აიხსნება ასე, მე მარტყოფის ომის შინაარსზე მოგახსენეთ, ჩემი ასეთი განმარტებით თუ თქვენი გული კიდევ ვერ მოლბა, სააკაძის შესახებ საქებარი კიდევ ბევრი დაგვრჩაო. პოეტი არავის არ ეფერება, ასეთი შეფასებით თვით სააკაძესაც არ ეფერება, მით უმეტესი პოეტია, მისი სული მგრძნობიარე სიმებითაა აწყობილი და მამისაგან პაატას ქვეყნისათვის მსხვერპლად შეწირვა, დიდი ტრაგედიაა და უდიდესი მაგალითია. ქართველი ხალხი გ. სააკაძის სიღიადეს, სწორედ ქვეყნისათვის შვილის მსხვერპლად გაღებაში ხედავს.

მაშასადამე, პოეტის მრწამსით, მსხვერპლის გაღება ხდება უფრო დიდი ნიშნისათვის, ერისთვის, სამშობლოსათვის, რაც მის მრწამსში აიხსნება, „მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჯერ როგორც მოქალაქე, მერე როგორც პოეტი უსათნოესი პიროვნებაა. განა პოეტმა არ იცოდა, როცა თავის ხალხს მიმართა, მარტყოფის ომით

საქართველო გადარჩა და სხვა, დანარჩენი წვრილმანი კაცუნების მონაჭორიაო. შემორჩენილ ოპოზიციას დიდებულთა ნაწილიდან არ მოეწონებოდა, თვითონაც ბარათაშვილმა, როგორც ღირსეულ თავადთა წარმომადგენელმა, არად ჩააგდო თავისი მოგვარისა და სხვა დიდებულთა გვარების სააკადისადმი ოპოზიციონერობა, და რადიკალურ და თანობიექტურ პოზიციაზე დადგა. აი, აქაა არა მარტო პოეტი, არამედ მაღალზნეობრივი ნიკოლოზ ბარათაშვილის მოქალაქეობრივი ღირსება იმისა, რომ ამბიციებს არ დაუთმო სააკადის დამსახურება.

ადამიანმა თავისი პოეტური სული, კაცობა ისეთ სადარაჯოზე დააყენა, რომ უფლებამოსილმა შემოქმედმა, დედო ზარი ჩამორეკა და ქვეყანას ამცნო ის, რომ უმთავრესი – სამშობლოს გადარჩენაა, მისი სუფთა სიყვარული ვალდებულებაა. და რახან მარტყოფის აჯანყებით საქართველომ თავი დაიხსნა, პოეტმაც არ დაახანა ზარის ჩამორეკვა და ფორმულად გაგვიმარტა მარტყოფის გამარჯვების დანიშნულება. მთავარია, – გული, სიყვარული და ენერგია შეახარჯო შენს ქვეყანას, გინდ დიდებულთა გვარიდან იყოს პიროვნება, გინდ დაბალი გვარიდან, შესაძლოა შეცდომა მოხდეს, უმთავრესი კი ის არის, სამშობლო უნდა გადარჩეს.

## მარაბდა...

როცა მარაბდაში, სიცხე  
ალესილ ხმალზე წიოდა,  
მაშინ ქართველ დედათა თვალთაგან  
მდულარე ცრემლი ცვიოდა.

### ხალხური

მარტყოფის ომში ირანული ჯარის განადგურებამ ზნებოროტ შაჰ-აბასს გულზე სიმწრის ბოლი შემოახვია. არ ელოდნენ! ასეთმა დამარცხებამ დაზაფრა შაჰის კარი. დამპყრობლურ წარმატებებს შეჩვეული „ირანის ლომის“ დიდება შავი ღრუბლებით დაიფარა.

სათათბიროდ შეიყარა შაჰის დარბაზი.

დიდი ალაჰი გამწყრალიყო მოურავ-ხანის სახით მაჰმადიანთა სისხლიან ომებზე.

შაჰი მარცხგადავლილი მჭახე ხმით, ალაჰის სახელით მოუწოდებდა ირანულ სარდლობას ღრმად გაეანალიზებინათ ეს დამარცხება და ძალა და სპარსული სისხლი არ დაეზოგათ ქვეყნის რეპუტაციის აღსადგენად.

შაჰმა საღვთო ომი გამოაცხადა და 50 ათასიანი ლაშქარი დაძრა საქართველოსკენ.

1625 წლის 31 ივნისს მარაბდის ველზე გაშალა მტრის ჯარმა ბანაკი. ქართველთა 20 ათასიანი ლაშქარი ტაბახმელის მთა-გორებზე იყო განლაგებული.

შაჰ-აბასის მიზანი უცვლელია: მან თავის სიძეს, ისახან ყორჩიბაშს დაავალა აღმოსავლეთ საქართველოს ერთიანად აღგვა პირისაგან მიწისა (ისქანდერ მუნში); ყორჩიბაშთან ერთად არიან შირვანის მმართველი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირგუნე-ხანი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი, აგრეთვე ხოსრო-მირზა, შემდგომში ქართლის მეფე როსტომი.

სააკაძე კარგად იცნობდა შაჰ-აბასს, ის აფრთხილებდა თანამებრძოლებს, რომ იგი ვერ შეურიგდებოდა დამარცხებას და აუცილებლად შემოიჭრებოდა დიდძალი ჯარით აღმოსავლეთ საქართველოში.

ქართველებსაც მოესწროთ თადარიგის დაჭერა 20 ათასი მეომრით.

საბრძოლველად მზად არიან ქართლ-კახეთის მნიშვნელოვანი პირები: თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, მესხი მანუჩარ ათაბაგი, სომხით-საბარათიანოს სარდალი ბარათა ბარათაშვილი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრან-ბატონები, იესე ქსნის ერისთავი, ბაადურ ციციშვილი, დავით ჯანდერი; ალავერდელი, ხარჭაშნელი, რუსთაველი და მროველი ეპისკოპოსები, 7 ძმა ჩოლოყაშვილი, 9 ძმა ხერხეულიძე, 9 ძმა მაჩაბელი – ყველა გამოცდილი ომსა და გაჭირვებაში, – მათი და ქართული ჯარის მონაწილეობით ახლა აქ, ამ სიცხიან ველზე უნდა გადაწყდეს აღმოსავლეთ საქართველოს ბედი.

აბსოლუტურად მარტივი ჭეშმარიტებაა, რომ მრავალრიცხოვანი ყიზილბაშები უფრო ორგანიზებულად იმოქ-

მედებდნენ გაშლილ ველზე ზაფხულის სიცხესაც ირანელები უფრო შეგუებულნი არიან, ვიდრე ქართული ჯარი. სამაგიეროდ ცხადი იქნება ქართველ მეომართა უპირატესობა, თუ ზემოთ, მთა-გორიან ვიწროებში შეიტყუებენ მტერს.

ასეთი საბრძოლო გეგმა წამოაყენა გიორგი სააკაძემ; მას მხარი დაუჭირეს ბაადურ ციციშვილმა, თეიმურაზ მუხრანბატონმა, იესე ქსნის ერისთავმა. დანარჩენ სარდლებს და მეფე თეიმურაზს მიაჩნდათ, რომ უმჯობესი იქნებოდა მტერს პირდაპირ ალიონზე დასხმოდნენ; ამბობდნენ, ჩვენ ირანელები ბევრჯერ დაგვიმარცხებია, ახლაც იმასვე დავმართებთ. ამ გეგმას განსაკუთრებით ქვემო ქართლის მესვეურნი უჭერდნენ მხარს.

მტერზე სასწრაფოდ იერიშის მიტანა კახეთის სარდლობამაც მოინონა.

„არადა, რამოდენიმე თვის წინ, მარტყოფის ბრწყინვალე გამარჯვებას ზეიმობდა სააკაძის შემართებით რწმენა-განმტკიცებული ქართველი ხალხი, თვითონაც მონაწილენი ამ ბრძოლისა; წინამძღოლად ირჩევენ თეიმურაზ I-ს რომელსაც არც სარდლის ნიჭი აკლდა და არც მეომრის შემართება, მაგრამ გიორგი სააკაძე, იმჟამინდელი უპირველესი გენერალი თუ სარდალი იქ იყო და...“ (ლევან სანიკიძე)

საბრძოლო თათბირმა სააკაძის საბრძოლო გეგმა უარყო და ბრძოლის მოგების შანსიც დაიკარგა. მოხდა საბედისწერო შეცდომა: ქართულმა ჯარმა მოქმედება დაიწყო ისე, როგორც სასურველი იყო ყიზილბაშებისათვის.

გიორგი სააკაძე კარგად ხედავდა იმ ღირსებასაც და ნაკლსაც, რაც მის ქვეყანას სიცოცხლის არსში ჩაკირვოდა. იმ დიდი ღირსებების გვერდით, რაც ქართველ კაცს ამშვენებდა, იმალებოდა ანგარებითი თვისებაც, რომელიც ერის გადარჩენის საჯეჯილე ფესვს წამლავდა..... და როდესაც ბრძოლით ხდება თავისუფლების მოპოვება, ომი წყვეტს სამშობლოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხს, საკუთარი მიწა-წყლის მიმართ ზერელე დამოკიდებულება ღალატის ტოლფასია.


სამწუხაროდ, სააკაძის ცოლისძმა, მარტყოფის ბრძოლის ღირსეული მედროშე, ზურაბ ერისთავიც არ აღმოჩნდა მარაბდის ომის მოგების სწორი გზის დამნახავი.

მან, როგორც გამოცდილმა სარდალმა, ჭეშმარიტად იცოდა ვისი აზრი იყო მართალი, მაგრამ მისთვის მთავარი იყო მხარი დაეჭირა მეფე თეიმურაზისათვის, რომელიც სიმამრად ეგულებოდა.

რა იქნებოდა, თვით თეიმურაზს მაინც გამოეჩინა გონიერი ნება, დაეძლია თავისი ამბიციაც, ღირსეულად ეთქვა, დღევანდელ მარაბდის ომსაც მარტყოფის ომის შემოქმედმა უსარდლოსო; ამით მის მეფურ ღირსებას არაფერი მოაკლდებოდა, უფრო ამაღლდებოდა ხალხის თვალში და სააკაძის სულიც უფრო გაიხარებდა.

ვერ შეძლო, ვერ გადადგა ომის მომგები ნაბიჯი? ისევ ქვეგამხედვარმა ადამიანებმა გადასწონეს ომის ბედი.

50 ათასიანი მტერი ამძიმებდა ალგეთის ხეობას, შეიძლებოდა, ამ დროს ზედაპირული გათვლით, სასხვათა-



შორისოდ მიეღოთ თეიმურაზსა და სხვა დიდებულებს თავიანთთვისვე სახიფათო გადაწყვეტილება და ისედაც მტრის ჯარზე ბევრად ნაკლები მხედრობის სიცოცხლე უშედეგოდ გასაწირად გაემეტებინათ?

მეფე თეიმურაზი სულ რომ არ გარეულიყო მარაბდის ომში, იქნებ უკეთესიც ყოფილიყო. მისი და ზოგიერთი თავადის უნიათობით დაშვებული შეცდომა ისევ გიორგი სააკაძის გამოსასწორებელი შეიქნა.

ციზილბაშთა სარდლობა ქართველთა დასახვედრად გაემზადა, ისინი არა მარტო რიცხოვნობით მეტნი იყვნენ, არამედ უკეთ შეიარაღებულნიც:

პირველ რიგში მუხლებზე დაჩოქილი მეომრები გააწყეს, მეორე რიგი ფეხზე იდგა, მესამე – ცხენებზე და მეოთხე – აქლემებზე ამხედრებული მეთოფენი იყვნენ.

ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, მარაბდის ომში 12 ათასი ირანელი მეთოფე იბრძოდა ისა-ხან ყორჩიბაშის სარდლობით.

ქართველები ბრძოლის წინა ღამეს აზიარა გიორგი სააკაძის თანამებრძოლმა და მეგობარმა, მროველმა ეპისკოპოსმა დომენტი ავალიშვილმა.

ზიარების შემდეგ კოჯრის მაღლობებიდან მარაბდის ველისკენ დაემხენ და მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ.

ქართველმა მეომრებმა მოუმკალ ყანაში ჩაიმუხლეს, შეისვენეს და სული მოითქვეს.



ისინი უთენია აპირებდნენ ომის დაწყებას, რომ ასიცხებამდე მორჩენოდნენ მტრის განადგურებას.

აღმოსავლეთის მხარემ ნათება დაიწყო.

მერცხალთა გუნდებმა ჭიკჭიკი შეწყვიტეს შავი, ნალგლიანი ლამაზი თვალები მოავლეს მარაბდის საომარ ველს და იქაურობას გაეცალნენ.

ქართველებმა წინა ხაზზე რჩეული ცხენოსანი რაზმები დააყენეს, მომდევნოდ ქვეითობა განლაგდა და მტრის ბანაკისკენ გაემართნენ. 12 ათასმა თოფმა დაიჭეკა მოწინააღმდეგის სანგრებიდან. კვამლის გაფანტვის მერე ზვავით დაიძრა ქართული მხედრობა. მტრის ბანაკს თავზარი დასცეს, შევარდნენ ყიზილბაშთა შუა რიგებში და აგნიასდა ბრძოლის ველი. შეიქნა შუბთა ძგერება, ჭახაჭუხი ხმალთა და ლახტთა....

ძალზე გაშმაგდნენ ქართველები. პირდაპირ მეთოფთა რაზმებში შეიჭრნენ და ერთიანად არიეს და აშალეს მათი რიგები. ამირგუნე-ხანის რაზმებმაც ველარ გაუძლეს ქართველთა გააღმასებას და გაიფანტნენ. დაჭრილი ამირგუნე-ხანი მომაკვდავი გააცალეს ბრძოლის ველს.

ქართველებმა მერე გეზი ირანელთა ცენტრისკენ აიღეს. ველარარა სიმაგრე მათ გამოიჩინეს და დათმეს პოზიციები ირანელთა შუა რიგებმაც.

იბრძოდა ყველა ქართველი, ერი და ბერი, თვით ეპისკოპოსნიც კი. მოურავს თავიდან მუზარადი მოეხადა, რომ მტერს ეცნო, მისი ლომივით ხმა ზაფრავდა ირანელებს.

სადაც ჯარის სიმრავლეს შეამჩნევდა, იქით ეშურებოდა თავისი რაზმებით, მუხლი ეკვეთებოდა მის დანახვაზე მტერს.

მთელი შემართებით ებრძოდა თეიმურაზ მეფე მოსისხლე შაჰ-აბასის ჯარს. დაიჭრა ზურაბ ერისთავი. გმირული სიკვდილი ჰპოვეს დავით ჯანდიერმა და ალათანაგ ხერხეულიძემ. ფოლადის სიმტკიცით იბრძოდა ყველა ქართველი. გამარჯვების სასწორიც დასაწყისში მათ მხარეზე გადაიხარა, მაგრამ მტრის რიგებს ახალ-ახალი დამხმარე ძალა ავსებდა.

გამოცდილი ისა-ხან ყორჩიბაში არ ტოვებდა ბრძოლის ველს. ქართველთა ერთი ნაწილი ორდუბაზარში (ირანელთა საწყობები) შეიჭრა ბრძოლის მოგებაში დარწმუნებული და მტრის ფორნების მისაკუთრება დაიწყო. ქართული ჯარის ნაწილი ავთანდილ სააკაძის მეთაურობით გაქცეულ მტერს ჩაუდგა კვალში. შაჰბენდე-ხანის დამხმარე ძალაც გამოუჩნდათ ირანელებს. ისინი ბუკთა ძახილით და ყიჟინით შემოიჭრნენ ბრძოლის შუაგულში.

ბრძოლითა და სიცხით გათანგულმა ქართველთა მხედრობამ მტრის დასვენებული ჯარის შემოტევას ველარ გაუძლო და ტაბახმელის გორაკებს მიაშურა; სააკაძე და სხვა სარდლები ცდილობდნენ, თავი მოეყარათ გაფანტული ქართველი მეომრებისათვის და კვლავ გადასულიყვნენ შეტევაზე, მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელი გამხდარიყო მათი სიმცირის გამო. „უსაზღვროდ გაუჭირდა ქვეითად მებრძოლ ქართულ ჯარს, ჯგუფ-ჯგუფად შეიკრიბნენ დაქანცულნი, იარაღს მაინც არ ყრიდნენ; სანამდე დაიხოცებოდნენ, თავი აღარ დაიზოგეს, ვისზედაც ხელი და ხმალი მიუწვდათ,

მოუკლავი აღარ გაუშვესო“, – მოგვითხრობს ფარსადან გორგიჯანიძე. სისხამ დილით დაწყებული ბრძოლა დაღამებისას დამთავრდა.

დამარცხდნენ ქართველები. ყველაზე ძნელი სიკვდილი კი არა, დამარცხების შეგრძნება იქნებოდა მათთვის, ვინც სისხლის ბოლო წვეთამდე სწორედ გამარჯვებისთვის იქნევდა ხმალს.

9 ათასი ქართველი და 14 ათასი ყიზილბაში დაეცა მარაბდის გავარვარებულ ველზე. ბრძოლაში დაიღუპნენ თეიმურაზ მუხრანბატონი, ბაადურ ციციშვილი, ეპისკოპოსები რუსთაველი და ხარჭაშნელი, ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მაჩაბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი. ყველაზე მეტად გაინირა ალაღ-მართალი გლეხობა.

ახლა ყველამ კი დაიჯერა და დაინახა გიორგი სააკაძის საბრძოლო გეგმის სისწორე – რომ მთა-გორიან ადგილებში მტრის შეტყუება უფრო სწორი იყო – მაგრამ რალა დროს!

ომის კარგად დაგეგმვა და მომზადება კი არა, ქართულ ჯარში შეძახილებიც ისმოდა, თუ მალევე არ დავინწყებთ ირანელებთან ბრძოლას, სულ გაგეცლებითო. იყო იმ ბრძოლაში ორგანიზება? და რატომ არ იყო, ყველას კარგად მოგვეხსენება. ოცი ათასი ქართველი მეომრის თავმოყრა ნამდვილად ცოტა არ არის, მაგრამ თუ შედეგი არ გამოიღო, ცოდვაა მათი უდროოდ ჩამქრალი სიცოცხლე!

შეუმჩნეველი იყო მტრის სიმრავლე, როდესაც ისინი

ვაკეზე იდგნენ, ქართველთა ჯარი კი ზემოდან დაჰყურებდა სარკესავით დასანახ მტრის მოძრაობებს, ან დასაზვერად გაგზავნილი ალათანაგ ხერხეულიძე და დავით ჯანდიერი არ მიუტანდნენ თავის სარდლობას ცნობებს მტრის რაოდენობის შესახებ?!

ისინი, როგორც ბრძოლებში გამოცდილები. ხომ აუწყებდნენ თეიმურაზს, რა იყო უმჯობესი, – დაბლა ჩასვლა ვაკეზე, პირდაპირ ბრძოლა მტერთან, თუ მოცდა, შემოტყუება და ნაწილ-ნაწილ პირველი წარმატების ზეიმი, აღარ იყო ორგანიზება, არ ჩანდა მთავარსარდლის სიმტკიცე.

გიორგი სააკაძის სარდლობით გამართული ყველა ომი მტრის სრული განადგურებით მთავრდებოდა. მოვიგონოთ ტამისკარის ომი – როგორ ბოლომდე, სრულ განადგურებამდე მიიყვანა ოსმალთა ურდო სააკაძემ, ისეთი დამფრთხალნი იყვნენ, ქალებიც კი ახერხებდნენ მათ შეპყრობას.

მარტყოფის ომშიც ხომ გაანადგურეს ყიზილბაშები მთლიანად, მერე კი სადაც ჩვენში გარნიზონებად იდგნენ, ყველა ციხეს მიადგა მოურავი, აიღო და დაარბია ხორნაბუჯი, ყარაბახი... ფეიქარ-ხანს ამის შემდეგ საქართველოსკენ აღრ გამოუხედავს.

ისტორიკოსები აღტაცებულნი არიან სააკაძის დაუმრეტელი ბრძოლის-უნარიანობის გამო; მარაბდაში კი უკონტროლობამ და მოუმზადებლობამ დააკარგვინა ქართულ ჯარს 9 ათასი მეომარი. მარაბდის ბრძოლა დროებით შეწყდა, არ დამთავრებულა; დიდებულებმა ყიზილბაშური ურდო და სარდლობაც მოურავს შეატოვეს, თვითონ თავიანთ ციხე-

დარბაზებს მიაშურეს.

საფრთხეს განერიდნენ,

გვერდზე გადადნენ,

თავადობდნენ და მეფობდნენ.

თავადთა ნაწილი შეჩვეული იყო გულარხეინობას, ხშირად ქვეგამხედვარობასაც.

ბრწყინვალე გამარჯვება მარტყოფისა –

საწყენი დამარცხება მარაბდისა...

მეორე დღეს, კოჯრის მახლობლად მცირე რაზმებით კვლავ უტევდა მტერს მოურავი. უშრეტი ენერგიით დამუხტული, ცდილობდა, ქვეყნის სიღრმეში არ შეეშვა მტერი.

საჭიროა მოსახლეობის გახიზვნა.

მცირე რაზმებით დაჰქრის სააკაძე ყიზილბაშთა გარშემო და ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს მტერს. ერთ-ერთი შეტაკებისას სოფელ ლისტან 60 კაცი 700 ირანელი განადგურა, რამდენიმე ქართველი დაიჭრა მხოლოდ. გაოცებულნი არიან შინაურნიც და გარეუღნიც.

გიორგის თავისი სამშობლო, ხალხი და მათი ღირსება იმ ძალით უყვარდა, რომ გარდა თავგანწირვისა, აღარაფერი ახსოვდა.

## მარაბდის მოვლენების განხილვა

მარაბდაში წარმოშობილმა ორმხარეობამ, სადაც უარყოფილ იქნა სააკაძის გეგმა – მტერი წერილ-წერილად შემოვიტყუოთ და ნაწილ-ნაწილ განადგუროთო – უარყო იმ მხარემ, რომელიც ბრძოლაში თეიმურაზის სარდლობას არჩევდა, იმ ვითარებაშიც დამთმობია სააკაძე, როცა უკვე „ტაშისკარისა“ და მარტყოფის მომგებმა აქაც დათმო, აღარ შეეწინააღმდეგა იმ დიდებულთა აზრს, რომელთაც დაბლა ვაკეზე ჩასვლა და დილაუთენია ბრძოლის გამართვა ამჯობინეს. საგულისხმოა, რომ ეს ორმხრივობა უარყოფითად აისახებოდა და ორაზრობრივი პოზიციები მეტ-ნაკლების მქონე ჯარზეც ზეგავლენას მოახდენდა და მერყევითობის ფსიქოლოგიითაც იმოქმედებდა საომარ ვითარებებში. ობიექტურობა მოითხოვს ითქვას, რომ ზ. ერისთავმა უდიდესი როლი შეასრულა მარტყოფის ომის მოგებისას, ახლა იქ კი მარაბდის წინარე სათათბირო შეკრებაზე ქართველთა შორის შეასრულა შუა გამყოფი როლი. მისაგან მხარის აბმა ბრძოლაში თეიმურაზ I-ის სარდლობისათვის, მისი ავტორიტეტი გადამწყვეტი აღმოჩნდა და პოლიტიკური შეუვალობა თეიმურაზის მხარეზე გადაინონა, ამდენად პოზიცია - უკვე გამაგრებულთა ფსიქოლოგიაში იგულისხმებოდა მყარი უპირატესობა, რომ სააკაძეს ჩვენგან განსხვავებული საბრძოლო გეგმა აქვს. ზ. ერისთავი კი მასზე არანაკლები, როგორც მარტყოფის ომის ერთ-ერთი განმსაზღვრელი, ხომ იყო მათი თანამოაზრე. სავარაუდოა, რომ ზ. ერისთავსა და გ. სააკაძეს შორის მაგნიტური განზიდულობაც სწორედ

იმ ვითარებაში წარმოიშობოდა. იქ, იმ დროს, ხომ იყვნენ ომებში გამოცდილი თავადების ნაწილი, რომლებიც გუმანით ხვდებოდნენ, თეიმურაზის პოზიცია საომარი გეგმისათვის - დაბლა ვაკეზე ჩასვლა, მტერზე იერიშის მიტანა - წამგებიანი რომ იყო? მაგრამ პირში წყალი ჩასდგომოდათ. საკითხავია, ეს ბატონები სად იყვნენ მაშინ. კახეთზე შაჰის ლაშქრობისას, სადაც ყოველ თითო შემოსევაზე 15 ათასამდე მეომარი მოჰყავდა, რატომ ვერ უწევდა წინააღმდეგობას თვით თეიმურაზი ან ლუარსაბი, ან ორივე მხარის დიდებულები, უიმედონი დასავლეთ საქართველოში რომ გადადიოდნენ თავშესაფარად, მოსახლეობას კი დაუცველად, ღვთისა და საკუთარი თავის ამარა ტოვებდნენ. ერთი, რაც გულით მოინადინა ქართლის ზოგიერთმა დიდებულმა, ის იყო, რომ ლუარსაბ II შაჰს ქართლიდან წააყვანიხეს. მათ საქციელს საქართველოს მოსახლეობის წინაშე რა დავარქვათ? ამ დროს მეფის მაგივრად ხალხის პატრონობა დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ და თამაზ ვაჩნაძემ იკისრეს. ფაქტიურად, მარაბდის ომის შემდგომ, სააკაძის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და არც არასოდეს შეწინააღმდეგებიათ გიორგი სააკაძეს. ალავერდის დღესასწაულზე მათი აჯანყებისას და ყიზილბაშების განადგურების შემდეგ, ისინიც იწვევენ მეფე თეიმურაზს იმერეთიდან რათა, როგორც მეფემ, გააგრძელოს შაჰის ჯარებთან საწინააღმდეგო საომარი ვითარება. თეიმურაზი მალევე ჩაერთო საომარ მოვლენებში, ექნებოდა დიდი გულის ნუხილი თავისი ხალხის ბედისა. დიდი გამარჯვებაც მოიპოვეს წინამურის ომში, რამაც ქართველი ხალხის სულს დიდი რწმენა შესძინა, და თავისი სამშობლოსადმი სიყვარული ხალხს დაუმტკიცა. შაჰიც დააფიქრა ამდენად,

თეიმურაზ მეფის მიმართ ამაღლებული განწყობა ქართველ ერში მუდამ იარსებებს, არასოდეს დაუკარგავს თავის ქვეყნისადმი ღვანლს და დროც ვერასოდეს ვერ გააფერმკრთალებს. ასეთი დიდი მსხვერპლის გამღები პიროვნება მეფეთა მხრიდან ძნელად მოიძებნება. ორი შვილი დედასთან ერთად, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე დააყენა. მერე ყველაზე უმთავრესი, უსპეტაკესი ქალბატონის, ქეთევან დედოფლის შვილია, ვინც ზნეობრივი ძალით შაჰ-აბასი დაამარცხა და მისი გამარჯვება მაჰმადიანურ სარწმუნოებაზე თანატოლფასია ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის და ქსნის ომების მნიშვნელობებისა. დიდი მოკრძალება მართებს ქართულ მოდგმას თეიმურაზის წინაშე, როგორც ქეთევანის შვილზე. მსგავსი ყოფითი, ცხოვრებისეული, მოვლენებით განაწამები მეფე სხვა იშვიათია, თუ კი რაიმე მოსაზრების აღნიშვნა მინდა და იმ დროის მოვლენების განხილვას ვცდილობ, იმ წამსვე ქეთევან დედოფალი მახსენდება, მიმიძიმს, სული ყელში მეზღვინება, სუნთქვაც კი მეკვრება, მაგრამ რა ვქნა, სიმაღლის თქმა ცალკე მეძლება. მიუხედავად იმისა, რომ მარტყოფის გამარჯვება დიდი შინაარსით შეიმოსა, რაც გვაძლევს საშუალებას მოვლენები თანმიმდევრობით განვმარტო. მარაბდის წინარე მდგომარეობანი, სააკაძის საომარი გეგმა მეორე პლანზე დააყენეს, თვითონ მოისურვეს საომარი ოპერაციის წინამძღოლობა. ამით ხაზი გაუსვეს სააკაძის დაბალი რანგის წარმომავლობას, მათი საქციელით გამჟღავნდა თვით მარტყოფის ომისავე მნიშვნელობა, მხოლოდ პირადი თვალთახედვით ნასაზრდოები იმაზეც კი შფოთავდნენ, რომ მცირე აზნაურისაგან იქნა განხორციელებული. მათ ღირსეულად რომ შეეფასებინათ მარტყოფის ომის მნიშვნელობა მარაბ-

დაშიც სააკაძის გეგმას მიიღებდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ სარდლობაც მისთვის უნდა დაეთმო. რატომ უნდა იყოს ამ ომშიც სააკაძე სარდალი, როცა მეფე და დიდებულები აქ ვდგავართო? ის კი დაივიწყეს, ან ვერ განსაზღვრეს, რომ მარტყოფის აჯანყებამ, სააკაძის სახელმა და გამარჯვებამ გააერთიანა ქართლ-კახეთი, დააბრუნა თეიმურაზი. გაჩნდებოდა ორმხრივი შეფასება სააკაძისაგან გადახდილი ომის მიმართ. ქართველი ერი, ხალხი, რომელნიც დაბალი ფენებიდან იყვნენ, ნათლად ხედავდნენ ამ ომში მოურავის დამსახურებას, და დიდებულთა ნაწილი, რომელნიც გულგრილობას იჩენდნენ მის მიმართ. როცა ხმა ღვთისაა, იქ ხმა ერისაცაა. მარტყოფის ომს უნდა განესაზღვრა მარაბდის ომიც, რადგან მტკიცე საფუძველი უკვე შექმნილი იყო. კერძოდ, სააკაძისგან ამ ომში განადგურდა 27000 ათასი ირანული ჯარი, რასაც პაატას მსხვერპლად შენიღვა მოჰყვა. გამარჯვების შემდეგ სააკაძემ დღის წესრიგში დააყენა ქართლ-კახეთის მეფედ თეიმურაზის მინვევაც, რაც ქართლისა და კახეთის გაერთიანებასაც ნიშნავდა. ამ გაერთიანების მისიამ 20000 ათასიან მეომარს მოუყარა თავი, რომელნიც პირისპირ დადგნენ მარაბდაში შაჰ-აბასის 50000 ათასიან ჯართან. ვინ შექმნა ეს პირობა?

როგორი ღირსება გამოაშკარავდა სააკაძისგან, როცა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის მსურველ შაჰს მრავალათასიანი ჯარი დაუმარცხდა მარტყოფში. ამით სასოება წაერთვა, ის ჩანვდა, რომ რახან სააკაძე მას აუჯანყდა და იგი საქართველოშია, თან ქართლი და კახეთიც გაერთიანებულია და მის სათავეში თეიმურაზი მოუწვევიათ, ახლა სიფრთხილეა საჭირო, დიდი სიფრთხილე. შექმნილ მოვლენებს

თავისთავად მივყავართ იმ აზრამდის, რომ სააკაძეს საქართველოს გაერთიანების იდეა მარტყოფის ომის დაწყებამდე ჰქონდა, რაც დასტურად გამოჩნდა კიდეც, ომის დამთავრების შემდეგ. დიდებულებთან შეთანხმებით, თეიმურაზს იწვევს ქართლ-კახეთის საპატრონოდ. რადგან ასე მოხდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მას ეიმედება თეიმურაზი, თან ქეთევან დედოფლის შვილია, იმასაც დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, მომავალი დიდი მიზნებისათვის. ე.ი სააკაძის ხასიათში ჩახედვით, თავისი სწორუპოვარი მოქმედებით, მან უარყო იძულებითი 12 წლიანი ყოფნა ირანის კარზე, რაშიც მისგან პირვანდელი ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოების აღიარებაც იგულისხმება თვით „ხარება“ დღესასწაულზე. მტრის ჯარების განადგურების სახით გულმოდგინე თავდადება, სარდლური უნარების გამოჩენით, სამშობლოს სიყვარული და მისთვის შვილის (გამეტება) განირვა და პირნათელი დამოკიდებულება ცენტრალური ხელისუფლების მიმართ გამოსატყა ტახტზე თეიმურაზ მეფის მოწვევით. აქ ჩამოთვლილი სააკაძესაგან განუელი ამავის რეალური სინამდვილე დაიფინა მარაბდის წინარე მოვლენებში. მყარი რეალობა ის იყო, რომ აღმოსავლეთ საქართველო ერთი მეფის ხელს დაუმორჩილა. საშუალო აზნაურისგან განუელი ღვანლი აქ მოყვანილი მაგალითების საფუძველი იყო თუ არა ნაწილ დიდებულთაგან და თეიმურაზისაგან დაუფასებელი? ეს ქართველ მკითხველს მივანდოთ. მარაბდის ომმა უპასუხისმგებლო გულგრილობა გამოამყლავნა ნაწილ დიდებულთა მხრიდან 9000 ათასი ქართველის უშედეგო დალუპვით. ბერი ეგნატაშვილი გულის კარნახით ასახავს მოურავის იმდროინდელ თავდადებასა და ომს. რამ წარმოშვა მარაბდაში ქართ-

ველთა შორის ორმხრივობა? რადგან ამდენი ენერგია გაიღო ერმა, სადაც ნაგულისხმევია თვით თეიმურაზისაგან, ასეთი ვეებერთელა მსხვერპლი, ორი შვილისა და დედის სახით, პაატას სახით, შედეგმაც არ დააყოვნა: მოხდა აჯანყება, რაც დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ხომ უნდა განეულიყო ანგარიში ამ მნიშვნელობებისათვის და სააკაძე მიიღებდა თავის მიმართ ანგარიშთა განევას, ქვეყნისათვის ნათელი გონებით ხედვის გზად. მას ხელენიფებოდა საომარი მოქმედებების შედეგიანი წარმართვა, რაც ქვეყნისათვის წამლის დადების საშუალებად აღიქმებოდა. ასე უნდა აღექვა თეიმურაზს სააკაძის უნარი, მით უმეტეს, წინ ედო უკვე გამარჯვებული ომების შედეგები, ქართველი მოსახლეობის ენერგიით გადახდილი. თუ თეიმურაზ მეფის სულის მოძრაობის ერთი მხარე დიდებულთა აზრის თანაგამზიარებელი იყო, როგორც აღმატებული, პრივილეგირებული მდგომარეობა და უკვე სააკაძისაგან მარტყოფის შემდეგ მოწვეული და ქართლ-კახეთის ტახტის მჭერი, მისი მეორე მხარე ხომ მსგავსებაშია, როგორც ტრაგიზმი სააკაძისავე ტრაგიკული ცხოვრებისა ქვეყნისათვის შვილების შენირვის სახით. ყველაზე მეტი მწუხარება თეიმურაზს შაჰ-აბასმა მიაყენა შვილებისა და დედის მონამეობრივი აღსასრულით, სააკაძემ კი მარტყოფში ირანული ჯარების განადგურებით შაჰს სამაგიერო გადაუხადა. ე.ი თეიმურაზის მაგივრად იძია შური. აქ ხაზი უნდა გაესვას მეორე მომენტსაც, ქრისტიანული სარწმუნოების აუგად მომპყრობი შაჰ-აბასი და მისი ჯარები დაისაჯნენ სააკაძისაგან. სხვა ახსნა ამ მდგომარეობას არ აქვს. სანამ სააკაძე ირანიდან საქართველოში დაბრუნდებოდა, ხომ ჰქონდათ დიდებულთა ნაწილს თავიანთი ძალა უნარის

გამოჩენის დრო? სად აისახა, მოიკრიბეს რამე ძალა წინ აღსდგომოდნენ შაჰის გეგმებს? როგორც კი შაჰი საქართველოს საზღვრებს მოადგებოდა, ისინი დასავლეთ საქართველოს მიაშურებდნენ. ერთი კი, რაც გულთ მოინადინეს ქართლის ნაწილმა დიდებულებმა, ის იყო, რომ ლუარსაბ II შაჰს ქართლიდან წააყვანინეს.

მარაბდის მოვლენებში სრული უმადურობა მათგან ჩვეული დინებით გამჟღავნდა. არსებული მდგომარეობა ხომ გულის სინრფელით ითხოვდა სააკაძისაგან განეული ამაგის დანახვას, რაც მათ წინაშე აშკარა ფაქტად დადებული იყო. მაგრამ მათი აღმატებული მდგომარეობა ამის დანახვის სურვილს არ კარნახობდა. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი თეიმურაზისაგან უნდა გადადგმოლიყო. მარაბდამდის სულ რვა თვის წინ დედამისი, ქეთევან დედოფალი, შაჰისგან წამებით აღესრულა. სულ სამი თვის წინ იმავე შაჰმა პაატა სააკაძეს წამებით ამოხადა სული ამდენად, თეიმურაზისა და სააკაძის, ორივეს, დამგლოვიარებული ადამიანური ყოფა მეტი ურთიერთ თანადგომის გამოხატვის ცრემლებს ითხოვდა.

„50000 ათასმა ირანულმა ჯარმა დაიბანაკა მარაბდის ველზე. ვისი იმედით აღარ ფიქრობს თეიმურაზი მტრისაგან გაცლას და იმერეთში გადასვლას? – ჯ.ღვინჯილია. გულმოცემულები არიან სხვა დიდებულნიც, გადამწყვეტი ომია მოსახდენი, ესენი კი იოლად წყვეტენ ქვეყნისა და ხალხის ბედს. პირდაპირ მტრის გასახარად იქცევიან, სააკაძის არც საომარი გეგმა მიიღეს და ამ მოტივით ომში სარდლობას ჩამოაცილეს. რაღაც ფსიქოლოგიური დაძაბვაა, გონიერების საპირისპიროდ იქცევიან, ჩქარობენ ომის დაწყებას, თუ არა-

და, სულ გაგეცლებითო. მწარე ღიმილის მომგვრელი იქნებოდა სააკაძისთვის და მისი თანამოაზრეებისათვის, როდესაც ასე მსჯელობდნენ, ასიცხებამდის მოვრჩებით ირანელებთან ომსაო.

მტერმოდებელი ქვეყანა შველას ითხოვდა, სულიერი ამალღებით და ამასთანავე ფიზიკური გადარჩენით, ორივე ერთდროულად იყო საჭირო. ქეთევან დედოფალი სულით, თითოეული სხეულის ნაწილით, ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოებისთვის შაჰ-აბასისგან წამებულა. ამ მხრივ, თეიმურაზი ორი დიდი მოვლენის წინაშე აღმოჩნდა, წამებული დედის მხრიდან საქართველომ სული მოითქვა, ურთიერთსარწმუნოებრივ სიდიადეში განმტკიცდა და ის ჭირ-ვარამი, რაც შაჰისგან კახეთში დატრიალდა, ქვეყანას სალბუნად დაედო. თეიმურაზი რწმენაგანმტკიცებულ ხალხში ამალღდა, სათაყვანებელი დედის შვილობამ მეტი პასუხისმგებლური მოვალეობის წინაშე დააყენა.

მეორე მოვლენა ის იყო, რომ მარტყოფის ომით ქვეყანამ თავისი ძალის სიმტკიცე იგრძნო, მტერმა მიიღო გამანადგურებელი დარტყმა, შეეცვალა ნირი, საქმე ისე აღარ იყო, როგორც მას ეგონა, როგორ მოდიოდნენ დაგეშილი აფთრებივით, ანადგურებდნენ ყველაფერს, რისი წაღებაც შეეძლოთ, მიჰქონდათ. ხალხის აზრთა საბრუნავში მარტყოფით დასანახი შეიქმნა, ქეთევან დედოფლის წამებით მტერმა სამაგიერო პასუხი მიიღო. იმ დროს ქართული ფსიქოლოგია ღრმად მიხვდებოდა ყოველივე იმას, რაც მათ თვალწინ მოხდა. მათ გონებაში სააკაძე მხსნელად წარმოჩინდა. თეიმურაზს მყარი საფუძველი შეექმნა მეფური პოზიციით გაენა-

ლიზებინა საქართველოს მომავალი. მას ღირსებებით უნდა მოეძებნა ყველა ის მიზეზი, ვისი გარჯით მოხდა ქართველი ხალხის გახარება. იმ მოვლენებში უპირველეს დიდებულს, ქვეყნისათვის შვილების გამწირავი, დედის გამწირავი მეფის ფსიქიკას უნდა მოეკრიბა ძალა, ღრმად განესაზღვრა აღმოსავლეთ საქართველოს ჯერ კიდევ ყოფნა-არყოფნის საკითხი, რომ შაჰი რევანშისათვის მოემზადებოდა, სააკაძის შესაძლებლობები გამოეყენებინა მტრის საპირისპიროდ და მარაბდაში ომის ბედი მისთვის მიენდო.

მარტყოფით გამონათებულმა და მკერდში გამარჯვება-დანთებულმა ქართველებმა მარაბდის სიცხეს თავიანთი გულების სიცხე შეურიეს და საომარი ველი მალე აივსო მტრის დაფანტული გვამებით. კარგი საფქვავე ხვავე დასდგომოდა სიკვდილს. მთელი დღე ნთებულა მზის ცეცხლი მარაბდის ველზე, სადაც აელვარებული ცა ყიზილბაშებისა და ქართველების გმინვად ელავდა. იმ სიცხეში თავდაუზოგავად იბრძოდნენ ქართველები, საარაკოდ – გიორგი სააკაძე (იხ. ბერი ეგნატაშვილი), მაგრამ იმ ეტაპზე დაშვებული შეცდომის გამოსწორება შეუძლებელი შეიქნა. მარაბდის ადუღებულ ველზე ადამიანთა ვერტიკალური სიცოცხლე სიკვდილისაგან ჰორიზონტალურად სწორდებოდა. გახურებულ ომში ათუხთუხებულ ორივე მეომარ მხარეს სიკვდილის დავლური ყიჟინად გარს უვლიდა.

ბედისწერისაგან სააკაძეს სისხლისა და ოფლის უღელი ედგა. მარაბდაში, მისი ხმლისაგან დატრიალებული სიკვდილის კევრი ყიზილბაშთა სიცოცხლეს ლენავდა. საომარ ველზე ავარდნილ მტერის ბულში ქართველთა მხარ-მკლავს

სიცხე ცალკე დაჰკიოდა. ცხენთა ფლოქვებით აბუქებულ და ოხშივარადენილ ომში სააკაძემ მაინც თავდაუზოგავი კაცის მრწამსი გამოავლინა.

დავაკვირდეთ, სააკაძისაგან მარტყოფის ომში ირანული ჯარების დამარცხებას დიდებულთა ნაწილი გულგრილად შეხვდა. გულგრილობამ და ფეოდალურმა ამბიციურმა უპირატესობამ მარაბდის ომში სააკაძე სარდლობიდან ჩამოაცილეს.

მარაბდის გახურებულ ომში სააკაძე მუზარადს მოიხდის, მის საქციელში ფსიქოლოგიური მოვლენაა დასაინახი. ამგვარ პოზიციას როდის მიმართავს კაცი? ასეთი ქმედება ხომ სიცოცხლეზე ხელ-აღებულობიდან მომდინარეობს. გახურებულ ომში მუზარადი ხომ თავდაცვის აუცილებელი პირობაა, მითუმეტეს, ამოდენა ჯართან ომის დროს. მტერი ან უნდა დაამარცხოს, ან თავი შეაკლას. სხვა ახსნა ასეთ საქციელს არა აქვს. თავიდან მუზარადის მოხდით სააკაძემ ქართველ ჯარს მარტყოფის გამარჯვება შეახსენა. მე თქვენთან ვარ, აქ მარაბდაში ახლა ორმაგი შემართებით გემართებს ბრძოლა, რომ მტერი გავანადგუროთ. ძალზე მნიშვნელოვანი გამოვლენაა სააკაძის მოქმედებაში, მას რაღაც დიდმა პასუხისმგებლობამ უბიძგა, რომ ქართველი მეომრებისათვის უკან დაუხვეველი სიმტკიცე ჩაენერგა, არ შემდრკალიყვნენ მტრის მრავალრიცხოვნობის გამო და თავგამწირავი სულისკვეთება გამოველინათ.

შესაძლოა ვიფიქროთ, როცა იგი ირანში იყო, შაჰისაგან წარმოებულ სხვა ქვეყნების დაპყრობით ომებში, ირანელი მეომრების გასამხნეველად იყენებდა ამ ხერხს.

თუმცა, ხერხი როგორღა უნდა ვუნოდოთ, როცა კაცი პირდაპირ სიკვდილზე მიდის. ყიზილბაშმა მეომრებმა ამ მხრივაც იცოდნენ სააკაძის თავდაუზოგაობა, რომ მტერმა იგი გაშმაგებული, მუზარადის გარეშე, იხილოს და მეტად დაიზაფროს.

რადგან ტაბახმელას გორებიდან პოზიცია დატოვეს ქართველებმა და დაბლა ვაკეზე ჩამოსვლა იწყეს, მტრის სასურველად, აქ უკვე უკიდურეს თავგანწირვაზედა იყო დამოკიდებული ქართველთა გამარჯვება. გავიხსენოთ მარაბდის ომის დასაწყისში როგორი შეტევა განახორციელეს, ცოტალა და სრულ გამარჯვებას მიაღწევდნენ. ვისმა სულისკვეთებამ აღმოაცენა ქართველებში ასეთი შემართება? გახურებულ ომში მტრის 50000 ათასიან ჯარს ქართველთა თავგანწირვამ უკან დაახევინა. მალე მათ რიგებს შაჰ-ბენდე-ხანის 10000 ათასიანი დასვენებული ჯარიც მიეშველა. ომის სასწორმა ქანაობა დაიწყო. მტერმა უპირატესობა მოიპოვა, ქართველებს მძიმე წუთები დაუდგათ, მძიმე იყო დასვენებულ და რიცხოვნობითაც გამრავლებულ და გალაღებულ ირანელებთან დაღლილ-დაქანცული ქართველებისაგან ომი.

მუზარადუარყოფილი სააკაძისაგან, საომრად ანთებული ქართული ჯარისაგან უკიდურესი თავგანწირვას, გამარჯვებას თუ ველარ მოიტანდა, ძვირად მაინც დაესვათ მტრისათვის ქართველი სარდლობისაგან შეუცოდავი თავიანთი სიცოცხლე.



„ჩემი რა ვთქვა, დიდათ მოხულდა ტრაბახი და ცუდი კვება, ველარ დადგის უნაგირზედ, ვისაც ჩემი შუბი ეხა?“

„დიდ მოურავიანი“.

ომის დასასრულს ყველაფერს ნათელი მოეფინა, სააკაძის გეგმის საპირისპირო მხარისაგან დაუნახავი მოვლენა ახლა დასანახი შეიქნა. თუ ვისი და რომელი მხარის საბრძოლო პოზიცია იყო მომგებიანი და ვისგან და რომელი მხარის ნაჩქარევი პოზიცია იყო მცდარი. ამიტომ მართებულია ითქვას: მარაბდის ომში მტერმა ქართველ სარდლობაზე და ჯარებზე გაიმარჯვა ტაქტიკით, მოთმინებითა და რაოდენობით.

მსგავსი შემდეგი გარემოება მარაბდის ველზე მოზავებულ ისა-ხან-ყორჩიბაშის 50000 ათასიან და შემდეგ მიმატებულ შაჰ-ბენდე-ხანის 10000 ათასიან ჯარში ჩანს ორაზრიანობა ან ორმხარეობა ?

ახლა გვინდა გავიხსენოთ „ტაშისკარის ომი“, 1609 წელი, მაშინაც ზაფხული, გ. სააკაძეს, მართალია, სიმონ I მეფის გვერდში დგომით ჰქონდა მიღებული საომარი წვრთნა, მაგრამ ჯარის სარდლობა და საომარი პასუხისმგებლობა პირველად სწორედ „ტაშისკარის ომში“ მიიღო, ე.ი. ლუარსაბ II და ქართლის დიდებულები დაჯერებულნი არიან, სააკაძის ჯერ კიდევ ღრმად გამოუცდელ საომარ თვისებებში. მაშინ ლუარსაბი სულ ახალგაზრდა მეფე იყო, მაგრამ მის სიტყვას მნიშვნელობა და ფასი ჰქონდა. მასთან ქართლის თავადებიც, რომელთაც წინააღმდეგობა არ გამოუხატავთ მტკიცე

ერთიანობით, თავიანთი ჯარებით მზად დგანან, ოსმალებს გამანადგურებელი დარტყმა მიაყენონ.

იყო მათ შორის ურთიერთსანინააღმდეგო აზრი? შედეგი კი ფაქტად დაიდო, 60000 ათასი ოსმალოს განადგურებით.

### შემდეგი მდგომარეობა

გ. სააკაძე განდევნიდან დიდი ხნით, 12 წელი იმყოფებოდა ირანში. იქ მან მრავალ საომარ მოქმედებაში მიიღო მონაწილეობა ირანის სასარგებლოდ. იმუამად მას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა. ცხადია, მას უკვე ღრმად ჰქონდა მიღებული საომარი გამოცდილება, რაც მისგანვე ორგანიზებულ მარტყოფის ომში - აისახა. აქაც ფაქტი დაიდო ქართველი ერის წინაშე, აშკარა და ხილული - მტრის 30000 ათასიანი ჯარიდან 27000 ათასი ბრძოლის ველზე დარჩა. სააკაძის საომარმა გამოცდილებამ მეორე შინაარსიანი შემდეგი გამოიღო.

ისმება კითხვა: რატომ არ გამოვლინდა მარტყოფის ომში აჯანყების ხელმძღვანელთა, იგივე ზ. ერისთავსა და ქართლის და კახეთის სხვა დანარჩენ თავადებს შორის აზრთა სხვადასხვაობა? ერთი რწმენით ანთებული შემართებით დაეწაფა მტერზე გამარჯვებას, გ. სააკაძის მიერ შერიგების გზით ხელგანვდილი დიდებულთა მიმართებაში და ქართველ მოსახლეობაში დულაბად შეკრული ერთიანობა.

## შემდეგი მდგომარეობა

მესამე, დიდი ქსნის ომი თავისი შინაარსობრივი სახით თითქმის გატოლებულია მარაბდის ომთან იმ მოტივით, რომ ქართველებმა მარაბდაში 14000 ათასი ირანელი გაანადგურეს, ქსნის ომში ქართველებმა – 12000 ათასი ირანელი. ვისგან და როგორ დაიგეგმა ქსანზე საომარი გეგმის შემუშავება? სააკაძისაგან რწმენაგაძლიერებულ ქართველებს სჯეროდათ და უსმენდნენ ერთმანეთს. ქსნის ომის ბრწყინვალე გამარჯვებიდან რადიკალურად შეიცვალა შაჰ-აბასის გეგმა – აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დაპყრობა და მოსახლეობის ირანში გადახიზვნა. რის საფუძველიც ქსნის ომში ქართველთა ერთსულოვნებაში იყო.

## მარაბდის სევდა ისევ მარაბდისოვს

მარაბდელების ომით დაქანცული სიცოცხლე შთანთქა და შეჭამა მათივე სისხლით გაჟღენთილმა მიწამ. აქ, მარაბდის მიწაში, წვანან მარაბდელები, ოდესღაც მიწაზე ზემოდან მოსიარულენი, შრომითა და ჯაფით დაღლილები, ახლა კი წინდაუხედავობით განწირულნი, სამარეებიდან მდუმარედ ამომყურენი. მტრის ხმალ-შუბით განყვეტილ დახოცილები, მათ გულზე დაყრილი მიწიდან ყაყაჩოებს ფესვი გამოუდგამთ და ყოველ ზაფხულს წითლად ეღვარებენ. ეჰა, თურმე სიკვდილსაც ყვავილები ჰყვარებია. მარაბდის ომში დაღუპულ მეომართა უმხედრებო ცხენთა ჭიხვინი ისევ მოისმის მარაბდის ველიდან, რადგანაც ომით დაღლილმა და დაღამებულმა მარაბდამ თავის მიწაზე დაინთო თავისი შვილების გარდაცვლილი სიცოცხლე და რომლისგანაც სულ მუდამ უძინარი იქნება ქართული სული.

ის ხმაურიანი მგრგვინავი ომები, რაც ქართლის ცხოვრებაშია აღწერილი, მათი უდიდესი ნაწილი მოგებულ ბრძოლებადაა ცნობილი, მაგრამ გულხელდაკრეფილი უგულობა ხშირად იყო ქართველთაგან ომის წაგების მიზეზი, და მტერთა გახარებისათვის შექმნილი სასურველი პირობა. ასეთი სამწუხარო მოვლენების საფუძველებზე სავსეა დედათა გოდებიდან ნადინარი ცრემლით ქართლის ცხოვრება. რის გამოც საქართველოს სულ სტკიოდა დედური გული. მტერთა შემოსევებით და ომებით ქართულ ცასა და მიწას ცეცხლი ეკიდა და ღვთის ნებით ყოველთვის იძებნებოდა

ძალა, ვისი მეშვეობითაც ქვეყნის გადარჩენა ხერხდებოდა და ერის დამწუხრებულ გულსა და სულს სალბუნად ედებოდა.

დასაბამიდან ომებით დაღლილი დღეები გოდებენ. ადამიანთა ურთიერთდაუნდობლობას, რისგანაც მსოფლიო საომარ ისტორიებს დედამიწა მკვდრებით აუფესია, სამწუხაროდ, ომები საუკუნებად ისევ დაჰქრიან ადამიანთა ნაშენ-ნაამაგარზე და ხალხთა ისტორიებში მოუშუშებელ ქრილობებად რჩებიან.

მარაბდის ომის შინაარსი უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ყველა იმ ომებს შორის, რაც ქართველ ერს ისტორიულ წარსულში გადაუხდია, ზოგი მოგებულნი, ზოგიც წაგებულის სახით, იმ განსაზღვრებით, რომ ეს ომი ორივე შინაარსს ატარებს. შაჰ-აბასს ამდენი რაოდენობის ირანული ჯარი არც ერთხელ არ გამოუგზავნია აღმოსავლეთ საქართველოს დასაპყრობად. ქართველებმა ბრძოლის ველზე შეარყიეს ყიზილბაშური უძლეველობა 14000 ათასი მეომრის განადგურებით. ამდენად, მარაბდის ომი ჩვენთვის გამარჯვებულ ომად მიგვაჩნია. დამარცხება კი იმ 9000 ათასი ქართველის სიკვდილში იმალება. ჩვენი მიზანია, კითხვებად დავალაგოთ მარაბდის ომის მოვლენები:

1. რა შედეგი გამოიღო სააკაძის საომარი გეგმის უარყოფამ, როდესაც მიღებული იქნა ომში თეიმურაზის სარდლობა, რაც ითვალისწინებდა დაბლა ვაკეზე ჩასვლას და მტრისთვის დილაუთენია ბრძოლის გამართვას, 20000 ათასიანი ქართველი მეომრით მტრის 50000 ათასიანი მეომართან.

2. როგორი მისია შესრულდა ქართველთა სარდლობიდან მარაბდის ომში.

3. რა იყო ძირითადი მიზეზები 9000 ათასი ქართველი მეომრის განადგურებისა.

4. რა მოვლენები განვითარდა მარაბდის ომის შემდეგ სააკაძის მიერ გამართულ საბრძოლო მოქმედებებში.

5. მარაბდის ომში ისა-ხან-ყორჩიბაშის 50000 ათასიანი ლაშქარი და შემდეგ მიმატებული შაჰ-ბენდე-ხანის 10000 ათასი მეომარი იბრძოდა. დაელუპათ 14000 ათასი, ცოცხლად დარჩათ 46000 ათასი, უეჭველად, დაჭრილებიც იქნებოდნენ სავარაუდოდ 6000 ათასი მეომრის სახით, სულჯანრთელნი, ისევე საომრად მზად მყოფნი – დაახლოებით 40000 ათასი ყიზილბაშის სახით მაინც დარჩებოდა.

6. მარაბდის ომშივე ქართველთა 20000 ათასიანი ჯარიდან ბრძოლაში დაიღუპა 9000 ათასი კაცი, ცოცხლად გადარჩა 11000 ათასი, სავარაუდოდ დაიჭრა 3000 ათასი კაცი, ჯანმრთელად გადარჩებოდა სავარაუდოდ 8000 ათასი კაცი.

მათი მეომრული შემართება და შედეგები შემდეგ გ. სააკაძის მიერ გაგრძელებულ პარტიზანულ მოქმედებებში რა ღირსებებად D დაიღო ქართველი ერის წინაშე.

ამ ორი მეომარი მხარის სისხლის ღვრამ მარაბდის ველზე 23000 ათასი მეომრის სიცოცხლე შეინირა. ქართველთა 9000 ათასმა მეომარმა შეინირა 14000 ათასი ყიზილბაში. ამ თანაფარდობით ჩანს, თუ როგორი მედგარი დარტყმა

მიუყენებიათ ქართველებს ყიზილბაშებისთვის. მიუხედავად ქართველთა შორის ორ მხარეობამ, ყველამ ღირსეულად იბრძოლა, თავი არავის დაუზოგია, იღვრებოდა ქართველთა შეუცოდავი სისხლი, განყდა 9000 ათასი მეომარი, თან ქართულ ცნობიერებაში გაჩნდა ბზარი, სარდლობის ნაკლებად შეუფერებლობისა მათი უნიათობისა და არასანდოობისა. სად 20000 ათასი მეომრისაგან 9000 ათასის დაკარგვა და სად 60000 ათასი მეომრიდან 14000 ათასის დაკარგვა. განა მტერს რამდენი ხნითლა შეეძლოთ საომარ ველზე უმოქმედოდ დგომა. ისინი ხომ დაინყებდნენ სიჩქარით თუ არა, ნელ მოქმედებებს შაჰ-აბასისაგან დაკისრებული გეგმების აღსრულებისათვის.

საომარ წარმატებას სააკაძე მარტყოფში ელვისებური იერიშით აღწევს, ქართველ ხალხთან ერთად. იქ მარაბდაში კი საბრძოლო ტაქტიკა შეცვლილი აქვს მტრის დიდი რაოდენობის მხრივ და შეტყუებით და ნაწილ-ნაწილ მათი განადგურების მოსურნეა. ამ კუთხიდანაც ნათლად ჩანს მისი საომარი და სარდლური ალლო, მაგრამ უმეცრებით გადადგმული ნაბიჯით ცუდი მოსახდენი მოხდა. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ის, რომ ასეთ გააფთრებულ სისხლთა ჩქეფაში გადარჩენილი 11000 ათასი ქართველთაგან იქნებოდნენ მძიმედ დაჭრილები, საშუალოდ მძიმედ დაჭრილები და მსუბუქად დაჭრილები. განა შეიძლებოდა მომხდარიყო ისე, რომ მძიმედ დაჭრილები ან საშუალოდ მძიმედ დაჭრილები იმ 9000 ათას დაღუპულ ქართველებში მიეთვალათ, ან კიდევ გადარჩენილ 11000 ათას ქართველთაგან ყველა საღ-სალამათი დარჩებოდა? როდესაც გაფიცხებულ ომში 60000 ათასი ყიზილბაშის წინააღმდეგ 20000 ათასი

ქართველი მეომარი იბრძვის, აქედან 9000 ათასი ქართველი 14000 ათას ირანელს ანადგურებს, უნდა ვიფიქროთ, რომ მტრის მხარეზე უფრო მეტი დაჭრილი იქნებოდა. და თუ ირანული ჯარი, მარაბდის ომის დამთავრების ხანს ცოცხლები 46000 ათასი მეომარი დარჩებოდა და გავითვალისწინებთ ქართველთა მედგარ შეტევას მათ წინააღმდეგ და მძიმედ დაჭრილებსა და საშუალოდ მძიმედ დაჭრილებს გამოვაკლებთ, რომელნიც მათი მდგომარეობის გამო ბრძოლებში მონაწილეობას ვერ მიიღებდნენ. შემდგომში, სავარაუდოდ, ისა-ხან-ყორჩიბაშის ჯარი ქართველთა წინააღმდეგ 40000 ათასამდის მაინც დარჩებოდა. ასეთივე მდგომარეობა შეიქნებოდა ქართველთა მხარეზეც. სააკაძისაგან გაგრძელებულ თარეშულ ომებში, ცხადია, მძიმედ დაჭრილნი და საშუალოდ მძიმედ დაჭრილნი ველარ მიიღებდნენ მონაწილეობას. მათ პირველ რიგში მკურნალობა დასჭირდებოდათ. აქედან გამომდინარე, დროებით საომარ წყობას გამოეთიშებოდნენ. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს ასეთი რეალობები უთუოდ შეიქმნებოდა იმ დროს. მაგრამ შაჰისაგან შემოზვავებული ირანული ჯარები საქართველოში ისევ მრავლად იყვნენ, რომელნიც უმოქმედოდ ვერ გაჩერდებოდნენ.

სოფელ ლისთან გამართული ბრძოლა ერთ-ერთი სამაგალითო ნიშანია, წარმომჩენია, სააკაძის საომარი ალლოსი. იგი თბილისთან დაშორებულია და სულაც არ არის მაღალ მთიანი, როგორც ქსნის ხეობა, სადაც მტრის განადგურების მეტ შანსს იძლევა. სოფელი ლისი, წოდორეთი და თხილვანა, მისი შემოგარენი დაბალტყიანი და დაბალმთიანია. რომლის მსგავსია კოჯორ-ტაბახმელას შემოგარენი, სადაც მარაბდის ომის დაწყებამდის ქართველთა 20000 ათასიანი ჯარი იდგა.

მარაბდის ომის დასასრულიდან სულ მოკლე დროში სააკაძე 60 კაცი 700 ირანელს ანადგურებს, მან ხომ წარმოაჩინა და დაადასტურა ომის დაწყებამდე სათათბიროდ წამოყენებული თავისი გეგმა: შეტყუებითი ხერხებით მტრის ნაწილ-ნაწილ მოსპობა. რაც ქართველი ხალხისათვის თვალსაჩინო გახდა, თუ როგორ მოახერხა ყოველივე ეს. სოფელ ლისტან მტრის განადგურება უმაღლესად გავრცელებოდა ხალხში და მათ გონება-რწმენაში იმედი დაისადგურებდა. ხალხის თვალსა და გულს შეუმჩნეველი არ დარჩებოდა სააკაძისგან მათ მიმართ მფარველობა. ჯარზე, მათ ჯანმრთელობა-სიცოცხლეზე, რომელნიც ესოდენ საჭირონი იყვნენ და საჭირო იყო მათი არსებობა ქვეყნიდან მტრის მოსაცილებლად. სააკაძისგან ასეთი დამოკიდებულება ხალხზე მიგვანიშნებს მის კაცთ-მოყვარეობაზე, ქვეყნისათვის სასიცოცხლო რესურსების გაფრთხილებაზე მიგვანიშნებს დიდ პასუხისმგებლობას თავის სისხლისა და მოდგმის მიმართ. ამის გამო მას ენდობოდნენ თავის თანამოძმენი, მიჰყვებოდნენ ყველა ფიცხელ შეტაკებებში, ყველანაირ გასაჭირში, იცოდნენ, სულით გრძნობდნენ რომ სააკაძე მათ არასოდეს მიატოვებდა და ჰარი-ჰარალოზე არ დააგდებდა, მათ სიცოცხლეს უბრალოდ არ გასწირავდა. რომელთა მხრებზეც და სისხლზეც გადადიოდა, ისტორიული წარსულის ავი ომები. დაბალი ფენები გულის თვალთ ხედვდნენ, რომ სააკაძე მათზე ზრუნავდა, თავისი წარმოშობის ყოფიდანაც გამომდინარე და ცდილობდნენ სამაგიეროდ მისთვის სული არ დაეშურათ, მათ ხომ ნახეს სულ სამიოდეთვის წინ მომხდარი მარტყოფის გამარჯვების სიტკბო, ხომ ხარობდა მათი სული თუნდაც იმის გამოც რომ ხსენებულ ომში მცირედი ქართველობა დაიღუპა. აკი თვითონ სააკა-

ძე განუმარტავდა მარაბდის წინარე თათბირზე, მისი გეგმის მოპირისპირე მხარეს დაბლა ვაკეზე ჩასვლა და მტერთან ომის გამართვა უიმედოა. ასიცხებაც თავისას იზამს და ქვეითად მყოფი წვრილი გლეხობა ადვილად გაგვინადგურდებაო. ხედავდნენ, კარგადაც ხედავდნენ სისხლოფლმდენი ხალხი მათი გულებისაკენ წამოსულ სააკაძის ზრუნვას ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის და ქსნის ომებში თვალსაჩინოსა და ხილულს. მარაბდის ომში აღმოცენდა ან გამოვლინდა ზრუნვა, ანგარიშის განწევა, ქართველი მეომრების სიცოცხლეზე? სარდლადმოსურნე თეიმურაზის მხარდამჭერთაგან? მარაბდის ომში ისევ ღმერთის წყალობით იმ 11 ათასი ქართველი მეომრიდან, საშუალოდ, რომ 8000 ათასი მაინც ბრძოლისუნარიანი უნდა ყოფილიყო. თუ ასე არა ქართველ მოსახლეობაში მოიძებნებოდა გზა საბრძოლო რეზერვების შესავსებად, როცა სხვა საშველი აღარ იყო.

„მკლავი დაგვიშრა ხმლის ქნევით გარდაყრითა და ხოცითა, ხან შევიბმოდი ოცდაათით ხან ცოტას ჯარით ოცითა.“

„დიდ მოურავნი“

დიდი მოურავიდან მოყვანილი მოვლენაც გვეუბნება იმას, თუ როგორ შემცირებულან ქართველები მარაბდის ომში და მრავალი დაჭრილებიც იქნებოდნენ.

აღსანიშნავია ის მდგომარეობაც, რომ მარაბდის ჯერ მოგებული შემდეგ წაგებული ომი, ქართველ მეომართა შორის უარყოფითად იმოქმედებდა, რაც ერთგვარ არასასურველ მოვლენად აისახებოდა მათ ფსიქოლოგიაზე და ვინ უნდა ყოფილიყო ის კაცი, რომ მათი შერყეული რწმენა,

სიმტკიცე, დამარცხებით გამოწვეული ისევ გაეჯანსაღებინა და ქვეყნისგან მტრის მოცილებაზე ეზრუნათ.

სააკაძეს თავისი მცირე რაზმებით, მსუბუქად დაჭრილი და ზოგით ჯანმრთელით, გადანყვეტილი აქვს მგლის სიხარბის მქონე 40000 ათასიანი ყიზილბაშურ ურდოს წინ აღუდგეს

„და ჩაუხტა გ. სააკაძე მცირედითა კაცითა რიცხვმრავალსა მტერსა“

(ქართლის ცხოვრებიდან)

როდესაც იმავე, 1625 წლის აგვისტოს თვეში ქსნის გადამწყვეტი ომისათვის მზადება ხდება, და ვნახავთ თუ როგორი ხერხებით შეიტყუა სააკაძემ ზურაბ ერისთავთან და ხოსრო მირზასთან შეთანხმებით არაგვის ხეობით 12000 ათასი ყიზილბაში, მათ სალიკვიდაციოდ ხომ იყო საჭირო საკმაო საომარი ძალა? სააკაძემ კი 2400 მეომრის შეგროვება შეძლო. რას უნდა გვეუბნებოდეს 12000 ათასიანი ყიზილბაშური ჯარის წინააღმდეგ 2400 კაციანი ქართული ჯარი? პირველ რიგში კი, ალბათ, იმას, რომ მარაბდის ომში დალუპულ ქართველთა იმ 9000 ათასი კაცის გარდა იქნებოდნენ მძიმედ დაჭრილებიც, რომელთაგან ქსნის ომში მონაწილეობა შეუძლებელი გახდებოდა. შესაძლოა ვიფიქროთ ისიც, რომ თვით სააკაძემ აღარ ჩათვალა საჭიროდ ქსნის ომში მეტი რაოდენობის ჯარის გამოყენება, ვინაიდან მტრის შეტყუებითი ხერხით, ქსნის ვიწროებში 2400 კაცითაც იოლად დაამარცხებდა ყიზილბაშთა ჯარს, რის საფუძველიც ქსნის ომის თადარიგის სამზადისი იყო. სააკაძის საომარი გეგმის

მიხედვით, ქსნის ომში იკითხება კიდევ ერთი გარემოებაც, მან ზედმინენით იცის მტრის რაოდენობა, რომ ისინი ჯერ კიდევ ბევრნი არიან, და ეძებს გზებს, ქართველთა მცირე დანაკარგებით, რომ რაც შეიძლება მტრის მეტი რაოდენობა მოსპოს, რაც სააკაძისაგან ქართველი მეომრების ისევ - სიცოცხლის დაზოგვითაც აიხსნება.

„რიცხვს ვინ იქს, რაც რომ ომშია, მე მტერი შემომკვდომია“

„დიდ მოურავნი“

შემდეგი ვარიანტი შეიძლებოდა ყოფილიყო ის, რომ რადგან შაჰ-აბასისაგან დაზავების პირობა ძალიან გამოკვეთილი არაა, მაგრამ არსებობდა ქსნის ომამდე, რაც გამოიხატებოდა პარტიზანულ ომებში სააკაძესთან ერთად ნაწილ თავადთა არ მონაწილეობაში და ქართველ დიდებულთა ნაწილი, თავიანთი ინტერესების გამო, ფარულად მომლოდინე ირანული ზავისა და იფიქრებდნენ შაჰისათვის არ გამხდარიყო ცნობილი სააკაძესთან მათგან თანამონაწილეობა ქსნის ომში. ამის საფუძველზე თავი შეიკავეს და არ გამოუყვეს სააკაძეს დამატებითი ჯარი. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ნაწილმა დიდებულებმა დაბეჯითებით იცოდნენ და იცნობდნენ სააკაძის თვისებებს, როგორც მეომრისა და სარდლისა. მარტყოფის ომით გამარჯვებამ-ოპოვებული და მარაბდის ომშიც თავიანთი თვალთ მისი შემხედვარედ ირანულ ჯარებს იგი თავს არ დაანებებდა. მარტყოფში 27 ათასიანი და მარაბდაში 14000 ათასიანი მტრის ჯარი განადგურებული იყო, შვილიც შეწირული ჰყავდა, ეს მოვლენა სააკაძისაგან მტრის ბოლომდე განადგურებას ითხ-

ოვდა, რახან სააკაძე ბრძოლებში წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, თავადთა ნაწილს გაუჩინებოდა აზრი იმისა, რომ შაჰი დღეს თუ ხვალ საზავო პირობას წამოაყენებდა და ამის გამო თავიანთ ციხე-დარბაზებში ჩარაზულები მოვლენების განვითარებას ელოდნენ.

მაშინდელ ქართულ მოსახლეობაში დიდი გულისტკივილით აღიქმებოდა მარაბდაში 9000 ათასი ქართველი მეომრის დაკარგვა, მათ ხომ ეყოლებოდათ მშობლები, ცოლები, დანი და ძმანი. მათი გამწარებული სულისათვის შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მარაბდის ომის წინამძღოლთა უნიათობა, მით უმეტეს, სულ მოკლე დროში მომხდარი ჯერ ლისის ბრძოლა, სადაც სააკაძისაგან და მისი 60 კაციანი რაზმისაგან 700 ირანელი ნადგურდება, შემდეგ ქსნის ომში, სადაც სააკაძისაგან და მისი მეომრებისაგან 12000 ათასი მტრის ჯარი ნადგურდება, მარაბდის, ლისისა, ქსნის ომისა და სხვა მიყოლებით პარტიზანულად გადახდილი ომებიდან, ხალხის გონება ანალიზს გააკეთებდა, აღმოაჩენდნენ დიდ სხვაობით კონტრასტს, დამტკიცებულს ტაშისკარის ომში, მარტყოფის ომში. სიმპათია, სიყვარული და იმედი სააკაძის მიმართ სამართლიანად გაღრმავდებოდა, პოპულარობასა და დიდ ავტორიტეტს მოიპოვებდა ხალხში. მეორეს მხრივ, აშკარავდებოდა ნაწილ დიდებულთა გულგრილობა, თავიანთსავე თანამემამულეებისადმი. ე.ი რამდენადაც იზრდებოდა სააკაძის ავტორიტეტი მოსახლეობაში, მის პარალელურად ჩრდილი ადგებოდათ ზოგიერთ დიდებულთ, რაც სააკაძესთან დაპირისპირების ნიადაგს ქმნიდა.

მოურავის მიზანი ნათელია, – შეასუსტოს მტრის ჯარის ბრძოლისუნარიანობა, შეათხელოს მისი რიგები, მოსპოს, რაც შეიძლება მეტი სპარსი მეომარი.

გავიხსენოთ, რომ ანდუყაფარ ამილახვარი, სიძე შაჰ-აბასისა, არშის ციხეშია დატყვევებული ცოლ-შვილთან ერთად.

მათ მცირე რაზმი იცავს, სააკაძემ კი წინასწარ გაავრცელა ხმა, რომ ამილახვრებს ქართველთა მთელი ჯარი ედგა. ისა-ხან ყორჩიბაშს ეჭვიც არ შეჰპარვია ამ ცნობის სისწორეში, მათ გამოსახსნელად 12 ათასი ყიზილბაში გამოყო და გამოცდილი სარდლები ყაზახ-ხან-ჩერქეზი, შაჰბენდე-ხანი (გამოაბრუნეს მარაბდის ომში დაჭრილი) და ხოსრო-მირზა გააყოლა.

ერთი კაცისა და მისი ოჯახის გადასარჩენად ამ რაოდენობის ჯარი რა საჭირო იყო, მაგრამ ისევ სააკაძის წინასწარმოფიქრებულმა ხერხმა და გონიერებამ გაჭრა. მას უნდა, რაც შეიძლება მეტი მტერი მოაცილოს საქართველოს გულს – ქართლს; მისი მცირე მფრინავი რაზმებით, ირანულ ჯართან შებრძოლება მცირეშედეგიანია (ისინი ჯერ კიდევ მრავლად არიან), ამიტომ ხერხი უნდა იხმაროს და მოძებნა კიდევ.

იცის მოურავმა, რა მნიშვნელობის პიროვნებაა შაჰისათვის ანდუყაფარ ამილახვარი, არა როგორც სიძე, არამედ

როგორც პოლიტიკური მოკავშირე. „ირანის ლომს“ ჯერ ხომ ისევ მოსამთავრებელი აქვს ქართლ-კახეთის საქმე..

როგორც გვახსოვს, ქართველმა პატრიოტებმა ის ჯერ კიდევ მარტყოფის ომამდე გამოკეტეს არშის ციხეში. ადრეც ვახსენეთ, განა ქართლში ან კახეთში არ მოიძებნებოდა მიუვალნი ციხე? საქმე ისაა, ქართლი და კახეთი გეოგრაფიულად მთაგორიანია, მაგრამ მაინც გაშლილი მინდვრებია. რიცხვობრივად მეტი მტრის მოქმედებისათვის მეტად ხელსაყრელი პირობა იქმნებოდა, ქართველთა მცირე მხედრობა კი უშედეგოდ იბრძოლებდა გაშლილ ველზე!

არაგვი და ქსანი ღრმა ვინრო ხეობებია, მტერს მხოლოდ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიზეზით თუ შეიტიყუებდი.

მარაბდაში ირანელებმა სიმრავლით და მოთმინებით გაიმარჯვეს, მაგრამ 14 ათასი მეზრძოლის დაკარგვა ცოტა ზარალია? შემდეგ კოჯორთან, ლისტან გამართულ და სხვა ეპიზოდურ ბრძოლებში მოურავმა ბევრი ყიზილბაში გაანადგურა.

ისა-ხან ყორჩიბაში გამოცდილი სარდალი იყო შაჰისა, კარგად იცოდა, რომ ქვეყანაში, რომლის ასაოხრებლად და დასაპყრობად მოსულან, ყოველი ქვა, ხე, ბუჩქი და კლდეც მათი მტერი იყო, ამიტომ დაუფიქრებლად და ხელალებით ვერ გაიმეტებდა ამ რაოდენობის საომარ ძალას. მით უმეტეს, სააკაძის მოულოდნელი რაზმები ყოველდღიურად ათხელებდნენ ყიზილბაშთა რიგებს და ამითაც ძალზე შეფიქრიანებულნი იყვნენ ირანელი სარდლები.

ქართლ-კახეთის პირწმინდად აყრა-გადასახლების მსურველთ, ახლა აშკარად გასჭირვებიათ და რახან ვერ ახორციელებენ თავიანთ გეგმას და ძალების მოსაკრებად დრო სჭირდებათ, ქართველ თავადებთან და მთელ მოსახლეობასთან ზავის დადების, მოფერების ხასიათზე დამდგარან.

ზურაბ ერისთავი და სხვა თავადებიც მომხრენი იყვნენ ზავისა: „ქვეყანა, ხალხი გვინადგურდება, ჩვენ ყიზილბაშობას მიჩვეულნი ვართ, უნდა ჩავაგოთ ხმალი, ბრძოლა უნაყოფოა“.

ქვეყანა რომ უნადგურდებოდათ, მაშინ ეფიქრათ, მარაბდის ომში თავიანთი უგუნურების გამო 9 ათასი ქართველი მეზრძოლი უღმერთოდ რომ განირეს. ახლა სპარსული ჯარი აქ, ცენტრალურ ქართლში დგას, შეთხელებული და დაზაფრული, მტერი ზავს ითხოვს, რომ მომაგრდეს და ისევ შემოგვიტიოს და კვლავ უნაღვლო ბედოვლათობა ზოგიერთი თავადის მხრიდან – ზავის მიღებას აპირებენ, თანაც ზარზეიმით!

რახან დათმენისა და დაზავების სიო ქროდა შაჰისაგან, ისა-ხან ყორჩიბაშსა და ქართველ დიდებულთა შორისაც დათბა ურთიერთობა. მას შეეძლო ეთხოვა კიდევ ზურაბ ერისთავისთვის, ანდუყაფარი თავისი ჯალაბით არშის ციხიდან უვნებლად დაებრუნებინათ; მათთვის ეს მორიგების დასტურიც იქნებოდა, რაც ორივე მხარისათვის მისაღები იყო, მაგრამ საბედნიეროდ, გარემოებათა და უფრო გიორგი სააკაძის წყალობით, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ჩაფიქრებული იყო. ზურაბ ერისთავმა ნება დართო ირანულ



ჯარს არაგვის ხეობით მის სამფლობელოზე გაევილო, უკან მობრუნებისას კი ქსნის ხეობაზე ჩამოველო.

ისა-ხან ყორჩიბაში, შაჰის ბრძანებისამებრ, ცდილობს, ამ ეტაპზე როგორმე მოახერხოს ქართველ დიდებულებთან დაზავება. ისინიც თითქოს არ არიან უარზე, მაგრამ ერთმანეთს ბოლომდე არ ენდობიან. ამაზე მიგვანიშნებს ზ. ერისთავის ულტიმატუმი: ჩემს ხეობაზე აივლით, მაგრამ უკან ქსნის ხეობით დაბრუნდებითო. ასეთი დამოკიდებულება ყორჩიბაშს ნდობასაც უნერგავდა, ვითომ სხვა მეტი გართულება აღარც არსებობდა...

ეს უსათუოდ გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის შეთანხმება უნდა ყოფილიყო. ვფიქრობ, იმის გამო, რომ მარტყოფში ზურაბის გული ქვეყნისთვის ვალის მოხდის სიამით ძგერდა. მართალია, მარაბდის ომში თეიმურაზ მეფე ირჩიეს სარდლად და არაგვის ერისთავმაც მის გვერდით დგომა ამჯობინა, მაგრამ როგორც თვითონაც უბადლო მეომარი, გონების სიღრმეში სააკაძის გეგმას უჭერდა მხარს და დამარცხებაც დიდად შეანუხებდა. ალბათ გიორგის წინაშე თავს დამნაშავედაც გრძნობდა და მტრის განადგურების მისეული ახალი გეგმის განხორციელებაში მხარსაც აუცილებლად დაუჭერდა. თანამებრძოლის გარდა, ცოლისძმაც იყო, ყიზილბაშებს კი მხოლოდ გზა სჭირდებოდათ არშის ციხემდე და სააკაძისვე გონიერი აზრით წაუყენა ზურაბ ერისთავმა ულტიმატუმი ისა-ხან ყორჩიბაშს: „მე არ ვიცი, უკან მობრუნებული ირანული ჯარი რას მოიმოქმედებს, შეიძლება არაგვის ხეობაც დამირბიონ, ამიტომაც ქსნის ხეობით დაბრუნდებით, იქ რას იზამენ, არ მენალვლებაო“.

გიორგი სააკაძესაც ასე სჭირდებოდა, მთავარი იყო, რომ მტერს ლომისის ქედი გადმოევილო და დაბლა დაშვებულიყო.

გიორგის ჩაგონებით ხოსრო-მირზასგან გავრცელებული ხმები – ანდუყაფარ ამილახვარს არშის ციხეში დიდი ქართული ჯარი იცავსო, – ისა-ხან ყორჩიბაშის ყურამდეც მიაღწევდა, სხვა შემთხვევაში ერთი ოჯახისთვის 12 ათას კაცს ასე სარისკო წამოწყებისთვის არ გაიმეტებდა. ქსნის ბრძოლაში თვით ზურაბ ერისთავს მონაწილეობა არ მიუღია, ნეიტრალური პოზიცია დაიჭირა. ესეც გონივრული იყო – ე.ი. არაგვის პატრონი ეთანხმებოდა შაჰ-აბასისა და ისა-ხან ყორჩიბაშის აზრს მათი აღმოსავლეთ საქართველოსთან დაზავების შესახებ.

ქსნის ბრძოლაში სააკაძის მხარდამხარ იდგნენ ზურაბის ძმები გიორგი და დათუნა ერისთავები. ცხადია, არაგვის საერისთავოს ჯარით (რაოდენობა ცნობილი არ არის), ზურაბ ერისთავის გარეშე კი ისინი ამას ვერ იზამდნენ. მათთან ერთად იყვნენ იესე ქსნის ერისთავი, სააკაძის სიძე და ქაიხოსრო მუხრანბატონი (სიძის ძმა) თავიანთი რაზმებით. და მანუჩარ III ათაბაგი თავისი მესხებით. სააკაძემ სულ 2400 მეომრის მოგროვება შეძლო.

იმ დროისთვის არაგვისა და ქსნის ხეობებზეც საურმე-საცხენოსნო გზები გადიოდა. ვინრო ხეობის საურმე გზაზე გვერდი-გვერდ მხოლოდ ორი მხედარი გაივლიდა და სიგრძეში 4 მეტრს დაიჭერდა, ანუ თუ ყოველ ოთხ მეტრში, საშუალოდ, ორი მხედარი მოძრაობს, მაშინ 12 ათასი მხედრის სვლა საშუალოდ 15-დან 20 კილომეტრამდე გაი-

ჭიმებოდა. სააკაძისთვის სასურველი გეგმა ითვალისწინებს ყველა მოვლენას, გამორიცხავს უფუნქციობას: წინასწარ ქსანზე გაგზავნილმა მისმა ერთგულმა ხალხმა ქსნის ორივე მხარეს გადასასვლელებში გაამზადა ხერგილები, თან ქვის საგორავებით აავსეს. ე.ი. 15-20 კილომეტრის მანძილზე, ფაქტიურად, ხაფანგები იყო დაგებული. თუ აგორებული ქვა ასცდებოდა მიზანს, მაშინ ჩასაფრებული ქართველი მეომრის ისრები მოუღებდა ბოლოს გადარჩენილ ყიზილბაშებს.

ლომისის ქედის ჩრდილოეთის მხარეს ტყიანში გიორგი და დათუნა ერისთავები იყვნენ ჩასაფრებულნი თავიანთი არაგველებით. უკან გამობრუნებული, ტყვის წამოყვანით გახარებული ლომისის ქედს გადასული მტერი მიძიმედ რომ დაუყვებოდა ქსნის ხეობის დაღმართს და ირანული გველეშაპი დაბლა ჩაიზღაზნებოდა, მაშინ უნდა გამოსულიყვნენ ნიშანზე საფრებიდან გიორგი და დათუნა ერისთავები.

ირანული ჯარი გულდანდობილად ჩაეკიდა ქსნის დაღმართს და გრძლად გაიჭიმა. დათქმულ ნიშანზე ქართველმა მეომრებმა ქვის საგორავები ახსნეს. ატყდა გრუხუნ-გრიალი.....

მოულოდნელობისაგან მტერი დაფრთხა. შეიქნა გნისასი, მოინდომეს, თავი შეეფარებინათ ქსნის ორივე მხარეს შემავალი ვიწრო გასასვლელი ხეობებისთვის. გასხლტომოდნენ საშინელ განსაცდელს, მაგრამ იქ სააკაძისგან წინასწარ შერჩეულ ადგილებზე ხერგილები ხვდებოდათ, თან ქართველი მოისრეები სეტყვის მსგავსად, უმონყალოდ უშენდნენ მტერს. ირანული ჯარის ბოლო ნაწილმა სცადა ლომისის მთაზე შებრუნება, მაგრამ გიორგი და დათუნა ერისთავების



ქართლის სიხარული

### მკითხველა საყურადღებოდ!

რა მსგავსებაა მარტყოფისა და ქსნის ომებს შორის? 1625 წელს, თებერვლის შუა რიცხვებში, როცა ირანული ჯარი საქართველოში მაყრონის სტატუსით შემოვიდა, ერთი კვირის განმავლობაში, თბილისში, შენიღბული სარიტუალო დღეები იდგა. სააკაძის გეგმის მიხედვით ყორჩიხა-ხანთან შეთანხმებით, ირანული ჯარი მუხრანთან, ალაიანის ველზე დაბანაკდა. ამ დროისთვის ქართლი მოძლიერებულია, ხოლო კახეთი, ირანისგან დასუსტებული. გარკვეული მოვლენების აღსრულების შემდეგ, ისევ სააკაძის რჩევით, ირანის ჯარი აიყარა და მარტყოფის ველზე დაბანაკდა, რადგანაც სააკაძეს აჯანყების მოწყობისთვის დრო სჭირდებოდა.

1625 წლის 7 აპრილს, ხარება დღეს, გიორგი სააკაძისა და ქართველი ხალხის ერთსულოვნებით, მარტყოფის ველზე, ირანული ჯარი და მათი სარდლები: ყორჩიხა-ხანი, იმამ-ვერდი-ბეგი, იუსუფ-ხანი და მოჰამედ ხა-ზიად-ოღლი განადგურდნენ.

ქსნის ომში, გიორგი სააკაძეს, რვა ერისთავსა და ხოსრო-მირზას შორის ერთობლივი შეთანხმება შედგა. კერძოდ – ისახან-ყორჩიხაშის ძირითად ჯარს, 12 ათასი ირანელი მეომარი გამოეყო. არშის ციხიდან ანდუყაფარ ამილახვარის გამოხსნის მიზნით, მათ არაგვის ხეობა აიარეს. ანდუყაფარის ოჯახი ციხიდან გამოიყვანეს, ლომისის მთა გადაიარეს და ქსნის ხეობაში დაბრუნდნენ, სადაც სააკაძის გეგმით ირანელების 12 ათასიანი ჯარი განადგურდა.

აქ უმთავრესი მსგავსება რა არის?

საკაძემ მარტყოფში, შაჰ-აბასს სარდლები და ჯარი გაუნადგურა. ასევე ქსნის ომშიც, სააკაძემ შაჰს სარდლები: შაჰ-ბენდე-ხანი, ამირგუნე-ხანი, ყაზახ-ხან-ჩერქეზი და ჯარი გაუნადგურა.

მნიშვნელოვნად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მარტყოფის ეპოპეის შემდეგ, მარაბდის ომი, ვერ გახდა მარტყოფის ომის გაგრძელება, იმის გამო, რომ სააკაძე ამ ომში სარდლად ამბიციების გამო არ დანიშნეს. სარდლობა და უფროსობა თვითონ დაიჩემეს, რასაც ომის წაგება მოჰყვა.

გიორგი სააკაძემ სადაც თავისი მხედართმთავრული ნიჭი და სტრატეგია ნიჭი გამოავლინა, ეს იყო მარტყოფისა და ქსნის ომები. მაშასადამე ქსნის ომი, მარტყოფის ომის გაგრძელებაა.



იუსე ქსნის ერისთავი

არაგველთა ჯარმა ერთიანი მძლავრი შეტევით უკანვე, ქსნის დინებისკენ ჩააბრუნეს აგორებული ქვებითა და ისრებით თითქმის განადგურებული, სასომიხდილი ყიზილბაშები.

მოურავის მიერ წინასწარ გააზრებულ-დაგეგმილი ოპერაცია წარმატებით შესრულდა. ყიზილბაშებისათვის სამაგიეროს მიგების ისრები წიოდა ქარჩოხთან, ბუდე-ქსნელების საომარი ყიჟინა ფარავდა ერთიანად აზრიანებულ ირანელთა კვნესას,

გამარჯვების მზე ამოსულიყო საქართველოს ცაზე და ერთსულოვნების სხივები ქსნის ხეობაში ჩამოეშვა. ქსანზე გამარჯვებამ ქართველ ხალხში მარაბდის ფერნასული ბრძოლის შემდეგ დაკარგული რწმენა აღადგინა და სულში გამარჯვების იმედის, სიმტკიცის ნათელი ჩაუყენა.

ბერი ეგნატაშვილი „ქსნის ბრძოლას“ გაუგონარ გამარჯვებას უწოდებს, – „ასეთი გამარჯვება არა თქმულ არსო“.

ქსანზე თითქმის იმდენივე ყიზილბაში დაიღუპა, რამდენიც მარაბდის ომში. მარაბდაში ირანელებმა 14 ათასი მებრძოლი დაკარგეს, ქსანზე – 12 ათასიდან დაახლოებით 150 გადარჩა ცოცხალი, ქართველებმა კი მცირე დანაკლისი განიცადეს.

ქსნის ბრძოლა სამი დღე გრძელდებოდა.

ხოსრო-მირზამ ყველაფერი იცოდა, რაც სპარსულ ჯარს თუ ამილახვრების ოჯახს ელოდა, მან იცოდა, რაც უნდა მომხდარიყო ქსანზე. გიორგი სააკაძესთან შეთანხ-

მეზული იყო იმაზეც, როგორ უნდა გაეცილებინა ამილახვრები ქსანზე დატრიალებული ჯოჯოხეთური ცეცხლისაგან. მათი მშვიდობიანი დაბრუნება ისა-ხან ყორჩიბაშთან ხოსრო-მირზას ერთგულების დამადასტურებელი იქნებოდა.

გიორგი სააკაძის გონიერების წყალობით ქართველმა ხალხმა აპატია ხოსრო-მირზას მარაბდაში ქართველთა წინააღმდეგ ყოფნა, საშუალება მისცა ქსანზე თანადგომით გამოესყიდა დანაშაული და მომავალშიც ღირსეული სამსახური გაენია ქართული მიწისათვის.

ვფიქრობ, ხოსრო-მირზამ გიორგი სააკაძესთან თანამოაზრეობით ქსნის ბრძოლაში თავისი მისიის –ამილახვრების გადარჩენით –წარმატებული დასრულებით მომავალში ქართლში გამეფების ერთგვარი გარანტიაც კი შეიქმნა.

ქსნის ბრძოლაში მოკლული 12 ათასი ყიზილბაში, ცხადია, ცხენოსნები იყვნენ. ე.ი. კაციან-ცხენიანად 20 ათასამდე ცოცხალი არსება ჩაიკლა და ჩაიღუპა ქსნის ვიწროებში.

მდინარე ქსანმა ორი კვირა ფერი ვერ დაიწმინდაო, – ამბობს მემატიანე. ნაქარიშხლარი ქსნის ხეობა და ქარჩოხის ციხის შემოგარენი ცხენ-კაცთა გვამებით აივსო. ხალხური გადმოცემით, მდინარე ქსანი მთელი თვეების მანძილზე ადგილ-ადგილ წითლად დაგუბებულ მორევებად ლივლივებდა. ქსანზე გახრწნილ გვამთა მძაფრი სუნი დიდხანს ვერ გადაქარდა.

ქართველებმა უამრავი ირანული იარაღი იგდეს ხელთ. ბავშვობაში სოფელ ხერკელაანთში პაპა გორა (გიორ-



**ქართლის მეფე – როსტომი (ხოსრო-მირზა)**

გი) ხერკელაძესთან მეც მინახავს დაჟანგებული სპარსული ხმალი...

ქართველებმა შეიპყრეს შაჰ-აბასის სარდლები, შირვანის ბეგლარბეგი ყაზახ-ხანი და აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰ-ბენდე-ხანი და მარაბდაში მათს დროებითი გამარჯვების დიდებას სიკვდილის ნყალი დააღვინეს.

როგორც აღვნიშნეთ, ბერი ეგნატაშვილი აღტაცებულია ქსნის ბრძოლის მოგებით, მისი აღტაცების უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მან მშვენივრად იცის, ეს გამარჯვება ნაწილ-ნაწილ შეკონინებულმა 2400 კაცმა, სააკაძის სტრატეგიით, შეძლო. ქსნის ომმა ყველას დაანახა, თუ ვისთან ჰქონდათ ირანულ ჯარებს საქმე, ვინ განასახიერებდა ქვეყნის ძლიერებას, ვისი ენერგია ედგა დამცველ ფარად და მცველად თავის ქვეყანას.


ქსნის ომი მეტად დამაფიქრებელი გამხდარიყო შაჰ-აბასისათვის. ჩაუმნარდათ სპარსელებს მარაბდის ომის მოგების დროებითი სიხარული, მათთვის მძიმე მოვლენებმა შაჰი აიძულა აღმოსავლეთ საქართველოში შეეცვალა პოლიტიკა, როცა ის ირანის მბრძანებელი იყო, არც ერთ ქვეყანასთან არ დასჭირვებია ცბიერი დიპლომატიით, თავის მოკატუნება. მისგან გამოგზავნილ და საქართველოში 90 ათასიან ირანული ჯარის პატრონი, შაჰის გონება ოდესმე იფიქრებდა, რომ საქართველოსთან ზავი დასჭირდებოდა? ახლა კარგად მიხვდა, თუ ვისი ძალისხმევით და როგორ იპყრობდა ქვეყნებს, რა დიდება შესძინა გურჯმა მოურავმა და იმავე გურჯი სააკაძისაგან რა დღეები დაადგა მის ჯარებს.

ქსნის ომმა საქართველოს უდიდესი შედეგები მოუტანა, კერძოდ:

1. ისა-ხან ყორჩიბაში შიშით ვერ ჩერდება საქართველოში და ყარაბაღში გარბის, რომ იქიდან გააგრძელოს ბრძოლა საქართველოსთან.
2. ქართლში აქა-იქ შემორჩენილი ყიზილბაშები შიშით ციხეებში ჩაირაზნენ და მზის სხივი ენატრებათ.
3. შაჰ-აბასმა შეცვალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის გეგმა, მეფე თეიმურაზთან და დიდებულებთან მორიგება-დაზავების გზა აირჩია.
4. სააკაძისეული იდეა საქართველოს გაერთიანებისა, ფრთას ისხამდა.

დამპყრობელნი მრავალი ათეული წლოებით, სისხლის სანოვრად ჩაბუდებულნი იყვნენ ქართულ მიწას. მტერნი ავლილნიც ბევრნი იყვნენ და ვერ ჩამოვლილნიც, მათგან აშავებული კვალი დღესაც ამჩნევია ჩვენს ციხე-სიმაგრეებს. მაგრამ საქართველო ყოველთვის დაუპყრობი დარჩენილა, რის საფუძველიც ქართველი ერის გოლგოთურ მოთმინებაში და სასიცოცხლო ხარკის გაღებაში აისახებოდა.

დგანან, ისევ დგანან საქართველოში მდუმარედ მდგომი ციხე-კოშკები და სამძიმარს ერთმანეთისგან იზიარებენ, რომელთაც ხსოვნად შერჩენიათ საკუთარი მეციხოვნეებისა, თუ მომხვედურთა სისხლთა ნთხევა. მარაბდაში სისხლით ნაზელი მიწიდან ჯერ ისევ გამოისმის გმინვა და კვნესა დაჭრილი ქართველებისა, მაგრამ ქარჩოხის ციხესთან კვლავ



ქსნელი მხედარი

ფხიზლობს სისხლ-ოფლჩამომდნარი რწმენა, მდინარე ქსანს ნაზ ნიადად რომ ჩამოსდევს და დედა მდინარე მტკვარს უზიარებს თავის ჭირნახულ დღეებს. ქსნის ომში ყიზილბაშთა გმინვა-გოდება, წინაპართა გადმოცემით, წითელ ნისლად მდგარიყო თვეების მანძილზე. ქსნის მიდამოებს მტრის სისხლიანი ნაკადულები ეკიდა, ქარჩოხის ციხის ქონგურებიდან ჭექდა ყიჟინა ქსნელებისა და ახლა იმავე ქონგურებიდან და ციხის თვალებიდან გამოისმის ლეგენდები და თქმულებები. ქსანი კი ისევ ლოკავს მარილს დანატრებული ნაცარა ხარივით, შავ ლოდებს. ეს ხეობა დიდი ხნით მასპინძლობდა ყვავ-ყორნებს, თავიანთ მსგავსი სისხლმონყურებულთა გვამებით. ამ ადგილას, 380 წლის წინ სააკაძის ხმლითა და ხმით, დამფრთხალი ყიზილბაშთა ჯოგი ქსნის კლდიანებთან, ვაკეზე ჯგუფდებოდნენ და თავიანთ უმეცრებას ცას შებლაოდნენ. ქსნის ნაპირებზე მდებარე ლოდები მომსწრენი არიან ქსნის ომისა და დღემდე აცვიათ ხავსად შერჩენილი ყიზილბაშთა გოდება. საქართველოს მდინარენი და წყარონი, მინდორნი და მთა-ველნი მომსწრენი არიან მრავალი ვაებისა, უთქმელნი სიმართლისა და სინამდვილისა. მათი დადუმებული ლაღი შეუვალ სიმკაცრეში გაქვავებულა. მათ ქვადქცეულ დუმილში სააკაძის ხსოვნაც ჩაკირულა. ჯვრის მონასტერსა და სვეტიცხოვლის ტაძარს ახსოვთ არაგვის ხეობით არშის ციხისაკენ მიმავალი ჟრიამულით ახოხორებული ყიზილბაშთა ურდო და ქსნის ხეობით ჩამომავალნი, სააკაძისა და მისი მეომრებისაგან დამარცხებულნი რამოდენიმე ათეული ირანელი. თითოეული საომარი ველის მარტო სახელი კი არ იყო განმსაზღვრელი, არამედ დასაბამიდან მთელი საქართველო ბრძოლის ველად იყო ქცეული.



...როგორც ზემოთაც ვთქვით, ირანში ყოფნის დროს სააკაძე და ხოსრო- მირზა ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს.

ლუარსაბ II-ის სიკვდილის შემდეგ, როცა ქართლი უმეფოდ დარჩა, გამორჩევით თავმდაბალი, გონიერი, მამით ბაგრატიონი ხოსრო-მირზა სააკაძეს ქართლის მეფედაც ეიმედებოდა. აქედან გამომდინარე, მომავალ ქართლის ბედთან მიმართებაში ერთი აზრისანიც იქნებოდნენ. უეჭველია, ქსნის ბრძოლის გეგმაც თავიდანვე ხოსრო-მირზასთან შეთანხმებული უნდა ყოფილიყო. მისი გავლენაც იქნებოდა, რომ ირანელებმა თან ზარბაზნები არ წაიღეს. ჯერ ერთი, მთაში ტარება გაუჭირდებოდათ, მეორეც, ისე დაჯერებული იყვნენ თავიანთ წარმატებაში, საჭიროდ არ ჩათვალეს ზარბაზნების გამოყენება.

უნდა აღინიშნოს, რომ მოურავმა ჭკვიანური ტაქტიკური სვლა გააკეთა: როდესაც ირანული ჯარი საარაგვოსკენ გაემართა, მცირე ჯარით ღართისკართან და წინამურის მიდამოებში მტერთან შებრძოლება სცადა. ეს იყო მოჩვენებითი ვითომ შეტევა, თვითონაც დაენახა მტერს და ქართული რაზმის სიმცირეც აჩვენა, რომ თავიანთი სიმრავლით დაიმედებულ ირანელებს არხეინად განეგრძოთ გზა და სიფხიზლე მოედუნებინათ. გარდა ამისა, ხოსრო-მირზას მითითებით, რამდენიმე ასეულმა ყიზილბაშმა ვითომ დაზვერვის მიზნით აიარა ქსნის ხეობა. დარწმუნდნენ უსაფრთხოებაში, შემდეგ კი გადავიდნენ არაგვის ხეობაში და მთავარ ირანულ ჯარს შეუერთდნენ.

საკაძისა და ხოსრო-მირზას კავშირი შემდეგში დადა-

სტურდა: ხოსრო-მირზამ, უკვე როსტომ მეფემ, 1632 წელს გ. სააკაძის შვილს იორამს აღუდგინა და დაუმტკიცა მათი კუთვნილი ადგილ-მამულები. უფრო მეტიც: მარაბდის ბრძოლაში დაღუპული თეიმურაზ მუხრანბატონის ვაჟი, გიორგი სააკაძის შვილიშვილი ვახტანგი პაპის პატივისცემით იშვილა და ქართლის გამგებლადაც დანიშნა რომელიც შემდგომ, 1658-1675 წლებში, ქართლის მეფე ვახტანგ V, შაჰნავაზი გახდა.

ხოსრო-მირზამ სისხლდადენილ, ძლივს გადარჩენილ მცირე ირანულ რაზმთან ერთად ანდუყაფარ ამილახვარი თავისი ცოლ-შვილით ისა-ხან ყორჩიბაშს უვნებლად ჩააბარა.

ქსნის ბრძოლის გამარჯვებას ზეიმობდა საქართველო, უხაროდათ ერთმანეთობა ქსნელებს. მოურავისაგან ნაგრი-გალარმა ყიზილბაშურმა ჯარმა ბრძოლას გადარჩენილი გემივით ნავსაყუდლების ძებნა დაიწყო. მათ ყივილსა და ყიჟინას ძალა დაჰკარგვოდა, ირანელთა იმედჩამქრალი გულები სპარსეთის მზეს ალაჰის რისხვას უთვლიდნენ, ირანში კი შაჰ-აბასი ბოლმის ქურქშემოხვეული გაქვავებულიყო.

შაჰ-აბასს ქართლ-კახეთის მისაკუთრება სურდა, ყოველ ღონეს ხმარობდა ამისთვის, ვერ ეღირსა, – ნაცვლად ამისა, ყიზილბაშური ირანის ნგრევა დაიმსახურა.

### მანუჩარ III ათაბაგი

დიდი სიმონ I მეფის დის, ელენეს, შვილი მანუჩარ III ათაბაგი თავისი დროის მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ქართულ საქმეს არასოდეს დაჰკლებია, თავისი მესხებით იბრძოდა მარაბდასა და ქარჩოხში, ქსნის ომშიც.

ირან-ოსმალეთის 1603-1612 წლების ომის დროს ახალციხის მდგომარეობა ძალზე გამწვავდა; 1614 წელს მანუჩარ II-ის ქვრივმა, ელენემ, თხოვნით მიმართა შაჰს, ახალციხის გამგებლად მისი შვილი, მამის მოსახელე მანუჩარი დაენიშნა. შაჰმა მისი თხოვნა დააკმაყოფილა, მაგრამ ირანი სამცხეში გაბატონებას ვერ ახერხებდა, ფარულად მოქმედებდა იმ იმედით, რომ მესხეთის მესვეურებზე და მოსახლეობაზე გავლენა მოეხდინა და ოსმალთა გასადევნად საფუძველი შეექმნა. მესხები კი ცდილობდნენ, ირან-ოსმალეთის დაპირისპირება თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ. ამიტომ 1615 წელს ირან-ოსმალეთის ომი კვლავ განახლდა, ახალციხის მიზეზით. მოგვიანებით, 1619 წელს, ახალციხე კვლავ ოსმალების ხელშია. ისინი თავგამოდებით ცდილობენ თავიანთი შეფარული პოლიტიკით, მოჩვენებით, ხალხისადმი ვითომ უფრო ჰუმანური გზებით, მესხეთის შენარჩუნებას.

მამის სიკვდილის მერე დიდი სიმონ მეფის დისშვილი, მანუჩარი, ენერგიული შემართებით, ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას; მისთვის აუტანელი იყო ოსმალეთის ბატონობა. ის ყოველ ძალას გამოიხმობდა, რომ ოსმალეთს

როგორმე ფეხი ღრმად არ მოეკიდა სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში. მაგრამ ისინი მარტო ხარკის აკრეფით არ კმაყოფილდებოდნენ. ყველა აშკარა თუ ფარულ მოქმედებას მიმართავდნენ, რომ მესხეთი მეზობელი ირანის ხელშეუხებლად, მათი ინტერესების სფეროში დარჩენილიყო.

მიუხედავად მანუჩარ ათაბაგის თავდაუზოგავი მცდელობისა, მესხეთში ვითარება მაინც უარყოფითად იცვლება. ოსმალთა კანონებით ძალდატანებულ მოსახლეობის ნაწილი სარწმუნოებას იცვლის. საათაბაგოს ძალმოსილება სუსტდებოდა. აღშფოთებული მანუჩარი ყველა ღონეს ხმარობდა ოსმალთა წინააღმდეგ. იგი, როგორც პოლიტიკოსი, ჯეროვნად აფასებდა ქართლ-კახეთის ვითარებას, ირანთან დამოკიდებულებას, მით უმეტეს, მარტყოფის ომს, სააკაძისაგან ირანული დიდების რყევას. იგი, თავისი მესხებით, მონაწილეობდა მარაბდისა და ქსნის ომებში. სააკაძის შემართება და წარმატებები თავისი ქვეყნის კუთხის – მესხეთისთვის ღირსეული სამსახურისა და თავდადებისკენ უბიძგებდა. მან სამშობლოს სამსახურის მაგალითი სააკაძეში დაინახა. ალბათ, ბუნებრივად და ნაკარნახევი უზენაესისაგან, სააკაძის ეს ნათელი გზა გადამდები ხდებოდა ქვეყნისთვის გულანთებულ პატრიოტ ქართველებში. ისეთ კაცს, როგორც მანუჩარი იყო, არ შეშლია ვისთან და ვის გვერდით უნდა მდგარიყო, რომ ერთსულოვნებით განედევნათ მტერი მთელი საქართველოს მიწა-წყლიდან. სწორედ მაშინ გაუჩნდებოდა სურვილიც, მოკრძალებით ეთხოვნა ქალის ხელი სააკაძისთვის. ეს მათი შეკავშირების უფრო მტკიცე საფუძველად იქცეოდა. მათთვის, ორივესთვის, მთავარი მთლიანი საქართველო და ამ მთლიანში თავშეფარებული მესხეთი იყო. მიუხედავად იმისა,

რომ მესხეთს ძალზე უჭირდა, მანუჩარ ათაბაგს უმთავრესი არ დავიწყნია და თავის თანამოძმეთა გვერდით იდგა მარაბდისა და ქსნის ომებში, ყველაფერს აკეთებდა მთლიანი, მტკიცე, ქართული ფსიქოლოგიის შენარჩუნებისათვის.

მანუჩარ III ათაბაგი ღირსეული გაგრძელებაა მესხეთის თვითმყოფადობის სულის შესანარჩუნებლად მებრძოლი და მოფიქრალი შალვა და ივანე ახალციხელებისა.

გულს გული იცნობს! მანუჩარი ემსგავსება გიორგი სააკაძეს, რომელსაც ორივე მტერთან, ირანთან და ოსმალეთთან, დიპლომატიური ურთიერთობით, მხოლოდ მესხეთის გადარჩენა ეწადა.

სააკაძის დარად, მანუჩარ ათაბაგსაც არ აკლდა მტრები, უმეტესნი თავისი სისხლისა და ჯიშისაგან; ერთხელ სტამბოლიდან მობრუნებისას, საკუთარმა ბიძამ, საფარ-ფაშამ უმასპინძლა და სანამლავერეული ღვინით მოკლა. გზიდან ჩამოიშორა მეტოქე ძმისწული, იგი სულ მალე კი ოსმალეთის სულთნის მიერ დანიშნული, ახალციხის, იგივე ჩილდირის, გამგებლად მოგვევლინა.

მესხეთისთვის გულშემატკივარ მანუჩარს, თავისი ალალი ბიძის, საფარ-ფაშასგან განსხვავებით, ქართული, კერძოდ, მესხეთის ტრადიციული ადათ-წესების შენარჩუნება უნდოდა, რის ნათელ სურათს სააკაძესთან დაახლოებაც მოწმობს. როგორც ჩანს, მისი მრწამსი შეუმჩნეველი არ დარჩენილა ოსმალებისთვის. მართალია, მას არ აკლდა დიპლომატიური ნიჭი და კავშირები ექნებოდა ხონთქრის კარზე, მაგრამ ქვეყნის პატრიოტსა და თავისი ეროვნული თვისებების

შემნახავს, ოსმალეთი დიდ ანგარიშს არ გაუწევდა. მათთვის მისი ბიძა, საფარ-ფაშა უფრო მისაღები იქნებოდა, როგორც ოსმალური ინტერესების მეტად გამზიარებელი.

მანუჩარ III ათაბაგი, თავისი დროის მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, უფრო თანამოძმეთა მხარში დგომის იმედით, ბოლომდე ცდილობდა საქართველოსთვის ორივე მტერი – ირანიც და ოსმალეთიც მთლიანად მოეცილებინა..

## **ქსნის ბრძოლის შემდგომი გარდამტეხი მოვლენები, აღმოსავლეთ საქართველოში შაჰ-აბასის გეგმების რღვევის დასაწყისი**

მარტყოფის ბრძოლამ ერთ სიბრტყეზე დააყენა შაჰ-აბასის უცვლელი გადაწყვეტილება აღმოსავლეთ საქართველოს ყოფნა-არყოფნისა და გიორგი სააკაძის თავგანწირული საპირისპირო პოზიცია ერთიანი საქართველოს სახელით. მისი შემართებით მტერი შეირყა, საქმე ისე აღარ იყო, როგორც შაჰს ეგონა, რომ ერთი დიდი შეტევით მთელი აღმოსავლეთ იბერია ირანის მორჩილი გახდებოდა; ქსნის ბრძოლამ რეალურად გამოკვეთა ირანელთა ძლევამოსილების რღვევა. ანდუყაფარ ამილახვარი ხოსრო-მირზამ ცოცხალი კი ჩააბარა ისა-ხან ყორჩიბაშს, მაგრამ ამ ოპერაციას 12 ათასი ირანელი ჯარისკაცი შეენირა. ყიზილბაშებს საომარი შემართება დაჰკარგოდათ, ქსანზე გაცხადდა, რომ ქართლ-კახეთის აყრა-გადასახლება ის ველარასოდეს შესძლებდა, ამიტომ მიმართა თავის მოკატუნების ტაქტიკას. ყოველ ღონეს ხმარობდა ქართლის დიდებულების გულის მოსაგებად, – იქნებ კიდევ დაუბნელოს გონება თავისი ცბიერებით, სახელგანთქმული ქართლის მეპატრონე თავადები თავის ნება-სურვილზე წაიყვანოს და ხელის შემწყობადაც გაიხადოს. – კახეთში ამგვარი ნაბიჯის გადადგმა, კახელი დიდებულების ფერება არ სჭირდებოდა, როცა უნდოდა და მოისურვებდა, მაშინ ანგრევდა და მიწასთან ასწორებდა კახეთის მოსახლეობის ნაშრომ-ნაღვანს... ახლა მისი ჯარი ქართლშია და მათ გარშემო გიორგი სააკაძე ცეცხლის ენებს ანთებს. აქ მოუხდა შაჰს ორიენტაცია შეეცვალა, შეტევითი პოზიციებიდან ლმობიერების გზაზე დამდგარიყო.

სწორედ ეს არის ქსნის ბრძოლის, გიორგი სააკაძისა და მის გარშემო შეკრებილ პატრიოტთა გონიერების შედეგი. მათ აიძულეს შაჰ-აბასი გადაესინჯა თავისი პოლიტიკა ქართლის სასარგებლოდ; ქართველი დიდებულების ნაწილი კი მარაბდისეული დაუდევრობის გზას დასდგომოდა, – რადგან შაჰი ლმობიერების გამოჩენით სისასტიკეს მალავდა, ქართველებმა გადაწყვიტეს, ეს მოვლენები სასიკეთოდ წაგვადგებაო და სიმონ-ხანმა ნდობით აღჭურვილი პირები, თბილელი ეპისკოპოსი დიონისე და მცხეთის სამთავროს მღვდელმთავარი ტრიფილე გიორგი სააკაძესთან მოსალაპარაკებლად მიაგზავნა: ქართლი გვინადგურდება, დავყვეთ შაჰის კეთილ შემოთავაზებებსო.

კიდევ ერთი ავისმაუწყებელი გულგრილობა ქართველთა მხრიდან; რა მარაბდის ბრძოლისწინა პერიოდი და რა ეს მდგომარეობა, მაშინაც მტრის სასურველი პოზიცია ამჯობინეს და დამარცხდნენ, ახლა კიდევ მტერს ძალები შემოელია, სასო წაერთვა, დაზავებას ითხოვს, იმიტომ, რომ ამჯერად სხვა გზა აღარ დარჩენია. დღეს ასე სჭირდება, ხვალ მოძლიერდება და ისევ გაგვანადგურებს, როგორც ჩვევია.

გიორგი სააკაძემ იცოდა, რა შეიძლება მოჰყოლოდა შაჰ-აბასთან ქართველ დიდებულთა საზავო შეთანხმებას და აგრძელებდა საბრძოლო მოქმედებებს. სულ მცირე ხანში გორი გაათავისუფლა ირანელებისაგან.

ქვემო ქართლის ერთ-ერთი თავადი ქაიხოსრო ბართაშვილი მიემხრო შაჰს და რამდენიმე ასეული ყიზილბაში ბირთვისის ციხეში შეიყვანა.

გიორგი სააკაძის მონოდეზაზე, მხარში ამოსდგომო- და სპარსელთა ასალაგმად, ქაიხოსრო ბარათაშვილმა უარი შეუთვალა. ეგრე არ უნდაო, ერთი ღამის შეუსვენებელი სვ- ლის შემდეგ გიორგი თავის თანამოაზრეებთან ერთად მი- ადგა ბირთვისს, შეიპყრო ქაიხოსრო და აიძულა ციხის კარი გაეღო. ხუთასი ყიზილბაში გამოასალმა სიცოცხლეს.

ლორეს მმართველები მელიქ ათაბაგი და ზაქუმი ირანს ემორჩილებოდნენ; გიორგი სააკაძე რისხვად მიადგა ციხეს, ალყაში მოაქცია, მალევე გატეხა, აიღო სიმაგრეები, დიდძალი ტყვე და ქონება იგდო ხელთ.

ქვემო ქართლის ციხეებიდან და ქონგურებიდან აღარ ისმოდა მოღების ყივილი.

მტრისთვის მუდამ აღესილი სააკაძის ხმალი შამხალსა და დალესტინის ფეოდალებსაც მისწვდა, – ისინი ყოველთვის მხარში ედგნენ შაჰს საქართველოს წინააღმდეგ, – სააკაძემ ალაგმა მათი ზღვარგადასულობა და შიშის ზარი ჩაუყენა თვალებში.

ისა-ხან ყორჩიბაში ქსანზე ირანული ჯარის დამარცხ- ებამ ისე გააოგნა, შიშით ქართლში ველარ გაჩერდა; თავის ხელქვეითებს განუცხადა, შაჰის ჯარის შესავსებად ახალი ძალები გვჭირდებაო და ყარაბაღს შეაფარა თავი. ქართლ- ში შემორჩენილი ყიზილბაშები ისე ძრწიან სააკაძის შიშით, ციხე-კოშკებიდან ვერ გამოდიან, ქართლის მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ხომ ვინღა გაბედავს ცოცხალი თავით. ქართლმა შვეებით ამოისუნთქა და შეუდგა აღმშენებლობას.

„დიდათ შემძლე და ყოველთა უმამაცესის სახელი, ზავთიანი ხმით ქუხდა „დიდი მოურავი“ ევროპა-აზიის საზ- ღვრებთან“ (პატრი კასტელი).

## **ბ. სააკაძისა და თეიმურაზ I-ის პირად მდგომარეობათა მსგავსება და განსხვავებული შეხედულებანი**

სანამ მესხეთში სააკაძის გადასვლის მიზეზებს შევეხ- ებოდეთ, ვფიქრობ, საჭიროა გავაანალიზოთ მსგავსება - განსხვავებანი თეიმურაზისა და სააკაძეს შორის.

1. თეიმურაზ I-მა სამშობლოს ინტერესებისათვის დათმო ორი შვილი და დედა, თუმცა, იგი თავდაპირვე- ლად არ ფიქრობდა, რომ შაჰ-აბასი მათ სასიკვდილოდ განირავდა.

2. გიორგი სააკაძემ ერთი შვილი გასწირა ქვეყნის გა- დასარჩენად, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ მან ეს შეგნებუ- ლად ჩაიღინა და უკვე გამოტირებულიც კი ჰყავდა, მეორე ვაჟი კი სულ მამის გვერდითაა ყველა ომში, რაც სიკვდილ- სიცოცხლის ზღვარზე დგომასაც ნიშნავდა.

ამ ორ პიროვნებას, მათგან გაღებული მსხვერპლის გამო, ერთმანეთის მიმართ თანაგრძნობის განცდა უნდა ჰქონოდათ. საერთო ტრაგიკული მდგომარეობა ითხოვდა მეტი გულისხმირებით მოპყრობოდნენ ერთმანეთის ტკივილს, გარკვეულწილად, ისინი განსაზღვრავდნენ იმ დროის პოლი- ტიკას, ქართლისა და კახეთის ბედს; თავიანთი მწარე ხვე- დრის გამო უფრო მეტად, ერთობლივად უნდა ეზრუნათ, შეთანხმებით უნდა ეძებნათ ქვეყნის გადარჩენის გზები...

ორივე დიდ სიმაღლეზე იდგა, მით უმეტეს, მეფე თეიმურაზი. მას ხომ მეტი უფლებამოსილება ჰქონდა. მას,

მეფეს, უნდა გამოეყენებინა სააკაძის, მართლაც, ღირსეული სარდლის ნიჭი. სამწუხაროდ, სწორედ აქ შეიქმნა სააკაძისადმი მეფე უსმინარი, რამაც ბაზალეთამდე მიგვიყვანა. საკითხავია, რატომ ჰქონდათ განსხვავებული პოზიციები, როცა თეიმურაზი თანახმა იყო, მიეღო მისი ოჯახისა და ქვეყნის ამომგდები შაჰ-აბასისაგან შეთავაზებული ზავის პირობები, სააკაძე კი სასტიკ უარს ამბობდა ამაზე.

ცნობილია, რომ შაჰი თავიდანვე დაჟინებით თეიმურაზს იწვევდა თავისთან. თეიმურაზი სხვადასხვა მიზეზით ყოველთვის უარს ამბობდა, ფრთხილობდა, იცოდა, სარწმუნოების შეცვლას მოსთხოვდა, უარის შემთხვევაში კი შეიძლება სიკვდილითაც დაესაჯა. ხომ უნდა ეფიქრა, რომ შაჰი ქეთევან დედოფალსაც მოსთხოვდა სარწმუნოების შეცვლას, მით უფრო, პატარა უფლისწულებს. თეიმურაზი თავის თავს უფრთხილდება, იგი, მეფე, ვალდებული იყო ქვეყანაც დაეცვა და თადარიგი დაეჭირა, კახეთზე შაჰის თავდასხმისათვის მზად ყოფილიყო, ძალა გამოეჩინა. მაშინ, შესაძლოა, აღარც გამხდარიყო საჭირო ქეთევან დედოფლისა და თავისი შვილების გაგზავნა ირანის კარზე. ამ დროს სხვა მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ: ქეთევან დედოფალი გულმეცნიერიც იყო, იცოდა თავისი შვილის სუსტი მხარეები, შეიძლება ამიტომაც გადაწყვიტა თავად წასულიყო ირანში, თავის სულიერ ძლიერებაშიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, რომ ვერავითარი ძალა მასზე ზეგავლენას ვერ მოახდენდა, ვერ აიძულებდა ერთი ნაბიჯითაც კი გადაეხვია მართლმადიდებლობისაგან; ამიტომ გასწირა თავი.

უდიდესი მოვლენა აღსანიშნავია, რომ ქეთევან დე-

დოფალი და ლუარსაბ II ჯერ საქართველოში შემდეგ იქ, ირანში ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და ორივემ ერთნაირად, სიკვდილით მოიპოვეს გვირგვინი სამარადისო ცხოვრებისა.

თეიმურაზი, სააკაძისგან ორჯერ მონვეული ქართლ-კახეთის ტახტზე, უმადურობას ამჟღავნებს. სააკაძემ გაანადგურა ირანული ჯარები. ახლა შაჰი თეიმურაზს ზავს სთავაზობს და ისიც თანხმდება. თუ თეიმურაზი აღმოჩნდებოდა შაჰის ხელში, როცა იგი მას თავის კარზე იწვევდა და ქართლ-კახეთის ტახტზე დასმას შესთავაზებდა, საინტერესოა, შეინარჩუნებდა თეიმურაზი ქრისტიანულ სარწმუნოებას?

საჭიროდ მიმაჩნია, დანვრილებით განვიხილოთ ისიც, რატომ, რა მიზეზით გადავიდა სააკაძე ჯერ მესხეთში და შემდეგ იმერეთში, როცა ყიზილბაშური ჯარები ჯერ კიდევ იდგნენ შუა და ქვემო ქართლის ტერიტორიებზე, და ნათლად წარმოვაჩინოთ მაშინდელი ხილული თუ უხილავი მოვლენები.

პარტიზანული ომებითა და უფრო ქსნის ომით ხერხემალში განწყვეტილ ირანულ ჯარებს რწმენა შეერყათ იმისა, რომ შაჰ-აბასის გეგმები აღმოსავლეთ საქართველოში ველარასოდეს განხორციელდება. მათი ამ მდგომარეობის შემხედვარე ისა-ხან-ყორჩიბაში ყარაბაღში გაიქცა. შაჰს კი ისლა დარჩენოდა, დრომდე თავი მოეკატუნებინა, თითი მოეკაკვა და თეიმურაზისა და ქართველი დიდებულებისათვის შეეთავაზებინა მომხიბლავი საზავო პირობები, რომელშიც ხაზგასმით მითითებული იქნებოდა, თეიმურაზის განმტ-

კიცება ქართლ-კახეთის ტახტზე. შაჰმა კარგად იცის თავისი აღზრდილის ფსიქოლოგია, რომ მისთვის ქართლ-კახეთის მეფობის გვირგვინს მაგნიტური მიზიდულობაც აქვს. ისიც იცის, ოთხჯერ კახეთზე ლაშქრობისას რა „წინააღმდეგობას უწევდა“ თეიმურაზი, გარდა წინამურის ომისა.

შევეცადოთ ფსიქოლოგიურად ავხსნათ თეიმურაზის მოქმედება: ის მშვენივრად ხედავს, რომ ქსნის ომის შემდეგ შაჰ-აბასის გეგმები – აღმოსავლეთ საქართველოს დამონება, დაპყრობა და შემდეგ ირანში გადახიზვნა – ჩაიფუშა სააკაძისა და მის გვერდში მდგომი მოუსვენარი ქართველები-ისგან.

მტრის ჯარის ნახევარზე მეტი განადგურდა. ერთი ძლიერი გაბრძოლება - ერთობლივი შეტევით, ყიზილბაშები სულ გადაქარდებოდნენ ქართული მიწიდან და ქვეყანაც შვებით ამოისუნთქავდა. მით უმეტეს, რომ საქართველოში დარჩენილი ირანული ლაშქრის კუდები შიშით სიმაგრეებიდან გარეთ გამოხედ-ვასაც ვერ ბედავდნენ – ამ დროს დიდებულთა ნაწილი და თეიმურაზი მოხიბლულნი არიან შაჰის წინადადებით, რომელიც დაუდ-ხან უნდილაძემ ჩამოიტანა. არადა, ხომ ჯობდა ქვეყნისთვის სააკაძეს გვერდით ამოსდგომოდა ჯერ თვითონ თეიმურაზი, მერე სხვა დიდებულთათვისაც მისაბაძი გახდებოდა მისი საქციელი და ერთიანი ძალით უკვე დამცრობილი ირანული ჯარები საქართველოდან მოეცილებინათ.

შენდობას ვითხოვ მაღალი ღმერთისგან, მაგრამ სათქმელი უნდა ითქვას; სამწუხაროდ უფრო ის ჩანს, რომ თეიმურაზს თითქოს არ სურს ბოლომდე გათავისუფლდეს

საქართველო ირანული ჯარებისგან იმიტომ, რომ ზავის პირობებით აღმოსავლეთ საქართველოში მათი ყოფნა თეიმურაზის მეფედ ყოფნასაც ნიშნავდა

ყიზილბაშები ქართლში ისევ არიან, განჯასა და ლორეში. სააკაძემ, მესხეთში წასვლის წინ, თადარიგი დაიჭირა და გაამაგრა კეხვის, კიკანათბერის, ალისა და სურამის ციხეები და შიგ ქართული ციხიონი ჩააყენა.

აქვე ვიტყვით, რომ სამხრეთ საქართველოში გადასვლა, ჩვენი აზრით, ობიექტური აუცილებლობით უნდა ყოფილიყო გამოწვეული; კერძოდ, სავარაუდოა, რომ სააკაძეს თავისმა მომხრეებმა, უფრო ხოსრო-მირზამ, ირანიდან აცნობა თბილისში დაუდ-ხან უნდილაძის თეიმურაზთან ჩამოსვლისა და ზავის პირობების ამბავი, რომელშიც თეიმურაზისა და მის მომხრეთა გულის მოსაგებად სააკაძის ლიკვიდაციაც შედიოდა. (გავიხსენოთ, როგორც კი საქართველოსა და სააკაძესთან დაკავშირებული რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა დაიგეგმებოდა ირანში, ერთგული თანამზრახველები ატყობინებდნენ გ. სააკაძეს).

ვფიქრობ, ეს უნდა ყოფილიყო მესხეთში სააკაძის გადასვლის საფუძველი. იქედან კი ოსმალეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაც უფრო ადვილი იყო, რომ ერთობლივი ძალით განედევნათ ყიზილბაშები მესხეთიდან და შიდა და ქვემო ქართლის ციხეებიდანაც.

შაჰ-აბასის შემოთავზებული ზავის პირობებს თეიმურაზი და ზოგი დიდებული ხელსაყრელად მიიჩნევდნენ, მაგრამ თავიანთი გულგრილობითა და დაუკვირვებლობით უმ-

თავრესი ავინყდებოდათ – რომ მოსვენება აბასს ღრომდე და ძალების მოკრეფამდე სჭირდებოდა. იგი საბოლოოდ არასოდეს აიღებდა ხელს საქართველოს განადგურებაზე. ამას დიდი მიხვედრა არ უნდოდა. ქვეყანაზე გული იმას შესტკივა, ვინც ყველაზე მეტი გაიღო მისთვის.

უკვე გამოვთქვით ჩვენი ვარაუდი – ასეთ ვითარებაში რატომ ეწადა შაჰს, შეენარჩუნებინა გავლენა აღმოსავლეთ საქართველოზე. ამისთვის სჭირდებოდა საზავო პირობები თეიმურაზისა და დიდებულების გულის მოგებაც. უნდა ვიგულისხმოთ, მესხეთში სააკაძის გადასვლაც უმთავრესი ამოცანის მისაღწევად – ოსმალეთის თანადგომით, ირანელთაგან მესხეთის გასათავისუფლებლად იყო საჭირო, რაც იმ ხანებში მეტად შემცირებული ქართული ჯარით ძალზე გაძნელებოდა. მართალია, მესხეთის დიდებულები თავიანთი ჯარებით სააკაძეს თანადგომის იმედს აძლევდნენ, მაგრამ, როგორც ჩანს არ იქნებოდა საკმარისი ძალა მესხეთიდან და შემდეგ მთელი საქართველოდან ირანელთა განდევნისათვის ოსმალთა დაუხმარებლად. ქართლ-კახეთი სააკაძის გეგმით ერთი მეფის ხელში უნდა ყოფილიყო. დასავლეთ საქართველოში კი ჩვენ ამ მისიის განხორციელების თანმიმდევრულ მოქმედებებს დავინახავთ. ახალციხის, აწყურის და ფარავნის ციხეებიდან ირანელთა განდევნის შემდეგ სააკაძე იმერეთში გადავიდა და გიორგი მეფეს წარუდგინა გეგმა, რომლის მიხედვითაც მისი შვილი ალექსანდრე გახდებოდა ერთიანი საქართველოს მეფე.

\*\*\* მესხეთისაკენ მიმავალ სააკაძეს ყიზილბაშთა განდევნის საქმეში მხარში უდგანან გერმანოს ბარათაშვილი,

გიორგი ბარათაშვილი და ხოსიტა გედევანიძე, თავიანთი რაზმებით.

მალე, 1625 წლის შემოდგომაზე, გიორგი სააკაძე გადავიდა სამცხეში, სადაც ციხეები 1624 წლიდან ირანელებს ეჭირათ. მოურავის მიზანი იყო სამხრეთ საქართველოს მესვეურთა შემოერთება ყიზილბაშთა წინააღმდეგ აჯანყებაში. გიორგი სააკაძეს მხარი დაუჭირეს დავით გოგორიშვილმა, თანუნა დიასამიძემ, როსტომ შალიკაშვილმა, ელიზბარ და ბეჟან თაქირიძეებმა.

საკაძემ თავისი და სამცხის ჯარების ელვისებური შეტევით დაამარცხა ირანელი მეციხოვნეები და თანმიყოლებით გაათავისუფლა ხერთვისი, აწყური და ფარავანი. ახალციხეში მდგარ ირანულ ჯარს სელიმ-ხანი მეთაურობდა, მათ მიატოვეს გამაგრებული პოზიციები და ისა-ხან ყორჩიბაშთან ყარაბაღში გაიქცნენ.

სამცხის დიდებულთა რჩევით გიორგი სააკაძემ დახმარებისთვის ოსმალეთს მიმართა. მათ მიიღეს თანადგომა და განთავისუფლებულ ახალციხესა და სხვა ციხეებში თავიანთი ჯარები შეაყენეს.

გიორგი სააკაძის მიზანი ნათელია; მას სურდა, საქართველო-ირანის ომში ოსმალები მიემხრო და ქართლ-კახეთის ყველა დიდი თუ მცირე ციხიდან სპარსელები განდევნა ან გაენადგურებინა.

„ირანის ლომსაც“ არ დაუხანებია, ისა-ხან ყორჩიბაში შეუსია სამცხეს.



ბრძოლა ასპინძასთან მოხდა. სააკაძემ ყიზილბაშები ასპინძის მთა-გორიანი ვიწროებისკენ შეიტყუა. ოსმალთა მცირე რაზმები უკან დახევით, საბრძოლო მანევრირებით მოჩვენებით წინააღმდეგობას უწევდნენ მტერს. ყორჩიბაშს ჯარის სიმრავლისა და უკეთესი შეიარაღების იმედი ჰქონდა, სპარსელებს ყიჟინით მიჰქონდათ იერიში ქართველ-ოსმალთა მოხერხებულად შერჩეულ საბრძოლო პოზიციებზე.

გიორგი სააკაძის ნიშანზე ზეავივით წამოვიდა ჩასაფრებული დასვენებული ძირითადი ქართული მხედრობა, ირანელები ალყაში მოექცნენ და სასტიკად დამარცხდნენ (უკვე მერამდენედ). ყორჩიბაშმა თავს უშველა და ისევ ყარაბაღს მიაშურა დამარცხებული ჯარის გადარჩენილ მცირერიცხოვან მებრძოლებთან ერთად.

გიორგი სააკაძე აგრძელებდა ოსმალეთთან სამეზობლო პოლიტიკურ თანადგომას ირანის წინააღმდეგ ომში და ელჩებიც გაგზავნა სულთანთან ახალი დახმარების მოთხოვნით, რომ უკვე მრავალჯერ დამარცხებული ირანული ჯარი საბოლოოდ გაენადგურებინათ და ფეხი ამოეკვეთინებინათ აღმოსავლეთ საქართველოდან და მესხეთიდან.

იმ პერიოდში ოსმალეთს ბალდადთან ომი ჰქონდა და ნაკლებად ეფიქრებოდა საქართველოსთვის. ოსმალეთის სულთანი მურად IV სააკაძეს მოიხსენიებდა, როგორც ქართლის საჭეთმპყრობელს, „მოურავ-ხანს“ და ელჩებსაც მას უგზავნიდა, ატყობინებდა: მე უკვე შევუთვალე ბათუმის ბეგლარბეგსა და დასავლეთ საქართველოს მესვეურებს, ყიზილბაშთა სრულ განადგურებაში ჯარები მოგაშველონო.


მართალია, სულთანმა სააკაძის მოთხოვნით ოსმალური ჯარები ახალციხეში ჩააყენა და ასპინძის ბრძოლაშიც დაეხმარა, მაგრამ ეს არ იყო სააკაძისა და აღმოსავლეთ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი თანადგომა, გიორგი სააკაძე ისევ და ისევ თავისი რაზმელების იმედად რჩებოდა.

## გიორგი სააკაძემ დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე

გიორგი სააკაძემ თავისი დიპლომატიის წყალობით მიიღო სულთნის თანხმობა (საიმერეთო ხომ ოსმალების ვასალად ითვლებოდა), რომ დასავლეთ საქართველოს მეფე-დიდებულების თანადგომით ქვეყანა ირანელებისაგან გაენმინდათ. სააკაძეს მთელი იმერ-ამერის გაერთიანება-გაძლიერება ჰქონდა მიზნად, რომ შემდგომში ორივე მტრისთვის ქვეყანას თავისი ძალა ერვენებინა და თავდასხმა ვეღარ გაეხდებოდა (თუმცა ამ იდეას ყველა არ იზიარებდა).

იმერეთის მეფე გიორგიმ აღტაცებით მიიღო დიდი მოურავი და მისი ამაღლა ქუთაისის სასახლეში. გიორგი სააკაძე დამეგობრება-დანათესავეებით ცდილობდა თანამოაზრეების შემოკრებას, რათა ძმათაშორის ომი და დაქსაქსვა აეცილებინა.

იმერეთში სტუმრობა სააკაძისთვის შედეგიანი აღმოჩნდა, მოლაპარაკებაში მეფესთან ერთად კათოლიკოსი მალაქიაც მონაწილეობდა, შეთანხმდნენ, სრული თანადგომა აღმოეჩინათ ერთმანეთისთვის სპარს-ოსმალთაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გათავისუფლების საქმეში. გიორგი სამეგრელოშიც გადავიდა, მოინახულა მთავარი ლევან დადიანი, რომელიც სამეფო კარზე დიდი გავლენით სარგებლობდა და წარმატებით კმაყოფილი დაბრუნდა ქუთაისში.



იმერეთის მეფე გიორგი III

სწორედ ამ ვიზიტის დროს უნდა მომხდარიყო გიორგის ვაჟის ავთანდილისა და იმერეთის მეფის ასულის ხვარამზეს ქორწინება, შეუდგენიათ სათანადო დოკუმენტი, ფიცის წიგნი:

„ესე ფიცი და პირი გიბოძე ჩვენ, მეფეთა-მეფემან პატრონმა გიორგიმ და ძემან ჩემმა ალექსანდრემ, მამუკამა და როსტომ თქვენ მოურავს, პატრონს გიორგის, ასრე რომე ჩემი ქალი ხვარამზე გულგანმენდით თქვენის შვილის ავთანდილისთვის მომიცემია“...

„ეს აქტი უფრო პოლიტიკური მნიშვნელობისა იყო. ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა მომხდარიყო, რომელიც სააკაძის საქმისადმი კეთილგანწყობასაც და დახმარებას გულისხმობდა“ (გივი ჯამბურია).

აშკარაა, როგორ ამზადებს სააკაძე ნიადაგს დასავლეთ საქართველოში, რომ გაერთიანდეს ქვეყანა და სამუდამოდ დაესვას წერტილი მტერთა შემოსევებს.

## ბ. სააკაძის იმერეთიდან ქართლში დაბრუნება

იმედმოცემული გადმოვიდა გიორგი სააკაძე ქართლში, იმავე 1626 წელს საგულდაგულოდ შემოიარა ირანელთა ჯარისაგან გათავისუფლებული სიმაგრეები და ქართველი მეციხოვნეები გაამხნევა. შეატყობინეს, განჯაში გამაგრებული ირანელები როგორც კი სააკაძეს შორს დაიგულებენ, გადმოდინ, მოსახლეობას აწიოკებენ და სვიმონ-ხანსაც ეხმარებიან, ქართლში ფეხი მოიკიდოსო.

არ დაუხანებია გიორგის, ზურაბ ერისთავთან ერთად მიაღვა განჯის ციხეს, უთენია დაესხნენ თავს. განყვიტეს მეციხოვნეები. შეიჭრნენ ციხის შიდა სამყოფელშიც და ისე გაანადგურეს, „არავინ კაცი არ გაუშვია ცოცხალი“ (ქართლის ცხოვრება“).

ეს იყო ზურაბ ერისთავის უკანასკნელი თანადგომა გიორგისთან, უკანასკნელი მამულიშვილური ქმედება, ბოლო ნაპერწკალი იმ იმედისა, რაც ადრე ჩაუსახა ქვეყანას. სამნუხაროდ, ისტორიულად მეტი აღარცა ჩანს.

სამცხესა და დასავლეთ საქართველოში გიორგი სააკაძის ყოფნის დროს ქართლში მდგომარეობა შეცვლილიყო: ზოგი თავადი სვიმონ-ხანს მიმხრობოდა და მას ირანელთა მიზნების განხორციელებაში ეხმარებოდა, ზოგი კი თავის ტყავში ჩამტკბარიყო და კიდევ მეტად გამდიდრებისთვის „იღვწოდა“.

საკაძის სიძე და თანამებრძოლი იესე ქსნის ერისთავი ანდუყაფარ ამილახვარს შეჰკვროდა, ერთიანად ამოენყვიტათ

ლაზნელთა საგვარეულო, მათი მამულები კი დაენაწილებინათ.

ზურაბ ერისთავსაც გახსნოდა დამპყრობლური ყინი, განჯაში გამართულ ბრძოლამდე მოუსწრია, შესევია და ხმლით დაუპყრია ერწო-თიანეთის მოსახლეობა. შემდეგ ფშავხევსურეთშიც გადასულა და ცოდვის კალო დაუტრიალებია თავისუფლებას შეჩვეული მთიელებისთვის, რომელთათვისაც მიუღებელი აღმოჩნდა ზვიადი ერისთავის წინადადება აბსოლუტური მორჩილება გამოეცხადებინათ და დიდი ბეგარა ეხადათ მისთვის. საშინელ შეტაკებებში დაღვრილა თანამომძეთა უპატიებელი სისხლი.

კიდევ ერთი თვალსაჩინო განსხვავება გ.საკაძესა და სხვათა შორის, იგი მიისწრაფის მთავარი მიზნისაკენ ალაგმოს მტერი და გააერთიანოს ქვეყანა. იესე ქსნის ერისთავი ხან იმედიანი მოყვარე თანამებრძოლია, ხან სიხარბემორეული ფეოდალი, ასეთივეა ზ. ერისთავიც. ის გ. სააკაძეს ეხმარება განჯის ციხიდან ყიზილბაშთა განდევნაში, მანამდის კი თავისი საერისთავოს მთიელების დარბევა მოუსწრია, მისი სისასტიკე ხალხურ ზეპირსიტყვიერებაშია დარჩენილი „ხევსურებ ხინკლად ჩაყარა ფშავლებ შეუთო შეშად“. ამ ორივე ერისთავის საქციელმა დიდად აღაშფოთა სააკაძე, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, რამეთუ შაჰ-აბასი ცოცხალი იყო და რევანშისთვის მოემზადებოდა, მათ გარეშე კი გაძნელდებოდა მტრის ბოლომდის დამარცხება.

ერთი ხანობა ზ. ერისთავმა თეიმურაზ მეფით დაიმედებულმა და ადგილ-მამულებზე დახარბებულმა, მცხეთის საეკლესიო მიწების მითვისებაც კი სცადა, მაგრამ ღვთისა შეეშინდა და უკან დაიხია.

## ბ. სააკაძისა, თეიმურაზ I-სა და ზ. ერისთავის ურთიერთობათა განხილვა

მართალია, სააკაძემ მოიწვია თეიმურაზი უმეფოდ დარჩენილი ქართლის საპატრონოდ და მეფედ კურთხევაც შესრულდა სვეტიცხოვლის ტაძარში, მაგრამ იგივე ქართლის თავადთა ნაწილი ფარულად ეწინააღმდეგებოდა ქართლში მის გამეფებას. მეფობის სრული უფლებამოსილება, როგორც დროში განმტკიცებული, თითქმის არც გამოუმუშავებია. ამდენად, თეიმურაზისაგან უცნაურადაც გამოიყურება და არც მიზეზი ჩანს, თუ რის გამო მოისურვა სამუხრანბატონო მიწა-მამულის ნაწილი ზურაბ ერისთავისთვის გადაეცა. მართალია, ზურაბმა მარტყოფში თავის ჯართან ერთად დიდი ისტორიული როლი შეასრულა, მაგრამ არანაკლები გააკეთეს ქართლის სხვა თავადებმაც. რახან უკვე სიძე იყო ზ. ერისთავი თეიმურაზისა, ამიტომ უნდა მიენიჭებინა პრივილეგია?! თანაც ეს იყო უკვე წმიდანი ქეთევან დედოფლის მამის, აშოთან მუხრანბატონის მამულები; მას თავისი კანონიერი პატრონები ჰყავდა, ზ. ერისთავი კი ისეთი ხარბთვალისანი იყო, მეფის დაპირების გამო ყველაფერზე წავიდოდა; ოღონდ მას ჰყოლოდა ყველაზე მეტი ცხვარ-ძროხა, ჰქონოდა ყველაზე მეტი სახნავ-სათესი მიწა, არაფერზე დაიხვედა უკან!

ჩვენთვის ცნობილია ზ. ერისთავის მერყევი ხასიათი, შაჰ-აბასისაგან წამოსული ზავის პირობები, თავისი სიმამრის თეიმურაზ I-თან თანამოაზრეობის საფუძველზე, მისთვისაც მისაღები გახდა. შაჰის საწინააღმდეგო პოზიცია

რომ არ გამოეხატა, მან, პირადად, მონაწილეობა არ მიიღო ქსნის ომში. მარაბდის ომის მოვლენებში სააკაძესთან უხერხული მოვლენების გამოსყიდვის საკონპენსაციოდ, მხარი აუბა სააკაძეს, მოახდინეს ერთობლივი შეთანხმება ხოსრომირზასთან და დაიგეგმა ქსნის ომი (ამის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ) თავის უფლებამოსილებაში მყოფი საარაგვოს ჯარი თავისივე ძმებს, გიორგი და დათუნა ერისთავებს, ქსნის ომში სააკაძის მისაშველებლად გააყოლა. დავაკვირდეთ, რადგან გ.სააკაძესა და ზ. ერისთავს შორის იმ ეტაპზე ურთიერთობა ისე არ იყო გამძაფრებული, როგორც ჩანს. გ.სააკაძემ მარტყოფისებურად ისევ მოახერხა მისი დაყოლიება, რადგან იგი შაჰის ზავის პირობებს იზიარებდა, მის მაგივრად მის ძმებს საარაგვოს ჯარით, მონაწილეობა მიეღოთ ქსნის ომში.

ქსნის ომის ბრწყინვალედ დამთავრებაში ზ. ერისთავს აქვს დიდი წვლილი შეტანილი. მისგან თანხმობით, საარაგვოს ჯარის ქსნის ომში თანამონაწილეობაზე, რითაც ნათელია სააკაძესთან პირის ჩამონმენდით და ქვეყნის წინაშე ვალმოხდით აისახება ამის საფუძველზე იგიც შვეებით ამოისუნთქავდა. ქსნის ომში ქაიხოსრო-მუხრან-ბატონის თავისივე ჯარის თანამონაწილეობით და ზ. ერისთავის ძმების, დათუნა და გიორგის, ერთობლივი თანადგომით, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს. გ. სააკაძის მიერ თავმოყრილ სხვა ქართველ მეომრებთან ერთად ასეთი გამარჯვებით შექმნილი ატმოსფერო მათთვის დაახლოვების სასურველი მიზეზიც გახდებოდა და სააკაძისგანაც იქნებოდა ხელის შეწყობა იმისა, რომ გიორგი ერისთავს ქაიხოსრო-მუხრან-ბატონის ქალის ხელი ეთხოვა და დამოყვრებოდა მას. გავიხსენოთ სააკაძის

სიძე თეიმურაზ-მუხრან-ბატონი, რომელიც მარაბდის ომში დაიღუპა, მისი უმცროსი ძმა არის ქაიხოსრო-მუხრან-ბატონი. ზ. ერისთავისთვის ეს მოვლენა მიუღებელი გახდებოდა და გაჩნდებოდა სირთულე იმ საფუძველზე, რომ სამუხრან-ბატონო ადგილ - მამულების ნაწილი თეიმურაზ I-ს მისთვის, ზ. ერისთავისთვის, როგორც სიძისათვის გადაცემული აქვს, ზ. ერისთავმა უფროს ძმას ბაადურს არაგვის ერისთავობა არ დაუთმო და იგი იძულებული გახდა გასცლოდა გულ-ზვიად მეტოქე ძმას. რადგან შაჰისაგან წამოსული ზავის პირობით, დროებითი სიმშვიდე იქმნებოდა ერთის მხრივ და თეიმურაზისა და დიდებულთა ნაწილის თანხმობაც დაერთო და ამ მოვლენით მონაწილეობა პირადად არ მიიღო ზ. ერისთავმა ქსნის ომში სააკაძესთან ერთად ყიზილბაშთა განადგურებაში. სამაგიეროდ მონაწილეობა მიიღეს თავისმა ძმებმა – დათუნა და გიორგი ერისთავებმა. რაც საბაბ-მიზეზად წინ წაიმძღვარა შაჰისათვის ერთგულების გამოსახატავად. მას არ გაუძნელდებოდა და იტყოდა, სააკაძემ გადაიბირა ჩემი ძმა, ჩემთან შეთანხმების გარეშე მოქმედებდა და ირანის მზეს ქსანზე ჯარები გაუნადგურაო. შაჰის გულის მოსაგებად და თვითონაც რომ ასე ესურვებოდა, ზ. ერისთავმა, მომავალში არაგვის საერისთაოს მეტოქე, რომ არ ჰყოლოდა საკუთარი ძმა დაახეიბრა. ადვილი წარმოსადგენია, სავარაუდო მონინააღმდეგესაც ვერ გააჭაჭანებდა. ამიტომ თვალეზი დასთხარა თავის ძმას, გიორგი ერისთავს საარაგვის მბრძანებელმა. რაღა გასაკვირია, რომ სულაც არ ანაღვლებდა თავისი დის შვილების ბედიც, როცა მათ მამასთან, გ. სააკაძესთან, ბაზალეთში სისხლიანი ანგარიშსწორება გადწყვიტა. ღრმა მნიშვნელობით არ მიაჩნდა მონამეობრივი აღსასრული თვით

პაატასი, რომელიც ქართველმა ხალხმა დიდი ცრემლით დაიტირა და სამშობლოსათვის შვილის გამწირავი მისი მამა „დიდ მოურავად“ აღიარა.

ისტორიულად არაა ცნობილი, რომ ზ. ერისთავს შვილები ჰყოლოდა, აქედან გამომდინარე, მისთვის უცხო იქნებოდა მამობრივი განცდაც. მისი ადამიანური ბუნების განხილვა მიგვანიშნებს, რომ იგი მხოლოდ პირადი „მე“-სა და „ეგო“-ს კარნახით საზრდოობს. პირადი განდიდებისათვის თუ სარგონი და სასარგებლონი აღარ არიან, თავისი სისხლისა და ხორცის განირვაც არაფრად უღირს. სათქმელადაც ძნელია, მაგრამ, სამწუხაროდ ზ. ერისთავს ძმაც და დის შვილებიც მტრად მიაჩნია ცივი და ანგარებიანი გონებით, მის ქონებასა და ძალაუფლებას ოდნავი ჩრდილიც თუ მიადგება. აღნიშნულ მოვლენებშიც შადიმანი ხომ არ იყო, მაგრამ მსგავსი ბუნება თურმე ზ. ერისთავშიც იმალებოდა!

ჭირს ისტორიული სიმართლისაგან გაქცევა; სათქმელადაც ძნელია, მაგრამ თეიმურაზის პიროვნება და საქმიანობა ვერ შეედრება ქეთევან დედოფლის ღვანლს, ის კი არა, ზოგჯერ სრულიად საპირისპიროც კია. ქეთევან დედოფალი ხომ ამხელდა და არასგზით არ ამოიყენებდა გვერდში ქონების ხელში ჩაგდების მიზნით თანამემამულეთა გამჟღელე ადამიანებს; იმ ხალხის წინააღმდეგ მებრძოლს, ვინც საქართველოს მტერს ყოველთვის მამაცურად უხვდებოდა!

არადა, სწორედ ზ. ერისთავს შეეძლო შეენარჩუნებინა სამართლიანი წონასწორობა მეფესა და სააკაძეს შორის, სიხარბემ არ მისცა ამის საშუალება. „მე მეფეს ვერ ვუღალატებო!“ – გამოვიდა, რომ გიორგის ღალატი კი შეეძლო, თუ

დასჭირდებოდა.

დაუნდობელი იყო ზ. ერისთავის ანგარებიანი ბუნება, მის ხმალზე ბევრჯერ ჩამოდენილა მთის მკვიდრთა უბრალო სისხლი...

მარტყოფის ომის თვალსაჩინო გმირს ზ. ერისთავს დაშვებული აქვს გულსატკენი შეცდომები:

განდევნა უფროსი ძმა ბაადური. მეორე ძმა, გიორგი, რომელიც არაგველთა ჯარით მხარში ედგა გიორგი სააკაძეს ქსნის ბრძოლაში, შეიპყრო და დააბრმავა.

ქართლის მეფე სვიმონ-ხანი, შეთქმულ თავადთა გად-  
ანყვეტილებით, სხვილოს ციხეში შეიტყუა და მოკლა; ბოლოს  
ამდენი სიავის ჩადენისთვის, სამაგიეროც მიეზღო: სიმამრმა,  
თეიმურაზ მეფემ, ღალატით მოაკვლევინა ელუმო თოდუ-  
მიშვილს საფურცლებში (დღევანდელი სოფელი ნატახტარი).

1625 წლის მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომებითა და  
პარტიზანული ბრძოლებით 1626 წლის ჩათვლით ქართულ  
მინაზე თითქმის სულ განადგურდა ყიზილბაშური წითელი  
ჭირი, მცირე ნაწილი სხვადასხვა ციხეებში იყო თავშეფარე-  
ბული.

ქართველი ისტორიკოსის ნოდარ შენგელიას ცნობით,  
65-70 ათასი ყიზილბაში შეენირა გიორგი სააკაძისა და მის  
გვერდში მყოფ ქართველ მეომართა დაუღალავ ბრძოლას.

მთელი 30 წლის მანძილზე შეუსვენებლივ ფეთქავ-  
და ქართლის გადამრჩენის გიორგი სააკაძის გული, ერთად  
შეზავებული მისი ოფლი და სისხლი იღვრებოდა ხმლის ვა-  
დას ჩაჭიდებული მარჯვენიდან.

მისი თანამედროვე უცხოელი ისტორიკოსები აღფრ-  
თოვანებას ვერ ფარავდნენ და ყველა უკლებლივ ცდილობდა  
მოქმედების შესატყვისი სიტყვებით აღენერა მისი საქმენი  
საგმირონი. სააკაძისაგან გაიკრიფა და გადაიგავა ყიზილ-  
ბაშთაგან დამძიმებული აღმოსავლეთ საქართველო. ქართლ-  
კახეთი გაერთიანდა, მის სათავეში თეიმურაზი დგას. მარაბ-  
დის ბრძოლის შემდგომ იგი ისევ სააკაძის თანადგომით  
გადმოიყვანეს იმერეთიდან და საქართველოდან ყიზილბაშ-  
თა განდევნაში ღებულობდა მონაწილეობას ეპიზოდური ხა-  
სიათით.

სანამ ირანიდან ზავის პირობა ჩამოვიდოდა გიორგი  
საკაძეს ერთი წუთიც არ გაუტარებია სამშობლოზე ფიქრის  
გარეშე, მის სულსა და სხეულში ჩაკირული ვეებერთელა  
ენერგიით აუცილებლად უნდა ეხარა მის ქვეყანას. მისგან  
გადახდილმა დიდმა თუ მცირე ომებმა დიდი ღირსების შარა-  
ვანდებით შემოსა იგი.

უზომო იყო მისი ავტორიტეტი და გავლენა როგორც  
საქართველოში, ისე მის გარეთაც. გიორგი სააკაძეს „ქართ-  
ლის მოურავს“, „ქართლის მოურავ-ხანს“ უწოდებდნენ. რაც  
მთავარია, სააკაძე უსაზღვროდ უყვარდა ქართველ ხალხს,  
ენდობოდნენ. უყვარდათ საქართველოსთვის შენირული შვი-  
ლის მამა, მამა მეორე შვილისა, რომელიც ყველა ბრძოლაში  
ახლდა და გამეტებული ჰყავდა; უყვარდათ იმ ამოუწურავი

ენერგისთვის, რომელსაც უანგაროდ ხარჯავდა ქვეყნისა და ხალხის სამსახურში...

ისმება კითხვა: რატომ აღიზიანებდა გიორგი სააკაძის ავტორიტეტი და სახელი ზოგიერთ დიდებულს, მათ შორის თეიმურაზ მეფესაც, რაც ძალზე სამწუხაროა თუნდაც იმიტომ, რომ ქეთევან დედოფლის შვილობა და მეფობა, ერთად აღებული, დაფიქრებას, ღრმა განსჯასა და სიმტკიცეს ითხოვდა უკვე გამოდარებული ქართლ-კახეთის ასაღორძინებლად.

გიორგი სააკაძის ხასიათში მტკიცედ არის გამჯდარი თვისებები, რომ ემსახუროს მეფეს და ქვეყანას, გამოავლინოს ფანატიკური თავდადება და სიყვარული სამშობლოსადმი, თუნდაც სიკვდილის ფასად. არა ერთხელ დაუმტკიცა ეს თეიმურაზსაც საქმით. დღეს კი, 1626 წლის ამ რთულ ვითარებაში, თავადებისაგან გ. სააკაძესა და თეიმურაზს შორის ჩამოგდებულ შფოთში, თეიმურაზი სულ სხვა კაცად ქცეულა.....

მოვეუსმინოთ კათოლიკე მისიონერთა ისტორიკოსს:

„დიდ უბედურებასა და მრავალ ვაებაში გამოვლილი მეფე – კახეთის სამჯერ აოხრება, უცხოობაში წაწაღი, დედისა და შვილების დახოცვა, – უაღრესად უნდო და შურისმაძიებელი გამხდარიყო. თეიმურაზის ბუნება სულ სხვა კაცად შეიცვალა: ყველაფერში მტერს ხედავდა, თავის ქვეშევრდომებს სასტიკად ეპყრობოდა, ახალი ხარაჯა განაწესა და ძალადობას მიმართავდა. სამართალი აღარ იყო, კანონად ჟინი და სიხარბე გაიხადა“.



კახეთის მეფე თეიმურაზ I



თეიმურაზ მეფე, თავის გარემომცველ თავადთაგან განსხვავებით, ძალზე დიდი თანაგრძნობის ღირსია შთამომავალთაგან, მაგრამ ასეთი თვისებებით მეფობის ტვირთის ზიდვა მისთვის შეუძლებელი აღმოჩნდა. თავადებმა ადვილად იმოქმედეს მის პატივმოყვარეობაზე, დააეჭვეს და დაუპირისპირეს გიორგი სააკაძეს, იქმნებოდა მტრისთვის სასურველი გარემო.

არ უწევდნენ შეღავათს მის მგლოვიარე გულს. მსგავსი ტრაგედია ხომ იმ დროის საქართველოში არც ერთ დიდებულთაგანს არ განუცდია. არადა, სწორედ მათ ურჩიეს და ჩააგონეს თეიმურაზს, დედა და შვილები შაჰთან გაეგზავნა. რა ენაღვლებოდათ, მხოლოდ რჩევა ეკითხებოდათ, იმ რჩევაშიც ისეთ „გონიერებას“ ასხივებდნენ, თვითონ რომ არ დაზარალებულიყვნენ. მეფის ტვირთი და სატკივარი სხვა სიმძიმისა იყო. სწორედ ზურაბ ერისთავს უნდა მოეკრიბა გონიერება, დაეთრგუნა თავის თავში სიხარბე, მდგარიყო მარტყოფისებური მოწოდების სიმალლეზე, მაგრამ, სამწუხაროდ, მან ეს ვეღარ შეძლო. მასა და გიორგი სააკაძეს შორის გაჩნდა ღრმა ნაპრალი, რომლის ერთ მხარეზე აღმოჩნდნენ თეიმურაზიანელები. მეორეზე – სააკაძიანელები.

საქართველოსთვის ერთნაირად დიდი მსხვერპლი გაიღეს თეიმურაზმა და სააკაძემაც. სამწუხაროდ, ასეთივე დიდი განსხვავება წარმოიქმნა მათ მრწამსსა და მიზნებს შორის.

გიორგი სააკაძის ხასიათში ნიშანდობლივია ინიციატივა, თავისი მრწამსით გადაწყვეტილების მიღება, დაჯერებულობა თავის თავში, საქმეში, მიზანში, გინდ საბრძოლო

მოქმედებაში, თუნდაც პოლიტიკურ ურთიერთობებში; ეს ეხება ოსმალეთთან, მურად IV-სთან და დასავლეთ საქართველოში მის გადასვლას და გიორგი მეფესთან მოლაპარაკებებს, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს მესვეურებთან და იგივე თეიმურაზთან შეთანხმების გარეშე ხდებოდა, რაც აიხსნება იმით, რომ სააკაძე მათ არ ენდობოდა და ეს ბაზალეთის ომის მიზეზიც შეიქნა.

სააკაძის პიროვნებას მრავალი მკვლევარი და წიგნის ავტორი ჰყავს, ამდენად, საჭიროდ მივიჩნიე რამდენიმე მათგანის აზრთა წარმოჩენა (ნ.ხ.).

მოვუსმინოთ ისქანდერ მუნშს: „ერთი ჯგუფი დიდებულებისა მასზე, სააკაძეზე, უფრო მაღალი გვარისა იყო, მათ სძაგდათ მოურავის ბატონობა და უფროსობა“ (მტერიც კი სწორად ხედავს სააკაძესთან დაპირისპირების ნამდვილ მიზეზს).

„მაგრამ რა უნდა ექნა სააკაძეს, თუკი თეიმურაზი გაეცალა ასპარეზს და ქვეყნის ბედი მის ხელთ იყო“ (ჯანსუღ ღვინჯილია).

ცხინვალში მეფესთან ერთად ყოფნის დროს გიორგის მისმა ერთგულმა ხალხმა აცნობა, თეიმურაზი შენს მოკვლას აპირებსო. გაცეხულია სააკაძე ამდენი უმადურობის შემხედვარე, თუმცაღა მიჩვეული იყო თანამოძმეთაგან დაუფასებლობას; მან ავალიშვილი მიაგზავნა მეფესთან და განრისხების მიზეზი იკითხა.

მეფემ იუარა, ჩემთვის ერთგულ კაცზე ამას როგორ ვიფიქრებდიო, თან დასძინა: ქვეყანამ იცის, ლუარსაბის

სისხლი შენ რომ განევს ცოდვად, მაგრამ მე მაინც არაფერს გერჩიო.

სავალალოდ, გიორგი გუმანით მიხვდა ყოველივეს.

გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის პირისპირ შეხვედრა მწვავე და უსიამოვნო გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ სააკაძის ცოლისძმა იყო, ირანში ბევრი ომი და სამკვდრო-სასიცოცხლო რისკიანი გზა ერთად გამოველოთ, ახლა თეიმურაზის გვერდით დამდგარიყო და „მეფეს ვერ ვუღალატებო!“, – უთხრა. „მუხრანს გპირდებაო?“ – ისარივით პირდაპირ მწარედ ესროლა გიორგიმ. ზურაბი გაყინული თვალებით ღალატის მღვრიე მორევს ჩასცქეროდა.

„ – კარგად დაიმახსოვრე, ზურაბ ერისთავო, მე რომ მომიცილებენ, ჩემი მკვლევები შენც გვნდებიან ყელში, მუხრანსაც ოხრად დაგირჩენენ და სიცოცხლესაც“... (ლევან სანიკიძე).

ბაზალეთის ომამდე მეფე თეიმურაზს რუსეთის გზისკენ ფიქრი არ შეუწყვეტია, ამ დროისათვის თითქმის სულ გადაიხვეწნენ ყიზილბაშები. ირანული მტვერი აღარ ტრიალებდა ქართულ მიწაზე და პოლიტიკურ ამინდსაც კარგი პირი უჩანდა. ასეთ მომნიფებულ ვითარებაში დაისვა საკითხი ქართულ ცნობიერებაში, ვის, როგორ მეფეს უნდა ემართა ქვეყანა. სალად მოაზროვნე მხარემ, ცხადია, სწორი ანალიზი გააკეთა და აღნიშნა, თუ ვისი ამაგით შეიქმნა ასეთი ატმოსფერო.

გიორგი სააკაძის მიერ გზიდან ორჯერ მობრუნებულმა და მეფის უფლებამწარჩუნებულმა თეიმურაზმა ტახტი დაიკავა. მოურავის თანადგომა თეიმურაზთან მხოლოდ ცენ-

ტრალური ხელისუფლებისა და ქვეყნის გაერთიანების სურვილით აიხსნება.

გიორგი სააკაძე ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ მეფეს მშვიდობის დროს მთელი თავისი უფლებამოსილება სამართლიანი აღმშენებლობისკენ წარემართა. თვით ისტორია, ტრადიცია, ყოფა, ქვეყნის მართვის წესი ითხოვდა ამას, რაც ძალიან ძნელია და მეფურ სიმტკიცეს საჭიროებს.

გავიხსენოთ დავით აღმაშენებელი. როგორ ცდილობდა იგი ქვეყნის მოჭირნახულე ხალხი შემოეკრიბა გარშემო. იცოდა, რა სატიკივარი ანუხებდა ქვეყანას და გაჯანსაღების გზებს ეძებდა; დავითმა ისიც იცოდა, საქართველოში სოფლიდან სოფლამდე რა მანძილი იყო და განსაზღვრული ჰქონდა, მაცნეს რა დროში უნდა მოეწოდებინა ინფორმაცია, სამშობლოს სასიცოცხლო პულსზე ედო ხელი...

გიორგი სააკაძის შემთხვევაში იმ ეპოქის საჭეთმპყრობელმა ქართლის მესვეურებმა ვერ დაინახეს და იმის მეთავედ ვერ შეაფასეს მოურავის ღვანლი, რაც მას უანგაროდ გაღებული ჰქონდა ქვეყნისთვის.

მომავლის გზა შურით მძიმდებოდა; თეიმურაზს, როგორც მეფეს, ყურადღებით უნდა ესმინა სააკაძისთვის, რადგან ეს ქვეყნის სატიკივრის გაგებას ნიშნავდა, ხდებოდა კი პირიქით: თეიმურაზი შფოთის ჩამომგდებ თავადებს უფრო უგდებდა ყურს.

გიორგი სააკაძის რენესანსული ბუნება ქვეყნის პატრონს, შემნახავს ეძებდა. ლუარსაბის მეფობის დროს მას უკვე ჰქონდა განცდა იმისა, რომ ლუარსაბს აკლდა მეფური

მტკიცე ღირსებები, ადვილად ექცეოდა დიდებულთა გავლენის ქვეშ. სწორედ ლუარსაბის არასრულყოფილმა მეფურმა თვისებებმა განაპირობა აუცილებელი მოთხოვნილება შეუვალი ნების მტკიცე მეფისა. მარტყოფის ბრძოლის შემდეგ არჩევანი თეიმურაზზე გაკეთდა, მაგრამ სულ მალე მარაბდისწინა პერიოდში სათათბირო კრებამ და ამ ბრძოლაში ქართველთა დამარცხებამ სააკაძეს თეიმურაზის ღირსეული მეფობის იმედი გაუცრუა. შემდეგ შაჰისაგან შეთავაზებულ ზავზე ქართველ დიდებულლებთან ერთად თეიმურაზის თანხმობამ სააკაძე საშინლად აღაშფოთა. ამის შემდეგ იგი საქართველოს გაერთიანების გზების ძებნას ცდილობდა...

მოგვიანებით სააკაძის ინიციატივით ქართლის გამგებლად – და არა მეფედ – ქაიხოსრო მუხრანბატონი დაინიშნა, მას, როგორც ბაგრატიონს, ქართლის ტახტის დაკავების უფლებაც ჰქონდა.

განმარტებისათვის, ქაიხოსრო მუხრანბატონის გამგებლად დასმამ ქართლ-კახეთის ცალ-ცალკე სამეფოებად დარჩენა გამოიწვია ანუ ორივე სამეფო თავიანთ პირვანდელ მდგომარეობას უბრუნდებოდა.

მოურავის დიდი მიზანი სამეფო-სამთავროებად დაშლილ-დანანევრებული ქვეყნის ერთ მთლიან სახელმწიფოდ ქცევა იყო, ქაიხოსროს ქართლში გამეფებით კი იგი თავისი იდეის საწინააღმდეგო მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, რადგან ეს ნაბიჯი ქართლისა და კახეთის განცალკევების დასტური იქნებოდა და იმერეთის სამეფოს კერძოდ და მთელი დასავლეთ საქართველოს შემოერთების შანსიც შემცირდებოდა.

## ბანსილვა მეფე ლუარსაბ II-ის სიკვდილის შესახებ.

როცა შაჰ-აბასმა, ლუარსაბ II-სთან ერთად, თბილისი დატოვა და ირანისკენ გაემართნენ, შაჰმა მას მეთვალყურე მცველები დაუნიშნა, მისგან ასეთი ქმედება იმას გვეუბნება, რომ ლუარსაბი მისთვის ძვირფასი ტყვეა, რადგან ის ქართლიდან წაიყვანა, გონებაში ქართლის საქმეც მოგვარებულად მიიჩნია. ლუარსაბისათვის მცველების დანიშვნა, შაჰისაგან ერთგვარი შიშისგან მომდინარეობდა, მასზედ გულშემატკივარ ქართველებს მალულად გზიდან არ გაეტაცათ, ისევ ქართლში დაბრუნებულიყვნენ და ვინ იცის, შაჰის წინააღმდეგ აჯანყებაც წამოეწყოთ. როცა შაჰმა ლუარსაბ II ირანში ჩაიყვანა, პირველი, რაც მისგან მოითხოვა – სარწმუნოების შეცვლა იყო, რაზედაც მტკიცე უარი მიიღო. სწორედ ეს უნდა ყოფილიყო მიზეზი, რომ შაჰმა ლუარსაბი პირდაპირ გულბაყალის ციხეში მოათავსა. შაჰი მას განზრახ ცუდ პირობებს უქმნიდა იმ მიზნით, რომ მისი ნებისყოფა მოედრიკა და თავის სურვილზე დაეთანხმებინა. მაგრამ ქედ-უხრელი იყო მეფე ლუარსაბი. მკითხველის ყურადღებას ერთ მოვლენაზე გავამახვილებ. ქეთევან დედოფალი, შაჰ-აბასმა, ირანში 1614 წელს ჩაიყვანა, იმ დროიდან 1624 წლამდის. ეი 11 წელი ირანში იყო, როგორც საპატიო ტყვე. როგორც ცნობილია ისტორიული წყაროებით ქეთევან დედოფალი თავის მოძღვარ მოსესთან ერთად ხშირად დადიოდა კათოლიკურ ტაძარში სალოცავად. უნდა ვიფიქროთ, რომ დედოფალი იმ წლებში შაჰისაგან შეზღუდული არ იყო. თუ შედარებას მოვახდენთ ქეთევან დედოფლისა და ლუარსაბ II-ს შორის ირანში ყოფნის მდგომარეობაზე, განსხვავებას დავი-

ნახავთ. იმ კუთხით, რომ ქეთევანს საშუალება აქვს კათოლიკურ ტაძარში სიარულის, ლუარსაბ II მთელი შვიდი წელი ციხის კედლებსაა ამოფარებული. რადგან ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ რუსეთის სახელმწიფოდან ჩასული ქრისტიანული ელჩებისაგან მოთხოვნამ – გაეთავისუფლებინათ ქრისტიანული ქვეყნის ქრისტიანი დედოფალი და შემდეგ შაჰის ცოლობაზე ქეთევან დედოფლისაგან უარის თქმამ დააჩქარა მისი სიკვდილი. როცა ლუარსაბ II-ეს შაჰის ბრძანებით მთელი 7 წელი ციხეში ჰქონდა გატარებული, ამ დროის მანძილზე შაჰი დარწმუნდა, რომ ლუარსაბ მეფე ქრისტიანულ სარწმუნოებას არასოდეს შეიცვლიდა. რადგან ლუარსაბ II-ე სარწმუნოების შეცვლაზე უარს ამბობდა. მას ქართლში დაბრუნებაც აღარ ეწერა იმის გამო, რომ ისევ ქრისტიანად მყოფი ლუარსაბ II-ე შაჰის გეგმებს ქართლში ვერ შეასრულებდა. შაჰს დიდი მცდელობა დასჭირდა ლუარსაბის ირანში ჩასაყვანად, მას იმედი ჰქონდა – სარწმუნოებას შეაცვლევინებდა, არ გამოუვიდა, რამაც მისი ქართლში დაბრუნება გამორიცხა, რადგან შაჰს ლუარსაბის გადმობირების ყველა გზა ამოეწურა, რაღა დარჩა? ჩემი ვარაუდით, 1622 წელსაც იგივე მდგომარეობა უნდა შექმნილიყო, ქრისტიანული სახელმწიფოს რუსეთის ელჩობას ინფორმაცია ექნებოდა ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის ირანში ტყვეობისა. შესაძლოა, შაჰი რუსეთის ელჩობას ელოდებოდა, იცოდა ლუარსაბ II-ის გათავისუფლებას მოსთხოვდნენ, როგორც ქრისტიანული სახელმწიფოს წარმომადგენლები, ქრისტიანი მეფის შესახებ. ამან დააჩქარა შაჰისათვის ქედმოუხრელი ლუარსაბ მეფის სიკვდილი და შაჰი ელჩებს განუცხადებდა, ლუარსაბს მძიმე სენი შეეყარა და გარდაიცვალაო. (შაჰმა

ლუარსაბის მოკვლა ჯერ მაშინ სცადა, როცა ლუარსაბმა 1610 წელს, თბილისიდან დელუ მაჰმად-ხანის ჯარები გააყვანინა და ყაზაყლარს წერილი მისწერა, მოეკლა ლუარსაბი).

ლუარსაბ მეფე 1615 წლიდან 1622 წლამდის, სიცოცხლის დასასრულამდის სარწმუნოების შეუცვლელად ცხოვრობდა ირანში, გულბაყალის ციხეში. მას რომ სარწმუნოება შეეცვალა, ეს იქნებოდა დასტური იმისა, რომ ლუარსაბ II-ე შაჰის წინადადებას დათანხმდა და აქედან გამომდინარე, შაჰის ინტერესებიც უნდა შეესრულებინა. ე.ი. თუ ლუარსაბი ქრისტიანულ სარწმუნოებას უარყოფდა და მიიღებდა მაჰმადიანურს, ეს იქნებოდა ის წინა პირობა, რომ შაჰისთვის სანდო პირი გამხდარიყო. ასეთ საფუძველზე შესაძლო იყო 1619 წელს, როცა ქართლის გამგებელი ბაგრატ - მირზა გარდაიცვალა, მის ადგილას სარწმუნოებაშეცვლილი ლუარსაბ II-ე დაენიშნა. მტკიცე რეალობა კი ის იყო, რომ ლუარსაბ II-ე ქრისტიანულ სარწმუნოებას არასოდეს შეიცვლიდა და ქართლის გამგებელიც, შაჰის თვალსაზრისით, ვერასოდეს გახდებოდა.

ლუარსაბ II-ე, როგორც კი მოევიწყა ამ ქვეყანას, ის იმ წუთიდანვე სპეტაკი და წმინდანი იყო, და როგორც კი გახდა საჭირო, თავის მეობის დამტკიცება, არ დაახანა და მორჩილად გაჰყვა შაჰს ირანში, რომელმაც იცოდა რა მოელოდა მისგან, როგორც კი ლუარსაბმა თავის გონებაში განსაზღვრა, თავის ქვეყნისათვის თავი გაეწირა, რომ ცოტა მაინც დაეშოშმინებინა შაჰის ავი ზრახვანი ქართლისთვის. ეს ნაბიჯიც იმ წუთიდანვე წმინდანობაში აითვალა, რომ თავისი

რწმენის ერთგული დარჩებოდა სიკვდილამდის და სიკვდილის შემდეგ მისმა ცად ამალღებულმა სულმა თავის ხალხს დაანახვა, თუ როგორი შვილიშვილი ჰყოლია მეფე სიმონ I-დიდს. ეი წმინდანის სიმტკიცე სულიერებაშია, იგი საკუთარ თავს ფიზიკურად ვერ იცავს, მაგრამ თავისი შეწირულობით აკეთებს უდიდეს საქმეს, როცა რწმენასა და სულიერ სიჯანსაღეს აფუძნებს ერის ფსიქოლოგიაში, რაც დიდი ამბავი და ღირსებაა თავისი ქვეყნის სამსახურად. წმინდანის მდგომარეობა და გადაწყვეტილება ზნეობრივ კანონებს ემსახურება, მისი დამცველი და შემნახველია. რაც უდიდესი პირობაა ხალხის მარადიული არსებობისთვის. არის მეორე აუცილებლობაც, ერს, ხალხს, საზოგადოებას, მინა-წყალს დაცვა, დახსნა და ფიზიკურად გადარჩენაც ხომ სჭირდება. ამ მისიის შემძლეც ხომ ვიღაცა უნდა ყოფილიყო, თუ ერის მარადიული არსებობისთვის ზნეობრივი მხარე გამოძებნილია, აუცილებელია ფიზიკურად გადარჩენის მხარეც გამოიძებნოს, რამეთუ ამ ორივეს ერთობლიობაშია ხალხის, ერის, მარადიული არსებობის წესი.

ლუარსაბ II-მ, ამ უსპეტაკესმა კაცმა, თავისი წოდებრივი მოვალეობა, მეფური შეუვალობა ვერ დაიცვა, შიშით აბობოქრებულ ნაწილ დიდებულთაგან ჯვარდანერილი ცოლი ვერ დაიცვა, გააშვებინეს. მაგრამ დაიცვა და ბოლომდის შეასრულა ქრისტიანული მართლმადიდებლური სარწმუნოებისადმი სიყვარული, სიმტკიცე და რწმენა.

ლუარსაბ II-ს ჰქონდა უნარი და ბოლომდის შეძლო, დემეტრე თავდადებულის თანამსგავსი გმირობა ჩაედინა, მაგრამ ამით საშველი ხომ ვერ დაადგა მის სამეფოს – ქართლს

და საერთოდ აღმოსავლეთ საქართველოს. ეი კიდევ იყო, რალაც დიდი გასაკეთებელი, რაც შაჰ-აბასის მიმართ, ჯერ ერთგულების დამტკიცებაში გამოიხატებოდა, ნდობის მოპოვებაში, ქართლში დაბრუნებაში, გოლგოთის მსგავსი მოთმინებით აღჭურვაში, თავის თანამოძმეზე, მოძულე მხარის მიმართ შემრიგებლური მდგომარეობის გამონახვაში, ბოლოს კონსპირაციული აჯანყების გამარჯვებით დამთავრებაში.

1. იმ ეპოქაში საქართველოს მოსახლეობა ზნეობრივად ამაღლდა და განმტკიცდა ქეთევან-დედოფლის მონამებრივი აღსასრულით.
2. საქართველოს მოსახლეობა ამაღლდა და სულიერი რწმენის საფუძველი შეექმნა ლუარსაბ II-ის მონამებრივი აღსასრულით.
3. საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურად გადარჩა და თავის მიწა-წყალზე არსებობის უფლება შეინარჩუნა გ. სააკაძის მოთმინებითა და თადარიგიანი ომებით.

თუ ვინმეს თხოვნას შეეძლო მოეღობო შაჰის გული, ლელა-თინათინი უნდა ყოფილიყო, რომ ლუარსაბ მეფის განთავისუფლება თუ არა, გულბაყალის ციხის ნესტიან კედლებში არა ჰყოლოდა.

მართალია, შაჰს ბევრი ცოლი ჰყავდა და ყველა მათგანისათვის რომ ესმინა, ამას შაჰის პოლიტიკური მიმართულება არ ითვალისწინებდა. და მაინც, როგორც თვითონ ბებიით ქართველს, ქართლის მეფის დისთვის და თავისი მეუღლ-

ისათვის, ანგარიშის განწევა ემართა, თუნდაც იმ კუთხით რომ ციხის კედლებიდან მაინც გამოეყვანა. 1622 წელს, როცა შაჰმა ლუარსაბ II-ე სიკვდილით დასაჯა, როგორც მიწიერი, იმას მაინც ჩახვდა, რომ ლელა-თინათინს თავის ძმის მკვლელთან დიდხანს გაძლება აღარ შეეძლო და მაშინ შაჰმა, კახეთის მმართველად დანიშნულ ფეიქარ-ხანს გადაულოცა. (იმ ხანად ფეიქარ-ხანი ხორნაბუჯში იდგა, იქიდან აწვდიდა ინფორმაციებს შაჰ-აბასს საქართველოს შესახებ. ლელა-თინათინი კი, როგორც საჩუქარი, ისე გაუგზავნია მისთვის.)

ვისი რჩევისა და თხოვნის მომხმენი იყო შაჰ-აბასი, როცა თავის შვილებსა და შვილიშვილებს, მხოლოდ ეჭვიანობის ნიადაგზე, გამოუძიებლად სიკვდილით უსწორდებოდა, შაჰი თავის მეუღლეს ლელა-თინათინს არ უსმენს, ნიშნავს ანგარიშს არ უწევს, რომ ძმის ლუარსაბის მდგომარეობა შეუმსუბუქოს. შაჰი თავისი საკუთარი შვილიშვილების დედებს, რძლებს არ უსმენს, ნიშნავს არ ინდობს, რომ უსაფუძვლო ეჭვიანობის ნიადაგზე, თავისი შვილიშვილები შეინყალოს, და სიკვდილით არ დასაჯოს.

თუ შაჰის ნება არ იყო ნებისმიერი საკითხის გადანწყვეტაში, გ. სააკაძის რჩევა რას შეცვლიდა, ან რაში ესაჭიროებოდა? მით უმეტესი, როცა შაჰი ლუარსაბს შვიდი წლის მანძილზე აიძულებდა, რომ სარწმუნოება შეეცვალა, რომ ვერაფრით გატეხა, მისთვის სიკვდილს დაიშურებდა? გავიხსენოთ, შაჰმა ლუარსაბის მოკვლა, მოჰამედ-ხან ყაზაყლარის ხელითაც სცადა 1610 წელს. და თეიმურაზ I-ის ხელითაც სცადა 1614 წელს. ურთიერთსაწინააღმდეგო ნერილების გამოყენებით, სანამ კახეთზე ლაშქრობას განახ-

ორციელებდა.

ასეთ თვითნება მტარვალს, ლუარსაბის II-ის მოსაკლავად ვისგანლა დაჭირდებოდა თხოვნა, სააკაძისგან? იმ კაცისგან, რომელიც თავის ოპოზიციონერ თანამოძმეებს შერიგების ხელს უწვდის და არც ერთი თავის მოძულე პირი არ დაუსჯია? შაჰს თავის სახელმწიფოს იმიჯის შემარყვეველი სააკაძე როგორ დაესაჯა, ყველა გზას ეძებდა. იმ ხანად შაჰის ავი თვისებები თუ ვინმემ იცოდა, ერთერთი თეიმურაზ I იყო. შაჰისთვის სააკაძის სიკვდილში ხელის შემწყობი ხომ აღმოჩნდა, იმ მიზნით, რომ ქართლ-კახეთში მეფობა შეენარჩუნებინა, ერთად გამონახეს საერთო აზრი, სააკაძის რეპუტაცია ხალხის თვალში შეერყიათ და ამ საფუძველზე, მისი ლიკვიდაცია მოეხდინათ.

შაჰ-აბასის ხასიათებში ჩახედვისათვის, კიდევ ერთ მაგალითს მოვიყვან. 1614 წელს, როცა შაჰი თავისი ჯარებით საქართველოსაკენ გამოემართა და კახეთის საზღვრებს მოადგა, თავისი მოენებებით ხმა გაავრცელა, რომ ვითომ ოსმალეთზე სალაშქროდ ემზადებოდა, რომ ეს ინფორმაცია თეიმურაზის ყურამდის მისულიყო. მცირე ხნის შემდეგ შაჰმა „ცალკე კაცი გააგზავნა თეიმურაზთან და შეუთვალა, როგორც გაცნობეს, ოსმალეთზე სალაშქროდ ვემზადები, მე რომ მშვიდად ვიყო, რომ მათი მომხრე არ გახდები, შვილი მძევლად უნდა გამომიგზავნო.“ დიდ გასაჭირში ჩავარდა თეიმურაზ მეფე. ბერი ეგნატაშვილი განმარტავს იმ ვითარებას და ამბობს, „დაუფინეს კახთა“, ესე იგი, კახეთის დიდებულებმა აიძულეს ჯერ ალექსანდრე და შემდეგ ლევანი შაჰთან გასაგზავნად მოემზადებინა. (არსებობს ასეთი

აზრი, რომ შაჰ-აბასი თეიმურაზ I-ისაგან მხოლოდ ორი შვილის გაგზავნას ითხოვდა, ქეთევან დედოფალს თვითონ გადაუწყვეტია წასულიყო შაჰ-აბასთან, რომ შაჰის კარზე თავის შვილიშვილებს პატრონი ჰყოლოდა), გულდასმით გავაანალიზოთ თეიმურაზ I-ის მდგომარეობა იმ კონკრეტულ მოვლენებში, თუ რა მოთმენას და დათმენას ითხოვდა მეფისგან, შაჰის წაყენებული ულტიმატუმი შვილების დათმობის შესახებ. როგორი გასაჭირი ადგას მეფეს, თავის ქვეყანა მსხვერპლს ითხოვს მეფისგან, უფრო სწორად მტერმა დააყენა ასეთი ხარკის გაღების წინაშე. რომ კახეთის მეფე მუდმივ მორჩილებაში ჰყავდეს, თუ არ იქნება მეფე შაჰის მუდმივ მორჩილი, ვაი, მეფის ბრალი, შვილებს გაუწყვიტავს, რომ დაუმორჩილებელი მეფის შვილებიც, შაჰის მორჩილებას ვერ იზამენ. რა ექნა თეიმურაზ მეფეს? მტერს თადარიგანი და მტრული დახვედრა სჭირდებოდა რომ ეგრძნო, შაჰსა და მის ჯარებს ქართული სიმტკიცე, რომ სეტყვის მსგავსად მოდიოდნენ და კახეთში კლდის მსგავსი სიმტკიცე უნდა დახვედროდა, რომ დამსხვრეულიყო მათი დროებითი სიმაგრე. დიდებულები გვერდში კი უდგანან მეფეს, მაგრამ რა ენაღვლებათ, მათ შვილებს ხომ არ ითხოვდა შაჰ-აბასი, მეფის შვილებს ითხოვდა. რჩევა ეკითხებოდათ? მზად იყვნენ, ისეთ აზრებს გამოასხივებდნენ, ვითომ ქვეყანა გადარჩენილიყო, სინამდვილეში თავისა და თავიანთი ჯალაბის გადარჩენის თადარიგს იჭერდნენ და აიძულებდნენ მეფეს, თავიანთ მოფიქრებულ აზრზე დათანხმებულიყო.

როგორც კი ქეთევან დედოფალი შვილიშვილებით შაჰთან გამოცხადდა, შაჰმა ელჩი მოჰამედ-ბეგ თალიში სასწრაფოდ ოსმალეთის სულთანთან გააგზავნა და ადრე გავრ-

ცვლებული ხმები ნამდვილი რომ არ ჰგონებოდა, აცნობა ნამდვილი მიზეზი კახეთზე ლაშქრობისა. ასეთი იყო შაჰის თვისებები მაშინაც, როცა დაუდ-ხან უნდილაძე გაგზავნა თეიმურაზთან და მწუხარება შეუთვალა თავისი დედის, ქეთევან-დედოფლისა და შვილების მონამეობრივი აღსასრულის შესახებ, თავისივე ჩადენილ ამ უსასტიკეს დანაშაულთ გამოწვეული. შაჰის შესახებ მკითხველს კიდევ ერთ მოვლენას შევახსენებ, რაც მის ავანტიურისტულ ხასიათს წარმოაჩენს.

კახეთზე ლაშქრობების მიზეზს, ისქანდერ მუნშის განმარტებით, თეიმურაზს აბრალებს, ვითომ იმის გამო, რომ შაჰს ირანში არ ეახლა. ასეთი ერთპიროვნული იყო შაჰის სურვილები და გადაწყვეტილებები.

თეიმურაზ I-ს, რომელიც უმეტეს შემთხვევაში თავს არიდებდა შაჰის ჯარებთან შეტაკებას გარდა წინამურის ომისა, სადაც მეფემ უდიდესი მარცხი აგემა ირანულ ჯარებს, შაჰ-აბასი ასეთ კაცს კახეთის აოხრებას აბრალებს. კაცმა, რომელმაც შაჰ-აბასს მარტყოფის აჯანყებით გაუნადგურა 27 ათასი მეომარი და შეურყია სახელმწიფოებრივი ძალმოსილება, ჩაუშალა აღმოსავლეთ საქართველოს განადგურების გეგმა, ასეთი კაცის მიმართ ბრალდებების წაყენება გაუჭირდებოდა? ლოგიკა მკაცრი და თანმიმდევრულია, რომ შაჰ-აბასის დავალებით წამოვიდა დაუდ-ხან უნდილაძე, რომელსაც მოჰქონდა შაჰის შედგენილი პროგრამა თეიმურაზ I-თან წარსადგენად. შაჰი ურჩევდა, გონი მოეკრიბა და ირანული ორიენტაციის მიმართ ერთგულება გამოეჩინა, საქართველოს გაერთიანების მოსურნე

სააკადისთვის დასაეჭვებელი ბრალდება უნდა შეეთხზათ, ამ საფუძველზე სასიკვდილო განაჩენი გამოეტანათ. რადგან შაჰმა დაუდ-ხან უნდილაძე გამოგზავნა, ამით თეიმურაზ I გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მას ან სააკადის სანინალმდეგოდ უნდა ემოქმედა, ან ქართლ-კახეთის მეფობა დაეთმო. როგორც ჩანს, სამეფო გვირგვინს მაგიური მიზიდულობაც აქვს და ამან განსაზღვრა ყველაფერი. რადგან სააკადე ქართველ ხალხში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, ასეთ კაცთან, დასაპირისპირებლად მხოლოდ მძიმე ბრალდება უნდა წაეყენებინათ, მძიმე ბრალდების ინიციატორი კი შაჰ-აბასი იყო. ე. ი. თეიმურაზ I-ს, შაჰის იდეით, სააკადის წინააღმდეგ შეთქმულების პროგრამა პრაქტიკულად უნდა განეხორციელებინა.

სააკადის მოკვლისათვის შაჰი თავის სახელმწიფოს ნახევარს დათმობდა და ბრალდების შეთხზვა გაუჭირდებოდა?! შაჰმა იცოდა, 1612 წელს სააკადის წინააღმდეგ შეთქმულება ბააკა ხერხეულიძემ ჩაშალა. 1615 წლის შეთქმულება ქაიხოსრო ჯავახიშვილისგან მოწყობილი, სააკადის ერთგულმა ხალხმა ჩაშალა. თვით შაჰის მიერ გამოგზავნილი შიკრიკი, რომელსაც უბეში მისი წერილი ჰქონდა სადაც ეწერა, „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰყარეთ“, – ვერც ერთს ეღირსა და ვერც მეორეს, რაც სააკადის სიფხიზლემ და თადარიგანობამ განაპირობა. ის, რომ ამ წერილის შინაარსი ქართველ ხალხს გააცნო, თუ რა ენადა შაჰ-აბასს ქართლის მოსახლეობისათვის, მათი ეროვნული ენერგია ერთ მუშტად შეკრა, და სულ რამოდენიმე დღეში ყიზილბაშური არმიები მარტყოფის ველზე განადგურდნენ.



სააკაძე თავის თავზე არ ფიქრობდა იმდენს, რამდენსაც მისი თანამოაზრენი ფიქრობდნენ მის სიცოცხლეზე, რადგან მის ერთგულ ხალხსაც ჰქონდა გამოცდილება, რამდენჯერ გადაურჩა სააკაძე სიკვდილს. ამიტომ მისი გარემოცვა მას უყურადღებოდ არ ტოვებდა. მით უმეტეს, როცა მარტყოფის ველზე, მისი ორგანიზებით, მტრის 27 ათასი მეომარი განადგურდა, ასეთი კაცი ქართველ საზოგადოებას მხსნელად და გადამრჩენად მიაჩნდათ, და უფრო მეტი, როცა იცოდნენ, შინაური თუ გარეული მტრის თვალი მის მიმართ სულ ჩასაფრებული იყო, ასეთ კაცს უყურადღებოდ დატოვებდნენ?!

\* \* \*

1609 წელს, ტაშისკარის ომში ოსმალოებზე ქართველების გამარჯვებით კმაყოფილი შაჰ-აბასი ირანში ინვესს ლუარსაბ II-ს, მისადმი პატივისცემის აღსანიშნავად. ამ წვეულებაზე ლუარსაბმა თბილისში დაბანაკებული დელეგაციას მისი განიზონის გაყვანა მოითხოვა. შაჰს სხვა გზა არა ჰქონდა, ვინაიდან ოსმალეთთან საომარმა ვითარებამ არასასურველი ხასიათი მიიღო. ახლა მოძლიერებულ და გამარჯვებულ ქართლის მეფე ლუარსაბ II-ს უარი ვერ უთხრა და შაჰმა თბილისიდან გაიყვანა ირანული გარნიზონი. მალე ბოლმა ველარ დაიოკა, წერილი მისწერა ყაზახის პროვინციის მმართველს მოჰამედ-ხან ყაზახულარს, შეეკრიბა ჯარი, შესეოდა ქართლს, მოეკლა ლუარსაბ II-ე, მისი სამეფო აეოხრებინა და შემდეგ დაპატრონებოდა. ამ ორ მხარეს შორის ბრძოლა შედგა, შაჰ-აბასი ელოდებოდა, რომ ლუარსაბ II-ე გაიწივებოდა და მის მოკვეთილ თავს შაჰს წინ დაუდებდნენ: მოხდა პირიქით, მოჰამედ-ხან ყაზახულარის თავი აღმოჩნდა

შაჰის ფეხებთან.

XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, არაქელ-თავრიზელი, მოგვითხრობს შაჰ-აბასის მეთოდებზე, წერილების შესახებ, რაც ლუარსაბ II-სა და თეიმურაზ I-ს შორის წასაკიდებლად გამოუყენებია. თეიმურაზს სწერდა; – მოკალი ლუარსაბი II-ე და მისი სამეფო შეიერთეო. იგივე შინაარსის წერილი მისწერა ლუარსაბსაც, მოეკლა თეიმურაზი და მის სამეფოს დაპატრონებოდა. საქართველოს მეფეებმა გონიერება გამოიჩინეს, წერილები ერთმანეთში წაიკითხეს და მტრის პოზიციების განხილვას შეუდგნენ. შაჰი ფიქრობდა, თუ დასავლეთ საქართველოს ერთი მეფე ჰყავს, აღმოსავლეთ საქართველოში რა საჭიროა ორი მეფე? ჯობია, ერთი იყოს და ჩემი მორჩილიო. ამდენად, შაჰ-აბასმა ლუარსაბ II-ისა და თეიმურაზ I-ის წაკიდება წერილების საშუალებით სცადა. თუ რომელიმე გაიწივებოდა, მისთვის უკეთესი. ერთი მეფის ტარება თავის ქკუაზე უფრო იოლი იყო. დავაკვირდეთ, შაჰმა, 1622 წლამდის, სანამ ლუარსაბს სიკვდილით გაუსწორდებოდა, წერილების საშუალებით, ორჯერ დააყენა სიკვდილის პირისპირ. ე.ი. შაჰი თავისი მიზნების და იდეების მონინააღმდეგეს ხელში თუ ვერ ჩაიგდებდა, წერილებით ურთიერთ გადაკიდების გზას მიმართავდა და მის სიკვდილს ცდილობდა.

ლუარსაბმა, ამ უსპეტაკესმა ადამიანმა, ისეთი რაზიანი მიაყენა შაჰს, (მისი მოთხოვნა, – ირანულ ჯარს თბილისი დაეტოვებინა, პოლიტიკური მოტივით იყო შაჰისთვის მიუღებელი, თორემ ირანის გავლენაში მყოფ ქართლში მას ჯარის არც გაყვანა გაუჭირდებოდა და არც შემოყვანა.) რის გამოც პირდაპირ სიკვდილის წამალი გამოუწერა ლუ-

არსაბს. დავაკვირდეთ შაჰ-აბასს, რომელსაც სააკაძემ მარტყოფის აჯანყებით სახელმწიფო ძალმოსილება შეურყია, ქსანზე გამარჯვებით ჩაუშალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის ოცნება, ვინაც ასეთი ზარალი მიაყენა, ასეთი კაცის მოკვეთილი თავისათვის შერყეული ირანის სახელმწიფოს ნახევარს კიდევ დათმობს? თავისი შელახული მდგომარეობის აღსადგენად, მეფე თეიმურაზ I-თან საერთო ენის გამონახვა გაუძნელდებოდა? თუ სააკაძის წინააღმდეგ ცილისწამების ბრალდების გამოძებნა გაუჭირდებოდა?

1615 წელს შაჰ-აბასს ლუარსაბ II-ე ირანში რომ წაეყვანა, რამდენი ძალისა და სურვილის გამოხმობა დაჭირდა, სარუს-ხოჯასი და შადიმანის მეშვეობით, ბოლოს თავისი ცოლისა და ლუარსაბის დის – ლელა-თინათინისაგან წერილის მიწერაც გამოიყენა ლუარსაბის დასაყოლიებლად. შაჰი წერილით იმუქრებოდა, თუ ლუარსაბ II-ე არ გადმოვა და გორში არ მეახლება, მის სამეფო ქართლს, მოურავს ან ალექსანდრეს (იმერეთის მეფის შვილი) გადავულოცავო.

ეს ვითარებები იმ დროს იმერეთის სამეფოში მყოფი თეიმურაზ I-ის თვალწინ ხდებოდა, ლუარსაბ II-ე ფიქრობდა, შაჰ-აბასს ქართლიც კახეთის მსგავსად რომ არ აეოხრებინა, ჯობდა შაჰთან გამოცხადებულიყო გორში, რადგან ქართლი იმ დროს ირანული არმიებისათვის ნაკლები წინააღმდეგობის გამწევი იყო. მეფე ასეთი ნაბიჯით ნაწილობრივ მაინც ჩააცხრობდა შაჰის ავ ვნებას ქართლის სამეფოს მიმართ. (მის გულში ამ დროს სამშობლოს სიყვარულის უსპეტაკესი გრძნობა თრთოდა.)

იმ ხანად ლუარსაბის შაჰთან გამოცხადებაზე ყველაზე დიდ წინააღმდეგობას თეიმურაზი უწევდა, – ნუ ეახ-

ლები შაჰს, მისგან სიკვდილი გარდაუვალიაო. შაჰი კახეთზე ლაშქრობების დროს თეიმურაზსაც ინვევდა ირანში, მისი მიზანი იყო, კახეთში სამეფო დინასტია გაენადგურებინა. თეიმურაზი ხვდებოდა ამას და ირანში ჩასვლაზე უარს ამბობდა. როცა იმერეთში მყოფმა ლუარსაბმა გადანყვეტილება მიიღო, წარმდგარიყო შაჰის წინაშე და წასასვლელად გაემზადა, თეიმურაზი წინ გადაეღობა, ხელი აელო განზრახვაზე. მე ეს ეპიზოდები იმის გამო მოვიყვანე, რომ მან, თეიმურაზმა, ძალზედ კარგად იცოდა, როცა შაჰი ლუარსაბს ირანში ჩაიყვანდა, ირანიდან მისი დაბრუნება გამორიცხული იყო და უეჭველად სიკვდილი ელოდა. ვინმეს გაუჩნდება აზრი იმისა, რომ თეიმურაზ I-მა არ იცოდა, რა მოელოდა შაჰ-აბასისაგან ირანში ჩაყვანილ ლუარსაბ II-ს? სწორედ ესაა სამწუხარო, რატომ გაიზიარა თეიმურაზმა შაჰ-აბასის გეგმა სააკაძის იმიჯის შელახვისათვის ბრალდებად ლუარსაბ II-ის სიკვდილი რომ წაუყენეს. აქ პასუხი მხოლოდ ერთია, რადგან შაჰ – აბასმა მოახერხა თეიმურაზ I-ისა და ნაწილ დიდებულთა ზავის პირობით გადაბირება, სადაც თეიმურაზ I-ის ინტერესიც შედიოდა, რომ მას, ქართლ-კახეთში მეფობა განუმტკიცდებოდა, მოიფიქრეს და სააკაძის მოსაკლავად, მიზეზად ლუარსაბ II-ის სიკვდილი შეუთხზეს.

გ. სააკაძისაგან ქართლის სამეფოს კახეთის სამეფოსაგან გამოყოფის მიზეზები და საფუძვლები.

დიდო მოურავო, გაქვს მიზნად  
რომ შენს ქვეყანას მოუნახო  
გადარჩენისა და ერთიანობის წამალი,  
მაშინ ისიც უწყოდე ასეთ გზაზე  
მოგელის ჭირ-ვარამი მრავალი.

1 როცა 1614 წლიდან 1617 წლამდის შაჰ-აბასმა, კახეთის მხარეში ოთხი ლაშქრობა ჩაატარა, და მის ლაშქრობებს შეეწირა 300-ათასი ადამიანი, 400 ათასი კი ირანში გადაასახლა.

როცა კახეთიდან, შაჰ-აბასის ბრძანებით, გაიზიდა მრავალი ხელით ნაკეთი განძეულობა.

როცა შაჰ-აბასის ბრძანებით კახეთის მხარეში აიჩეხა ვენახები, განადგურდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი, რომ შემდგომ მთებში და საქართველოს სხვადასხვა მხარეში გახიზნულ მოსახელობას, დაბრუნების შემთხვევაში, საარსებო საშუალება მოსპობოდათ.

როცა „წინამურის ომში“ ქართველებმა მტრის 7-ათასი მეომარი გაანადგურეს.

როცა „მარტყოფის ომში“ ქართველებმა მტრის 27-ათასი მეომარი გაანადგურეს.

როცა „მარაბდის ომში“ ქართველებმა მტრის 14 – ათასი მეომარი გაანადგურეს,

როცა ლისის ბრძოლაში ქართველებმა 60 კაცი 700 ირანელი გაანადგურეს,

როცა ქსნის ომში ქართველებმა 2400 კაცი მტრის 12 – ათასი მეომარი გაანადგურეს, ამ მარცხით შაჰმა ხელი აიღო აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობაზე.

როცა თარეშული ბრძოლებით მტრის ჯარებისაგან განთავისუფლდა თბილისის ციხე (დედა ციხე,) გორის ციხე, ბირთვისის ციხე, განჯის ციხე.

როცა სამხრეთ საქართველოდან მტრისგან განთავისუფლდა აწყურის, ახალციხის და ფარავნის ციხეები.

როცა ამ მოვლენებს წინ უძღოდა, შაჰ-აბასისაგან ლუარსაბ II-ის წამებით აღსასრული.

როცა წინ უძღოდა, შაჰისაგან ქეთევან დედოფალის და მისი ორი შვილიშვილის წამებით აღსასრული.

როცა პაატა სააკაძე აღმოსავლეთ საქართველოს ხსნას შეეწირა. როცა მტრის ჯარების ბოლომდის განადგურებისათვის, ხმლის ერთი ძლიერი მოქნევა იყო საჭირო და ამ საფუძველზე ქართული ეროვნული მისიაც გამოთლიანდებოდა, რა სიკეთეების მომასწავლებელი იყო შაჰ-აბასის ზავის პირობაზე დათანხმება?

შაჰ-აბასისაგან წაყენებული ზავის პირობა, ქართველთა მხარისაგან გაუთვალისწინებელი დათანხმება რომ იყო მალევე გამოჩნდა, შაჰმა, ზავის პირობით, რომ თეიმურაზ I-ს ქართლ-კახეთში მეფობას განუმტკიცებდა, სიტყვა გატეხა, მან სიმონ II-ე ქართლიდან არ გაიწვია, თბილისი და ქვემო ქართლი მის განკარგულებაში იყო, თეიმურაზ I-ი შიდა ქართლში და კახეთში მეფობდა.

როცა 1587 წელს შაჰ-აბასმა ირანის ტახტი დაიკავა.

1605 წლიდან 1625 წლამდის (მარტყოფის აჯანყებამდის) შაჰ-აბასის დიდება ზენიტში იყო ასული, შეიძლება თამამადაც ითქვას, ირანის სამეზობლო, ქვეყნებში მსგავსი წარმატების მქონე სახელმწიფო არ იყო. შაჰ-აბასის გეგმებით ირანის სახელმწიფოს აღმა სვლამ უმაღლეს მწვერვალს თითქმის მიაღწია, ასეთი დიდების მწვერვალის

მეორე მხარე, დაბლა სვლა, წარუმატებლობა ანუ ქვეყნის დასუსტება იყო, რაც სააკაძემ მარტყოფის აჯანყებით ირანის სახელმწიფოს მიაყენა. აკი ირანელი ისტორიკოსი ისქანდერ-მუნში და თურქი ისტორიკოსი მუსტაფა-ნაიმა ერთნაირად აფასებენ მარტყოფის აჯანყებას და ამბობენ, – ორმოცი წელი ირანის ქვეყანას ასეთი ზარალი არ მოსვლიაო. ასეთ მდგომარეობაში მყოფმა შაჰმა ხმამაღლა გაავრცელა თავის მიზანი და ჯილდოდ გამოაცხადა, ვინც სააკაძის მოკვეთილ თავს მოუტანდა, ის თავის სახელმწიფოს ნახევარს დასთმობდა. თუ ვინმეს შაჰის გულის გახარება ენადა, საამისო დრო დამდგარიყო. ამ საქმის აღსრულება უძნელესი იყო.

შაჰ-აბასს აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დამორჩილება და დამონება ენადა. საამისოდ შეემზადა და საქართველოში გამოგზავნა 90 ათასი მეომარი, აქედან 65-70 ათასამდის გაუნადგურდა, ამ საფუძველზე საქართველოს მიმართ დამპყრობლური გეგმები ჩაეშალა. ახლა ამოედენა ზარალის მქონე შაჰი, თავის დაზარალებული ქვეყნიდან ნახევარს კიდევ დათმობს, ოღონდ სააკაძე განადგურდეს. (ეი შაჰმა თავის სახელმწიფოს ნახევარი სასწორის ერთ პინაზე დადო, მეორე პინაზე სააკაძის მოკვეთილი თავი)

როგორი გაჭირვება და კრიზისი გაჩენილა სააკაძის აჯანყებით შაჰის ქვეყანაში, რომ ასეთ დათმობაზე წასულა ირანის „ლომი“. ე.ი. იმ ეპოქაში ვერავინ შეძლო შაჰ-აბასის იმპერიული სახელმწიფოს შერყევა, გარდა ნოსტელი გ. სააკაძის თადარიგანმა ომებმა.

## **ოპოზიციური მხარისაგან გ. სააკაძის სალიკვიდაციო გეგმა და მისი განხილვა**

1626 წელს, ცხინვალში, ამ საიდუმლო შეკრებაზე, სანამ თეიმურაზ I-სა და სააკაძეს შორის, დომენტი ავალ-იშვილის მეშვეობით, დიალოგი გაიმართებოდა. (საიდუმლოს ვამბობ იმიტომ, რომ სააკაძე გააფრთხილეს სალიკვიდაციო სამზადისისაგან თავი დაეცვა) მანამ ამ ორ პიროვნებას (თავიანთი თანამოაზრეებისაგან) ცალ-ცალკე რა შთაბეჭდილება ჰქონდათ ერთმანეთის მიმართ, რა ენადათ, რა მიზნები ამოძრავებდათ.

თეიმურაზ I-ის მიმართ სააკაძისგან უნდობლობა, შაჰის საზავო პირობაზე დათანხმებამ გამოიწვია, ახსენებოდა მარაბდის ომში მეფის თადარიგმოკლებული სარდლობა, სადაც 20 ათასი ქართველიდან 9 ათასი, თითქმის ნახევარი განადგურდა. მართალია, 9 ათასმა ქართველმა 14 ათასი ყიზილბაში შეიწირა, მაგრამ სად 50 ათასიდან (მათ მოგვიანებით 10 ათასი მიემატათ) 14 ათასი კაცის დაკარგვა და სად 20 ათასიდან 9 ათასი კაცის დაკარგვა? ბუნებრივია, ქართველ მოსახლეობაში უკმაყოფილება იქნებოდა ასეთი მსხვერპლის გამო, მცირე დროის უკან, მარტყოფის გამარჯვებით, ქართველმა ხალხმა გაიხარა, იმ დროის ქართველ საზოგადოებას, მარტყოფისა და მარაბდის ომების შესახებ მსჯელობა ექნებოდათ. იმსჯელებდნენ იმაზე, რომ მარტყოფში მცირე დანაკარგებით 27 ათასი ყიზილბაში განადგურდა, რასაც ასეთი გამარჯვება მოჰყვა, მარაბდის ომში 20 ათასი კაცის თავმოყრა ცოტა არ იყო, მაგრამ აქედან 9 ათასი რომ განადგურდება და თან ომის ნაგებაც მოჰყვება ეს მაშინ,

როცა სარდლობაც მეფეს აქვს ჩაბარებული, ასეთი მოვლენები, მკაცრ ანალიზებსა და კრიტიკას ვერ გადაურჩებოდა, ეი მარტყოფის გამარჯვებით, ხალხში ისმოდა სააკაძის ქებადიდება, მარაბდის ომის მარცხით, ხალხში თეიმურაზ I-ის მიმართ ისმოდა უკმაყოფილება. დამაფიქრებელი იყო, როცა მეფის სარდლობით, ომის წაგება ხდება, და საშუალო აზნაურის სარდლობით კი ომის მოგება ხდება. ასეთ ვითარებაში საშუალო აზნაურის ავტორიტეტის ამალღება მოსახლეობაში გაიზარდა და რაც მის მოწინააღმდეგე მხარისათვის ადვილი შესაგუებელი არ იყო. იმ გარკვეული დროის მონაკვეთში, ქართველ საზოგადოებაში მსჯელობა ხდებოდა ორ გადამწყვეტ საკითხზე, უსმინონ და მიიღონ სააკაძის გეგმა, რაც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას ითვალისწინებს, და რაც იმას ნიშნავდა, როცა ერთიანი იყო საქართველო, ძლიერიც მაშინ იყო, და დამპყრობელსაც სათანადო პასუხს აძლევდა.

თუ უსმინონ და მიიღონ თეიმურაზ მეფის გეგმა, რომელიც შაჰ-აბასის საზავო პირობაზე დათანხმებას ფიქრობს, რაც აღმოსავლეთ საქართველოს ყიზილბაშური ირანის გავლენაში, იგივე მონობაშიც კვლავ დარჩენას ნიშნავდა.

მარტყოფის აჯანყებამდის წარმატებული შაჰი თავის კუთვნილ სახელმწიფო ტერიტორიაზე ვეღარ ეტეოდა, დამპყრობლური ომებით მადა გაზრდოდა, აწიოკებდა მეზობელ ქვეყნებს და აწიოკებდა საქართველოსაც, მაგრამ მარტყოფის გამარჯვებით და შემდეგ მრავალათასიანი ჯარების განადგურებით, ფერი შეეცვალა. შაჰი ქრისტიანულ ქვეყნებისთვის ამდენი ავის მოსურნე რომ არ ყოფილიყო,

საქართველოც გადარჩებოდა და ქართველებშიც ურთიერთ-მტრობაც მინიმუმამდე დავიდოდა. როცა შაჰ-აბასი საქართველოს საზღვრებს მოადგა და კახეთის სამეფო დიდ გასაჭირში აღმოჩნდა, სწორედ მაშინ სჭირდებოდა თეიმურაზ I-ს შაჰისაგან დანდობა და განა ზავის საფუძველი არ იყო? შაჰთან მიმართებაში, როცა დედა ქეთევან დედოფალი და ორი შვილი მასთან გააგზავნა, შაჰ-აბასმა რატომ არ მიიღო ზავის პირობად? ეს უნდა ხსომებოდა თეიმურაზ მეფეს და შაჰთან სამომავლო ურთიერთობა ისე გაეთვალა, რომ მისგან ბევრჯერ ჭრილობამიყენებულ საქართველოს შენიღბული ზავი არ სჭირდებოდა, ამიტომ „ქვეყნების მპყრობელთან ზავი მგლის თავზე სახარების წაკითხვას ნიშნავდა“.

იმ დროის ქართველი ხალხის თვალწინ მოხდა საქართველოზე შაჰ-აბასის ლაშქრობები. კახეთის მოუნელებელი ტრაგედია, ხალხის გადასახლება ირანში. ამდენად ქართველი საზოგადოება შაჰის ზავის პირობას ასე მარტივად ვერ მიენდობოდა, იქნებოდა ორჭოფული, სკეპტიკური მდგომარეობა. სააკაძის თანამოაზრეებმა მშვენივრად იცოდნენ, შაჰის დროებითი ლმობიერება, მაგრამ იქნებოდნენ ისეთებიც, რომელნიც ვერ ერკვეოდნენ თუ რის მომასწავლებელი იყო შაჰისაგან ზავის პირობა. რადგან სააკაძე ირანში იყო და კარგად იცნობდა შაჰ-აბასს, რჩევას ეკითხებოდნენ, სააკაძე ასეთ ხალხს მთელი ენთუზიაზმით გაუწევდა აგიტაციას, რომ შაჰს მხოლოდ დროებით ესაჭიროებოდა ქართველებთან დაზავება და თავის დამპყრობლურ მიზნებს საქართველოსთან კვლავ განახორციელებდა. სააკაძისაგან ასეთი აგიტაციები აღწევდა თეიმურაზ მეფის ყურამდის, ხალხი სააკაძისაგან ახსნა-განმარტებას, შაჰ-აბასის ზავის პირობის

არასანდოობას, გაფრთხილებად აღიქვამდა, თეიმურაზ I და მისი მომხრეები „მჩურჩნელად“.

ვახუშტი ბატონიშვილი, სააკაძის მიმართ, თეიმურაზ I-ის განწყობას გამოხატავს როცა ასე მიმართავს – „რომ დღითი-დღე არა დასცხრები ლაპარაკისაგანო და ჩურჩულისაგანო“. როცა შაჰ-აბასი თავისი დამპყრობლური გეგმების განხორციელებას ცდილობს აღმოსავლეთ საქართველოში, რახან ამას ვერ მიაღწია ახლა, ზავის პირობით, გავლენის შენარჩუნებას ფიქრობს. სააკაძისაგან კი მტრის სანინააღმდეგო თადარიგების დაჭერა, ხალხისათვის სწორი ინფორმაციის გაცნობა, რომ შაჰს ზავი მხოლოდ ძალების მოკრებისთვის სჭირდება დროებით. მკითხველმა თვითონ გამოიტანოს ანალიზი, სააკაძისაგან ეს „მორჩილეობა“ იყო თუ ერისაგან, ხალხისაგან, შინაგანი ძალების გამოხმობა, რომ როგორმე თავი დააღწიო მტერს?

მკითხველი ბუნებრივად მიაქცევს ყურადღებას იმ მოვლენას, რომ შაჰისაგან გამოგზავნილი დაუდ-ხან უნდილაძე, თბილისში კონფიდენციალურად შეხვდა თეიმურაზ I-ს. საუბარი ძირითადად საზავო პირობას ეხებოდა, ანუ ეს შეხვედრა, ქართველ ხალხისადმი ხომ იყო არასასურველი, იძულებით თავსმოხვეული მდგომარეობა. რადგან იძულებითი იყო, ამიტომ თეიმურაზ I და დაუდ-ხან უნდილაძე კონსპირაციულად შეხვდნენ თბილისში.

საკაძის მიმართ „მჩურჩნელობა“ არა მართებულადაა ნათქვამი, და იგრძნობა, მეტვრამეტე საუკუნის თეიმურაზ I-ის ნათესავთა და მომხრეთა ზეგავლენა ამავე საუკუნის მემატრიანეზე. მჩურჩნელობა იგივე მეჭორავესაც ნიშნავს და

საკაძის ხასიათიდან ძალზედ დაშორებულია. მაღალი ზნეობის ადამიანები და სამაგალითო ვაჟკაცები ქართულ მოდგმას არასოდეს დაეღვეა, ვინაც შრომაში გულმოდგინედ ირჯება, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს კონკრეტულ საქმეში და ამით ღირსეული სამსახური გაუწიოს თავის ქვეყანას, ასეთ ადამიანებს საჩურჩულოდ და საჭოროოდ დრო არ რჩებათ! კაცს, რომელსაც არც ერთი თავისი მოძულე, უფრო სწორად, დამაქცევარი არ დაუსჯია, შვილები ანაცვალა თავის ქვეყანას, იობის მოთმინებით იტანდა დამცირებას და ცილისწამებას, რისთვის აკეთებდა ყოველივე ამას, თუ სააკაძეში მაღალი ბუნება და თავისი ხალხის მოსიყვარულე გული არ ფეთქავდა? სააკაძეს თავისი შვილის პაატას სიყვარული, თავისთავზე მაღლა ედგა, პაატას სიყვარულზე უფრო მაღლა კი სამშობლოს სიყვარული. ეს რომ ასე იყო გაცხადებულია იმ ვითარებაში, რომ ირანში ჩასული როგორც კი გააცნობიერებს შაჰ-აბასის ავ გეგმებს საქართველოს მიმართ, ვალდებულებას იღებს თავის თავზე, კონსპირაციულად, შაჰის წინააღმდეგ აჯანყება მოამზადოს. სააკაძეს განდიდების სურვილი, მიზანი რომ ჰქონებოდა, იგი ირანში დაამთავრებდა უშფოთველ სიბერეს და პაატა და ავთანდილიც ცოცხლები შერჩებოდა, ე.ი. იბადება კითხვა, გ. სააკაძე ფუფუნების მოსურნე რომ ყოფილიყო, შაჰ-აბასმა ორივე ხელით ირანის კარი გაუღო. მაგრამ რალაც ზე ძალა ირანში სამუდამოდ დარჩენის უფლებას არ აძლევდა, მაშ ის სხვა რალა ძალა იყო? რაზე გაიტანჯა თავი და მთელ ოჯახს მოუსვენარი დღეები დაუყენა. აქ თავის მინაზე, მოსვენება თავისმა თანამემამულეებმა დაუკარგეს, აყარეს დედა-ბუდიანად და ირანისკენ ლტოლვილობის გზას გაუყენეს. იქ ირანში ჩასულმა სააკაძემ თვითონვე დაუკარ-

გა საკუთარ თავს მოსვენება. ირჩია სარისკო გზა და მთელი თავისი ოჯახის წევრები დააყენა შფოთიან გზაზე, შაჰის წინააღმდეგ აჯანყება წარმატებით ჩაატარა, მაგრამ, აბა, წარმოვიდგინოთ, აჯანყება წარუმატებელი გამხდარიყო, პაატა ორივე შემთხვევაში ხომ განწირული იყო. როგორც ჩანს, თვით-განცხრომით ცხოვრება მისი მიზანი არ იყო და საერთოდ სააკაძე განცხრომისათვის არ იყო დაბადებული. ოღონდ თავისი ქვეყანა გადარჩენილიყო, ორივე შვილი ამ მისიას ანაცვალა და ირანის კარიც მისთვის სამუდამოდ გამოიკეტა. სააკაძეს განსაცხრომი, დასაწყნარებელი დრო არასოდეს არა ჰქონია, მისი დაცხრომა შეუძლებელი იყო მანამ, სანამ მტრის საომარი ჯარები ქართულ მიწას არ დაეხსნებოდნენ.

ენერგიაჩამცხრალი რომ ყოფილიყო სააკაძე, ამდენ ომებს ვერ გადაიხდიდა, და სიყვარულ და ემოცია ჩამცხრალი კაცი ვერც საქართველოს გაერთიანებაზე იფიქრებდა.

მკითხველის ყურადღება მინდა გავამახვილო ცხინვალში თავყრილობის შესახებ. ისტორიულად არ არის ცნობილი, თუ რა საჭიროება ითხოვდა ცხინვალში ქართლ-კახეთის მეფე დიდებულების თავმოყრას, მაგრამ ფაქტი აშკარად გამოჩნდა, რომ სწორედ ამ შეკრების თაობაზე ორჯერ გააფრთხილეს სააკაძე, რომ თეიმურაზ I მის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებდა და ბაზალეთამდის კი მცირე დროა დარჩენილი. რადგან მეფე და დიდებულები ცხინვალში შეიკრიბნენ, მათი თავმოყრა საგანგებო კრებას ჰგავს, მათთვის რალაც არასასურველი მოვლენა უნდა განიხილონ, რაც ფაქტად დადასტურდა, რომ ინფორმაცია საიდუმლოდ გაჟონა სააკაძის ლიკვიდაციის შესახებ. (ცხინვალის შეკრება 1612 წლის 20

მაისის წავკისის შეთქმულებას ჰგავს, მაშინაც გააფრთხილეს და აქაც აფრთხილებენ სააკაძეს) რადგან სააკაძეს ჰყავს ერთგული ხალხი და ისინი ატყობინებენ მოსალოდნელ განსაცდელებს, თეიმურაზ I-საც ხომ ჰყავდა თანამოაზრეები, და მათი ერთგვარი სამსახურებრივი მოვალეობაც კი იყო, მეფისათვის საიდუმლო მოვლენების შეტყობინება.

რა უნდა ყოფილიყო სააკაძისგან საიდუმლო გეგმა? 1. მეფისგან შაჰის საზავო პირობაზე დათანხმებით გამონვეული აღშფოთებით ანალიზის გაკეთება, თუ ყოველივე ეს თეიმურაზ I-ს რისთვის ესაჭიროება, როცა მეფისგან ასეთი მდგომარეობა ჩრდილს მიაყენებდა საქართველოს გაერთიანების გეგმას. ვინმეს ბაგეზე სიტყვა გამოკრთება, რომ სააკაძეს თეიმურაზისთვის, კახეთთან ერთად ქართლის მეფობაც არ შეეთავაზებინოს? –

ქართულ ეროვნულ ინტერესებს შაჰის ზავის პირობა და მასზე მეფის დათანხმება უფრო ესაჭიროებოდა, თუ მთელი ქართული ენერჯის ერთ მუშტად შეკვრა და მტრის წინააღმდეგ ბოლომდის ბრძოლა? რადგან შაჰმა ქართველთა შორის თავისი ზავის პირობით განხეთქილება ჩამოაგდო, ცხადია, სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულების და ლიკვიდაციის მიზეზიც გამოიძებნებოდა. რადგან ცხინვალში. მეფე თეიმურაზისა და ქართლ-კახეთის დიდებულთა შეკრება განსაზღვრულ დღესა და გარკვეულ დროს უნდა შემდგარიყო, ჩანს სააკაძეც იმ შეკრებაზე მიწვეულია; მთავარია, ნათელი მოეფინოს, სააკაძეს შეთქმულების შესახებ გაფრთხილება ორჯერ რატომ დაჭირდა?

საკაძეს თავისი ერთგული ხალხი პირველად მაშინ

გააფრთხილებდა, როცა შეკრება დაინიშნა და შეკრების მოთავემ სააკაძეც მიიწვია. ნავკისური 1612 წლის, მსგავსი მდგომარეობაა, სააკაძის გამაფრთხილებელი ბააკა ხერხეულიძის მსგავს მდგომარეობაშია, რომ მეფის საიდუმლო შეკრების გეგმა სააკაძეს უნდა შეატყობინოს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ საგანგებო ცნობის მიმწოდებელს დრო აქვს, და სააკაძისათვის გამხელის შემდეგ საიდუმლოდ დარჩება. (ნავკისის შეთქმულებაში როგორც კი ინფორმაცია შეიტყო, ბააკა ხერხეულიძემ, სააკაძის ლიკვიდაციის შესახებ იმ წუთიდანვე სიკვდილის რისკზე დააყენა თავისი სიცოცხლე) ნავკისისა და ცხინვალის, ორივე შეთქმულების შემთხვევაში მეფეები იყვნენ ჩარეულნი, თავიანთი ავტორიტეტებით და მეფური მდგომარეობით, ამას უნდა მივაქციოთ ყურადღება და ვთქვათ, როგორი მაღალი ზნეობის ხალხია, ეს ორივე პიროვნება, რომ არად აგდებდნენ მეფეთა მონაწილეობას შეთქმულებაში, სადაც მათი სიცოცხლეც, ამ ვითარებამ შესაძლოა სიკვდილის ზღვარზე დააყენოს. მაინც, თავიანთი ქვეყნისათვის სააკაძის სიცოცხლე ურჩევნიათ და აფრთხილებენ თავი გადაირჩინოს. (განსაკუთრებით ბააკა ხერხეულიძე) პირველი გაფრთხილებისას, როგორც ჩანს, სააკაძეს არ ეჯერება თეიმურაზისაგან თავის წინააღმდეგ შეთქმულება, და გულდანდობილად მიდის შეკრების ადგილას. როგორც კი მისი ერთგული ხალხი დაინახავს, რომ სააკაძე ალაღად მიემართება, სადაც ის მიიწვიეს, მეორეჯერ გააფრთხილებენ მას.

რადგან სააკაძე მეორეჯერ იქნა გაფრთხილებული, მოსალოდნელი საფრთხის შესახებ, ის მოჩურჩულეობა, როგორც მას იმ დროს უნოდეს, მისაგან მოჩურჩულეობა თუ

ავ მიზნებს შეიცავდა, მაშინ ასე გულდანდობილად და უშფოთველად შეკრების ადგილას არ გაემართებოდა. სიმართლე გაუზნარავი ფოლადია, როგორც იმ დროის სააკაძის შესახებაა ნათქვამი „რით ვერ დასცხრები ჩურჩულისაგანო“ მოჩურჩულეობა ხომ შეთქმულების საფუძველია. წიგნის მკითხველს ვეკითხები: – სააკაძე აწყობდა შეთქმულებებს თავის თანამოძმეებთან თუ სააკაძეს უწყობდნენ შეთქმულებებს?

დავაკვირდეთ, სააკაძეს გულადობა და უშიშრობა არ აკლდა, მაგრამ ცხინვალის შეკრებაზე ისე გულ-მინდობილად მიდის, მცირედი ეჭვიც კი არა აქვს, თუ თეიმურაზი მას შეთქმულებას მოუწყობს, მით უმეტესი, მარტყოფის ომის გამარჯვების ორგანიზატორს, თავის ქვეყანას დიდი სიყვარული შვილის განწირვითაც რომ დაუმტკიცა, ვერ წარმოუდგენია ასეთი უმადურობა და ამ საფუძველზედ მიდიოდა ასე უშფოთველად.

როგორც ჩანს, მეორეჯერ გაფრთხილება სააკაძისათვის დამაფიქრებელი გახდებოდა, ნავკისის შეთქმულებაც გაახსენდებოდა და სიფრთხილეს გამოიჩინდა, სადარბაზოდ თავშეყრის ადგილას აღარ შევიდოდა, ეს ჩანს იქიდან, რომ დომენტი ავალიშვილს აგზავნის თეიმურაზ I-თან, ახსნა-განმარტებისათვის, რატომ გადაუწყვეტია მის წინააღმდეგ შეთქმულება. თეიმურაზს, რომელიც არ ელოდა თუ მისგან – სააკაძისადმი შეთქმულება გაცხადდებოდა, შეუცხადებია, – ჩემს ერთგულ კაცზე ამას როგორ ვიფიქრებდიო, თუმცა, შინაგანი განწყობა მაინც ვერ დაუმაღავს და შეუთვლია, – შენ იყავ მეფე ლუარსაბ II-ის სისხლის მღვრელიო.

სწორედ აქ არის შაჰ-აბასისაგან და თეიმურაზისაგან,



თავის თანამოაზრე დიდებულებთან ერთად, მოფიქრებული ასეთი ვერაგი აზრი და გეგმა, რომ სააკაძის ლიკვიდაციას მიზეზად ლუარსაბ II-ის სიკვდილი წაუმიძღვარეს.

შაჰ-აბასს, რომელსაც სააკაძემ ჯარი გაუნადგურა, ჩაუშალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის გეგმა, მით უმეტესი, წერილების საშუალებით, ერთმანეთზე წაკიდების შეუცვლელი ოსტატი და ინიციატორი შაჰი, რომელმაც დიდი მცდელობით ლუარსაბ II-ე ირანში წაიყვანა, და სარწმუნოების შეუცვლელობის გამო 1622 წელს მოაკვლევინა, და ამით შვება იგრძნო, რომ ქართლი თავის ნებაზე ემართა, ახლა ამ დაუდგომელმა გურჯმა მოურავმა, მარტყოფის აჯანყებით, ირანის სახელმწიფო ძალმოსილება შეარყია, ეი შაჰ-აბასმა ღრმად გააცნობიერა, თუ საქართველო გაერთიანდებოდა, ის თავის ჩვეულ გავლენას ვეღარ იქონიებდა აღმოსავლეთ საქართველოზე და ხელიდანაც გამოეცლებოდა.

ქართველმა ხალხმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ ტაშისკარის ომის გამარჯვების განმსაზღვრელი, და ამ საფუძველზე პოპულარული სააკაძის დას მეფე ლუარსაბ II-ე ცოლად შეირთავს, იგი ქართლის დედოფალი გახდება; სააკაძის პოპულარობასთან შეუთვისარი, ნაწილ დიდებულთა ფსიქოლოგია, 1612 წელს, მას ლიკვიდაციის მიზნით, შეთქმულებას მოუწყობენ, იგი გადარჩება და როგორც მიუსაფარი ირანის გზას დაადგება.

ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს, ირანის გზაზე დამდგარ სააკაძეს მოსაკლავად წინ კოლოტაური შემოეყრება, სააკაძე მას დაინდობს, არ მოკლავს და ირანისკენ გააგრძელებს გზას. კაცს, რომელსაც სასიკვდილო განაჩენი

გამოუტანეს, კაცს, რომელსაც სახლ-კარი გადაუწვეს, კაცს, რომელსაც ლტოლვილის ხვედრი არგუნეს, კაცი, რომელიც ჯერ ირანში ჩასული არ არის და ამდენად, არც შაჰ-აბასის დამპყრობლური გეგმები საქართველოსადმი იცის, და ამდენად არც აჯანყებისთვის სამზადისია, და საამისოდ არც სასამართლოს შესახებ, რომ პირადი მტრები შემოირიგოს ფიქრიც კი არ ჩანს, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი, გულდამდურული ადამიანი გაერიდა თანამომხმეებთან ქიშპობას და სხვა ქვეყანაში მიდის, თანამემამულეებისაგან მთელი ოჯახიანად განწირული. ამ კოლოტაურს მისი მოკვლა ან შეპყრობა უნდა, სააკაძე მალალი ბუნების კაცი რომ არ ყოფილიყო, კოლოტაურს მოკლავდა.

ქართველმა ერმა იცის და არასოდეს დაივიწყებს იმას, რომ 1615 წელს, როცა სააკაძე ქართლში დაბრუნდა, შემინებულმა ქაიხოსრო ჯავახიშვილმა იმერეთის გზას მიაშურა, სააკაძის ხალხმა შემოაბრუნა და შერიგების ხელი გაუწოდა, მიუხედავად ამისა, მან ფარსადანს ჯარი სთხოვა სააკაძის ხელმეორედ მოსაკლავად.

ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ 1620 წელს სააკაძე სასამართლოს აწყობს იმ მიზნით, რომ პირადი მტრები შემოირიგოს და შაჰ-აბასის წინააღმდეგ აჯანყების თადარიგი წარმატებით ჩაატაროს.

ქართველმა ერმა იცის და არ დაივიწყებს იმას, რომ ნაწილ დიდებულთაგან, ქართლიდან სააკაძის გაძევების შემდეგ, ლუარსაბ II-ს ცოლი არ შეურთავს, ძე არ დაუტოვებია. ის, როგორც მეფე, მოვალეც იყო ეს მისია შეესრულებინა, ვინაც სააკაძე გააძევეს, მათი ასულები მზად იყვნენ, თუ

ლუარსაბი მოისურვებდა, რომელიმე მათგანი დედოფლად გვერდით დაესვა და ჯვარი დაენერა, როცა უკვე ცოლ-განტევებული იყო, რაღა უშლიდა ხელს?

ლუარსაბ II-ს რომელიმე მათგანის ასული სადედოფლოდ რომ შეერჩია და ჯვარი დაენერა, ეს იქნებოდა უტყუარი დასტური მეფისგან, სააკაძისა და მისი დის სამუდამო უარყოფისა, კიდევ ვიმეორებ, ლუარსაბ მეფისგან დიდებულთა ასულებისადმი დუმილი, იგივე გულგრილობა და მათ მიმართ პროტესტის გამოხატვის ნიშანი იყო, მეორეს მხრივ მეფისაგან დუმილი, სინანული უფრო იყო ცოლის განტევებისა და სააკაძის გაძევების გამო.

ქართველმა ერმა იცოდა, ფიქრობდა და არ დაივიწყებს იმ მოვლენას, რომ 1612 წელს სააკაძე ირანში ჩავიდა, შემდეგ 1615 წელს შაჰმა ლუარსაბ II-ე ირანში ჩაიყვანა, 1615 წლიდან 1622 წლამდის სანამ შაჰი ლუარსაბს სიკვდილით დასჯიდა, მთელი ეს დრო ანუ შვიდი წელი, ირანში მყოფი სააკაძის ხელში არ იყო? თუ რამე ცუდი განაზრახი ჰქონდა ლუარსაბისადმი სააკაძეს, ამ დროს არ გამოიყენებდა? ლუარსაბ II-ე შეთქმულების ორგანიზატორი არ იყო, იგი შეთქმულთაგან ძალდატანებით გადაბირებული მეფე იყო. როცა სააკაძე, თავის პირად მტრებს შერიგების ხელს უწვდის და მის წინაშე ამხელა დანაშაულებს ჰპატიობს?

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ის თავისი სათაყვანებელი მეფის სიმონ I-ის იდეებზე და ზნეობრივ მაგალითებზე იყო აღზრდილი, ყველას მპატიებელი სააკაძე, სიმონ I მეფის სულის წინაშე თავს შეირცხვენდა, და მის უსპეტაკეს შვილიშვილზე ლუარსაბზე აღმართავდა ხელს?

აქაა წარმოჩენილი მეფისა და ნაწილ დიდებულთა სააკაძის მიმართ არა სამართლიანი მოპყრობის მიზანი. რა უგერგილობის აბდაუბდა მოხვეოდათ მათ გონებას, რომ კარგად უნდა ხსომებოდათ იმერეთის კარზე მყოფთ, თუ როგორ ჩაუვარდა შაჰ-აბასს ხელში ლუარსაბ II-ე სარუ ხოჯასა და შადიმანის მეშვეობით და იმ დღიდან ქართლში მისი ვერ დაბრუნების ბედიც გადაწყდა.

შაჰ-აბასმა თეიმურაზ I-ს, ზავის პირობით, ახალი რა შესთავაზა, როცა მარტყოფის გამარჯვების შემდეგ, სააკაძის მონადინეობით თეიმურაზი უკვე იყო მონვეული ქართლ-კახეთის მეფედ? შაჰმა ვერ შეისრულა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის სურვილი, მაგრამ ის ყველა ხერხით ცდილობდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველო არ გაერთიანებულიყო, რომ მას გავლენა არ დაეკარგა აღმოსავლეთ საქართველოზე. ამ მხრივ, შაჰს იმედი შეუქმნეს თეიმურაზ I და დიდებულთა ნაწილმა, მიიღეს შაჰის ზავის პირობა და ეს უკვე იყო მიზეზი სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყობა.

წიგნის მკითხველისათვის ყოველთვის დამაფიქრებელი იქნება ის მკაცრი რეალობა, რომ ქრისტიანობაშეუცვლელ დიდებულთა ნაწილმა, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

წიგნის მკითხველისათვის ყოველთვის დამაფიქრებელი იქნება ის რეალობა, რომ ქრისტიანობაშეუცვლელი დიდებულთა ნაწილი, სააკაძეს სამჯერ უწყობს შეთქმულებას.

და ქრისტიანობა შეცვლილი სააკაძე, მტრულად განწყობილ თანამოძმეთა მიმართ ტოლერანტი და მიმტევებელია!

რადგან სააკაძესა და თეიმურაზ მეფეს შორის საერთო ენა ვერაფრით გამოინახა, სააკაძე იძულებული გახდა საქართველოს გაერთიანება სხვა გზით მოეხერხებინა. აქაც ღრმად უნდა დავაკვირდეთ სააკაძის საქციელს. იგი პირდაპირ არ გადადის იმერეთის სამეფოში გიორგი III-სთან მოსალაპარაკებლად, მისი შვილის ალექსანდრეს, ერთიანი საქართველოს მეფის, კანდიდატურის შესათავაზებლად. არამედ ჯერ ქაიხოსრო მუხრან ბატონს ეთათბირება ქართლის გამგებლობა ჩაიბაროს, იგი ბაგრატიონი იყო და სამეფო პოზიცია ჰქონდა სააკაძეს ქაიხოსროსთვის ქართლის მეფობის უფლება რომ ჩაებარებინა, ეს იქნებოდა აღიარება ქართლის სამეფოს პირვანდელი – მდგომარეობისა, რის გამოც საქართველოს გაერთიანების იდეაც და რესურსიც შემცირდებოდა, ამიტომ ქაიხოსრო მუხრან ბატონისაგან ქართლში გემგებლობა იყო უკეთესი პოზიცია. ასეთმა ვითარებამ, კახეთის სამეფოდან ქართლის გამოყოფა გამოიწვია, რაც მარტყოფის გამარჯვების შემდეგ, სააკაძის აქტიურობით, ქართლიც თეიმურაზ I-ს (კახეთის მეფე იყო) ჰქონდა ჩაბარებული. აქ უნდა დაისვას შეკითხვა: – რამ განაპირობა ის აუცილებლობა, რომ სააკაძეს ეფიქრა კახეთის სამეფოსაგან ქართლის სამეფოს გამოყოფაზე და ქართლში გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დაენიშნა. რამაც შაჰის ზავის მიღების მომხრე თეიმურაზი გააღიზიანა. ამ მოვლენების სწორი ორიენტაციისათვის უნდა გავიხსენოთ 1626 წელი, შემოდგომის დასაწყისი. ცხინვალის შეკრება, სადაც გამჟღავნდა თეიმურაზ I-ის სააკაძის მიმართ შეთქმულება, სანამ სააკაძე თეიმურაზს დარბაზში ეახლე-

ბოდა და მანამ ორჯერ იქნა გაფრთხილებული, რომ მის წინააღმდეგ ისევ შეთქმულება მზადდება და ამის მოსურნე შაჰ-აბასისაგან გადაბირებული თეიმურაზ I-ია, სააკაძემ ეს ინფორმაცია ქაიხოსრო მუხრან-ბატონსა და იესე ქსნის ერისთავს გაანდო, მათ არ დაიჯერეს და გაკვირვება გამოხატეს. (დავაკვირდეთ, სააკაძის წინააღმდეგ უკვე მესამეჯერ იგეგმება შეთქმულება.)

საკაძე თავის გარემოცვით თეიმურაზ I-ის სიახლოვეს განერიდება და საგონებელში ჩავარდება, ეს უკვე მეტისმეტი იყო. რადგან სააკაძე ორჯერ გააფრთხილეს, მის წინააღმდეგ შეთქმულება გარდაუვალი ჩანს, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ფაქტი ის იყო, რომ მის სიცოცხლეს დამცველები ჰყავს და მისი სიცოცხლის გაფრთხილება ქართველი ხალხის დიდი ნაწილისაგან აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საქართველო გაერთიანდეს და ერთ მთლიან სახელმწიფოდ იქცეს.

(ქართველი მკითხველი გულისტკივილით დაფიქრდება იმის შესახებ, რომ ჯერ იყო და მარტყოფის აჯანყებამდის ალაიანის ველზე, ვითომ იმერეთზე ლაშქრობისათვის, ყორჩიხა-ხანისაგან კახელების თანამონაწილედ გადმოყვანა, სინამდვილეში მათი განადგურება ენადათ. ეს გეგმა ყორჩიხა-ხანმა და სააკაძემ იცოდნენ. კახელი მეომრები თავიანთ განადგურების ცნობას კონსპირაციულად შეიტყობენ და თავს დაიხსნიან. ამ მოვლენამ, ეჭვი პირდაპირ სააკაძეზე შეაჩერა და სასწრაფოდ გაიგზავნა ფაიქი ირანში, შაჰ-აბასთან, როგორ მოქცეოდნენ სააკაძეს. შაჰმა პირდაპირ ბრძანა, – „მოურავს თავი მოჰკვეთეთ, ქართლი აჰყარეთ.“ საბედნიეროდ, სააკაძის სიფრთხილემ, თავიც გადაირჩინა და წერი-

ლის შინაარსი გამოიყენა ქართული ეროვნული სიმტკიცის მობილიზაციისთვის. რამაც მარტყოფის გამარჯვება განაპირობა.)

მიუხედავად ამისა, ახლა თავისი თანამემამულეები სიკვდილის განაჩენს უმზადებდნენ, იმ ძირითადი მიზეზის გამო, რომ ჯარებგანადგურებულ შაჰ-აბასს, ძალების მოსაკრებად ზავი სჭირდებოდა, შაჰის ზავის პირობაზე თანხმობა თეიმურაზ I-ს სჭირდებოდა, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის შესანარჩუნებლად. მათი გეგმების მონინალმდეგე და საქართველოს გაერთიანების მოსურნე სააკაძე უნდა განადგურებულიყო.

თავდაპირველად, როცა მარტყოფის ომი გამარჯვებით დამთავრდა, სააკაძეს მეფე თეიმურაზისადმი იმედი და სიმპათია ჰქონდა, რომ ის ქართლ-კახეთის და შემდეგ ერთიანი საქართველოს მეფობას შეძლებდა, მარაბდის ომის მოვლენებში სააკაძე თეიმურაზისადმი უნდობელი გახდა, უფრო უარესი კი ის იყო, რომ სააკაძისაგან ჯარგანადგურებული შაჰ-აბასის ზავის პირობებს დათანხმდა, ამან ისედაც უკვე არსებული უნდობლობა თეიმურაზისადმი უფრო გააღრმავა, და ბოლოს სააკაძემ ხელი აიღო თეიმურაზ I-ის იმედზე უფრო იმის გამო, რომ შეიტყო 1626 წლის შემოდგომის დამდეგს ცხინვალში თეიმურაზ I-ს სააკაძის წინააღმდეგ შეთქმულებას ამზადებს. იმ დროს ეს უნდა ყოფილიყო ძირითადი მიზეზი, სააკაძისაგან ქართლის გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონის დანიშვნისა, რომ ქართლი კახეთის სამეფოსაგან გამოყოფილიყო.

მკითხველს ბუნებრივად გაუჩნდება აზრი იმისა, რომ,

რადგან ქაიხოსრო მუხრან ბატონი ბაგრატიონი იყო და ის სააკაძემ ქართლის გამგებლად დანიშნა, რატომ არ შეიძლებოდა, თუ მოხდებოდა და აღმოსავლეთ და დასავლეთი საქართველო გაერთიანდებოდა, ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურა ქაიხოსრო ყოფილიყო. იმერეთის მეფემ მშვენივრად იცოდა სააკაძის გეგმები, მარტყოფის აჯანყების შესახებაც და შემდეგ საქართველოს გაერთიანების შესახებაც. ამ მხრივ ის ხელს უწყობდა სააკაძეს, იმდენად თანაუგრძნობდა, რომ მზად იყო თავისი შვილი ხვარამზე სააკაძის შვილს შეერთო ცოლად და თუ სააკაძე ერთიანი საქართველოს მეფის ტახტის დამკავებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონს მიიჩნევდა, იმერეთის მეფე გიორგი, დამაჯერებელია რომ იგიც თანახმა იქნებოდა. (როგორც ჩანს, სააკაძე საქართველოს გაერთიანების გზას თანმიმდევრული სვლებით და ლოგიკით ცდილობდა, იმერეთის მეფის შვილ ალექსანდრეზე როგორც ერთიანი საქართველოს მეფე, ბოლოს შეაჩერა ყურადღება) სააკაძე იფიქრებდა ამ ვითარებაზე, თუ რა მოვლენა რა მიმართულებას მიიღებდა და როგორი შინაარსით შეიმოსებოდა. ქაიხოსრო მუხრან ბატონის უფროსი ძმა თეიმურაზ მუხრან-ბატონი სააკაძის სიძე იყო, (ის მარაბდის ომში დაიღუპა) და ამ მხრივ საქართველოს მოსახლეობაში უხერხული ამბიცია რომ არ გაჩენილიყო, რომ სააკაძე პირად ინტერესებს უფრო წინ აყენებს, ვიდრე ერთიანი საქართველოს ინტერესებსო. მას ქაიხოსროსთან შეთანხმება ექნებოდა ქართლის გამგებლობა დროებით დაეკავა. დავაკვირდეთ, თუ ქაიხოსრო მუხრან-ბატონი ერთიანი საქართველოს მეფე გახდებოდა და იგი სააკაძის სიძის თეიმურაზის ძმაა, ასეთი მდგომარეობა ხომ უკეთესი იქნებოდა სააკაძისთვის,

მაგრამ იგი ამას არ ცდილობს, ეს გარემოება მისთვის მესამე, მეოთხე საკითხადაა დაყენებული. მისთვის უმთავრესია ქვეყანა გაერთიანდეს. (ქაიხოსრო მუხრან-ბატონი სააკაძის გეგმებისა და მიზნების მაღიარებელი რომ არის, ეს ჩანს იმაში, რომ იგი სააკაძესთან ერთად იბრძოდა ქსნის ომში, ბაზალეთის მოვლენებში მის გვერდით იდგა და სამნუხაროდ, ვერ გაერთიანდა ქართული ეროვნული რესურსი. სააკაძე იძულებული გახდა ისევ გასცლოდა თავის ქვეყანას და ოსმალეთს მიაშურა, მასთან ერთად იყო ქაიხოსრო, მუხრან ბატონიც, რომელიც სააკაძის მომხრე სხვა ქართველებთან ერთად 1629 წელს ტრაგიკულად აღესრულა.)

სპარსეთში ჩასული და შემდეგ 1615 წელს, ქართლში დაბრუნებული სააკაძე გამუდმებით ფიქრობს საქართველოს მდგომარეობაზე, რომელიც სამ სამეფოდაა დანაწილებული. მას დავით აღმაშენებლის მოღვაწეობა უდიდეს საფუძვლად მიაჩნდა, რომ ქართველმა ერმა არ დაჰკარგოს იმედი და რწმენა საქართველოს გაერთიანების შესახებ. ამის გამოც ფიცი აქვს დადებული მის საფლავთან, მაგრამ შედარებაც უნდა მოვახდინოთ, რომ დავითი ბაგრატიონი იყო და რა წინააღმდეგობაც დაძლია ერთიანი სამეფოს შექმნისთვის წინ ვერაფერი აღუდგებოდა – უწინარესად, წინ უძღვოდა მეფური პოზიციების ანუ უფლებების სიმტკიცე. სააკაძე საშუალო აზნაურია, წადილი და სურვილი მეფე დავითს და სააკაძეს ერთნაირი ჰქონდათ, შესაძლებლობანი სხვადასხვა. მეფეს შეეძლო, ქვეყნის გაერთიანების გეგმის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფი დაესაჯა და ციხის კედლებს ამოეფარებინა. ასეთ ვითარებაში ხომ საქართველოს გაერთიანების მიზანს, მწვანე შუქი აენთებოდა, საშუალო აზნაურს

რა ექნა? შაჰ-აბასის 90 ათასიანი არმიებიდან 65-70 ათასი განადგურდა, ეს უმთავრესი გაკეთდა, ისევ ერთსულოვნური თანადგომა რომ ყოფილიყო ქართველებში, შაჰი მათ მიმართ, ზავის პირობას ვეღარ წამოაყენებდა და საქართველოს გაერთიანების საქმესაც ნათელი ფონი შეექმნებოდა.

საქმეც ამაშია, შაჰ-აბასმა იცოდა ყველა ნიუანსი, რაც აღმოსავლეთ საქართველოში ხდებოდა. რომ არა სააკაძე, იმ ხანებში საქართველოს გაერთიანებაზე არავინ ფიქრობდა. რადგან შაჰმა, თავისი ზავის პირობით, ქართველთა ფსიქოლოგია ორად გაყო, ამით სააკაძის საქართველოს გაერთიანების იდეას ოპოზიცია გაუჩინა. როგორც კი ასე განვითარდა მაშინ არსებული მოვლენები, დიდებულთა ნაწილს არასასურველად მიაჩნდა სააკაძისეული საქართველოს გაერთიანების იდეა, მის დამოუკიდებელ მოქმედებებსა და მიზნებს „უფროსობა“ დაარქვეს. (ჩვენ ქვემოთ შევეხებით, რა მოვლენებში იყო სააკაძე თავმდაბალი და რა მოვლენებში გამოჩნდა მისგან ეგრეთწოდებული უფროსობა.)

ქართველმა ხალხმა სააკაძის შესახებ იცოდა ის, რომ იგი საშუალო აზნაური იყო და ამავე დროს თავმდაბალიც.

მართებულია აქვე ისევ მოვიყვანოთ შეფასება სააკაძის შესახებ, „არ ავმალდეთ თავმდაბალნი, სიტყვა არ ვთქვათ შეუგვანი“.

### **დიდ მოურავიანი**

ახლა ეს თავმდაბალი სააკაძე გამრიგე გამხდარა ქართლის საქმეებისა და მკითხველს მაშინვე გაახსენდება პოეტ

არჩილის ნათქვამი „მოურავი უფროსობდა“, რისი ფაქტიც სახეზე იყო. დადასტურებულია რომ გ. სააკაძის, როგორც საშუალო აზნაურის ინიციატივით, ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენელი ქაიხოსრო ინიშნება ქართლის გამგებლად.

მეფე არჩილისაგან, სააკაძის მიმართ კი ითქვა „მოურავი უფროსობდაო“, მაგრამ სამწუხაროდ, ასეთი შეფასება ბუნდოვან ელფერს იძენს, როცა აღარ განმარტავენ, როდის, რა ვითარებების შემდეგ იკითხება ნაწილ დიდებულთა მიმართ, სააკაძისაგან უფროსობა.

ქართველი ხალხი ვალდებულია ისტორიული სიმართლით ღრმად ჩაუკვირდეს ამ ორი სიტყვის „მოურავი უფროსობდა“ შინაარსს, სადაც ქვეცნობიერად მიგვანიშნებს, რომ დიდებულთა ნაწილი, სააკაძისაგან უფროსობად აღიქვამს იმ მოქმედებას, რა მოქმედება და მოწადინებობა საქართველოს გაერთიანების იდეაში იჯდა და, სააკაძე ამისათვის ხან ფარულად და ხან ღიად იღწვოდა. თეიმურაზ მეფე და დიდებულთა ნაწილი ისედაც იყვნენ უფროსები, თავთავიანთ სათავადოებში, თეიმურაზ I კი ქართლსა და კახეთში, ვინ ეცილებოდათ უფროსობაში? თუ შნო ჰქონდათ, ეუფროსათ შაჰის ჯარების წინააღმდეგ, მტკიცედ და ერთსულლოვნად და არა ორჭოფულად. ამოდენა ზარალი მიაყენა შაჰ-აბასმა კახეთს, იგივეს და უარესს უმზადებდა ქართლს, სიკვდილით დასაჯა ლუარსაბ II, გოლგოთის მსგავსი წამებით ამოხადა სული ქეთევან დედოფალს, საქართველოზე მგლოვიარე ქალს, მის შვილიშვილებს ალექსანდრესა და ლევანს, პაატა სააკაძეს, რადგან შაჰ-აბასს ზავი დაჭირდა ძალები რომ მოეკრიბა, ქართველთა მხარესთან, შაჰისაგან

წამოსულმა ზავმა, რა მამა აბრამის კრავად აქცია იგი, რომ ასეთი გულმოდგინება გამოიჩინეს ასეთი მტარვალის ზავის პირობაზე? ვისაც სააკაძის თადარიგები და საომარი გეგმები მისგან უფროსობად მიაჩნდათ, თუ რამე ილაჯი და შნო ჰქონდათ, ეუფროსად თვითონ. რატომ არ არიან სააკაძესავით, მტრის ჯარების ბოლომდის განადგურების მოსურნენი?

თუკი მარაბდის ომის წინარე სათათბირო მოვლენებში უფროსობა თვითონ დაიჩემეს და ამას ომის წაგებაც მოყვა, რატომ არ იუფროსეს ბოლომდის, რომ ბოლომდის განადგურებულიყო საქართველოში შემოსული მტერი?—

გამოეჩინა მეფეს გონივრული ნება, სააკაძის ინიციატივით არ იყო მოწვეული გონიოში მყოფი თეიმურაზი ქართლ-კახეთის მეფედ? (ე.ი უფროსად) ემოქმედათ მაშინ, ხომ აღარ მივიდოდა ბაზალეთამდის საქმე? და, სამწუხაროდ, ამის რესურსი და ილაჯი, ველარაფრით გამოიძებნა. რომ მეფე შაჰ-აბასის წინადადებას ისმენდა და სააკაძეს კი შეთქმულებას უმზადებდა. მეფე თეიმურაზ I-ს რაც სააკაძის მიმართ პრეტენზია ჰქონდა, ეს იყო მისგან საქართველოს გაერთიანების მცდელობა. სააკაძემ თეიმურაზ I-ს ორჯერ შეუქმნა ფონი, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობისა, მაგრამ ამ თადარიგებმა, სამწუხაროდ, მიმართულება საქართველოს გაერთიანებისაკენ ვერ მიიღო. ისმება კითხვა, საქართველოს გაერთიანების სურვილი, ნება, მონდომება, მეფის მოვალეობა, პრეროგატივა უფრო იყო თუ აზნაურ სააკაძისა?

როცა იმ დროის მოვლენებში თეიმურაზ I-ის მიზანი იყო ქართლ-კახეთში მეფობა და პარალელურად მორჩილება

ირანისა, სააკაძის მიზანი იყო საქართველოს გაერთიანება, რაც ჩვენი ქვეყნისათვის მეფური მოვალეობაა. და ამ მიზნისა და მოვალეობის მქონე „უფროსად“ თუ მონათლავდნენ, ეს არ უნდა გვაკვირვებდეს.

მეფე თეიმურაზი სააკაძის მიმართ პირდაპირ ამბობდა:

„თავს არ გკიდებს საპატრონოდ“

როცა თეიმურაზი I- მეფე იყო, სააკაძე მისი ქვეშევრდომი, ქვეშევრდომის საქმე, საქციელი და მიზანი მეფის დამსახურებაზე მეტი არ უნდა ყოფილიყო. მეფის და დიდებულების გარეშე, მათზე დაბალი რანგის პიროვნება, მათზე აღმატებულად არ უნდა მოქმედებდეს.

მაშ რა უნდა ექნა სააკაძეს, როცა დავით IV-ე აღმაშენებლის საფლავთან ფიცი ჰქონდა დადებული, რომ მასავით, იგიც შეეცდებოდა, რომ საქართველო ყოფილიყო ერთი მთლიანი სამეფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის. რა ექნა, როცა თავის სამშობლოსათვის სამსახურს ამ მხრივ შესრულებაში უთვლიდა საკუთარ თავს და საამისო პირობას თავის გონებისა და ფიზიკურ შესაძლებლობებში ხედავდა, ბაზალეთში თანამებრძოლებთან დაპირისპირება სწორედ ამის გამოც მოხდა, რომ საქართველოს გაერთიანების მიზანი ითხოვდა ამას.

შაჰ-აბასი ზავს იმ ქვეყნებთან დებდა, რომელ ქვეყნებსაც მეტოქედ აღიქვამდა და მათთან წინააღმდეგობის განევა აღარ შეეძლო, ასეთი ვითარება შეიქმნა საქართველოსთანაც, იმის გამო, რომ სააკაძე საქართველოში ტრიალებდა და მის-

გან შაჰის ჯარები დამარცხებას დამარცხებაზე იღებდნენ.

სააკაძის ოპოზიციური მხარე ხედავდა, რომ მისი საომარი წარმატებანი საქართველოს გაერთიანების იდეისკენ მიისწრაფვოდა, რასაც მათი ინტუიციით, თავიანთსავე სათავადოებში უფლებები შეეზღუდებოდათ. ასეთი დროება ურთიერთსაპირისპირო ამინდებს ქმნიდა. თეიმურაზ I-მა, როგორც მეფემ, იცოდა, თავის ქვეყანაში ერთიანი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა, თვითონ რუსთაველის თაყვანისმცემელს, როგორც პოეტს, მშვენივრად ესმოდა, საქართველოში აღორძინების ეპოქამ რა კულტურული მემკვიდრეობა დაუტოვა ქართველთა მოდგმას. როცა ერთიანი იყო საქართველო, ერთიანი წარმატებანი ჰქონდა ყველა სფეროში.

ახლა გაერთიანებული საქართველოს ინიციატორი არა ბაგრატიონი, არამედ საშუალო აზნაური გ. სააკაძე გამხდარა? განა თეიმურაზ I-მა არ იცოდა, რა უფრო ღირებული იყო თავის სამშობლოსათვის, ერთიანი ქართული სახელმწიფო, თუ სამ სამეფოდ დაყოფილი საქართველო? მეფემ იცოდა მაშინდელი მსოფლიო კულტურული ცივილიზაცია როგორ მიემართებოდა პროგრესისაკენ და მისი ერთერთი თანამონაწილე თანაფერხულში ჩამდგარი თავისი ქვეყანაც ხომ უნდა ყოფილიყო!

იცოდა მეფემ ყოველივე ეს, მაგრამ ნაწილ ამბიციურ დიდებულთა მხარეს, მასზედ გავლენა მოეხდინა და აღარ იძებნებოდა გზა ქვეყნის ბევრად სასიკეთო საქმის გასაკეთებლად.

## სააკაძეთა წარმომავლობისათვის

სააკაძეთა გვარის წინა თაობების დამახასიათებელი ნიშან-თვისება მეფისთვის, ე.ი. ცენტრალური ხელისუფლებისთვის განეული ალალი, უღალატო სამსახური იყო, რაც თამარის მეფობის დროიდანაა ცნობილი.

სწორედ მნიშვნელოვანი ღვანლისა და ერთგულებისთვის მიიღეს სააკაძეებმა მინა-მამული ნოსტესა და მის შემოგარენში, სადაც ადრე მოსახლე ჯავახიშვილ-ციციშვილთა სამკვიდროა. არ არის გამორიცხული და ხშირადაც ხდებოდა იმ დროში, ერთს ჩამოართმევდნენ და მეორეს გადასცემდნენ მიწებს განსაკუთრებული დამსახურების აღნიშვნის მიზნით.

წარმოიშვებოდა რეაქცია, „ცოტა მივინ-მოვინოთ, სხვაც უნდა მოთავსდეს“. ამ „ერთად მოთავსების“ წესში ერთის მხრიდან დათმობის ვალდებულებაც იგულისხმებოდა, რაც მეზობლად, მეგობრად, შეხმატკბილებულად თანაცხოვრებას ხშირად შეუძლებელს თუ არა, მოუხერხებელს ხდიდა.

დიდი მოურავის წინა თაობების დანიშნულების პროცესი შესამჩნევად სიმონ I დიდის მეფობის დროს დაიწყო. გიორგი სააკაძის პაპა, ისიც გიორგი სააკაძე, პატრონად იხსენიება 1547 წლის საბუთში. ი. ჯავახიშვილის აზრით, პატრონი მხოლოდ განსაკუთრებული ნიჭისა და გავლენის მქონე პიროვნებას ეწოდებოდა.

ისტორიულ წარსულში გამორჩეული პიროვნების აღმავლობის გზა მეფისადმი, იგივე ქვეყნისადმი უანგარო სამსახურის ხარჯზე ვითარდებოდა.

გიორგი სააკაძის მამა სიაუში, ბიძები ზემთაელი, ზურაბი და ივანე სიმონ პირველის ნდობით აღჭურვილი, სამეფო კარზე ღირსეული სამსახურით ცნობილი ადამიანები იყვნენ.

მის ერთ ბიძას მეფის კარზე სახლთუხუცესის თანამდებობა ეკავა. მამა სიაუში მეფე სიმონ I-ლის მრჩეველი, „მუსაჰაბი“ იყო (სპარსულ განმარტებებში მოლარედ იხსენიება). გივი ჯავახურას მინიშნებით, სიაუშ სააკაძე შესაძლოა მეფის საჭურჭლის გამგებელიც ყოფილიყო. 1590 წლიდან მას უკვე მოურავის თანამდებობაც უჭირავს. მართალია, არ არის ნათქვამი, რისი მოურავია სიაუში, მაგრამ საფიქრებელია, რომ ის სწორედ თბილისის მოურავი იყო და შემდეგ ეს თანამდებობა მისმა შვილმა გიორგიმ მიიღო მემკვიდრეობით, როგორც ეს მაშინ ჩვეულებრივ ხდებოდა ხოლმე.

როგორც ცნობილია, სააკაძის წინაპრები ტანას ხეობაში, სოფელ ფელში მკვიდრობდნენ; შემდგომში სიაუში სოფელ ნოსტეში გადავიდა საცხოვრებლად, როგორც უკვე „აღზევებული“. მათი საცხოვრებელი სახლისა და კოშკის საკითხს ცოტა მოგვიანებით შევეხებით.

ნათლად ჩანს, რომ სააკაძის მამა-ბიძანი და წინა თაობები დიდ სამსახურს უწევდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, მეფეც პატივის მიგების ნიშნად, გარდა პასუხსაგები თანამდებობებისა, შესაფერისი ადგილ-მამულებით დასაჩუქრებლად აღნიშნავდა მათს მოღვაწეობას. ხაზი უნდა გაესვას სააკაძეთა გამორჩეულ თვისებას – ქვეყნის ერთგულებას.

ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სამსახური,



სამეფო ხაზინის გამგებლობა, აკისრია სიაუმ სააკაძეს. შემდგომ მან არანაკლები სირთულისა და პასუხსაგები სახელო – თბილისის მოურავობა ჩაიბარა სიმონ მეფის თხოვნით.

სიაუმ სააკაძე და მისი ძმები გიორგისა და ლუარსაბ II-ის მეფობის დროსაც, სანამ გიორგი სააკაძე თბილისის მოურავი გახდებოდა, მეფის კარზე ისევ მნიშვნელოვანი საჭირო საქმით უნდა ყოფილიყვნენ დაკავებულნი. იმავე ხანებში შადიმან ბარათაშვილი იყო მეფის სუფრაჯი, რაც მოლარეთუხუცესობასთან და მოურავობასთან შედარებით დაბალი რანგის სამოხელეო თანამდებობა გახლდათ. უნდა ვიფიქროთ, რომ შადიმანი ასაკით სიაუმის ტოლი და, შესაძლოა, უფროსიც ყოფილიყო. დაახლოებით მათი ხნისა უნდა ყოფილიყვნენ ფარსადან ციციშვილი და ქაიხოსრო ჯავახიშვილიც, ბერუკა ჯავახიშვილი კი გიორგი სააკაძის თანატოლი ჩანს, რადგანაც ისტორიკოსები მათ მეგობრებად იხსენიებენ.

შემდეგ, როგორც ვიცით, 1612 წელს იგი სააკაძის წინააღმდეგ ჩაითრის. შეთქმულთა ოგანიზატორი, შადიმანი, მომსწრე და თვითმხილველი უნდა ყოფილიყო სიაუმისა და მისი ძმების წარმატება-აღმავლობისა, რაც არანაკლებად გამაღიზიანებელი შეიქმნებოდა ფარსადან ციციშვილისთვისაც, მაგრამ მათგან სააკაძეთა აღზევების საწინააღმდეგო აშკარა უარყოფითად გამოხატული პოზიცია ისტორიულად არ ჩანს. ე.ი. დიდებულები ვერ ბედავდნენ თავიანთი უკმაყოფილება ხმამაღლა გაემჟღავნებინათ. სიძულვილი კი დიდი იყო, დიდხანს იდღვიბებოდა ფარული ბოღმა. შესაძლოა, ზოგიერთ დიდებულთა მიმართ გადაჭარბებულია „ფარული



სიაუმ სააკაძე

ბოლმა“, მაგრამ, სამწუხაროდ, სიძულვილის ის გორგალი, რომელიც გ. სააკაძეს უფრო მჭიდროდ შემოეხვია, მისი მამა-ბიძების აღზევების დროიდან იხვეოდა. მათ, ოთხივე ძმას, სამეფოს საყრდენები ებარათ, გავლენის სფეროებით მძლავრობდნენ. შეუდრეკელი ხასიათის მქონენი ჩანან, თან ოთხნი არიან, თავიანთი სამეგობრო წრითა და მოყვრებით გარშემორტყმულნი; ერთმანეთშიც კარგი ძმობა აქვთ, ამითაც ძლიერები, მეფისა და ქვეყნისთვის საიმედონი არიან, საქმის მცოდნენი და პრინციპულები. მეფესაც შეუმჩნეველი არ დარჩა მათი ღირსებები და მხარში ამოიყენა ქვეყნის სამსახურად. ამდენად, არაგვის საერისთავოს ბატონ-პატრონის ნუგზარ ერისთავისთვის სიაუშ სააკაძე სასურველი მძახალიც იქნებოდა.

თავადებიც იგივე დამოყვრება-დანათესავეების ტრადიციული წესით ცდილობდნენ თავადური ინსტიტუტის შენარჩუნებას, მაგრამ მცირე აზნაურთა წარმატება დიდგვაროვანთათვის მაინც მიუღებელი რჩებოდა, ვინაიდან დროით და ტრადიციით არ იყო განმტკიცებული. დიდი მეფეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ გონიერებითა და შორსმჭვრეტელობით, ნიჭიერ და ამაგის გამლენ კაცს არ უკარგავდნენ ქვეყანას. მეფემ იცოდა, რომ თუ დიდგვაროვანთა ინტერესები მოითხოვდა, მათ შეეძლოთ მეფისა და ქვეყნის წინააღმდეგ წასულიყვნენ. ბრძენი მეფე ეძებდა მოსალოდნელი საფრთხის აცილების გზას, რომელიც ყოველთვის არსებობდა და მხოლოდ გონიერნი პოულობდნენ – აწინაურებდნენ ღირსებებით გამორჩეულთ და ერთად აკეთებდნენ საქვეყნო საქმეს. გიორგი სააკაძის მამის და ბიძების აღზევებულობის წინააღმდეგ ზოგი დიდებულის მიერ წარმოქმნილი „მტვრი-

ანი ქარი“ მოკლე გზას არ გასცდენია და ეს იმიტომ, რომ სიმონ მეფის მტკიცე მარჯვენა და სამართლიანი გონება ზღუდავდა მათ ამბიციებს. ე.ი. ქვეგამხედვარნი ასპარეზზე გამოსვლას ვერ ბედავენ მაშინ, როდესაც მტკიცე მეფის თვალი მოხუჭული არ არის და ყური ქვეყნის ჯანმრთელი სუნთქვისთვის აქვს მიპყრობილი.

მეფე სიმონ დიდის გარდაცვალებიდან, 1603 წლის შემდეგ, ქვეყნის ძლიერად გასაწევ ჭაპანს თავ-ბოლო მორღვეოდა და გამთელების მოლოდინში გარინდებულიყო.

გიორგის თავისი მამა-ბიძებისაგან გადაეცა თბილისისა და ცხინვალის მოურავობა, აგრეთვე მათი აღზევებულობისაგან დიდებულებში წარმოქმნილი შური, იმ განსხვავებით, რომ ახლა დაგროვილი ბოღმის თავისუფალი გადმოფრქვევის ჟამი დასდგომოდათ.

გიორგის თანამედროვენი წააძახებდნენ ხოლმე, „აღზევებული სააკაძეო“. თუ ამას სარდლური ნიჭის გამოვლინების მიმართ ვიტყვით, ცხადია, დამსახურებულად იყო აღზევებული საკუთარი ენერგიის გალების ხარჯზე, რომ „მეფისა შემდეგ იგი იყო.“ სწორედაც მას და არა სხვას ენდობოდა მეფე, თავადთა აზრით კი ეს ნდობა „აღზევებას“ უნდა ნიშნავდეს, რაც შემდგომ შურის მეტასტაზებით დიდ დაპირისპირებაში გადაიზარდა, – აბა რა იქნებოდა, ტაშისკარის ომის შემდეგ ირანში წასვლამდე ლუარსაბმა ქართლი სამეთვალყურეოდ სააკაძეს დაუტოვა. შეცბნენ თავადები ლუარსაბის საქციელზე, ამდენს არ ელოდნენ, გადანყვიტეს, მეფე თავიანთ ჭკუაზე მოეყვანათ, რაც გააკეთეს კიდევ.

ადვილი მისახვედრია, რომ „აღზევებული“ სააკაძე მეფესთან სამართლიანად დაახლოებულ სააკაძეს ნიშნავს და სპარსულ-ოსმალური მტაცებლური ჟინიანობისაგან გადარჩენის იმედს განასახიერებს. ეს იყო მისი მთავარი სიკეთე, თორემ ნოსტეში ერთი კოშკისა და მომცრო სასახლის პატრონი სააკაძე რომ დიდი შეძლების პატრონი არ არის, ცხადია. ახლა შეადარეთ ნოსტეს კარ-მიდამო მუხრანბატონების მუხრანულ სამყოფს, ქსნის ერისთავების ახალგორისას, არაგველების ანანურს, ამილახვრების სხვილოს ციხეს... ჩამოთვლა კიდევ შეიძლება გავაგრძელოთ. დასაშვებია, სააკაძე გატოლებოდა დიდებულებს ნივთიერად? ერთი კოშკის პატრონი სააკაძე იქნებოდა მატერიალურად აღზევებული? ან სააკაძის საცხოვრებელი სახლის დარჩენილი საძირკველი, რომლის ნაშთები დღემდეა შემორჩენილი, შეედრება ჩამოთვლილი თავადებისას, ხომ არის დიდი სხვაობა (ნ.ბ.)?!

საკაძემ ხალხის სიყვარული და მეფისგან დამსახურება ტაშისკარის ომის შემდეგ მიიღო, რაც თავადებისთვის შეუგუებელი და მტანჯველად აუტანელი გახდა.

„აღზევებული მდაბიო“ იმ ეპოქის მეტად სახასიათოდ მიწერილი სიტყვაა, თავის შიდა არსში მრავალ საიდუმლოსაც რომ მოიცავს. ადვილი მისახვედრია, ვისგან იყო ნათქვამი ვის მიმართ. თავადთა იერარქიაში ერთმანეთის მიმართ იშვიათად იხმარებოდა სიტყვა „აღზევდა“. მათი გარემოცვისთვის წინსვლა, გამდიდრება, მეტი მიწა-მამულები, განცხრომაში ყოფა, ხშირად წართმევა-მიტაცება გმირობადაც ეთვლებოდათ ერთმანეთს შორის; ნოდებრივი ხარისხები, როგორც

დიდ თავადთა ტიტულები, მხოლოდ მათთვის უნდა ყოფილიყო მეფისაგან კუთვნილი. როგორც შეუვალი პირობა, მეფეს მხოლოდ დიდ თავადთან შეეძლო დანათესავება.

საშუალო აზნაურის დამოყვრება მეფესთან დიდი თავადებისთვის პირდაპირ შეცხადება იყო და „მდაბიოს აღზევებას“ ნიშნავდა, – ამის თვალსაჩინო მაგალითი გიორგი სააკაძესთან მისი თანამედროვე ზოგიერთი თავადის დამოკიდებულებაც გახლავთ.

დიდებულთა წარმოსახვით, მათი დიდგვაროვნება უზენაესის ნებით იყო მოვლინებული, რასაც მარადიულობაც კი ვერაფერს დააკლებდა და არც უნდოდათ იმის გახსენება, საიდან დაიწყო იერარქიული საფეხურის ათვლა მათმა წინაპარმა.

მათ წრეში აღზევებული მდაბიოს მიღება წარმოუდგენელი იყო, რაც უნდა პირადი ღირსებებით შემკული პიროვნება ყოფილიყო. შეუპოვარი მებრძოლის სახელი, მოურავობა, სარდლობის ნიჭი და ალლო, მეფის დიდი წყალობა არ იყო საკმარისი იმისთვის, რომ დიდგვაროვნებს თავიანთი პრივილეგიური მდგომარეობა ვინმესთვის დაემორჩილებინათ, გარდა მეფისა, ისიც მხოლოდ მაშინ, თუ მათ ინტერესებს დაიცავდა, წინააღმდეგ შემთხვევაში კი შეიკვრებოდა მათი გაუმტარობის წრედი და ოპოზიციად გარდაიქმნებოდა.

როდესაც მეფისაგან დიდი ან მცირე ფეოდალის, გინდაც აზნაურის შეწყალებას ან პატივის მიგებას აღნიშნავდნენ, მას გარკვეული მამულებითაც ასაჩუქრებდნენ. ამას

მხოლოდ მეფის ანუ ცენტრალური ხელისუფლების წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისთვის აკეთებდნენ.

გონიერი და გულისხმიერი მეფე იკრებდა უფრო დაბალი სოციალური ფენიდან აღზევებულ, ერთგულ და ნიჭიერ ხალხს სამეფო ხელისუფლების სიმტკიცის შესანარჩუნებლად.

ასეთი ჯგუფი საიმედო დასაყრდენს წარმოადგენდა მეფისთვის, ხშირად განდგომილ დიდგვაროვან ოპოზიციასაც უპირისპირდებოდა. ამ კატეგორიის ხალხი მხოლოდ ტრადიციიდან გამომდინარე დიდგვაროვნებას იყო მოკლებული, სხვა მხრივ კი დიდად სარგო და გონებით სავსენი, მუხლმოუღლეად ემსახურებოდნენ ქვეყანას.

გ. სააკაძეც სწორედ ასეთი „მდაბიო აზნაური“ მემამულე გახლდათ, დიდ თავადთა ინტერესებიც უმეტეს შემთხვევაში ერთნაირი იყო, ცდილობდნენ, მეფისთვისაც მოეხვიათ თავიანთი ამბიციები და თანამოაზრედ გაეხადათ.

მათს გარეშე მეფეს არ უნდა ემღერა, თორემ ვაი მისი ბრალი!

ასეთმა „აზრიანობამ“ დიდხანს იარა საქართველოს გულზე, თავადთა და დიდაზნაურთა განსაკუთრებული ძალმოსილება მკვეთრად ჩასაძირკვლებას ნიშნავდა სამემკვიდრეო სათავადო მამულებში, მათი აზრით, პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ერთეულებში.

სამოხელეო ფორმით და თავიანთი ჯარით, რომელიც ყველა სათავადოს ჰყავდა, საქართველოში პატარა ავტონო-

მიურ საქართველოებს ქმნიდნენ და თუ საქიროება მოითხოვდა, ცენტრალურ ხელისუფლებასაც უპირისპირდებოდნენ.

საქართველოს ასეთი დანაწევრება სასურველი იყო მომხდური მტრისთვის, ადვილად ახერხებდნენ ცალკეულ დიდებულებთან საერთო ენის გამონახვას და მათ გვერდით დგომა ხშირად მტრის ნისქვილზე წყლის დასხმასაც ნიშნავდა.

ეს მდაბიო კაცი გიორგი სააკაძე რომ თბილისის მოურავი იყო, ამას დიდებულნი შეგუებულნიც იყვნენ, მაგრამ აგერ ჯერ 1609 წელს ტაშისკარის ომში როგორი უნარიანობა გამოიჩინა, სახელოვანი სარდალი გახდა!.. ახლა მარტყოფი, თუნდაც მარაბდა, ლისი, ბოლოს ქსნის ბრძოლაც. აღარაფერს ვამბობთ ქართლის და სამხრეთ საქართველოს ციხეებიდან ყიზილბაშთა განდევნაზე.

დიდებულთათვის კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ის გამხდარა, რომ ეს „გადიდკაცებული მდაბიო“ ნასოფლარების აღდგენაზე, ციხე-სიმაგრეთა შეკეთებაზე და თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს გაერთიანებაზეც ზრუნავს! „ცხადია, ჩვენი მოდგმისა არ არის და ნიშნავს, არც ჩვენი აზრისა იქნება“...

გიორგი სააკაძის ფსიქოლოგიურ აღზრდაში, ქვეყნისთვის თავგანწირვისა და ერთგულების გამოვლენაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდი როლი ითამაშა მეფე სიმონ I-ლმა, ვისი მემკვიდრეობითაც გიორგი სააკაძეს ძვალ-რბილში გამჯდარი ჰქონდა ქვეყნისთვის თავდაუზოგველობისა და თვითშეწირვის თვისებები.

სამშობლოს უნდა შეახარჯო ენერგია, თუნდაც სიცოცხლე, მაგრამ გიორგი სააკაძეს ჰქონდა ადამიანური ბუნებიდან გამომდინარე მინიერი თვისებებიც, სიამოვნებდა დაფასება, აღნიშვნა; უნდა ითქვას, თვლემდა მის გულისგულში ასეთი ხასიათი.

ყველამ ჩვენს შინაგან ხმას მოვუსმინოთ;

თუ ვინმემ ფუნჯი არ შეგვიქო, კალამი არ შეგვიქო, სამშობლო არ შეგვიქო, კაცობა და ადამიანობა არ შეგვიქო და სხვა უამრავი კეთილი საქმის კეთებისთვის ჯეროვანი შეფასება არ მიგვიღია, მაშინ?.. ეს ხომ წმინდა ადამიანური, მინიერი, პატივმოყვარული მოთხოვნილებაა და საზოგადოების 95%-ს ახასიათებს.

ნათქვამია, „ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარიაო.“

თეიმურაზ მეფის დაუძინებელი მტერი მისი დედის, ქეთევან დედოფლისა და შვილების მწამებელი, მკვლელი შაჰ-აბას I იყო და მისი ზენიტში მყოფი დიდების დამანგრეველი გიორგი სააკაძე ვერ გაიხადა თეიმურაზმა მეგობრად...

დიდებულებს და უაღრესად თეიმურაზ მეფეს უნდა დაეფასებინათ სააკაძის ერთგულება, მაგრამ არ მოხდა ასე. მიუხედავად დამსახურებისა და ძალზე დიდი პოპულარობისა, დიდებულთა თვალში იგი მაინც დაბალ საფეხურზე მდგომ პიროვნებად დარჩა.

გიორგი სააკაძისა და მისი გეგმების მუდმივი მორჩილება დიდი თავადებისთვის სიკვდილის თანასწორი იყო. საქართველოს ერთიანობის, კეთილდღეობის, აღმშენებლო-

ბის გზაზე მდგომ გიორგი სააკაძეს მათი ნაწილი სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა: როცა მარაბდის წაგებულ ბრძოლის შემდეგ ყიზილბაშებს გიორგი სააკაძე თავისი მფრინავი რაზმებით ყველგან შიშის ზარს სცემდა და მოქმედების საშუალებას არ აძლევდა, დიდებულები დაზავების ხასიათზე იდგნენ. შეჩვეულები, მორჩილები შაჰისაგან წამოყენებული საზავო წინადადებისა, სეირის მაყურებლის როლში ჩანან, დაამთავრებს თუ არა სააკაძე საომარ მოქმედებებს. ამ დროს მოურავმა 1625 წლის გაზაფხულიდან 1626 წლის შემოდგომამდე მოსპო და განდევნა ირანული ჯარის ნაწილები ქართული მიწიდან.

ამის შემდეგ იწყება ზოგიერთ თავადთა ჩვეულ „საქმიანობა“ – შური, ეგოიზმი, უჩვენოდ უმღერია მდაბიო გიორგი სააკაძესო – და ცდილობენ შუღლის ჩამოგდებას თეიმურაზსა და სააკაძეს შორის, რასაც მიაღწიეს კიდევ. „შესაძლოა ქართლის მეფედაც გამოაცხადოს ქაიხოსრო მუხრანბატონი ყოველ საქმეთა გამრიგე დიდმა მოურავმა, ვინ გადაელობება წინ!“ – სისინებდნენ ქვეყნის „გულშემატკივარი“ თავადები.

ეშინოდათ საქართველოს გაერთიანებისა და იმიტომ, რომ პირადი განდიდება დაეჩრდილებოდათ.

ქართველ ისტორიკოსთა გამორკვევით, გიორგი სააკაძის მიერ საქართველოში წარმოებულ ომებში განადგურდა 70 ათასამდე ირანელი მეომარი, თანაც ბევრად უპირატესი შეიარაღებით, წვრთნითა და საბრძოლო დისციპლინით მომზადებულნი. ისქანდერ მუნშის ნათქვამს იმეორებს

თურქი იტორიკოსი იბრაჰიმ ფერეკიცი: „ირანის შაჰს ორმოცი წლის მანძილზე ასეთი ზარალი არ მოსვლიაო“.

ინფორმაცია საქართველოში შაჰის ჯარების აბსოლუტურად წარუმატებელი მოქმედების შესახებ დეტალურად აღწევდა ირანში და ქმნიდა მათთვის გამოუვალ მდგომარეობას. ერთი მხრივ, ქვეყნის რეპუტაცია ირყეოდა, მეორე მხრივ, ირანული ჯარების უძლეველობის მითი მამინდელი აღმოსავლეთის ქვეყნებში დღითიდღე იმსხვრეოდა, რის გამოც შაჰის გაცოფებას საზღვარი არ ჰქონდა. ამ ვითარებაში აღმოსავლეთ საქართველოს თავადთა ნაწილის მხრიდან ზავზე თანხმობა ჰაერივით სჭირდებოდა სულის მოსათქმელად და ახალი საომარი ძალების მოსაკრებად.

1614-1617 წლებში შაჰ-აბასი ოთხჯერ შემოესია კახეთს და ოთხივეჯერ დიდი ხალისით თავად მოუძღვებოდა ამოხრებელ 15 ათას მეომარს. კახეთთან დაკავშირებით შაჰმა თითქმის აისრულა თავისი ბოროტი მიზნები, გარდა წინამურის ბრძოლისა, სადაც თეიმურაზმა მტერი დაამარცხა. ამ ბრძოლას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ ცნობიერებაში გამარჯვების რწმენის განსამტკიცებლად, მაგრამ გააღმასებულმა შაჰმა კახეთის მოსახლეობაზე იყარა ჯავრი და თავისი ფიქრით კახეთის დამორჩილების საქმე მოაგვარა.

...ახლა 1625 წელია, მის არმიას ქართლთან აქვს საქმე, უფრო სწორად, სააკაძესთან, რომელსაც სრული ნდობით და საუკეთესო სარდლებით 30 ათასი კარგად შეიარაღებული და განვრთნილი ჯარისკაცი გამოაყოლა იმ იმედით, რომ ბოლოს მოუღებდა ქართლს. თვით შაჰი ამ შემთხვევაში ირანში

დარჩა, ე.ი. აღარ გამოჰყვა თავის ლაშქარს, როგორც ამას კახეთში აკეთებდა. სულ მალე, ეს ირანული არმიები მარტყოფის ველზე დასამარდებიან!

იმავე 1625 წელს მარცხნაგემი შაჰისაგან თავმოყრილი 50 ათასი ყიზილბაში შემოვიდა ქვემო ქართლში რევანშის ასაღებად. მარაბდის შუა ბრძოლაში მათ შაჰბენდე-ხანის 10 ათასი მეომარიც მიემატა.

– ფაქტიურად ის 60 ათასი ყიზილბაში მეომარი აბას-მა ერთიანი აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის მფარველის გიორგი სააკაძის წინააღმდეგ და გასანადგურებლად დარაზმა.

ქართლში გაუჭირდათ ირანელებს, გაუჭირდათ სააკაძესთან და მის გვერდში მდგომ დაულალავ ქართველებთან.

შაჰმა ორჯერ ქართლში კარგად შეიარაღებული და განრთვნილი 90 ათასი მეომარი გამოაგზავნა.

სარდლებად მოჰყვებოდნენ ირანის მთელი ჯარების მთავარსარდალი ყორჩიხა-ხანი, შირვანის ბეგლარბეგი, იუსუფ-ხანი და ყარაბაღის ბეგლარბეგი მოჰამედ ყული-ხან ზიად-ოღლი. ხოსრო-მირზას, როსტომ მეფის გადმოცემით, „თორმეტი ხანი“, ამირა და სულთანი დამატებით, როგორც შემცველი მოადგილეები.

„მარაბდის ომში“ – ისა-ხან ყორჩიხაში, შირვანის მმართველი ყაზახ-ხან ჩერქეზი, ერევნის ბეგლარბეგი ამირ-გუნე-ხანი, აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰბენდე-ხანი.

მათი საომარი წრთობა და შეიარაღებაც ქართველთა საომარ მზადყოფნას აღემატებოდა, მაგრამ ქართლის დაპყრობას ვერ ახერხებდნენ, ხალხის აყრა-გადასახლება კი არა, ცოცხლად დარჩენილთ ოღონდ სააკაძის ხმა არ გაეგონათ და მისი ხმალი არ მისწვდენოდათ, სმენადახშულნი და ალაჰ-დავინყებულნი გარბოდნენ!..

დავაკვირდეთ გ.სააკაძის მოუღლე ენერგიას. მარტყოფის გამარჯვების შემდეგ მისი ხმალი განჯა-ყარაბაღში გაჩერებულ ყიზილბაშებს მიწვდა, შემდეგ თბილისის ციხეში, მარაბდის ომში ვნახეთ მისი თავდაუზოგაობა. შემდეგ იყო ლისის ბრძოლა, ქსნის ომი, გორის ციხიდან ყიზილბაშების განდევნა ბირთვისის ციხიდან. შემდეგ ცნობილი მოვლენებიდან გ. სააკაძე გადადის სამცხეში, ყიზილბაშებისაგან თავისუფლდება აწყური, ახალციხე, ფარავანის ციხეები. ამის მერე იმერეთის სამეფო კარზე გადასვლა, მათთან თათბირი ურთიერთთანადგომისათვის, ლევან დადიანის მხარეში ამოყენება, შემდეგ ისევ ქართლში დაბრუნება, მეორეჯერ განჯაში გადასვლა, ზ. ერისთავთან ერთად სიმონ II ხანის მომხრე ყიზილბაშების განადგურება, მისგან ეს ყველა მცდელობები, მტრის განდევნას და ბოლოს, საქართველოს გაერთიანების იდეას და შინაარსს მოიცავდა.

განა მისი თანამედროვე, ზოგიერთ დიდებულთაგან, ან მეფეთაგან ისტორიულად ჩანს გ. სააკაძის მსგავსი მზრუნველობა თავის ხალხზე ან საომარი სათადარიგო მოძრაობა მოქმედებანი?

მაღალი ღმერთის უზენაესი ძალის შეწევნით იმდენ ომსა და ათიათასობით მტრისაგან მოსურნე სიკვდილს, იმ-

დენჯერ გადაურჩა გ. სააკაძე, სანამ საქართველოში ყიზილ-ბაშური ურდოები მისაგან არ დაიშრიტნენ.

გ. სააკაძისაგან შეზანზარებული, შაჰ-აბასის სამეფო ტახტი წონასწორობას ველარ ინარჩუნებდა, მისგან ვითომ დაჩოქებული იბერია დაუმორჩილებელი გამოდგა. უფრო მეტიც, მისი დამხობილი არმიები, მომავალში ველარ აუსრულებდნენ მეზობელი სახელმწიფოთა დაპყრობით გეგმებს. ამავე დროს ხაზი უნდა გაესვას უმნიშვნელოვანეს მოვლენას, გ. სააკაძისა და მისი ქედმოუხრელი ქართველი მეომრებისაგან განადგურებული ათი ათასობით ირანული მხედრობის მოსპობამ, შაჰს მხარი მოსწყვიტა, ჩაინავლა საქართველოსადმი მისი ავი ვნება. ამდენად, ქართული სულის, გენეტიკური სიცოცხლის უნარიანობას და სპეტაკი სისხლის დაღვრის ხარჯზე, გადაურჩნენ შაჰის რისხვას და შვებთაც ამოისუნთქეს, იბერიის მეზობელმა ქვეყნებმა, სომხეთმა, ალბანელებმა, თავიანთი მიწა-წყლის კეთილ აღმშენებლობას შესდგომოდნენ.

## ბაზალთი

...ირანული ჯარის დამარცხებებმა შაჰი საგონებელში ჩააგდო, მან ჩვეული ხერხით მოსინჯა, ზოგიერთ ქართველ დიდებულთან საზავო შეთანხმებით ძალები მოეკრიბა და ერთხელ კიდევ გადამწყვეტი შეტევით საბოლოოდ დაემორჩილებინა აღმოსავლეთ საქართველო, მაგრამ სააკაძე ამის საშუალებას არ აძლევდა.

გაოგნებულმა შაჰმა გააცნობიერა, რომ მისი მცდელობა შედეგს აღარ იძლეოდა და მისი სანაქებო არმიები თხელდებოდნენ. მდგომარეობის გამოსასწორებლად ალავერდი-ხანის შვილს, გასპარსელებულ დაუთ-ხან უნდილაძეს დაავალა, წასულიყო საქართველოში და მოლაპარაკება გაემართა თეიმურაზთან, თანაც გადაეცა მისი ხელით დაწერილი დაპირებაც, რომ ქართლ-კახეთის მეფედ გამოაცხადებდა.

შაჰ-აბასმა კარგად იცოდა აღმოსავლეთ გურჯისტანის დიდგვაროვანთა ნაწილის დამოკიდებულება სააკაძესთან ჯერ კიდევ 1612 წლიდან, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულებიდან, რაშიც, შეიძლება ვთქვათ, მისი ხელიც ერია. ღვთის შეწევნით, გიორგი გადარჩა. ახლაც ბოლმა ახრჩობდა და ბუნებრივია, ეცდებოდა თეიმურაზისა და სააკაძის დაპირისპირებით ძალა მოეკრიბა, გაძლიერებულიყო და შემდგომ საძულველი გურჯისათვის სამაგიერო გადაეხადა.

იმავე 1626 წელს დაუთ-ხანი თბილისში ჩამოვიდა და თეიმურაზს შაჰის პირობები შესთავაზა: ირანული არმია შეწყვეტდა საომარ მოქმედებებს (მეტი გზაც აღარ ჰქონდათ), თავის მხრივ ქართველ მეომრებსაც უნდა დაენებები-



ნათ თავი სპარსთა დევნისთვის, თვითონ კი თავისი აღმზრდელის მოსაწონად ირანული ორიენტაცია არ დაეკარგა.

შაჰის კიდევ ერთი ელჩის ჩამოსვლის შემდეგ ქართველმა დიდებულებმა იოთამ ამილახვრის მეთაურობით მეორეჯერ მოსთხოვეს სააკაძეს შეენწყვიტა ირანელებთან ბრძოლა, თუმცა დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მოურავი მათს აზრს არ გაიზიარებდა (ცხადია, მათგან ეს ნაბიჯი ფორმალურ შინაარსს ატარებდა).

ეს იმ დროს, როცა ხერხემალში მორღვეულია ირანული ჯარი, აქა-იქლა შეეყუჟულან და გარეთ გამოხედვისაც ეშინიათ, სააკაძე კი ფონს გასულია და ქვეყანაც შვებით ამოსუნთქვას ელის. იმის მაგიერ, ერთობლივი ძალით, მხარში ამოუდგნენ მოურავს, დაზავებას სთავაზობენ! თითქოს მტერი მარტო სააკაძის წილ მიწა-წყალს დაანგრევს, მათი წილი კი ხელშეუხებელი დარჩება!

ულტიმატუმმა სააკაძე დიდად აღაშფოთა, ზავზე დათანხმების მსურველნი უარით გაისტუმრა. მათ მალევე აცნობეს ირანის კარს სააკაძისა და მის მომხრე ქედმოუხრელთა პოზიცია.

შაჰისაგან გადაბირებულმა ქართველებმა კარგად იცოდნენ, რომ სააკაძის მიზანი ერთიანი ქართული სახელმწიფოს შექმნა იყო, ამიტომ შეიმუშავეს გეგმა, სააკაძისთვის ჯერ ჩრდილი მიეყენებინათ, შემდეგ მოეკლათ კიდევ.

უტყუარი ფაქტია, რომ სწორედ თეიმურაზისა და სააკაძის ცხინვალში ერთად ყოფნის დროს აპირებდნენ

გიორგის მოკვლას. მან პირდაპირ დაუსვა მეფეს შეკითხვა, რატომო, მან კი ღვარძლიანად შეუთვალა: „ქვეყანამ იცის, შენ იყავ მისი (ლუარსაბის) სისხლის მღვრელიო“. საიდან სადაო, წმიდაო საბაო!

ამის თქმა სიბრიყვეა თეიმურაზის მხრიდან, რომელსაც კარგად უნდა ხსომებოდა, როგორ აღმოჩნდა ირანში ლუარსაბი.

ცნობილია, როდესაც ადამიანებს შორის განხეთქილება ჩამოვარდება და მისი ამომთელება-განმუხტვა შეუძლებელია, იარაღმა და სისხლმა უნდა გადანყვიტოს.

ამ ბოლო ნაბიჯებამდე ბრალდების წაყენების წამძვარებით ხდება უკიდურესი დაძაბულობის მიზეზთა გარკვევა; ერთი მხარე თავისი კუთხით ამყარებს პოზიციას, თურის გამო მოხდა სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირება – ხომ უნდა წამოაყენონ რალაც ისეთი, რაც ხალხის თვალში მეტი დაჯერების თუ არა, დაეჭვების სარჩულად მაინც ჩაეფინება საპირისპირო მხარის დაკნინების მიზეზის არსს.

იმ დროისთვისაც ასე უნდა ყოფილიყო, როცა თეიმურაზისა და ზ. ერისთავის მხარემ სიკვდილი გადაუწყვიტა სააკაძეს, ლუარსაბის სისხლი წაუმძღვარეს მიზეზად წინ.

„მთელმა ქვეყანამ და მთელმა ქართველმა ერმა იცოდა, რაც ლუარსაბ მეფე ხელში ჩაუვარდა შაჰ-აბასს შადიმან ბარათაშვილის მცდელობით, მისი ბედიც გადანყვეტილი იყო. თავის ნებისა და სურვილის გარეშე შაჰი არა საქმეს არ აღასრულებდა.

შაჰი არ იყო დამყოლი კაცი, რომ სააკაძისთვის, ან სხვა ვინმეს მოსაზრებას აჰყოლოდა და ისეთი რამ მოემოქმედებინა, რაც მას არ სურდა“ (გივი ჯამბურია).

თეიმურაზი იმიტომაც იქნებოდა კიდეც დაბოლმილი, რომ ქვეყნისა და სააკაძის მტრებმა ამბავი მიუტანეს, გიორგი შენში შესაფერის თვისებებს ვერ ხედავს, ამიტომ გაერთიანებული საქართველოს მეფეს დასავლეთ საქართველოში ეძებსო.

სააკაძისაგან წუთისოფელგამწარებული, სისხლდადენილი, არაქათგამოცლილი, დამშეული, დაცოტავებული ირანული ჯარის ნარჩენები ქართლს ველარაფერს დააკლვებდნენ, ისევ ხიზამბარელმა მიაგებო ხალხის მეხსიერებაში შემონახული ამბავი:

„ირანული ჯარი ძლიერ დამშეული იყო, ერთი ირანული ატლასის მოსასხამი ერთ კუტ პურზე იცვლებოდაო“... ისე გასჭირვებიათ ყიზილბაშებს, ქართლის აყრა კი არა, საკუთარი კუჭის კედლების ხმაური ესმოდათ.

ირანთან ამ ეტაპზე სამშვიდობო ურთიერთობა ქართველ დიდებულთათვის გარკვეულ ინტერესებს მოიცავდა. განსაკუთრებით ზ. ერისთავისთვის, რომელიც შაჰისაგან არაგვის საერისთავოს პატრონობით იყო დავალებული. მართალია, მან დიდი მონაწილეობა მიიღო მარტყოფში შაჰის ჯარების განადგურებაში, მაგრამ ასეთი ნაბიჯი მოურავმა გადაადგმევინა; ზურაბს საქართველოში შემოსვლამდე არც უფიქრია შაჰის ლაღატი, აკი 1624 წლის ბოლოს განსაკუთრებული დავალებით გაინვია შაჰმა ის და მოურავიც

(ამაზე ზემოთ უკვე ვრცლად ვისაუბრეთ).

მაშასადამე, შაჰი ფიქრობს, რომ არა დაუდგრომელი მოურავ-ხანი, ზურაბი ჩემდამი ლაღატს არც მოიფიქრებდა, ჩემგან იყო ხელდასხმული არაგვის ერისთავად და ახლა, როცა მე იგი ასე ძალიან მჭირდება, შევეუთვლი დაუთ-ხანის პირით და შევახსენებ ჩემგან განუელ ამაგს, რომ დიდი „ალაჰის ჩრდილი“, შაჰ-აბასი, ყველაფრის მპატიებელია და აღვადგინოთ ჩვეული ერთმანეთისადმი ძველი ერთგულებაო.

თავად ზ. ერისთავს დიდად არა ხიბლავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთიან სახელმწიფოდ ჩამოყალიბების იდეა; მისთვის, როგორც უმეტესი თავადებისთვის, მიუღებელი იყო იმ მოტივით, რომ მათ სათავადოებში ავტონომიური უფლების შეზღუდვის საშიშროება დაუდგებოდათ. ამიტომ განიზრახეს სააკაძის თავიდან მოცილება. ზ. ერისთავი მათ შორის პირველი იყო; იგი, ბუნებით უზომოდ ხარბი, სააკაძისგან აღარაფერ სიკეთეს მოელოდა. მეორე მხრივ, თეიმურაზის სიძეა, სამეფო კართან დამოყვრებული და არჩევანიც გააკეთა.

თეიმურაზს რაც შეეხება, მასაც აქვს „ირანის მზისთვის“ მოსაბოდიშებელი; შაჰი თავისთან ინვევდა, რომ სამეზობლო კავშირები უფრო მტკიცედ შეეკრათ, ის კი გაურბოდა „მამასა“ და „აღმზრდელს.“ მიზეზი, რის გამოც აღზრდილი აღმზრდელს არ ემორჩილებოდა, იყო ირანელთა ჯარისაგან თეიმურაზის სამეფოს განადგურება, მისი დედისა და შვილების მონამებრივი აღსასრული.

... „რაც შეეხება მათი მოკვდინების მიზეზს, ეს მე მხ-

ოლოდ დიდი ალაჰის შთაგონებით აღვასრულე, იგივე ალაჰის შთაგონებით ვმართავ ირანის სახელმწიფოს და დაუთ-ხანის თქვენთან ხლებით და ჩემი დანაბარების გადმოცემით, თქვენი დედის ქეთევანის, შვილების ალექსანდრეს და ლევანის სიკვდილით გამონვეულ მწუხარებას ვიზიარებო, – იუწყებოდა შაჰი, – და რადგან, შენ, თეიმურაზ, ჩემი აღზრდილი ხარ და ჩემივე ხელით დასმული კახეთის სამეფო ტახტზე, მე დღესაც მაქვს სურვილი აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო გვირგვინი შენ გედგას თავზე, ამისთვის მტკიცედ უნდა შევიკრათ და მოურავ-ხანს, რომელიც, როგორც ჩემთვის ცნობილია, თვითნებობით თქვენც გალიზიანებთ, ერთობლივად ბოლო მოვუღლოთ.“

შაჰმა კარგად იცოდა, რომ მარტყოფის ომში თეიმურაზი არ მონაწილეობდა, ამდენად, ეს მოლაპარაკება ორივე მათგანის მიზნებისთვის სასურველი უნდა ყოფილიყო, რასაც შედეგად გიორგი სააკაძის ქართლ-კახეთის სამეფო საქმეებიდან ჩამოცილება ან ლიკვიდაცია უნდა მოჰყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ თეიმურაზი შაჰის კარზე ირანული იდეოლოგიით იზრდებოდა, აბასი არ ენდობოდა, რადგან თვალი მუდამ რუსეთისკენ ეჭირა, მისგან მფარველობას ელოდა და ამ მიზეზით კახეთი ამონყვეტა-განადგურების პირას დადგა.

თეიმურაზი და ზურაბ ერისთავი სააკაძისაგან ირანისათვის მიყენებული ზარალის ფონზე შედარებით ადვილად დასაყოლიებელ პიროვნებებადაც კი ჩანან შაჰის თვალში.

დაუთ-ხანისა და თეიმურაზის თბილისში შეხვედრის შედეგი სააკაძის მხარესთან რადიკალური დაპირისპირების გადაწყვეტილება იყო.

სინამდვილის უკეთ წარმოსაჩენად უნდა მოიჩხრიკოს ყველა ნიუანსი იმ ურთულეს დროსა და ვითარებაში, როდესაც პიროვნება ხშირად გამოუვალ რთულ სიტუაციაში ექცევა და არაორდინალური გადაწყვეტილების მიღება უხდება; ადამიანი არა მხოლოდ ერთი, არამედ მრავალი კუთხიდან უნდა დავინახოთ, რომ რაიმე არ გამოგვრჩეს და დიდი პიროვნების შეფასებაში შეცდომა არ მოგვივიდეს (ჩემი მოსაზრებით, ადამიანის ნაღვანი მაინც ნამოქმედარით, შედეგებით იზომება).

მაშინდელი ლაბირინთიდან მაინც აშკარად იკვეთება, რომ შაჰისა და ირანისთვის სააკაძე მარტყოფამდე სრული ნდობით აღჭურვილი გურჯია და ამიტომაც ყორჩიხა-ხანთან ერთად გამოგზავნეს საქართველოში; მარტყოფის შემდეგ კი იგი საძულველი, ბედუკუღმართი, ურგები, ირანის ჯარების გამანადგურებელი უნდო მოურავ-ხანია, რომელიც ირანისა და შაჰის მიმართ დათმობაზე არასოდეს წავიდოდა. მათ 12 წლიანი ურთიერთობით იმდენად შეიცნეს ერთმანეთი, ამაში შაჰიც მტკიცედ იყო დარწმუნებული, მოურავ-ხანისთვის სიკვდილით სამაგიეროს გადახდის გარდა სხვა წადილი აღარ გაუჩნდებოდა.

გიორგი სააკაძემ შაჰ-აბასთან საჭადრაკო დაფაზე 12 წლიანი თამაში სუფთად, შამათით მოიგო.

ბაზალეთის ომმა ფარდა ახადა ორივე მხარის ინტერესებს, გაირკვა თითოეული მონაწილის მიზანი; სააკაძის

გამარჯვების შემთხვევაში ერთიანდებოდა აღმოსავლეთი და დასავლეთი საქართველო. სააკაძისა და პროგრესულად მოაზროვნეთა აზრით, თეიმურაზ მეფე ვერ შეძლებდა ასეთი საპასუხისმგებლო ტვირთის ზიდვას, ამიტომ მათ არჩიეს ერთიანი საქართველოს ტახტზე იმერეთის მეფის გიორგის შვილი ალექსანდრე დაესვათ. ეს ჭეშმარიტად პატრიოტული გადაწყვეტილება იყო, მაგრამ მიუღებელი თეიმურაზისა და მისი მომხრე თავადებისთვის. თეიმურაზის გაღიზიანების მიზეზიც ნათელია.

სააკაძეს რომ მარტყოფისა და მარაბდის ომების შემდეგ არ გაენია ანგარიში სამეფო წესწყობილებისთვის, თეიმურაზისთვის ქართლ-კახეთის ტახტის დაკავება არ შეეთავაზებინა და პირადი მოსაზრებით ქართველი თავადებისთვის თავს მოეხვია ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის ძებნის იდეა, ასეთ შემთხვევაში მისი საქციელი აშკარა თვითნებობა იქნებოდა.

ამასთან ნდობა და თანადგომა ერთია, მისი გამართლება – მეორე. სწორედ მეფობის ჭეშმარიტი მოვალეობის ვერშესრულებამ განაპირობა სააკაძისაგან აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანების შემთხვევაში სამეფო კანდიდატურის ძებნა. სააკაძე თავისი ინტერესებისთვის არასოდეს გაირჯებოდა, მისი გათვლები სწორი აზრის მიღწევამდე, ხანგრძლივ დროში ყალიბდებოდა. სააკაძე არ გაქცევია ტრადიციული სამეფო ცენტრალური ხელისუფლების წეს-წყობას და ორჯერ მოინვია ტახტზე თეიმურაზი. მარაბდის ომის წინ თეიმურაზმა ვერ შეაფასა და დააფასა მარტყოფის აჯანყების სულისჩამდგმელი სააკა-

ძის სტრატეგიული ნიჭი. გიორგის, ცხადია, ეწყინა და უნდა ითქვას, კიდევ უფრო ცუდად ენიშნა მარაბდის ომში მეფის საბრძოლო გეგმის ზედაპირულობა. მას რომ საღად დაენახა მარტყოფის ომის გმირის მნიშვნელობა, გამოეჩინა გონიერება და სარდლობა დაეთმო სააკაძისთვის, არც 9 ათასი კაცი განყდებოდა, მარაბდის ომსაც მოვიგებდით და არც ბაზალეთი მოხდებოდა.

ცხადია, მნიშვნელოვანი საქმეების მოქმედ სააკაძეს სიტყვაც ეთქმოდა, მაგრამ თეიმურაზი და სააკაძე, სამწუხაროდ, ერთმანეთის მიმართ უსმინარნი გამხდარიყვნენ და არც ვინმე გონიერი მრჩეველი გამოჩნდა იმ გართულებულ მდგომარეობაში, რომ ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ მათი შერიგება მოეხდინა.

გიორგი სააკაძის აზრს იზიარებდნენ ბაზალეთამდე და ბაზალეთის შემდეგაც ქაიხოსრო მუხრანბატონი, იესე ქსნის ერისთავი. ზაზა ციციშვილი, ბაადურ ციციშვილი, თამაზ მაჩაბელი, გერმანოზ ბარათაშვილი, დომენტი ავალიშვილი, გიორგი ფავლენიშვილი, იმერეთის მეფე დიდებულები, სამცხის თავადები მანუჩარ ათაბაგი, თანუნა დიასამიძე, ელია დიასამიძე, ელიზბარ და ბეჟან თაქთირიძენი, როსტომ შალიკაშვილი.

სააკაძის აზრით, თეიმურაზმა აჩვენა, რომ მას არ შეეძლო ქვეყნის სამართლიანად და ობიექტურად მართვა, არ იცავდა ხალხის ინტერესებს, ადვილად უჯერებდა სხვებს, არ იყო შორსმჭვრეტელი...

ბაზალეთის ომმა გამოამჟღავნა ქვეყნის მაშინდელი

დაყოფა, სხვადასხვა ორიენტირები, ამ ომში მთავარი მხარეთა სუბიექტური მისწრაფებები და მონაწილეთა პიროვნული დაპირისპირება და შეუთავსებლობა იყო.

თითოეულ მხარეს, გარდა სურვილისა, თავისი მყარი პოზიციაც ამაგრებდა.

გიორგი სააკაძემ ყველაფერი გააკეთა, თავის მტრებთან შერიგებისა და შვილის განწირვის ჩათვლით, რომ ქვეყნისთვის სპარსეთის ბატონობა და აყრა-გადასახლება აეცილებინა. გამოიჩინა დიდი შორსმჭვრეტელობა, მოთმინება, დიპლომატია, არაადამიანური გამძლეობა, უებრო მხედრული ოსტატობა და სტრატეგიული ნიჭიერება, – მცირე ქართული ჯარით, მინიმალური მსხვერპლით ბევრად მეტ მტერს ამარცხებდა, – მიაღწია იმას, რომ ქართულ მიწას მოაცილა და გაანადგურა 70000 ირანელი ჯარისკაცი, ორჯერ აიყვანა ტახტზე კანონიერი მეფე და ყველაფერს აკეთებდა საქართველოს გაერთიანებისთვის. ამდენად, მას ქვეყნისთვის დიდი ამაგი და საქმე ჰქონდა გაწეული და სიტყვაც ეთქმოდა.

საპირისპირო მხარეს, თეიმურაზს, ზ. ერისთავსა და სხვებს მხოლოდ პირადი მერკანტილური ინტერესები ამოძრავებდათ. მათთვის ქვეყანა იმდენად იყო მნიშვნელოვანი, რამდენადაც მეტს გამორჩებოდნენ.

უამრავი ომის მონაწილე და მომგებ სააკაძეს არსად ისეთი განსაცდელი და გასაჭირი არ დასდგომია, როგორც ბაზალეთის ომში, სადაც ქვეყნის დასაცავად კი არ იბრძოდა, გუშინდელი მომხრე თანამომხმეების წინააღმდეგ მოუხდა

სავალალო საომარ პოზიციაზე დგომა.

აშკარაა, გულდათუთქულია სააკაძე, წყალში ეყრებოდა, რის გამოც იბრძოლა, არ დაზოგა არც თავისი და არც თანამებრძოლთა ძალები, გაუხარელი, ბევრისთვის გამარჯვების სიტკბოშეუგრძნობი სიცოცხლე. ეცოდებოდა გვერდში მდგომი ძალდაუზოგავი გმირი მეგობრები, რომლებიც ყიზილბაშური სახადისაგან ქვეყნის განთავისუფლებას ვერ მოესწრნენ; ებრალებოდა ის თანამებრძოლებიც, ერთნაირი სულისკვეთებით რომ უტევდნენ მტერს, ახლა კი მის წინააღმდეგ ხმლები აუღესავთ...

ძნელი გამხდარიყო გიორგი სააკაძისთვის ბაზალეთის ომში მთელი შემართებით ბრძოლა თავისსავე სისხლთან და მოდგმასთან. იგი ყოველთვის ცდილობდა დაეზოგა ქართული სასიცოცხლო ენერგია, მით უფრო, სიმრავლითაც არასდროს გამოვირჩეოდით, მცირე დანაკარგით აღწევდა გამარჯვებებს.

ასეთი კაცი ზრუნვით, თან კრიტიკულად ადევნებს თვალს და აფასებს თითოეული ქართველის, მოქალაქის, მეომრის ნამოქმედარსა და ნაღვანს. მით უმეტეს, როცა მეფეზე, მისი მეფური მისიის შესრულებაზეა საუბარი და ქვეყანა ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას...

საკაძეს შაჰ-აბასის ზეობის დროს მოუწია ირანში ყოფნა. იგი ხედავდა, როგორი ენერგიით ცდილობდა ირანი მეზობელ ქვეყნებზე მნიშვნელოვან, აღმატებულ სახელმწიფოდ ქცეულიყო. საამისოდ შაჰი არაფერს ერიდებოდა, თუნდაც დამპყრობლურ ომებს, რომ აღარაფერი ვთქვათ მის

დიპლომატიასა და ირანის აღმშენებლობაზე. ისტორიულადაც ცნობილია შაჰ-აბას I-ლის დამსახურება და ღვაწლი ირანის მიმართ და ისეთ კაცს, როგორც სააკაძე იყო, არცაა გასაკვირი, ეოცნება საქართველოს მსგავსად და კიდევ მეტად აყვავებაზე. ხშირად წარმოუდგებოდა ხოლმე თავისი ქვეყანა, ღირსეული მეფე-პატრონისგან მოვლილ-ნაპატრონები.

ასეთი კაცი მეფის მოქმედებას, სტრატეგიასა და თადარიგიანობას, ავსა და კარგს ზერელედ და პირობითად ვერ შეაფასებდა.

ფიქრობ, სააკაძე პირადი „მე“-ს მდგომარეობიდან არასოდეს გამოდიოდა. ორჯერ სასიკვდილოდ გამეტების, შურის, ღვარძლისა და ცილისწამების მიუხედავად, მართლაც ბევრი მოითმინა და დიდი სულგრძელობაც გამოიჩინა. ხაზი უნდა გაესვას, რომ ითმენდა და შემრიგებლურ ხელს უწვდიდა თავის მტრებს მხოლოდ იმიტომ, რომ სამშობლოს ხსნისთვის ერთად დგომა, ქართველი ხალხის ერთსულოვნება იყო საჭირო, სამეფოსა და ხალხის პატრონობის საქმე – გასარკვევი და დასამთავრებელი და ღირსეულ მოღვაწეს ელოდა.

პირადული და საქვეყნო ინტერესი ისე იყო შენიღბული და ერთმანეთში გადახლართული, არსებულ მოვლენებში ჩაუხედავ ხალხს უჭირდა ძირითად არსში გარკვევა.

თეიმურაზისა და მის მომხრეთა მიზანიც, დაუთ-ხანთან შეხვედრიდან გამომდინარე, უკვე თეიმურაზის ქართლ-კახეთის მეფედ დასმა გამხდარიყო.

კახეთის მეფე იყო და იქნებოდა თეიმურაზი, მართე-

ბულად ეჭირა კახეთის ტახტი და კახეთისა და ქართლის დიდებულებს ამ მხრივ არავითარი პრეტენზია არ ჰქონიათ. მთავრი აქ ქართლი იყო ან გაერთიანებული საქართველო და მისი მომავალი მესაჭე მეფე გვირგვინოსანი.

ბაზალეთის მოვლენების განხილვისას შეიძლება ვიფიქროთ, რომ თეიმურაზ მეფის გონებაში ქვეცნობიერად მოქმედებდა საკუთრების განცდა: მისი მეუღლე ხორეშანი და იყო ქართლის მეფის ლუარსაბ მეორისა, დედა კი ასული ქართლის დიდი თავადის აშოთან მუხრანბატონისა.

თუ საკითხს ამ კუთხით განვიხილავთ, აღარ უნდა გვაკვირვებდეს, რომ თეიმურაზს ქართლიც თავის სამფლობელოდ მიაჩნდა. ალბათ ამიტომაც დაასაჩუქრა თავისი სიძე ზურაბ არაგვის ერისთავი თავისი პაპის, აშოთანის მინა-მამულებით; მისი ასეთი მოქმედება მიუღებელი გახდა გ.სააკაძისა და მისი მომხრეებისათვის, რამაც განაპირობა, სხვაგან ეძებნათ ერთიანი საქართველოს მეფე.

ადრე ვთქვით და ახლაც აღვნიშნავთ, რომ ბაზალეთის ომის მიზეზი აიხსნება ორი საპირისპირო მხარის სურვილებით. ორი მოწინააღმდეგე მხარის ინტერესები უპირისპირდებოდა ერთმანეთს. ფაქტიურად, ბაზალეთის ომი პროვოკაციული ომი იყო, რაც შაჰ-აბასმა ქართველების დაპირისპირებით გამოიწვია.

1. გიორგი სააკაძისა და მის მომხრეთა მიზანი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და მის სათავეში მხოლოდ ღირსეული და მტკიცე მეფის მოყვანა იყო;

2. თეიმურაზ I-ლსა და მის მომხრეებს ქართლ-კახეთის ტახტის შენარჩუნება უნდოდათ.

სააკაძეს ოპონენტები საყვედურობდნენ იმასაც, რომ თვითნებურად მოქმედებდა და სამოკავშირეო ურთიერთობებს აბამდა ოსმალეთთან, თავად კი სიამოვნებით თანხმდებოდნენ პირობებს, რაც იმჟამად საქართველოსთვის ბევრად მეტი უბედურება იყო. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ თეიმურაზი იმყოფებოდა ოსმალეთში იგივე სამოკავშირეო გეგმით და ქართული ჯარით იბრძოდა ირანის წინააღმდეგ, თანაც ყოველთვის დაჟინებით ცდილობდა რუსეთთან საერთო ენის გამონახვას.

ქართველების დაპირისპირებაში, მათი ინტერესების შეუთავსებლობის გარდა, დიდია შაჰის „დამსახურებაც“. მას ერჩია ქართლ-კახეთის ტახტზე ისევ თეიმურაზი ყოფილიყო მისი მორჩილი დიდებულებით, ანუ ქართლ-კახეთი ისევ ირანის გავლენის ქვეშ დარჩენილიყო, ამიტომ გამოგზავნა თბილისში დაუთ-ხან უნდილაძე მოსალაპარაკებლად და დაჰპირდა თეიმურაზს, რომ სააკაძის გზიდან ჩამოშორების შემდეგ ქართლ-კახეთის მეფედ ისევ მას გამოაცხადებდა და სწორედ ეს შეიქმნა კატალიზატორი ბაზალეთის ომისა.

საგანგაშო ზარების ხმა ავის მოლოდინში გარინდებულებიყო, თითქოს მიჩვეულებიყვნენ ხმლისა და შუბის ტრიალს და დიდად არაფრად აკრთობდათ ერთმანეთისგან დადენილი სისხლი. თანამოძმეებს, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მეფე-დიდებულებს, გაჭირვების ჟამს ერთმანეთს რომ იფარავდნენ, ახლა ერთმანეთში მორიგება გასჭირვებოდათ. განა ისეთი რა მიზიდულობა ჰქონდა იმ სამეფო გვირგვინს,

ძმათა შორის დაღვრილი სისხლიც რომ ველარ ეწონებოდა და მტერთა გასახარად მტრის საქმეს თვითონ აკეთებდნენ.

ბაზალეთის ომის შეჩერება-განმუხტვა ისევ ზ. ერისთავს შეეძლო. მას ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა, – იყო ცოლისძმა სააკაძისა და სიძე თეიმურაზ მეფისა, – სიტყვაც ეთქმოდა, ძალაც შესწევდა და ანგარიშსაც გაუწევდნენ, მაგრამ ანგარებით ნაკარნახევმა მისმა პოზიციამ, – „ბატონს მივდგომივარ, ვერ ვულალატებო!“, – შეჩერების მაგიერ უფრო გახსნა შურის კალაპოტი და იმ მოვლენებში მონაწილე ხალხის, სამწუხაროდ, თანამოძმეთა, უკვე საომრად აშლილ-აზავებულ ბედუკუდმართთა თვალში, როგორც ახლობელმა, სახლიკაცმა, შექმნა გ. სააკაძის, როგორც არასანდო, მერყევი ადამიანის ბუნდოვანი სურათი.

ზოგიერთი თავადის სიბეცე და შორსგაუხედაობა სააკაძისთვის პრინციპულად მიუღებელი იყო. ზურაბ ერისთავმა თავისი პოზიციის შესანარჩუნებლად თეიმურაზის მხარე აირჩია და სააკაძის საწინააღმდეგოდ ხმალიც აფხინა, მუხრანბატონების მამულები დაგულეებული ჰქონდა და ბაზალეთის ომის თავიდან აცილებას თუნდაც მხოლოდ სიხარბის გამო ველარ შეეცდებოდა.

თეიმურაზისა და ზურაბ ერისთავის სააკაძის საწინააღმდეგო თათბირები სწორედ დუშეთში, მის სამფლბელოში იმართებოდა. ეს მომენტიც ადასტურებს, რომ არაგველი ერისთავი სიძის საწინააღმდეგოდ მოქმედებდა და არა შერიგების სურვილით, იმდენად იყო გაჟღენთილი მათი გონება ბევრი მათ მიერვე მოგონილი ჭორით.

„მაბეზლარს სიტყვას უსმენენ, ვის ვისთვის რომ აქვს შურია!  
ვის რა გაოდა ქართლშია, მეც რომ მეჭამა პურია?!“

(იოსებ თბილელი).

თვით ბაზალეთის ტერიტორიაზე ომის გამართვა მიგ-  
ვანიშნებს, რომ ზ. ერისთავი ამ სამარცხვინო საქმის ერთ-  
ერთი ყველაზე აქტიური მონაწილე იყო. იოსებ თბილელის  
„დიდმოურავიანი“ კარგად ასახავს სააკაძის გულისტკივილს  
ერისთავის განდგომის გამო:

„მიკვირს, შენ რად გამიმეტე, რამ მოშალა ჩვენში ზავი!  
მეც დამკარგავ, საქმეც ჰქენი შენი დღისაც გასათავი?“

...

„ეგებ მაბეზლარს კაცს შევხვდე, ხმალმა ქნას სამართალია?  
ბატონისას კი არ ვღირსვარ, სხვა მტერთ ვაჩვენო ძალია!“

ზ. ერისთავი ქართლში ერთ-ერთი ძლიერი გავლენი-  
ანი ფეოდალი იყო, ვის მხარესაც ის დაიკავებდა, უპირატე-  
სობაც იმ მხარეზე გადადიოდა.

მას რომ გამოეჩინა გონივრული ნება და არ ჩარეულყო  
თანამემამულეთა დაპირისპირებაში, ხელი დაეხანა და განზე  
გამდგარიყო, მისგან ეს იქნებოდა დიდი კაცობის გამოხატვა.  
ამის საფუძველს სააკაძესთან სამოყვრო კავშირი აძლევდა.  
თეიმურაზ მეფისა კი სიძე იყო, ნეიტრალიტეტის ნება ჰქონ-  
და. ასე თუ მოქცეულიყო, ზურაბი შეიქმნიდა სამაგალითო  
კაცის სახელს და ისტორიასაც ლამაზად დარჩებოდა. სამო-  
ქალაქო ომის ასაცილებლად გზის მოძებნა მომხდურ მტერ-  
თან ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებაზე ნაკლები ღირებ-  
ულებისა არ იქნებოდა, მიეცა საშუალება, ერთხელ კიდევ

მარტყოფისებურად ეკისრა ქვეყნის სამსახური, მაგრამ, სავ-  
ალალოდ, მან ეს შანსი ვერ გამოიყენა.

სამწუხაროდ, ქართველებმა საერთო ენა ვერ გამონახ-  
ეს და სისხლისღვრამდე მიიყვანეს საქმე. დადებითი მხარე  
ამ ომისა ის იყო, რომ გამოაშკარავდა, ვინ ვინ იყო და ვის  
რა ასულდგმულებდა. ბაზალეთის ომს არ უნდა შევხედოთ  
მარტო როგორც ძმათა შორის ომს, მას დადებითი მხარეები  
აქვს, რაც საქართველოს გაერთიანებას ნიშნავდა.

ნიშანდობლივია, რომ ყველა ბრძოლაში უძლეველმა  
საკაძემ ბაზალეთი წააგო, თანაც მას მეტი მეომარი ჰყავდა;  
მცირე რაზმით მტრის დიდ ჯარს ამარცხებდა, აქ კი ქართ-  
ველის წინააღმდეგ, ეტყობა, ხმალი გულიანად ვერ მოიქნია.  
ბევრი რამაა დამაფიქრებელი და გულდასაწყვეტიც. ფაქტი  
ერთია: უცხოეთსა თუ საქართველოში მტრის წინააღმდეგ  
გამართული ყველა ომი სააკაძემ მოიგო, ბაზალეთში, თავისი  
თანამოძმეების წინააღმდეგ კი დამარცხდა.

გ. სააკაძის ცრემლში ნალესმა ხმალმა ვერ გაიმეტა  
თავისი თანამოძმენი.

ბაზალეთის ომის წინაც კი სააკაძეს მაინც ჰქონდა  
იმედი, რომ თეიმურაზი მას, ჯერ ქართველს და მერე ამხ-  
ელა დამსახურების კაცს სასიკვდილოდ არ გაიმეტებდა.  
მოითათბირეს, გიორგის ერთგული მეგობარი და თანამებრ-  
ძოლი დავით გოგორიშვილი გასულიყო საომარ ველზე მის  
შემცვლელად მისი საომარი აღჭურვილობით. სააკაძეს უნ-  
დოდა, დარწმუნებულიყო, შერჩა თუ არა მეფეს ლმობიერე-  
ბა და იმედი ჰქონდა, რომ მცირედი გაბრძოლების შემდეგ



დაზავდებოდნენ (როცა დასჭირვებიათ, ჩვენს მეფე-დიდებულებს მტერთან საზავო შეთანხმებაზე უკან არც დაუხევიათ), მაგრამ როგორც კი სააკაძედ შეიცნეს გოგორიშვილი, „დაგვიდექ, მოურავო!“ – შესძახეს და მიესივნენ ზურაბ ერისთავის რაზმები; გოგორიშვილი მამაცურად იბრძოდა, მაგრამ რას გაანყობდა, ეს უბადლო ვაჟკაცი დაიღუპა. ხმა გავარდა, სააკაძე მოკლესო. მისიანები აირ-დაირივნენ...

სააკაძემ რა შეხედა თეიმურაზიანელების დაუნდობლობას, ველარ მოინელა ერთგული კაცის ასე გამეტება და სიკვდილი, ბრძოლაში ჩაება. ახალგაზრდა თავადმა ედიშერ ვაჩნაძემ თავი გამოიღო, „მე, მეფის ყმას, ვალდებულება მაქვს, შევება მოურავსო“ და ხმალმაც იელვა მის ხელში. მძიმედ დააჩნდა „გმირი“ ედიშას ნახმლევი სააკაძეს, მაგრამ უმაღვე ვაჩნაძეც თავგაპობილი დავარდა ძირს. მყისვე სააკაძემ თავისი რაზმით თეიმურაზისკენ გაიწია და ხმლის მაგივრად ლახტი გადაჰკრა ესოდენ უგუნური უმადურობისთვის.

„მოურავმა ჰკრა ბატონს თეიმურაზს ლახტი ბეჭსა ზედა, არღარა დადგა და ნავიდა“ („ქართლის ცხოვრება“).

საკმარისი იყო სააკაძეს თეიმურაზი სასიკვდილოდ გაემეტებინა, რომ ბრძოლის სასწორიც უმალ მის მხარეზე გადაიხრებოდა, მაგრამ მას ეყო სულგრძელობა და ხალხს და ქვეყანას მეფე შეუნარჩუნა.

მეფის დანდობა რაინდობა იყო სააკაძის მხრიდან, რასაც ვერ ვიტყვით მონინალმდევე დიდებულებზე. ყველა ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, რომ სააკაძის ცხენზე მჯ-

დარი და მის ჯაჭვის პერანგში გამონყობილი დავით გოგორიშვილი უმონყალოდ აკაფეს.

სააკაძეს წესად ჰქონდა – ქვეყნის მტერს უკიდურესი თავგანწირვით ფეხდაფეხ მისდევდა და მის ბოლომდე ამოძირკვას ცდილობდა; როცა დაამთავრა ყიზილბაშთა განდევნა და უკვე შვებით უნდა ამოესუნთქა მის ამაგიან გულსა და ქვეყანას, სწორედ მაშინ დაიწყო სატანისაგან გაღვიძებულმა შურმა და უგუნურებამ მოქმედება ქართულ ფსიქოლოგიაში.

გიორგი სააკაძის ირანიდან დაბრუნებამ გააღვივანაცარწაყრილი ნაღვერდალი წინააღმდეგობისა, გამოაღვიძა ეროვნული ნერვი, მისი უზღვავი ენერგია გადაეცემოდა და აღანთებდა ყოველ ქართველს... უზენაესიც ეწეოდა და გამშაგებულ შეტაკებებში ათასი შემართული ხმლის ქვეშ მყოფს თავისი შავი ფრთა ვერ გაჰკრა თვით სიკვდილმა, თითქოს საქართველოს თანამდევი უკვდავი სული მიმოტრიალებდა გ.სააკაძის გარშემო და იცავდა მას, რამეთუ მისი სიცოცხლე საქართველოს მტრისგან გასათავისუფლებლად იყო საჭირო.

კახეთს ყიზილბაშური ჭირი შესჩვეოდა, ქართლშიც გაელწია და აოხრება-გადასახლების შიშქვეშ გაეთანგა მოსახლეობა. დანანევრებული ქართული ფსიქოლოგია მოკლებული იყო მთლიანობის განცდას... უფლის შეწევნით კი დამდგარიყო ჟამი, გადამრჩენი, ძლიერი და გონიერი კაცი მოვლენოდა ქვეყანას, იბრძოდა მისი გათავისუფლება-გაერთიანებისათვის, რაც ეწინააღმდეგებოდა დიდებულების ამბიციას, მარაბდის ომის შემდგომ სააკაძისაგან უკვე ძლეული

შაჰის საზავო პირობებს ხალხიანად რომ ეთანხმებოდნენ. მტერთან ლოიალობა რომ დამლუპველი იყო, ამას ქართველები გრძნობდნენ, მაგრამ წინააღმდეგობის განწევას უშედეგოდ მიიჩნევდნენ, მტრის ფსიგოლოგიასთან შეგუება კი მტრისავე გაშინაურებას ნიშნავდა. იმდენად მაცდური პირობების შეთავაზებით ცდილობდა შაჰი ქართველი დიდებულების გულის მოგებას, რომ შემდეგ ეს საჭირო ნორმაც აღიქმებოდა.

გ. სააკაძის სამართლიანობისაკენ სწრაფვა და მასთან შეზავებული ადამიანური სიმკაცრე მტრისაგან დაცვის წესადაც აღიქმებოდა ქართულ მოსახლეობაში. გიორგის ფიზიკური ძალმოსილება მისავე მძლავრ გონებას და მასშტაბურ წინდახედულებას ემორჩილებოდა. ცხადია, ბევრს არ მოსწონდა მისი ამგვარი უკომპრომისობა, ბევრი წინააღმდეგობა და მუხთლობა შეახვედრეს—ყველაზე უარესი, იძულებული გახადეს ორჯერ მიეტოვებინა სამშობლო და საბოლოოდ უცხო მიწას ამოჰფარებოდა.

საქართველოს გაერთიანების საქმე ჩაიშალა, გ. სააკაძე დამარცხდა – ქვეყნის მტრებთან ყოველთვის გამარჯვებული, მაგრამ თანამემამულეთა ურთიერთშეტაკებაში დამნდობი, ვერგამმეტებელი თავისი სისხლისა და ჯიშისა, მერე მინა-წყლისა, იმ საფიცარი მინისა და წყლისა, რომლისთვისაც შვილის სიცოცხლე გაიღო ზვარაკად, მისი კი მუდამ ბენჯზე ეკიდა!

გიორგი ჭყონდიდელი მუდამყამს შთააგონებდა დავით აღმაშენებელს, იაკობ მოციქულის შეგონებას. „ყოველი საჭეთმპყრობელი ადამიანი სმენაში უნდა იყოს მკვირცხლი,

რისხვაში კი ნელი“.

ომებში გამარჯვების მოპოვება იცოდა სააკაძემ, მაგრამ ქვეყნის საკეთილდღეოდ გამარჯვების შენარჩუნებას არ აცდიდნენ შაჰ-აბასისაგან ქართლ-კახეთში შექმნილი მდგომარეობით მის გავლენაში მოქცეული დიდებულთა ნაწილი.

ისევ თავს დაგვტრიალებს და დამშვიდების საშუალებას არ გვაძლევს მოუსვენარი კითხვა: ბაზალეთის ომში დამთმობი უფრო იყო სააკაძე თუ დამარცხებული? რა მოხდა? როგორი სამზადისით მიიყვანა მარტყოფის ომი სრულ გამარჯვებამდის და მის მედროშეს რაღა შეეშალა ან ვის რამდენი შეეშალა?

როცა ვაანალიზებთ ქსნის ომის შემდეგ მომხდარ მოვლენებს, ვასკვნით, რომ შაჰს ერთადერთი გზა დარჩენოდა, ზავის პირობების ულტიმატუმად წაყენება ქართველ დიდებულებთან, რასაც ირანული ფარჩა-ატლასებით, სახელოებით დასაჩუქრება, თავიანთ სამფლობელოებში უფლებების განმტკიცება და სხვა ასეთები ახლდა თან. ბაზალეთის ომის აცილება შეუძლებელი გახდებოდა სწორედ იმიტომ, რომ დაუდ-ხან უნდილაძე ჩამოვიდა საქართველოში, თეიმურაზს, შაჰის სახელით, ქართლ-კახეთის ტახტზე გაძლიერებას დაჰპირდა. მათ გეგმაში სააკაძის როგორც შაჰ-აბასის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე პირის ლიკვიდაციაც შედიოდა. ყიზილბაშური ჯარების განადგურების ამბები საქართველოდან ირანში ხშირ-ხშირად ჩადიოდა. შაჰ-აბასს ისეღა გაუხდა საქმე, რომ აცხადებდა, თავის სახელმწიფოს ნახევარს დასთმობდა იმისათვის, ვინც გურჯი მოურავის თავს საჩუქრად

მიუტანდა. რადგან მარტყოფის ომში ირანული არმია დამარცხდა, ამ მოვლენამ პირობა შექმნა ქართლ-კახეთი ერთი დროშის ქვეშ დამდგარიყო. რამაც ბუნებრივად შაჰ-აბასის მიერ ქართლში დანიშნული სიმონ II-ის გამგებლობამ იგივე მეფობის იგნორირება გამოიწვია.

ყურადღება უნდა გავამახვილოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე. როდესაც მარტყოფის გამარჯვებით და სააკაძის ინიციატივით, თეიმურაზ I-ის მოწვევა აუცილებლობას წარმოადგენდა, რათა ქართლ-კახეთი ერთი მეფის ხელში ყოფილიყო, ამ მოულოდნელმა მოვლენამ შაჰ-აბასი საგონებელში ჩააგდო. მან იცოდა თეიმურაზ I-ის ხასიათიც და ბრძოლისუნარიანობაც. გამომდინარე, კახეთზე თავდასხმების დროს, რა დროსაც თეიმურაზი დასავლეთ საქართველოს აფარებდა თავს, ამდენად ქართლ-კახეთის გაერთიანება მისაგან შეუძლებელი იყო. შაჰ-აბასმა იცოდა, მარტყოფის ომში თავისი ჯარების დამარცხებამ ქართლ-კახეთი გააერთიანა. მან ამ მიზეზებით სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება და აღმოსავლეთ საქართველოს ძირფესვიანად მოსათხრელად თავი მოუყარა 50 ათასიან ირანულ ჯარებს. შაჰ-ბენდე-ხანსაც ბრძანება შეუთვალა, 10 ათასი მეომრით მხარში ამოსდგომოდა ირანელებს.

თუ წინა წლებში შაჰი თეიმურაზს კახეთის სამეფოდან ჩამოშორებას უპირებდა ირანში მიწვევით (იქ კი მის სიცოცხლეს რა მოელოდა ეს მარტო შაჰმა იცოდა), მარაბდაში ასეთი რაოდენობის ჯარი რომ შემოვიდა, შაჰს თეიმურაზის ან ცოცხლად შეპყრობა ენადა, რაც მისთვის უკეთესი იქნებოდა, ან ბრძოლაში განადგურება, რომ ქართლ-კახეთში მე-

ფობის მსურველი აღარ დარჩენილიყო.

რადგან შაჰ-აბასმა აღმოსავლეთ საქართველოში თავისი მიზნები ვერ აისრულა, თან ამდენი ჯარი გაუნადგურდა, მიზეზი კი სააკაძე იყო, მას სხვა გზა აღარ დარჩენოდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა, მოკაკვა თითი, გამოიყენა ცბიერი ხერხი, შეამზადა დაუდ-ხან უნდილაძე საქართველოში გამოსაგზავნად,

დაუდ-ხან უნდილაძე, მისი მამა ალავერდი-ხან და ბიძა იმამყული-ხან უნდილაძეებისაგან მაგალითალებული, რომ სამსახური უნდა გაენია ირანისათვის: მან საქართველოში შაჰ-აბასისაგან ისეთი საზავო პირობა ჩამოიტანა, რომ ბაზალეთის ომი გარდაუვალი იყო.

ბაზალეთის ომში ორივე მხარეს ქართველები იბრძოდნენ. ღმერთმა დაგვიფაროს იმ განცდისაგან, რომელიმე მხარის გამარჯვება ან დამარცხება გაგვიხარდეს, მათ შორის კი შაჰისაგან ისეთი სატანა ჩამდგარიყო, შუა საქართველოში, დუშეთთან ახლოს, ბაზალეთზე, საქართველოს გაერთიანების იდეას ნიადაგი უნდა გამოსცლოდა.

შაჰისაგან შეთავაზებულ ზავზე, ზოგი ქართველისაგან თავის კანტური, საქციელი იყო არა ქართული.

*მთქმელი იასონ ელისაბედაშვილი  
კასპის რ-ნი სოფ ერთანწინდა 1975 წლი.*

\*\*\*

გ. სააკაძემ 12 წელი ირანში გაატარა, ფორმალურად მიღებული ჰქონდა მაჰმადიანობა, მაგრამ სულით ხორცამდე ქრისტიანი იყო და დარჩა. ამას გვიდასტურებენ ირანელი მემბტიანე, ისქანდერ-მუნში და იტალიელი პიეტრო დელავალე, ასევე თავად გიორგის მთელი ცხოვრება. მოსისხლე მტრებს სახლ-კარის აკლება, თავისი ქონების მიტაცება, სასიკვდილოდ გამეტება აპატია, განა ერთხელ და ორჯერ, სამშობლოსათვის ხომ თავი ჰქონდა გადადებული, პირველად იგი თავად უწვდიდა შერიგების ხელს თავის სამტრო მხარეს.

ახლა შევხედოთ სააკაძის მოპირისპირე მხარეს, რომელთაც ქრისტიანობა არასოდეს შეუცვლიათ, როგორი ყინით ცდილობდნენ სააკაძის განადგურებას ჯერ კიდევ 1612 წლის 20 მაისს და 1615 წელს ირანიდან ჩამოსვლის დროს, ორჯერ დანაშაულნაპატიები ქაიხოსრო ჯავახიშვილისაგან. შემდეგ ბაზალეთში როგორ მხეცურად ეკვეთნენ სააკაძედ გადაცმულ დავით გოგორიშვილს. ახლა განვსაჯოთ, ვინ მეტი ქრისტიანია! ბაზალეთის ომით გახურებულ მიწაზე ციდან წამოსულ ღვართქაფში ქართველობა ერთმანეთს ებრძოდა, შეუძლებელი იყო იქ, იმ ვითარებაში, მტყუან-მართალის გარჩევა, სატანა ზეიმობდა. მაინც სააკაძემ დათმო, არ და ვერ აკადრა მირონცხებულ მეფეს სხვათა ომებში ალესილი ხმალი. იგი ყოველთვის უძლეველი იყო გარეშე მტერთაგან და დამარცხდა მტრად მოქცეული მოძმეებისაგან.

„არ დაჰკარგო მეგობარი, არ ჰყოთ მეფის მოსამდური ჩემი იცით ყველას გახსონთ, რა ოფლით ვარ მონაწერი.“

„დიდ მოურავიანი“

სიყვარულის სიმებდანყვეტილი გულით, სამშობლოსაგან გაცლის მძიმე წუთები ისევ დაუდგა სააკაძეს. მისი ენერგიით იღლებოდნენ ომები, მაგრამ მოშურნეთა გულები ისევ და ისევ იყო უძლები, და რაც არ უნდა დიდი ომები მოიგო, გიორგი, სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩები. შემკრთალი სულით, და ვარამიანი გულით, ისევ მოუხდა გიორგის ოსმალეთის გზაზე დამდგარს, ერთხელ მობრუნვა თავისა. „მშვიდობით ქართლის მინდვრებო გულში ამშლელნო ბრალისა“ მის მარჯვენას ქანცი რომ არ მიჰკარებია, ოსმალური მიწის ქვის სახრავად გამხდარა.

„მე სოფელმან ოთხის კუთხით დამაბა და მიდგა მახე არ გავიდა სამსახური, რა გინდ ბევრი ქირი ვნახე, სად წავიდე, სად დავლახო, ან ქვეყნისა კიდით-კიდე მეფის მტერსა მე რამდენჯერ გულ-მესისხლედ წავეკიდე?“

„დიდ მოურავიანი“

სამყაროში სიმართლისა და სინათლის სხივები არასოდეს ჩაქრებიან. ღამით ვარსკვლავებად ციმციმებენ და თავიანთი მარადიულობით დედამიწას წონასწორობას უნარჩუნებენ. სასოებაწართმეული ის მძიმე ეპოქა შურიტა და ომებით იყო გაჟღენთილი. შაჰ-აბასის ავისმოსურნე ხელით მირთმეული შხამით სავსე ფიალას ნაწილი დიდებულნი სვენებ-ქოშინით სვამდნენ, სხვასაც ასმევდნენ და სანამ გამო-

სკლიდნენ, რაღა იყო მათი სიცოცხლე, რომ სიკვდილზეც ადრე კვდებოდნენ.

30 წლის მანძილზე სისხლის ნალვერდლებზე გამოვლილმა ომებმა და შემდეგ ბაზალეთზე სააკაძის მოძულე მხარემ საქართველოს გაერთიანების გეგმას მზის კარი მიუხურეს და ასეთ დავით აღმაშენებლურ იდეას მტვრის ფარდაც ჩამოაფარეს. იმ დროში საქართველო დაყოფილი იყო ქართლის, კახეთის და იმერეთის სამეფოდ და ოთხ სამთავროდ: სამცხე საათაბაგო, სამეგრელო, გურია და აფხაზეთი ე.ი. საქართველოს სხეული დანაწევრებული იყო იესოს სამოსელივით. სააკაძის იდეა, არა პატარა საქართველოებად დარჩენა, არამედ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთ მთლიან ქვეყნად ქცევა იყო, როგორც მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, უნაწევრებო, როგორც ჯვარცმამდე იესო ქრისტეს კვართი.

ნავკისიდან, შუბლზე აქლემის ტყავ-შემოკრული, გამანქურთებული ნაწილ დიდებულთაგან წარმოქმნილი ავკაცობა, გზადაგზა იფოფრებოდა, ბაზალეთის ველზე ისევ ამოხეთქა და ჯერ კიდევ გაუთენარმა ღამემ იწინასწარმეტყველა ავის მოლოდინი, რამაც ძმათა შორის შეხეთქების გრგვინვამ ცაც შეაფრჟოლა. 380 წლის წინ აქ, მტვერადენილ ბაზალეთში, სააკაძის დროებით მიძინებული მიზნები ისევ ფხიზლობენ და ცრემლებად ტბის წყვდიადში ციმციმებენ. და მაინც სააკაძის ზენიტში მყოფმა, ეროვნული მუხტით სავსე დიდების გზამ, როგორც ილბალი, ბაზალეთის ველზე ზოგ დიდებულთა მიერ ატალახებულ მიწაზე გაიარა.

ქართული ცნობიერება ისტორიული ლაბირინთების

ყველა კუთხე-კუნჭულებში იმზირება, სამართლიანობას დაუნახავი არ დარჩენია ქართველ გმირთა ქვეყნისთვის თავგამწირავი მოქმედებანი, მათში ჩაკირულია სააკაძის საქმენიც რომლის მარჯვენით უამრავი მტრის სისხლი დაღვრილა და ყველაზე მეტი ბედ-უკუღმართობა მისი ცრემლით დატირებულია. მომხვდურ მტრებთან ომებით სავსე სააკაძის ხმალი ისევ საქართველოში დაიცალა.

„პატრონის შემმატებელი ამხანაგთათვის მარგია, ქართლ-კახეთისა მამრჩენი, მიკვირს რათ დავიკარგია? ჩემს ჭირნახულსა ქართლზედა, მიკვირს ბევრი ვერ ხედავსა ქართველნი დავსხენ მოსპოლვას მით მიზმენ ზედიზედ ავსა“  
„დიდ მოურავიანი“

და როგორც სატანამ ადამს სამოთხე დააკარგვინა, ისეთ სატანას საქართველოშიც აედგა ფეხი, შეხობებულიყო ნაწილ დიდებულთა ფსიქოლოგიაში, მოშურნეობის ფესვები გაედგა და სააკაძეს სამშობლო დააკარგვინეს, მას წაართვეს ნება თავის მიწა-წყალზე არსებობისა.

ნეტავი რად ერგო ასეთი ბედი, რომ ახალ-ახალი მტრობა გულ-დაგულ უსაფრდებოდა, სამშობლოს ცის ნამზე უნეტარესი თუ კიდევ არის რაიმე და როგორ მიატოვებინეს ნოსტეს ცა. გესლი და შური, ყოველი კარგის დამამხობელი, თავისი სამკვიდროდან განდევნის სააკაძეს, წინამურთან ილიას ჩაუსაფრდება და ამაგიან შუბლში ტყვიას უმიზნებს. აქ, ამ ადგილას, ცრემლი ისევ სდით იებს, რატომ მოუკლეს საქართველოს „კახეთის ლომი“. როგორც ხე იქცევა სოფლად თუ ქალაქად ჯერ გამათბობლად, შემდეგ კი ფერფლად, ისე ქვეყნისათვის თავდადებულთა საქმეები აისახება სულიერად

გამათბობლად და მერე ფიზიკური მეობის შემანარჩუნებლად. დასაბამიდან როგორც ყველა ხეში სძინავს ცეცხლს, ისე საქართველოს მიმართ სამტროდ მაცქერალ ქვეყნების ავ თვალში თვლემდა მტრობა, იავარქმნა და დაპყრობა.

ილია ჭავჭავაძეს საქართველოს ბედი ატირებდა, მისი სულისაგან კი ქარიშხლები დგებოდა. სწორედ ქართლის ცხოვრებიდან წინაპართაგან ამონაკვნესმა ხმამ ათქმევინა:

„მარად და ყველგან საქართველოვ მე ვარ შენთანა!“

ჩარგლიდან ხარ-ირემი ისევ ყვირის, რატომ სდიოდა ვაჟას ცრემლები? რატომ აღმოხდა ფიროსმანს სული დაობებულ კიბის სარდაფში? საიდან ჰქროდა ის შიში, რომელიც აათრთოლებდა გალაქტიონის ხმას? რატომ ითვლიდა ბაღლინჯოებს შხამიანი ენებით გონებაარეული ყაზბეგი? ქართლის ჭირით გული რატომ მისდიოდა გურამიშვილს? რატომ იხოკავდა სახეს ქართველი ხალხის ვარამიანი ბედის მაცქერალი ბარათაშვილი?

ბაზალეთის ომის გლოვის კვამლი მოედო საქართველოს. ქართლის ციხე-კოშკები კვლავ გლოვობენ გმირ გ. სააკაძეს, რომლის დამარცხებული დიდება, ბაზალეთის ტბაში ჩარჩენილი, ისევ ღმუის მის ტალღებში.

სააკაძე იძულებული გახდა, ოსმალეთის გზას დასდგომოდა.

## ზოგიერთი ოპონენტური მოსაზრების პასუხი

გ. სააკაძეს, ვინც ფიქრობდა ქვეყანა შაჰის ავი მიზნებისაგან გადაერჩინა, ჯერ მოძულე თანამოძმეთა მიმართ ურთიერთნდობის ატმოსფერო უნდა შეექმნა. როცა ეს უკვე შესაძლებელი გახდა, ასეთ საფუძველმა განაპირობა მარტყოფის გამარჯვება. შემდეგ ბუნებრივად დადგა საკითხი, ვის უნდა ემართა ორივე, ქართლ-კახეთის სამეფო?

სააკაძის ინიციატივით, არჩევანმაც არ დააყოვნა და თეიმურაზი შეიქმნა ორივე სამეფოს პატრონი. ის მოსაზრება, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანება ბაზალეთის ომის შემდეგ მოხდა, მცდარია, (მე შეგნებულად არ მომყავს ამ აზრის ავტორთა გვარ სახელები) ამ აზრის ავტორები ტენდენციურად ცდილობენ, თეიმურაზს მიაკუთვნონ ის, რაც მას არ გაუკეთებია, ანუ სააკაძის დამსახურებას თეიმურაზს მიანერენ და სააკაძის ღვანლს ჩრდილში აყენებენ. როცა თეიმურაზი უიმედო, სასონარკვეთილი, გონიოს ციხეში იდგა და რუსეთში აპირებდა წასვლას, მან არ იცოდა თუ სააკაძე შაჰის წინააღმდეგ აჯანყებას ამზადებდა. და ვერც გამარჯვება გაიგო, სანამ სააკაძემ მეფედ არ მოიწვია.

ხოლო მარაბდის ომის შემდეგ, სააკაძის პარტიზანულ თარეშულ ბრძოლებით ყიზილბაშთა სარდლობა ღრმად ჩახვდა, ვისთან ჰქონდათ საქმე. მტერმა შეწყვიტა მოსახლეობის რბევა და ხალხი დამპყრობელთაგან თავის დაღწევასაც ახერხებდა. იმ ხანებში იმერეთში გადასული თეიმურაზი სააკაძემ კვლავ დააბრუნა მეფედ. ეს ისეთი ისტორიულად

არსებული, ქვემარტივი სიმართლეა, ამის არასწორად აღნიშვნა, სამარადჟამო ცოდვად გვექცევა, რომ ქართლ-კახეთის გაერთიანება, სააკაძისაგან მომზადებულმა მარტყოფის გამარჯვებამ განსაზღვრა.

სააკაძის ეპოქის მკვლევარი, ღირსეული ისტორიკოსი და დარბაისელი პიროვნება, ბატონი გივი ჯამბურია, რომელთანაც სააკაძის შესახებ სატელეფონო საუბრები ხშირად მქონია, განმარტავს, რომ ბაზალეთის მოვლენებს ომი არ უნდა ვუნოდოთ, ის იყო თანამოძმეთა შეტაკება და ნუ წარმოვიდგენთ საგანგაშო ომად. ქართველმა ხალხმა ამ კონფლიქტში ყურადღება უნდა მიაქციოს მთავარს, რომ დიდ მეფეთა მსგავსად, სააკაძესაც ჰქონდა იდეა და მიზანი საქართველოს გაერთიანებისა.

თეიმურაზ I-ის ბრძოლებს ირანის წინააღმდეგ დიდი მნიშვნელობა აქვს. ჯერ წინამურის ომის მოგება რად ღირს, რამაც ქართველ მოსახლეობაში რწმენა და თავდაჯერების მისია განამტკიცა, მაგრამ ქვეყნის ხსნა მან ვერ შეძლო. შაჰის ჯარები კახეთის მოსახლეობას ანადგურებდა, თვითონ და ნაწილი დიდებულებისა, იმერეთის სამეფოს აფარებდნენ თავს. 1618 წელს თეიმურაზი ოსმალეთში სულთანთანაც ჩავიდა, რომ ირანის წინააღმდეგ მოკავშირე ჰყოლოდა. ბოლოს იქიდანაც უნუგემოდ დაბრუნდა. მისი მდგომარეობა 1625 წლამდის უიმედო იყო იმის გამო, რომ მეფემ ფარული გზებით იცოდა შაჰი საქართველოს დალაშქრას ისევ აპირებდა, და ნაღველმორეული, ასპარეზს გარიდებული, რუსეთში აპირებდა წასვლას, სანამ მარტყოფის გამარჯვების ცნობას ახარებდნენ.

თეიმურაზ I-ს ტენდენციური დაცვა არ სჭირდება, ის მეფე იყო და ასეთ დაცვას არ შეირგებს და არც საჭიროებს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მან უსპეტაკესი დედის ქეთევან დედოფლის შვილობა იმ კუთხით გაამართლა, რომ დედასთან ერთად, თავისი ორი შვილი, ალექსანდრე და ლევანი, სამშობლოს სამსახურისთვის სარისკო გზაზე დააყენა. სიმართლე უნდა ითქვას, თეიმურაზისაგან ასეთ სარისკო გზას ქვეყნის ხსნა არ მოჰყოლია, მაგრამ მეფისაგან ასეთი ზნეობრივი მისიით, ქართველმა ხალხმა შვევა იგრძნო და დაპირქუშებული სახეებიდან უჟამური ღრუბლები გაუქრათ.

ჩვენ თეიმურაზისა და სააკაძის მოღვაწეობაში მხოლოდ შედარებებს ვახდენთ, რომ სიმართლემ და სანთელსაკმეველმა გზა არ დაჰკარგოს, იმ ნიშნით რომ ქვეყანას რა შემთხვევაში დაადგა საშველი და რა მოვლენებში იყო წარუმატებელი. ის ეპოქა მართო თეიმურაზ მეფის მოღვაწეობით რომ იყოს შემოფარგლული და არ ყოფილიყო სააკაძის ამაგი და მოღვაწეობა, ასეთ შემთხვევაში გაიოლდებოდა მოვლენათა განსჯა. მაგრამ რა ვუყოთ იმ სიმართლეს, რომ არა სააკაძე, აღმოსავლეთ საქართველოს დიდი განსაცდელი ელოდა?!

იმ ეპოქის შესახებ, ჩემს ირგვლივ მყოფი ადამიანებიდან, ზოგიერთს დაუსვამთ ასეთი შეკითხვები, რომ თეიმურაზ I-მა ორი შვილი დათმო ქვეყნის ინტერესებისათვის, გ. სააკაძემ ერთი. რადგან თეიმურაზ I გარკვეული დროით, ირანში, შაჰთან იზრდებოდა, ამ საფუძველზე ურთიერთნდობა, მცირე, მაგრამ მაინც ექნებოდათ, რაც ერთგვარ პირობას ქმნიდა, თეიმურაზისაგან, შაჰთან გაგზავნილი

შვილებია ალექსანდრე და ლევანი, სასჯელისაგან არიდებულინი ყოფილიყვნენ.

შაჰისათვის, თეიმურაზისაგან, პირდაპირ გაცხადებულია, რომ მასთან ერთგულება, ორი შვილის გაგზავნით დაუმტკიცა, მიუხედავად ამისა, შაჰმა ისევ შემოუთვალა, თეიმურაზიც მასთან გამოცხადებულიყო. (აქ მკითხველი დაფიქრდება, თეიმურაზს როგორ უჭირს, შაჰის გული რომ მოიგოს, შვილებს აგზავნის მასთან, ასეთი ვითარება ხომ ზავის და საომარი პოზიციის თავიდან აცილებასაც ნიშნავს? რატომ არ თანაუგრძნო შაჰმა თეიმურაზს?)

როდესაც შაჰის ჯარები საქართველოში სააკაძისაგან დამარცხებას დამარცხებაზე იღებდნენ და შაჰს გაჭირვება დაადგა, ხომ შეეძლო შაჰის ზავის პირობაზე თეიმურაზსაც უარი განეცხადებინა?

(რატომ წავიდა შაჰთან დათმობაზე, ეშინოდა მისი? აქაც დაისმება კითხვა, თეიმურაზს, მარაბდის წინარე მოვლენებში, არ ეშინია, როცა მას 20 ათასიანი ჯარი ჰყავს და მტერს 50 ათასი და მათთან საბრძოლველად დაბლა ვაკეზე ჩაჰყავს თავისი ბევრად ნაკლები ჯარი, და თეიმურაზს მტრის ჯარებისგან მაშინ შეეშინდა, როცა ქსნის ომში და მის შემდეგ ყიზილბაშები სააკაძისაგან მარცხს მარცხზე ღებულობდნენ?)

მეფე საფუძვლიანად დაეჭვდა, რომ შაჰს მისი შვილებისადმი ავი განზრახვა ჰქონდა. თეიმურაზი ფიქრობდა, ძვირფასი დედა და შვილები მასთან გაგზავნა და მისი ნდობა მაინც ვერ მოიპოვა. თეიმურაზ მეფის ყურამდის მიღწეული

იქნებოდა ხმები, რომ შაჰი კახეთზე ლაშქრობას აპირებდა, მის წინააღმდეგ, სამწუხაროდ, საომარი თადარიგი დაჭერილი არა ჰქონდა და იფიქრებდა, რადგან დედა და შვილები შაჰთან გაგზავნა, იქნება ამით კახეთი შაჰის თავდასხმისაგან გადავარჩინოვო. თეიმურაზს მტრის დასახვედრი საომარი თადარიგი დაჭერილი რომ ჰქონებოდა, შაჰის კარზე ოჯახის ნევრების გაგზავნა აღარ დასჭირდებოდა. დიდ სიბრალულს იწვევს ალექსანდრეს და ლევანის დასაჭურისებლად გამეტება, მათ შაჰი სარწმუნოების შეცვლას თუ მოსთხოვდა, ყმანვილებისაგან უარი ან თანხმობა, მათი ასაკობრივი მდგომარეობის გამო, ღრმად გაცნობიერებული არც ექნებოდათ, თუ რის მომასწავებელი იყო მათგან სარწმუნოების შეცვლა, და ეს პატარა ბიჭები ისეთ მტკიცე უარს იტყოდნენ? მაჰმადიანობის მიღებაზე, რომ ასეთი სანამებელი ოპერაციისათვის გაიმეტა შაჰმა?

ბეზიით ქართველ შაჰ-აბასს ერთი მისხალიც კი მიმტევებლური საქმე საქართველოს მიმართ გაკეთებული არა აქვს, რომ მის შესახებ ერთი დადებითი სიტყვა მაინც მეთქვა. მისი ცხოველური ინსტიქტის უმაღლესი გამოხატულება სიკვდილით დასჯა იყო. თუ ქართული ტრადიციული ნათესაური კავშირების შინაარსით ვიმსჯელებთ, შაჰ-აბასი ქართველი მეფეების სიძე იყო, მას თეიმურაზ I-ის და ელენე, და ლუარსაბ I-ის და ლელა თინათინი ცოლებად ჰყავდა და ამ მხრივ, ხომ შეეძლო უბრალოდ, სიკვდილით დაესაჯა ქეთევან დედოფალი, და არა საჯაროდ შეეყრილ მოედანზე, ბრბოს წინაშე, თან შიშველ მდგომარეობაში. მაგრამ რა იცოდა ამ მორიელის ბუნების შაჰმა, თუ ქეთევან დედოფალი, მისგან მოწამეობრივი აღსასრულით, მსოფლიო ქრისტიანულ სამ-



ყაროში უსპეტაკეს სულიერ განძად ჩაენერებდა.

პაატა სააკაძის სიცოცხლე, ქართველი ხალხის ზნეობის თვალში, წმინდა სისხლდაღვრილი კრავის განსახიერებაა. როგორც უმანკო ბატკანს, მას არჩევნის უფლებაც არ ჰქონდა, ის ტაძრადქცეულ სამშობლოს წინაშე მამამ, გ. სააკაძემ, მიიყვანა და დააყენა, მას უკან მოტრიალება კი არა, თავის მობრუნებაც კი არ შეეძლო. იდგა ის სამსხვერპლო ადგილას, სანამ შაჰის ანჩხლი ხმა გამოსცემდა – ”ჩაუქრეთ სიცოცხლე მაგ გველის წინილსო“.

სააკაძის აჯანყებას და გამარჯვებას შაჰის წინააღმდეგ ანტონ მარტყოფელის და წმინდა გიორგის ძალა და მფარველობა უძღვოდა წინ. მიუხედავად ამისა, სატანაც ფხიზლობდა შაჰის სახით და ნარუმატებლობის შემთხვევაში პაატა მაინც განწირული იყო. საქმეც ამაშია, თეიმურაზ მეფემ დედისა და შვილების შაჰთან მძევლებლად გაგზავნით უდიდესი ხარკი გაიღო, მაგრამ ამას კახეთის სამეფოს ხსნა არ მოჰყოლია, შაჰმა მის შემდეგ ოთხჯერ ააოხრა კახეთის მხარე.

ქართველმა ხალხმა პაატას სიკვდილში თავისი გადარჩენა დაინახა და ცრემლიანი სიყვარულით აივსო მათი გულები, ღვთის ხმა და ერის ხმა მის სახელს ეფოფინება იმიტომ, რომ პაატას მოკვეთილ თავს საქართველოს ხსნა უკავშირდება.

ტენდენციური მოსაზრება, ქართლ-კახეთი ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზის მეშვეობით გაერთიანდა, მკითხველში ღიმილს იწვევს. თუ რა საჭიროება ითხოვდა ამ

უსუსურობის თქმას, ქართველი მოსახლეობის 90%-მა კარგად იცის თავისი ქვეყნის ისტორია და არიან ისეთი მკითხველებიც, რომელთაც მსოფლიო ისტორია მამაო ჩვენოსავით იციან და საქართველოს ისტორიას ზერელედ მოეკიდებიან? საქართველოში ყველა თაობის სასიქადულო ისტორიკოსებმა დალაგებით იციან ჩვენი ქვეყნის წარსული, და აქ აუცილებელია, ჩვენი უდიდესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი გავიხსენოთ, როცა ამბობს, მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი სააკაძის ბედისწერაა, და სხვა დანარჩენი წვრილმანი მისი სამტრო მხარის მონაჭორიაო. აქ მოკრძალებით უნდა დავამატოთ, რომ ქსნის ომი, სააკაძის ბედისწერაა, იმ ეპოქის ამერ-იმერ საქართველოს გაერთიანების იდეაც სააკაძის ბედისწერა იყო.

როცა შაჰი აღმოსავლეთ საქართველოს განადგურებას გეგმავდა და ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად გამოგზავნა 90-ათასი მეომარი, მაშინ შაჰი ოდნავ მაინც ფიქრობდა იმას, რომ თეიმურაზს განუმტკიცებდა ქართლ-კახეთის სამეფოს? ვთქვათ შაჰს მიეღწია თავისი საწადელისათვის, (კახეთიდან 400 ათასი აყრილი იყო) რაც დარჩენილი იყო კახეთში, ისიც, და ქართლიდანაც აყვარა მოსახლეობა და ირანის გზას გაეყენებინა. ამას რომ მორჩებოდა და რომ დასცლოდა, მისი გეგმებით ქართულ მიწაზე უცხო ტომელთა დასახლება იყო, და მეორეს მხრივ, ვთქვათ, უცხო ხალხით დასახლებული აღმოსავლეთ საქართველო შაჰს თეიმურაზ მეფისთვის განემტკიცებინა, თუ ქართველები აღარ იქნებოდნენ ქართულ მიწაზე, ვისი მეფე-ლა იქნებოდა თეიმურაზი?

ამ საკითხის შესახებ იმ აზრის ავტორებს ვეკითხები, ვინაც თქვა ქართლ-კახეთი ბაზალეთის ომის შემდეგ თეიმურაზმა გააერთიანაო. თვით თეიმურაზ მეფე ცოცხალი რომ ყოფილიყო, მასაც კი გაუკვირდებოდა ასეთი დამსახურების მისთვის მიწერება. ქართლ-კახეთი სააკაძისაგან მარტყოფის გამარჯვებამ გააერთიანა და თეიმურაზ I ორსავე სამეფოში მეფედ მიწვეული იყო სააკაძისაგან.

ამ საფუძველზე, თეიმურაზს ერთიანი საქართველოს მეფობისათვის მწვანე გზა ანთებული ჰქონდა, რომ არა შაჰ-აბასისაგან ვერაგი მიზანი, ზავის პირობა, ბაზალეთამდის არ მივიდოდა საქმე და საქართველოც გაერთიანდებოდა.

როცა შაჰი კახეთზე ლაშქრობებს აწარმოებდა, თეიმურაზ მეფე მის წინააღმდეგ იბრძოდა, როცა შაჰმა მარაბდის ომში 50 ათასი და დამატებით 10 ათასი მეომარი გამოგზავნა, თეიმურაზ მეფე მის წინააღმდეგ იბრძოდა, რაც სრული სიმართლეა, მაგრამ ამ საომარი ვითარებების დამთავრების შემდეგ, შაჰს ქართულ მხარესთან ზავის პირობა არ წაუყენებია. არ წაუყენებია იმის გამო, რომ კახეთზე ლაშქრობისას და მარაბდის ომის დამთავრების შემდეგ თავს გამარჯვებულად თვლიდა და გამარჯვებულ შაჰს, როგორც მას მიაჩნდა, დამარცხებულ თეიმურაზთან ზავის დადება რაში დაჭირდებოდა?

საომარი პრაქტიკიდან როგორც ცნობილია, როცა ერთი სახელმწიფო მეორე სახელმწიფოსთან საომარ ვითარებაშია, გარკვეული დროის შემდეგ წარუმატებლობა გარდაუვალი ხდება და უფრო უარესი, შესაძლოა, დროის გასვლა მარცხის მიზეზიც გახდეს... მაშინ დგება საკითხი,

– ქვეყნის მმართველი წრეების პირველ პირებს შორის შეთანხმება, ელჩების საშუალებით მოხდეს.

ასეთი ელჩი, შაჰ-აბასისაგან თეიმურაზ მეფესთან გამოგზავნილი, დაუდ-ხან უნდილაძე იყო. შაჰს ჯარების განადგურებით, გამოუვალი მდგომარეობა სააკაძემ შეუქმნა, ამიტომ შესაძლოა, შაჰმა პირველი საზავო მოლაპარაკება სააკაძესთან, სიმონ II-ის მეშვეობით სცადა.

ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ თბილელი ეპისკოპოსი დიონისე და მცხეთელი მღვდელ-მთავარი ტრიფილე, რომელნიც სიმონ II-ისაგან, სააკაძესთან შუამავლად არიან მიგზავნილნი, რომ ყიზილბაშებთან ბრძოლა შეენწყვიტა. ეს შაჰ-აბასისაგან ნაკარნახევი იყო, რაც ზავის პირობის შეთავაზებად აისახება. სააკაძესთან საზავო შეთავაზება არაფრით მოხდებოდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ შაჰს ზავი დროებით სჭირდებოდა; მეორეც იმიტომ, რომ ყიზილბაშებთან ბრძოლას უამრავი ქართველი მეომარი შეენირა; მესამეც იმიტომ, რომ სააკაძეს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს გაერთიანება ჰქონდა გეგმაში და შაჰთან საზავო ურთიერთობა ხელის შეშლის მეტს არაფერს მოასწავებდა; მეოთხეც იმიტომ, რომ სააკაძეს შვილი პაატა ქვეყნისთვის შეწირული ჰყავდა და მისი სულის შემანუხებელ ნაბიჯს ვერ გადადგამდა. მარაბდის ომის დამთავრების მერე, შემდგომ დღეებში, გამარჯვებით იმედმოცემული ყორჩიბაშის ჯარებმა, დაიკავეს თბილისი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლის ნაწილი და გორი. ასეთი შემართებით მიიწვედნენ წინ მანამ, სანამ სააკაძემ თავისი რაზმებით, პარტიზანული ბრძოლები არ გაუმართა და ყიზილბაშთა რიგებმაც შეთხელება დაიწყო. სწორედ ეს ის დროა, როცა სიმონ II-ისაგან და დიდებულთა

ნანილისაგან (აქ შაჰის ხელი არის ჩარეული საზავო გარემოს შესაქმნელად) ეპისკოპოს დიონისეს და მცხეთელ მღვდელ-მთავარ ტრიფილეს, სააკაძესთან მოსალაპარაკებლად მიაგზავნიან. ეს ხალხი, შაჰის უკვე ცუდი მდგომარეობის თანაგამზიარებლებია და ღრმად არც კი აცნობიერებენ, ბოლოს რა შედეგი მოჰყვებოდა მტრისგან ზავის პირობას.

მდგომარეობა ნათელი იყო, შაჰის ჯარებს გაჭირვება ადგა და ისინი ქართლს ველარაფერს დააკლებდნენ. ბოლოს ქსნის ომმა რადიკალურად შეატრიალა მტრის გეგმები და აღმოსავლეთ საქართველომაც შვებით ამოისუნთქა. თუ შაჰს მარაბდის ომის დამთავრების შემდეგ ზავზე ფიქრი გონებაში არ გაუვლია, სააკაძისაგან პარტიზანულმა ბრძოლებმა და ქსნის ომმა კონკრეტული რეალობის წინაშე დააყენა ის და მისი გალახული არმიები. თუ თეიმურაზთან ზავის წაყენებით და მიღებით, ყიზილბაშებს ძალების მოკრების საშუალება ეძლეოდათ.

სააკაძის ერთ-ერთი ოპონენტი, თავის წიგნში მარაბდის მოვლენების შესახებ, სააკაძის საომარ გეგმას ასე განმარტავს: "ყიზილბაშები საომრად რალა მაინცდამაინც კოჯორტაბახმელას გორებისკენ გაემართებოდნენო, სადაც ქართული ჯარი იდგაო?" ოპონენტი ასეთი თქმით სააკაძის მთავარ მიზანს აქარწყლებს, სააკაძე ამბობდა, მოვითმინოთ და ვიდქეთ აქ, ვეცადოთ მტერს ნებისყოფა გამოვუღლიოთ, მათ ჩვენი ქვეყნის აოხრება აქვთ გეგმაში, ისინი უმოქმედოდ დიდხანს ვერ გაჩერდებიან. ჩვენი ჩასვლა დაბლა ვაკეზე უიმედოა და ჯარი უმიზნოდ გაგვინადგურდებაო, არ მოხდა ასე?

ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას, რომ ისტო-

რიკოსები და სააკაძის ეპოქით დაინტერესებული პიროვნებები, ყველა ერთხმად აღნიშნავს, მარაბდის ომის შემდეგ მეფე დიდებულებმა, ირანელთა ჯარიცა და სარდლობაც სააკაძეს შეატოვესო, ეს ძალიან დამაფიქრებელი მოვლენაა, რადგან ბოლო გამარჯვებას ვერ მიაღწია ქართულმა ჯარმა, ნანილმა დიდებულებმა ხელი დაიბანეს და ამ შემთხვევაში, როგორც უიმედონი, სააკაძეს გადაულოცეს სარდლობაცა და წაგებული ომის მდგომარეობის გამოსწორებაც. ყურადღება მივაქციოთ სააკაძის ფსიქოლოგიას, მიუხედავად, მის დაწყების წინა პერიოდში გულნატკენობისა, რატომ სააკაძემაც არ დაიბანა ხელი და ყიზილბაშებთან ბოლომდის ბრძოლა არჩია?

ძალზე მნიშვნელოვანი ვითარება შეიქმნა მარაბდის ომის შემდეგ. ომში მონაწილე მეფემ და დიდებულებმა მტრის ჯარისაგან გარიდება და თავიანთ ციხედარბაზებში ჩაკეტვა არჩიეს, რას ფიქრობდნენ? მართალია, მტერი ძლიერ დააზარალეს, 14 ათასი მეომრის განადგურებით, მაგრამ ისინი 60 ათასი იყო, მათში იქნებოდნენ მძიმედ დაჭრილებიც და საშუალოდ დაჭრილებიც, მაგრამ დაახლოვებით 40 ათასამდის ბრძოლის უნარიანი ყიზილბაში ქართლის ასაოხრებლად ხომ ისევ მზად იყო? და ასე უბრალოდ უკან გაბრუნდნენ? მით უმეტესი, 14 ათასი მეომარი დაკარგეს და ყორჩიბაში, შაჰ-აბასს, პირობაშეუსრულებელი დაუბრუნდებოდა უკან? თუ მარაბდის ომის დაწყებამდის ყიზილბაშები 60 ათასი იყო, ქართველები ბევრად ცოტა, მაგრამ 20 ათასი ხომ იყო. თითქმის ნახევარი 9 ათასი განადგურდა, აქედან 11 ათასი ქართველი კი დარჩა, მაგრამ მძიმედ დაჭრილები ხომ აქაც იქნებოდნენ? საშუალოდ, ბრძოლის უანარიანი ქართველი

8 ათასი დარჩებოდა. რამხელა მაშტაბური სხვაობაა, ყიზილბაშები საომრად მზად 40 ათასია დარჩენილი, მათ სანი-ნაალმდეგოდ ქართველები 8 ათასი არიან.

რადგან ყიზილბაშები 40 ათასი დარჩა, ისეთი სურათი ჩანს, რომ მტერი სულ ახლო ხანს შემოვიდა ქართულ მი-ნაზე, ისევ ძალმოსილი სალსალამათი, ასეთ მოვლენებშია დასანახი სააკაძის პიროვნული ღირსებები, რომ მიუხედა-ვად დარჩენილა 8 ათასი ქართველი, 40 ათასის წინააღმდეგ, ბრძოლის ველს მაინც არა ტოვებს. მეორეს მხრივ, მეფე და ნაწილი დიდებულები, ზოგი იმერეთის სამეფოში გადავიდა, ზოგი თავის ციხედარბაზში ჩაიკეტა. სრული ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა კახეთზე შაჰის ლაშქრობებისას, მაშინ-ნაც მოსახლეობა მტრის წინააღმდეგ დატოვეს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მაშინ დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორ-ჯაძე და თამაზ ვაჩნაძე დარჩა მოსახლეობასთან, მტრის წი-ნააღმდეგ საბრძოლველად. მარაბდის მოვლენებში კი სააკა-ძე თანამოაზრეებთან და მოსახლეობასთან ერთად დარჩა მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად.

(მკითხველს შევეკითხები, მაშინდელ ქართველ სა-ზოგადოებაში არ იქნებოდა მსჯელობა იმის შესახებ, რომ მეფემ და ნაწილმა დიდებულებმა მტერთან ბრძოლას თავი აარიდეს და იმერეთში გადავიდნენ, სააკაძე თავისი დატოვე-ბული მეომრებით, ყიზილბაშებთან საომრად დარჩა).

ყურადღება უნდა დავუთმოთ 1614-1617 წლებს, რა დროსაც შაჰი კახეთზე თავდასხმებს ახდენდა, შემდეგ შენ-ყდა, ჩვენი ვარაუდით, შაჰმა ჩათვალა, რომ კახეთის საქმე მოაგვარა. იმ დროის შუალედში 1615 წელს შაჰმა ლუარსაბ

II ირანში წაიყვანა. მისი ფიქრით, ქართლის საქმეც მოათავა იმ კუთხით, რომ უმეფოდ დარჩენილ ქართლს თავის ნე-ბაზე წარმართავდა თავისი სასურველი გამგებლებით. ე.ი. 1617 წლიდან 1625 წლამდის მარტყოფის აჯანყებამდის, შა-ჰის ფსიქოლოგია აღმოსავლეთ საქართველოს მიმართ დამშ-ვიდებულია. ისმება კითხვა, აუცილებელია დავფიქრდეთ, რამ განაპირობა შაჰ-აბასის სიმშვიდე 1617 წლიდან 1625 წლამდის მარტყოფის გამარჯვებამდის მთელი 9 წლის მან-ძილზე? რომ აღმოსავლეთ საქართველოში ცხოვრების დინე-ბა უშფოთველად მიმდინარეობდა. ჩემი ვარაუდით, ასეთი სიმშვიდის ატმოსფერო, შაჰის თვალის ასახვევად, სააკა-ძის შექმნილი უნდა ყოფილიყო. "ეს ჰგავს იმას, რომ დიდი ქარიშხლის წინ ბუნებაში სიმშვიდე სუფევს".).

საკაძემ იმერეთში გადასული თეიმურაზი ქართლში კი გადმოიყვანა, რომ შაჰის ჯარისთვის ერთობლივი ძალებით შეეციათ, მაგრამ, სამწუხაროდ, მეფე თეიმურაზმა, როგორც წინამურის ომში გამოიჩინა დიდი შემართება მტრის წინააღმ-დეგ, როგორც მარაბდის ომში, ქართველ მეომრებთან ერთად გამოიჩინა დიდი თავდადება მტრის წინააღმდეგ. შემდგომ სააკაძისაგან გაგრძელებულ პარტიზანულ თუ ქსნის ომში, თეიმურაზ I-ის თანამონაწილეობა, სააკაძესთან აღარ ჩანს.

(როცა მარაბდის ომის შესახებაა საუბარი, თეიმურაზ მეფის საბრძოლო შემართებას ყველა ერთხმად აღიარებს, როცა იგი ხმლის ვადაჩაბლუჯული, მჯილით მოწინააღმდე-გეს უტევდა, მას თითებიც დამტვრეული ჰქონდა).

თეიმურაზ მეფე "ლისის" ბრძოლაში სააკაძესთან თან-ამონაწილედ არ ჩანს, ქარჩოხი ქსნის ომში სააკაძესთან თან-

ამონაწილედ არ ჩანს; გორის ციხიდან, ბირთვისის ციხიდან და განჯის ციხიდან ყიზილბაშების განდევნა-განადგურებაში სააკაძესთან თანამონაწილედ არ ჩანს. სამხრეთ საქართველოდან, აწყურის, ახალციხის, და ფარავნის ციხეებიდან, ყიზილბაშების განდევნისას სააკაძესთან თანამონაწილედ არ ჩანს. აქ ჩამოთვლილი ბრძოლები სააკაძისაგან უკვე დამოუკიდებლად ჩატარებული და ღიად უნდა ითქვას, ნარმატებული ბრძოლებია. დავაკვირდეთ, სადაც და როცა სააკაძე შეუზღუდავად თავის სარდლურ ნიჭსა და უნარს ავლენს, ნარმატებაც გარდაუვალი ხდება. რადგან თეიმურაზ მეფე და დიდებულთა ნაწილი აქ ჩამოთვლილ ბრძოლებში სააკაძესთან თანამონაწილედ არ ჩანან, ჩემი ვარაუდით, ეს მოვლენა ასე აიხსნება, რადგან მარაბდის ომში შაჰს 14 ათასი მეომარი გაუნადგურდა და შემდგომ სააკაძე ყიზილბაშებთან ბრძოლებში, ნარმატებას ნარმატებაზე აღწევდა. ნაწილ დიდებულთა ჯგუფი ფიქრობდა, დღეს თუ ხვალ გაჭირვებაში ჩავარდნილი შაჰი, ქართულ მხარესთან ზავის ულტიმატუმს წაუყენებდა და აქაც ღიად უნდა ითქვას, დიდებულთა ნაწილმა როგორც 1614 წელს თეიმურაზს შთააგონა, ვითომ მისი სამეფო მშვიდად რომ ყოფილიყო, დედა და შვილები – ალექსანდრე და ლევანი შაჰთან უნდა გაეგზავნა. ანალოგიური მოვლენა ამ დროსაც შეიქმნებოდა და დიდებულთა ნაწილი ისევ ურჩევდა თეიმურაზს თუ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის შენარჩუნება უნდოდა, მაშინ ჯობდა მათი აზრით შაჰის ზავის პირობა მიეღოთ, ვიდრე საშუალო აზნაურის ამერ-იმერ საქართველოს გაერთიანების იდეა.

საკითხი უნდა დაისვას ასე, შაჰმა 1625 წელს საქართველოში თითქმის ერთბაშად 90 ათასი მეომარი გამოგზავნა,

თუ შაჰს ამოდენა ჯარი აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის მისიას შეუზღუდებდა, მაშინ რისთვისღა დაჭირდებოდა ზავი? ვინ იყო მიზეზი, რომ შაჰმა საქართველოში დაკარგა 65-70 ათასობით მეომარი? ვინ იყო მიზეზი, რომ შაჰს ჩაეშალა აღმოსავლეთ საქართველოს დაპყრობის გეგმა? შაჰს სასოება წაერთვა იმის გამო, რომ არ ელოდებოდა და სააკაძემ საქართველოს სახელით მეტოქის პოზიცია დაანახვა, რამაც აიძულა შაჰი, თითო მოეკაკვა და საზავო მიზნით, დიდებულთა ნაწილი მოეხიბლა. როცა მტერს ამოდენა არმიები გაუნადგურდა, და უცხოელი ისტორიკოსები აღნიშნავენ ირანის სახელმწიფოს 40 წელი ასეთი ზარალი არ მოსვლიათ. ასეთ მდგომარეობაში მყოფ სახელმწიფოსთან ვინც მორჩილებას გამოხატავდა, ცხადია, შაჰი ასეთ კაცს, ქართლ-კახეთის უფლებამოსილ მეფედ აღიარებდა.

შაჰმა თეიმურაზს, დედისა და შვილების მონამებრივი აღსასრულით, იმოდენა უბედურება მიაყენა, თავის სამეფოს თითქმის ნახევარი გაუნადგურა და მაინც დაუდხან-უნდილაძის მეშვეობით შაჰს აუწყებდა – „ამ რამოდენიმე წლის წინ ბევრი შეცდომა ჩავიდინეო, რაც განგებით მოხდა, ამიტომ ვერ ვბედავ უმაღლესი ტახტის წინაშე მოსვლასო“.

აქ მოყვანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს ის, რომ თეიმურაზი შაჰს სულ ერიდებოდა, ახლა მორჩილებას გამოხატავს სააკაძისგან საქართველოში ჯარგანადგურებული შაჰისთვის, თეიმურაზისაგან ასეთი პოზიცია საოცნებოც კი იქნებოდა და ცხადია, ასეთ მოკავშირეს ქართლ-კახეთში მეფობას განუმტკიცებდა. მით უფრო, რომ სააკაძე ოსმალეთში იყო გადასული და მისი იქ ყოფნა დიდ საშიშროებას უქმნიდა შაჰს.

\*\*\*

ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა საშინელი ფიქრით დამძიმებული ტოვებდა სააკაძე მეორედ სამშობლოს. სიტყვაუძებნი სევდით იქნებოდა მოცული წამებით მოკლული შვილის მამა, თანამოდმეთაგან ბევრჯერ გულატკივებული, უფრო ხშირად განდევნილი, სასიკვდილოდ გამეტებული! ალბათ ახსენდებოდა მთელი 30 წლის მანძილზე გადახდილი ომები... ყველაზე მეტად ანუხებდა დარდი სამშობლოსი, თავისი საყვარელი ხალხისა, მტრად მოკიდებული მოყვრებისა.

არ აცალეს იმ ეპოქის ჰორიზონტზე თავისი ბედ-იღბლის და იმ დროის ქართლის ბედის განმსაზღვრელი ამომავალი ვარსკვლავის ბოლომდე გაბრწყინება, მაგრამ მის სულში მაინც ენთო თავისი ხალხის გადარჩენის სანთელი. ფიქრობდა, ოსმალეთის მოკავშირეობით ძალა მოეკრიბა, უკან დაბრუნებულიყო და გაეგრძელებინა ბრძოლა ქვეყნის გაერთიანებისთვის, რაც აღარ დასცალდა, უცხო მიწაში ჰპოვა სამუდამო განსასვენებელი.

საკაძისთვის თავისი მიწა-წყალი, ქვეყანა, სამშობლო, ყოველგვარ წოდება-ტიტულებზე მაღლა იდგა. მასში თავმოყრილი ამდენი ნიჭი, უღევი ენერგია, დამოუკიდებელი ხასიათი, შეიძლება ითქვას, ხელსაც კი უშლიდა მის კეთილდღეობას ცხოვრებაში. წინააღმდეგობრიობა სააკაძის ადამიანური ბუნებისა ამოძრავებდა მის ბიოგრაფიას და განსაზღვრავდა მის ამაგიანსა და მწარე ბედს!

მოურავის ტრაგიკული პიროვნება ნათლად მოჩანს

ისტორიულ ფონზე, რომელიც დიდ ეპოქალურ ინტერესებსაც შეიცავს.

ღრმად წარმოსაჩენი ქმედება-თავდადებისკენ ადამიანი მიჰყავს ფანატიკურ გატაცებას, მძაფრ დაუცხრომელ მოღვაწეობას: ყოველი ახალი საომარი გეგმის განხორციელებისათვის სააკაძე მთელი გულმოდგინებით ემზადებოდა, ყველაფერს წინასწარ ითვალისწინებდა და ყველა საშუალებით ცდილობდა მიზნის მიღწევას. იგი ცუდად იყო მაშინ, როცა მისი აზროვნება საომარ მოქმედებებს არ ჭვრეტდა: მას სიამოვნებდა მომხრეთა გაოცება მოგებული ბრძოლებით და იმ ხალხის აღტაცება, მის გარშემო რომ ტრიალებდნენ. სააკაძე მართლაც იყო გასაოცარ საქმეთა მამოძრავებელი ლერძი!..

მეომრული გზებით ატანილი სააკაძის გაშმაგებული სახის შემხედვარე ყიზილბაშებს ლომის ბუხუნის მსგავსი მისი ხმისაგან ტანში აძაგდაგებდათ, ძრწოლამორეულნი გულდაბუნად ქასქასებდნენ და აღარ იცოდნენ, საით გაქცეულიყვნენ.

მეომარი, რომელიც ძლევს მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას, თავისი ხმითაც ათვინიერებს თვით სტიქიონის ცეცხლისა და წყლის მძვინვარების მსგავს მტერთა შემოტევებს, ზეადამიანური ძალის პატრონი უნდა ყოფილიყო. მისი ეშინოდა სარდალსაც და რიგით მეომარსაც. სააკაძის ხმაში სპარსელთა ჯარი ალაჰის რისხვას ხედავდა.

უმაღლესი მორჩილებით და მართლაც არაადამიანური ნებისყოფით ზიდვა სამშობლოს სამსახურის ტვირთისა იყო

სააკაძის ცხოვრების დევიზი. ცოტა როდი ჰქონდა თავგადასავალი, რომელიც სცილდება ჩვეულებრივი ამბის ფარგლებს და ზღაპრულის სასწაულებრივ მიჯნას აღწევს, რომ აღარაფერი ვთქვათ სიკვდილის ბრჭყალებიდან მის გასხლტომაზე 1612 წელს წაგვისში; თავისი ქვეყნის მტრებთან ხელჩართულ ბრძოლაში სააკაძე მუდამ ფიზიკურად და ზნეობრივად გამარჯვებული გამოდიოდა, რადგან არასოდეს იცოდა, რა იყო შიში.

უკიდევანო რწმენა თავდაჯერებისა, რაც მის სათავგადასავლო ამბებში ჩახედვისას ჩანს, ხშირად ქცეულა საარაკო ქებად. გავიხსენოთ თუნდაც შაჰის მიერ განზრახ მოწყობილი სარისკო შებმა ლომებთან, როცა სააკაძემ დიდი მოხერხებულობა გამოიჩინა.

მეისტორიენი აღნიშნავენ, სააკაძის გამოჩენისას მისი ხმლის ქვეშ ბრძოლის ველი გმინავდაო. ასეთი მოვლენები უფრო ხაზს უსვამს მისი ხასიათის სიმტკიცესა და კოლორიტულობას. სააკაძის მრავალმხრივი ხასიათი, მგზნებარე და დაუცხრომელი, ასევე მისი ოცნება განუყრელია მისი ქვეყნის ბედნიერებისა და უბედობისგანაც. მისი ეპოქისთვის საერთოდ დამახასიათებელია სასწაულებრივი წინააღმდეგობები, გამომდინარე რეალობიდან, რაც კვებავდა ამაღლებულ იდეალიზებულ განცდებს სათავგადასავლო მოვლენებისადმი.

გიორგი სააკაძე თვითონ თითქოს მაგნიტივით იზიდავდა განსაცდელს, რომლებიც ბედისწერით შუბლზე ეწერა. იგი ბრძოლის ველზე ისე მიიწევდა, როგორც ზოგი საწინადიმო სუფრაზე, იქ იყო მისი თალპიონი.

სამშობლოს სიყვარულის გრძნობა სანამ გმირობად გადაიქცეოდა, მანამდე შინაგანი ძალების მოკრება და სულიერ სიმთა სხივებზე შეხებით ეროვნული აკორდის აღებაა საჭირო!

სწორედ ეროვნული სულის ხმითაა შთაგონებული დიდგორის, ბასიანის, შამქორის, ტაშისკარის, მარტყოფის, ქსნისა და ქართველთა მიერ საუკუნეთა მანძილზე გადატანილი სხვა უამრავი ომი და ბრძოლა. ეროვნული აკორდის ხმას ბანს აძლევს პატრიოტიზმი. მათ ერთი საწყის-საძირკველი აქვთ.

პატრიოტიზმი სულიდან აღმოცენებული, თავისი მინა-წყლის სამსახურში დგომით გამოწვეული საამო განცდაა, მაგრამ სანამ პატრიოტიზმის გრძნობა საქმედ, ხსნად, გადარჩენად იქცევა, საჭიროა უდიდესი მოთმინებით აღჭურვის უნარი, რომ სწორი გზით სრულ გამარჯვებამდე წარიმართოს, რასაც გიორგი სააკაძე 1612-1626 წლებში ხმლის პირზე ფრთხილი სიარულით ინარჩუნებდა.

გმირობაც შინაგანი მოთხოვნებით, პატრიოტული სულიდან იწყება, იძულებითი ბიძგი უცხოა მისთვის. ისტორიის ნამქერს ბევრი პიროვნების ნაკვალევი ჩაუჩუმქრავს, მაგრამ ვერ იშლება სააკაძის ფეხის დანადგამი, იმიტომ, რომ მას ძალიან მძიმე ჯვრის ტარება არგუნა განგებამ!

სააკაძის ბუნებაში, მის მძლავრ სხეულში მრავალმხრივმა ნიჭიერებამ დაისადგურა; სწორედ იმავე ნიჭის გამო იქსოვებოდა შურის ბაღე მის ირგვლივ. ნიჭი მხოლოდ და მხოლოდ თავისთავს ჰგავს, ნაკლებად მორჩილია, თავისივე კოდირებული კანონებით ცხოვრობს და აზროვნებს. თვინ-

იერებას და მორჩილებას ნაკლები წინააღმდეგობა ხვდება.

ნიჭი, წინასწარჭვრეტის, უკეთ დანახვის ალლო და უნარი ზებუნებრივი თვისებებია, რასაც მხოლოდ უზენაესი იძლევა ჯილდოდ. ზოგჯერ ჯილდოდ და სასჯელადაც.

ნიჭი გამორჩეული იმითაცაა, რომ სხვა მრავალზე მეტად ინტუიციით გრძნობს მოვლენების ავსა და კარგს. სიღრმეებით სწვდება მთავარს და ადექვატურად მოქმედებს. აქვე უნდა მოვიხმოთ შალვა ნუცუბიძე: „ქართველი ყველაფრის მპატიებელია, გარდა ნიჭიერებისა“.

ქართული გენეტიკის მუდმივმოქმედი ვულკანი თავისი წიაღიდან ყოველ დროში ამოაფრქვევდა ხოლმე გავარჯარებულ ცეცხლში ნანრთობ, სულით ამაღლებულ ისტორიულ გმირებს, რომელთა მხრებზე მტერთაგან დატრიალებულ ქარიშხლებს უნდა გადაევიღო. მათი გული და მარჯვენა უნდა აღსდგომოდა წინ დამპყრობელს;

ქვეყნისთვის გაღებული ამაგით ქართველ გმირთა თანავარსკვლავედში გიორგი სააკაძეს მეტად გამორჩეული და განუმეორებელი ადგილი უკავია.

მის მიერ ჩადენილი საგმირო საქმეები თანამედროვეთა პატივისცემასა და სიყვარულს მოუპოვებდა. დღეს და მომავალშიც სააკაძე მუდამ იქნება მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს ისტორიისა. მასში თავისი ხალხის მარადიული საუკეთესო თვისებები იყო ხორცშესხმული და ერის სულის იდეალში მებრძოლ სიმბოლოდ დარჩა.

„მის მიერ გადახდილი ომები ისევ ხმაურობენ, ისევ

სააშკარაო ჰორიზონტზე იკვეთებიან და ქვაკვებიან. მისი ეშინოდა თვით სიკვდილსაც კი და ყველაზე დიდი მოშურნე თვით სიკვდილი გამხდარიყო, ბედისწერის აჩრდილად რომ ასდევნებოდა ყოველ ნაბიჯზე.“

შური და სიძულვილი – ეს მუდმივი, უმკურნალო, სატანასთან წილნაყარი სენია მრავალი უბედურების მიზეზი კაცობრიობის ისტორიაში და არც საქართველო ყოფილა გამონაკლისი.

გიორგი სააკაძე თავის განვლილ გზას რომ გადახედავდა და ცოდვა-მადლს წონიდა, გულს სტკენდა ნუთისოფლის უსამართლობა, უყვარდა თავისი ქვეყანა და ებრალებოდა, ფიქრობდა თავის ალალგულა თანამებრძოლებზე, მეფე თეიმურაზზე, მის გამწარებულ ბედზე, ქეთევან დედოფალზე, რომელმაც ზნეობრივი გამარჯვება მოიპოვა შაჰ-აბასზე, რასაც მოჰყვა ქართველი ხალხის სულიერების განმტკიცება და შენარჩუნება. სააკაძეს ენანებოდა მრავალჯერ თავისი ხელით დახსნილი ქვეყანა. მისი ხმალი იყო მტრის პასუხის გამცემი, მაგრამ ლუარსაბ II-მ და თეიმურაზმა სათანადოდ ვერ გამოიყენეს.

თანამედროვენი სააკაძეს სპილოს ადარებენ. იგი მართლაც იქნებოდა „სპილოს მსგავსი“ ტანადი, მაგრამ მასში უფრო მეტი ენერგია იყო, გული – უშიშარი, ძარღვი – სწრაფ სისხლთამჩქეფარე. თანაც აუცილებლად სხარტი და მოქნილი იქნებოდა, რადგან სხვანაირად, უნდა ითქვას, ფიზიკურად შეუძლებლად ჩანს დიდი ადამიანისთვის ამდენი ელვისებური გადაადგილება, სულ ცხენზე ჯდომა, წისქვილის დოლაბივით მოუღლეელი ტრიალი და მოძრაობა.



გონიერებით, ობიექტურობით, პიროვნული სისავსით, ენერგიული მოქმედებით, თავგანწირვით გვაგონებს და ემსგავსება სააკაძის შემართება დავით აღმაშენებლის ეროვნული თვისებებით დამუხტულ სულს.

სააკაძემ თავისი წუთისოფლის მწუხარე და ცეცხლოვან გზაზე ქედმოუხრელმა და მუხლმაგარმა, ხარივით ერთგულად ატარა სიყვარული თავისი ხალხისა.

იმ ეპოქაში თუ რამ ლხინი და ჭირი გამოუვლია ჩვენს ქვეყანას, წინ უძღოდა სააკაძის დიდი გული და მკლავი, რომელმაც იხსნა სამშობლო მტერთა განადგურებისაგან.

თავად ბევრი ვაების დამთმენ გიორგი სააკაძეს ყოველთვის ესმოდა სხვისი ვარამისა და ანუგეშებდა ბედკრულთ.

საალგეთე ბოკვრებს ზრდიდა და ალომგულებდა მამულისთვის გულანთებულ ქართულ მოდგმას.

სააკაძის პირადი ცხოვრების გაცნობა ტკივილებს აღძრავს, სულსაც გვიშფოთებს და მოგვიწოდებს: „სდექ მტკიცედ და შეურყევლად, იყავით თქვენი ქვეყნის ჯარისკაცები!“ – ასეთმა რწმენამ და სულისკვეთებამ გამოატარა ქართველი კაცი მრავალსაუკუნოვან გასაჭირში, დაიხსნა იგი დამონებისაგან, შეუნარჩუნა თვითმყოფადობა. რომ არა სააკაძე, არ იქნებოდა მარტყოფის აჯანყება, რაც ქვეყნისთვის სასიცოცხლო აუცილებლობა იყო. მან იხსნა ხალხი ამოწყვეტაგადასახლებისაგან და მეფეს ჩააბარა, დანაჩენი მას უნდა გაეკეთებინა თავად გიორგისა და სხვა პატრიოტების მხარში დგომით, მაგრამ, სამწუხაროდ, თეიმურაზმა ეს ამოცანა ვერ შეასრულა...

გიორგი სააკაძე ქართლში იშვა ერთ ქარიშხლიან დღეს, მისთვის ნაზ სიოს არასოდეს უქროლია, მაგრამ მოწყალეა ღმერთი დამბადებელი!

დრო სჭირდება, რომ აუცილებლად მიეზღოს კეისარს კეისრისა.

უფალმა შეიძლება დააგვიანოს სამაგიეროს მიგება, მაგრამ მიუზღველობა არა სჩვევია!..

ოპონენტთაგან აშკარა ტენდეციურობა ჩანს, ბაზალეთი სააკაძემ მოაწყოვო.

დავფიქრდეთ ერთ მნიშვნელოვან გარემოებაზე. ბაზალეთზე ორი მეფის – თეიმურაზ I-ის და იმერეთის მეფის, გიორგი III-ის მომხრე ქართველი მეომრები იყვნენ და პირისპირებულნი.

ამ ორ პიროვნებას, როგორც მეფეებს, უნდა ეფიქრათ და შეთანხმებულიყვნენ, საქმე ბაზალეთამდე არ მისულიყო.

(გ. სააკაძეს მეფეების მაგივრადაც უნდა ეფიქრა?)

ერთ მხარეს, შაჰისგან ზავის პირობა მიღებული ჰქონდა და ამის საფუძველზე ქართლ-კახეთში მეფობის შენარჩუნება უნდოდათ. მეორე მხარეს, სადაც სააკაძე იდგა, საქართველოს გაერთიანება ენადათ. რომელი მხარის პოზიცია იყო ქართული, ეროვნული და აღმატებული.

ამის დასკვნის გამოტანა ქართველ მკითხველს მივანდოთ.

ლოგიკურად – რადგან ბაზალეთზე, სააკაძემ თეიმურაზ I-ს ლახტის გადაკვრა აკმარა და სასიკვდილოდ არ გაიმეტა, ქართველ ხალხს მეფე შეუნარჩუნა, ბაზალეთის ველი დასთმო და წავიდა, განერიდა. სრული ჭეშმარიტებაა მისი მომხრეები სააკაძის გარეშე ბრძოლას აღარ გააგრძელებდნენ; ისევ სრული ლოგიკაა – სააკაძემ ბაზალეთზე ვერც იბრძოლა და არც იბრძოლა. სააკაძეს, საქართველოს დაპყრობის მოსურნე მტრებთან როგორც უბრძოლია, ისე რომ ებრძოლა, სულ სხვანაირად წავიდოდა იქ საქმე.

## სააკაძე ოსმალეთში

### „გარდამხდა გადასავალი, აწი უარესს მოველი“

გიორგი სააკაძეს საქართველოში აღარ დაედგომებოდა, ირანში ველარ წავიდოდა, ამიტომ სხვა გზა არ ჰქონდა, ოსმალეთს მიაშურა. 1626 წლის ზამთარი ახალციხეში, ქალთან და სიძესთან გაატარა ოჯახთან ერთად, გაზაფხულზე კი ისტამბულს მიაშურა.

სააკაძისგან გადახდილი ომები მთელს აზიაში იყო ხმაგასმენილი, თავადაც დიდად პოპულარული იყო თურქეთში, ამიტომ სულთნის კარმა უიშვიათესი მიღება მოუწყო; როგორც უმაღლესი დონის სტუმარს ეკადრება, მოატარეს და წარუდგინეს ყველა ოსმალური ღირსება და მიღწევა (ალარაფერს ვიტყვით აია სოფიაზე, ბოსფორის სრუტესა და ქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობებზე), განსაკუთრებული ხაზგასმით ჯარის სამხედრო მომზადებასა და სიძლიერეში მოურავის დარწმუნებას ცდილობდნენ. მიუხედავად ყოველივე განვლილისა, გაუტეხავი ნებისყოფის სააკაძე კვლავ საქართველოს გაერთიანების მოწინააღმდეგე ქართველ დიდებულთა ალაგმვას ისახავდა მიზნად, რაც ამ ეტაპზე ოსმალეთის დახმარებით უნდოდა მოეხდინა.

სულთანი სააკაძეს დახმარებას დაჰპირებია და არც უანგაროდ. ოსმალეთის მთავარ პოლიტიკურ საკითხად ისევე ბალდადი რჩებოდა, ამიტომ სააკაძის მისვლა ზეცის წყალობად მიიჩნიეს – მისი ოსმალეთის ჯარში ყოფნა სწორედ ბალდადის საკითხის მათ სასარგებლოდ გადაწყვეტას ნიშნავდა.

აღრეც შევეხეთ იმ დროის პოლიტიკური ამინდის ცვლილებებს, რის გამოც ქართველი მეფეები დასახმარებლად ხშირად მიმართავდნენ ხან ირანს და ხან ოსმალეთს. დრო იყო ასეთი და თავის გადარჩენის მიზნით პოლიტიკური თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად სამტროდ მდგარ მეზობლებთანაც კი საერთო ენის გამონახვა მეფეთა მხრიდან საჭიროდაც ითვლებოდა, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ისეთი დიდი პოლიტიკოსი და სარდალი, როგორც სააკაძე იყო, ქვეყნის გადარჩენის გზებს უცხოეთში ეძებდა, როცა ამისთვის, სამწუხაროდ, საქართველოს შინაგანი რესურსი ვერ გამოთლიანდა...

ისტორიული ფაქტების, წყაროებისა და სააკაძეზე დაწერილი ლიტერატურის გაცნობის შემდეგ გამოვიტანეთ დასკვნა რომ გ. სააკაძე ღრმად მოფიქრალი და დაკვირვებული ადამიანი იყო; ერთი დიდი მიზანი ჰქონდა – ქვეყნის მტრისაგან განთავისუფლება-გაერთიანება – და მთელი ცხოვრება იბრძოდა მისი განხორციელებისათვის. შესაშური მოთმინებითაც იყო აღჭურვილი: 12 წელი ირანში გაატარა; 12 წელი ფიქრობდა, ამზადებდა ყიზილბაშთა განადგურების გეგმას; 12 წელი იობის მოთმინებით უცდიდა ხელსაყრელ მომენტს; ღრმად გააზრებულ-მოფიქრებული ჰქონდა ყოველი წვრილმანი, პირად მტრებთან შერიგებაც კი... უნდა ვივარაუდოთ, რომ მას შემთხვევითი, აუნონავ-გაუანალაზებელი სიტყვაც კი არ დასცდებოდა, ემოქმედა კი არა.

ამასვე ვერ ვიტყვით სხვა მის თანამედროვეებზე; ბევრი არასახარბიელო, დაუფიქრებელი და გაუთვალისწინებელი საქციელი აქვს ჩადენილი თეიმურაზ პირველს, როგორც

მეფეს (პოეტზე აქ არაფერს ვიტყვით); მისი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ თავადებისგან ნაქეზებულმა ვერ დაინახა და ვერ დააფასა სააკაძის როლი და მნიშვნელობა ქვეყნისათვის და ბაზალეთის ომამდე მიიყვანა საქმე.

ორმაგ თამაშს ეწეოდნენ ქართლის თავადებიც. ზურაბ არაგვისა და იესე ქსნის ერისთავები დღეს რომ ყიზილბაშებს ანადგურებდნენ, ხვალ თავისიანებს გაესეოდნენ. ზურაბ ერისთავმა საქართველოში ჩამოსვლისასლა გაიგო აჯანყების ამბავი, როცა მოურავმა ფაქტის წინაშე დააყენა.

გიორგის შემთხვევით არც შვილი დაუტოვებია ირანში, პაატა განწირული და გამოტირებული ჰყავდა. შემთხვევითობას ტყუილივით მოკლე ფეხი აქვს, მალე წყდება მისი მოქმედება. შემთხვევით ერთი ან ორი წარმატება შეიძლება ჰქონდეს ადამიანს, ყველა ომს შემთხვევით ვერ მოიგებ, ვერც მთელ წინა აზიაში იქნები დაფასებული, არც ხალხის მეხსიერება ინახავს შემთხვევით გამარჯვებულს...

ოსმალეთში იძულებით ჩასული სააკაძე ფაქტიურად იმავე მდგომარეობაშია, როგორც 1612 წლის წავკისის შეთქმულების შემდეგ ირანში გაქცეული. მაშინ შაჰს დიდი იმედი მიეცა, სააკაძის დახმარებით დაემორჩილებინა თავისი ინტერესის ქვეყნები. ასევე აპირებდა სულთანის გიორგის ხმლით ირანელების დამარცხებას.

ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ქართველი მკვლევარები სააკაძის ოსმალეთში ყოფნის ძალზე საინტერესო მოვლენებს ასახავენ, რომ, კერძოდ, სააკაძე სტუმრებია ბერძენთა პატრიარქს და ჯერ ისევ ქრისტიანად მყოფს მისი

წირვა-ლოცვაც მოუსმენია.

საკაძის მუსლიმანობა რომ ირანშიც ფორმალურ სახეს ატარებდა, ამას ადასტურებს იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა-ვალეც. იგი აღნიშნავს, რომ სააკაძე თავისი ოჯახის წევრებთან ერთად ხშირად დადიოდა კათოლიკე მისიონერთა ქრისტიანულ ეკლესიებში ისპაჰანში.

გიორგი ძალიან განიცდიდა ქრისტიანობის დატოვებას, ეს ჩანს 1620 წელს საქართველოში გამართული სასამართლოს ჩანაწერიდან. იგი თავის მოწინააღმდეგე ქაიხოსრო ჯავახიშვილსა და სხვა მის მომხრეებს ბრალს სდებს: „მეფე ლუარსაბი გამინყრომა და იმ ალაგიდამა ცოლითა და შვილით დამკარგა... და რჯულიდამ შემცვალა“. იმ დროს სააკაძე ქართლში შაჰის მიერ დანიშნული გამგებელი იყო, არ მოერიდა, რომ შესაძლო იყო მისი ნათქვამი მის მტრებს შაჰის ყურამდეც მიეტანათ და ხმამაღლა გამოხატა თავისი გულისტკივილი სარწმუნოების შეცვლის გამო.

საკაძისთვის სარწმუნოების შეცვლა მსხვერპლის გაღება, თვითგვემა იყო, ძალით თავსმოხვეული სულიერი სატანჯველი. იგი არც პირველი იყო, არც უკანასკნელი – სამშობლოს გადარჩენის სახელით სააკაძემდე და მის შემდეგაც მრავალი გულანთებული ქართველი წასულა ამ მსხვერპლზე (სიმონ პირველი, არჩილი, ვახტანგ VI და სხვები...); ასეთ სათუთ საკითხში სიმართლის გამგები და წარმომჩენი უპირველესად ხალხია. ერი ყოველთვის თავისი სინდისის კარნახით, უშეცდომოდ არჩევს ვინ ვინ არის სინამდვილეში და არა გარეგნულად.

სტამბოლში მყოფი სააკაძე საფრანგეთის სტამბოლელ ელჩსაც გაეცნო და დაუახლოვდა. ელჩს მისთვის იტალიიდან საქართველოში მიმავალი კათოლიკე მისიონერები – კასტელი და მისი მეგობრები გაუცნია; მათ სააკაძე საქართველოდან თეიმურაზისაგან გამოგზავნილ ელჩად მიუღიათ. გ. ჯამბურას მიაჩნია, რომ შესაძლოა, მათ თავად სააკაძე გაეცნო ელჩად...

„საფრანგეთის ელჩს ის თავადი, ე.ი. სააკაძე, რამდენიმეჯერ მიუწვევია თავისთან სადილად, რომ მისიონერები უფრო დაეახლოვებინა და დაემეგობრებინა მისთვის“. იმ დროს საქართველოსკენ მგზავრობა სახიფათო იყო განუწყვეტელი ომიანობის გამო. კასტელი და მისი ამხანაგნი საიმედო მგზავრს ეძებდნენ და ამის გამო ცდილობდნენ სააკაძესთან დაახლოებას, რომელიც როგორც ელჩი, მალე დაბრუნდებოდა სამშობლოში...“ (მ. თამარაშვილი, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“).

ეტყობა, მისიონერებს გიორგისთვის საქართველოს ვითარება გამოუკითხავთ და დაინტერესებულან, თუ როგორ მიიღებდა მათ თეიმურაზი.

„სააკაძეს ისინი დაურწმუნებია, თეიმურაზს ძალიან გაუხარდება თქვენი სტუმრობა და დიდი პატივისცემით მიგიღებთო“. თეიმურაზის მიერ გამოძევებულ მოურავს იგი მაინც კარგად დაუხასიათებია მისიონერების წინაშე. ეს ფაქტიც სააკაძის დიდბუნებოვნებაზე მეტყველებს. სამშობლოს ინტერესებს ის ყოველთვის პირადულზე მაღლა აყენებდა“ (გ. ჯამბურია).

ურთულეს გარემოში მოუხდა სააკაძეს ცხოვრება და მოღვაწეობა და იმდენად კარგად გაართვა პრობლემებს თავი, საუკუნეები გააოცა.

ძალზე სახიფათო და რთული იყო თვით შაჰთან ურთიერთობა. მას „უყვარდა“ თავისთან მყოფი, ირანისთვის მებრძოლი სააკაძე და სულით ხორცამდე ეჯავრებოდა ქართლში, სამშობლოს ინტერესების დამცველი.

ახლა, როდესაც სააკაძემ ღუზა სტამბოლში ჩაუშვა, წარმოიდგინეთ, რა მოუსვენრობა შეიპყრობდა შაჰის გულს მანამ, სანამ არ მოსპობილიყო ეს დაუდგრომელი გურჯი, ირანის დამამხობელი.

ირანის დაკნინებამ სააკაძისა და ქართველი მოსახლეობის ენერჯის გაღების ხარჯზე ოსმალთა მაღალი წრის საზოგადოებაში სააკაძე და მისი ქართველები მეტად სასურველ და პატივსაცემ პირებად აქცია. ე.ი. ცხადზე უცხადესია, რომ არ მომხდარიყო მარტყოფის აჯანყება, მარაბდის ომი, ქსნის ბრძოლა და საერთოდ, რომ არ გაენადგურებინათ ირანის ჯარების 65-70 ათასამდე მეომარი, ოსმალეთში ჩასულ სააკაძესა და მის რაზმს ასეთი პატივით არ მიიღებდნენ.

სააკაძეს თავისი პოზიცია და მოთხოვნა ჰქონდა სასულთნოს წინაშე, რაზეც თანხმობა განუცხადეს, ალბათ დიდი სიხარულითაც.

უმთავრესი ნიშანი სააკაძის დიდი დაფასებისა იყო ის, რომ ხონთქარმა სასულთნების თანხმობით პატივი მიავაგო – დააჯილდოვეს და მფლობელობაში გადასცეს კონია-

ყარამანიის ოლქი. ე.ი. იმდენად აღუფრთოვანებია ოსმალეთის დიდებულები სააკაძის სპარსეთზე გამარჯვებას, ასე გამოუხატავთ თავიანთი დამოკიდებულება. მათგან ამგვარი საქციელი გვაფიქრებინებს, რომ სააკაძის გამარჯვება შაჰ-აბასზე თავიანთ გამარჯვებად მიუღიათ. მით უფრო, რომ ოსმალთა ჯარი სააკაძის სარდლობით ქართველებთან ერთად მონაწილეობდა ყორჩიბაშის ჯარების განდევნა-განადგურებაში ახალციხე-ანყური-ფარავნის ციხეებიდან.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს: 1612 წელს შაჰ-აბასი ასაჩუქრებს სააკაძეს მიწა-მამულებით ტაშისკარის ბრძოლაში ოსმალების განადგურებისთვის, 1627 წელს – ოსმალეთი შაჰ-აბასის ირანის სახელმწიფოს საფუძვლების მორყევისთვის. უბედურება ისაა, რომ სააკაძე ორივეჯერ სამშობლოდან გაძევებულია თანამემამულეთა შურიანობის გამო!

ჭეშმარიტება ყველაზე მაღალი ფასეულობაა, სიმართლით რომ ვიმსჯელოთ, შაჰის ჯარების უძლეველობის მითი ფაქტიურად ქართლში განადგურდა, იგი კარგავდა გავლენას აღმოსავლეთ საქართველოზე; აქვე აღმოცენდა საქართველოს გაერთიანების იდეა, რომლის სულისჩამდგმელი ისევე სააკაძე იყო.

შაჰ-აბასმა კარგად უწყოდა, რატომ წავიდა ბაზალეთის ომის შემდეგ გ. სააკაძე ოსმალეთში და რას მოიმოქმედებდა ირანის წინააღმდეგ, თუ დასცალდებოდა – აბასს ირანისთვის უკანასკნელი სამსახური უნდა გაენია, მისი მტერი გურჯი მოურავ-ხანი ფიზიკურად უნდა გაენადგურებინა!

სააკაძის ბედის განმსაზღვრელი მისივე ნიჭიერება და დიდი შესაძლებლობები იყო, გამუდმებით ხან შინაური, ხან გარეული მტრების შური ერტყა გარს. მთელი ეს დრო, 1626-დან 1629 წლამდე შაჰის მსტოვრები სულთნის კარზე ეძებდნენ პიროვნებას, ვისაც შეეძლო მოეკლა სააკაძე. ვინ უნდა ყოფილიყო ასეთი მძიმე საქმის შემსრულებელი, თუ არა ხონთქართან დაახლოებული პირი, დიდვეზირებიდან რომელიმე, ვისაც შეეძლო იმჟამად ოსმალეთისთვის ესოდენ საჭირო კაცის თავიდან მოცილება, რაც ადვილი საქმე როდი იყო, თუნდაც ფიზიკურად. არაფერს ვამბობთ პოლიტიკურად საჭირო და უპირველეს სარდალ სააკაძეზე.

ის დრო, რაც ზემოთ აღვნიშნეთ, სრულიად საკმარისი იყო, შაჰ-აბასის მცდელობებით მოძებნილიყო გზა და ის ვინმე, რომელიც, რა თქმა უნდა, დიდი გასამრჯელოს ფასად, შეასრულებდა ასეთ ამოცანას. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირდაპირ უნდა ითქვას, უკვე სააკაძისგან დასუსტებული და ნახევარჯარგანადგურებული ირანი ვერანაირად ვერ გაუწევდა წინააღმდეგობას ვერც ოსმალეთს და ვერც მასზე სამტროდ აღმდგარ სხვა ქვეყანას. მით უმეტეს, რომ მურად მეოთხის კარზე ჩაფრენილი კავკასიური არწივის ხმა შაჰისათვის ავის მომასწავებლად ყიოდა.

ამიტომ შაჰ-აბასის უკვე ბოლო, ერთი დიდი და მნიშვნელოვანი მიზანი იყო მოესპო გ. სააკაძე და ამით უკანასკნელი დიდი სამსახური გაენია ირანისთვის.

ოსმალეთს დიდვეზირთა შორის შური უცხო ხილი არ იყო, გამონაკლისი არც ხუსრევ-ფაშა იქნებოდა. ყველაზე საეჭვო იმ მოვლენებში არის დიდი ხონთქრის დისა და მისი

ქმრის ხუსრევ-ფაშას ფარული მოქმედება სააკაძის წინააღმდეგ. საიდუმლოების დაცვა შაჰ-აბასის მთავარი მოთხოვნა და ამოცანა იყო.

იცნობდნენ შაჰი და მისი თანამოაზრეები სააკაძეს, მის ძარღვიანობას, შეუდრეკლობას, მოხერხებას... იმასაც მშვენივრად აცნობიერებდნენ, თუ რის გამო აღმოჩნდა სააკაძე ოსმალეთში, რა ამოძრავებდა და რა გზით უნდა მოეხდინა ოსმალეთის დიდი ხონქორის გულის მოგება, რომ იგი მხარში ამოსდგომოდა საქართველოს გაერთიანების საქმეში.

ამას რომ მიაღწიოს სააკაძემ, ოსმალთა უფრო მეტი ნდობა უნდა მოიპოვოს – ჯერ ბალდადი წაართვას ირანელებს, შემდეგ თვით ირანისა და მასთან ძველი სადავო საკითხების მოგვარება დადგება დღის წესრიგში. თუ ოსმალეთი შორს არ წავა ირანის წინააღმდეგ, მაშინ ისევე სააკაძე დააყენებს ირანთან ომის საკითხს.

ოსმალეთი დიდი მონდომებით ცდილობდა ირანელებისაგან ბალდადის გათავისუფლებას. ხონთქარმა ამ ბრძოლის სარდლობა თავისი დის ქმარს, ხუსრევ-ფაშას დაავალა. მან ვერ გამოიჩინა დიდი უნარიანობა და ვერ იქნა, ბალდადი ირანელთაგან ვერ გამოიხსნა, ქალაქი ხშირად გადადიოდა ხელიდან ხელში.

ბალდადის დაბრუნების წარუმატებელი ცდა ხუსრევ-ფაშასთვის უგუნებობის მიზეზი გახდებოდა, ვინაიდან ცოლისძმის წინაშე პირი ურცხვებოდა. ბალდადური წარუმატებლობა ხონთქარსაც აღიზიანებდა, ცხადია, თავზე ხელს არ გადაუსვამდა; ამასთან შეინიშნება ერთი მოვლენაც: ხუს-

რევ-ფაშა რატომღაც არ იჩენს დიდ მონდომებას, ბოლომდე არ იხარჯება, როგორც სარდალი, რაღაც გულდანწყვეტილობის ხაზი გასდევს მის მოქმედებებს.

სააკაძის ოსმალეთში წასვლამდე კონია-ყარამანიის საბეგლარბეგოს, ცხადია, ეყოლებოდა პატრონი, მმართველი ბეგლარბეგი, ერთი ან შეიძლება რამდენიმეც. დასაშვებია, რომ ხონთქარმა ისინი გადააყენა, შემდეგ ტერიტორია ჩამოართვა და ჯილდოდ უბოძა მოურავს.

არსებობს ვარაუდი, რომ კონია-ყარამანიის ოლქი თავისი მმართველებიანად ხონთქარმა პირად მფლობელობაში გადასცა გიორგი სააკაძეს და მის ქართველებს. არც ეს იქნებოდა გასაკვირი – იმ დროს ოსმალეთის სარდლები დიდ წარმატებებს ვერ აღწევდნენ და ხონთქართან თავისი ფეხით და თავისი ნებით გამოცხადებული ესოდენ დიდი ძალისა და საბრძოლო გამოცდილებით ცნობილი სააკაძე ალაჰის წყალობად მიიჩნიეს და განსაკუთრებული პატივიც მიაგეს.

გამორიცხული არ არის, შაჰმა თავისი მოენეებისგან წვრილად მიიღო ინფორმაცია, რა ვითარება შეიქმნა ოსმალეთში მოურავის ჩასვლის შემდეგ და დაიწყო მოვლენების გამოყენება თავის სასარგებლოდ, ე.ი. ფარულად გეგმავდა სააკაძის ლიკვიდაციას.

არსებობს მინიშნებები, რომ მზად არიან, დიდი ფულიც გადაიხადონ სააკაძისა და მისი ქართველების განადგურებაში, მხოლოდ ისე, რომ ხონთქარმა არ უნდა შეიტყოს სისრულეში მოყვანამდე, სააკაძის სიკვდილის შემდეგ კი გასამართლებელ საბუთად მოახსენონ ხონთქარს, თუ რა-

ტომ გადადგეს ასეთი ნაბიჯი ხუსრევ-ფაშამ და მისმა მხარდამჭერებმა. კონია-ყარამანის ოლქში წარმოშობილ დაპირისპირებაში სააკაძის თანამებრძოლებსა და დიდვეზირს შორის შაჰ-აბასის ხელი უნდა ერიოს.

სააკაძე ლაშქრად იმყოფებოდა, სისხლს ღვრიდა ოტომანთა გასაძლიერებლად. კონია-ყარამანის ოლქს მისი ნდობით აღჭურვილი პირი, რომელსაც „ხუცესად“ მოიხსენიებენ და სხვა ქართველები მართავდნენ. ხუსრევ-ფაშასგან სააკაძის წინააღმდეგ შექმნილ კონიელ დიდკაცთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა იბრაჰიმ ჩელები, კაცი ბრაზიანი და ძალაუფლებისმოყვარე. ამ ჩელებმა, რომელსაც აღიზიანებდა სააკაძის პრივილეგირებული მდგომარეობა, ყოველგვარი ბრალდების გარეშე შეიპყრო და დილეგში ჩააგდო კონიის მმართველი „ხუცესი“, შემდეგ ისარგებლა სააკაძის არყოფნით, სხვა გავლენიან პირებთან ერთად ეახლა ხუსრევ-ფაშას და ქართველთა „დანაშაულობები“ მოახსენა.

თუ ობიექტურად ვიმსჯელებთ, შესაძლოა, ქართველებს რალაც ურთიერთობები გაურთულდათ კიდევ ადგილობრივ დიდკაცებთან, მაგრამ, როგორც ასეთი, ქურდობა, ძარცვა და გაუპატიურება მათგან ყოველად წარმოუდგენელი იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავის გადარჩენის მიზნით სიფრთხილეს გამოიჩინდნენ, მით უმეტეს, დიდი პატივით იყვნენ მიღებულნი ოსმალთაგან და არაფერი აკლდათ, თანაც მათ დიდი მიზანი – გაერთიანებული საქართველოს შექმნა ჰქონდათ ჩაფიქრებული და მუდამ საარაკო ბრძოლებში თავის გამოჩენის მსურველ ქართველებს ასეთი ქმედების ჩადენა აზრადაც კი არ მოუვიდოდათ.

ხუსრევ-ფაშა ბნელი მიზნების მორჩილი აღმასრულებელი აღმოჩნდა. იგი დამოკიდებული ჩანს თავის ცოლზე, რომლის წერილმა მოსვენება დაუკარგა: „სააკაძის დიდება თანდათან იზრდება და თუ რამე არ მოიფიქრე, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებიო“.

დავფიქრდეთ, რატომ არის ასე მოწადინებული ხონთქრის და, როგორ უნდა მალულად მოკვლა სააკაძისა, რომელზეც მისი ძმა დიდ იმედს ამყარებს და დიდი პატივიც მიაგო. ახლა ცდილობს, ძმას ხელიდან გამოაცალოს ეს დიდი იმედი. მარტო შური, თუ აქ სხვა რამეც არ ერია, არ შეიძლებოდა ამის საფუძველი ყოფილიყო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს „სხვა რალაც“ ირანიდან მოდიოდა. მართალია, მოურავის ოსმალეთში ჩასვლით ხუსრევ-ფაშას დიდი ჩრდილი მიადგა, მაგრამ სააკაძეს ჯერჯერობით არა ჰქონდა გადახდილი იმდენი ომი ოსმალეთის სასარგებლოდ, რომ ძალზე აღმატებულიყო, მართლა დიდი შური გასჩენოდათ და მერე ეცადათ მისი განადგურება.

დიდი ვეზირი ხუსრევ-ფაშა ვინრო გაქანების პიროვნებად ისახება და იმდენად ანგარებიანი, რომ ვერ განსაზღვრა, თუ რატომ ალაფრთოვანა ხონთქარი სააკაძის გამოჩენამ მის კარზე, რამდენად საჭირო იყო დიდი სტრატეგი ოსმალეთის აღმავლობისა და გაძლიერებისთვის. დიდ ვეზირს ნაკლებად უყვარდა თავისი სამშობლო და სულაც არ იწუხებდა თავს მისი ინტერესების დაცვაზე ფიქრით. შესაძლოა, ხუსრევ-ფაშას იმედი ჰქონდა, რომ სააკაძის განადგურების შემთხვევაში ხონთქარი არ დასჯიდა, რადგან ცოლისძმა იყო, შეუნდობდა. თანაც თადარიგი დაჭერილი ჰქონდათ, ქართველებს კო-

ნიაში ხალხის სასტიკად მოპყრობას დააბრალებდნენ, თავს გაიმართლებდნენ, უმიზეზოდ ასეთ საქმეს როგორ მოვახდენდითო.

მეუღლის ნაქეზებითა და ბაღდადის მარცხით განბილებულმა ხუსრევ-ფაშამ დაუშვა უფრო დიდი შეცდომა, როდესაც ანატოლიის ბეგლარბეგს ზორ-ფაშას უბრძანა, შეეპყრო გ. სააკაძე და მისი მეომრები. იმის განსჯის უნარი კი აღარ ჰქონდა, რომ ხონთქარი ამას არ აპატიებდა.

## სააკაძის აღსასრული

დამსჯელი ოსმალები ცდილობდნენ ისე გაენადგურებინათ სააკაძე და მისი 50 კაციანი რაზმი, თავიანთი სისხლი არ დაეღვარათ. კარგად უწყოდნენ, ქართველებთან პირისპირ შებმას, სულ ცოტა, 100-150 ოსმალო მაინც შეენირობოდა, ამიტომ ნაცადი ხერხი გამოიყენეს – საქმელში სანამლავი შეაპარეს. თუ მოწამლულები გადარჩებოდნენ, მათი ფიზიკური დაძაბუნება და სისუსტე მაინც გარანტირებული ექნებოდათ და შეპყრობისას ნაკლებ წინააღმდეგობას გაუწევდნენ.

ამ ვარაუდს ამართლებს იმ დროს დაწერილი ოსმალური ლექსიც. მასში უფრო მეტი ცინიზმია, ვიდრე სააკაძის სულთნის კარზე გამოცხადებით გამოწვეული აღტაცება. ეს მიგვანიშნებს, რომ ოსმალებს მეტ-ნაკლებად შეუცნიათ სააკაძის ხასიათი, იციან მისი გეგმები, რომ აუცილებლად დაბრუნდება საქართველოში. ლექსის ასეთი მოტივით დაწერა მიგვანიშნებს, რომ სააკაძეს დიდხანს სიცოცხლე აღარ უწერია:

„ღვინოს ვსვამ და გეახლები ფლავს,  
გარეგნობით ვემსგავსები ხარს.  
არ ვარ მოთაყვანე ცეცხლისა,  
არცა მუსლიმი,  
არცა ურია.  
ვარ მირმირანი ყარიბანისა,  
ვარ მოურავი გურჯისტანისა!“



ჩანს, რომ მას შინაგანი რწმენა არ შეუცვლია და ქრისტიანია, მიუხედავად იმისა, რომ სტამბულში ჩასვლის შემდეგ იძულებული იყო ფორმალურად ეღიარებინა მაჰმადიანობა.

ქართველები მიხვდნენ, რომ დახოცვას უპირებდნენ. ერთ მუშტად შეიკრნენ და თავის გადარჩენას, ბედისწერისგან გასხლტომას შეეცადნენ, სანამ მოწამვლით გამოწვეული სისუსტე გაუვლით, სანამ მოლონიერდებიან, მერე კი... მერე ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს!

მინა-ოსმალური, მტერი-უშელავათო, ქართველები კი მიჰქრიან ახლა უკვე უგზო-უკვლოდ, სუნთქვაშეკრულნი ისევ თანამდევნი უმადურობისაგან.

მდევერები კვალში უდგანან, რასლა იზამენ, არცერთს წარბი არ შეუხრია, დიდი სიამაყითაც, უფრო მეტად გული რომ გაუთბონ სააკაძეს, მაგნიტური მიზიდულობით ზედ ეკვრიან. ბაზალეთიდან წამოყოლილი საქართველოს ვერგაერთიანების სუსხი გაუნელებელ ოხვრად შეჰყინვიათ ბაგეზე, მაგრამ ის ანუგეშებთ, რომ სააკაძესთან ერთად დაიხოცებიან, რასაც ღირსეული აღსასრული ჰქვია – ნოსტალგიამორეულებს სამშობლოს მონატრება და სიყვარული ისევ სააკაძეში ეგულებათ...

დამდგარიყო ჟამი სააკაძისა და მისი ქართველების ამა ქვეყნიდან გასვლისა. მდევერთა წრე პატარავდებოდა. ამ გაცრიატებულ უღმობელ მინაზე გადმოხვეწილ გიორგის ახლა თვითგვემის ჟამი დასდგომოდა, მაგრამ რა უყოს შვილს ავთანდილს ან თავის ორმოცდაათიოდე ქართველს,

მის გარეშე მათაც აღარ უღირთ და არც უწერიათ სიცოცხლე. ცოტანი იყვნენ, მაგრამ ერთიანად დამუხტულნი სამშობლოს სამსახურად. გაუზარავი თანადგომა ჰქონდათ, დიდ რისკს ეწეოდნენ საქართველოს გაერთიანებისთვის. მიზანს ვერ ეწივნენ, მაგრამ ოჯახსა და სამშობლოს მოცილებულებს ერთ წამითაც არ გაუვლიათ გულში საყვედური, ისევ სააკაძე ირჩიეს და სიცოცხლის ბოლო წუთებამდე მისი ბედის გამზიარებლებად დარჩნენ.

თმანვერგათეთრებულ, სანამლავმორეულ გიორგის სხეული დაღლოდა, ძარღვებში სისხლი შედედებოდა, ხმა გაჰყინვოდა; ხმალი აღარ გახსენებია, აღარც ცხენისთვის დაუტანებია ძალა. მალე წამოენიათ მდევეარი. წრე შეკრეს, ყველა შეიპყრეს, იარაღი აჰყარეს, ბორკილები დაადეს და ყოველგვარი შეწინააღმდეგების გარეშე ალექსოში (ჰალაბი) მიიყვანეს. მხარგაკრულნი სათითაოდ მიაკრეს ახლო-ახლო მდგარ ძელებზე.

გიორგი სააკაძე მათ პირისპირ განცალკევებით მდგარ ძელზე მიაბეს, მჭიდროდ, საიმედოდ დაახვიეს ბანარი. ხუსრევ-ფაშას უნდოდა, გიორგის საკუთარი თვალით ენახა თანამოძმეთა წამება, როგორ აღმოხდებოდათ სული მის შვილს ავთანდილს და სხვა ქართველებს.

მოედნის ცენტრალურ ადგილას ხუსრევ-ფაშა ზის. ტკბება მისი და სხვა მრავალთა თვალი ჯვარცმად გაკრული ქართველების ცქერით. შესრულდება მისი ნატვრა, დაიცხრობს პირად ამბიციასა და ავ ვნებას გიორგის სიკვდილით. კარგი დრო დასდგომია სახელის მაძიებელ ხუსრევ-ფაშას, სხვა არაფრის მაქნისი, გიორგი სააკაძის მკვლელის სახელით

ხომ მაინც დარჩება ისტორიაში!

ჰაი დედასა, რა დრო დასდგომია ქართლის ქირ-  
ვარამით დაღლილს!

დრონი მეფობენო მეფეთა უკეთესად?!

სადაურსა სად წაიყვან, ბედო, სიცოცხლის გზას ვის  
სად გადუკეტავ!

დგას 1629 წლის ოქტომბერი, შუა შემოდგომა.

დღე გადაიხარა. გამტკნარებულია ცა, ნიავი არ იძ-  
ვრის, ადამიანების მაგივრად ბუნება გლოვობს მართალთა  
და უბრალოთათვის.

ქართველები შეუდრეკლად დგანან.

ხუსრევ-ფაშას ნიშანზე ასობით ისარმა გაიზუზუნა,  
ყველა მიზანს მოხვდა, შეინგრა ქართველთა გულის ფიცარი  
(გადმოცემით, იმ დღეს საქართველოში მინისძვრაც მომხ-  
დარა). ისევ გაიზუზუნეს ისრებმა ერთად, მიზანაუცდენ-  
ლად. ისევ დაიჭიმა მშვილდის ლარები, ახლა უკვე სააკა-  
დისტვის...

1629 წლის 3 ოქტომბერს მოწამებრივად აღესრულა  
გიორგი სააკაძე, შობითგან 59 წლისა...

\*\*\*

საქართველოს ისტორიაში თავისი უაღრესად დიდი  
შინაარსითა და განსაკუთრებული სიღიადით ბევრი ომი ბრ-  
წყინავს, რომლებიც მოიგეს ჩვენმა დიდმა მეფეებმა, ქართ-  
ველ ხალხთან ერთად.

ყურადღებას გავამახვილებ მხოლოდ რამდენიმე მათ-  
განზე:

1. 467 წელი – ვახტანგ გორგასალის ეპოქა. ბრძოლა  
სპარსელებთან მტკვრის მარჯვენა მხარეს, დიღმის ველე-  
ბზე. მათი მთავარსარდალი შაჰინშაჰი პეროზია. გამარჯვება  
წილად ხვდა ქართველებს.

2. 502 წელი – ვახტანგ გორგასალის ეპოქა, ომი ივრის  
ხეობაში. სპარსულ არმიას სარდლობდა კავადი. გაიმარჯვეს  
ქართველებმა.

3. 1104 წელი – ერწუხის ომი. დავით IV აღმაშენ-  
ებელმა გაიმარჯვა თურქ-სელჩუკთა არმიაზე, რომელსაც  
სარდლობდა სულთანი ბარქიაროკი.

4. 1121 წელი – დიდგორის ომი. 60 ათასიანმა ქართულ-  
მა ჯარმა, დავით აღმაშენებლის სარდლობით, სასტიკად  
დაამარცხა თურქ-სელჩუკთა გაერთიანებული 340 ათასიანი  
ჯარი. მათი სარდალი ნეჯმ-ად-დინ-ილლაზი ამ ომში მიღე-  
ბული ჭრილობებით გარდაიცვალა.

5. 1195 წელი – შამქორის ომი. ქართულ მხედრობას  
სარდლობდა თამარის მეუღლე, დავით სოსლანი, მტრის

ჯარს – ამირთამირა აბუ-ნაქარი. გამარჯვება წილად ხვდათ ქართველებს.

6. 1225 წელი – გარნისის ომი. ქართველთა ჯარს სარდლობს სიბერემორეული ივანე ათაბაგი, ძმები შალვა და ივანე ახლციხელები, ხვარაზმელთა ჯარს – ჯალალ-ად-დინი. გამარჯვება წილად ხვდათ ქართველებს

7. 1335 წელი – გიორგი V ბრწყინვალეს ძალისხმევით დასრულდა ქართულ მიწაზე მონღოლების ასწლიანი ბატონობა.

8. 1555 წელი – გარისის ომი. ქართულ ჯარს სარდლობდა ლუარსაბ პირველი დიდი, ყიზილბაშებისას – შაჰ-თამაზი. გამარჯვება წილად ხვდათ ქართველებს.

მეფე სიმონ პირველმა უამრავი ომი გადაიხადა ყიზილბაშებთან და ოსმალებთან, გამარჯვება უმეტესად ქართველების მხარეზე იყო.

ვფიქრობ, ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, კერძოდ: ის ომები, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ, გადაიხადეს ჩვენმა სასიქადულო მეფეებმა თავიანთი შორსმჭვრეტელი გონებით, ამაგიანი ხელის გამოლებით. მათ გვერდში ედგნენ სარდლები, ომებში პასუხისმგებელი პირები დიდებულთა საგვარეულოდან. ე.ი. დიდ მეფეთა და ღირსეულ დიდებულთა ერთობლივი ძალისხმევით მთელ ერთან მიღწეულ იქნა დიდი საომარი წარმატებანი.

ახლა გიორგი სააკაძის დროის მოვლენებში გადმოვინაცვლოთ:

სარდალი აზნაური სააკაძე – სამშობლოდან დევნილ-გაძევებული. მისი გაკეთებული საქმეები გაძევებამდე – მოგებული ტაშისკარის ომი, სახელმწიფოს აღმშენებლობა, მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომები – დაბრუნების შემდეგ. აქ ჩამონათვალი ომები ხომ არის ქართველი ერისთვის, სამშობლოდ ქცეული ფასეულობანი, მარადსახსოვარი განძი აქ ჩამოთვლილი დიდი მეფეების მიერ მოგებული ომების შიდა არსთან და სიღიადესთან ერთად.

ქართულმა ისტორიულმა, ობიექტურმა, ჯანსაღმა სამართალმა მზესავით ნათელ მოვლენად დააყენა ქართველ მეფეთა მიერ გადახდილ ძღვევამოსილ ომებთან აზნაურ სააკაძის ძალისხმევით მოგებული ტაშისკარის, მარტყოფის, (მარაბდის) და ქსნის ომები.

უნდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი მოვლენა: დიდი მასშტაბისა და გადამწყვეტი მნიშვნელობის ომები უმეტესად დედაქალაქიდან ძალზე დაშორებით მიმდინარეობდა. ჩემი აზრით, ეს მოვლენა ქვეყანაზე გულშემატკივარ მეფეთა გონიერებით აიხსნება, ისინი მტრებს თბილისამდე მოსვლის საშუალებას არ აძლევდნენ. იყვნენ დაკვირვებით მაშინ საქართველოზე სამტროდ შემართულ სახელმწიფოებთან, ამასთანავე ფრთხილნი და თადარიგის დამჭერნი. სწორად იყო შერჩეული ტაქტიკა და სტრატეგია, რასაც შედეგად სრული წარმატება მოსდევდა; გავიხსენოთ ისევ დავით აღმაშენებლი, რომელმაც ყოველთვის ზუსტად და ზედმინ-ევნით იცოდა, რა ხდებოდა ქვეყნის ყველა კუთხეში.

საქართველოს მტრულ სახელმწიფოებთან მიმართებაში ყურადღება, სიფხიზლე აუცილებელი პირობა იყო – ამას

ქართული სულის სამარადჟამო არსებობის წესი ითხოვდა. სიფხიზლე და სიმამაცე არსებობის შენარჩუნების უმთავრესი პირობა იყო. სიცოცხლესა და სიკვდილს შუა შიში და სინდისი საპაექრო მოვლენებს ქმნიან, რასაც ჩვენ ცხოვრებას ვეძახით; მთავარია, რას ვითხოვთ სამშობლოსაგან და ჩვენ რა ხარკის გაღება შეგვიძლია მისთვის. სწორედ ასეთი – ქვეყნისთვის ყოვლისგამღები, ფხიზელი, მამაცი, მინყივმბრუნავი და დაუღლელი იყო სააკაძე. მის დამუხტულ ბუნებაში თავს აფარებდა რეფორმატული ხასიათიც, ახლებური ხედვა საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, ამასთან მიზანმიმართული, შეუბღალავი, მტკიცე. ალბათ, ამის გამოც იყო, რომ ხშირად უწევდა მეფეთა მაგიერ თვითონ გაეცა პასუხი მტრისთვის, ფარად აღდგომოდა დასაპყრობად მოსულ ურდოებს.

მაშ, რის გამოლა ემწარებოდათ სააკაძის სიცოცხლე ქართლში, მაშ, რის გამო მიიბარა მისი ძვლები ოსმალეთის მიწამ, როცა მისი დიდი გული და მოგებული ომები, ხალხის სიყვარული და სამარადისო ხსოვნა საქართველოში დარჩა.

ვინც საგმიროდ დაბადებულა, სამშობლოს ნათელიც მარადიულ ხსოვნად მას დაჰნათის.

„ადამიანთა საქმიანობა არ უნდა შეფასდეს მარტო იმით, თუ რა გააკეთა, არამედ იმითაც, თუ რა ვითარებაში მოუხდა ამ პიროვნებას ასეთი საქმეების გაკეთება“.

**ვაცლავ ჰაველი**

\*\*\*

გ. სააკაძეს „ვაი“ – სამშობლოში შეექმნა, „უი“ – ირანიდან და შემდეგ ოსმალეთიდან ელოდა; მეტიც: მისი ჯოჯოხეთური ყოფაც კი შურდათ ზოგიერთებს! მაგრამ რაც კი რამ ჰქონდა ძვირფასი, სასიცოცხლო, შესანიშნავი, სამშობლოს ზვარაკად მიჰქონდა.

საკაძისთვის ირანში შაჰის კარი და ოსმალეთში სულთნის კარი საუბედუროდ აუცილებლობა იყო და ამის გამოც ვაებაში ჩავარდნილი სამშობლო გულისფაცქალით ელოდა მის დაბრუნებას მაშინაც და ელოდება დღესაც. რაც უნდა ხმაურიანი საუკუნეები დამყუდროვდნენ ცრემლიან ქართლის ცხოვრებაში, სამშობლო ისევ მოელის ჯერ ვერ ან არდაბრუნებულეს.

ერთაწმინდაში კვლავ მოელის პაატა თავის მამას!

\*\*\*

გ. სააკაძის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ ბერი ეგნატაშვილი წერს, „ცოლი მოურავისა და მისი შვილი იორამ დარჩა არზრუმსა ქვეყანასა“. სააკაძის ოჯახი საკმაო ხანს ოსმალეთში დარჩენილან.

იორამ სააკაძესა და დედამისს ფიქრი საქართველოსაკენ ჰქონიათ; მათ ეცოდინებოდათ, გ. სააკაძის და იმერეთის მეფის გიორგი III-ეს ურთიერთობა მთელი რიგი წლების მანძილზე, რაც საფუძველი შეიქმნებოდა, სააკაძის ოჯახს ოსმალეთი დაეტოვებინათ და დასავლეთ საქართველოში დაბრუნებულიყვნენ.

იმერეთის მეფეს თავისი კეთილგანწყობის საბუთი იორამ სააკაძისათვის მიუცია, სადაც წერია:

„თუ შენ ჩვენი ერთგული, ჩვენის სიტყვისა და ბრძანების მორჩილი იყო, ჩვენც ვიყოთ შენთვის კარგის მწყალობელი, და თუ ვინემ შენი თავი შემოგვაბეზლოს, განუკითხავად არ გაგინყრეთ და აგრეთვე დღეს რისაც მქონებული იყოთ, მამულისა, ციხისა თუ ალაგისა, არცა მისგან დაგამციროთ და არც მოგიშალოთ“.

ამ საბუთის საფუძველზე, როგორც ჩანს, იმერეთის მეფეს იორამ სააკაძისათვის, თავშესაფარი და მამულებიც მიუცია.

იმერეთის მეფე გიორგი III 1639 წელს გარდაიცვალა. ამ დრომდე იორამ სააკაძესაც იმერეთში უნდა ეცხოვრა.

1632 წელს ქართლში გამეფებული როსტომ მეფე გ. სააკაძის დამსახურებას საქართველოს წინაშე დიდ ანგარიშს უწევდა. ამ საფუძველზე მან შაჰ-აბასს II-სთან შეთანხმება მოახდინა, რომ რადგან იმერეთის მეფე როგორც გვერდში მდგომი იორამისა და იგი გარდაიცვალა, გადანყვიტა იორამ სააკაძე იმერეთიდან ქართლში დაებრუნებინა.

1629 წელს შაჰ-აბასს I-ის გარდაცვალების შემდეგ, ხოსრო-მირზას (როსტომ მეფე) დახმარებით, ირანის ტახტი დაიკავა შაჰ-აბასის შვილიშვილმა შაჰ-სეფიმ.

როგორც მკითხველისათვის ცნობილია, გ. სააკაძის უფროსი ქალიშვილი ცოლად ჰყავდა თეიმურაზ მუხრან-ბატონს, მათი შვილი ვახტანგი როსტომ მეფემ იშვილა და

შემდეგ ის ქართლის მეფე ვახტანგ V ანუ შაჰნავაზი გახდა. (1658-1675 წლები.). რადგან ვახტანგ V გ. სააკაძის შვილიშვილი იყო, იორამ სააკაძეს საფუძველი შეექმნა, მეფის ახლო კაცი გამხდარიყო.

პოეტმა ფეშანგი ფაშვიბერტყაძემ, რომელმაც აღწერა ვახტანგ V-ისა და მისი შვილის, პოეტი არჩილის მოღვაწეობის პირველი პერიოდი, იგი დიდ შეფასებას აძლევს იორამ სააკაძის დამსახურებას ქვეყნის საპასუხისმგებლო საქმეებში. ის პირდაპირ ამბობს, იორამ სააკაძე მამის, გიორგი სააკაძის, მსგავსად, გონიერი, შორსმჭვრეტელი, კანონზომიერი დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე იყო.

იორამ სააკაძემ, თავისი მამის, გიორგი სააკაძის, ძმების ავთანდილის და პაატას, ტრაგიკულად დაღუპვის მთელი სიმძიმე თვითონაც გადაიტანა... ორჯერ განდევნა თავისი მინაწელიდან, თანამემამულეების მტრული, უსამართლო მოპყრობა, ვინ იცის?!

იქნება როგორი, წყნარი უშფოთველი ცხოვრების მოსურნე იყო გ. სააკაძის ოჯახი? მისი მძიმე გზა თვითონაც რომ მორჩილად გაიზიარეს და არც არჩევანის უფლება ჰქონდათ. გ. სააკაძის ბედის არჩევანი, მაღლა ზეციურ სამართალში გადაწყდა, უფლის ხელდასმით, და მიწიერ სამართალში, დიდი გვემის ფასად, რომ ქართველი ხალხი გადარჩენილიყო, ამ მძიმე უფლის განევა სააკაძესა და მის ოჯახს დაეკისრა. ასეთი ბედის მტვირთველი გ. სააკაძის ოჯახის წევრებმა მსხვერპლის ხვედრი მიიღეს. იორამ სააკაძე 1664 წელს გარდაიცვალა.

მტერი საქართველოს მოსვენებას არ აძლევდა, არც გ. სააკაძე აძლევდა მტრებს მოსვენებას. ამ გარდაუვალ მოვლენების, სავალ გზაზე სიარულისთვის მოსვენება დაჰკარგვოდა გ. სააკაძის ოჯახსაც. მაგრამ მიუხედავად ამდენი ტრაგედიისა, იორამ სააკაძეს, მაინც შეუსრულებია უპირველესი წადილი, დაბრუნებულია სამშობლოში და ქვეყნის სამსახურისთვისაც გარჯილა. მას დარჩენია ექვსი ვაჟი: გიორგი, ავთანდილი, ქრისტეფორე, დათუნა, შიოში და ჯანზურაბი. იორამს თავისი უფროსი შვილებისთვის, დიდი მამის და გარდაცვლილი ძმის სახელები დაურქმევია. ქართლში დაბრუნებულ გ. სააკაძის შთამომავლებს გვარი შეუცვლიათ, ისინი ჯერ, მოურავიშვილებად და შემდეგ თარხნიშვილებად იწოდებოდნენ (ხანდახან ორივე გვარად არიან წოდებულნი, თარხან-მოურავებად).

სააკაძეთა აზნაურული გვარის შეცვლის მიზეზი, ამ გვარის გათავადება იყო, რა საფუძველზეც გ. სააკაძის პირდაპირი შთამომავლები ოფიციალურად თავადები ხდებიან. დანარჩენი სააკაძენი, რომელნიც ზოგი სახლის განაყარ ბიძაშვილებად ენათესავებოდნენ, ისინი ძველი გვართა და აზნაურობით მოიხსენიებიან.

იორამ სააკაძე იყო ის ყლორტი იმ დიდი მუხისა, რომლის მძლავრ ტოტეშში ბევრ ქარიშხალს გამოუვლია, და მაინც ფესვმაგრადა დგას, მისი გაუტეხაობა და სიძლიერე ქართულ მიწაზედ. გ. სააკაძის მოდგმას დაჰყვა ხიბლი და მოვალეობა იმისა, რომ თავიანთ ქვეყანაში, მრავალ სფეროში, ღირსეულად და ამაგიანად მნიშვნელოვანი სამსახური გაენიათ თავიანთი სამშობლოსთვის.

## **გიორგი სააკაძის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობათა განხილვა ქართულ და უცხოელ ისტორიკოსთა შეფასებების საფუძველზე**

იმ დროიდან დამწერებული ქართული სული გრძნობს სააკაძის სიდიადეს, იცის, რომ თავისი ქვეყნის სამსახურში ჩამოინურა მისი უსაზღვრო ენერჯია, არ ემეტება ქართველი კაცის ომებში გამოვლილ სისხლს გულგრილი გონებით უყუროს მის ამაგიანსა და წყლიანი თვალებით შემომყურე პაატას მამის სახეს, რომელმაც სამშობლოსთვის სამსხვერპლოზე შვილები დააყენა.

მის სახეშივე იკითხება იმ დროის ნაწილ თავადთაგან და მეფეთაგან შექმნილი სულდახუთულობა. მათგან ვერ იჩინა თავი ქვეყნის დამოუკიდებლად ყოფნის გამოჩენის ძალამ. ამიტომ მისთვის სიმონ I-ის ქართული სული სულ მუდამ სანატრელი იყო. მასთან გვერდში დგომამ განაპირობა რეფორმატორული ბუნების აღმოცენება და განხორციელებების ცდა, რაც ხშირად დამოუკიდებელ ხასიათს ღებულობდა. არ უნდა დავაბრალოთ როგორც თვითნება, თუ მაინც და მაინც ამ კუთხით შეხედვაც გვიწევს. უნდა გავიხსენოთ სააკაძე ლუარსაბთან მიმართებაში როგორ ცდილობდა, როგორ ჩააგონებდა, ირანში შაჰთან წარდგენისას თბილისიდან ირანული ჯარის გაყვანას, რომ ქვეყანას თავისი ძალები მოეხმო და თვითმყოფადი პოზიცია შეენარჩუნებინა, მეფესთან სიახლოვე და ნათესაური კავშირიც ამისთვის სჭირდებოდა რომ ერთობლივი ზრუნვით ქვეყანა აელორძინებინათ. იგივე ენადა თეიმურაზთანაც, და შესაძლოა, მისგან უფრო მეტის

იმედიც ჭკჭკონდა როგორც ქეთევან დედოფლის შვილისა, სადაც თეიმურაზს აძლევს საშუალებას, სამეფო ტახტზე ორჯერ მინვევით, ღირსეულად გააგრძელოს სამეფო საქმე, შემდეგ არასასურველად განვითარებული მოვლენებისა, ცდილობს დამოუკიდებელი გზების ძებნას, რაც იმერეთის სამეფოში გადასვლა და მეფე გიორგისთან მოლაპარაკებები იგულისხმება. საიდანაც ოპონენტთაგან დაიბადებოდა სიტყვა „მოჩურჩულე“. ქვეცნობიერად ჩნდება კითხვა: მაინც რა ნიადაგი აძლევდა სააკაძეს იმის საშუალებას, რომ ქვეყნის გაერთიანებაზე ეფიქრა, მას ხომ არ ჰქონდა როგორც წარმომავლობითი საფუძველი დიდი თავადისა, აღარას ვამბობ ბაგრატიონთა წარმომავლობაზე, რა მომენტიც, ამ მხრივ, მეტი საშუალების მომცემია? პასუხად უნდა გავიხსენოთ მისგან გადახდილი ომები, და სიმონ მეფისაგან აღებული მაგალითი, სადაც დამოუკიდებლად ავლენდა მალალ სტრატეგიულ უნარებს. ეს იმ დროს, როცა მეფენი და თავადთა ნაწილი ვერ ავლენდნენ სათანადო შესაძლებლობებს.

ძალაუნებურად, ქვეყანა მისგან შველას ელოდა და ასეთი ვითარებიდან გამომდინარე, ქართლის ბედის განმსაზღვრელია. გავიხსენოთ, ოსმალეთიდან ელჩები მისი სახელით ასრულებენ მოლაპარაკებებს. ოპონენტთაგან ეს მისიაც, ალბათ, „მოჩურჩულედ“ შეფასდებოდა.

დაკვირვებას ითხოვს 1620 წელს, გაზაფხულზე, სააკაძისგან სასამართლოს გამართვა, სადაც ქვაკუთხედად თავისი სამტრო მხარის შემორიგება დააყენა. ამ მიზნის მიღწევაში ხელი შეუწყო შაჰის მიერ ქართლში სიმონ II-ის გამგებლად დანიშვნამ და მრჩევლად კი სააკაძის გვერდში

დგომამ. სწორედ ეს დროა აღსანიშნავი იმ ვითარების შესაცნობად, რომ სააკაძისგან თადარიგის დაჭერა ხდება, რაც მნიშვნელოვანის მოსახდენად არ არის გასაკვირი და სწორედ თვითონ რომ ვერ ხელენიფებოდათ, ამხელა, ვეებერთელა, მტრის ჯარებს პასუხის გასაცემად და სააკაძისგან შერიგება მოძულე მხარესთან და სათადარიგო გათვლების განსაზღვრებები ფასდებოდა „მოჩურჩულედ“.

გავიხსენოთ 1615 წელი, როდესაც შაჰი კახეთიდან ქართლში გადადის, განა ის დიდებულთა ნაწილი არ იყო, მივიდნენ და სამსახური შესთავაზეს შაჰს, აი ის იყო „მოჩურჩელობა“ და მათგან მტრის სასარგებლოდ დაჭერილი თადარიგები, რასაც სულ მალე შადიმანისაგან ლუარსაბის ირანში წაყვანა მოჰყვა. განა 1612 წელს სააკაძის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულება დიდებულთა ნაწილისაგან კონსპირაციული „მოჩურჩულეობით“ არ დაიგეგმა?

მისი მსგავსი ქმედება 1626 წელსაც დაიგეგმა, როდესაც თეიმურაზ I და სხვა წარჩინებულნი ცხინვალში ერთად იმყოფებიან, მოგვიანებით მისულ სააკაძეს თავისი უახლოესი ხალხი შეატყობინებენ მათგან ავ განზრახვას, თუ როგორ სწადია ნაწილ დიდებულთაგან შეცვლილ თეიმურაზის ფსიქოლოგიას მოურავის სასიკვდილოდ გამეტება, სწორედ დიდებულთა ნაწილისა და მეფის ერთობლივი შეთანხმება ანუ „მოჩურჩელობა“ გარდაისახა შეთქმულებად, რაც სააკაძისთვის გახდა ცნობილი, ამის მერე რაღა უნდა გვიკვირდეს, თავის წინააღმდეგ ავი განზრახვა შეიტყო მოურავმა, არ უნდა დაეჭირა თადარიგი? არ უნდა ცდილიყო თავის დაღწევას? იმ მოვლენებში და საერთოდ ხალხთა ცხოვრე-

ბაში, რომელი მხარის ხელწერაცაა შეთქმულება, იმავე მხარის მოქმედების განმსაზღვრელია „მჩურჩნელობაც“. მისი ოპონენტური მხარე სააკაძისაგან სიკვდილისაგან გადარჩენის თადარიგს „მჩურჩნელობას“ უწოდებს, საამისო მიზეზს კი თავდაპირველად თვითონვე ქმნის. განა სააკაძე როდისმე რომელიმე ქართველთან ცდილა შეთქმულება მოეწყო, სჭირდებოდა მას ეს?

ადამიანი, რომელიც თავისი პირადი ემოციების დათმენის ხარჯზე, მოძულე მხარის შესარიგებ პირობებს ქმნის, სიმშვიდეს ამყარებს, ამით მტკიცე, სანდო რესურსებს აძლიერებს, აჯანყების მზადებისათვის მიმართავს ციხე-დარბაზებს მონესრიგება-აღდგენით სამუშაოებს, შემცირებულ სოფლებს მოსახლეობით ავსებს, მწირ, ურწყავ ადგილებში ყოველივე სარწყავ საშუალებებს მართავს ეკონომიურად მოძლიერებისათვის, ყველაფერ ამას მუნჯის ენით განახორციელებდა? ხომ სჭირდებოდა ამ საქმეებს ორგანიზებული მოქმედებები, საუბრები? შესაძლოა, მალული და კონსპირაციულიც გულისყურის გდება, სამოქმედო ნერვი არ მოდუნდეს და მოულოდნელი ხარვეზი არ გაჩნდეს.

უნდა ითქვას ლიად, დიდებულებთან შეუთანხმებლად თუ მოქმედებდა სააკაძე? როცა სოფლებში მოსახლეობის სიმწირე იყო, მის შესავსებად ვის უნდა ეზრუნა? ბალ-ვენახების სარწყავი სისტემის მოგვარებას ხომ სჭირდებოდა ერთიანად საქართველოს, მარტო საფეოდალო ადგილ-მამულების წესრიგში ყოფნა იქნებოდა საკმარისი, თუ წვრილი გლეხობის სარჩო-საბადებელიც უხვად არ დაგროვდებოდა ქვეყნის მთლიანი ეკონომიკური სიჯანსაღისთვის. ქართლ-

ში მის ჩამოსვლამდის ვილაცას ხომ უნდა ეფიქრა ამაზე და მედლე-ხვალიობით დარჩენილი საქმეები მოეგვარებინათ. იცოდა სააკაძემ თავის ქვეყანას რა მხრივ უჭირდა, იმ მტკივნ ადგილას დასტრიალებდა მოსარჩენად.

გ. სააკაძის დამოუკიდებელი ხასიათების დასტურად გავიხსენოთ „ტაშისკარის ომი“, მოულოდნელად შემოსული ოსმალური ურდოს წინააღმდეგ როგორ დასტრიალდა, როგორ მოუყარა რამოდენიმე ასეულ მხედრობას თავი და პირდაპირ შეტევაზე გადავიდა. მტერი შეკრთა, დააფიქრა და წინსვლისა და მოქმედების უნარი შეუზღუდა, სანამ ერთიანი ქართული ლაშქარი შეიკრიბებოდა. ასეთი იყო სააკაძის ცხოვრების წესი მაშინაც და შემდგომ წლებშიც, იცოდა რაც სჭირდება უპირველესად მის ქვეყანას, და მოქმედებდა ადეკვატურად.

როდესაც ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს „ტაშისკარის ომის“ შინაარსს და ამბობს: „ამა ომსა შინა ფრიად მხნედ გამოჩნდნენ მეფე ლუარსაბ და უმეტეს მოურავი“ მრავალ მნიშვნელოვანია მისგან ასეთი, ამგვარი შეფასება, როცა მეფეზე წინ დააყენა სააკაძის დამსახურება.

ბერი ეგნატაშვილიც დიდი გულისხმევით აღნიშნავს სააკაძის დამსახურებას, როცა ამბობს, ლუარსაბისა და სააკაძის დამოყვრების მხრივ, როგორც სიძე ცოლის ძმისა. მათ შორის რაღა ფარული განაზრახი უნდა ყოფილიყო და ხაზს უსვამს „უბრალო კაცი“. რომ არ დაჰფარა ღმერთმან საქმე ესე, არამედ იხსნა მეფე ლუარსაბ „უბრალო კაცის“ სიკვდილისგანო და სისხლისგანო ბააკა ხერხეულიძის სიმარჯვითო.



ბერი ეგნატაშვილისაგან პირნათელი შეფასებაა „მარაბდის ომშიც“: „რომ იმდღინდელი მოურავის ნაქმნარი ომი და საქმეები პირველ გმირთაგანცა არა თქმულ არს, რაც იმ დღეს მოურავმან სახელი, თავდადება და ომი ქმნა“. მისივე აღტაცებული განცდებით შეფასებაა „ქსნის ომშიც,“ სადაც ამბობს: „ქართველებმა შუა კერძ მოაქცივეს სპარსთა მხედრობა და ამოსწვიტეს ისე რომე იმისთანა გამარჯვება არა თქმულ არსს“. მემატინის შეფასებას განცვიფრება გასდევს თან, მიზეზი ის იქნებოდა, რომ სააკაძემ შეკონინებული რაზმებით, მტრის 12 ათასიანი ჯარები დაამარცხა და შინაარსობრივად გაუტოლდა „მარაბდის ომში“ ქართლ-კახეთის გაერთიანებულ და თავმოყრილ 20 ათასიანი ქართული არმიის ღვანლს.

მიუხედავად ბერი ეგნატაშვილისა და ვახუშტი ბატონი-შვილის-მიერ სააკაძის ღირსეული შეფასებისა, მაინც უნდა აღვნიშნოთ და ყურადღება მივაქციოთ ისეთ მოვლენას, რომ იმ დროის წერა-კითხვის მცოდნე პიროვნებები დიდებულთა საზოგადოებიდან გამოდიოდა, ის ხალხი, კი ვისაც მეტად ესმოდათ სააკაძის პოზიციები და მეტად უყვარდათ იგი, უმეტესი დაბალი ფენებიდან იყო. დაბალი ფენებისთვის კი წერა-კითხვის მიღების საშუალება ხელმიუწვდომელი იყო. უნდა ვივარაუდოთ და ალბათ, არცაა გასაკვირი, იმ დროის ქართლის ცხოვრების მოვლენები, ზოგიერთ მეფეთა თუ დიდებულთა საამებლადაც იწერებოდა. აკი დიდი ილია ჭავჭავაძეც ამბობდა, შენიშვნის სახით, ქართლის ცხოვრებაში ნაკლებადაა აღწერილი ხალხის ცხოვრებაო. მართებულია გადავხედოთ სააკაძის თანამედროვე ისტორიკოსთა, მოგზაურთა თუ მისიონერთა დახასიათებებს მის შესახებ,

როგორც არიან არაქელ-თავრიზელი, მუსტაფა-ნაიბა, იბრაჰიმ-ფეჩევი, პიეტრო-დელა-ვალე, პატრიკ-კასტელი, დონ-ქრისტოფორო დე კასტელი, პესიონელი. რაც შეეხება ისქანდერ-მუნშს, მისი მოსაზრებანი ჩვენ აღნიშნული გვაქვს როგორც ტენდენციური უსამართლო მიდგომა, თეიმურაზის მიმართ და სამართლიანი შეფასებები სააკაძის მიმართ, რომელიც არ იხსენიებს მარტყოფის ომამდის.

თეიმურაზ მეფე, როგორც მას შეეძლო, დიდი რუდუნებით ცდილობდა დაეცვა თავისი სამეფო. გაიღო უდიდესი მსხვერპლი შვილებისა და დედის სახით. ირანელი მემატინე ისქანდერ-მუნში, ისიც საქართველოს მტერი, თეიმურაზის ასეთ ამაგსა და ჭირნახულ მდგომარეობას ქვეყნის დაქცევის მიზეზად უნათლავს. დავაკვირდეთ მის ნათქვამს, რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყოვო კახეთის ვილაიეთის დანგრევა, იქაურ ურნმუნოთა განყვეტა და ისლამის გამშვენიერება იმ ურჯულოთა ქვეყნიდან ასი ათასზე მეტი ქალისა და ბავშვის გამოყვანა, ქვეყნის მპყრობელი ხელმწიფის, ისე მისი უდიდებულესობის, ღვთის ჩრდილის, დიდებული შაჰის ყურადღებისა და მახვილის წყალობით. ამიტომ ბედკრულმა თეიმურაზმა ყველაფერი გააკეთა თავისი უბედურების გამო და იმ საწყალი ხალხის დახოცვა-დარბევისათვის, და როგორც მოხსენებული იყო, გაბედა ყიზილბაშთა ბედნიერ ლაშქართან შებრძოლება. როცა ამ ამბავმა ჩააღწია მაზანდარაში შაჰის უწმინდეს გონებას, ხელმწიფის კეთილშობილური აღტკინების ალი და მისი მძვინვარების ცეცხლი ისეთი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყოვო. ამიტომ შაჰმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოზე ლაშქრობა და იქაურ უსჯულოთა დაქცევა,

რომელთაც გაბედეს მუსულმანების დახოცვა. და აგრძელებს ვისი ბრძოლითაც მოხდა კახეთის ქვეყნის და ხალხის განადგურება. ირანელი ისტორიკოსის მიზანია დანაშაული რაც შეიძლება შეუმსუბუქოს შაჰ-აბასს თეიმურაზზე გადაბრალების მიზნით.

ისქანდერ-მუნში, თავისივე სიტყვებით, ამკარად ამბობს, რადგან ღვთის განგებით გადაწყვეტილი იყო კახეთის ვილაიეთის დანგრევაო. შემდეგ კახეთზე შაჰ-აბასის ლაშქრობისას, ხალხის და ქვეყნის აოხრებას თეიმურაზს მიანერს. მისგან ასეთი შეფასება თეიმურაზ I-ის მიმართ ხომ უსამართლო ტენდენციურობაა. ირანელი მემატიანე კახეთში შაჰის ლაშქრობების შესახებ, მოიხსენიებს ყველა მაღალჩინოსანს, ირანელებსაც და ასევე ქართველ სარდლებს, რომელნიც კახეთის ომებში თავდადებულ წინააღმდეგობებს უწევდნენ ყიზილბაშებს. მისგან ჩამოთვლილი ყველა მოქმედი პირი, თავიანთი როლებითა და გვარ-სახელების მოხსენიებით, მათ შორის არ იხსენიებს გ. სააკაძეს. განა შეიძლება იქნებოდა ისქანდერ-მუნშს იმ ვითარების ყველა შემსრულებელი პირის ვინაობა, მათი მოქმედებათა შედეგები აღენერა და სააკაძე კი გამორჩენოდა? მით უმეტეს, მის გარშემო მტრის კრიტიკული თვალი სულ ჩასაფრებული იყო. როდესაც სააკაძისთვის ხელსაყრელი დრო შეიქმნა და მომნიფდა ჟამი მარტყოფის აჯანყებისთვის, გამარჯვებამ დაანგრია ირანული უძლეველობის მითი, განადგურდა შაჰის მრავალ ათასიანი ჯარი. აი მაშინ აიმაღლა ხმა ისქანდერ-მუნშმა სააკაძის შესახებ და დაარისხა საგანგაშო სიტყვები, ბედუკუღმართი, უნდო, გურჯი მოურავი, ირანის მტერი. „დრომ ბევრი მტვერი აჯანყებისა აყარა ადამიანებს, და ბევრი სისხლიც დაიღვარა

და დამცირების მიწას აურია ჯანყი და შფოთი“, რომელიც ბედკრული, დაკარგული მოურავ ქართველის უმადურობისა, აჯანყებისა და ამბოხების გამო ატყდა. ყარჩიხა-ხანი, რომელიც 30 ათასიანი ჯარის სარდლად დაინიშნა შაჰისგან, უმადური მოურავის მახვილით მოიკლა და მონამებრივი სიკვდილით ხარისხი მიიღო. ბედუკუღმართი მოურავი, განჯა-ყარაბახის მხარეში მუსულმანები რომ დახოცა, თბილისისაკენ გაეჩქარა, რათა თბილისის ციხე მუსულმანებისთვის წაერთმია და ხელში ჩაეგდო. მაღალი ღმერთის შემწეობით, ანტონ-მარტყოფელის სულის თანადგომით. მოსახდენი მოხდა, მარტყოფის გამარჯვებით აღმოსავლეთ საქართველომ თავი დაიხსნა მტრის ხელყოფისაგან. ირანელმა მემატიანემ მათთვის საუბედურო მდგომარეობის გამოხატვის სიტყვებიც არ დაიშურა. მის სიტყვებშია ნაგულისხმევი შაჰ-აბასის გამწარებული მდგომარეობაც. ამავე დროს მტრისაგან სამართლიანი შეფასება. სააკაძის ირგვლივ, როგორც ირანის მტრის შესახებ, როდესაც ისქანდერ-მუნში კახეთის ტრაგედიაში თეიმურაზს ადანაშაულებს, ჩვენ გვაქვს უფლება მისგან ეს აზრი გავიზიაროთ? ან ვიქნებით მართლები თეიმურაზის წინაშე, როცა ისიც ვიცით, რომ ირანელი მემატიანის შეფასება ამ შემთხვევაში ტენდენციურია და შაჰის დანაშაულებს, შემსუბუქების მიზნით, სხვას, ამ შემთხვევაში თეიმურაზს მიანერს?

იმ დროის ქართველმა ისტორიკოსებმა და ასევე დღევანდელეებმაც მშვენივრად იციან ირანელი მემატიანის თეიმურაზისადმი წაყენებული ბრალეულობის უსაფუძვლობა. მაგრამ მემატიანის ხელით ხომ დაინერა და დარჩა. რომელიმე ქართველ ისტორიკოსს ოდესმე გაუწყვეტია შუბ-

ლის ძარღვი და ცდილა ეს მოვლენა უარყოფით გამოეყენებინათ, და ბუნდოვანი კვალი დაეტოვებინა ქეთევან დედოფლის შვილზე. ან ვინმე ოდესმე გაბედავს მომავალში რაიმე არამართებულის დაწერას, ირანელი მემატიანის იმ შემთხვევაში თეიმურაზის მიმართ უსაფუძვლო მოსაზრებაზე რაც არ უნდა სატანების არმია შეუჩნდეს.

ახლა წარმოვიდგინოთ ის ბრალდებები, რასაც ირანელი მემატიანე თეიმურაზს მიაწერს, როგორც კახეთის დარბევის მიზეზს. ისეთივე მსგავსი ბრალდებები სააკაძისთვის მიენერა და დაებრალებინა და შემდეგ ეს ირანელი მემატიანეს ნათქვამი სააკაძის ოპოზიციურ მხარეს ხელში ჩავარდნოდა? ხომ გასაგებია როგორ გამოიყენებდნენ იმ დროის გავლენის ქვეშ მყოფი ქართველი მემატიანენიც და დღევანდელი ნაწილი ოპონენტები. არაფერი არ ჩანს, არაფერი დაუტოვებიათ მემატიანეებს სააკაძის წინააღმდეგ რეალური და ქალაქებში შავით თეთრზე დაფიქსირებული, გარდა 1625 წლის მარტყოფის გამარჯვების შემდეგ როდესაც რადიკალურად შეტრიალდა სააკაძის დამოკიდებულება შაჰ-აბასთან. ჩვენი მემატიანენი, მეტად ვახუშტი ბატონიშვილი ირანში სააკაძის ყოფნის დროს როცა მისგან 1614-1617 წლებია ნაგულისხმევი, როგორც შაჰ-აბასისთვის სამსახური. დავაკვირდეთ, ირანელი მემატიანე ისქანდერ-მუნში სწორედ ამ წლებში არ მოიხსენიებს სააკაძეს, როგორც შაჰთან კახეთში ყოფნის დროს. იგი მხოლოდ 1625 წლიდან ეხება სააკაძეს. ისქანდერ-მუნში თავისი ხელმწიფის, შაჰ-აბასის, საამებლად, როგორც ჩანს არაფერს დაიშურებდა და მეორეს მხრივ, ქართველებს მისგან ჯარ-განადგურებული ირანის ქვეყნის მეისტორიეს თვალთა-ხედვა, სააკაძე ირანის მტერი, სამართლიანია. მარ-

ტყოფის მარცხით გაუნელებელი ტრაგედიით მას ირანის მტერს უწოდებს. ახლა გადავხედოთ ბაზალეთის მოვლენებში მის შეფასებას, როცა ამბობს სააკაძის გვარის დაბალწარმომავლობაზე, მისგან დიდებულთა გვარზე უფროსობა პირდაპირ შემაშფოთებელი იყო. ქართველებს შორის ბაზალეთური დაპირისპირება ისქანდერ-მუნს ხომ შეეძლო სუბიექტურად გამოეყენებინა და მარტყოფით გამონვეული ტრაგედიული განცდა, სააკაძეზე მეტი აუგი, უარყოფითი სიტყვებით გამოეხატა თავისი მოსაზრება. მისი შეფასებით ჩვენ საშუალება გვეძლევა, როგორც მტრის თვალთახედვის ორიენტირება, ქართველთა შორის დაპირისპირებაში სწორი აზრი გამოგვეტანა.

ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, ჩვენ კიდევ გვიხდება შაჰისაგან კახეთში შექმნილი მოვლენების მოყვანა. თუ სააკაძე გაძევებამდის და გაძევების შემდეგ აქ თავის მიწა-წყალზე საქვეყნო მიზნებისათვის ხშირად იჩენდა დიპლომატიური ხერხების გამოყენებას, ცხადია, როცა ის ირანში მტრის კარზე იყო, მტერთან ყოფნა უფრო მეტად მოითხოვდა ყველა ნიუანსების მისგან აზომვ-ანონვას და ვითომ ერთგულების დამტკიცების მხრივ, თავის გადარჩენის მიზნით, დიპლომატიური აზრიანობით გზების მოძებნას. შაჰის პიროვნული თვისებების განხილვა ჩვენ მხოლოდ როგორც მტრის ხასიათებში ჩახედვა გვესაჭიროება და გავიხსენოთ 1605 წელი, როდესაც შაჰმა კახეთის მეფის, ალექსანდრეს შვილი კონსტანტინე თავისთან აღსაზრდელად მოითხოვა, როგორ შთააგონა თავისი ამბიციები და მამისა და ძმის მოსაკლავად შეამზადა, რომ კახეთის ტახტი დაეკავებინა. ისმება კითხვა: შაჰმა ვინმეს შთაგონებით, ვინმესგან ძალდატანებით

ან „აზრახებით“ გააკეთებინა მისგანვე გადაგვარებულ კონსტანტინეს ეს ვერაგი საქმე? კახეთის ტრაგედია ხომ აშკარად გვეუბნება თვითნება მტრის ხასიათებზე, რომ ის ისეთი მტარვალი იყო და ის სარგებლობდა თავისგანვე შექმნილი ძალაუფლებით, ისე ააღორძინა თავისი მეფობის დროს.

ირანულ სახელმწიფოს იმდენი ჯარი და შეიარაღება ჰყავდა, ისტორიკოსთა აზრით მისი რეგულარული ჯარების რაოდენობა 120ათასს მეომარს აჭარბებდა. შაჰს ეს ჯარები ამ რაოდენობის მხოლოდ ქვეყნების დასაპყრობად სჭირდებოდა და ამის გამოც იჭერდა თადარიგებს. როდესაც შაჰი ირანის აღორძინებაზე ფიქრობდა, მის გეგმებში ხომ შედიოდა ჯარების გამრავლებაც. მაშ რისთვის სჭირდებოდა შაჰს ამდენი რაოდენობის ჯარი, თუ არა ქვეყნების დასაპყრობად? რახან შაჰმა თავისი ქვეყანა მოაღონიერა, უძლეველობის რწმენა განუმტკიცა ირანელ ხალხს, იქვე იბადებოდა მეზობელი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილების იდეაც. დაპყრობილი მოსახლეობის ხარჯზე კი შაჰის – სევანური ჯარის შექმნა (შაჰის მეგობარი ჯარები). შაჰისაგან დასაპყრობად დაგეგმილ ქვეყნებს შორის ნაგულისხმევი და გადანყვეტილი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ბედიც, რაც ზემოთ მოყვანილი 1605 წლის კახეთის სამეფო კარზე დატრიალებული ტრაგედია, შაჰის ვერაგ ხასიათებს ნათელს ჰფენს. აქვე მოვიშველიებთ მაჰმადიანურ, კერძოდ, ირანულ იდეოლოგიურ ნათქვამს „ქართველები გასაწყვეტად მეტად ცოდონი არიან, მაგრამ გასამრავლებლად მეტად საშიშნიო“. თუ ვინმეს ზეგავლენა მას ესაჭიროებოდა, თუ მას ისე არ სურდა, როგორც შაჰს მიაჩნდა საჭიროდ და როგორი უზურ-პატორიც ის იყო, სხვის მითითებულზე გააკეთებდა რამეს?

თუ ვინმეს ზეგავლენას მასზე რეაგირება შეეძლო, მან ხომ უბრძანა იმამყული-ხან უნდილაძეს, ქეთევან დედოფლისათვის სარწმუნოება შეეცვალა. ხომ ეცადა უნდილაძე, ხომ აუწყა შაჰს ქეთევანის მდგომარეობა, რომ იგი თავის რწმენის ერთგული დარჩებოდა, ხომ ხედავდა შაჰი, როგორ ცდილობდა, როგორმე დაეცვა უნდილაძეს დედოფლის სიცოცხლე, მუსულმანობის მიღებით როგორ ებრალებოდა სასიკვდილოდ გამეტება. არ უნდა გაენია ანგარიში ირანის კარზე ასეთი ავტორიტეტის მქონე იმამყული-ხან უნდილაძისათვის? არაფერ სირთულეს არ წარმოადგენს იმის ნათლად დანახვა, თუ რატომ სჭირდებოდა და ცდილობდა სააკაძე შაჰის ფსიქოლოგიაში ნდობის მოპოვებას, რომ ყველაფერი იცის შაჰის გეგმებისა, როგორმე ირანიდან წამოსულიყო და მერე კი იმ სულის სიდიადემ უნდა განსაზღვროს, რამაც შვილი ბევრჯერ გამოატირებინა. საქართველოს მხოლოდ ასეთი დიპლომატიური ფსიქოლოგიით და წონასწორობით თუ მოუტანს გადარჩენას. რა ვუყოთ რომ პაატას შაჰი თავისთან იტოვებს, ეს კი მტერთან მეტი ნდობის სიმტკიცის საშუალებას აძლევდა. როგორი მნიშვნელობისაა ის ფაქტი, რომ 120 ათასიანი მეომრის პატრონმა შაჰ-აბასმა სხვა ქვეყნის დაპყრობითი პროგრამა გვერდზე გადადო და აღმოსავლეთ საქართველოს მთლიანად დასაპყრობად გამოგზავნა, მარტყოფის ომში 30 ათასი მეომარი, მარაბდის ომში 50 ათასი მეომარი, მათ კიდევ დაემატათ 10 ათასი მეომარი. მთლიანი რაოდენობა 90 ათას მეომარს შეადგენდა. სააკაძისა და მის გვერდში მდგომი ქართველებისაგან განადგურდა მტრის 65 ათასამდის მეომარი. საქართველოში შემოსული 90 ათასი მეომრის პატრონის, შაჰ-აბასის გონება ოდესმე იფიქრებდა

იმას, რომ ქართველებთან ზავი დასჭირდებოდა? ვისი მეშვეობით მოხდა ეს? ირანულ არმიებს საქართველოს დაპყრობა კი არა, ყორჩიბაშს გასაქცევად გაუხდა საქმე. სააკადის 12 წლიანი დიპლომატიური დათმენა სასიკეთო შედეგს იღებდა, ქვეყანა ამოსუნთქვის პირას იდგა. ზავის პირობით, შაჰის ნისქვილზე ისხმებოდა თეიმურაზისაგან წყალი. იმ კონკრეტული 1626 წლის მიმდინარე დროში უცხო ქვეყანაში წასვლის და საქართველოს გაერთიანების გზების ძებნის მისია სააკადეს არ ჰქონია. როგორც კი ცნობილი გახდა სააკადისთვის შაჰის ზავის პირობაზე თეიმურაზის დათანხმება, აი იმის შემდეგ იმედ-გადაწურული გადადის იმერეთის სამეფოში და გიორგი მეფესთან ცდილობს შეთანხმებას, მისი შვილი ალექსანდრე ერთიან საქართველოს მეფედ მოიწვიოს, და უფრო მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ ასეთი კავშირებით საიმედო პირობა შექმნას ერთობლივი ძალით ირანთან დაპირისპირებისა. მით უმეტეს, ამდენი თავდადებული ომი, მრავალათასიანი მტრის ჯარები მისი მეშვეობით განადგურებული იყო, თეიმურაზსა და ნაწილ დიდებულთა ურყევი პოზიცია ვერაფრით ეთვისებოდა, უმცირესი გვარის სააკადისეულ ქვეყნის გაერთიანების გეგმას.

უნდა აღინიშნოს სააკადისა და შაჰ-აბასის ურთიერთ-საწინააღმდეგო იდეოლოგიური მდგომარეობაც, რაშიც დიდი როლი შეასრულა მათ შორის განსხვავებულმა ფსიქოლოგიურმა თვისებებმა. კერძოდ, შაჰ-აბასში, მის სხეულ-გონებაში გაჟღენთილი იყო მტერთან მტრული, დაუნდობელი პოზიცია, ეს მაშინ, როცა შვილი მამას მტრად მოეჩვენებოდა, გინდ შვილიშვილიც. და თუნდაც ახლო კაცი და თანამოაზრე. სამტრო ვითარება იმ დროშიც შაჰის კარზეც ბევრი

ხდებოდა მათი იდეოლოგიური ცნობიერების წარმოჩენისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ირანელი პოეტი საადი, რომელიც მაჰმადიანური სივრცის თვალთა-ხედვასაც განსაზღვრავს: „დამარცხებულ მტერს ნურც ნურავინ შეიბრალებს, როგორც კი ძალას მოიკრებს ის მაშინვე დაგთხრის თვალებს“. ამ იდეის მატარებელი შაჰის გონება ორიენტირებულად განსაზღვრავდა სააკადის სამტრო მხარის პოზიციას თუ რა ენადათ ნაწილ თავადებს მოურავისათვის. პოეტ საადის მოძღვრება გადანერგილი შაჰის ფსიქოლოგიაში, რომ მტერს თავისი უნდა მიაგო, საშუალებად გახდა სააკადისათვის ირანულ ჯართან ერთად საქართველოსაკენ წამოსულიყო. შემდეგ რაც მტრის არმიებს თავს დაატყდათ, ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია. რა იყო დიდი მიზეზი იმისა, რომ სააკადემ შაჰ-აბასზე აღმატებული იდეით და ტაქტიკით გაიმარჯვა. რახან ირანელი პოეტის იდეოლოგიით იყო გაჟღენთილი მაჰმადიანური სივრცე და ორიენტაციებსაც ამის გათვალისწინებით იღებდნენ. ახლა სააკადის ფსიქოლოგიას შევხედოთ, თუ რა ფესვებზე იყო დამდგარი და გავიხსენოთ ჩვენი დიდი პოეტი შოთა რუსთაველი, როდესაც იგი ამბობს: „ოდეს მტერსა მოერიო ნულარ მოჰკლავ შეიბრალე, გინდა სრული რაინდობა ეს სიტყვები დაიხსოვნე“.

ქართველ ხალხს კი ისეთი გულის სიმართლის თვალთა ხედვა აქვს, არასოდეს გამორჩება ყურადღებიდან იმ დროის ისტორიკოსთა თუ თანამედროვე ისტორიკოსთაგან სინდის-მინდობილი სიმართლისაგან განხილული მოვლენების ანალიზი. ირანელი პოეტის, საადის, შთაგონებული მოძღვრებით, შაჰ-აბასს ეგონა, სააკადე თანამოდმეთაგან შექმნილ სამტრო მხარეს სამაგიეროს გადაუხდიდა. მოტყუ-

ვდა, პირიქით მოხდა, საადის იდეოლოგიის მიხედვით, სააკაძემ მართლაც მტრული სამაგიერო, როგორც მოსისხლე მტერს, ისევე შაჰ-აბასს გადაუხადა ჯარების განადგურებით. რუსთაველისეული იდეოლოგია ქართველი ერის სულიერების ანარეკლია. ყოველი ერის თვისებები და ღირსებები პოეზიაში, პროზაში და საერთოდ, ხელოვნებაშია გაცხადებული. მიმტვევებლური თვისებები ყოველთვის ქარბობდა ქართულ ხასიათს, გულ-გახსნილი ღიმილით ეგებებოდა ყველა გზადაკარგულსა და სამშობლოდაკარგულს. ამის დასტურია ჩვენს ქვეყანაში მრავალი ეთნიკური მოსახლეობის დამკვიდრება. რუსთაველისეული ამალღებულის სულით ნასაზრდოები იყო სააკაძის ხასიათი. მაშ, როგორ უნდა აიხსნას ის მოვლენა, ბაზალეთის ომში მოპირისპირე მხარის დანდობა შეძლო. მოპირისპირე მხარემ მის მაგივრად დავით გოგორიშვილი მოკლა, რაც თეიმურაზის მომხრეთაგან სააკაძის მოკვლას ნიშნავდა. ტანისამოსელის შეცვლის გამო გოგორიშვილი სააკაძედ იქნა მიჩნეული, მიესივნენ მძლავრად თითქმის ყველა ერთად, ყველაზე დიდი მონდომებით ზ. ერისთავი უტევდა, სააკაძე ხომ ხედავდა, როგორი უშელავათონი იყვნენ მის მიმართ, ველარ გაჩერდა კარავში და გამოენთო საომარ ველზე. იმ გაცეცხლებულ ვითარებაში ახლა ედიშა ვაჩნაძემ გამოიღო თავი, მეფის ყმას უფლება მაქვს მოურავს შევებრძოლოვო და პირდაპირი იერიშით ღონივრად დაუშვა ხმალი ახალგაზრდა ედიშამ სააკაძის მოსაკლავად. იმ დაწყვეტილ გულზე სააკაძისაგან ველარ მოიძებნა შემაკავებელი ძალა, რამეთუ ედიშას ნახმლევი ძალზედ მძიმე გამოდგა სააკაძის მუზარადზე და მალევე ედიშაც თავისივე უტიფრობის მსხვერპლი შეიქნა. სააკაძის ხასიათში ისევე უმთავრესს უნდა

მივაქციოთ ყურადღება. ბაზალეთის მოვლენებმა, საქართველოს გაერთიანების საქმე სიკვდილ-სიცოცხლის ზღვრამდის მიიყვანა. დაელუპუნენ მრავალი თანამებრძოლები, გაიწირა შვილი შაატა, პირისპირ აღმოჩნდნენ ის თანამემამულენი, რომელნიც მტრის განადგურებაში ერთად იღებდნენ მონაწილეობას. დაიხარჯა ზღვა ენერგია, ასეთი იდეის განხორციელება სხვა დროში და სხვა შემთხვევაში როდისღა მოხდებოდა? სააკაძის ფიქრებში ხომ ელავდა ეს განცდები. სააკაძეს იმ შემთხვევაში თეიმურაზ I სასიკვდილოდ რომ გაემეტებინა, გამარჯვება ხომ მყისვე მის მხარეზე გადავიდოდა. სააკაძემ იმ გაფიცებულ გულზე მაინც დაინდო თეიმურაზი. არადა, ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ. მისი ასეთი დამნდობი ნაბიჯი მის მომხრეებზეც გადავიდოდა, სასიკვდილო რიტმი თავის თანამემამულეებზე შეანელა. ისევე მეფე დააყენა თავისზე წინ, რაც იმ შემთხვევაში სამშობლოსათვის ანგარიშის განწევას ნიშნავდა. ბაზალეთის ომშიც კი გამჟღავნდა მისგან ცენტრალური ხელისუფლებისადმი პატივისცემა, რაც მაგალითად და ფორმულად მეფე სიმონ I-ისაგან მოდიოდა. მეფე შეუნარჩუნა იმ მიწა-წყალს და ხალხს, ვისთვისაც შვილი გაიწირა. თეიმურაზზე ლახტის გადაკვრა სააკაძისაგან უფრო ადუღებული უმადურობის გულისწყრომად გამოხატული. რადგან მეფე იყო თეიმურაზი, მეფის წინაშე დათმობა სავალდებულოა, რამეთუ ღვთით კურთხეულია, მაგრამ რა ვუყოთ როცა იგივე მეფე სააკაძისა და მის გვერდით მდგომი ქართველებისაგან და თვით თეიმურაზისაგანაც ჯარგანადგურებული მტრის – შაჰ-აბასის სასურველ პოზიციაზე დგება იმ მიზნით, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მეფობა შეინარჩუნოს?

„სამართლიანობა ითხოვს ითქვას, სააკაძე ხალხთა თვისებების შემცნობი, მოვალე იყო უფრო ღრმად ჩაეხედა თავის საკუთარ გულის ხმაში, მასზედ უკეთესად ვინ იცოდა, რომ ვერ იყო სასიკვდილოდ გამმეტებელი თავისივე თანამოძმეებისა, ვისთვისაც შვილი გასწირა, ამდენი სისხლი და ოფლი დაღვარა, უნდა ცდილიყო ბაზალეთამდის არ მისულიყო საქმე. აკი გამოჩნდა კიდევ იმ გაფიცებულ ომში სასიკვდილოდ ვერ გაიმეტა მეფე, შეუნარჩუნა სიცოცხლე და შეინარჩუნა მაღალი ბუნება. მაგრამ ბაზალეთიც ხომ მოხდა! სამოქალაქო ომები მრავალ ქვეყანაში მომხდარა – იტალია, სარანგეთი, შვეცია, გერმანია, ინგლისი და თუნდაც მუსულმანურ ქვეყნებში. ამდენად არც ჩვენი უნდა გაგვიკვირდეს, სამოქალაქო ომი იყო სამეგრელო-იმერეთის, ქართლ-კახეთის, გურია-სამეგრელოსი. სამოქალაქო ომების შიდა არსი მოიცავს მაორიენტირებელ როლებს ახლის ხედვისა და პროგრესულ აზრთა სიჯანსაღეს. ბაზალეთის ომი მარტო იმიტომ კი არ არის უბედურება, რომ ქართველები შეეტაკნენ ერთმანეთს, არამედ იმიტომაც, რომ ამ ომში დიდი მოურავი დამარცხდა და ჩაიშალა ის საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეაღია, ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო.“

#### აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი

ხაზი უნდა გაესვას სააკაძის შემწყნარებელ და მიმტევებლურ თვისებებს, რაც იმ ეპოქაში დიდებულთა ნაწილი ამ ღირსებებით ნაკლებად გამოირჩეოდნენ. ქართველი მკითხველისათვის მათი ვინაობა ცნობილია, ყურადღებას მხოლოდ ზ. ერისთავზე და თეიმურაზ I-ზე გავამახვილებ. როგორც კი

პატარა წინააღმდეგობას გამოხატავდა თავისი საერისთაოს მთის მოსახლეობა ბეგარის გადახდის მხრივ, ეს საკმარისი ხდებოდა, რომ ზ. ერისთავს ქარქაშიდან ხმალი ამოეღო. ვიცით, რა მიზეზით გადაევა უფროსი ძმა ბაადური, სახლის კაცი, და როგორც მეტოქე, მეორე ძმას გიორგი ერისთავს თვალები დასთხარა. ამ მიზეზის შესახებ ჩვენ ზემოთ ვისაუბრეთ. ბაზალეთის მოვლენებში ვიცით მისი აქტიურობა და სააკაძედ მიჩნეულ დავით გოგორიშვილზე როგორ გამეტებით აღმართა ხმალი. ბაზალეთის ომის შემდეგ თავისი სიმამრის გული რომ მოეგო, და რადგან სიმონ II-ე ქართლის ტახტის სადავეებს ეცილებოდა თეიმურაზს, ამ მიზეზით მან სიმონ II-ე სხვილოს ციხეში მოკლა. რადგან სიძე – სიმამრი ბაზალეთში თანამოაზრეები იყვნენ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს საქმეც შეთანხმებით მოახდინეს. სულ მალე თეიმურაზმა, ირანის შაჰის წინაშე ერთგულება რომ ემტკიცებინა, რადგან სიმონ II-ე ქართლში შაჰისაგან ხელდასმული იყო და იგი მოკლეს სხვილოს ციხეში, შემდეგ ნატახტართან, როდესაც სიძე სიმამრი სანადიმო სუფრასთან ერთად ლხინობდნენ, თეიმურაზის მიერ წინასწარ შემუშავებული გეგმით ელუმო თოლუმიშვილს საკუთარი სიძე, ზ. ერისთავი, მოაკვლევინა და მისი მოჭრილი თავი ირანს გააგზავნა ერთგულების დასტურად, თან შეუთვალა - ეს საქმე იმიტომ გავაკეთე, რომ მან სიმონ II-ე მოკლაო. კახეთზე შაჰ-აბასის თავდასხმამდის თეიმურაზმა, ეჭვის საფუძველზე, ომანიშვილი შაჰთან მოსალაპარაკებლად გააგზავნა, სადაც უკვე გადანყვეტილი იყო მისი უკან არ დაბრუნების ხვედრი. აქ ჩამოთვლილ მოვლენებში ჩანს მათში შემწყნარებლური თვისებები? ახლა სააკაძის ხასიათებთან გადმოვინაცვლოთ. თანამოძმეთაგან

გაძევებულს და ირანის გზაზე დამდგარს წინ კოლოტაური გადაეყრება. მიუხედავად ასეთი დამძიმებული გულის პატრონი და აშკარად რომ ჩანს კოლოტაურს მისი მოკვლა სურს, სააკაძე მას არ მოკლავს და გააგრძელებს ირანისაკენ გზას. შემდეგ ირანიდან საქართველოში დაბრუნებისას, შიშისაგან თავ-ზარ დაცემულ, იმერეთისაკენ გაქცეულ ქაიხოსრო ჯავახიშვილს შემოაბრუნებს. ის ქაიხოსრო, რომელსაც ჯერ ისევ არ აქვს შიში განელებული, ციციშვილისაგან ნათხოვარი ჯვართ ხელახლა სიკვდილს დაუპირებს, მაგრამ ზნეობით მაღალი სააკაძე ისევ აპატიებს. 1620 წლის სასამართლო და მისთვის მოძულე მხარის შემორიგება არ არის ერთი დიდი, დიდი რუსთაველისებური შემწყნარებლური დანდობა მოყვასისა? ასეთ ადამიანს სიძულვილისა და სამაგიეროს გადახდის დრო ექნებოდა? როცა სულ მზად იყო სიკვდილის ბოლომდის საქართველოს მტრებთან ებრძოლა. სულ მზად ჰქონდა ნაგვემი გული სამშობლოსათვის შეეწირა, როცა ქვეყნის გადარჩენის წესმა მოითხოვა, შვილი სამსხვერპლოდ, მის წინაშე დააყენა. სააკაძის გაძევებამდის მემატთანეთაგან არაა აღნიშნული მისი ნივთიერი უპირატესობა. მას საკმაო მამულები, ბალ-ვენახები, სათიბ-სახნავები ჰქონდა, უფრო მეფეთაგან მის მამა-ბიძათათვის საჩუქრად მიძღვნილი. რაც ერთგვარი მიზეზიც იქნებოდა ნაწილ დიდებულთაგან ხელში ჩაეგდოთ სააკაძის მიწა-მამულები და მისათვისაც სასიკვდილოდ იმეტებდნენ. მემატთანეთაგან სააკაძის ნივთიერი სიმდიდრის აღმნიშნავი ნაგულისხმევი უნდა იყოს ის დრო, როცა იგი ირანიდან ბრუნდება, სააკაძის კოშკზე და დარჩენილ საძირკველებზე ზემოთ ვისაუბრეთ. რა ნივთიერი ქონების პატრონიც იქნებოდა სააკაძე იმ ერთ კო-

შკსა და საძირკველის ნანგრევებს ზედვე ეტყობა, ან სადღა ექნებოდა დრო 12 წელი ირანში დაჰყო, როცა დაბრუნდა 1615 და შემდეგ 1619 წელს სიმონ II-ის თანაშემწობით ცდილობდა ხალხის შემორიგებას, აჯანყებისთვის მზადებას, ციხე-კოშკების სავალი გზების მოწყობას და სამეურნეო საქმიანობის ფეხზე დაყენებას, და რადგან თუ სააკაძე პირადი ნივთიერი ქონების დამცველი იყო, ირანიდან დაბრუნებულმა რატომ არ აღადგინა ნოსტეში მოძულე მტრისაგან გადამწვარი თავისი სახლ-კარ-დარბაზი? როგორც ჩანს, სააკაძე აღადგენდა იმ ციხე-კოშკებს, რომელნიც ქვეყნისთვის უფრო მეტი სტრატეგიული მნიშვნელობისა იყო. დიდებულთა ნაწილი „უმცირესი“ კაცისაგან ვერ იტანდა ისეთ უნარებს და მემატთანენიც აღნიშნავენ მის ნივთიერად გამდიდრების მხარეს. უნდა ვიფიქროთ, რომ ირანში სააკაძის ყოფნამ, მისგან ომებში მონაწილეობამ შაჰის სასარგებლოდ განაპირობა სააკაძის ეკონომიურად მოძლიერება. გავიხსენოთ ძმები უნდილაძენი, თავიანთი ამაგიტით ირანის წინაშე როგორ მოძლიერდნენ. ჩვენ ეს მოსაზრება გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვთქვათ. მაშ როგორ მოხდა მარტყოფისათვის მომზადება? მარტო სიტყვიერი აგიტაცია იქნებოდა საკმარისი, თუ ამასთან ერთად არ ხდებოდა ყველა იმ საომარი იარაღის შექმნა, რაც მაშინ გამოიყენებოდა? (ისტორიული წყაროებით როგორც ცნობილია, ერთი ჯაჭვის პერანგის საფასური 5-6 ხარი ჯდებოდა). ამასთან ერთად ხომ იყო საჭირო საბრძოლო აუცილებლობისათვის ცხენები და მათი შექმნა შაჰ-აბასის განრისხების ერთი დიდი მიზეზიც ის იქნებოდა, რომ სააკაძემ ირანში ნაშოვარი ფულით, მისი საშუალებით, უზრუნველყო მარტყოფის აჯანყება და ირანული



ჯარების განადგურება. მეტად საგულისხმოა, მტრის თვალ-ით დანახული სააკადის ირგვლივ შექმნილი მდგომარეობა. როცა ისქანდერ-მუნში ამბობს „დიდებულთ სდაგდათ სააკადის უფროსობაო“ მემატინის შეფასება უფრო ცალმხრივი შინაარსის მოვლენას გულისხმობს სააკადესთან მიმართებაში. ე.ი. სააკადე კი არ უფროსობდა, მათი დიდებულთა ნაწილის სუსტი მხარეები ქვეყნის გადამრჩენ საშუალებად არ აღიქმებოდა, არ ძალუძდათ, ვერხელენიფებოდათ, ამიტომ ვინმესგან, ამ შემთხვევაში სააკადისაგან უნდა გაღებულიყო ეს ძალა და ხარკი, გინდა შვილის განირვის სახით, გინდა სტრატეგიის შემუშავებით და ომების გადახდის სახით. ამიტომ სააკადის ხელში აღმოჩნდა იმ კონკრეტული დროის სამშობლოს ფეხზე დაყენებისათვის ძალების მოხმობის წესთა აღსრულება.

რადგან პოეტ არჩილის განმარტებით და ირანელი მემატინის ისქანდერ-მუნშის თქმით აღნიშნულია სააკადე უფროსობდაო, უნდა გაირკვეს როდის, რა მოვლენების მერე გამოჩნდა მისი უფროსობა და კერძოდ, რა მოვლენები ჩაუთვალეს სააკადეს „უფროსობად“. უეჭველია მისი ოპონენტური მხარე „უფროსობად“ აღიქვამს იმას, რაც სააკადისაგან საქართველოს გაერთიანების გეგმას ნიშნავს, როდესაც ამ მიზნის მისაღწევად ქართლში დროებით გამგებლად ქაიხოსრო მუხრან-ბატონი დანიშნა, იმის გამო, რომ ქართლი პირვანდელ მდგომარეობაში ცალკე სამეფოდ დარჩენილიყო. მანამ, სანამ გაერთიანებული საქართველოს მეფის კანდიდატურა შეირჩეოდა. გავიხსენოთ და ხაზი გავუსვათ ერთ-ერთ ძალზე მნიშვნელოვან მომენტს, სააკადისაგან ასეთი ნაბიჯები და მოქმედებები ხდება მხოლოდ მაშინ, როცა

ქართლ-კახეთის ტახტზე მისგან ორჯერ მოწვეული თეიმურაზ I-მა ვერ გაუმართლა, პირიქით, სააკადისაგან ჯარ-განადგურებულ შაჰ-აბასის ზავის პირობებს ურიგდება და მისი მოკავშირე ხდება. აი, მაშინ უჩნდება იდეა სააკადეს გადავიდეს იმერეთში ერთიანი საქართველოს მეფის კანდიდატურის საძებნად.

როდესაც, სააკადის მეშვეობით, მისი სტრატეგიული გეგმებით, მისი „უფროსობით“ ნადგურდება მტრის ჯარები, ამ პროცესებს იმ ეტაპებზე დიდებულთა ნაწილი სააკადისაგან „უფროსობად“ არ აღიქვამს. ელოდებიან მოვლენების განვითარებას, თუ ვინ ვისზე გაიმარჯვებს, იმიტომ რომ მტერი დაეხეტებოდა ქართულ მიწაზე. მათი წილი მიწა-მამულებიც რადგან საშიშროების ქვეშ დგებოდა, ამის გამო ერჩივნათ სააკადისაგან მტერთან ბრძოლას და მის „უფროსობასაც“ დათმენით შეხვედროდენ. როგორც კი სააკადის „უფროსობით“ განადგურდა ყიზილბაშური ჯარები და ისტორიული წყაროებით მრავალ მიზეზთა გამო სააკადისაგან საქართველოს გაერთიანების იდეა გაჩნდა, აი მაშინ ამოუტივტივდათ დიდებულთა ნაწილს გონებაში ის, რომ, თურმე, სააკადე მათზე „უფროსობდა“.

ხალხი მას იცნობდა როგორც დიდ თავადებთან შედარებით მცირეს, მაგრამ დიდ იმედს ამყარებდა მასზედ, ვინც საპატიო ადგილი დაიკავა სახელმწიფოში. ოპონენტთა ფსიქოლოგიას უჭირდა შეგუება სააკადის ხალხში ნასიყვარულებ სახელთან, ისინი მეფის „უფროსობას“ ძლივს ეგუებოდნენ, „უმცირესი“ გვარის კაცს, თან მაღალი იდეების მქონეს, შეეთვისებოდნენ. განა იმ მნიშვნელობით უნდა გავიგოთ, მის

მიმართ ნათქვამი ეს! მან კარგად იცოდა თავისი კუთვნილი ადგილი. მან იცოდა, რომ ქვეყანას პატრონი სჭირდებოდა, აკი მარტყოფის გამარჯვების მერე ეს პატრონი მოიწვია უკვე იმედგადაწურული, რომ ტახტი დაიკავოს და ქვეყანა მართოს. აქ და შემდგომშიც სადმე გაჭაჭანებულა სააკაძის აზრი იმისა, „უფროსობის“ მონადინე ყოფილიყოს, გარდა იმ იდეა-ინიციატივისა რომ საქართველო გაერთიანებულიყო და მას ერთი მეფე ჰყოლოდა?

სააკაძე მარტყოფის ომის ორგანიზატორი იყო, ამ ომში ისეთი გამარჯვება იქნა განხორციელებული რომ, მთელი აღმოსავლეთ საქართველოს ბედი გადაწყდა. გავიხსენოთ ჩვენი უდიდესი პოეტოი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ამ ომის შესახებ როგორ განმარტავს „მარტყოფი საქართველოს გადარჩენა“, „მარტყოფი სააკაძის ბედისწერა“ მიუხედავად ამისა მარაბდის ომის წინარე სათათბირო კრებაზე მისი მტრის დამარცხების გეგმა არ მიიღეს, როცა ცხელ-ცხელი მარტყოფული გამარჯვება წინ ედოთ. ე.ი. დიდებულთა ფიქრით მარტყოფის აჯანყებაში „ნაუფროსალი“ სააკაძე არ ისარდლეს რაც ნიშნავს არ „იუფროსეს“ და მისგან საქართველოს გაერთიანების გეგმას მიიღებდნენ? ე.ი. უნდა ითქვას ღიად, თვითონ მარაბდის ომის შემდეგ, რომ ველარ ხელეწიფებოდათ, მტრის ჯარებთან შეწინააღმდეგებისა, სააკაძის მოქმედებებს, პარტიზანულ, თარეშულ ომებს და მის იდეას როგორც საქართველოს გაერთიანება, ცხადია უფროსობად მონათლავდნენ.

სიმართლის განცდა დავინწყების უფლებას არ მოგვცემს, რომ ირან-ოსმალეთის ერთმანეთთან და-

პირისპირების პოლიტიკა სააკაძის დაწყებული არ იყო. ქართველი მეფეები ამ დიპლომატიურ ხერხს ყოველთვის მიმართავდნენ. თვით ლუარსაბ I-ის და სიმონ I-ის მოღვაწეობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი იყო ირანის დაპირისპირება ოსმალეთთან, ან პირიქით. ასე გააგრძელებდა გიორგი X რომ დასცლოდა (იგი მალე გარდაიცვალა). ასე გააგრძელა მისმა შვილმა ლუარსაბ II.

ამის დასტურია 1609 წლის „ტაშისკარის ომში,“ ლუარსაბისა და სააკაძის შეთანხმებული დიპლომატიით, თბილისში დაბანაკებული დელეგაციის ხანის 700 ირანელი მეომარი, ქართველთა მხარდამხარ, ოსმალეთის წინააღმდეგ რომ იბრძოდა. ეს ხომ ნიშნავდა ერთ მტერთან მოკავშირეობით მეორე მტრის განადგურებას. განა თეიმურაზ I-ის მიზანიც იგივე არ იყო, 1618 წელს, მოკავშირეობის მიზნით ოსმალეთში გადასული ირანის წინააღმდეგ რომ იბრძვის? განა შაჰს დაავინწყებოდა მისი ასეთი ნაბიჯი? და ძალიან ჰგავს ბაზალეთის მერე ოსმალეთში სააკაძის წასვლას და სულთანის კარზე მურად IV-ის ჯართან ერთად ირანის წინააღმდეგ გალაშქრებას. ე.ი. თეიმურაზ I თავისი ქვეყნისთვის დამხმარე ძალების იგივე ხერხებით მოძიება-აღმოჩენისათვის ოსმალეთს მიმართავს და იგივეს იმეორებს სააკაძეც. რა განსხვავებაა ასეთ ვითარებებში მათ შორის? 1618 წელს კახეთი ცალკე სამეფოდ არსებობდა. თეიმურაზის თხოვნა ოსმალეთთან ირანის წინააღმდეგ მარტო კახეთის დახმარებას ნიშნავდა. ეს ნაბიჯი მისი მომხრეებისაგან ითვლება თავის სამეფოზე ზრუნვად, არაფერი გასაკვირი და საწინააღმდეგო აქ არ არის, მეფე ცდილობდა ქვეყანას სული მოეთქვა და მოქმედებდა კიდევაც.

ოსმალეთში სააკაძის გადასვლა, იგივე დამხმარე ძალების მოკავშირეების მოსაძიებლად, ირანის წინააღმდეგ ოპონენტური მხარისგან შეფასებულია მტერთან კავშირს ეძებდაო. აქ უნდა ითქვას, როდესაც თეიმურაზმა და მისმა მომხრეებმა არ ინდომეს საქართველოს სააკაძისეული გაერთიანება, ამ მიზეზით კი თვითონ გახდნენ მოკავშირეები ირანის, ე.ი. შაჰ-აბასის 1626 წელს. ამას რა დავარქვათ?

გულმოდგინებით უნდა გამოაშკარავდეს ყველაფერი, რადგან სააკაძეს საქართველოს გაერთიანება უნდოდა და მისგან ამ გაერთიანების იდეაში და მომავალშიც, თეიმურაზის და მისი მომხრეების, აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო მდგომარეობა იზღუდებოდა. მათი შეზღუდვის მიზეზი სააკაძე იყო, რომელიც ცდილობდა ოსმალეთთან მოკავშირეობით ირანი დაემარცხებინა და იმ კონკრეტულ მოვლენებში თეიმურაზი ირანის მხარეზე იდგა. აქ აღმოცენდა მათგან ასეთი აზრი, მტერთან კავშირებს ეძებდაო. სააკაძე ერთი მტრის ძალით მეორე მტრის ძალის დასუსტებასა და დამარცხებას ცდილობდა. რატომ არ ეწადათ მისი დიპლომატიის ამ კუთხით დანახვა, რაც სიმართლე იყო? თეიმურაზ I-ის და მისი მომხრეების ზრუნვა ქვეყანაზე და მტრებთან მოკავშირეების ძებნა ღვაწლად ითვლება, რომლის შიდა არსში უფრო პირადი ინტერესები იმალება, აღმოსავლეთ საქართველოში მეფობის შენარჩუნებისა; ამდენად მოკლებულია დიდ მასშტაბებს. რადგან სააკაძე დაბალ საფეხურზე იდგა, მისგან მცდელობა მტერთან მოკავშირეების მოძიება იმ მიზნებისთვის რომელიც უფრო აღმატებულია რასაც საქართველოს გაერთიანება ჰქვია, ასეთი იდეისთვის მსოფლიო ისტორიებში მრავლადაა მაგალითები, ქვეყნები და ხალხი

თავის თვითმყოფადობის სახელმწიფოებრივი წეს-წყობის შენარჩუნება-გაერთიანებისთვის იბრძოდნენ, აღწევდნენ და იბრძვიან დღესაც. ე.ი. სააკაძისაგან საქართველოს გაერთიანების იდეა აღმატებულია, დიდი მასშტაბებისაა და დავით აღმაშენებლის ანდერძადაა დატოვებული, რომელიც ბაზალეთში მის მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნდა და ამისათვის არც ეფიქრებოდათ. ვისაც გააჩნდა ეს იდეა და ვინც ამაზე ფიქრობდა, მას სამკვდრო-სასიცოცხლოდ დაუპირისპირდნენ. ე.ი. თუ ბაზალეთში სააკაძეს მოკლავდნენ და აღარ იქნებოდა სააკაძე, აღარ ექნებოდათ პრობლემები.

დავუშვათ, წარმოდგენით, როგორც შაჰ-აბასს თავდაპირველად გეგმები ჰქონდა, დაეპყრო აღმოსავლეთი საქართველო? კახეთიდან უკვე დაწყებული და ქართლიდანაც აეყარა მოსახლეობა და ერთიანად ირანში გადაესახლებინა, ქართულ მიწაზე კი უცხო ტომები დაესახლებინა, რა ბედი ელოდა თეიმურაზს? შეინარჩუნებდა მტრისაგან დაპყრობილ ქვეყანაში ქრისტიანად ყოფნას და მეფობას? თან იმ დროს, როცა ვიცით, შაჰ-აბასის მიზანი იყო თეიმურაზ მეფე ირანში ჩაეყვანა და იქიდან აღარც გამოეშვა, როდესაც შაჰმა მისი შვილები და დედა სანამებლად განირა, იგივეს მოსურნე არ იქნებოდა მისთვის? დავუშვათ, შაჰს თეიმურაზისათვის სიცოცხლე შეენარჩუნებინა და ქართლ-კახეთის მეფედ დაეტოვა. შაჰს როგორც ეწადა, ქართლ-კახეთიდან როცა ხალხი აყრილი იქნებოდა და ირანს გადახიზნული, უქართველებოდ დარჩენილ სამშობლოში თეიმურაზის მეფობას ექნებოდა რაიმე ღირებულება? თუ ქართველები ქართულ მიწაზე აღარ იქნებოდნენ, მათი შრომით ჩამონადენი ოფლით ქართული მიწა ველარ გაიხარებდა, მათ ადგილებზე უცხო ტომელთა

ზუზუნით ქართული ცაც დაიხუთებოდა, ვისი მეფელა იქნებოდა თეიმურაზ I? ვინ იყო იმ დიდი მისიის განმსაზღვრელი? ვისგან გაღებული ენერჯის ხარჯზე მოხდა ის, რომ შაჰ-აბასმა უკან წაიღო საქართველოსათვის ავისმომასწავებელი გეგმები? ასეთი ფიქრთა გორგალი ეხვეოდა სააკაძის გულზე, შაჰისაგან წამოყენებულ დაზავებაზე თანხმობა, მეფის მხრიდან, სისუსტედ გამოსჭვიოდა და ქვეყნის სისუსტედ აისახებოდა.

გ. სააკაძის ოპონენტები უარყოფითად აღნიშნავენ იმას, რაც მას ეწადა ქვეყნის გაერთიანების სახით და ამ მიზნით იგი მხოლოდ მოკავშირეებს ეძებდა. გაძევებულის ურთიერთობა შაჰთან, შენიღბული ერთგულება, იგივე მოკავშირეობა არ იყო? მაგრამ მარტყოფში როგორც დასრულდა ხომ ცნობილია? სააკაძისაგან შაჰისადმი მოჩვენებითი ერთგულების, იგივე დიპლომატიის, იგივე მოკავშირეობის სასწორის ერთ მხარეზე მამისაგან პაატას სიცოცხლე დაიდო, მეორე მხარეზე 27 ათასი ყიზილბაშის სიცოცხლე. როგორია? ოსმალეთთან სააკაძის მოკავშირეობით ირანის წინააღმდეგ თეიმურაზისათვის არასასურველი ვითარება იქმნებოდა, რითაც ქართლ-კახეთში მისი მეფობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა.

საქართველოს გაერთიანების სააკაძისეულ იდეას თეიმურაზი და მისი მხარე მიუღებლად აღიქვამდა, არაფრით ახარებდათ და იმდენად ალელვებდათ, მტერთან, შაჰ-აბასთან შერიგებას ამჯობინებდნენ. აშკარა ფაქტია, შაჰ-აბასს, სააკაძისაგან ჯარგანადგურებულმა, თეიმურაზ მეფესთან ის დაათმობინა, რაც მისგან აღმოსავლეთ საქართველოს

დაპყრობის გეგმაში შედიოდა. სააკაძესთან რამდენი ომი წააგო, ჯარები გაუნადგურდა, მაგრამ მისი ვერაგი გონება მაინც ისეთი იყო, ქართველებს შორის განხეთქილება ჩამოაგდო. რადგან ვერ შეისრულა აღმოსავლეთ საქართველოს მოსპობა, შეისრულა არანაკლები მისია, სიძულვილი, თანამემამულეთა შორის დაქსაქსვა, ურთიერთ სისხლის ღვრის გზა და ბაზალეთის ომი. ბაზალეთზე დაღლილი მოვლენებით დადგნენ პირისპირ თანამოძმენი, ერთმანეთისადმი უკვე მტრული თვალებით შემყურენი გაშიშვლებული სურვილებით. ქვეყანას ან ისევ ის შეჩვეული ყიზილბაშური მონობა უნდა აერჩია, ან ამერ-იმერის გაერთიანება ერთი მეფის ხელში. რაც ყველაზე მთავარია და მეტად სამწუხარო, შაჰ-აბასმა საქართველოს გაერთიანების სააკაძისეულ გეგმას ნიადაგი გამოაცალა.

ნოსტეს მიწისა და ზედ დამნათი მზისშვილი იყი სააკაძე, უხმობდა ტაშისკარის ომი, მარტყოფის საომარი ველი, ქსნის ხეობის კლდიანები, მეფე სიმონ I-ის დავალებულმა შეასრულა საომარი გამარჯვებანი. ასე ურჩევნოდა მამულსა, შემზადებული იყო ყველაზე მაღალი თვისებებით, როგორც წინამორბედი ქართველი გმირები, განგებისაგან დაჯილდოვებული იყო მაღალი ზნეობრივი და სარდლური უნარებით, მერე იმავე განგებამ მისგან მოითხოვა ის, რაც მისთვის გაემეტებინა, ისევ თავისივე ქვეყნისთვის დაეხარჯა. რჩეული იყო და ამ რჩეულს უნდა ეტვირთნა, ფიზიკური თუ ზნეობრივი სიმძიმე, სწორედ რომ ქართულ მოდგმას სჭირდებოდა იმ ეპოქაში ხარკის გამღები უძვირფასესი სასიცოცხლო განძიდან შვილების განირვის სახით. ქართული ფესვი იყო მასში ძალ-მაგარი და მეხთა-ტეხვის მოვლენებს


მის გულზე უნდა გადაევიღო. რატომ იზიდავს მუხა, თავისი ცნობილი გამძლეობით, მეხსა და მედგარს, რომ მოახდინოს და გამოაჩინოს მასზე მწველი ძალა. შაჰ-აბასის ავზნიანი საზომით იზომებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ბედ-ილბალი, მისაგან დანაწევრებული ქართული მეობა შველას ითხოვდა და ამდენად სააკაძეში მოზღვავებულ ნიჭით სავსე უნარებს ხომ რეალიზაცია ჭირდებოდა, და სარეალიზაციოდ კი საქართველოში მტრისგან დახუთული მდგომარეობა ითხოვდა.

გმირ წინაპართა წიაღიდან, საქართველოს მტერთაგან დასაფარად, სააკაძე ამოღმართული ფარი იყო, მისი ხმალი კი სიმონ I მეფისაგან ებოძა. სააკაძემ ჩაიხუტა, ეამბორა, მერე ძლიერ მარჯვენაში ჩაბლუჯა და სიკვდილამდე ქარქაშში აღარც ჩაუგია. საკუთარ რწმენააალებულ კოცონში დაინახა ჯორდანო ბრუნოს სიცოცხლე, მის მსგავსად, სააკაძემ ადუღებული გულით თავისი შვილის, პაატას, სიცოცხლე სამშობლოს წინ წაუმძღვარა და მის გადარჩენას შესწირა.

ქვეყნის ბედ-ილბალზე გულგრილი კაცის ბუნებას განა ისე შეეძლო ებრძოლა, როგორც სააკაძე იბრძოდა „ტაშისკარის ომში“, შემდეგ შვილის განირვის ხარჯზე მარცხოფის ომის გამარჯვებით სამშობლო გაეხარებინა? ან მარაბდის ომში, თანამოძმეთაგან გულდანწყვეტილი, მისი მეტი გამარჯვების მომპოვებელი საომარი გეგმა რომ არ მიიღეს? მიუხედავად ამისა, იბრძოლა მთელი თავდაუზოგაობის გამოვლენით, შემდეგ ისევ განეგრძო ბრძოლები უკვე დამოუკიდებლად, მუხლი არ ჩაეხარა, ოფლ-შეუშრობლად ემოქმედა და ქსნის ომში მტრისათვის თავზარი დაეცა, ასე-

თი მარჯვენის პატრონი, ასეთი უშელავათო თავის თავისა და გულის მიმართ, უშელავათო შვილების მიმართ. ასეთი კაცის სულის წიაღი ნასაზრდოები იყო სამშობლოზე ზრუნვით, დიპლომატიური უნარების გამოჩენით, თვითგვემითა და შემწყნარებლური მისიით.

ქართველმა ერმა, მართლმადიდებლური, ქრისტიანული ამაღლებული სულით, თავისივე სპეტაკ გენეტიკურ წარსულში ჩაიხედა, სიმართლით შეიმოსა, მაღალი ღმერთისაგან ნაზიარები და ნიშან-მიგებული ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენა, სამშობლოდან გაძევებული კაცისაგან მიეგოთ. და ამ საფუძვლებზე მათ თავიანთ ქვეყანაშივე დარჩენილი სიცოცხლე, რომელიც ირანის ახრიოკებულ გზაზე არ დაინაცრა, ასეთი ღირსეული საქმის სულის ჩამდგმელი, შვილების გამწირავი მამა, გ. სააკაძე ქართველმა ერმა „დიდი მოურავის“ სახელით მონათლა.



## ბიორგი სააკაძის ციხე-კოშკისა და ღარჩენილი სამოსახლოს შესახებ

1971 წლიდან 1975 წლამდე თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი განყოფილების ფერწერისა და გრაფიკის ფაკულტეტის სტუდენტები პრაქტიკულ მეცადინეობებს გავდიოდით კასპის რაიონის სოფ. ახალქალაქში, სადაც საშუალება მქონდა ფეხით მომევილო ის ადგილმდებარეობანი. ხშირად ავდიოდით ნოსტეში, ერთანმინდაში. ვესაუბრებოდი სოფლის მცხოვრებთ, რომელნიც ამაყად ჰყვებოდნენ გ. სააკაძის შესახებ ნაკითხულსა თუ გაგონილს. მათგან ბევრი შთამბეჭდავი მონაყოლი მახსოვს. ხშირად ვხატავდი მათ პორტრეტებს, ცხენზე მჯდომ ყმანვილებსა და ძველ სახლებს.

სოფელ ნოსტეში ცხოვრობდა დათა (ლომა) ხიზამბარელი, ძალიან საინტერესო მოსაუბრე და წარმოსადეგი კაცი. მისი საუბრიდან ბევრი საყურადღებო ამბავი ჩავინერე. იგი ამბობდა, ჩვენი გვარი მესხური წარმოშობისაა და გ. სააკაძემ რამოდენიმე კომლი ხიზამბარადან აქ, ნოსტეში, ჩამოსახლა. ისინი მოჭიდავენი ყოფილან და შემდგომ ეს გვარი, ხიზამბარელები, კასპის რაიონში კარგ მოჭიდავეებად ითვლებოდნენო. მისგან რამდენიმე ხალხური ლექსი ჩავინერე. მანვე მიმასწავლა და მირჩია ავსულიყავი სოფელ ჩაჩუბეთში ჯიმშერ ქავთარაძესთან, რომელმაც ბევრი ლექსები იცოდა.

ერთ მშვენიერ დღეს ახალქალაქიდან მე და ერთი ჩემი მეგობარი გრაფიკოსი ანზორ ჩხაიძე ფეხით გავუდექით ჩა-

ჩუბეთის გზას. სოფელში რომ მივედით, მიგვასწავლეს, გაღმა მხარეს ცხვარს რომ აძოვებს, ის კაცია, ვისაც ეძებთო. გავნიეთ მისკენ, ბატონი ჯიმშერი ლამაზი ქვებით აშენებული ბაზილიკის გვერდით იჯდა და ისვენებდა, დრო ჩვენც ბევრი გვექონდა და მასაც. იგიც კარგი მოსაუბრე აღმოჩნდა. როცა ვუთხარი, ვინ მიმასწავლა და მირჩია მისი ნახვა, უღვაშებში ჩაიცინა, მხრებში უფრო გაიმართა და ამაყად დაიწყო საუბარი გ. სააკაძის შესახებ. მან იოსებ თბილელის „დიდი მოურავი“ ზეპირად იცოდა, რამდენიმე ლექსი და მისი იმპროვიზაცია „დიდი მოურავიდან“ ჩავინერე. მასთან დალაშქრებამდე დავრჩით, ბოლოს სახლში შეგვიპატიჟა და პატარა სუფრა გაანყო.

გ. სააკაძის მოსაგონარი ღვინით სავსე ფიალით წარმოსთქვა, თვითონაც დალია და ჩვენც დაგვალევინა. გამომშვიდობებისას აღნიშნა, ეს დღე კარგი დღე იყო ჩემთვისაცო.

ოთხმოციან წლებში დიდ ხანს მომიწია კასპში ყოფნა, ბევრი სოფელი მოვინახულე, დაწყებული კავთისხევიდან, გუდალეთი, გოსტიბეთით დამთავრებული. მრავალი ხალხური ლექსი და მონათხრობი ჩავინერე. სამწუხაროდ, ბევრიც დამეკარგა.

ამ ბოლო ხანებში, 2009 წლის 25 ივლისს, ისევ ვენვით სოფელ ნოსტეს: გაზეთი „ახალგორის“ რედაქტორი მერაბ ბალაშვილი, ფილოლოგი ვიტალი ქენქაძე და ინჟინერი ოთარ თინიკაშვილი. გვინდოდა ჩვენი მოსაზრებანი, სააკაძის კოშკისა და მისი ცხოვრების შესახებ ერთად განგვეხილა და ერთობლივი აზრი ჩამოგვეყალიბებინა. დიდხანს ვუტრიალეთ, ვათვალიერეთ, დაკვირვებას და შედარებას ვახდენ-

დით, ციხე-კოშკის ქვათა წყობასა და სამოსახლოს დარჩენილი კედლების ქვათა წყობას შორის აშკარა სხვაობაა.

ციხე-კოშკი მაღალი ოსტატობით საიმედოდ, მტკიცედ ნაშენია. სამოსახლოს დარჩენილი კედლების ნაშთები არაა მტკიცედ ნაშენი და დაბალი რანგის მშენებელი კალატოზების ხელი ამჩნევია.

ჩვენ ვიცით, რომ საბჭოთა პერიოდში სააკაძის კოშკსა და სამოსახლოს ნაშთებს რესტავრაცია ჩაუტარდა. გვანტერესებდა საძირკველის ნახვა და იმის გარკვევა, კედლები იმ ადრე არსებულ საძირკველზე დაშენდა თუ პირობითად დაბალი სიმაღლის კედლები ამოიყვანეს და ამას აღდგენარესტავრაცია დაარქვეს. ჩვენი ოთხივეს აზრი დადასტურდა და რესტავრაციისას კედლები ადრე არსებულ საძირკველზე დაუშენებიათ.

შესასვლელიდან მარცხენა მხარეს, რომლის ბოლოში ციხე-კოშკია აღმართული, მისი მიმართულებით ნაშენია გალავანი, უფრო სწორად, კედელია ქვის წყობით აშენებული. რომ იქაც შეიმჩნევა ადრე არსებული საძირკველის ნაშთები. ჩვენ გალავანი ვახსენეთ მაგრამ ამ კედელს სულაც არ ემნევა გალავნის სიმტკიცე და როცა აშენდა, მაშინაც ეს გრძივი კედელი ვაკე ადგილის შესაქმნელად უნდა გაეკეთებინათ.

კოშკის, ზურგის მხარეს ტყიანი მთის დაბლა დაშვებულ კალთებზე შეიმჩნევა დავაკებები. შესაძლოა, თავის დროზე აქ საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები, ან კალოც ყოფილიყო. შესასვლელიდან მარჯვენა მხარეს დიდი დარბაზის კედლებია დარჩენილი, მის ზემოთ დავაკებებზე,

როგორც ისტორიიდან ვიცით კარის ეკლესია მდგარა, მაგრამ ამის დამადასტურებელი საძირკველის კვალი იქ არ შეიმჩნევა. გ. სააკაძეს პირადმა მტრებმა 1612 წელს სახლკარი გადაუნვა. თუ მას იქ თავის დროზე, ეკლესია ჰქონდა, სულ ქვისა იქნებოდა და ცეცხლი ქვას, ნაკლებად დააზიანებდა. ჩვენ გალავნის შესახებ ვთქვით, და ვიცით, თუ რა დანიშნულება ჰქონდა მტრებისაგან თავდასხმის დროს გალავანს ფეოდალების საცხოვრებელი ადგილისა თუ ციხე-დარბაზების დაცვის აუცილებლობისათვის, როგორც მტკიცე ზღუდე. მტერს ჯერ ხომ გალავანი უნდა გადაელახათ და შემდეგ შეჭრილიყვნენ შიდა სათავსებში. გავიხსენოთ არაგვის საერისთავოს ანსამბლი ანანურში, ქსნის საერისთავოს ანსამბლი ახალგორში: სამუხრან-ბატონო სასახლე მუხრანში, ამილახვრების ციხე-დარბაზები სხვილოსა და ქვემო ჭალაში და სხვა, მრავალი. ღმერთმა დაგვიფარა და შემთხვევით რომელიმე განადგურებულიყო ან დამწვარიყო, კედლები ხომ დარჩებოდა? იმ დარჩენილი კედლების ქვის წყობაში, ხომ დასანახი გახდებოდა, მშენებელი კალატოზის (კირით-ხურო) ნახელავი, თალების სახით, ბუხრების სახით, მთლიანი სასახლის ინტერიერის სახით, ან გარე ფასადების, ექსტერიერის მორთულობა, ასასვლელი კიბეები, სვეტები და სხვა. სადა ჩანს ნოსტეში სააკაძის ციხე-კოშკის გარდა დარჩენილი ნაშთებში, სასახლის სიფართოვე ან თალების ან სვეტების ფუძეების არსებობა, რადგან სააკაძის სამტრო მხარემ 1612 წელს ცეცხლს მისცეს მისი სახლკარი. ციხე-კოშკის კედლებს ცეცხლი ვერ დააზიანებდა, მაგრამ ცეცხლი დააზიანებდა კოშკში სართულებსშუა გადახურვას რომელიც ხის მასალით იქნებოდა განწყობილი.



1615 წელს სააკაძე ქართლში დაბრუნდა, მას შაჰ-აბასისაგან 1620 წელს დაევალა ქართლში გამგებლად მისგანვე დანიშნულ სიმონ II-სთან თანაშემწეობა. ის ვითომ ქართლის მეფე, სინამდვილეში ის სააკაძის გარეშე საქმეს ვერაწყვეტდა. სააკაძე კი გონივრულად იყენებდა სიმონ II-ს თანაშემწეობას ქართლის მოვლა-პატრონობისათვის, რაც ევალებოდა კიდევ: სავალი გზების, ხიდების, სტრატეგიული მნიშვნელობის ციხე-დარბაზების შეკეთება-აღდგენა.

იგი თავის გადამწვარ ციხე-კოშკსა და სამოსახლოსაც აღადგენდა, თუ აღდგენა შეიძლებოდა ან თუ ღირდა. იმის გამო მაინც, რომ მტრის თავდასხმების დროს ნოსტეს მოსახლეობას რალაც ნაწილს თავი შეეფარებინა.

მის მერე არც ისეთი დიდი დროა გასული. თუ დღემდე ჩვენამდის მოაღწია მის თანამედროვე ფეოდალთა ციხე-დარბაზთა სახემ, მაშინ სააკაძისაგან თავის სამოსახლოს აღდგენის შემთხვევაში დღემდე რალაც არქიტექტურულ ნაწილს მაინც უნდა მოეღწია.

თუ ჩვენ შედარებას მოვახდენთ იმ დროის დიდებულების საცხოვრებელ ციხე-დარბაზთა თუ სამეთვალყურეო კოშკებს შორის, რომელთაც გ. სააკაძის კოშკის მსგავსი, თითო დიდებულს ექვსი და ზოგსაც მეტი უდგათ აღარას ვამბობ მათი გალავნებისა და სასახლეების სიგრძე-სიგანეებზე.

ერთი ციხე-კოშკის პატრონი სააკაძე ეკონომიურად გათანაბრებული იქნებოდა ექვსი და შვიდი ციხე-კოშკების პატრონებთან?

ისიც ხომ ცნობილია, როცა ადამიანი ეკონომიკურად მოძლიერდება, მაშინ იწყებს ღირებული მასალით ღირებული სამოსახლოს აშენებას. ასე ხდებოდა მაშინაც და ასე ხდება დღესაც.

ჩვენს მიერ ჩამოთვლილი იმ დროის ფეოდალების ციხე-დარბაზების შედარებისას სააკაძის ციხე-კოშკს შორის, გარდა სიგრძე, სიმაღლე სიგანობრივი განსხვავებებისა საერთო ნიშან-თვისებებიც არსებობს მათს შორის. როგორც ტენდენციური მიზანშეწონილობის არსებობა, კერძოდ, როცა დიდებულ ფეოდალს აღარ აკმაყოფილებდა ძველი სამოსახლო, და გადანწყვეტდა ახალი სამოსახლოს საძირკვლის ჩაყრას, მის ციხე-დარბაზებს აუცილებლად თავისი საფეოდალო ადგილ-მამულებისთვის ზემოდან უნდა ეცქირა, და ამით დამტკბარიყო კიდევ. გ. სააკაძის მამაზე სიაუშ სააკაძეზედაც მოუხდენია ასეთ ტენდენციას გავლენა და სოფელ ნოსტესა და სხვა სოფლებთა გადასახედად მასაც აურჩევია ნოსტეს ზემოთ მთის ძირობაზე აეშენებინა თავისი სამოსახლო. რასაც შემდგომ წლებში ველარაფერი დიდი მნიშვნელობის მიშენება ველარ მოუხერხებიათ, თვით გ. სააკაძესაც, ამის მიზეზი კი მასთან მტრობა იყო. მან დიდი დრო ირანში დაჰყო. ნოსტეში მისი სამოსახლო ამ ხნის მანძილზე გავერანებული და ეულად გამოიყურებოდა. როცა მემატთანენი აღნიშნავენ სააკაძის ეკონომიურ სიძლიერეს, მისი ერთი ციხე-კოშკი და დარჩენილი საძირკვლის ნაშთები ამას ვერ პასუხობს.

## თანამედროვენი გიორგი სააკაძე

გიორგი სააკაძე თავისი დროის დიდად პოპულარული პიროვნება გახლდათ. შეიძლება ითქვას, რომ არ დარჩენილა იმდროინდელი მემატიანე და მოგზაური – არც ქრისტიანი, არც მაჰმადიანი, – რომ იგი არ მოეხსენიებინოს.

როგორც მომხრეები, ასევე ოპონენტები ერთნაირად აფასებდნენ და აღიარებდნენ გიორგი სააკაძეს, როგორც დიდ სარდალს და საინტერესო პიროვნებას.

„დიდი მოურავი, სარდალი საქართველოს მხედრობისა, კაცი წარჩინებული, დიდად შემძლე და ყოველთა უმამაცესი: მრავალი სასახელო საქმე მოახდინა იბერიის სამეფოში სპარსეთის მეფის წინააღმდეგ ბრძოლოს დროს“.

**პატრიკ კასტელი** (იტალიელი მისიონერი)

\*\*\*

„გიორგი სააკაძეს წილად ხვდა უცხო მხარეში გადახვეწა და ქართველი ხალხის მოსისხლე მტრის დროშებსქვემ სამსახური. შურმა და მტრობამ განდევნა იგი თავისი სამშობლოდან, მაგრამ დიდ მოურავს ერთი წუთითაც არ განუდევნია გულიდან სამშობლოს სიყვარული, ითმენდა ყველა გასაჭირს და ცილისწამებას. მას არასოდეს დავიწყებია თავისი ვალი და უსაზღვრო რწმენა მომავალი გამარჯვებისა“.

**პიეტრო დელა-ვალე,**

XVII საუკუნის იტალიელი მისიონერი

\*\*\*

„ხუსრევ-ფაშა სისხლისმოყვარული და მუხანათი კაცი იყო. მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სისხლის დაღვრა ენადა, მან ხონთქრისათვის შეუტყობინებლად, ვითომდა მოურავი საქართველოში წავაო, მოჰკლა ასეთი გმირი მოხუცი, რომელსაც ესოდენ დიდი დამსახურება ჰქონდა.“

ასეთი ღირსეული და სახელოვანი კაცის სიკვდილით დასჯა უდიდესი მუხანათობა იყო!“

**მუსტაფა ნაიმა,**

XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი

\*\*\*

„ამიერიდან ისტორიაში გასაგები ენით ჩაინერა გაფრთხილება: „არავინ არ მიემხროს ოსმალეთსო“

ერთმა უვიცმა მოხელემ სისხლისღვრის წყურვილით ასეთი შეცდომა ჩაიდინა“.

**ქათიბ ჩელები,**

XVII საუკუნის თურქი ისტორიკოსი

\*\*\*

„იყო კაცი ესე სრული საქმით, გონიერი, ლალი მჭევრმეტყველი, მოფიქრებული და საქმეში ჭკვიანი მტკიცე განაზრახითა, გონიერი ყოველ საქმეში; ძლიერი, წარმოსადეგი, ტანადი, შემართებული მებრძოლი უძლეველი, და ვისაც იგი ბრძოლას გაუმართავდა, მუდამ ჟამს ამარცხებდა მას და თავის მოპირდაპირე მხედრობას, ვითარცა ფხალსა,“

აჰკაფავდა და გაფანტავდა დედამინასა ზედა; ფშვინავდა მრისხანების დროს, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი, ვითარცა გეენის მფშვინავი ვეშაპი“.

**არაქელ თავრიზელი** (სომეხი ისტორიკოსი)

\*\*\*

„მოურავი ჭეშმარიტად გულადი, ღონიერი, ტანით სპილოს მსგავსი, იშვიათი ვაშკაცი და დევის ღონე იყო“.

**მუსტაფა ნაიმა** (თურქი მემატიანე)

\*\*\*

„გიორგი სააკაძე იყო დიდი დიპლომატი და ღრმა მცოდნე ადამიანის გულისა და თვისებათა“.

**პესიონელი** (ევროპელი მოგზაური)

\*\*\*

„ესე მოურავი გიორგი სააკაძე იყო მხნე, ახოვანი, ძლიერი ძალითა და შემართებული, უშიში“.

**ვახუშტი ბატონიშვილი**

\*\*\*

„გიორგი სააკაძის ერთი შეძახება არევდა და ფანტავდა მტრის ჯართა“.

**იოსებ თბილელი**

\*\*\*

„დიდი მოურავი (იყო) ქართველთა ჯარის სარდალი, უბადლო და ძლევამოსილი ვაჟკაცი, რომელიც თავისი ძალით ყველასა ჯობდა. იბრძოდა რა სპარსეთის შაჰის წინააღმდეგ, იბერიის სამეფოში მრავალ დიდებულ წარმატებას მიაღწია; შემდეგ, როდესაც ბედმა უმუხთლა, თავისი მოკავშირეების მიერ მიტოვებული, თურქეთის მფარველობაში ილტვა, ხოლო იქ თავისი ძლიერებისა და დიდებისადმი შურის გამო დაიღუპა“.

**დონ ქრისტოფორო დე კასტელი**  
(იტალიელი მისიონერი, მხატვარი)

\*\*\*

თქვენ ის აზრი განუხებთ, როდის გადაწყვიტა გიორგი სააკაძემ აჯანყება. მანამდე, სანამ ხელთ იგდებდა შაჰის მსტოვარს ბარათით თუ მერე? მაგრამ ისტორიას ამასთან არაფერი ესაქმება, მარტყოფი – ეს ის არის, რისი გულისთვისაც მოევლინა ამ ქვეყანას „დიდი მოურავი“.

მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი ის ქრილობაა, რომლისაგანაც ველარ განიკურნა შაჰ-აბასი, მარტყოფი გიორგი სააკაძის ბედისწერაა და სხვა დანარჩენი წვრილმანი, პატარა კაცუნების მონაჭორია“.

**პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი**

\*\*\*

გიორგი სააკაძეს არ მოუხერხდა თავისი პოლიტიკური იდეების განხორციელება. საქართველოს განთავისუფლებისა

და გაერთიანებისათვის ბრძოლაში იგი დამარცხდა, მაგრამ მისი დამსახურება სამშობლოს წინაშე განუზომელია.

გ. სააკაძემ იხსნა, თავისი პირადი ბედნიერების ფასად, საქართველო, სასიკვდილო საფრთხისაგან იმით, რომ იგი იყო მთავარი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი 1625 წლის გამირული სახალხო ომისა, რომელმაც აიძულა შაჰ-აბასი, ხელი აეღო საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსაპოვის განზრახვაზე.

### **ნიკო ბერძენიშვილი,**

ისტორიკოსი, აკადემიკოსი

\*\*\*

დიდი მოურავი გიორგი სააკაძე, უბადლო სარდალი და გმირი, ვინაც სამეფოები და ხალხები შეარყია, რომელიც თავისი მტკიცე ხასიათითა და რკინისებური ნებისყოფით, მგზნებარე შემართებით, ბუმბერაზი ტანითაც ყველას აოცებდა, მტერს შიშს ჰგვრიდა და მითრიდატეს ემსგავსებოდა, დაიღუპა. კაცი, რომლის მახვილი ჯავშანსა ჰკვეთდა, საყვირის განგაშსა სტეხდა და მისი ხმითა და სიმძიმით ბრძოლის ველი გმინავდა.

რომელმაც სპარსეთში, ოსმალეთში, ინდოეთში, ბაღდადსა და არზრუმში მამაცი მებრძოლის, ხოლო თვით საქართველოში, მარტყოფის გამარჯვებით, ქვეყნის მხსნელის სახელი დატოვა!

### **პლატონ იოსელიანი,**

XIX საუკუნის ქართველი ისტორიკოსი

გიორგი სააკაძის ერთი მაღალი ღირსებათაგანი იყო ისა, რომ არასოდეს არ სდევნიდა თავის პირად მტრებს. ამის მაგალითს ვხედავთ მის ყოველ ნაბიჯზე. ავიღოთ, შადიმანი, ეს კაცი ხდება ყოველი იმისი უბედურების თავი, იმეტებს სასიკვდილოდ, აწიოკებს ამის ცოლ-შვილს, უწვავს სახლ-კარსა და სარჩო-საბადებელს. აღებინებს ლუარსაბს ამის დაზედ ხელს, სდევნის თავისი ქვეყნიდან.

გ. სააკაძე როცა ბრუნდება ძლიერებით მოსილი სპარსეთიდან 1615 წელს, შაჰ-აბასისაგან ქართლის გამგებლად ფარსადანია დანიშნული, ესეც გ. სააკაძის დაუძინებელი მტერი. ეს დაეცა ფელის ციხეში ამის დედასა და ძმას. მათ როგორღაც თავი დააღწიეს და იმერეთში გადაიხიზნენ. გ. სააკაძის ერთერთი სასტიკი მდევნელი ქაიხოსრო იყო, როცა იგი გაიგებს სააკაძე დაბრუნდაო, იმერეთისკენ გარბის.

გიორგი უყვლებს, თავის კაცებს დაადევნებს და მშვიდობიანად თავის მამულში დააბრუნებს. ეს შემორიგებული ქაიხოსრო, ფარსადანს ჯარსა სთხოვს, მეორეჯერ სააკაძის მოსაკლავად, არ გაუვიდათ, სააკაძეს გააფრთხილებენ, იგი გადარჩება და მეორეჯერაც აპატიებს დანაშაულს ამ ვერაგ ქაიხოსროს.

1620 წლიდან ქართლში, შაჰისაგან გამგებლად სვიმონ-ხანია დანიშნული, მისი მოადგილე კი სააკაძეა, ქვეყანა ამის ხელთაა, მაგრამ რას ვხედავთ? იგი არც მოაგონებს თავის მოსისხლეებს, თავიანთს დანაშაულს, სამაგიეროს გადახდას არ ცდილობს, შფოთს არ სტეხს.

შადიმანი, ფარსადანი და ქაიხოსრო მშვიდობიანად

ამთავრებენ თავიანთ სიბერის წლებს სამშობლოში. იმ დროში, როდესაც მოსისხარობა გვარებისაგან მთელი საგვარეულოსა და მათი ერთგული საყმოების ამონყვეტა ითვლებოდა, თითქმის სასახელო გმირობად, სისხლის ღვრა თავის საკუთარი ინტერესებისათვის, მიაჩნდათ შექცევად.

არც ერთი უბრალო სისხლი, არც ერთი სამაგიერო, არ მოუწადინებია გ. სააკაძეს თავისი პირადი მტრებისათვის.

ამის დასტურად მოვიყვანთ დიდ მოურავიდან მოყვანილ მოსაზრებას.

„მეც შემეძლო ამხანაგთა, მახეზლართა, მტერობანი, მაგრამ დავსთმი, ყველას ვუყვი, მიცემა და ფერობანი, მისთვის რომე, ამით მექმნა აოხრებულთ შენობანი“.

მაშინაც კი, როდესაც თეიმურაზმა ამისგანვე გამეფებულმა ორს სამეფოში, და ათასგვარად დავალებულმა, გაიმეტა სასიკვდილოდ, და შემდეგ ბაზალეთის ბრძოლისა და მარცხისა, წავიდა სტამბულში, იქაც ცდილობს, სიკეთე გაუნოს მას, არავითარ მტრობას მის მიმართ არ იჩენს და ფიქრობს, თეიმურაზის შესახებ კარგი ჩააგონოს, საქართველოსაკენ წამოსასვლელად შემზადებულ კათოლიკე მისიონერებს.

XIX საუკუნის ქართველი მწერალი **ანტონ ფურცელაძე**

„ვინც ისტორიულ გმირებს ცილსა სწამებს, იგი ნამდვილად ვაი-ქართველია“

გიორგი სააკაძის ძეგლის ავტორი  
**მერაბ ბერძენიშვილი**

\*\*\*

უცხოელთაგან აღტაცებული დამოკიდებულება სააკაძის მიმართ, სრული სიცხადით შეიმჩნევა. ისინი ამბობენ იმას, იმ სიზუსტით, რაც მათ სააკაძის შესახებ იცოდნენ. არიან ობიექტურნი, სიმართლის მთქმელნი, არა და ისეთი სიამაყითაც კი ამბობენ ყოველივე იმას რაც მის შესახებ მოუსმენიათ, უნახავთ თუ გაუგონიათ, პირდაპირ გაოცებასაც კი იწვევს. იმის განცდა გვეუფლება, რომ სააკაძე მათთვის უცხო ქვეყნის უცხო შვილი კი არ არის, არამედ ცალ-ცალკეთათვის თავიანთი სისხლი, ტკივილი და სიყვარულია. ისინი სწორედ მარტყოფის გამარჯვებით და შემდგომ გადახდილი ომების გამო არიან აღტაცებულნი. უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ სააკაძისაგან შაჰისათვის ე.ი. ირანის სასარგებლოდ გადახდილი ომების შინაარსიც გახდებოდა უცხოელთათვის გაოცების მიზეზიც. აქ ყოველგვარი შემთხვევითობა ხომ გამორიცხულია, როცა მათგან დაუფარავი აღტაცება ხელის გულზე დევს. უცხოელ ავტორებს ჩვენც აღტაცებაში მოყვავართ, გვეამაყება მათგან ჩვენი თანამემამულისადმი აღმატებული შეფასება.

როცა უცხოელი ისტორიკოსები და მოგზაურები ასეთი აღტაცებულნი არიან გ.საკაძის მიმართ, ასევე აღტაცებულნი არიან ქართველი მემატიანეები. ვახუშტი ბატონიშვილი, ბერი ეგნატაშვილი, პოეტი არჩილი, ფარსადან გორგიჯანიძე, იოსებ თბილელი, შემდეგ ნიკილოზ ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, შემდეგ ივანე ჯავახიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, ანტონ ფურცელაძე, ზაქარია ჭიჭინაძე, პლატონ იოსელიანი,

სარგის კაკაბაძე, გივი ჯამბურია. ჯანსუღ ღვინჯილია, ლევან სანიკიძე. მათ ხომ გულის სიმართლით აღნიშნული აქვთ გ.სააკაძის მოღვაწეობის სიდიადე.

აღარას ვამბობ უფრო აქეთ, ჩვენს თანამედროვე სასიქადულო პოეტებზე, ისტორიკოსებზე, მწერლებზე და ხელოვნების სხვა დარგის მუშაკებზე, რამდენი ჩამოვთვალო, რომელთაც გ. სააკაძის მაღალმხატვრული სახეები შექმნეს.

არ უნდა დაფიქრდნენ ისევ შემორჩენილი ოპოზიციურად განწყობილი პირები, მათგან გ. სააკაძეზე უსაფუძვლო მოსაზრებების თქმით, აქ ჩამოთვლილი ასეთი ღირსეული პიროვნებებისაგან, სააკაძის ღვაწლის შეფასების მიმართ, მათგან უნდობლობას რომ ნიშნავს?

## ნოსტალიკური სიზამბარალის მოგონებები, ხალხში დარჩენილი აგებები გიორგი სააკაძეზე

ჩემი წინაპრებისგან გამიგონია, გიორგი სააკაძეს ხმა ჰქონდა ისეთი, ნოსტედან რომ დაიყვირებდა, კასპის ახალქალაქში ესმოდათო. სოფელში თუ რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდებოდა, მეზობლად მდებარე სოფლებისთვის შეტყობინება აუცილებლად გიორგი სააკაძისთვის უნდა ეთხოვათ, როგორც გადამძახებლისთვის. მტრის შემოსევის დროს გიორგი სააკაძის დაკვივლებაზე ხუთი სოფლიდან სასწრაფოდ შეიყრებოდნენ მეომრებიო.

მეორე გადმოცემა მოგვითხრობს, რომ სანადიროდ მყოფ გიორგი სააკაძეს სოფელ გოსტიბეს შემოგარენში დათვისაგან დატორილი მოზვერი უნახავს და იქიდან ერთანმინდამდე მხარზე აკიდებული ჩამოუყვანია.

70-იან წლებში კასპის რაიონის სოფელ გუდალეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარე როსება თავგიაშვილისგან მოვისმინე გადმოცემა, რომელიც მას თავის მხრივ გაუგონია ატენის ხეობის ერთ-ერთ სოფელში, ქორწილში, კოლა თარხნიშვილისგან; კოლას ახსოვდა ნამამასახლისარი მოხუცი თანგირას მონათხრობი. ეს თანგირა თურმე ამაყობდა თავისი წინაპრებით, რომლებიც სააკაძიანთ სახლის მოხელე-გამრიგენი ყოფილან და ცხენების მოვლა-მოშენება და გამრავლება ჰქონიათ დაკისრებული. სააკაძეებს მოლურჯო, ნაცრისფერი და ღია ჩალისფერი ცხენები ჰყავდათო (მტრისთვის ადვილად შესამჩნევი რომ არ ყოფილიყო).

იმავე თანგირას უამბნია გიორგის პატარაობის დროს მომხდარი ამბავი:

ციხის საძირკვლის თხრის დროს კირითხუროებს (კალატო-ზებს) ქვათა გროვიდან მორიელი ამოუგდიათ. მახლობლად პატარა გიორგის ცხენზე ჯდომასა და ტარებას ასწავლიდნენ თურმე. როგორც კი შეუნიშნავს პატარა მხედარს აფორიაქებული ხალხი, ელვისებურად გადმომხტარა ცხენიდან, მარჯვენა ხელით დასწვდომია მორიელს, ისე, რომ მისი შუატანი ხელისგულში მოუმწყვდევია, კუდი და წინაფეხები კი გარეთ დარჩენილა. დამსწრეები შეძრწუნებულან, ბავშვი არ დაგესლოსო, მაგრამ ვერაფრით გააშვებინეს, ისე მძლავრად ჰქონია ჩაბღუჯული. ბოლოს ხელში გაჭყლეტილი მინაზე დაუგდია. იქ მყოფ ხალხს მზე და მთვარე გადაჰფენიათ სახეზე, შვებით ამოუსუნთქავთ.

უწინასწარმეტყველებიათ, ასე მოიკრუნჩხება და მოიგუდება საქართველოს მტერი გიორგი სააკაძის ხელში! აუხდათ კიდევ.

P.S. რით არა ჰგავს გიორგის ეს საქციელი პატარა ჰერაკლეს მიერ სანოლში გველების დახრჩობის ამბავს! (ნ.ხ.)

წიგნის ავტორი მადლობას უხდის თავისი დიდი ხნის მეგობარს, ნიჭიერს, მართალი გულისა და მაღალი ზნეობის ადამიანს, საქართველოს ისტორიის შესანიშნავ მცოდნეს, ყოფით ურთიერთობებში სამართლიანსა, ზომიერსა და განონასწორებულს თავის ქვეყანაზე გულშემატკივარ, ბატონ ჰამლეტ დემეტრაშვილს რომელმაც გააცნო თავისი ნათესავი, ნოსტელი პეტრე ხიზამბარელი.

## მომონება რევაზ თარხან-მოურავი

კასტელის მიერ შესრულებულ სააკაძის პორტრეტთან დაკავშირებით ერთი ამბავი მინდა გავიხსენო:

80-იან წლებში ასპირანტურაში ვსწავლობდი. ჩემი ხელმძღვა-ნელი ცნობილი მხატვარი, ღირსეული ადამიანი, სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრის გამგე, პროფესორი უჩა ჯაფარიძე გახლდათ, პირველი კურსიდანვე ჩემი მასწავლებელი.

ერთხელ ბატონ უჩასთან მივედი. საანგარიშო სადილომომ ნამუშევრისთვის თემა უნდა შეგვეჩია. კარი უცნობმა ადამიანმა გამილო, ოთახის სიღრმიდან ბატონმა უჩამ შემეპატიჟა, იგი ელოდა ჩემს სტუმრობას.

ბუხართან დაბალ მაგიდაზე სუფრა იყო გაშლილი, მაგიდის შუაში ღვინით სავსე ლამაზი დოქი იდგა.

უჩა ჯაფარიძემ გამაცნო ჩემთვის უცნობი პიროვნება, რომელიც შესანიშნავი მხატვარი, უკეთილშობილესი ადამიანი, ბატონი რევაზ თარხან-მოურავი აღმოჩნდა.

ბატონები უჩა ჯაფარიძე და რევაზ-თარხან მოურავი ერთ თაობას მიეკუთვნებოდნენ. მე მათ ვაჩვენე ჩემი ესკიზები. ბატონმა რეზომ ყურადღებით დაათვალიერა ყველა ნამუშევარი, შევატყე კმაყოფილება, რაც მის ალალ ღიმ-ილში შევიგრძენი. მათ შორის საინტერესო საუბარი გაიმართა, მეც, იმ დღის იღბლიანი, მორიდებით ვავსებდი კახური ღვინით მომცრო ჭიქებს. მეამაყებოდა მათთან ყოფნა.

ვუცქერდი რევაზ თარხან-მოურავს და მახსენდებოდა კასტელის მიერ შესრულებული გიორგი სააკაძის პორტრეტი. აშკარა მსგავსება იყო იერ-სახისა, თვალების ქრილისა, ნიკაპ-ცხვირისა... მხოლოდ რევაზ თარხან-მოურავს უღვაშები არა ჰქონდა, საკმარისი იყო ხელოვნური უღვაში და თავზეც ისეთივე წონოლა ქუდი ხურებოდა, რომ წყლის ნვეთებივით ვერ გაარჩევდი ერთიმეორისგან.

განსაკუთრებით ბატონი რევაზის თაფლისფერი, ალალი მეტყველი თვალები დამამახსოვრდა; მისით აღტაცება და კმაყოფილება შემამჩნია, ესიამოვნა, დარბაისლური იერით და თბილი ღიმილით გაიხსენა თავისი წინა თაობები და დიდი წინაპრები, რომლებიც გიორგი სააკაძის უმცროსი ვაჟის იორამ სააკაძის პირდაპირი შთამომავლები იყვნენ. შეისვა საქართველოსთვის თავდადებული გმირი წინაპრების მოსაგონარი.

შელამებისას დასრულდა ბატონ უჩა ჯაფარიძესთან სტუმრობა. კმაყოფილებით მადლობა ვუძღვენით მასპინძელს, გამოვემშვიდობეთ და ნელი ნაბიჯებით გავუყევით მელიქიშვილის ქუჩას უნივერსიტეტისკენ.

შემდგომ ჩვენ ძალიან დავუახლოვდით ერთმანეთს. ბატონი რევაზი ენამჭევრი, იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და დიდად მოყვარული ადამიანი აღმოჩნდა. მან თავისი დიდი წინაპრის, გიორგი სააკაძის შესახებ პლატონ იოსელიანის მიერ დაწერილი წიგნი გადმომცა. დღემდე სიამაყით ვიხსენებ მის გაცნობას და ვერაზე უჩა ჯაფარიძესთან სტუმრობის დღეს.




რევაზ თარხან-მოურავი



გიორგი სააკაძე





გიორგი სააკაძის თანამებრძოლთა

შთამომავალი სოფელ ნოსტედან

პეტრე ივანეს ძე ხიზამბარელი

1896 წ. – 1991 წ.

სახალხო მთქმელი

კაცი რომელმაც, ზეპირად იცოდა „დიდ-მოურავიანი“

## კასტელის „სააკაძის პორტრეტის“ შესახებ

დღესდღეობით არსებული აზრი, რომ კასტელმა საქართველოში ყოფნის დროს გიორგი სააკაძის შესახებ მის ნაცნობთა მონათხრობისა და აღწერის შედეგად შექმნა სააკაძის პორტრეტი, სიმართლეს არ შეეფერება – ზეპირი გადმოცემის საფუძველზე კასტელი ასეთ ფსიქოლოგიურ სიღრმეს ვერ ჩასწვდებოდა, უფრო სწორად, სააკაძის რეალურ ფსიქოლოგიას ასცდებოდა ნახატის ავტორი. რომ არა კასტელის ყოფნა ოსმალეთში და მისი და სააკაძის დაახლოება საფრანგეთის ელჩის მიერ, ჩვენ დღეს გაურკვეველი წარმოდგენა გვექნებოდა სააკაძის პორტრეტული იერ-სახის შესახებ.

მე, როგორც მხატვარს, კასტელის მიერ შესრულებული სააკაძის პორტრეტი საშუალებას მძლევს ვთქვა, რომ იგი ნატურიდანაა გადმოღებული, ე.ი მხატვრის წინ არსებული პიროვნებაა პორტრეტზე ასახული. მართალია, იგი ჩანახატური ხასიათისაა, მაგრამ ჩანს, რომ მხატვარს ნატურა თავის მიერ შერჩეულ პოზაში გაუჩერებია; აშკარად იგრძნობა იმ დროის მხატვართა მიდგომა და დამოკიდებულება პორტრეტული ჟანრის მიმართ, რაც ნათლად შეიმჩნევა პოზირებისადმი მიდგომის მხრივ, მაყურებლისაკენ ნახევრად შემობრუნებული სახით, კისრისა და ტანის ზედა ნაწილი ნახევრად პროფილად არის გამოსახული; შტრიხებისა და ხაზების ლაღად მოძრაობა მიგვანიშნებს კასტელის, როგორც მხატვრის, ოსტატობაზე. პორტრეტის გამომეტყველებაში, თვალების ხასიათში აშკარად იგრძნობა დიდი ენერჯია, წინააღმდეგობის დამძლვევი ძალა, შეუბრალებლობა მტრისადმი; იგრძნობა ძალა იმ მარჯვენისა, რომელსაც მთელი დღის მანძილზე შუბი და ხმალი არ გაუშვია; მიუხედავად იმისა, რომ სააკაძის მარჯვენა ასახული არ არის, ამ

განცდას ბადებს კისრისა და მხრის სიძლიერე. ჩანახატური ხასიათის მიუხედავად იგრძნობა პიროვნების მძლავრსხეულოვანი აღნაგობა, გამოსახული კისრის მკერდ-ლავინ-დვრილისებრი კუნთოვნების მეშვეობით, გულ-მკერდის გაბარიტების მოხაზულობით და სიფართოვით. მკაფიოდ შესამჩნევია სხეულებრივი ქანდაკებურობა და პროპორციული ჰარმონია. მხატვარს გულ-მკერდის ნაწილი ნახევარტონებით და შტრიხებით აქვს დაფარული, მაგრამ დაკვირვებული თვალი აუცილებლად შეამჩნევს ტორსის ზედა ნაწილის მკაფიო სიგანე-სიფართოვეს, რაც მისი პატრონის სხეულებრივი სიჯანმრთელის დასტურია.

ვფიქრობ, კასტელს მათი შეხვედრიდან სულ რამდენიმე დღის შემდეგ უნდა შეექმნა სააკაძის პორტრეტი; ამაზე დანამდვილებით მიგვანიშნებს გიორგის ვარამით აღსავსე სახე, რომელზეც ჯერ არ განელებულა და ისევ აჩნია ბაზალეთის ომიდან გამოყოლილი კაეშანი, მაგრამ შეუწარჩუნებია ლმობიერებაც მოყვასისადმი, განონასწორებული ფსიქოლოგია; მიმტევებელი ბუნების მქონეს, ადამიანის გულთამხილავს რუხი უნდობლობის ნისლი მაინც დაჰკრავს. მისი თვალები უსიტყვოდ გვახსენებენ, რომ „კაცი ვერსაით წაუვა თავის თავის ბედსა და წერასა“, რომ ისიც სამუდამოდ განეშორა თავის მიწა-წყალს და უკან დასაბრუნებელი დღეც მისთვის აღარასოდეს გათენდება.

გიორგის წუთისოფლიდან იმდენი რამ გადახდა, იშვიათად ვინმეს გადახდომოდეს, მის სევდაჩამდგარ თვალებში გაუქრობი საყვედურია შერჩენილი; სააკაძე თითქოს ყველას გულისგულში იხედება და ეძებს სამშობლოს კეთილდღეობისთვის ღირსეულად დახარჯულს (გიორგი სააკაძის პორტრეტის სევდაჩამდგარი თვალებიდან მუდარა და გაუქრობი საყვედური ამოიკითხა ვაჟა-ფშაველამაც).

\* \* \*

გაივლის დრო და ...  
თაობები შეიცვლებიან,  
დაილექება დასალექი  
ოქრო და რკინა...  
ა, იმ ქედებზე  
პაპიჩემის პაპის ძვლებია,  
და ბერ თევდორეს  
ხავსმოდებულ საყდარში სძინავს...  
გადანინკლულან ყაყაჩოთი  
ქართლის ველები,  
თურქთა ჯარივით  
ჩამომდგარა თრიალეთს სიცხე.  
ჩაუყვანიათ ნოსტელ ბიჭებს  
წყალზე ცხენები,  
გააგელვებენ მერე რაშებს  
რკონისკენ ფიცხელ...  
ა, იმ ქედებზე  
პაპიჩემის პაპის ძვლებია,  
ქარმა ნისლები  
საფლავებთან მიაფარფატა...  
გაივლის დრო და...  
ეგ ბიჭებიც დაიზრდებიან,  
კაცმა არ იცის,  
ვინ იქნება მათში პაატა...

ვაჟა ოთარაშვილი

## დიდი მოურავი

რამ წაგიყვანა ალექსოში ქართველი კაცი,  
თურქეთში როა... თუ ეკუთვნის ეხლა სირიას...  
ისტორიანის ქორონიკონს ტკივილით ვმარცვლი,  
ბედჟამეკულმართ თარიღებად რომ მოგვტირიან...  
მაგრამ აოცებთ შენი დიდი გმირობა დღესაც:  
– „შვილიც განირა?...  
– თავის თავი ჯანდაბას თუმცა...“  
და იცრემლება ერთანმინდას კვლავ  
ქართლის ზეცა.  
ნოსტეში კომპზე ჩამოჰკიდებს  
ქონგურებს კურცხალს...  
მიდი და სცადე! შენც განირე შენი ყმანვილი,  
თან მტრის ბანაკში იბობოქრეთ ხუთიოდ კაცმა...  
მიიგრანება გოლგოთისკენ მამის გზანვრილი —  
საქართველოდან გადახვენილ რაინდის ჯვარცმა...

**ვაჟა ოთარაშვილი**

## წავკისური ნადიმი I

სატანისგან განაზრახი  
უნდა აისრულონ დღესა,  
კარგად იფიქრე მკითხველო  
ვინ ეძებდეს მიზეზებსა.  
გიორგი სიძეს ენდობა  
ცუდი ფიქრი მას არ ჩხვლეტსა,  
წავკისს ნადირობა დათქვეს,  
ხალხიც ბევრი შეჰყარესა,  
არ იცოდა თუ ბერუკა  
მათვე გადაიბირესა,  
მასთან ძმობა მეგობრობა  
ალარ გამოადგება დღესა,  
გიორგის გუმანში არა ჰქონდა  
თუ ვინმე მახეს დაუგებსა,  
ოცი მაისი დამდგარიყო,  
მივა რა დროც მათა თქვესა,  
თასი აუსეს ღვინითა,  
სწრაფად სტუმარს მიართვესა,  
მოკლედ დაგვლოცე გიორგი,  
ნულა ილაპარაკებ ბევრსა,  
გიორგი მოკლედ დალოცავს

სამტროდ შეყრილ მოძმეებსა,  
ღვინით სიამე ექნების,  
გიორგის გულსა და ყელსა,  
ძილ მოსვენება უნდოდა,  
მივა თავის სადგომელსა,  
ბააკა ხერხეულიძის ძმა  
მეხსა გავდა საზარელსა,  
შენ უნდა მოგკლან გიორგი,  
ვინაც მოგიპატიჟა დღესა  
ცხენს უნაგირი არ ედგა,  
არც ალვირ მოსართავიო,  
გიორგი ნოსტესკენ გაფრინდა,  
ვით გრიგალი და ქარიო,  
ცხენის ყელს იყო ჩაფრენით,  
მწარე ფიქრთ მოუბარიო,  
ისე მიქროდა ლურჯაი  
ქვაზე ცეცხლს ყრიდა ნალიო,  
ასეა წუთისოფელი  
ვით დედინაცვალი ავიო,  
კარგი ვაჟკაცი მარადჟამს  
მუდამ ხიფათში არიო.

## ბერი თევდორე

ოსმალთ ჯარი მოსულიყო 1609 წლის ზაფხულისა დამდეგსა, მათ მესხეთი გამოეველოთ, ბანაკი კველთას დასცესა. იმედად მეგზურს ეძებდნენ, ვინც მიიყვანდა ცხირეთსა ლუარსაბის შეპყრობა ენადათ, იმ ურჯულო ოსმალოებსა. ვინაც მეგზურობა არ ითავა მათ თავები დააჭრესა, შვიდი ასეთი ქართველი, სიცოცხლეს გამოასალმესა, ბერმა თევდორემ იტვირთა მეგზურობა, იმა დღესა, წინ წარუძღვა ოსმალოებს, ცხირეთი გვერდზე დარჩესა, ქვენადრისის გზა ირჩია, მტერი რომ მიზანს ასცდესა. სულმნათი ბერის საქმისა ვერაფერი შეიტყვესა, გულ-იმედინად ვიდოდნენ, მტერი თეძმის ხევს გაჩერდესა, ცხირეთი კიდევ შორის არის? თევდორეს მწარედ ჰკითხესა, გვიანლა მიხვდნენ მტარვალნი, ბერი თევდორეს მიზნებსა, ბერს მიძიმედ შუბი აძგერეს, უმალ მიწაზე დასცესა. სიკვდილი ვერ შეაშინებს, სულით სუფთა თევდორესა, უფალო, შენი ნება იყო, რაც მე შევასრულე დღესა, ოსმალთ ფაშას ბრძანებაზედ, თევდორეს თავი მოჰკვეთესა.

## „ნავკისური ნადიმი“ და „ბერი თევდორე“

გადმოცემის თანამად, ეს ორი ლექსი, სოფელ გუდალეთში მცხოვრებ ბალიჩა ნიკლაურს ჩაუნერია 1910 წელს სოფ. გოსტიბეში მცხოვრებ ივანე აფციაურისაგან. შემდეგ ეს ლექსები ბალიჩას გადაუცია თავისი უფროსი შვილის ალექსი ნიკლაურისათვის. იგი დიდ სამამულო ომში იბრძოდა 1939 წლიდან 1943 წლამდის, შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა, გამოუვლია ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკი და 1950 წელს კასპში დაბრუნებულა, მისი დაბრუნება დიდი ზეიმით აღუნიშნავთ. დედამისს ალექსის ბევრი პირადი ნივთი ერთ სკივრში ჰქონია მოთავსებული და საბედნიეროდ, ეს ორი ლექსიც.

1979 წელს სტუმრად ვიყავი კასპში, ვარჯანანთ უბანში, სადაც იმ დროს ალექსი ნიკლაური ცხოვრობდა. როცა საუბარი გიორგი სააკაძეზე ჩამოვარდა, მაშინ გაახსენდათ ამ ლექსების არსებობა და დიდი რუდუნებით გადმომცეს მე.

## დაუსრულეხელი სინანული

საკადის კოშკზე შემჯდარიყო ფრინველი ერთი,  
და მოსთქვამდა სინანულით, რად გაიმეტეთ გიორგი,  
რად მოუნყვეთ შეთქმულება, რად გაინყრომეთ ღმერთი!

მას ხომ უყვარდა მოყვასი, ტკბილ სამსახური მეფეთა.  
გახსოვთ, ტაშისკარს,  
მტრის ჯარსა როგორ ლომრსებრ ეკვეთა.  
მისთვისა ავი საქმენი სად როგორ გამოქექეთა.  
ჩუმად ნამზადი სიავე, ნიაღვარივით ეფეთა.  
ქართლში სიამის დროება, რა უცბად გამოეკეტა.

ოჰ, როგორ უცბად იავდრა ბნელმა დაფარა ქვეყანა,  
კაცთაგან ავ სურვილებში, კვლავ ბრუნავს გმინვა გოდება,  
ხშირად სცვიოდა ცრემლები ნოსტე, რომ მოაგონდება.  
ქვეყნად ამ ამბის მსგავსი ბევრი არ გაიგონება,  
ყველა ღვიძლი ძმა ეგონა, არავისთან არ იყო მწყრალად  
თანამოძმეთგან განირვა, სატანის ხერხია მარად.

რაც რომ უცვლელად, ძვირი ღირს თავად,  
ეს ამაგია წინაპართ, ჩვენთვის იმედად ფარად.  
მას მუდამ დაცვა ჭირდება, ხელი არავინ შეახოს ავად.  
განა ეს წუთისოფელი, სულ ლხინით სავსე თასია?  
ავი ბედისა მქონენი, სანუთრო ისევ სავსეა.

## ვაეზა სააკაძისა

ტაშისკარს რომ ომი მოხდა, ჩვენ დავრჩით გამარჯვებული.  
იმავე დროში, ხალხის თვალში, დიდად შევიქვენ ქებული.  
ეს ცნობა შაჰმაც შეიტყო, შეიქმნა გახარებული,  
ლუარსაბი ირანს მიიწვია მისადმი პატივმიგებულნი.  
კარგი დრო დადგა ქართლშია, ვინცეთ ქვეყნისა შენება,  
ჩემი დის გადედოფლება, მეფის სურვილსა ენება,  
მართალი რომ ვთქვა ვხარობდი, რახან მეფემ ეს ინება,  
მაგრამ, გუმანი ცუდს მიგრძნობდა,

სულ დავკარგე მოსვენება

გაგიხარია კარგია, მეფის კართან დამოყვრება,  
მსურდა და თან არცა მსურდა, ლუარსაბის სიძეობა,  
ასეთი საქმის მეორე მხარე, თურმე იყო ცრემლის დენა.  
მეფემ სიტყვა შეასრულა, გამოხატა თავის ნება,  
ქვათახევის მონასტერში მეფემ ჯვარი დაინერა.  
დიდებულები აღშფოთდნენ, დაუდგათ დიდი ვიშვიში,  
მეფე ჩვენ აღარ გვისმენსო, ამის შეექმნათ მათ შიში.  
მოაწყვეს ჩუმად მუხთლობა, დღე გამითენეს მე კრული,  
გამიშორეს ქვეყნიდამა, ვარამით ამივსეს სული.  
ვისგან ველოდო ნუგეშსა, დავრჩი მე დალონებული.  
რად დავიკარგე ქართლიდან, რატომ შექმნეს ამის ნება.  
სიმძიმელი გულსა მწვავს ჟამი ავად დამებედა,

გადახვენილი ირანში, დღე მქონდა ჭმუნვა გვემისა,  
ობლად დარჩენილი ქართლი, ვის მისახედად რჩებისა,  
უზრუნველად ვიყავ ირანში, დღეც მქონდა ნეტარებისა.  
მე რომ მქონოდა სურვილი, ირანში სამუდამოდ დარჩენისა,  
პაატასაც არ გავწირავდი, გულიც შემრჩებოდა მთელისა,  
შაჰი ქართლზე ავს ფიქრობდა, მე ვატყობდი მისსა ქცევას,  
ყიზილბაშნი ამზადებდნენ ჩვენი ქვეყნისა დაქცევას.  
ფარულად მოქმედება ვიწყე, მსურდა ქართლის გადარჩენა,  
სანიშნოდ ვიქცეოდი, ცუდი არვის მოეჩვენა,  
შაჰთან ვითომ ვვერთგულობდი, დაიჯერა მენდო დიდად.  
შემდეგ ვნახოთ რაც მოხდების, ვინ ვისზედ იქნას რიდად.  
ოცდაათიათასიანი ლაშქრის მოთავედ,

ყორჩილა-ხანი მიუჩინა,

მე მისი თანაშემწე ვიყავ, მაშ თავი რით გამომეჩინა,  
მარტყოფში კარვები გავშალეთ, დავნიშნეთ გუშაგ-მცველ-  
ნია  
ყიზილბაშთ ტკბილად ეძინათ, ფიქრი არ ჰქონდათ ომისა,  
ისინი ვერარას უწყოდნენ, დღე რომ არ ჰქონდათ გრძელია.  
„ხარების“ დღესასწაული იყო, ღამემ დაიწყო თენება,  
ქართველთა ჯარი მოჰქრისო, გუშაგმა ატეხა განგაში,  
ნამძინარევი სპარსელნი, მოექცა ქართველთა ხაფანგში,  
ცხენები მოვსხლიტეთ ბანაკსა, ორმოცდახუთი ათასი,  
უმეცარ ყიზილბაშებსა დღე გაუთენდათ მწველია,  
მტრისა გვამებით აივსო მარტყოფის ველნი ვრცელია.

ეს ორი ლექსი დაუსრულებელი სინანულია და ვაება  
სააკადისა

1977 წელს გადმომცა კასპის რაიონის სოფელ ჩაჩეუ-  
ბეთში მცხოვრებ ჯიმშერ ქავთარაძემ. როგორც მან განმარ-  
ტა, ეს ლექსები სპეციალურად დაკვეთით დაუწერია სოფელ  
კავთისხევში მცხოვრებ ხალხურ მოლექსე კაციაშვილს. მე  
ეს ლექსები დაკარგული მეგონა. დიდხანს ვერ ვპოულობდი,  
საბედნიეროდ, ამ ბოლო ხანს აღმოვაჩინე ერთ-ერთ ნახატე-  
ბის ალბომში.

## მოურავი ხალხის მესხიერებაში

### ხალხური ლექსები

\*\*\*

ჩემი ხმლის ამბავი იცით,  
ბრძოლებში გამლებ ფხისაო;  
საომრად წასვლა მიყვარდა,  
ალება ბაღდადისაო;

ცხენზედ შეჯდომა, ნავარდი,  
სტუმრობა ძმობილისაო,  
ახალგორს სიძისა ნახვა  
ანანურს – სიმამრისაო.

მთქმელი **ისიდორე ნათაძე**,

ჩაინერა ვალიკო ხერკელაძემ 1949 წელს ახალგორში

\*\*\*

სპარსთა ლაშქარმა დაფარა  
არაგვის გზა-სავალია;  
არშის ციხისკენ მიდიან,  
უნდა გადავლონ მთანია.

ქსნის ხეობაში გიორგიმ  
უკვე შაყარა ჯარია:  
ლომისისკართან შემოჰკრეს  
მტრის დასახვედრი ზარია.

ქარჩოხთან დღე გაუთენდათ  
ყიზილბაშებსა მწარეა,  
ქსნის ხეობაზე ნავიდა  
სპარსელთა სისხლის ღვარია.

აივსო მტრისა გვამებით  
ხეობის ორივ მხარეა,  
სააკაძის მარჯვენას ლოცავდა  
ქართველი ხალხის გვარია.

მთქმელი **ისიდორე ნათაძე** სოფელი კორინთა.

ჩაინერა გიორგი (გორა) ხერკელაძემ 1947 წ.

\*\*\*

წუთისოფელმა მოურავს  
ნაღველი დააღვეინა,  
ატარა გულის კენესითა.  
ცრემლი ზღვას შაარევიანა!

მთქმელი **ჯ. გარაყანიძე**,  
ჩაინერა გიორგი ხერკელაძემ  
კასპის რაიონის სოფ. ლამისყანაში.

\*\*\*

საქმე თუ გაჭირდებოდა,  
ვერ დაიჭერდეს ცხრანია.  
მაგრობა გმართებს, გიორგი,  
მაიგონებდე სხვანია.

არ დაგეკარგვის სახელი  
ბრძოლებში ნაღესავია,  
ქართლისთვის სულის ჩამდგმელო  
და გადამრჩენო ძალიან!

მთქმელი **იასონ ხერკელაძე**, დუშეთი.  
ჩაინერა ავთო მათიაშვილმა 1950 წ.

\*\*\*

გიორგიმ შემოითვალა,  
ამოვლა მნადის ქსანსაო,  
არჩევა კარგი ვაჟების,  
ქარჩოსს დახვედრა მტრისაო;

ისრითა გატუსულითა  
მტერი იყროდეს ძირსაო,  
იღებებოდეს წითლადა  
გზა და ბილიკი მთისო.

მთქმელი **ისიდორე ნათაძე**, ახალგორი.  
ჩაინერა (გორა) გიორგი ხერკელაძემ. 1947 წ.

\*\*\*

შენ, მოურავო გიორგი,  
ზარის დამცემო მტრისაო,  
კარგი მოსავლის მომყვანო,  
მსახურო ერისთვისაო,  
დარბაზიც გამართული გაქვს,  
კომპიცი გიდგია ქვისაო.



\*\*\*

ნოსტელსა გმირსა გიორგის,  
განგმირავს ბევრი მტრისასა,  
ღმერთო, უნათე გზა-კვალი,  
შუეს ნუ ჩაუქრობ მზისასა!

მთქმელი **შაქრო ვერელი.**

ჩაინერა ნ. ხერკელაძემ მცხეთის რაიონის  
სოფ. ქსოვრისში 1985 წელს.

\*\*\*

ოსმალთა ჯარი მოსულა,  
ცხირეთთან ახლოს ვლისაო:  
ბერმა თევდორემ იტვირთა,  
სიმწარე სიკვდილისაო!

გზა-კვალი შეაცვლევინა,  
თეძმის ხევს დაგუბდისაო,  
„მეფეს არ ელალატების“,–  
თევდორე ასე სთვლისაო.  
გიორგიმ უმალ შეჰყარა  
მებრძოლნი ოთხასისაო,  
ხეობის ირგვლივ გორებზედ

ცეცხლები ინთებისაო;  
ლომისებრ დაუტრიალდა,  
ოსმალნი შიშით ძრწისაო;  
ტაშისკარს ოსმალთ ლაშქარი  
მინასთან გასწორდისაო,  
ვინც კი გადარჩა ცოცხალი,  
უკანვე გარბოდისაო.

მთქმელი **ნ. ალიმბარაშვილი.**

ჩაინერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის  
სოფ. ახალქალაქში 1974 წელს.

\*\*\*

მე რომ მარტყოფში ვცემდი ყიჟინას  
და მარაბდაშიც მკლავი მოვღალე,  
ლისთან თათრების სული მივწინიხე,  
ქსანზეც ვადინე სისხლის ღვარები;  
ბევრზე ამაგი ქვად ქცეულიყო,  
შენდობა რისთვის, ვისგან მეთხოვა.  
დაუნახაობის ჯვარზე გაკრულსა,  
მტერი ჯერ კიდევ არ დამღევია,  
გმინვადქცეული ჩემი სიცოცხლე  
გოლგოთის გზაზე გაგრძელებულა.

ვარამ მოვლილი წუთისოფელი,  
სულში ჩემივე ხმითაც ჩამძახის,  
როს სიძულვილის მახვიეს მანტია –  
თორმეტწლიანი ირანში ყოფნა –  
სიკვდილით, შვილის შეწირვით,  
ისევ ქართველმა არ მაპატია.

მთქმელი **კარლო სოლოყაშვილი**.  
ჩაინერა ნ. ხერკელაძემ თბილისში 1989 წელს.

\*\*\*

ჩაგვიქრა იმედის სხივი,  
ვადაშიც გატყდა ხმალია.  
ნოსტეს მოვიდის ამბავი,  
მთაში ატირდის ქსანია;  
„დავკარგეთ დიდი იმედი,  
ვინც ქართლს შეაბა ხმალია“;  
მარტყოფში მუხას დაეცა,  
მეხის გავარდნის ძალია;  
სიკვდილსა ფერი არა აქვს  
ატირა ყველა მხარეა.

\* \* \*

სადაც რომ პაატა შობილა,  
ის მიწა ჩვენთვის ცრემლია.

მთქმელი **დათა ხიზამბარელი**.  
ჩაინერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის  
სოფ. ნოსტეში 1975 წელს.

\*\*\*

რომ განსრულდა ეს ცხოვრება,  
მტერთან ჩემთვის განგებული, -  
ნუ დამტოვებთ უცხოეთში,  
ბედისწერით დაკარგული;  
ქართლის მიწა ტკბილ მექნების,  
ნანას მეტყვის ნაზი ქარი,  
ფართან ერთად გულს დამადეთ  
ნაომარი ჩემი ხმალი!

მთქმელი **იორამ ღუდუშაური**.  
ჩაინერა ნ. ხერკელაძემ ყაზბეგის რაიონის  
სოფელ სნოში.

## ესა ნათქომი გიორგის

შენ ტკბილო, მშვიდო კახეთო  
ავად იყავი გნახეთო,  
ირანის გზა და მინდორი  
სულ ფეხით გადალახეთო.

გახსოვდეთ ენა ქართული  
სულ კარგათ შეინახეთო  
ვისაც სიკვდილმა გაკოცოთ  
ქართულად დაიმარხეთო.

თქვენი ნაცომი ჩოხები  
სახსოვრად შაინახეთო  
რა ცუდ ყოფაში იყავით,  
ვარამ მნახველო კახეთო,  
ღმერთის შეწევნით დრო მოვა,  
დაბრუნებულნიც გნახეთო.

მთქმელი შაქრო ვერელი  
მცხეთის რ. სოფ. ქსოვრისი  
ჩაინერა ნიკო ხერკელაძემ

1980 წელი

## ნოსტელ გიორგის!

შენი ჭირიმე ნოსტელო,  
შენი ქართული გულისა  
ნეტა რა დედამ გაგზარდა  
ეგრე მაღალი სულისა.

ნეტაი რა წყაროსა სვამდი  
ან რა მზის შუქი გეფინა,  
რომელ ვარსკვლავებს უმზერდი  
სამშობლოსათვის რო ეგრე გეთმინა.

ხალხისაგან შენთვის სიყვარულს  
ჟანგი ვერ მაეკიდება  
ჩვენი მიწა-წყლისა, მტერსა,  
სულ უჟმური წაეკიდება.

შენი ჭირიმე ვაჟკაცო  
ნოსტეს ველარ მოსულისა  
ნეტაი რა დედამ გაგზარდა,  
მაგრე ქართული სულისა.

მთქმელი **შაქრო ვერელი**  
მცხეთის რ. სოფ. ქსოვრისი  
ჩაინერა **ნიკო ხერკელაძემ** 1980 წელს

„დიდ მოურავს“

დიდი ღმერთი იყოს შემწე  
დიდი მოურავისაო,  
შურმა განდევნა ქართლიდან,  
ირანის გზას გაუყენა,  
ისპაჰანის სასახლეში  
შაჰმა გვერდით დაისვაო,  
მისცა ბევრი საბოძვარი  
უნდა ტახტი დამიცვაო.  
ო, ვერაგო შაჰინშაჰო!  
შენი ტახტი დაიწვაო.

თუ ჩემი ხმალი შევარცხვინო  
ფეშქარ იყოს თავიცაო,  
შვილი პაატა გაიმეტა  
საქართველო დაიხსნაო.  
სულ გაულიტა მომხდურნი  
ურჯულოთა გვარისაო,  
შეხვდა წმინდა გიორგი და  
მისცა ჯარი ტაძრისაო,  
უთხრა მაღლი შეგენიოს,  
მაღალი ღმერთის ძალისაო.

მთქმელი  
**შაქრო ვერელი** სოფ. ქსოვრისი  
ჩაინერა **ნიკო ხერკელაძემ**  
1980 წელი

## ბერი თევდორე

დაგსაჯეს, თავი მოგკვეთეს,  
სხერტის ჭალასთან ნიაბსო;  
ბულბულნი აღარ გალობენ,  
მერცხალი მოგიტანს იასო.  
სადაც შენ დაიმარხები,  
ნეტავ იმ ეკლესიასო!

მთქმელი **ყუმბარა თაგვიაშვილი**.  
ჩაინერა ნ. ხერკელაძემ 1986 წელს  
კასპის რაიონის სოფ. გუდალეთში.

\*\*\*

ზურაბო, ერისთვის შვილო,  
ეს რა ფერ დაგდებიაო,  
დაგიკრეფია ხელები,  
თვალეზიც დაგხუჭვიანო.

ვინ გაგიმეტა სამუხთლოდ,  
მარტყოფიც დავიწყნიათო.  
არაგვი დამგლოვიარდა,  
მტერს ვილა მისცემს ზიანსო.

ლად მოგაშორეს სამზეოს  
ხალხს ეს ვერ გაგვიგიაო.

მთქმელი **ნიკო ბერიანიძე**.  
ჩაინწერა ილო გიგაურმა. ახალგორის  
რაიონის სოფ. დადიანეთში.

### იმპროვიზაცია „დიდი მოურავიდან“

სად მოვთვალო ჩემი ბრძოლა  
და ან ომთა ჭირნახული.  
რას არგებდათ შადიმანთა  
ჩემი რბევა-აღსასრული.  
ბევრ ყიზილბაშთა თავები  
მინაზედ მინარცხებია.  
ქვა არსად გდია ქართლშია,  
ჩემი სისხლი რომ არ სცხია.  
შვიდას სპარსს თავი მოვკვეთე,  
გავწყვიტე მე სამოცითა,  
რა გაჭირდის, უკეთ შევძელი,  
ასე მქონდა ბრძოლის ჩვევა;  
თავო ჩემო დარდიანო,

სევდიანო, როგორც წყლულო,  
საქართველოს გულისათვის  
ათასფერად წამებულო;  
ველარ დავიშერი ცრემლი,  
თვალთა ჩემგან მონაწერი,  
დავსთმი ყველა სიტკბოება  
სულ გავილე სული, გული  
არ დავზოგე სამშობლოსათვის  
ძმა, ვაჟები და ასულნი;  
მეც შემეძლო მახეზლართა,  
ცუდ-მუდ კაცთა მტერობანი,  
მაგრამ დავსთმი, ყველას უყვი  
თავზედ ხელის ფერობანი.  
ჩემთვის დარმა მოიღრუბლა  
აღარ არის მზიანია,  
ვისზედაც რომ კარგი ვქმენი,  
მან შემიქმნა ზიანია;  
მტრისგან რღვეული სამშობლო,  
მე გავხადე გზიანია.

მთქმელი **ჯ. ქავთარაძე**.  
ჩაინწერა ნ. ხერკელაძემ კასპის რაიონის  
სოფ. ჩაჩუბეთში 1975 წელს.  
იმპროვიზაციები გ. სააკაძის თემაზე

## პოეტი აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი

სამშობლოს ორგულს და მოღალატეს,  
ვინც რომ განაგებს მეფის პალატებს,  
ზოგ ხელმწიფეს და მის ქვეშევრდომებს,  
და ყველა დი კაცს ცრუს და მედროვეს, –  
ერთად იყიდის ბერი თევდორე!

\* \* \*

როს აჩრდილი გაიელვებს,  
ველზე დიდი მოურავის,  
მარტყოფი და ტაშისკარი  
მის წინაშე ქედს კვლავ იხრის  
და... დილამდე უსმენს მტკვარი  
სააკაძის რაშის ჭიხვინს.

ვაჟა ეგრისელი

\* \* \*

მიაქვს სამშობლოს ბოღმა და დარდი,  
ქართული ხმალი და ჯვარი ვაზის,  
მისთვის ქცეული სალოცავ ხატად.  
და...  
საქართველოს ისტორიის უკუღმართ გზაზე  
ვით მამამისი, მარტოდმარტო მიდის პაატა.

\* \* \*

შენს დროშისფერს, შენს სიმაღლეს,  
ვით გიორგი და ვით ცოტნე,  
შეენირა სხვა ათასი.  
ქართლის ცაზე რომ ჰკიღია,  
მზე კი არა,  
თავი გახლავთ პაატასი.

\* \* \*

მოგონებები მიიკვამლება ერთანმინდისკენ  
მიღმა იკორთის,  
სამშობლოს ცაზე, შვილო პაატა,  
კარგი ჩანს დარი,  
მაგრამ წარსული გულს კვლავ მიკორტნის,  
როგორც ეკალი, ქუსლში ჩამტყდარი.

\* \* \*

ქართლში მოლას ხმა არ ისმის,  
და კახეთში არ ჩანს ელი,  
საქართველოს დგას ცისკარი,  
ლომგულ სააკაძეს ელის –  
მარტყოფი და ტაშისკარი.

\* \* \*

ოსმალეთი?  
არც სპარსეთი,  
საქართველო იყო შვება და იარა,  
იყო მისთვის ეკალიც და ყვაფილიც.  
სააკაძემ შარა-გზა გაიარა.  
მორჩა, იმ გზას სხვა ვერაფერს გაივლის.

\* \* \*

ეჭვი, ოთხი საუკუნე,  
ზარს არისხებს, როგორც მნათე...  
ველარ მოიხადა ვალი?!  
მაშ,  
ქართლს ღამეს რად უნათებს,  
ელვა –  
სააკაძის ხმალის.

\* \* \*

აგერ,  
ოთხასი წელი გავიდა,  
ოსმალს არა,  
ქართველი მოსდევს!!!  
ელვის უსწრფეს მიჰქრის იაბო  
და საუკუნის წყვილადს მიაპობს –  
სააკაძე და ბედკრული ნოსტე.

\* \* \*

სააკაძისაგან განწვრთნილნი  
ომებში ლომებრ ქცეულნი,  
შეთქმულან სრულიად ქართველნი  
სიტყვითა დაფიცებულნი,

აჯანყებულებს მოთავედ,  
ჰყავს დიდი მოურავია,  
მან თავი დასდვა ქვეყნისთვის,  
შვილიც სამშობლოს შესწირა,  
დიდია მისი ომები,  
მარადჟამს მოსაგონები.

მოყვასნო, ვისაც გინახავთ  
ჩემგან მტერი დამარცხებული,  
არ დაივიწყოთ რომ ქვეყნისათვის  
მეც ვიყავ თავდადებული.

რა ენამა ქმნა სიავე  
ავი მიზნისთვის ხმობილი,  
ჩემი ქვეყნიდან ტირილად  
რად ვიყავ განშორებული,

ირანში ჩაველ შაჰთანა  
მორჩილად მასთან ხლებული  
შემიქმნა საამო პირობა  
არ მოსამდური ყოფისა  
მაგრამ სამშობლო მიხმობდა  
მით ვიყავ სიამე კლებული.

მთქმელი **ნინო საკარაული**  
ჩაინერა გიგო ქენქაძემ სოფ. წილკანი 1935 წელს

\* \* \*

მუდამ ერიდებოდი  
პირად შურისძიებას,  
გულით მიესწრაფოდი  
ქვეყნის აღორძინებას.  
რადგან დიდი სურვილი  
და სინათლე ახალი  
სხვის გულს ანადგურებდა,  
როგორც ბასრი ლახვარი,  
მუდამ ქვეყნის ორგულნი  
გველებრ დასისინებენ;  
სიძულვილი დათესეს,  
კერა გამოგაცალეს;

დიდი ზრახვის ხორცშესხმა  
დიდ კაცს აღარ გაცალეს.  
საქართველო რომ იხსენ,  
მონმე მარტყოფის ველია;  
ადრე მოხველ რჩეული.  
წახველ დიდი წამებით,  
ზოგნი დღესაც გზომავენ  
შადიმანის თვალებით.

პოეტი **სანდრო შანშიაშვილი**

## გიორგი სააკაძეს

მეამაყება, რომ გიორგის მამულში გავჩნდი,  
რომ ჩვენს მიწა-წყალს სააკაძის ახსოვს გმირობა,  
საძმო უღელიც და ქვეყნისათვის ხელგარჯილობაც.  
ჩვენ სააკაძის ძეგლის გახსნით, გავხსენით გულიც  
და დიდ წამებულ წინაპართა შთავებრეთ სული.  
სინდისი მქეჯნის, გულიც მტკივა, რომ ამ დევკაცებს  
სიკვდილის მერეც ვერ ვუპატრონეთ, ვატკინეთ გული.  
მათ სიცოცხლეში არ ჰქონიათ არასდროს შვება  
და გულებს მათსას საქართველოს სიკეთე ება,  
მუდამ იცოდნენ, თუ მძვინვარე მტერი რას შვრება,



მამის საქმისთვის შენირული შვილი რომ კვდება.  
საქართველო განსაცდელში ბევრჯერ ყოფილა  
მამული ჩვენი, ისეც მცირე, მთლად დაყოფილა,  
მაგრამ ის დღემდე სხვისი მონა ჯერ არ ყოფილა,  
მის გმირთა გული არასოდეს არ გაყოფილა.  
სააკაძეს ბრძოლის ველზე წინ უძლოდა ქვეყნის გული  
და ამიტომ არასოდეს, არ მოსვლია თვალზე რული,  
არასოდეს შენელებია მას სამშობლოს სიყვარული,  
მუდამ ჰყავდა სალოცავად საქართველო მას ბედკრული.

**უშანგი მოსიაშვილი**

1985 წელი

ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## **გიორგი სააკაძეს**

იმისი ცოდვით ქვაც კი იწვისო  
შენზე ამბობენ გიორგი ჩვენში,  
ახ, ნეტავ მაშინ გაგერისკა და  
ქვეყნის გაძლოლა აგელო ხელში.

ვაგლახ, როგორ ვერ გამოვიყენეთ  
ნიჭი და ძალი მბორგავი შენში,

ეგებ განგება მიტომ შემოგვწყრა  
და მიგვატოვა უსიერ ტევრში.

არ გამოგიჩნდა ოდეს ტოლ-სწორი  
ქვეყნის ქომაგად იმ სასტიკ დროში,  
აფსუს, ვის დროშის ქვეშ დაგაყენეს  
ეგზომ საჭირო შენს სამშობლოში.

წყეულიმც იყოს, ვინაც შენ მაშინ  
არ გაგაჩერა საქართველოში  
და სულში ეკალგამოვლებული  
ხიზნად გაქცია მტრის საუფლოში.

სირცხვილი იმას, შენს ხსენებაზე  
ვის ენა ცუდად მოუტრიალდეს,  
ვინც ვერ გაუგოს შენს ტრაგედიას  
შენს შემართებას და იდეალებს.

**ტარიელ ზოზრაშვილი**

## ბერი თევდორე

ერისთვის წამებულო,  
კვერთა მკვეთელი,  
მწყემსო წვალებულო,  
თევდორე კველთელი.

ავტორი მოქანდაკე  
გიორგი ლარიაშვილი  
2014 წელი

## გიორგი სააკაძის

დავლით შესანდობარი  
იმ ძველი ბიჭებისაო,  
გიორგი სააკაძისა  
კიდევ რამდენი სხვისაო  
იცავდენ საქართველოსა  
არ ეშინდათ მტრისაო,  
ჯარი შეჰყარა გიორგიმ  
ნინ თავად მოუღვისაო,  
ოხირის ხევთან მტრის ჯარსა  
მზე დაუბნელდა ცისაო,  
ხოცა და ხოცა თათრები,  
ქსანი წითლადა დისაო.

მთქმელი ამირან ბაშარული  
2000 წელი

## გიორგი სააკაძის მონოლოგი ტარიელ ზოზრაშვილის ისტორიული პოეზიდან „მთაწმინდის სიგჷარი“.

როგორც კი მეფემ, კარის აზნაურს, მიბოძა რანგი მოურავობის,  
ამითვალწუნეს დიდებულებმა და უღვთოდ მასვეს შხამი მზაკვრობის,  
არ მამსახურეს სამშობლოს ღირსად, აგრე ბავშვივით რომ შეეხაროდი  
და დღით ყოველით სვეგამწარებით, ჩემს უსასტიკეს ბედთან ვდავობდი.

მე არ მოყვები მართლებას თავის, არც მითხოვია არცროს შენდობა,  
მე მსხვერპლი ვაგხდი უმადურ დროის, უკულმართობის შემხვდა ეპოქა,  
სამშობლოს ისევ ვაქციეთ ზურგი, ვერ მივალწიეთ ახლაც ერთობას,  
რას გახდებოდა მარტოდენ ხალხი, უმადურ კაცთა იყო მეფობა.

არ გავეცევივარ მამულს ლაჩრულად, მე გა-მა-ძე-ვეს ავისმქნელებმა,  
ჩემებრი ბევრი ახსოვს სამშობლოს, როგორ დაგესლეს შხამით გველებმა,  
ვინც მსახურებდა დიდ იდელებს, ნათელს რომ ჰყვენდა ქვეყნის შენებას,  
თავისუფლების ვინც წნავდა გვირგვინს, დროს კარნახობდა და ამშვენებდა

ქებას მასხავდნენ სპარსეთს, ოსმალეთს ტალახს მესვროდნენ საქართველოში,  
უმადურობის ქროდნენ ქარები და გრიგალები ჩვენს საუფლოში,  
ო, რა ძნელია და სანამები ხმლის ტრიალი და ყოფნა სხვის ომში,  
აფსუს! ვის დროშის ქვეშ დამაყენეს, აგრე საჭირო ჩემს სამშობლოში.

რომ მდომებოდა მანტია მეფის, მე მას მარტყოფში მოვიზომებდი,  
დიდებულნი კი მფლიდობდნენ ამით და მოჰყვებოდა ჭორებს ჭორები,  
თორემ სამშობლოს ჩემსას მომხვდურებს უფრორე მწარედ მოვაგონებდი,  
და საგამზრდელოს რამდენ სიავეს, სუსხსა და ავდარს ავაშორებდი.

არ გამიკარეს, არ მომასვენეს, ნიადაგ მდგარი ქვეყნის თეოზე,  
შემოალენეს მუხას ტოტები და სვავნი დასხდნენ ხმელ კენწეროზე,  
მე კი ლალატად ის ჩამითვალეს, რაიც არ მინდა ახლაც მჯეროდეს,  
როგორ თუ ფიქრი გავივლე გულში, ერთიან, ძლიერ საქართველოზე.

ხან ბაზალეთი გამომიგონეს, მარაბდას მკორტნეს შამთაისრებით,  
ქვეყნის მარცხზეც კი წავიდნენ ფლიდნი, ოლონდ ჩაკელათ ჩემი მიზნები,

მხოლოდ და მხოლოდ სასამშობლოო, კუპრში გადმიგდეს ოქროს ფიქრები, გადამინისლეს ცისარტყელები და საოცნებო დიდი სიზმრები.

ბევრ რეგენს ჩვენში დღესაც ჰგონია ბაზალეთში მე ვინვნიე მარცხი. სად გადმონთხა მთელი სიცხადით ქვეყნის ორგულთა ბოლმა და ღვარძლი, იქ ჩაესვენა საქართველოს მზე და იმედები ქართველი ხალხის, ვინ იტყვის სრულად მწარე სიმართლეს იმა სისხლისღვრის და იმ სიმზაკვრის.

და ახალდროის მოკალმეთ ახლა ჩემი ძეგლებიც კი არ ასვენებთ, მაგრამ ნეტავი ბრძოლად ჩემს გვერდით გაირჯებოდნენ ვითომ ასევე? ისე უბრალოდ მოვუსვამთ კალამს, ამოჩემებულს ისე ვახსენებთ, დაუფიქრებლად ამოვსვრით ლაფში და სამარეშიც არ მოვასვენებთ.

შვილო პაატა, შენს ხსენებაზე ახლაც მოსთქვამენ ქართველის დედები, იმ მიზნისთვის კი, რომც გამიცოცხლდე, ხელმოვრედაც გაგიმეტებდი, წუთიც არ გქონდათ ოჯახს სიმშვიდის მთელი ცხოვრება ჩემი ქმედებით, ისიც შეშურდათ, ჩვენც დაგვეყოფა მკერდს ტკბილმშობლიური მიწის ბელტები.

სამშობლოვ ჩემო, რწმენავ და ხატო, ჩემს პირს შემხმარო სამარის პირზედ, შენ უწყი მხოლოდ აგრე მდუმრიად შენთვის რა ცეცხლის ლოდები ვზიდე, ასე უწყალოდ ჯვარზე გაკრულმა რა სისხლისღვრები გაშორე კიდეც, შენს სადიდებლად ვბრძოდი და ვთრთოდი, არ გამივლია გულში სიფლიდე.

თვით ჯოჯოხეთზე უარესია, უმადურობა დაგვევდეს მარად, სამშობლოსათვის სანთლად ინვოდე, მათხოვრად იქცე მისთვის სხვის კარად, მერე სამშობლო მოგექცეს ასე, თვის საზიანოდ, მტრის გასახარად, ვერ დაიმარხო საგამზრდელოში, უცხო მიწად კი ეგზომ გულმკვდარად.

### ტარიელ ზოზრაშვილი

## პეტრე ხიზამბარელის მოგონებებიდან.

როდესაც შაჰ-აბასი, საქართველოზე დაპყრობით ომებს გეგმავდა და ახორციელებდა, ირანიდან საქართველომდე 900 კილომეტრია. ასეთი მანძილი მტერს აფიქრებინებდა, ყოველი კუთხით თადარიგი დაეჭირათ, როგორც სურსათ-სანოვავის სახით, ასევე სარეზერვო ცხენების სახით, რადგან ომებში ცხენებიც იხოცებოდნენ, ამ საფუძველზე შაჰს, ყოველ მეორე ირანელ მეომარზე, სათადარიგოდ ორი ცხენი ჰყავდა გამოყოფილი. თუ ერთი ცხენი გამოვიდოდა მწყობრიდან მეორეთი სარგებლობდნენ. ამ საფუძველზე მარტყოფის ველზე, ირანელ მეომართა ცხენების რაოდენობა 45000 ათას შეადგენდა.

რადგან გ. სააკაძეს, ყორჩიხა-ხანზე, შთაგონებით, რომ კახეთის მოსახლეობა შაჰის ჯარებისაგან ღრმად დათრგუნვილია, და ველარც დიდ წინააღმდეგობას შესძლებენო, ქართლის მოსახლეობა კი შეუპოვრობას გამოიჩინოსო, ამ მხრივ უკეთესია, ირანულმა ჯარმა, კახეთის მხარეს მარტყოფის ველზე დაიბანაკოსო. ყორჩიხა-ხანს მოეწონა სააკაძის წინადადება და ირანულმა ჯარმა ალაიანის ველიდან მარტყოფის ველზე გადაინაცვლა.

ყორჩიხა-ხანს, და დანარჩენ სარდლებს ჰქონდათ ისტორიული გამოცდილება იმისა, რომ ქართველები ქრისტიანულ დღესასწაულებზე მტრებთან საბრძოლო ვითარებებს არ აგრძელებდნენ, თან იმ ხანებში ახლოვდებოდა „ხარების“ დღე, ასეთი მოვლენა ყორჩიხა-ხანს აძლევდა საშუალებას, თავიანთი ცხენებისთვის უნაგირები მოეხსნათ და დროებით თავისუფალ მდგომარეობაში ჰყოლოდათ. რაც ქართველთა ნისქვილზე ასხამდა წყალს, იმ მხრივ რომ გიორგი სააკაძის სტრატეგიული გეგმით, როდესაც, კარავში მჯდომი ხუთკაციანი ჯგუფისაგან ირანელთა სარდლები განადგურდებოდა, ამავე დროს – ქართველთა სპეციალურ რაზმებს, ირანელთა კარავებისაგან მოშორებით განლაგებული უუნაგირო 45000 ათასი ცხენი უნდა მოესხლიტათ ბანაკიდან და კახეთის მხარეს გაერეკათ.

ყველაფერი ნათელი იყო, უსარდლებოდ და უცხენებოდ დარჩენილი ირანელთა ჯარი, ქართველთა შეტევისაგან, რა განწირულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა.

პეტრე ხიზამბარელი იგონებდა, ქართველებს ორი კვირა დასჭირვებიათ კახეთის მხარეებში, გაფანტული ირანელთა ცხენების თავმოყრისთვისო.

## ვის ეხადება ეჭვი

გიორგიმ შვილი სამშობლოს შესწირა,  
პაატა... ჩვენდა გადასარჩენად...  
ვის აქვს სადაო, ვის რა ეწყინა,  
ან რას უდებენ ღალატს სარჩულად,  
მსხვერპლად სარდალმა იხსნა მამული...  
ქრისტიანობა... ძეგლი, მითები...  
გადაგველაპავდნენ ვითარც ხრამული,  
ნუ გებადებათ ეჭვით კითხვები.  
მოაზროვნეთა სწორ შემფასებელს,  
ღმერთმა უბოძოს გიორგის ხმალი,  
იმედს ვერ ვხედავ ჯერ სასესხებელს,  
კვლავ ვერ დავლიე მე ფსოუს წყალი.  
ასეთი გმირი ო, როგორ მინდა,  
მსხვერპლათ თუ გინდა თავი მომკვეთოს,  
მიწებს გვინწკნიან კვლავ ყოველმხრიდან,  
და აღარ ცნობენ მტერს და მოკეთეს.  
იძულებული ვტოვებთ მამულებს,  
ლუკმა პურისთვის რას არ ვაკეთებთ,  
მკლავს სამაჩაბლოს ხილვის წყურვილი,  
და აქეთ-იქით თვალებს ვაფეთებ.  
სამშობლოს იმედს ნისლები ფარავს,  
ერთი სხივი კი რამდენს განვდება...  
შემოვიგროვოთ დაშლილი ფარა,  
თორემ ქართველი ერში განყვება.

*გულნაზი ხარაიშვილი*

## ზოგადი საუბრები ბატონ ბივი ჯამბურასთან

ბატონ გივი ჯამბურასთან, საქართველოს ისტორიის და განსაკუთრებით, გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შესახებ, სატელეფონო საუბრები ხშირად მქონდა, ეს თემა მისთვის ძალზედ სათუთი, სახალისო და ტკივილიანიც იყო. ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე მსჯელობა მისთვის მუდმივი აღმაფრენა, ზრუნვა და დარდი იყო. მისგან მთელი ამ ხნის მანძილზე ერთი უხალისო სიტყვაც არ მახსოვს. ხშირად უთქვამს, აგერ ოთხი საათი გავიდა, ჩაის დალევაც დამავინწყდაო. დიდი დანაკლისი იქნებოდა, იმ სულმნათი, პეტრე ხიზამბარელის მოგონებები უკვალოდ დაკარგულიყო, ალბათ, ღვთის ნება იყო, შენი მასთან გაცნობა, იმდენად საჭირო და ძალზე საინტერესო არგუმენტები ჩამოგიყალიბდა, გ. სააკაძის მოღვაწეობის შესახებ წიგნი რომ არ დაგენერა, დიდი შეცდომა იქნებოდა. შესაძლოა მაგ შენს წიგნში დიდი გასამრჯელო ფულადი სახით ვერ მიიღო და რადგან ისტორიულ მოვლენებში განსაკუთრებით გ. სააკაძის ეპოქაში, საკმაოდ დამაჯერებლად ერკვევი, ვალდებული ხარ შენს ქვეყანას ამითაც ემსახუროვო. ბატონი გივის მოსაზრებები ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. მისი სიტყვების ინტონაციაში უძირო სევდა იდგა, ამას ჩემი ინტუიციით ვგრძნობდი, იგი, როგორც ისტორიკოსი და ქართველი, გულდამძიმებული ჩანდა, ბევრი ისტორიული გმირების, თავისავე თანამემამულეებისაგან, უსამართლო მოპყრობისაგან. ბატონ გივის ასაკი ჰქონდა, მაგრამ აზრობრივი დალლა მას არასოდეს შესტყობია.

მახსოვს უთქვამს, საკმაო ხანი ვისაუბრეთ, ანალიზებიც სათანადო გავაკეთეთ, ახლა ერთი საათი შევისვენოთ, და შემდეგ გავარგძელოთ ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე საუბრები.

მე ვფიქრობდი, ჩემი კითხვებით ადამიანი გადავღალე, იქნებ მეტიც მომდის, მას ხომ სხვა საქმეებიც ექნება, შესანიშნავი პიროვნებაა, შეკითხვებზე უარს არ მეუბნება, მე კი ისევ ჯიუტად ვანუხებ, ბატონ გივისთან როგორც შევეთანხმდი, იმ

ერთი საათის გასვლის შემდეგ არ დამირეკია, ვფიქრობდი უკეთ დაისვენოს, ხვალ ამ დროისთვის დავრეკავ, და უკეთესად დასვენებული დიდხანს ვისაუბრებთქო. რომ გასულა ერთი საათი და მეტიც, იგი ჩემს ზარს ელოდებოდა, შემდეგ თვითონ შემხმია, უკვე საყვედურის ტონით, მკითხა, შესაძლოა ახლა დრო არ გაქვს და სხვა საქმით ხარ დაკავებული? არა ბატონო გივი არა, სხვა საქმით ნამდვილად არ ვარ დაკავებული, რადგან თქვენ შენიშვნა მომეცით, სხვა დროს აღარ განმეორდება, ჩემგან, აღნიშნულ დროზე თქვენთან გადმორეკვა.

კარგად იფიქრე, გ. სააკაძის ეპოქა ჩვენს ისტორიაში ერთერთი ურთულესი დრო იყო. მარტო მოვალეობის მოხდით თუ დაინერა წიგნი, ასეთი წიგნის შინაარსს ნაძალადევი ელფერი გადაეკვრება და ძალიან ცოტა მკითხველი წაიკითხავსო. ამ შენს წიგნში გულისა და სულის ნაჟური უნდა ჩანურო, კარგი წიგნი მკითხველს ღამეებს გაათევიანებსო.

მე გ. სააკაძის შესახებ მოგონებებში პაპა გიორგი (გორა) ხერკელაძისაგან ბავშვობაში ბევრი მქონდა მოსმენილი. მან განსაკუთრებული სიამაყით, ქარჩოხი ქსნის-ომის შესახებ იცოდა საუბარი, სადაც ქსნის ხეობის მეომრებთან ერთად ხერკელაძეებიც იბრძოდნენ.

ნაუკითხავი არ დამრჩენია, რაც ქართველ ავტორთაგან გ. სააკაძის შესახებ დანერვილა, ამ საფუძვლებზე იმ ეპოქის შესახებ ჩამომიყალიბდა ჩემი მოსაზრებები.

ხშირად ვახერხებდი წერას, რომ დავწერდი 10 ან 15 თაბახის ფურცელს, იმ დროს გამომიჩნდებოდა სხვა საქმე, შეიძლება უმნიშვნელო იყო ის ახალი საქმე, მაგრამ ყურადღება სჭირდებოდა, ასე ვინყებდი და ვანებებდი წერას თავს.

2006 წელს, ტრავმირებული გავხდი, გამახსენდა ნოსტელი პეტრე ხიზამბარელის მოგონებები, რომელსაც სამხატვრო აკადემიაში სტუდენტობის დროს, 1971-77 წლებში კასპის რაიონში, სოფ. გარიყულაში პრაქტიკების დროს ვინერდი. ორი წელი სახლიდან არ გამოვსულვარ, ჩემი წიგნის გარშემო სრული ხუთი წელი ვიტრიალე. წერის დროს, რასაც მტკივნეულად განვიც-

დიდი, ეს პიროვნება შადიმან ბარათაშვილი იყო. 1609 წელს ტაშისკარის ომით გამარჯვებული ქართლი, წარმატებული სამეფო გახდა, ამ წარმატების საფუძველი კი გ. სააკაძემ შექმნა, სწორედ ამ გამარჯვების საფუძველზე შაჰ-აბასმა მიიწვია, როგორც მოკავშირე, ქართლის მეფე ლუარსაბ II ირანში.

ირანში ჩასულმა ლუარსაბ II-მ შაჰს, თბილისში დაბანაკებული ირანული ჯარის გაყვანა მოსთხოვა, შაჰმა ეს მოთხოვნა ქართლის მეფეს შეუსრულა. ამ მოთხოვნის შესრულება, შაჰისაგან იძულებითი იყო. შაჰ-აბასისთვის ცნობილი იქნებოდა ის მოვლენა, რომ ქართლის სამეფოში, პატრიოტული სულისკვეთება გ. სააკაძის გარშემო იყრიდა თავს. ეს კი იყო ძირითადი მიზეზი, შაჰს გ. სააკაძის წინააღმდეგ ემოქმედა, როგორც თავისი გეგმების მოწინააღმდეგე, მოესპო. ასეთმა მოვლენამ შაჰ-აბასს საერთო ენა მოანახვინა შადიმანთან. ეს იყო ძირითადი მიზეზი, შაჰისა და შადიმან ბარათაშვილის დაპირისპირებისა დედით ბარათაშვილ გ. სააკაძესთან.

ასეთ ვითარებაში მახსენდებოდა ჩვენი უდიდესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელიც ამბობს, მარტყოფი საქართველოს გადარჩენაა, მარტყოფი გ. სააკაძის ბედისწერაა და სხვა დანარჩენი, წვრილმანი კაცუნების მონაჭორიაო.

ამ ვითარებებში ბატ. გივი ჯამბურია, ტელეფონში ჩემს გაბზარულ ხმას ისმენდა და თვითონ დამშვიდებული მეც მამშვიდებდა. ნუ შეგაკრთობს, შადიმანზე ასეთი მიმართება, ეს ისტორიული სიმართლეა, ეგეთი მარტო ეგ ადამიანი იყო, ნიკოლოზ ბარათაშვილს ამით ერთი ბენვის ღერიც არ ჩამოუვარდება, ოდნავი ნიავის შეხებაც კი ახლოს ვერ მიეკარება, ის ჩვენთვის, ქართველებისთვის, არა მარტო უდიდესი პოეტია, არამედ უსპეტაკესი, ღირსებით სავსე პიროვნებაა. მარმარილოსავით წმინდაა და სუფთაა და მსოფლიო პოეტთა თანავარსკვლავედში ბადრი მთვარესავით კაშკაშებს.

იყო კიდევ საჩინო ბარათაშვილი, სიმონ I მეფის თანამებრძოლი, შეიძლება ითქვას გ. სააკაძის ზნეობრივი კუთხით აღმზრდელიც

## ბ. სააკაძის ქახილი

ქართლის მიწა ჩოხის კალთით დამქონდა,  
მისთვის ღამე მითევია თეთრად,  
სხვა მიწაზე შავი მერნით დავქროდი  
და ჩემს მკერდში საქართველო ფეთქავდა.  
მარჯვენა და ხმალი ერთად მიჭრიდა,  
ნინ მიძლოდა ჩემი მიწის ხატება,  
განსაცდელში ჩავარდნილს თუ მიჭირდა,  
მასზე ფიქრი ძალას მომიმატებდა.  
მაგრამ როცა დამიღენეს ბექთარი,  
ჩემი ხელით გადავტეხე მახვილი  
ო, გული კი მანდ დავტოვე მფეთქავი,  
დაჭრილი ვარ, გესმით ჩემი ძახილი?  
ნოსტეს ციხევ ნისლი მოგიხვევია,  
სამშობლოში გშვენის ხელგაშლილობა,  
ღრუბელი რომ ციდან მოგიხვევია,  
მაგ ღრუბელით დამიფარე ჭრილობა.  
დაისრული ორჯერ ცრემლით გაგშორდი,  
გამწირეს და მოლაღატეს მადარეს,  
ჩემი ხმალი, სისხლიანი ნაბრძოლი,  
სამშობლოში არწივს გამოვატანე.  
მხოლოდ ქარი არის სევდით მფანტავი,  
გვერდით ძმები სისხლით შენაფიცარი,  
სხვა მიწაში მტანჯავს ჩემი საფლავი  
და ღალატით ჩანგრეული ფიცარი.  
ამომიღეთ, მთები გადამატარეთ,  
მკერდზე მწველი ამაცალეთ ისარი,  
ქართლის მიწა გულზე გადამაყარეთ,  
იქ წაიღეთ ჩემი კუბოს ფიცარი.

ოთარ მამფორია

## ომის ჰოჯები

მარადისობის ქართული რკალი  
ჩაეხატება სამყაროს კალთას,  
დარჩება როგორც ომის მწვერვალი,  
ციალი ქარქაშდაკარგულ ხმალთა.  
და როცა თვალთა მკრთალი ფირუზი  
დაიტევს რისხვას მრავალწლის სისხლის,  
ერისთავის და სააკაძის  
გამძვინვარება აქამდე ისმის.  
გადახატულა ეს მიწა ცაზე,  
იქ ჩანს ბრძოლათა წითელი ჭორფლი,  
და სააკაძის უძლეველ ხმალზე  
ავარდა სისხლის მდულარე ორთქლი...  
საუკუნენი გაცვდება მერეც,  
კამათიც ხშირი იქნება ჩვენი,  
მაგრამ იმ დროებს ისევ აღწერენ  
მარად ქართული მატყინენი...

სერგი ლომაძე,

პოეტი, საზოგადოება „ზღვარის“ წევრი.  
მარტყოფობა, 7 აპრილი.  
ხარების ბრწყინვალე დღესასწაული.

## მარადიული მეზრძოლი

ნარსულის მტვერი, დაფენილი ფიქრების თაროს,  
გამომწვევია მოგონების ტკბილ-მწარე შუქის,  
ჩემი სამშობლოს ოქროსფერო, მზიანო დარო,  
უგვიანდები ხშირად იმათ, ვინც თვის გულს გჩუქნის.  
მე ახლაც მესმის გიორგ – გმირის ხმლის ლალი ჟღერა,  
ხმალი მტკიცეა, უფრო მტკიცე: მზერა – ლითონი!  
ბრძოლა ესმოდა, ვით გონაშვილის – ჰანგი, სიმღერა,  
ედგათ ქართველის მტრებს ბნელი დღენი, უამინდონი...  
არ შეიძლება სააკაძეს ქება არ ვუთხრათ,  
მარტყოფისათვის სტრიქონი არ ავახმიანოთ,  
და ამ სტრიქონებს სინანულსაც მიტომ დაფურთავთ,  
უღვთოთ განგდევნეთ, ჩვენო დიდო ადამიანო!  
შენ ესწრაფოდი საქართველოს ერთიანობას,  
ქართული სულის ციურ სიღრმეს მუდამ ყვარობდი,  
შენს უბედობას, ალბათ, თავად ღმერთიც ნანობდა,  
თუმც ქარი იყავ და საკუთარ ბედზეც ქარობდი...  
მარადიული მეზრძოლების რიგს შეუერთდი,  
თვით ნაპოლეონს, მაკედონელს, აქილევსს, ჰექტორს,  
შენთვის სიცოცხლეც და სიკვდილიც არის სულერთი,  
მხოლოდ ბრძოლის ჟინს, ვაჟკაცობას, სამშობლოს ვერ თმობ!..

*კახა ბაცოკაძე,*

*საზოგადოება „ზღვარის“ წევრი.  
2015 წელი, 7 აპრილი, დღე – ხარება, მარტყოფობა.*

## ამონარიდი ტარიელ ზოზრაშვილის ნიბნიდან „დიდი ქართველები“

*კვირის პალიტრა 2008 წელი. თბილისი*

### გიორგი სააკაძის ტრაგედია (1570 -1629 წწ.)

საქართველოში სააკაძეთა გვარის შთამომავალნი დღენიადაგ მეფისა და ქვეყნის სამსახურში იყვნენ. გიორგის მამაც, სიაუშ სააკაძე, თბილისის მოურავი იყო თავის დროზე. მეფეთა მიერ გაცემული სიგელ-გუჯრები ადასტურებს ყოველივეს უტყუარად, მაგრამ მეფის აზნაურობა არ კმაროდა, რომ სააკაძენი გასტოლებოდნენ ძირძველ თავადობას, სათოფეზე არ იკარებდნენ მათ ბარათაშვილები, ციციშვილები, ჯავახიშვილები. გამარჯვებულნი ამ ქიშპობაში კი მუდამ ისინი გამოდიოდნენ, რადგან სახელმწიფო მართვის სადავენი მათ ხელში იყო და მეფეთაც მიმოარწევდნენ თავიანთი სურვილისამებრ.

1609 წელს ტაშისკართან ლუარსაბ II-მ და გიორგი სააკაძემ უდიდესი სირცხვილი აგემეს რიცხვმრავალ ოსმალთ მხედრობას და „მოსრნა სრულიად სულიერი მათი ყოველი“. პირველად აქ ჩავარდა დიდებულებსა და სააკაძეს შორის შურისა და ბოღმის მარცვალი, რომელიც შემდგომ ზვავად გადაიქცა. ზეიმობდა საქართველოს ერთგული დასი, მოსვენება დაკარგეს დიდგვაროვანმა თავადებმა – მეფის გარემოცვამ. შავი ღრუბელი შემოსდგომოდა უხილავად და ავის მომასწავლებლად სააკაძეთა საჯიშარს.

განსაკუთრებით გაბრწყინდა ამ ომში დიდი მოურავის პიროვნება, რამაც შურით აღანთო ქართლის ძირძველი თავადობა. ამას მალე ისიც დაერთო, რომ ლუარსაც II-მ ცოლად შეირთო სააკაძის და. ეს კი უკვე მეტისმეტი იყო. შეურაცხყოფილმა დიდგვაროვნებმა მეფეს პირდაპირ მოსთხოვეს, სასახლიდან დაეთხოვა და განშორებოდა დაბალი წრის მეუღლეს

და მისი ძმა, დიდი მოურავი, ფიზიკურად გაენადგურებინა. საამისოდ მათ ბერუკა ჯავახიშვილი წარუდგინეს მეფეს: შაჰთან კავშირი აქვს სააკაძეს, შენი გადაგდება უნდა ტახტიდან და შენი პაპის ძმისწულის, ხოსრო მირზას გამეფება აქვს გულს ამოჭრილი თავნება მოურავსო.

საიდუმლო სერობა წავკისს შედგა, 1612 წელს, ვარდობისთვის 20-ს. მერყევი მეფე ლუარსაბის საზაფხულო რეზიდენციაში დაიბარეს გიორგი სააკაძე. ყარაიის ველებზე სანადიროდ იწვევდა მეფე დიდ მოურავს, სწორედ აქ უნდა გამოეტანათ მისთვის სასიკვდილო განაჩენი შეთქმულთ. შეთქმულება სახლთუხუცესმა ბააკა ხერხეულიძემ გასცა. სიცოცხლის ფასად დაუჯდა იგი მოურავის ერთგულს.

პირველად მეფე უარზე დადგა, ვერ დაუჭერავო მოურავს მეფისა და ქვეყნის სამსახურს. ამასვე იმეორებდა ყველასთან დედამისიც, მარიამ დედოფალი, მაგრამ თავადების სიჯიუტემ თავისი გაიტანა, მაინც მოდრიკეს და დაიყოლიეს ბოლოს ჭაბუკი მეფე ლუარსაბი, დასტური მიეცა მათთვის მოურავის თავიდან მოცილებაზე.

გიორგიმ მსწრაფლ გაქუსლა ნოსტეს ცოლ-შვილის გადასარჩენად.

პირველი უმადურობა და უგუნურება ლუარსაბ მეფისა. მოვლენები კი ელვისებურად ვითარდებოდა. გაშმაგებული შეთქმულნი ნოსტეს მიუხტნენ მოურავს შადიმან ბარათაშვილის ხელმძღვანელობით. გიორგიმ ერთი ფეხით გაასწრო თავადთა ლაშქარს, რომელმაც მიწასთან გაასწორა მოურავის მამულები და ცეცხლს მისცა მისი ციხე-კოშკები... და იწყებოდა სააკაძის ტრაგიკული ოდისეა.

მისაქციელთან ელოდა არაგვისპირელთა გამგებელი, ნუგზარ არაგვის ერისთავი სიძესა და ქალიშვილს. აქედანაც სულზე გაასწრეს ოტებულებმა მდევართ. თვალცრემლიანი, გულდაკოდელი განემორა საყვარელ სამშობლოს სახელოვანი სარდალი და ირანში ჰპოვა თავშესაფარი.

უზომო იყო შაჰის სიხარული, იცოდა რა მარგალიტი

ჩაუვარდა ხელში, თუმც გარეგნულად არ იმჩნევდა „ერანის ლომი“ ამას.

უმალ გაბრწყინდა სააკაძის გენია ყიზილბაშთა დროშის ქვეშ და იმდენი გაკეთდა, ოცნებაშიც რომ არ ღირსებია საყიზილბაშოს. სააკაძის ფეხქვეშ დაირეცა ინდოეთი და ავღანეთი, გიორგიმ კისერი მოუგრიხა ბაღდადს. გამარჯვებას გამარჯვება მოსდევდა – ვისთვის სასიხარულო, ვისთვის კი სანუხარი. მოურავი კარგად გრძნობდა, რომ ეს მომძლავრებული გრიგალი, ადრე თუ გვიან, საქართველოს დაატყდებოდა რისხვად. მისი გამარჯვებანი სამზადისი იყო უდიდესი მიზნისაკენ მიმავალ გზაზე და თანდათან თავის აზრს თავს ახვევდა გაიძვერობასა და ეშმაკობაში გამორკინულ შაჰ-აბასს. მაგალითი წინ ჰქონდა სააკაძეს, თავისი დიდი სეხნიის, გიორგი ბრწყინვალესი. ქართველთა აჯანყება შაჰის წინააღმდეგ ამოეჭრა გულს მოურავს.

„გურჯისტანის საკითხის“ საბოლოო გადაწყვეტა არ ასვენებდა „ერანის ლომს“. ვერა და ვერ აისრულა სანადელი. მანამდე ხომ ოთხჯერ ილაშქრა (1614-1617 წწ.) შაჰ-აბასმა ქართლ-კახეთში და სასტიკად ააოხრა აღმოსავლეთი საქართველო.

შაჰ-აბასისა და სააკაძის დაპირისპირებაში გამოჩნდა სწორედ დიდი მოურავის გონიერება, დიპლომატიური და მხედართმთავრული ნიჭი, მოვლენების ჭვრეტის უტყუარი ალლო, უნარი და გამჭრიახობა. ვიდრე შაჰი ეტყოდა, თვით დაასწრო – კარი მომეციო საქართველოს დასამორჩილებლად, ხმამაღლა განუცხადა შაჰს. დიდი ხნის ნაფიქრალმა გაამართლა, მაინც აჯობა სააკაძის ჭკუამ ვერაგი შაჰისას. იძულებული შეიქნა სააკაძის წინადადებას დასთანხმებოდა. გაცხადდა გასაცხადებელი, მაგრამ ბოლომდე არ ენდობოდნენ ერთმანეთს პატრონ-მსახური. ერთგულების ნიშნად, შაჰმა სააკაძეს მისი უმრწემესი ვაჟიშვილის, პაატას მიძევლად დატოვება შესთავაზა.

პირველი დიდი შეცდომა შაჰ-აბასისა ის იყო, რომ დას-



ტური მისცა სააკაძეს საქართველოში გამოლაშქრებისა და უფრო დიდი შეცდომა, როცა მთელი საქართველოს მტრად და მესფლავედ დაიგულა იგი. საოცრად დიდი სახელი გაუვარდა სააკაძეს ერანელთა ლაშქრობებში, მასზე სიმღერებსა და ლექსებს თხზავდნენ, დილიდან საღამომდე ქუჩებსა და მოედნებზე გაჰკიოდნენ ეგზალტირებული მესიტყვენი თუ მემუსიკენი, ქება-დიდებით ამკობდნენ, ერთმანეთში არეულიყო ტყუილ-მართალი. მერე ეს ხმა საქართველოსაც მისწვდა და გადაედო. შიშმა და ძრწოლამ აიტანა ქართველი დიდებულები და უფრო მაშინ, ოდეს გაცხადდა, სააკაძე საქართველოსკენ დაიძრაო ერანელთა მხედრობით. მთელი ძალით ამოქმედდა ქართველ თავადთა აგენტურა სააკაძის სახელის გასატეხად.

...და მოდიოდა სააკაძე სალაშქროდ გუშინდელი მტრის ჯარით თავისი სამშობლოს წინააღმდეგ. მოდიოდა და ფიქრობდა ათას საფიქრალს. მავანმა უნდა წარმოიდგინოს მის ადგილას თავისი თავი. მოდიოდა გიორგი ორი მიზნით – ერთი შაჰს ეკუთვნოდა, მეორე – საქართველოს. საგულდაგულოდ ინახავდა სააკაძე ყველაზე დიდ საიდუმლოს. მხოლოდ ორ პიროვნებას გაუმხილა განაზრახი, – ერთი წილკნელი ეპისკოპოსი იყო, პართენი, რომელსაც ეს ერანშივე გაანდო და მეორე, ცოლისძმა ზურაბი – საარაგვოს ერისთავი, საქართველოში.

აგენტურა შაჰს საქმის კურსში აყენებდა ქართველთა საეჭვო საქმიანობის გამო.

წუთითაც არ აცილებდა მზერას არწივულს სააკაძეც, რა ხდებოდა ერანში და მკაცრად აკონტროლებდა იქით თუ აქეთ ამბის წამლებ-წამომღებთ. მავანს კი შემთხვევითობა ჰგონია დღესაც მარტყოფის ომის წინა დღეებში ლოჭინის ხევში სააკაძის მიერ ნადირობისას შაჰ-აჰასის მალემსრობლის შეპყრობა. სააკაძის მოკვლასა და ქართველთა საბოლოოდ აყრა-გადასახლებას უბრძანებდა წერილში ყორჩიხა-ხანს, ირანელთა მთავარსარდალს შაჰი. წერილის შინაარსი უმაღლესად სააკაძემ დავით ჯანდიერს, ზურაბ ერისთავსა და

ქართლ-კახეთის დიდებულებს.

ურწმუნო თომების გასაგონად კი ვიტყვით, რომ სააკაძის ხელში ამ წერილის ჩავარდნა შეიძლება მართლაც იყო შემთხვევითობა, მაგრამ ისტორია და ჭეშმარიტება ხომ ის არის, რაც მოხდა და არა ის, რა შეიძლებოდა მომხდარიყო.

ამ წერილის შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი ბრძანებდა: „თუმცა არა ეხილა მოურავს წიგნი იგი შიკრიკისა, აყრილმცა იყო ქართლი, გარნა იხსნა ღმერთმან ერი თვისი ესრეთ“.

1625 წლის 24 მარტის უჩვეულოდ დაძაბული ღამე.

ზურაბ ერისთავმა და დავით ჯანდიერმა ფიცი დადეს, რომ დათქმულ დროზე ეახლებოდნენ სააკაძეს მარტყოფის მიდამოებში. სააკაძე და მისი ოთხი მსლგებელი, შვილი ავთანდილი, თავადები პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და გლეხი პაპუნა ვაშაყაშვილი მტრის ბანაკში არიან.

საუკუნოდ ქცეული ღამე.

ვარსკვლავნი ნელ-ნელა გაიკრიფნენ მარტყოფის ცის კაბადონიდან. ხუთი თავგანწირული ქართველი 30 ათასი ერანელის წინააღმდეგ.

გიორგიმ კარვის კალთა გადასწია ფრთხილად, ლომური მზერა მოავლო მიდამოს, შორიდან გამომზირალ სამეფო პალატის წმინდა გიორგის ეკლესიას, მერე ღმერთს შეავედრა ქართველობა და საქართველო.

– ვაითუ არ მოვიდნენ... – უნებურად ტვინს უღრღნიდა მოურავს კითხვა.

– არა, მოვლენ! – ჩასძახოდა ხმა იდუმალი ლომგულს.

ბედის სასწორზე მერამდენედ შეგდებული საქართველო. ერთი არასწორი ნაბიჯი და ყველაფერი წყალში ჩაიყრებოდა, მაგრამ ეს იყო სააკაძის გეგმა. გათვლებში კი არასოდეს შემცდარა აქამდე დიდთა საქმეთა შემოქმედი. დათქმულ დროზე მოისმა ქართული ბუკ-ნალარის ხმა.

ჯერ ხუთი ქართველი უნდა შეებოდა ურიცხვ ყიზილბაშს. მსწრაფლ გადაკოცნეს ერთმანეთი იარაღსხმულეებმა, კარვიდან გამოიჭრნენ და...

დიდგორის გამეორება ისახებოდა საქართველოს მონის-  
ლულ ცაზე. დაძაბულობამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ნე-  
ტავ თუ ისურვებდა სააკაძის მონინალმდეგეთაგან მეექვსედ  
ყოფნას გიორგის გვერდით რომელიმე მათგანი მაშინ?

ორიოდ წუთში 7 რჩეული ერანელი სარდლის თავი და-  
გორდა ხუთი ქართველი დევგმირის თვალწინ. დაბნეული  
ყიზილბაშები ვიდრე გონს მოვიდოდნენ, ქართველებმა ყი-  
ჟინა დასცეს მათ ბანაკებს. მიმწუხრამდე გასტანა ბრძოლამ.  
ქართველთა არნახული გამარჯვება. 3 ათასმა ერანელმა  
ძლივს გაასწრო სამშვიდობოს. 27 ათასმა რჩეულმა ერანელმა  
მებრძოლმა კი სამუდამო განსასვენებელი პოვა მარტყოფის  
მინაზე. უმნიშვნელო იყო ქართველთა ზარალი.

ზეიმობდა საქართველო, გლოვის ზენარი მიიზღაზნე-  
ბოდა საყიზილბაშოსკენ. დიდგორი მარტყოფად ქცეულიყო,  
აღმაშენებლად – სააკაძე.

დუმდნენ მოურავის პირადი მტრები, ქვეყნის ორგული  
თავადები, დარცხვენილნი და ქედადრეკილნი, გაბრუებულ-  
ნი და დამეხილნი.

მაღე მთელი აღმოსავლეთი საქართველო განმინდა სააკა-  
ძემ ყიზილბაშთაგან. შურისძიების ბოლმა ახრჩობდა აქამდე  
დაუმარცხებელ ირანის ძლევამოსილ შაჰს. განრისხებულმა  
მძევლად დარჩენილ პაატა სააკაძეს თავი მოჰკვეთა და მამას  
გამოუგზავნა.

არაფერია ქვეყნად ისეთი ძვირფასი, ნამდვილმა მამულიშ-  
ვილმა სამშობლოსათვის მსხვერპლად რომ ვერ გაიღოსო,  
შვილის წარკვეთილი თავის ხილვისას უთქვამს სახელოვან  
ქართველ სარდალს. ნეტავ რას იტყოდნენ მისი მონინალმ-  
დეგეები მის ადგილას?

გაოცებული წერს მარტყოფის ეპოპეის შესახებ სპარსელი  
ისტორიკოსი ისქანდერ მუნში. ამასვე ადასტურებს თურქი მე-  
მატიანე მუსტაფა ნაიმაც. ამასვე ვკითხულობთ ე.წ. „პარიზ-  
ის ქრონიკაში“, რომელიც 1903 წელს გამოიცა ზ. ჭიჭინაძის  
რედაქციით.

40 წლის განმავლობაში ასეთი მარცხი არ მოსვლიაო  
ირანის შაჰს, აცხადებდა თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფე-  
ჩევი.

როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომ? სააკაძემ  
კარგად იცოდა, შაჰი მარტყოფის ტრაგედიას დიდხანს ვერ  
შეურიგდებოდა და იმავე წლის ივნისის თვეში 50-ათასიანი  
ლაშქრით შემოესია კიდევ საქართველოს. 20-ათასიანი ქართ-  
ველთა ლაშქარი ელოდა ირანელთა ურიცხვ მხედრობას.  
ქართველთა სამხედრო საბჭომ თეიმურაზ პირველი დანიშ-  
ნა სარდლად. პირველი დიდი შეცდომა ვითომდა სააკაძის  
გამოსაჯავრებლად!

მეორე და უფრო დიდი შეცდომა ის იყო, რომ უარყო-  
ფილ იქნა სააკაძის გეგმა, რომლის მიხედვით ქართველობას  
მარაბდის ვინროებში უნდა გაემართა ბრძოლა სპარსელებთ-  
ან და არა მარაბდის სიციხით გათანგულ გამლილ მინდორზე.  
მხოლოდ ბაადურ ციციშვილი იზიარებდა სააკაძის გეგმას.  
მარაბდის ბრძოლა ჩვენი მარადის სანუხარი, ქართველ თა-  
ვადთა სიჯიუტითა და უნიჭობით არშემდგარი გამარჯვება.  
ქართველებმა ხელიდან გაუშვეს შანსი კვლავაც ეჭმიათ  
სირცხვილი ყიზილბაშებისათვის. შაჰ-აბასმა შეძლო ქართ-  
ველთა დამარცხდება მარაბდაში და რევანში აიღო მარტყოფ-  
ში დამარცხებისათვის. 9 ათასი ქართველი ვაჟკაცი და 15  
ათასი ერანელი დაეცა ბრძოლის ველზე. ამჯერად ზეიმობდა  
ყიზილბაშობა, გლოვობდა ქართველობა.

საკაძე პარტიზანულ ბრძოლაზე გადადის და მოსვენებას  
არ აძლევს შაჰ-აბასის მხედრობას. სისხლი გაუშრო მოურავ-  
მა „ერანის ლომს“ და 120 ათასი რჩეული მებრძოლიდან 60  
ათასი გაუნყვიტა 7 რჩეული სარდლითურთ.

ამის შემდგომ კიდევ უფრო დაიძაბა ვითარება თეიმუ-  
რაზსა და სააკაძეს შორის. მთელი ძალით ამოქმედდა თავად-  
თა დასი. გადამწყვეტი საიდუმლო სერობისათვის ამზადებდა  
მეფესა და დიდებულებს ამ სცენარის მთავარი შემოქმედი  
შადიმან ბარათაშვილი.

ბაზალეთი შადიმანის ყველაზე დიდი, ვერაგული ნაბიჯის შედეგი იყო, სადაც პირადულმა ამბიციებმა კიდევ ერთხელ იზიმა საერთო-საქვეყნო საქმეზე.

ან ახლა, ან არასოდეს! – ასეთი იყო დიდგვაროვანთა საბოლოო მიზანი. შედეგი კი მათთვის ორივე შემთხვევაში მისაღები იყო, მეფე დამარცხდებოდა თუ სააკაძე.

ქართველებმა უნდა დაღვარონ ქართველისავე სისხლი.

თეიმურაზ I ვერაგობასა და მოლაღატეობაში ტოლს არ უდებდა შაჰ-აბასს, ბოლო დროს კი ძალზე ეჭვიანი გახდა ყველასა და ყველაფრის მიმართ, რასაც ბევრი ღირსეული მამულიშვილი და საქვეყნო საქმე შეეწირა. მან ღალატით მოაკვლევინა ქაიხოსრო ომანაშვილი (ჩოლოყაშვილი), რომელმაც მეფეს შემოუმტკიცა და დაუმორჩილა მთელი დაღესტანი. მერე არც თავისი სიძე დაინდო – მარტყოფის გმირი ზურაბ ერისთავი, საფურცლის ქალაში დაიბარა, თავი მოკვეთა და შაჰს გაუგზავნა. დააქვრივა საკუთარი ქალიშვილი და დააობლა შვილიშვილები. ამასვე უპირებდა იგი ზაალ არაგვის ერისთავს, ზურაბის ძმისწულს (ბახტრიონის აჯანყების სულისჩამდგმელს). თეიმურაზმა პირად ამბიციებს გადააყოლა უდიდესი ეროვნული საქმე, რომლის მოთავედ შესაძლებელი იყო თვით გამხდარიყო და ხელიდან გაუშვა ეს შანსი სააკაძის ფენომენის გამოუყენებლობით. ნაცვლად იმისა, მარტყოფის გამარჯვება გაეგრძელებინა, შაჰ-აბასის წინაშე ქედი დაიდრიკა და პატიება სთხოვა გარდასულ წყენათა გამო. ამას მოწმობს ის ამაზრზენი წერილი, მან რომ შაჰს გაუგზავნა, – გავიყრი ყურში მონობის რგოლს და ამიერიდან ოდნავადაც აღარ გადავუხვევ მონობის გზასო. და ამ წერილს სწერს იმ შაჰს, რომელმაც დედამისი ქეთევანი ასე უღმერთოდ აწამა, ორი მცირეწლოვანი შვილი მოუკლა, ქართლ-კახეთის თავზე ცოდვის არნახული კალო გალენა. არავითარი თავმოყვარეობა, არავითარი პასუხისმგებლობა მეფისა ერის და ქვეყნის წინაშე!

სიცოცხლის ფასად დაუჯდათ ლუარსაბსა და თეიმურაზს

რაზს სააკაძისთვის ღალატი. ლუარსაბი საბლით მოახრჩვეს სპარსელებმა 1622 წელს სპარსეთში, 30 წლისა. თეიმურაზმა კი შაჰისაგან უაღრესი დამცირების (პირსახეზე ღვინის შესხმის) შემდგომ უსახელოდ დაასრულა სიცოცხლე, – პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ხელი აიღო, 1661 წელს ბერად აღიკვეცა, მალე კი თავისივე სურვილით შაჰს ეახლა სპარსეთში, სადაც აღესრულა კიდევ ასტრბადის ციხეში 1663 წელს, 74 წლისა.

„რაც შეეხება სააკაძეს, მას არც შაჰის ერანი ეხატა გულზე და არც ხონთქრის ოსმალეთი. იგი აღმაშენებლის მოდელის პიროვნება იყო – თანმიმდევრული, დღენიადაგ დაძაბული, მარად და ყველგან მთავარი იდეით შეპყრობილი – ერთიანი საქართველოს ხილვის მოსურნე“ (ჯანსუღ ღვინჯილია).

დავუბრუნდეთ კვლავ ბაზალეთს.

საკაძე ცდილობდა, გაეგო, ვისთან იქნებოდა ხალხი: ქვეყნის გამაერთიანებელ ძალებთან თუ მეფესთან.

ბაზალეთის ომი იმიტომ კი არ იყო უბედურება, რომ დიდი მოურავი დამარცხდა, არამედ იმიტომ, რომ „ჩაიშალა ის დიდი საქმე, რომელსაც სააკაძემ თავისი უზარმაზარი ენერგია შეაღია და ურომლისოდაც საქართველოს განთავისუფლება-გაძლიერება შეუძლებელი იყო“ (ლევან სანიკიძე).

ამ ომში ისეთი არაფერი ყოფილა, რაც არ მომხდარა სხვაგან. გავიხსენოთ დიდი თუ პატარა ცივილიზებული ერების ისტორია: განა უარესი არ ხდებოდა საფრანგეთში, გერმანიაში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, ინგლისში თუ სხვაგან? ამგვარ ბრძოლებში ირკვევა და იკვეთება, რა გზით უნდა წავიდეს ქვეყანა, ხალხი.

ეს იყო სამოქალაქო ომი, რომლის მსგავსი ბევრი ახსოვს საქართველოს ისტორიას.

როგორც პროფესორი რევაზ ბარამიძე ბრძანებს: „ბაზალეთში გამარჯვებით კი თეიმურაზმა დაკარგა ტახტიც, თავიც და ქვეყანაც“.

სამშობლოში დარჩენის ყოველგვარი შანსი გადაეწურა სააკაძეს ბაზალეთში მარცხის შემდგომ. დიდი ქართველი სარდალი და მამულიშვილი სამუდამოდ გადაიხვეწა ოსმალეთში. მას მერე აღარ უნახავს სამშობლო. გულდაკოდილი ვაჟკაცურად იტანდა უსამშობლოობას, სხვის კარზე კვლავაც უმადურ სამსახურს. ბოლოს იძულებული გახდა მაჰმადიანობაც მიეღო. მან სამშობლოს შესწირა დედა, ცოლ-შვილი, ძმები და საკუთარი სიცოცხლეც, რითაც ქართველობა იხსნა საბოლოო გადაშენებისაგან და რაოდენ სანყენია, ასე უმადურად რომ მოექცა მას სამშობლო!

აღსრულდა გულბოროტ თავადთა ჩანაფიქრი და საქართველოს მოუკლეს გიორგი სააკაძე, ოსმალეთში რომ პოვა სამუდამო განსასვენებელი 1629 წელს. იმავე წელს აღესრულა თვით შაჰ-აბას I.

სამწუხაროდ და ჩვენდა სავალალოდ, ძალზე ღრმად ჩაჰკირვია დღემდე ქართველი კაცის გონებას და არჩილ მეფის პირით ნათქვამი:

„ასრე სჭირს საქართველოსას, დიდებულთ განა მცირეთა,

აღზევდებიან იტყვიან: „უჩემოდ ვინ იმღერეთა?“

კაცი სჯობს საქმე კეთილი, ანგაარ, მოგულძვირეთა“.

მივადექით მთავარ სათქმელს, როგორ შევაფასოთ გიორგი სააკაძის ნამოქმედარი, – დადებითად თუ უარყოფითად? რა ბრალდებებს უყენებს მას მონინაალმდეგეთა ბანაკი?

1. არ უნდა წასულიყო ირანში მაინც, ვითომ დიდი გულშემატკივრობით ამბობენ მისი ოპონენტები. ჩვენ კი დავძენთ, რომ ეს ბოზოქარი, ეული, თვისსავე სამშობლოსაგან აგრერიგ უმონყალოდ დევნილი და გულდაკოდილი პიროვნება ლტოლვილად ვაქციეთ, – მშობლიური მიწიდან კი არ წასულა თავისი ნებით – გავაძვეეთ. ჩვენმა უახლესმა ისტორიამაც შემოგვინახა სამწუხაროდ და სავალალოდ მსგავსი მაგალითი.

დიდ მოურავს, გამოდის, რომ პირდაპირ კისერი უნდა

მიეშვირა მოშურნე თავადების ხმლებისთვის. მათ ხომ სამშობლოში ცალ-ცალკე უნდოდათ საკუთარი სამეფო;

2. როგორ გაიმეტა და დაუტოვაო შვილი მძევლად შაჰ-აბასს;

ხედავ, მკითხველო, როგორ „ჭირისუფლობენ“ მოურავს და მის უმრწემეს ვაჟიშვილს მოურავის თანამედროვე თუ ახლანდელი ოპონენტები, რა სივერაგე და საზარელი თვალთმაქცობა გამოსჭვივის ამ ნათქვამიდან? ნეტავ რას იქმოდნენ ისინი მაშინდელ სიტუაციაში? ჰქონდა მას უკეთესი გამოსავალი?

3. მეფობა სურდაო. განა იყო რამ ძალა, რომელიც მარტყოფში გამარჯვების შემდგომ მას წინააღმდეგობას გაუწევდა. იგი ხომ ყოველგვარი სისხლისღვრის გარეშე, ზარზეიმით მოირგებდა სამეფო სკიპტრასა და სამოსელს. იგი ხომ მარტყოფის ომის დამთავრებისთანავე ეახლა გონიოს ციხეში რუსეთში გასამგზავრებლად გამზადებულ თეიმურაზ I-ს, ჩამოიყვანა მცხეთაში და თავისი ხელით დაადგა თავზე ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს გვირგვინი სვეტიცხოვლის ტაძარში. ამ გადასახედიდან გამომდინარე, რაც სააკაძის დაღუპვის შემდგომ აღმოსავლეთ საქართველოში დატრიალდა, ეგებ სჯობდა კიდევ გადაედგა მოურავს სამეფოდ ნაბიჯი. ისტორიამ განა ცოტა იცის მსგავსი ქმედებების დადებითი შედეგები;

4. რად მიიღო მაჰმადიანობა, თუ თავისი ქვეყნისათვის კარგი სურდა და მოღალატე არ იყოო. მაშინ, რატომ არ წარმოიდგენენ ისინი ასევე მოღალატედ ბაგრატ VII-ს, არჩილ II-ს, ვახტანგ VI-ს, როსტომ მეფეს, სიმონ II-ს, გიორგი XI-ს, რომელნიც მტრებმა, მათი ჭკუით, გაამაჰმადიანეს? რატომ მიიღო კათოლიკობა დიდმა სულხან-საბამ, ნუთუ ასე ძნელია ამის გაგება? გული ხომ არ გამოუცვლიათ გულმხურვალე მამულიშვილებს?! გული კი ყველაზე მტკიცე თავისუფლებათა და ხელშეუხებელი. მათ ხომ სიკვდილამდე ჩაუქრობელ სანთლად ენთოთ ამ გულებში უღალატოდ, ფარულად, სამშობ-

ლოს სიყვარული;

5. რენეგატი და კონდოტიერი იყო. რენეგატი, მოგეხსენებათ, რწმენაგამოცვლილს ნიშნავს, კონდოტიერი – დაქირავებულს, რომელიც გასამრჯელოს გამო მზადაა იბრძოლოს ყოველგვარი საქმისათვის და ეშმაკს მიჰყიდოს სული. სააკაძემ ხომ ყველაფერი ანაცვალა სამშობლოს ერთიანობისა და თავისუფლების ზნემაღალ იდეალებს. თუ დაუძინებელი მტერი იყო ქართლ-კახეთისა, რატომ დაუდგნენ ისინი გვერდით სააკაძეს მარტყოფში აჯანყებისას?! ჩვენში კი აგრერიგად შესამჩნევი იყო და ახლაც ასეა, – ერისკაცსა და სამშობლოს შუაში ჩადგება თვის ნაჭუჭს იქით ვერგამხედო კაცუნა, დღენიდაგ იმის ფიქრშია, როგორ მიჩქმათლოს გმირის, ჭემარიტი მამულიშვილის ნამოქმედარი და უსინდისოდ თვით მიიწეროს;

6. როგორ თუ ხმალი აღმართაო მეფის წინააღმდეგ სააკაძემ. თავადებმა ხომ ბაზალეთი საგანგებოდ გამოიგონეს, როგორც ბოლო საშუალება სააკაძის სახელის გასატეხად და ფიზიკურად მოსასპობად ან უკიდურეს შემთხვევაში, სამშობლოდან გასაძევებლად. მეფის ხმლის მოქნევას თეიმურაზის ცხენზე ლახტის დაკვრით არ უპასუხებდა მოურავი და ხმლის ერთი მოქნევით მოუკლავდა ქვეყანას მეფეს.

რაც დრო გადის, უფრო და უფრო იზრდება სააკაძის საქმეთა დამნაზავ-შემფასებელთა რიგები, ვისაც სწორად ესმის დიდი მამულიშვილის თავდადება ერისა და სამშობლოს წინაშე.

გავიხსენოთ ვინც ქებით მოიხსენიებენ და დადებითად აფასებენ სააკაძის ნამოქმედარს: პლატონ იოსელიანი, ანტონ ფურცელაძე, ილია, ვაჟა, აკაკი, სიმონ ქვარიანი, ვასილ ბარნოვი, ტიცვიან ტაბიძე, სანდრო შანშიაშვილი, კოლაუ ნადირაძე, გიორგი ლეონიძე, სტალინი, ნიკო ბერძენიშვილი, კორნელი კეკელიძე, ალ. ბარამიძე, მიხეილ ჭიაურელი, ირაკლი აბაშიძე, ივანე გომართელი, დავით გვრიტიშვილი, გივი ჯამბურია, მერაბ ბერძენიშვილი, ჯანსუღ ღვინჯილია, ლევან

სანიკიძე, ნოდარ ასათიანი, როსტომ ნიორაძე, დევი კაჭარავა და სხვ.

უცხოელები: ისქანდერ მუნში, ქრისტოფორო დი კასტელი, ანდრეა გრიფიუსი, ანა ანტონოვსკაია და ბორის ჩორნი, მუსტაფა ნაიმა, იბრაჰიმ ფეჩევი და სხვ.

დიდი ილიას თქმით, „გულდაჯერებით საღიარებელია, რომ სააკაძის მოუსვენარი და მღელვარებისაგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა განსაცვიფრებელი და გამაოცებელი“.

აკაკი: „ძველად ჩვენში გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა... ვაგლახად „ახალკაცებს“ არ გაიტოლებდნენ... ამ გულკოიტობამ დაღუპა საოცარი გმირი სააკაძე და მასთან ერთად საქართველოც“.

ვაჟა: „შვილის სიკეთე მშობელს შეჰპურდეს, ნამდვილ მშობელსა ეს ეკადრება?... ჩემო ქვეყანავ, ჩემო სიცოცხლევ, არ გეკადრება, არ გეკადრება“.

განა დღესავით ნათელი არ არის, როგორ უმადლიან ჩვენი კორიფეები დიდ მოურავს ღვანლს.

ახლა პლატონ იოსელიანს მოვუსმინოთ: „XVII საუკუნის საქართველო, შურით და გაუტანლობით აღვსილი საქართველო, მეფეთა მოღალატეების სათარეშო საქართველო, არ იყო ღირსი დიდი მოურავის დიდი გიორგი სააკაძისა“.

ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ტყუილად არ უნოდა ერმა სააკაძეს „დიდი მოურავი“. სამშობლომ იცის, ვინ მოიხსენიოს გამორჩეულად ზედსახელით.

მარტოსული იყო. მიუხედავად ამხელა ავტორიტეტისა, არასოდეს გაამპარტავებულა, არ გადიდკაცებულა, არასოდეს გახვეულა ილუზიების მაცდუნებელ მანტიამი, მიზანსწრაფული იყო და განონასწორებელი, დიდი პოლიტიკოსი და სარდალი. ყველგან და ყველაფერში შურსა და მტრობას სიკეთით პასუხობდა, შემნდობი იყო და დიდსულოვანი, ღირსეული შვილი

## **მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება „გიორგი სააკაძე“**

ნიჭი უდიდესი საჩუქარია, ღვთისაგან იგი ჯილდოა და ხშირად სასჯელიც. მაგრამ მარტო ნიჭის იმედით ვერ მიიღწევა სრულყოფილი ხელოვნების ნიმუში, თუ მის ავტორს სისხლში და გონში არ გასდევს, მოუშუშებელ ტკივილად, სამშობლოს ისტორიული ყოფა, სწორედ ასეთი თვალთაა დანახული მერაბ ბერძენიშვილის მიერ გიორგი სააკაძის გამოვლილი ცხოვრება, მასზედ ნაფიქრი და მის გონებაში თავშეფარებული, რომელიც ნეტარ-მწარე სიტკბოდ ხელოვანის სულს ეპკურება წვეთ-წვეთად. მისი მგრძობიარე სული ღრმად ჩამწვდომია გ. სააკაძის დროის მწუხარებით სავსე ლაბირინთებში, და ასეთ ნასათუთებ ხედვას ქანდაკების სახით გვანვდის.

მ. ბერძენიშვილის ქანდაკება „გიორგი სააკაძე“ ტაშისკარის ომიდან ოსმალელებზე გამარჯვებული, გამოქროლილად მოვარდნილი, მოძრაობაში წამიერად შეჩერებული, ეზიდება ხმალს, რომელიც სიმონ I მეფისაგან გადაეცა, გ. სააკაძემ ჩაიხუტა, ეამბორა, მერე მძლავრ მარჯვენაში ჩაიბლუჯა, და სიკვდილამდის ხელიდან აღარ გაუშვია, მისი ფილტვები ქანდაკებიდან ისევ მძლავრ ქურასავით სუნთქავს, ისე როგორც ბრძოლის ველებზე ქარიშხლებს აყენებდა, მტრის მეომრები შემოდგომის ფოთლებივით იფანტებოდნენ. მ. ბერძენიშვილის შემოქმედებითი სული სააკაძის კაეშნიანი ცხოვრების ყოფით შემოსულა, ჩაგულისგულებულა და კაცბედაურის ერთობლივ მუხტად შერწყმული ქანდაკებადაა აღმართული. ქანდაკების ყოველი დეტალი, ნიუანსი, დინა-

მიკა, სიმძაფრე. მ. ბერძენიშვილის ნასათუთარი მარჯვენით, ლოცვად ნალოლიავებ შიდა არსში ჩაქსოვილი, ტაშისკარის, მარტყოფის, მარაბდის და ქსნის ომებით, საომარი სუნით გაჟღენთილია.

მ. ბერძენიშვილის გ. სააკაძის ქანდაკებაში, სისხლის ნალვერდლებზე გამოვლილი ომების ავტორის ფოლადივით მტკიცე ნებისყოფა იკითხება, იკითხება ისიც, რომ მის გაფიცხებულ სიცოცხლეს თანამემამულეებმა მზის კარი მიუხურეს რომ ადამიანთა არსებობა წუთისოფელში ისევ გრძელდება, გ. სააკაძის წამებული, ქარიშხლიანი წარსულის ასახვა შემოქმედის მარჯვენას ელოდებოდა, რაც ბატონ მერაბ ბერძენიშვილის მიერ განცდილი მისი გონების დანახარჯით უნდა შექმნილიყო, ასე იყო ნაკარნახევი უზენაესისაგან!

**ნიკო ხერკელაძე**

**მხატვარი პუბლიცისტი**

**ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი**

\*\*\*

ოთხასი წლის წინ ქართველთა ლაშქრობამ ტაშისკართან „დიდი ძლევა“ მოიპოვა ოსმალთა და ყირიმელ თათართა ლაშქარზე, ლუარსაბ მეორისა და დიდი მოურავის „გიორგი სააკაძის“ გამჭრიახობამ და შემართებულმა ბრძოლამ ტაშისკარის გამარჯვება შამქორისა და ბასიანის წარმატებების ბადალი გახადა.

**როინ მეტრეველი**  
**ისტორიკოსი, აკადემიკოსი**

\*\*\*

გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო სახელი რომ გაითქვა და გმირული სამსახური გაუწია სამშობლოს. სწორედ ეს საოცარი კაცი ვეღარ აიტანეს დიდებულებმა და მოუხდომეს დალუპვა.

**აკაკი წერეთელი**

\*\*\*

გიორგი სააკაძე იყო დიდი სახელმწიფოებრივი მოღვაწე და დიდი მხედართმთავარი, რომლის ხელმძღვანელობით წარმოებულ იქნა უმაგალითო გმირული ბრძოლების შედეგად, აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა. ქართველმა ხალხმა ჯეროვნად დააფასა გ. სააკაძის ღვაწლი და მას „დიდი მოურავი“, დიდი სააკაძე უწოდა.

**ისტორიკოსი, პროფესორი**  
**გივი ჯამბურია**

## **ჰეი წუთისოფელო!** **მერაბ ბერძენიშვილს**

მარტყოფი და მარაბდა,  
ორი სიტყვა გვაოცებს,  
გაკრული ხარ სამშობლოს,  
თუ სხვის სასაკლაოზე!..  
არ დაგიდევს არავინ,  
შვილის თავის მოკვეთას,  
მტერი არ დაგელია,  
შირვანთან თუ ნოსტესთან!..  
ჰეი! წუთისოფელო,  
კაცის ბედზე დაცინვავ,  
ჯერ არ ჩამოქცეულო,  
საქართველოს ცარგვალო.  
ბაზალეთთან იმ შავ დღეს,  
ისე ძლიერ განვიმდა,  
თითქოს მოწყდა პლანეტა  
უზარმაზარ სამყაროს!..  
სად ხარ ახლა თეიმურაზ,  
თავადებო ქართლისა,  
საქართველოს გიორგი  
დღეს თბილისში დასჭირდა!..  
საქართველოს გიოგი  
არ ლალატობს არასდროს.  
საფერებო მამულო,  
სატკივარო მარადო!..  
ერთმანეთის მტრობით და  
ერთმანეთის გინებით,  
სხვის მიწაზე კვდებიან  
საქართველოს შვილები!..  
ჩვენო დედა ბუნებავ,  
ასე რად ხარ ტანჯული!

რად ეხურა ქართველ კაცს  
ქუდი არაქართული.  
ჰეი! წუთისოფელო,  
კაცის ბედზე დაცინვავ,  
საქართველოს გიორგი  
დღეს თბილისში დასჭირდა!..

*ბადრი ქუთათელაძე*

## გიორგი სააკაძეს

ქართველი რომ ხარ გიორგი, ამიტომ გაგიჭირდა აღდგომა,  
გულნამცეცობა სხვებისა,

თორემ ვინ გიორგი და განდგომა?

შენი ხატი იყო გიორგი დავითიანი საქართველო.

დღეს დავითიანია გიორგი შენი და ჩვენი საქართველო.

დაღლილი კი ბრძანდები გიორგი მაინც არ მოხუჭო თვალი,  
დედას უპატრონოს, ამაგდარს ხომ შვილების არის ვალი,  
თორემ დავითის დროს, ხომ იყო დავითიანი საქართველო,  
თორემ თამარის დროს, ხომ იყო თამარიანი საქართველო,  
შვილები ხომ გასწირე გიორგი,

რომ გადარჩენილიყო საქართველო,

დედას მოუფრთხილდი გიორგი ერთადერთია საქართველო?

*ნუგზარ შინჯიკაშვილი*

*2015 წელი, 7 აპრილი, ხარების დღესასწაული, მარტყოფობა*

## გიორგი სააკაძეს

შენი ცხოვრების, სიცოცხლის გზაზე,  
ოი... რამდენჯერ გატკინეს გული.  
რამდენჯერ დგახარ სიკვდილის ზღვარზე,  
წილად გერგუნა ცხოვრება რთული.  
ღრმა აზროვნებით სახავდი მიზნებს,  
სიმართლე იყო სულის საყდარი,  
წინასწარ სჭვრეტდი მტრის ჩანაფიქრებს,  
მამულს იცავდი ბრძენი სარდალი.  
შადიმანები გიჭვრეტდენ შურით,  
უსაზღვრო იყო მათი ფლიდობა.  
შენ საქართველოს იცავდი გულით  
და გამარჯვება ცამდის მიგქონდა.  
შენს დანახვაზე კრთოდა მტრის ჯარი,  
ვერად უძლებდნენ მრისხანე თვალებს  
გულს გიჯანლავდა სამშობლოს ჯავრი,  
ვერ გამშვიდებდა შუქმნათი მთვარე  
ერთგულებისთვის გაგხიზნეს ურცხვად,  
ჩამოგილენეს რამდენჯერ ქერი.  
გაიყოლიე ტკივილი ურვა,  
სიმწრისგან ჩეხე ურიცხვი მტერი.  
ვერ აიტანეს შენი დიდება,  
ღალატი ბევრჯერ გაგემეს მწარე.  
ქართველს არასდროს დაავინყდება,  
პაატას ცრემლით ნამღერი „ლალე“  
ავად ბჟუტავდა ცხოვრება მრუმე.  
საქართველოს ცას ძაძები ეცვა.  
პაატას მკერდზე ეხატა თურმე,  
საქართველო და ქართული ზეცა.  
თითქოს ეს იყო ახლახან გუშინ.  
მარტყოფის ველზე წიოდა ქარი  
და იმ დროის უკულმართობით  
შვილს დასტიროდა გულ-მკვდარი ქალი.



სამშობლოს გულში ინვოდი ჩუმად,  
ვით ხატების წინ ინვის სანთელი  
დედამინაზე დადის ლეგენდად,  
შენი გმირობის დიდი სახელი.

*ლამზირა შეყილაძე  
„მარტყოფობა“ 2015 წელი  
7 აპრილი, ხარების დღესასწაული*

### **გიორგი სააკაძის გახსენება**

ჰკა მაგასაო დასძახეს შეთქმულთ  
არ დაახანეს დრო და ჟამია  
მიუხდნენ უმალ მოურავს კარზე  
ცეცხლს მისცეს, ოფლით მონაგარია.  
    მოძულეთ შურდათ მისი დიდება  
    ფიცხელ ომებში რომ მოიხვეჭა  
    და სამშობლოდან დევნილი გმირი  
    შორეულ სპარსეთს გადაიხვეწა.  
და მხოლოდ ხალხმა უბრალო ხალხმა  
ვინაც გიორგის ომები ნახა  
მათ სააკაძის, მართალი სახე  
ჩვენს შთამომავალთ შემოუნახა.  
    ვინაც სამშობლოს უზრდიდა შვილსა  
    ქართული ჰანგით ურწევდა აკვანს  
    შრომით დაღლილი ჩამოგიჯდება  
და წვრილად გეტყვის გიორგის ამბავს.  
ვინაც ხელს უწვდის ქვრივს და შაოსანს  
გულმოდგინედ სწავლობს ვეფხისტყაოსანს.  
ვინაც გულში იხუტებს ქრისტიანულ რწმენას  
და ლოცვით ავედრებს, უფალს ჩვენს რჩენას.

*ჟ. ერიაშვილი  
1966 წელი, თბილისი*

2010 წელს, პირველად, გამოცემა „უნივერსალმა“ გამოსცა ჩემი წიგნი „ცრემლში ნალესი ხმალი“. ეს ლექსი – „გიორგი სააკაძის გახსენება“, ხელნაწერის სახით მოთავსებული იყო ერთ-ერთ წიგნში, რომლის ავტორი ჟ. ერიაშვილია.

### **აღსდექ გიორგი**

დიდო სარდალო, როგორ შეძელი,  
მძლევად, რომ შახთან დატოვე შვილი.  
ეს იყო ჯვარცმა იყო ქვესკნელი,  
ან რად გონიათ მავანთ ადვილი.  
გახსენებითაც გული მიკვნესის,  
ამ თავგანწირვას, ნისლი რად ფარავს...  
ახლაც შავ ზღვაში უცხო კვლავ ხვნიშის,  
სანაპიროზე სხვა იშლის კარავს.  
ნეტავ სარდალო, ნამოგახედა,  
ქარი ჯიუტად როგორ ბატონობს...  
მჯერა შექმნიდი უთაო მხედავრს,  
კვლავ ჩვენ მინებს რომ დაეპატრონო.  
ღვთის პოეტები, დიდი მწერალი,  
მზეს მოაფენდა დარდის ნაპირებს...  
აჭიხვინდება ტატოს მერანი,  
თავისუფლებას გავიაპრილებთ...  
ო, მოურავო ბრძოლის ველია,  
კრუხი წინილებს მწარედ დანივის, –  
ამის აღწერა მართლაც ძნელია,  
აღსდექ! გვჭირდება მხსნელად არწივი.

*გულნაზ ხარაიშვილი*

### **გიორგი სააკაძეს**

გიორგი! გუგუნებს მარაბდა,  
გიორგი! მღელვარებს მარტყოფი,  
გიორგიმ მახვილი აღმართა  
და სთქვა: ქართველნო, დამოყვრდით!

გიორგი მუხლებზე დაეცა,  
 გიორგი გულითა სტიროდა,  
 გიორგის, ღვთისმშობლის კანედთან,  
 ვით უფალს, ცრემლები სდიოდა.  
 გიორგი გოლგოთას შეუდგა,  
 მამული - ჯვარისა მტვირთველი,  
 შობილი მარადის მეურჩად,  
 სივრცის და სილალის ფრინველი.  
 ნასახი მითიურ ღვთისშვილად,  
 თანმდევი მზითა და მთვარეთი,  
 მტერო ძლევად მან ხმალი იშიშვლა,  
 სულთ „ხმალი ცრემლებში ნალესი“.  
 სატანა ახვევდა საფარველს,  
 ღალატით, მუხთალი მოყვრების,  
 გიორგი იგებდა „მარაბდებს“  
 უცხოეთს გადახდილ ბრძოლებით.  
 გიორგი! სულლუმი კიოდა,  
 გიორგი! მოგიკლეს შვილები,  
 სამშობლოს პაატა სტკიოდა,  
 ვით სული მზიური ლილეთი,  
 მოზარე ქართველთა გულებით,  
 ქართველთა სისხლით და სხეულით,  
 გმირთ ხსოვნით კლდენ დანაღმულები,  
 ცის ცრემლით შლილნი და რღვეულნი.  
 ის მოკლეს მოძულე გულება,  
 ლტოლვილი მშობლიურ მიწიდან  
 და მაინც მარადის ბრუნდება,  
 ვით ხსოვნა ქართველთა ფიცისა,  
 ვით ხსოვნა ფერფლიდან აღდგომის  
 ფენიქსებრ, დრო-სივრცის შლილობით,  
 მიწით და ციური ტატნობით,  
 მამულზე შეწირული შვილობით.

**გურამ გედევანიშვილი**  
**28 აპრილი 2016 წ.**

## პაატას მხრებზე

ფულისთვის კი არა...  
 განძისთვის კი არა...  
 ხარკისთვის კი არა...  
 ხათრისთვის კი არა...  
 ალაჰს ემსახურა მამა ქართველი.  
 სად არ იარა,  
 სად არ იომა,  
 სად არ აწვიმდა,  
 სად არ ათოვდა,  
 არ იკარებდა ქართველი სათოფედ!  
 ენატრებოდა მცხეთა და მარტყოფი,  
 გულმა ვერ გაუძლო მარტოყოფნას,  
 თმათა სითეთრე თმის წვერით ივარცხნა  
 და მამულს შესწირა საკლავი კი არა,  
 სხვა მკლავი კი არა,  
 პაატას მხრებზე დაკლული სიცოცხლე.

**ბეჟან ხარაიშვილი**

## გიორგი სააკაძე

ზოგმა სამშობლოს სიყვარულს,  
 მთლად დაანურა ფიალა,  
 ზოგმა კლდეკარი გაყიდა,  
 თავისი სოფლებიანად.  
 სამშობლოს დიდო სარდალო,  
 შენ, საქართველოს კარიბჭევე,  
 შენ სააკაძე გიორგი,  
 შვილი გასწირე – არ იმჩნევ.  
 შვილი – პაატა გასწირე,  
 სამშობლოს დედის ძუძუში,  
 ყორჩილა-ხანი ალაგმე,  
 თავის ერთგული სარდლებით.

საბედისწერო სასწორი,  
იყო მარტყოფი, მარაბდა.  
სამოცდაათიათასი სპარსი,  
სულ გაუწყვიტე შაჰ-აბასს.  
მტერს გაუფანტე იმედი,  
ერს მოუშუშე იარა,  
სამშობლო წამოაყენე,  
ვით დაზაფრული ხვიარა.  
შურიანობა აღზევდა,  
ჭირმა შეგიკრა იარა,  
ახლა სტამბოლის ომებმა,  
შენს მხრებზე გადაიარა.  
მტრის საბუდარში სიცოცხლის,  
გადაგინურეს ფიალა,  
სად წევხარ, რომელ საფლავში,  
თუ ზეცამ აგაფრიალა.

*ცისანა უტარაშვილი*  
15.12.2015 წ.

### **იქნებ დრო არის**

მძიმე ჟამის დროს, შაჰ აბასმა,  
სიმკაცრით ბრძანა:  
პაატს სისხლით გადაღებეთ,  
მთელი სპარსეთი...  
თავი მოკვეთეთ...  
გაატანეთ მოციქულს თანა,  
ღალატისათვის, ძღვენი იცის  
შაჰმა ასეთი.  
გავიდა წლები...  
გვეკითხება პაატას სული...  
ჩემს ძეგლს დავეძებ,

არ მიმილო ქართულ მიწამა?  
მე კვირტი ვიყავ, თოთო კვირტი  
ხეზე მოსხმული,  
თავი შევწირე, ერმა გმირად  
რად არ მიწამა.  
იქნებ დრო არის საქართველოვ,  
იქნებ დრო არის,  
შევრაცხოთ შვილი წმინდანად და  
ქონდეს ნათელი,  
ლამის წყვედიადი როს ნათლება  
ლამაში მთვარით,  
მისი სულია... დამავალა  
მეთქვა სათქმელი.

*გულნაზ ხარაიშვილი*

### **ბააკა ხერხეულიძე**

ვით ტევრში წყარო გულგადახსნილი,  
ვით მთებზე ნამი იის საგუბრად,  
ისე გვეჭირდება სიკეთის წამი,  
რომ შევაგებოთ მამულს საჩუქრად.  
რაა სიცოცხლე, თუ არ გაქვს გონი,  
ერთგულ მეგობრის გადასარჩენად,  
ისე ყვავილი არსად ამოდის,  
თუ მზე ფერადად არ გადაღებავს.  
გხედავ, ბააკა ხერხეულიძევ,  
შენ სააკაძის უბელო მხედარს,  
მაგ გულს გილოცავ, მკერდში რომ გიძგერს,  
სანთელს აგინთებ ცამდე რომ ელავს.  
არ შეუშინდი თავადთა რისხვას,  
არც შადიმანს და არც მისნაირებს,  
გიორგის სისხლი თუ არ დაიქცა,  
და მისი გული მოინადირე.

ამით მარტყოფი გადაარჩინე,  
ამით მარაბდას სული ჩაუდგი,  
შენ საქართველოს ღვიძლი შვილი ხარ,  
ცად უფალს შეხვდი, როგორც რაიონდი.

## მღვდელი თევდორა

საით მიფრინავ პეპელავ,  
რად ჩაუქროლე დილეგსო,  
რა დააშავა ქართველმა,  
მისთვის მახვილი ილესოს.  
ან თუ ერია პატარა,  
განა ეს დასაწუნია?  
ოქროც კი პატარა არის,  
მაგრამ შიგ გაზაფხულია.  
ოქროს ვერძია რქახსნილი!  
ოქროს მტევნების რიდესო,  
რა გვმართებს შენი ოსმალო,  
რატომ მიჰქრინხარ ცხირეთსო?  
მღვდელი თევდორე შემომხვდა,  
მთა, მთა ჰყვოდა იები,  
ერქალოს მთაზე იწვოდა,  
მინა თავისი მძივებით.  
გათოკილ იყო ისეთი,  
თითქოს ლურსმნები მიესოთ,  
მეგ ზურის ჯაჭვი ეკიდა,  
ერს ავედრებდა იესოს.  
კველთელი მღვდელი თევდორე,  
ღვთისგან ელოდა იმედსო,  
მეფე ლუარსაბს ცხირეთში,  
ჩიტი ვერ შეუფრინესო.  
გზა აურია მეგ ზურმა,  
ცრემლით ატირდა იელი,

შვიდი საათი ატარა,  
ოსმალოს ჯარი ცბიერი.  
ბოლოს კი თავი მოჰკვეთეს,  
ტანი ხევს გადაჰკიდესო,  
სამშობლოს მაგ ლამაზ მკერდზე,  
სისხლმა როდემდე იღვენთოს!

23.02.2016 წ.

## მეფე ლუარსაბ მეორე

ყრმა გამეფდა ქართლის ტახტზე!  
მეფე პირად მშვენიერი,  
მეფე ლუარსაბ მეორე,  
ქრისტესი ჰქონდა იერი.  
რა ქვეყანა დაძაბუნდა,  
ცას სწვდებოდა ხმა ივერთა,  
ერში გაჩნდა როგორც ქრისტე,  
მადლი ღვთისა შეიერთა.  
ტაშისკართან მტერს ეკვეთა,  
მუსრს ავლებდა ლახტით, შუბით,  
ტანად სარომ ოსმალთა ლაშქარს,  
თვალთა დაუბნება შუქი.  
ივერთ ნაცადმა ლაშქარმა,  
ოსმალთ თავთა დადგა გორი,  
იქით მუხრან ბატონი ჭექს,  
აქეთ კი ამილახორი.  
ომის ღმერთი კი მალლიდან,  
ცოდო მადლს ცაში სწონიდა,  
ათიათასმა აჯობა,  
სამოციათასს ღონითა.

## შადიმან ბარათაშვილი

საჯიხვეებზე მზის სხივი,  
კლდეზე ნაჯიხვარს კოცნიდა,  
ეუბნებოდა უთქვენოდ,  
კლდეებზე ყოფნა მომწყინდა.  
ჩამოიქროლა ქარშავამ,  
კლდე წამოიღო მოძმისა,  
შადიმან შენ რამ აგშალა,  
შენ შაჰ-აბასის მოდგმისა.  
რაც უფრო ქველნი გიყავით,  
ქვეყნის ნარჩევი თამადა,  
შადიმან ბარათაშვილი,  
მით უფრო გაგვითამამდე.  
გაზრდილიც კი არ დაინდო,  
იქვე მოუწყო მარაბდა,  
თვით სააკაძე გიორგი,  
ატარა კარისკარადა.

## პაატა სააკაძის

ისე ჩნდებოდი სპარსეთის ჩრდილში,  
ვით შირაზული ვარდი გაშლილი,  
ძე ხარ გიორგი სააკაძისა,  
საქართველოსთვის ბედკრული შვილი.  
„ლალე“ ისმოდა ურჯულოთ კევრზე,  
პაატას „ლალე“ უძოს მთას მოსდევს,  
ჩამოიღვრება ცრემლად ფანდური,  
და დაიყრება ნოსტეს წინ თოვლზე.  
შაჰს სააკაძის ლალატი სძალავს,  
მოურავი სწუხს სამშობლოს ბედზე,  
მარტყოფის კლდიდან ასხლტა არწივი,

ინყო კივილი ცის სარეცელზე.  
თავი მოჰკვეთეთ! მრისხანებს შაჰი,  
მძევალი მეფეს თვითონ ეახლა,  
სისხლმა იფეთქა პაატას მხრებზე,  
შაჰი ამ სისხლით ვარდებს მონამავს.  
ცრემლებს ვერ იტევს ქართული მინა,  
მამის წუხილი: შვილო პაატა!  
აქ მონამეთა სასუფეველში  
ერთანმინდაში გვირგვინს ჩაატანს.

*ცისნამი უტარაშვილი*

\* \* \*

პაატა, იქნებ მოგენატრა მამაშენი,  
კისერზე ხმაღს გაზომებდა შახი როცა...  
და მარტყოფი საქართველოს გადამრჩენი,  
ამ დროს იდგა გმირისა და უფლის ლოცვად...  
არ გვასვენებს შადიმანთა დრო უხეში  
და მის შემდეგ ქართლის ზეცა თვალსველია...  
ერთანმინდის ეკლესიის ერთ კუთხეში,  
საქართველოს სიყვარული ასვენია.

*პოეტი შოთა ტოგონიძე*

## პაატა სააკაძის მონოლოგი

ვიცოდი, მამავ, რისთვის მტოვებდი,  
განშორებისას რად იყავ მუნჯი...  
რომ ვერ გაყიდონ ჩემი ტოლები  
და ერთანმინდის ცა იყოს ლურჯი...

ვიცოდი, მამავ, ჩემი კისერი  
იყო მტვირთველი დიდი ჯვარისა,  
რომ რკონის ქვების მწვანე-ცისფერი  
მტარვალმა სისხლში ველარ გაგლისოს...  
ვიცოდი, მამავ, შენი თვალები  
ცრემლით უმზერდა ქრისტე-მაცხოვარს...  
თავმოკვეთილი ნუ გებრალეები,  
მე ქართულ მიწას მარად ვახსოვარ...  
შაჰ-აბასს ჩვენი სისხლი სწყურია,  
ეს შენზე უკეთ ვინ იცის, მამავ...  
შური - მარადი ივერთ წყლულია,  
თავგანწირვამ რომ გააკამკამა...  
ვიცოდი, მამავ, შენი მახვილი  
ყიზილბაშთათვის არის სამყოფი...  
და უკვე ვხედავ, გრგვინვა-ძახილით  
როგორ მოიგე ბრძოლა მარტყოფის...  
ოღონდ ქართველი ერი გადარჩეს,  
მეტი ამქვეყნად არა მინდა რა...  
დედა ღვთისმშობელს ვეტყვი დანარჩენს,  
არ შემრაცხავენ თუმცა წმინდანად...

**ვაჟა ოთარაშვილი**

ლუარსაბ II-ის მეფობის დროს, იყო იგი სახელოვანი დიდი მოურავი, გიორგი სააკაძე, რომლის მოქმედება და ქცევა კიდევ აუხსნელია ჩვენი ისტორიკოსებისაგან. გიორგი სააკაძე იყო რა უხვად შემკული ყოვლისა სამამაცო და საგმირო ღირსებათა, მისი ომები და დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა გასაკვირვებელი და გასაოცებელი.

**ილია ქავჭავაძე**

გიორგი სააკაძე ჯერ კიდევ სულ ახალგაზრდა იყო, სახელი რომ გაითქვა და გმირული სამსახური გაუწია სამშობლოს, სწორედ რომ ტარიელი იყო ეს საოცარი კაცი! თითქოს რუსთაველმა მისგან გადახატა ტარიელიო. ქართველებში გამობრწყინდა და გადიდა ხალხის თვალში, აი ეს ველარ აიტანეს დიდებულებმა და მოუნდომეს დალუპვა. შაჰ-აბასის ყიზილბაშურმა მედიდურმა გავლენამ დააბრმავა ისინი. ახალგაზრდა გმირი იძულებული შეიქნა სპარსეთში გადავარდნილიყო. „ძველად ჩვენში, გვარიშვილობას დიდი ფასი ედვა. ვაგლახად „ახალკაცებს“ არ გაიტოლებდნენ. ამ გულკიოტობამ დალუპა საოცარი გმირი გიორგი სააკაძე, და მასთან ერთად საქართველოც“.

**აკაკი წერეთელი**

თუ პიროვნების დიდი კაცობა სამშობლოსადმი ღვაწლით იზომება, მაშინ გიორგი სააკაძეზე დიდი ვინ არის, მან სპარსეთის სპასალარობა რიგითი ქართველი მოლაშქრის როლზე გაცვალა და ყველაზე დიდი ამბოხი მოაწყო შაჰ-აბასის წინააღმდეგ მარტყოფში, შვილიც უყოყმანოდ შესწირა სამშობლოს (პაატა).

გიორგი სააკაძე საქართველოს ჰგავს. საქართველოც ისეთი დაუძინარი, დაჩეხილი, სვეგამწარებულია, როგორც მისი უკვდავი შვილი გიორგი სააკაძე.

### **მწერალი რეზო მიშველაძე**

უმკაცრესი განაჩენი გამოუტანა ქართლ-კახეთს შაჰ-აბასმა 1625 წელს. ქართლის მოსახლეობა უნდა აეყარათ და ირანში გადაესახლებინათ, კახეთის მოსახლეობა კი უნდა გაენყვიტათ. აკაკი წერეთელი განმარტავდა - გულგრილმა დიდებულთა ნაწილმა, ქვეყანა მიიყვანეს უფსკრულის კარამდის, ერთი ნაბიჯი და ჩვენი ქრისტიანული სამეფოები ჩაინთქმებოდა სამარადისოდ. ის იყო კინალამ ბოლო მოელო ქვეყანას! თუ არა სასწაული რამ, ანუ საკვირველება, ვერ გადაარჩენდა ვერა რა! და კიდევაც მოეველინა საკვირველება! ეს გადამრჩენი იყო დიდი-მოურავი გიორგი სააკაძე.

### **ისტორიკოსი დევი კაჭარავა**

მარტყოფის ომის შემდეგ, გიორგი სააკაძის სახელი მთელს აღმოსავლეთს ქუხილივით მოედო. მასზედ მოგვითხრობდნენ ევროპელი მისიონერები და მოგზაურები. გიორგი სააკაძის სახელს ისინი ყოველი ფეხის ნაბიჯზე იმენდნენ. აქ კი საქართველოში, მისი სახელი გმირის დიდებით დააგვირგვინეს. მადლიერმა სამშობლომ გიორგი სააკაძეს ხალხის მხსნელი, სამშობლოს მამა და ეკლესიის შვილი უწოდა.

### **XIX საუკუნის მწერალი პლატონ იოსელიანი**

დიდების შარავანდედით მოსილ გმირთა შორის, გამორჩეული ადგილი უკავია გიორგი სააკაძეს, დიდ ქართველ მხედართმთავარს, თავისი ეპოქის გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს, რომელსაც განგებამ და ისტორიამ წილად არგუნა ყოფილიყო ქვეყნისათვის უმძიმეს პოლიტიკურ ვითარებაში.

„ძლიერი ძალითა შემართებული უშიში“, ვახუშტი ბაგრატიონი დიდი წინამძღოლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში. განუზომელია ღვაწლი დიდი მოურავის გიორგი სააკაძისა ქვეყნისა და ერის წინაშე, ქართველი ხალხი ღირსეულ პატივს მიაგებს სახელოვან გმირს და სათუთად ინახავს მის ნათელ ხსოვნას.

### **აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე**

პიროვნება ვინაც სამშობლოს გადასარჩენად, უარს იტყვის ამ ქვეყნიურ სიამტკბილობაზე, ვინაც თავის მინა-წყლის გულსათვის სიცოცხლესაც და შვილსაც განირავს, ასეთი ქვეყანა ძლიერია, ასეთი პიროვნების საქმეს ხალხი ეტალონად ინახავს. ადიდებენ, ლექსებსა და სიმღერებს თხზავენ, ხოტბას ასხავენ: მწერლები, პოეტები, ისტორიკოსები კეთილსიტყვას არ იშურებენ და თაობიდან თაობას გადაეცემა ასეთი დიდი წინაპრების უკვდავებად ქცეული სახელები. ერთ-ერთი ასეთი პიროვნებათაგანია XVII საუკუნის პირველი მესამედის სახალხო გმირი, დიდი მოურავი გიორგი სააკაძე.

### **ავსტრიელი პოეტი ჰუგო ჰუპერტი**

მარტყოფის აჯანყება თავისი მნიშვნელობითა და შედეგით, თამამად შეიძლება ამოუდგეს მხარში ქართველი

ხალხის მრავალსაუკუნოვანი საბრძოლო მატინის ყველაზე დაუფინყარ გამარჯვებებს, ეს იქნება დიდგორის, თუ ბასიანის ომები. ეს გრანდიოზული გამარჯვებანი, მოპოვებული თანასწორ მეტოქესთან ჭიდილში, კანონზომიერი და ლოგიკური შედეგი იყო, ერთიანი საქართველოს აღმავლობისა.

ხოლო, მარტყოფის აჯანყება, წარმოადგენს ყოფნა არ ყოფნის მიჯნამდე მისული ქვეყნის თავგანწირულ გაბრძოლებას და მოგვაგონებს ბიბლიური დავითის შერკინებას უძლეველ და გოროზ გოლიათთან.

ამიტომაც, მარტყოფი იმსახურებს სამართლიან განცვიფრებას და აღტაცებას, როგორც თანამედროვეთა, ისე შთამომავალთა წინაშე. ქართველი მემატინის მიერ, დიდგორის ომზე თქმული „ძლევაი საკვირველი“, არა ნაკლები და ეგებ მეტი უფლებითაც შეგვიძლია ვუნოდოთ მარტყოფის ომს.

### **მწერალი თამაზ ნატროშვილი**

გიორგი სააკაძემ განუზომელი ამაგი დასდო სამშობლო ქვეყანას. მან თავგანწირული ბრძოლით, მტკიცედ წაიყვანა ქართველი ხალხი მტრის შესამუსრავად და საქართველოს ააცდინა მრისხანე მტარვალის განაჩენი. მისმა სიმტკიცემ მარტყოფსა, მარაბდაში და ქსანზე, გასტეხა შაჰ-აბასის ნება და ამით, საქართველოს შეუნარჩუნა დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა.

### **ისტორიკოსი შოთა მესხია**

გიორგი სააკაძემ მარტყოფში, მარაბდაში და ქსანის ხეობაში წარმოებული სახალხო ომების შედეგად სამშობლო

იხსნა, და შაჰ-აბასს ხელი ააღებინა საქართველოს სახელმწიფოსა და ქართველი ერის მოსპობის განზრახვაზე.

### **ისტორიკოსი ნიკო ბერძენიშვილი**

გიორგი სააკაძეს რომ არ დაემარცხებინა სპარსელები მარტყოფის ველზე, შეიძლებოდა საქართველო სამუდამოდ აღგვილიყო პირისაგან მიწისა.

### **ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი**

პიროვნება რომელიც, ასეთი ჯოჯოხეთური განსაცდელისაგან ისევ დიდსულოვნებას გამოიჩინეს და მარტყოფის, მარაბდის, ქსნის ომების ავტორი, რომელიც ქვეყანას ფიზიკური განადგურებისაგან იხსნის, დიდი უმადურობაა ასეთ კაცს შეცდომები და დანაშაული აკადრო.

### **კრიტიკოსი ჯანსუღ ღვინჯილია**

საკაძემ, რომელმაც შაჰ-აბასს ხელი ააღებინა საშინელ ჩანაფიქრზე, „იხსნა ერი თვისი განადგურებისაგან“.

### **ვახუშტი ბატონიშვილი**

გასაოცარი სიყვარულით უყვარს ქართველ კაცს სააკაძეზე ფიქრი. რომც არ უყვარდეთ, მასზე ფიქრს მაინც ვერ შელევინან. უაღრესად კეთილშობილური და გრანდიოზული ჩანდა მისი განაზრახვი „ყოველი საქართველოს“ გაერ-



თიანებისა და გამძლავრებისა, მაგრამ ამდენადვე უნიადაგო გახლდათ ამ უმაღლესი და უკეთილშობილესი განაზრახის განხორციელების გზები და საშუალებები. როცა სააკაძეს თავისი ბუმბერაზი სიცოცხლეც აღარ ეყო, მან სამშობლოს გადასარჩენად და საკეთილდღეოდ, გასწირა ყველაზე დიდი შესანიშნავი - სიცოცხლე ღვიძლი შვილისა!

### **მწერალი ლევან სანიკიძე**

იოსებ თბილელი რეალისტი პოეტია... იგი აუმხედრდა ფანტასტიკურ სიუჟეტს და მწერლობაში „მართლის თქმა“ მოითხოვა. ამის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია მხატვრული პოემა „დიდმოურავიანი,“ რომლის მთავარ დამახასიათებელ თვისებას გულწრფელობა და სიმართლე შეადგენს.

### **აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე**

გიორგი სააკაძეს, თუკი მას რაიმე შეცდომა მოუვიდა, როგორც ადამიანს, ყველა გამოისყიდა მარტყოფის ველზე, სადაც გაანადგურა სპარსეთის ჯარი; სააკაძის ღირსებად ისიც უნდა ჩაითვალოს, რომ იგი სულით ხორცამდე ქრისტიანი იყო, მართალია დროისა და გარემოების მიხედვით აღიარებდა ისლამს, მაგრამ ხელი არ აუღია ქრისტიანობაზე და უდიდესი ქრისტიანული დღესასწაულის - ღვთისმშობლის „ხარების“ დღეს იხსნა კიდევ საქართველო.

### **ისტორიკოსი მაია ხეცურიანი**

მარტყოფის ეპოპეამ საქართველო გადაგვირჩინა, იგი საქართველოს ისტორიული ბედისათვის „დიდგორის ომის სადარია“.

### **გენერალი ვლადიმერ ჯანჯღავა**


XVI-XVII საუკუნეების საქართველოს წიაღში იშვა დიდი სარდალი და სახელმწიფო მოღვაწე გიორგი სააკაძე, რომლის მხედრული ნიჭიერება და ძალგულოვნება გასაოცარი და შეუფასებელია. მხოლოდ მერაბ ბერძენიშვილის მაღალნიჭიერებას და რაინდულ შემართებას შეეძლო სწორედ გაეაზრებინა და სრულყოფილად ჩამოეძერწა ამ სწორუპოვარი დევგმირის და ტრაგიკულ-ისტორიული პიროვნების შთამბეჭდავი სახე.

### **მხატვარი, შოთა რუსთაველის პრემიის ლაურეატი ემირ ბურჯანაძე**


წლები და დრო გადიოდა, მაგრამ მუდამ თავს მახსენებდა გიორგი სააკაძე, ეს ბენვის ხიდზე მოსიარულე ქართველი და ვხვდებით ჩვენ მუდამ ზნეობრივ გმირს ვეძებთ მასში, რომელიც ასე ჭირდება ქართულ სულს.

ზღაპრული ღონე, ახოვანება, ორგანიზატორული ნიჭი, დიდი მხედართმთავრის ტალანტი, თვისი დროის შესაფერისი განათლება, მუდამ ფხიზელი პოლიტიკური დიპლომატია. გასაოცარი ნებისყოფა, მომხიბლავი მჭერმეტყველება, სპარსული და თურქული ენების ცოდნა, მარტყოფის ომით საქართველოს გადარჩენა, ასე აღწერენ გიორგი სააკაძის ბიოგრაფიას და ჩემთვისაც ასეთად რჩება იგი მრავალჟამს.

### **მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გელა მუხაშავერა**




სარდალი გერმანოზ-პარათაშვილი



სარდალი ზაზა ციციშვილი



ქაიხოსრო-მუხრან-გატონი



სარდალი დავით ჯანდიერი



მანუჩარ III ათაბაგი




ბ. სპაკაძის თანამებრძოლი ღმერთი ავალიშვილი



ლევან ღაღიანი – ოდიშის მთავარი



იმერეთის მეფის გიორგი III-ის  
უწილი ალექსანდრე




დავით გობორიშვილი



მეომარი მარტყოფიდან



ალათანაბ ხერხეულიძის  
ცხენი მარაბდიან



„ცხენი ნოსტივან“




ბაზალეთი



„ფერეიდნელი ქართველები“







„მხედარმოკლული ცხენი მარაბდიან“



„ჩველა ღღემაშხარელთა შუსაწირავი“



„პატა საბაბის მსაბუნარი სამღვთო სოსტეში“



„მარაგის ტეში დღვუშულთა შუსაჟირანი“

## სარჩევი

ღმერთო სამშობლო მიცოცხლე!.....	3
გიორგი სააკაძის სიტყვა დავით აღმაშენებლის საფლავთან.....	4
როცა გრგვინავს სააკაძე.....	6
რეცენზია .....	7
„ცრემლში ნალესი ხმალი“ .....	7
რეცენზია .....	19
ნიკო ხერკელაძის წიგნი „ცრემლში ნალესი ხმალი“.....	19
ქართლის და კახეთის სამეფოთა პოლიტიკური ურთიერთობა ირანთან და ოსმალეთთან XVI ს. მე-2-ე ნახევარში.....	29
„გოფანთო ოფშკვიტის ომი“ .....	69
„გოფანთო, ოფშკვიტის“ მოვლენების განხილვა .....	75
გ. სააკაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებული აზრის განმარტებისათვის.....	87
ხმა ერისა, შეფასება „დიდის“ განმარტებისათვის.....	93
ქართველი ერისგან ცოტნე დადიანის „დიდის“ შეფასების განმარტებისთვის .....	99
გ. სააკაძის მიზნები და მისი ურთიერთობები როგორც მომხრე ისე მოწინააღმდეგე დიდებულებთან.....	114
გიორგი სააკაძის და ლუარსაბ II-ის ურთიერთობების განხილვა .....	170
ვარდობისთვის ნაკვისში.....	198
ბაკა ხერხეულიძე.....	205
გიორგი სააკაძის განდევნა .....	213
უტიფარი კოლოტაური .....	221
შაჰ-აბას I, მისი მიზნები და განხორციელების მცდელობები აღმოსავლეთ საქართველოში .....	225
შაჰ-აბას I.....	227
აღმოსავლეთ საქართველო, კახეთი შაჰ-აბასის შემოსევების ზღვარზე.....	236
ქართლის ბედზე მზრუნველი.....	245
კახეთი აჯანყების ქარში.....	257
შაჰ-აბასის განრისხების ცეცხლის შედეგები .....	262
ქართველები ირანში .....	274

„და უამთა მოვლენები შერიგებას ითხოვდა“.....	289
1615 წელს ქართლში გ. სააკაძის დაბრუნების მიზეზები და მიზნები .....	296
აქ რეზიუმე ასეთია.....	311
კავკასიელი და მათ შორის ქართველი ქალები ირანში შაჰ-აბასის კარზე .....	312
ქეთევან დედოფალი .....	314
ქეთევან დედოფლის ნამების შემდგომი პერიოდი მარტყოფის ბრძოლამდე.....	331
ზურაბ ერისთავი, საიმედო დასაყრდენი მარტყოფის ბრძოლაში .....	334
გამოცხადება ანტონ მარტყოფელისა.....	352
დადებულია უზენაესი ფიცი – დღე ხარება .....	360
მარტყოფის მოვლენების განხილვა.....	374
განმარტება წერილის შესახებ, რომელიც ირანიდან გამოიგზავნა .....	423
მოგონება პეტრე ხიზამბარელზე .....	437
პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან .....	438
2800 მარტყოფელი შაჰისევანი .....	442
პეტრე ხიზამბარელის ნაამბობიდან .....	444
პაატა სააკაძე.....	463
პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის დამოკიდებულება გ. სააკაძის ფენომენტთან და მარტყოფის ომის შესახებ .....	494
მარაბდა.....	503
მარაბდის მოვლენების განხილვა .....	515
მარაბდის სევდა ისევე მარადისობს .....	529
ქარჩოხი – ქსნის ომი.....	539
მანუჩარ III ათაბაგი .....	560
ქსნის ბრძოლის შემდგომი გარდამტეხი მოვლენები, აღმოსავლეთ საქართველოში შაჰ-აბასის გეგმების რღვევის დასაწყისი.....	564
გ. სააკაძისა და თეიმურაზ I-ის პირად მდგომარეობათა მსგავსება და განსხვავებული შეხედულებანი .....	567
გიორგი სააკაძე დასავლეთ საქართველოს სამეფო კარზე.....	576
გ. სააკაძის იმერეთიდან ქართლში დაბრუნება .....	580
გ. სააკაძისა, თეიმურაზ I-სა და ზ. ერისთავის	

ურთიერთობათა განხილვა .....	582
განხილვა მეფე ლუარსაბ II-ის სიკვდილის შესახებ.....	596
ოპოზიციური მხარისაგან გ. სააკაძის სალიკვიდაციო გეგმა და მისი განხილვა .....	613
სააკაძეთა წარმომავლობისათვის.....	636
ბაზალეთი.....	653
ზოგიერთი ოპონენტური მოსაზრების პასუხი.....	681
სააკაძე ოსმალეთში.....	704
სააკაძის აღსასრული.....	717
გიორგი სააკაძის ირგვლივ შექმნილ მდგომარეობათა განხილვა ქართველ და უცხოელ ისტორიკოსთა შეფასებების საფუძველზე .....	729
გიორგი სააკაძის ციხე-კოშკისა და დარჩენილი სამოსახლოს შესახებ .....	762
თანამედროვენი გიორგი სააკაძეზე .....	768
ნოსტელი პეტრე ხიზამბარელის მოგონებები, ხალხში დარჩენილი ამბები გიორგი სააკაძეზე.....	777
მოგონება რევაზ თარხან-მოურავზე.....	779
კასტელის „სააკაძის პორტრეტის“ შესახებ.....	783
დიდი მოურავი.....	786
წავკისური ნადიმი I .....	787
ბერი თევდორე .....	788
„წავკისური ნადიმი“ და „ბერი თევდორე“ .....	789
დაუსრულებელი სინანული .....	790
ვაება სააკაძისა .....	791
მოურავი ხალხის მესხიერებაში.....	794
ესე ნათქომი გიორგის .....	802
ნოსტელ გიორგის!.....	803
ბერი თევდორე .....	805
იმპროვიზაცია „დიდი მოურავიდან“.....	806
პოეტი აკადემიკოსი ვაჟა ეგრისელი .....	808
გიორგი სააკაძეს .....	813
გიორგი სააკაძეს .....	814
ბერი თევდორე .....	816
გიორგი სააკაძეს .....	816

გიორგი სააკაძის მონოლოგი ტარიელ ზოზრაშვილის ისტორიული პოემიდან „მთანმინდის სიზმარი“.....	817
პეტრე ხიზამბარელის მოგონებიდან.....	819
ვის ებადება ეჭვი.....	820
ზოგადი საუბრები ბატონ გივი ჯამბურისათან .....	821
გ. სააკაძის ძახილი.....	824
ომის პოეტები.....	825
მარადიული მებრძოლი .....	826
ამონარიდი ტარიელ ზოზრაშვილის წიგნიდან „დიდი ქართველები“ .....	827
გიორგი სააკაძის ტრაგედია.....	827
მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება „გიორგი სააკაძე“ .....	840
ჰეი წუთისოფელო! (ბადრი ქუთათელაძე) .....	843
გიორგი სააკაძეს (ნუგ ზარ შინჯიკაშვილი).....	844
გიორგი სააკაძის გახსენება (ჟ. ერიაშვილი).....	846
აღსდექე გიორგი (გულნაზ ხარაიშვილი) .....	847
გიორგი სააკაძეს (გურამ გედევანიშვილი).....	847
პაატას მხრებზე (ბეჟან ხარაიშვილი).....	849
გიორგი სააკაძე (ცისანა უტარაშვილი) .....	849
იქნებ დრო არის (გულნაზ ხარაიშვილი) .....	850
ბააკა ხერხეულიძე (ცისანამი უტარაშვილი).....	851
მღვდელი თევდორე (ცისანამი უტარაშვილი).....	852
მეფე ლუარსაბ მეორე (ცისანამი უტარაშვილი).....	853
შადიმან ბარათაშვილი (ცისანამი უტარაშვილი).....	854
პაატა სააკაძეს (ცისანამი უტარაშვილი).....	854
პაატა, იქნებ მოგენატრა მამაშენი (შოთა ტოგონიძე) .....	855
პაატა სააკაძის მონოლოგი (ვაჟა ოთარაშვილი).....	855

რედაქტორი	ვაჟა ებრისელი
გამოცემის რედაქტორი	მარინე მარკოზაშვილი
მხატვარი	ნიკო სერკელაძე
მხატვრული რედაქტორი	ნათელა ფირანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი	სიმონ ზაქარაია
კორექტორი	ნელი გეჟუაშვილი
კომპიუტერული უზრუნველყოფა	ალექსანდრე კუზანაშვილი

თბილისი

2017

ნიკო სერკელაძე

**ცრემლში ნალესი ხმალი...**

*(მეხუთე შევსებული გამოცემა)*